ამერიკელი მკვლევარი მ. ჩაილდსი თვლის, რომ კრეტელი ბერძნები, კოლხეთის მტრები ოთარ ჭილაძეს თანამედროვე რუსებად ჰყავს გააზრებული. ქართული პერსპექტივიდან გამომდინარე მწერალი მნიშვნელოვნად გარდაქმნის მთავარ ბერძენ მითოსურ პერსონაჟებს, განსაზღვრავს თავისი სამშობლოსთვის კულტურულ სივრცეს, რომელიც ცალკე დგას კრეტის ანუ რუსეთის იდენტობისგან (Childs, 2012, p. 370). თარგმნიდა რა ჭილაძის ამ რომანს ინგლისურად, მ. ჩაილდს ახლო ურთიერთობა ჰქონდა მწერალთან. როგორც მკვლევარი წერს, სასიკვდილო სარეცელზე მიჯაჭვული ოთარ ჭილაძე მასთან ინტერვიუში აცხადებდა, რომ კრეტელი ბერძნები, რომლებმაც დაიპყრეს კოლხეთი, უნდა იყვნენ გაიგივებულნი რუსებთან და რომ რომანი არის კონკრეტულად რუსეთის აგრესიის შესახებ საქართველოს წინააღმდეგ (Childs, 2012, p. 371, პირადი ინტერვიუ ო. ჭილაძესთან 24.09.2009).

ოთარ ჭილაძის ამ რომანში გადმოცემული აიეტის სამეფოს – კოლხეთის ანექსია ნამდვილად წარმოადგენს ანექსიის კლასიკურ პარადიგმას, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი, თუმცა ის ამასთან კონკრეტული ანექსიის მოთხრობაა, რომელშიც მწერალი რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიას გულისხმობს. ამას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამბობდა თავად ავტორი და ამაში მდგომარეობს მწერლის გზავნილის დღევანდელი აქტუალობა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის თანამედროვე კონტექსტიდან გამომდინარე.

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ რომანის ტექსტური ქსოვილის სირთულე და მისი მრავალშრიანობა.¹ რამდენიმე მომენტზე შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას. ოთარ ჭილაძე არ ისახავდა მიზნად თქმულების რესტავრაციას, შესაბამისად, მან უარი თქვა გამოყენებინა არგონავტების მითოსის ტრადიციული ფოლკლორული ელემენტები – ნაწარმოებში არ ჩნდება კიპრისის ისარი – მედეას სიყვარულის მიზეზი, არ არიან აქ არც ცეცხლისმფრქვეველი ხარები, დრაკონის კბილებიდან აღმოცენებული მეომრები თუ საწმისის მცველი გველეშაპი. არგონავტების ლაშქრობა წარმოდგენილია როგორც ნამდვილი ამბავი. ელინისტური ეპოქის ბერძნებსაც ხომ სჯეროდათ, რომ მათი წინაპრები უძველეს დროში მართლაც მივიდნენ შავი ზღვის სანაპიროებთან.

თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჭილაძესთან რეალური და ირეალური პასაჟები ერთმანეთის გვერდით არსებობენ. მეორე რეალობა თუ ირეალობა მითოლოგიური რეალობაა თავისი ზედროულობით, ისტორიული დროის, დასაწყისისა და დასასრულის არარსებობით, ყველაფრის წრეში ბრუნვით. ცოცხალი და მკვდარი ისე ორგანულად მონაცვლეობენ ამ ყოფაში, რომ არსებობდა მათ შორის მცირე სხვაობა (Аннинский, 2000, ст. 8). ყველა ეს ასპექტი მითოსური, არარეალური სამყაროსთვისაა ნიშანდობლივი.

ამას სხვა ორაზროვნებაც მოჰყვება, მწერალი წარმოგვიდგენს უაღრესად საინტერესო ნაზავს ქართული ფოლკლორული და ლიტერატურული ტრადიციისა კლასიკურ მემკვიდრეობასთან. ვანის მაცხოვრებლები, ერთი მხრივ, ზენაციონალური, მითოსური ადამიანები არიან თავიანთი ცხოვრების წრიულობითა და ფასეულობებით, მეორე მხრივ, მათში აუცილებლად ამოვიცნობთ კოლხი ხალხის ჩვევებს, ცხოვრების წესს. ღვინის გამყიდველი ბაზა ღვინის ღმერთთან – ბაკქუსთან ბადებს ასოციაციას, ნავის ქიმზე შემდგარი ბედია პოსეიდონს მოგვაგონებს. აკვნის ოსტატი ბოჩია და მისი ცოლი ფოთოლა მარადიული ცოლ-ქმარია, რომელთა შთამომავლობა განუწყვეტლივ მრავლდება, იხოცება, ბოჩია კი უცვლელი რჩება. ბოჩიას ანალოგიას უძებნიან, ერთი მხრივ, ტირესიასთან, მეორე მხრივ, ბოჩია-ფოთოლას წყვილს ქართული ხალხური ზღაპრის ბედნიერ ცოლ-ქმართან აკავშირებენ (ცანავა, 2010, გვ. 140). ეს არის გულგაუტეხელი ადამიანების სამყარო, რომლებიც ურთიერთობის სიხარულით ცხოვრობენ, სამყარო, სადაც კარი არ იკეტება, ნათლი-დედები უსაქმოდ ლაყბობენ, მეზობლები ენისჭარტალით არიან დაკავებული. ვანელები კეთილგობიერ არიან და მზაკვრებიც, შენიშნავს ანინსკი, ისევე, როგორც ყველა ჯურის ადამიანები, ერთით

¹ მანანა კვაჭანტირაძე, ოთარ ჭილაძის შემოქმედების ერთ-ერთი უპირველესი მკვლევარი რომანს სტრუქტურალისტურ ჭრილში განიხილავს იყენებს რა სემიოლოგიურ თეორიებს (კვაჭანტირაძე, 1999).

განსხვავდებიან მხოლოდ – აქვთ იუმორის განსაკუთრებული გრძობა, მზად არიან გაამასხარაონ ყველაფერი, მათ შორის საკუთარი თავები (Аннинский, 2000, ст. 8).

რომანის მიხედვით, ვანში ორი გამორჩეული ადგილია. ერთია ოქრომჭედელთა უბანი, სადაც საოცარ სამკაულებსა და ოქროს ნივთებს ამზადებენ. ოქროთი მდიდარი ეს ადგილი აშკარად იწვევს ასოციაციას „ოქრომრავალ კოლხეთთან“, იმ ეპითეტთან, რომლითაც ბერძენი მწერლები კოლხეთს ახასიათებდნენ. მეორე საოცრება კიდევ დარიაჩანგის ბაღია, ბაღი, რომელიც მარადიული ნაყოფიერების სურნელს აფრქვევს, ბაღი, რომელშიც სურვილები სრულდებოდა. „ვანელები ამბობდნენ, ვინც დარიაჩანგის ბაღში თავისი ხელით მოწყვეტილ ვაშლს შეჭამს, ოქროსთმიანი ვაჟი გაუჩნდებაო... თუმცა, კივიც არ უნდა შეეტება, თორემ ამოდენა ბაღი თვალის დახამხამებაში გაქრებოდა“ (ჭილაძე, 1973, გვ. 9). აქაც ასოციაციები ბიბლიურ ედემის ბაღთან ჩნდება.

ამ ბედნიერ და ზღაპრულ სამყაროში პირველი უცხოელი შემოადგამს ფეხს და ზმანებანი თანდათან იწყებს გაქრობას. ავტორს არგონავტების მითოსიდან პირველი პერსონაჟი – ფრიქსე შემოჰყავს. მეთევზე ბედია ზღვის ნაპირზე ცოცხალმკვდარ ბიჭსა და ვერძს იპოვის და თავის ნავში ამოატრევს. ფრიქსეს გამოჩენაში თითქოს არაფერია ზებუნებრივი. ვერძიც ჩვეულებრივი ვერძია, ერთადერთი ძალიან დიდია, მისი ბეწვიც სხვა ვერძთა ბეწვის მსგავსია – ოღონდ როცა ვანელები მას ოქრომჭედელთა უბანში გაატარებენ, მის ბეწვს ოქროს მტვერი მიეკრობა და სამუდამოდ მასზე დარჩება. ყველაფერი ისეა წარმოდგენილი, როგორც რეალობაში შეიძლება მომხდარიყო, თუმცა ერთი არარეალური მომენტი მაინც ჩნდება. როდესაც ფრიქსეს ჰკითხეს, თუ როგორ მოხვდა ვანში, იგი ყვება მითოლოგიიდან ჩვენთვის კარგად ცნობილ ლეგენდას ფრიქსესა და ჰელეს შესახებ, მაგრამ ამ ლეგენდის მიხედვით ხომ და-მმა მფრინავმა ვერძმა გადმოაფრინა საბერძნეთიდან. გამოდის, რომ ეს თითქოსდა ჩვეულებრივი ცხვარი მფრინავი ყოფილა. ამის მიუხედავად ფრიქსეს მონაყოლისთვის კრიტიკულად არავის შეუხედავს.¹ შემდეგ რომანის სიუჟეტი მისდევს მითოსს – აიეტი ბიჭს სასახლეში მიიღებს, ის წამოიზრდება, დავაჰკაცდება, აიეტის სიძე ხდება, ოთხ ვაჟი-შვილს აჩენს და კვდება. ვანელები მას ვერძს შესწირავენ, ვერძის ტყავს კი მეფე განჯინაში დაკიდებს და მას თავის ტახტს მიადგამს. გადის ხანი, ვანში კიდევ ერთი უცხოელი ჩამოდის და გარე სამყაროდან ამ მეორე შეხების შემდეგ ვანის მაცხოვრებელთა ყოფა სულ უფრო და უფრო სახიფათო ხდება.

ის მეორე უცხოელი უკვე არგონავტებთან ერთად მოსული იასონია, რომელმაც გემი არა ნავსადგურში, არამედ წყალუბვი მდინარის ლერწმონებში დააყენა. მითის მსგავსად რომანშიც აიეტს მათი ჩამოსვლა ფრიქსეს ვაჟიშვილებმა ამცნეს.² შვილიშვილებმა აუწყეს მეფეს, რომ უცხოელები ვერძის ტყავს ითხოვდნენ. მანამდე არსებული ეჭვები აიეტს ამ ამბავმა კიდევ უფრო გაულრმავა. და სწორედ აქ ოთარ ჭილაძე განზე დებს არგონავტების მითს და რომანის ფაბულაში „ნამდვილ“ ამბავს რთავს. ფრიქსეს და იასონის ჩამოსვლა სხვა არაფერია თუ არა „ყველაზე დიდი მეფის“ – მინოსის გეგმა კოლხეთის დაპყრობისა. ფრიქსეს გამოგზავნა გემის მხოლოდ პირველი ნაწილია. მისი მისია კოლხეთში ბუდეს და საფლავის გაჩენა იყო.³ გემის მეორე ნაწილი იასონის მისია გახლდათ, რომელსაც ვერძის ტყავის – საწმისის წამოღება ევალებოდა. თუმცა ჭილაძის მიხედვით, იასონის ნამდვილი მისია არა კოლხეთიდან ტყავის წამოღება, არამედ აქ კოლხთა ხელით სიკვდილი იყო. მინოსი დარწმუნებული იყო, რომ აიეტი ოთხად გაგლეჯდა საწმისის მოთხოვნით

¹ გამონაკლისია მხოლოდ ბახას სარდაფში შეზარხოშებული ყასბის ნათქვამი, რომ ცხვრის სხვადასხვა სახეობის კარგად მცოდნეს ამ ცხოველში ფრთების არსებობა არასდროს შეუნიშნავს.

² ცოტა ხნით ადრე ისინი სასახლიდან სამშობლოში – საბერძნეთში წასასვლელად გაპარულიყვნენ, მაგრამ გზაზე ხომალდი დამსხვრეოდათ და შეხვედრილ არგონავტებს გადაერჩინათ.

³ ფრიქსე არავითარი ბეოტიელი მეფის შვილი არ ყოფილა. გოგრის გამყიდველის ბიჭი მინოსმა დაიბევა და კოლხეთში გადასახლების სანაცვლოდ მისი უკიდურესად გაჭირვებული ოჯახის პატრონობა იკისრა. მხოლოდ იასონის ჩამოსვლის შემდეგ მიხვდა აიეტი, რომ ფრიქსე მტრის ბანაკიდან დაძრული პირველი ტალღა იყო. „მისი ვაჟები კი – მეორე, მეორეს მესამე მოჰყვა მომღიმარი უცხოელის სახით“ (ჭილაძე, 1973, გვ. 173).

ჩასულ „თავქარიან ყმაწვილს“. მხოლოდ იასონის სიკვდილის შემდეგ შეძლებდა მინოსი აღსრულებინა გეგმის ფინალური ნაწილი – კოლხეთის დაპყრობა ბერძენთა ჯარის წარგზავნით. საბაზი იასონის მკვლელობაზე შურისძიება იქნებოდა. მაგრამ როგორც მითში, აქაც მედეა ჩნდება, მედეა, რომლის არსებობა „ყველაზე დიდ მეფეს“ გამოორჩა.¹ მედეა დაეხმარება იასონს საწმისის მოპოვებაში, ოღონდ ამისთვის იასონს არავითარი გმირობის ჩადენა არ სჭირდება (ზემოთ უკვე აღვნიშნეთ ცეცხლისმფრქვეველი ხარებისა და სხვა ფოლკლორული ელემენტების არარსებობის შესახებ). მედეა უბრალოდ ამინებს მამას ხელოვნური ძილით, სასახლეში შეპარულ ქალადგადცემულ იასონს კი განჯინიდან საწმისი გამოაქვს. მედეას საქციელმა ჩაშალა ანექსიის კლასიკური მოდელი – მინოსს აღარ აქვს შურისძიების მიზეზი. მაგრამ „ყველაზე დიდი მეფე“ ახერხებს საჩუბარი მიზეზის გამოწვევას – აქაოდა როგორ გაბედეს კოლხებმა, რომ მის წარგზავნილს ცხვრის ტყავი და ქალი დაუკავეს და იძულებული გახადეს მოეტაცა იგი. და იგი გზავნის ჯარს კოლხეთისკენ მათ სამაგალითოდ დასასჯელად. მათ წინ აიეტის ბიძაშვილის შვილი ოყაჯადო მოუძღვით, იმ ბიძაშვილის, რომელიც აიეტმა უხეირო მეფობის გამო ტახტიდან ჩამოაგდო და რომელიც თავის მომხრეებთან ერთად გაიქცა კრეტაზე, რათა თავის დროს დალოდებოდა. ის ვერ მოესწრება ამ ლაშქრობას, მაგრამ მისი შვილი ბერძენებთან ერთად აიეტის ჩამოგდებას და კოლხეთის დაპყრობას მოახერხებს. ოყაჯადოს ფენომენი კიდევ ერთი დამატებითი საბაზია მინოსისთვის კოლხეთის დასალაშქრად. ამასთანავე ის კლასიკური ინტერვენციის სქემის კიდევ ერთ შემადგენლად შეიძლება განვიხილოთ.

შეიძლება ითქვას, რომ მინოსმა ინტერვენციის სრულყოფილი პარადიგმა შეადგინა და განახორციელა კიდევ. მართებულია ანექსიის თაობაზე ანინსკის მიერ მოყვანილი პარალელები უახლესი ისტორიიდან: გერმანულ იმპერიას ჭირდება ფოლკსდოიჩები ევროპის ყველა მხარეში, რუსულ იმპერიას ამავე ადგილებში ჭირდება რუსი ახალმოსახლეები. ნახევარი საუკუნის წინ კოსოვოს მხარეში გაჩენილი „ბუდეები და საფლავები“ აძლევს საბაზს კიდევ ერთ მინოსს დაბობოს სერბები... (Аннинский, 2000, ст. 10). როგორც ჩანს, ინტერვენციის სქემა მრავალი საუკუნის წინ ისეთივეა, როგორც დღეს. ესეც გარკვეულწილად ისტორიის განმეორებადობის ნიშანია.

ის, თუ რა შედეგები მოჰყვება ქვეყნის ანექსიას, ამას წიგნის შემდეგი ორი ნაწილი მოგვითხრობს. უკვალოდ ქრება ამქვეყნიური ედემის სიმბოლო – დარიაჩანგის ბაღი, ჭაობი ფარავს ოდესღაც ზღვისპირა ქალაქს. აკვნის ოსტატ ბოჩიას „სიცივის, სიმარტოვის, სიბერწის“ განსახიერება გრძნეული კამა ჩაენაცვლება, რომლის ერთი თვალისშეგლებაც საკმარისია ყველაფრის გასახმობად (მერკვილაძე, 1977, გვ. 67). დაბოლოს, დარიაჩანგის ბაღის მზის ნათელს ოყაჯადოს სასახლის ცივი, ჩრდილოური სინათლე ცვლის. თუმცა ავისმომასწავებელი ნიშნები ჯერ კიდევ რომანის I ნაწილში ჩნდება ვანელების თვითკმარი სამყაროს ფონზე როგორც კი პირველი უცხოელი ფეხს შემოადგამს. ვანის ჰარმონიულ ყოფაში პირველ უწესრიგობა-აურზაურს მფრინავი ვერძის გამოჩენა გამოიწვევს, რის შედეგადაც მთელი ქალაქი ცხვარზე ამხედრებული ბავშვებით გაივსება, რომელთაც გაფრენა სწყურიათ.² და როცა ეს უბედურება აღარ დამთავრდა, მამამ შვილს ხელი შემოჰკრა, შემდეგ მოედანზე გამოვიდა და ყველას დაანახა გამხმარი მარჯვენა. ეს პირველი ნიშანი იყო ვანელების ჰარმონიული ყოფის რღვევისა, ნიშანი, რომელიც ყველამ დაინახა. მაგრამ იყო მეორე, კიდევ უფრო სერიოზული გაფრთხილება, რომელიც მხოლოდ მეთევზე ბედიამ შეამჩნია. ფრიქსეს ჩამოსვლისთანავე მანძილი ზღვასა და ნავების სადგომს შორის დაგრძელდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ზღვამ უკან დაიხია. ბედიამ ეს მანძილი თოკით გადაზომა და თოკი კისერზე ჩამოიკვია, რათა საჭირობის შემთხვევაში მანძილი ისევ გაეზომა. მაგრამ ვანისდა საბედის-

¹ მედეას სახის ჭილაძისეული ინტერპრეტაცია ცალკე შესწავლის საგანია და, ბუნებრივია, ამ საკითხს აქ ვერ შევხებით. არგონავტების მითის ქართულ კულტურაში ინტერპრეტაციის კონტექსტში ჭილაძისეული მედეას სახე ჩვენ განხილული გვაქვს რამდენიმე წერილში, მათ შორის Nadareishvili, 2007.

² ქალაქი ნაომარ ქალაქს დაემსგავსა, წერს ავტორი, ღობე-ყორები მოირღვა, ბავშვები ერთიანად დაიჩქქვენ, დამით კომპარები ესიზმრებოდათ. მშობლებმა შვილები დააბეს, მაგრამ ისინი კბილებით ღრღინდნენ თოკებს და გარბოდნენ (ჭილაძე, 1973, გვ. 22-23).

წეროდ, მას არავინ უჯერებდა, მხოლოდ დაცინვა მიიღო კისერზე თოკის გამუდმებული ტარების გამო. დასცინოდნენ, რადგან ვერავინ გრძნობდა მომავალ უბედურებას, რომელსაც ზღვის უკან დახევა მოასწავებდა. ზღვა კი აგრძელებდა უკან დახევას... მართლაც, საოცარი სიმბოლოა. ზოგი მასში ტერიტორიების მომავალ დაკარგვას ხედავს (Childs, 2000, p. 404). ასევე შეიძლება ერის მთლიანობის, მისი ბაზისური ეროვნული ღირებულებების განადგურება დავინახოთ, რომელსაც ჯერჯერობით ვერავინ ამჩნევდა, შეიძლება კიდევ უფრო მძაფრი რამაც.

იასონის ჩამოსვლის შემდეგ ფიქრის ჭაში ჩადირული აიეტი არა მარტო განჭვრეტს მომავალ კატასტროფას, არამედ ეძებს ამის მიზეზებს ქართულ ცნობიერებასა და ღირებულებებში, გამწარებული ეძიებს თავის შეცდომებს, შეცდომებს ქვეყნის მესაჭისა. მავედრებლის შეფარება, სტუმარმასპინძლობის ტრადიციების დაცვა ხომ არ იყო მისი შეცდომა, ფიქრობს იგი, ხიზანს, ლტოლვილს ხომ ჩვევად აქვს გულკეთილობისა და ნდობის ბოროტად გადახდა (ჭილაძე, 1973, გვ. 175). თუმცა მას სხვანაირად არ შეეძლო, ყველაფერზე წინ მუდამ უმაღლეს ღირებულებებს რადგან აყენებდა. იქნებ თავიდათავი კაცთმოყვარეობაზე მისი გაუთავებელი ქადაგება იყო. ასეთი „იქნებ“ კიდევ არაერთია. ფაქტია, აიეტი მარცხდება და რაც ყველაზე მტკივნეულია ამ მარცხს მისიანების ღალატით განაპირობებს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ არაერთი ეროვნული და ზენაციონალური დისკურსის მიუხედავად, რომლებსაც ო. ჭილაძე ამ რომანში წარმოგვიდგენს, მთავარი ნარატიული ხაზი საქართველოს ანექსიის გეგმის ეტაპობრივი განხორციელება და იმ დამლუპველი შედეგების წარმოდგენაა, რომლებიც ანექსიას ერისა და მისი ღირებულებებისთვის მოაქვს. ეს რომანი ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითი გახლავთ იმისა, თუ როგორ მოახერხა უმკაცრესი საბჭოთა ცენზურის პირობებში ოთარ ჭილაძემ წარმოედგინა, ერთი მხრივ, ეროვნულ ცნობიერებაზე ანექსიის შედეგები, ხოლო, მეორე მხრივ, დაეხატა ის გაკვეთილები, რომლებიც დაპყრობილი ნაციისთვის უკეთესი მომავლის მისაღწევად იყო სასწავლი.

ბიბლიოგრაფია:

- თვარაძე, რ. (1973). მარადიული გზა ცხოვრებისა, კრიტიკა, 5, 25-47, თბილისი: „მერანი“.
- კვაჭანტირაძე, მ. (1999). ოთარ ჭილაძის მხატვრული სისტემის სემიოლოგიური ასპექტები, თბილისი.
- მერკვილაძე, გ. (1977). თანამედროვე რომანის მოძრაობა, კრიტიკა, 2, 54-76, თბილისი: „მერანი“.
- რატიანი, ნ. (2010). მითომანტია ოთარ ჭილაძის რომანში „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“, კრიტიკა, 5, 77-85, თბილისი: „ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა“, ISSN 1987-7102
- ცანავა, რ. (2010). მითით, ზღაპრით და რეალობით მოქარგული ტილო (ოთარ ჭილაძის „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“), კრიტიკა, 5, 131-141, თბილისი: „ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა“, ISSN 1987-7102.
- ჭილაძე, ო. (1973). გზაზე ერთი კაცი მიდიოდა, თბილისი: მერანი.
- Nadareishvili, K. (2007). Medea in the Context of Modern Georgian Culture, Phasis. Greek and Roman Studies, 10(2), 222-229.
- Аннинский, Л. (2000). Дорога и Обрыв, предисловие к книге О. Чиладзе “Шел по Дороге Человек”, пер. с груз. Э. Ананишвили, 5-18, СПб.: Азбука. ISBN 5-267-00331-X
- Беставашвили, А. (1973) Таким будет мир. Отар Чиладзе «Шел человек по дороге», Дружба народов, 12, 269-272.
- Нуйкин, А. (1980). *Взлеты и просчеты*, Литературное обозрение, 2, 45-51.

References:

- Anninskii, L. (2000). Doroga I Obriv, [The Road and the Precipice], Predislovie K Knige O. Chiladze "Shel po Doroge Chelovek" ("A Man Walked Down the Road"), Per. S Gruz. E. Ananiashvili, 5-18, Sankt Peterburg: Azbuka. ISBN 5-267-00331-X
- Bestavashvili, A. (1973). Takim budet mir, [The World Will Be Like This], Druzhba narodov, 12, 269-272.
- Chiladze, O. (1973). Gzaze Erti Katsi Miododa, [A Man Was Going down the Road], Tbilisi: Merani.
- Childs, M. (2012). Classical Allusions and Imperial Desire: Problems of identity in Georgian and Russian Literature, PHD Thesis. University of Washington.
- Kvachantiradze, M. (1999). Otari Chiladzis Mkhatvruli Sistemis Semiologiuri Aspektebi, [The Semiological Aspects of the Artistic System of Otari Chiladze], Tbilisi.
- Merkviladze, G. (1973). Tanamedrove Romanis Modzraoba, [The Development of Modern Roman], Kritika, 2, 54-76, Tbilisi: Merani.
- Nadareishvili, K. (2007). Medea in the Context of Modern Georgian Culture, Phasis. Greek and Roman Studies, 10(2), 222-229.
- Nuikin, A. (1980). Vzleti i proshcheta, [Flights and Errors], Literaturnoe obozrenie, 2, 45-51.
- Ratiani, N. (2020). Mitomantia Otari Chiladzis Romanshi "Gzaze Erti Katsi Miododa", [Mythomancy in "A Man Was Going down the Road" by Otari Chiladze], Kritika, 5, 77-85, Tbilisi: „Literaturis Institutis Gamomtsemloba“, ISSN 1987-7102.
- Tsanava, R. (2010). Mitit, Zghaprit Da Realobit Mokarguli Tilo (Otari Chiladzis „Gzaze Erti Katsi Miododa“), [Canvas Embroidered by Myth, Fairytale and Reality ("A Man Was Going down the Road" by Otari Chiladze)], Kritika, 5, 131-141, Tbilisi: Tbilisi: „Literaturis Institutis Gamomtsemloba“, ISSN 1987-7102.
- Tvaradze, R. (1973). Maradiuli Gza Tskhovrebisa, [Eternal Way of Life], Kritika, 5, 25-47, Tbilisi: Merani.

Lia Tsereteli

ლია წერეთელი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

Georgia and Globalization in Otar Chkheidze's Novel "Submissive"

საქართველო და გლობალიზაცია ოთარ ჩხეიძის რომანში „მორჩილი“

In "Submissive," Otar Chkheidze meticulously chronicles the era of Shevardnadze's presidency, capturing the turbulence surrounding his resignation and the fervor of the Rose Revolution. Chkheidze's narrative approach blends artistic and documentary elements, using parliamentary sessions, politicians' speeches, television programs, and newspaper publications, along with the slogans of "Kmara" and the protests of pensioners. This method lends an authentic texture to the depiction of the period's political and social upheavals. Chkheidze's historical lens shifts dynamically throughout the novel, presenting multiple eras where historical figures spring vividly from the pages. Though Georgian names and surnames may change, the portrayal of the enemy and Georgian behaviors remain strikingly consistent.

Keywords: "Submissive", businessman, politician, parliamentarian

საკვანძო სიტყვები: „მორჩილი“, ბიზნესმენი, პოლიტიკოსი, პარლამენტარი

ოთარ ჩხეიძის რომანში შევარდნაძის პრეზიდენტობის დრო, მისი „გადადგომის“ ვითარება, 'ვარდების რევოლუცია' იხატება. მწერალი აგრძელებს „არტისტული გადატრიალების“ მხატვრულ-დოკუმენტური აღწერის პრინციპს. თხრობაში რთავს პარლამენტის სხდომებს, პოლიტიკოსების გამოსვლებს, სატელევიზიო გადაცემებსა თუ საგაზეთო პუბლიკაციებს, „კმარას“ ლოზუნგებსა და პენსიონერთა მანიფესტაციებს. რომანის „2001 წელი“ განხილვისას აღვნიშნეთ, რომ ოთარ ჩხეიძის რომანებს 1991 წლის სახელმწიფოებრივი გადატრიალების შემდგომ დიდწილად დოკუმენტური პროზა განსაზღვრავს, რაც გულისხმობს მწერლის ახლებურ მანერას-თხრობაში ჩართოს რეალობა იმ სახით, როგორც ის ნამდვილად წარმოსდგა და ელვისებურად შეცვლილი ვითარება, უსწრაფესად განხორციელებული პოლიტიკური, ეკონომიკური და საზოგადოებრივი ძალადობა, აუტანელი ყოფითი პრობლემები, სრულიად მოუძაადებელი ადამიანების გაოგნება და გასაჭირი შეულამაზებლად აღწეროს, ამასთან ამ პროცესებში ჩართული პიროვნებები თავისი სახელებითა და გვარებით, დაუფარავად წარმოჩინდნენ პარლამენტის ტრიბუნლიდან წარმოთქმული სიტყვებითა და ქმედებებით. მწერალი ყოველივეს აღწუსხავს და ამ შეულამაზებელ რეალობას, დოკუმენტური წყაროს მნიშვნელობა აქვს. სამომავლოდ ის ამგვარადაც შეფასდება და გაანალიზდება.

პარლამენტის სხდომები და პოლიტიკოსთა გამოსვლები, მათი ცხარე დაპირისპირებები და შევარდნაძის პრეზიდენტის პოსტზე ერთგვარი ანგარიშ-ვალდებულებები, მის წინაშე თავის

გამოჩენა, ერთგულება, რომელიც საბჭოთა პერიოდიდან გადმოჰყვათ და ახლა გაფაციცებით აგრძელებენ, მწერლისთვის სცენად, თამაშად არის აღქმული და მკითხველსაც ამგვარად წარმოუდგება. თამაში გულისხმობს ადამიანების, პოლიტიკოსების მდგომარეობას, როდესაც არავინ არის და არც შეიძლება იყოს თავისუფალი...ყველა ერთ სცენარშია ჩართული და სცენარი კი იწერება კვლავ რუსეთში. პიროვნული სახე ჩანს მხოლოდ სუფრაზე, რომელსაც ქართული აღარაფერი შერჩენია და შფოთსა და აყალ-მაყალში, როცა სახე ყველას აქვს დაკარგული. მწერლისეული აღქმა დაუნდობლად ამხელს:

„არ უყვარდა ჯამბაკურსა ხვევნა, კოცნა და მტლამამტლუში...დაჩვეულიყვნენ რო ისე, ისე, ისე, რჯულად რომ გადაჰქცეოდათ. გადაჰკოცნოდნენ ათჯერაც ერთიმეორესა. დღეში ათჯერაც რო შეხვედრილიყვნენ...პარლამენტში ხო სჭამდნენ ერთმანეთსა, ხრავდნენ,ღეჭავდნენ, ყლაპავდნენ, ანთხევდნენ, კოცნით იქაც იკოცნებოდნენ, ვიდრე ქვორუმი შეიკრიბებოდა, მერელა ჭამდნენ,მერელა ანთხევდნენ, კბილებსაც ამსხვრევდნენ ერთიმეორესა...“

რეალურ დრო-ჟამს მწერლის ისტორიული რაკურსი ენაცვლება და პარალელურად რომანში სხვადასხვა ეპოქა იხატება. პიროვნებები წარსულის ფურცლებიდან ცოცხლდებიან. მწერალი ხატავს საბარათიანოს სამოსახლოს ორ დროში პარალელურად. ჯამბაკური, რომელსაც ამ გვარის წინაპართა სახელი ჰქვია თავის შვილებს არქმევს ტატოს-ნიკოლოზ ბარათაშვილის გვარ სახელს რომ იმეორებს და მაიკოს,როგორც პოეტის საუკეთესო მეგობრის-მაიკო ორბელიანის ხსოვნად. მწერალი თხრობაში რთავს მეცხრამეტე საუკუნის რეალობას, თავადაზნაურობის დაბნეიულობასა და საიმპერატორო ზრახვათაგან განადგურებულ ოჯახებს, მათ შორის მაიკო ორბელიანის ბედისწერას ათვალსაჩინოებს, როგორც იმდროინდელი სათავადაზნაურო ყოფის რეალურ სახეს, რომელსაც ამ ქალის ხვედრში ჰვრეტს და მკითხველსაც აგრძნობინებს. ჯამბაკურის და-როდამი და მისი ბედისწერა ამგვარადვე ათვალსაჩინოებს ამ საუკუნეში მცხოვრები ქალის ბედს, რომელიც კიდევ უფრო მწარეა მაიკო ორბელიანის ხვედრზე, რადგან ის ქართველი ზნედაცემული მამაკაცების მსხვერპლი ხდება-გაუპატიურება ყველა დროში ქალის ბედისწერასა და რეალობის სრული სურათია. ტატო თითქოს ჩამოჰგავს წინაპარ პოეტს, ამაღლებული სულისკვეთება და სუფთა ბუნება აქვს, მაგრამ პარტია, რომელსაც ის ირჩევს-ნაციონალების პროგრამა და მათი შემართება ვერ პასუხობს ეროვნულ-პოლიტიკურ და ადამიანურ რეალობას იმგვარად, რომელიც ამ უძველეს გვარსა და ოჯახს აღორძინებასა და განვითარებაში დაეხმარება. ტატო გარიყული რჩება მათგან.

მაიკო თანამედროვე ქალია-თამამი, ჭკვიანი, მახვილგონიერებით გამორჩეული. დაჰქრის თბილისიდან მამისეულ კარ-მიდამოშიცდილობს სკოლაში კარგად ისწავლებოდეს ქართული, მაგრამ ყველა ის წინააღმდეგობა, რომელიც მას ხვდება სკოლაში, საზოგადოებრივ ასპარეზზე, ოჯახსა თუ თავყვანისმცემლებში კარგად წარმოაჩენს ქართული ყოფის სირთულეს, ოჯახის რღვევასა და ქალის როლის სრულ გაუსაძლისობას, რის გამოც რომანის ბოლოს ოფელიასავით „წადი მონასტერში“ ერთადერთ გამოსავლად რჩება მისთვის.

ყველაზე რთული ჯამბაკურის ყოფაა.მან აფხაზეთის ომში ფეხი დაკარგა და მაინც „დადგა“ ფეხზე, დიდი შემართებით ააღორძინა წინაპართა მამული, ციხიდან გამოიყვანა ახალგაზრდა ვაჟები და დაასაქმა, გაიყვანა გზა და ყველა პირობა შეუქმნა მცხოვრებთ შრომისადა უკეთესი ხვალისდელი დღისათვის,ააშენა ტაძარი და ყოველმხრივ განავითარა ეს მხარე-ქართლის უძველესი მიწა, რომლის დახასიათებასაც ვახუშტი ბატონიშვილის თხრობით იწყებს მწერალი, როგორი უხვმოსავლიანია მიწა, რა ჯიშის ხეები და მცენარეები ხარობს და ა.შ. ჯამბაკურის მცდელობის პასუხად უცვლელად მეორდება მის ბედისწერაში წინაპართა ხვედრი, თითქოს განგება ამ მიწაზე შეუცვლელია, თითქოს წრებრუნვა უცვლელია თაობათა შორის. მწერალი ამ უწყვეტობას, რუსეთის მონობის ასწლეულებში ერთსახოვან „განწირულ სულისკვეთებას“ ხატავს. ის,რაც ბარათაშვილის დროს განსაზღვრავდა ქართველთა ბედისწერის გარდუვალობას, დღესაც უცვლელად მეორდება. ჯამბაკური თავად აცნობიერებს, საუბრობს და შეაგონებს ყველას. მწერალი მკითხველს ჯამბაკურის საუბრებითა და მისი ოჯახის წევრთა ბედისწერით ხატავს რეალობას. ქართულ მწერ-

ლობაში ამ მხრივ ოთარ ჩხეიძის რომანები გამორჩეულია სწორედ რეალობის მრავალგანზომიანი ხედვით. ესა თუ ის მოვლენა თავისი ალოგიკურობითა და აუხსნელობით სწორედ მწერლის დრო-თა და თაობათა ჭრილში დანახული ამ უცვლელი კოდის საშუალებით ხსნის. მკითხველი სწვდება პიროვნების ბედისწერის სიღრმისეულ შრეებს. წარსული და წინაპართა ბედი ისევე მოქმედებს მათზე, როგორც თანადროული რეალობა. ჯამბაკურის ცდის მიუხედავად უცვლელია საბარათი-ანოს ხვედრი: მომძის ღალატი, შემოსახლებულ უცხოტომელთა ვერაგობა, შური თანამომძეთა... ამის კვალად ბანკის სესხი, ცეცხლს მიცემული ახალშენები, თავდასხმა და შეურაცხყოფილი ოჯახის ქალი... უცხოელი ინვესტორის თანადგომა და თანამომძეთათვის სიკეთე ჯამბაკურს ბოროტად უბრუნდება, სწორედ ისე, როგორც მოექცნენ მის წინაპრებს საუკუნის დასაწყისში, თითქოს არც არაფერი შეცვლილა ბოლშევიკურ-კომუნისტური ყოფის შემდგომ...

მწერლის მიერ რამდენიმე დროის ერთდროულად ხატვა მკითხველს ნათლად წარმოუსახავს ადამიანის სახის ერთგვარობას ყველა ეპოქაში. თითქოს არ იცვლება ქართველთა ზნენი-შური, ამპარტავნება, მომძის ღალატი, მახეზღარობა, სხვისი ქონების გაცამტვერების წადილი, ვერაგობა და გაუტანლობა.

პოლიტიკოსთა და პარლამენტართა სახე-ხატებს ზუსტად შეესატყვისება სოფლად მცხოვრები ხალხის სულიერ ხატებას. ან კი როგორ უნდა იყოს უკეთესი, როცა იდეალი და კარგი არ იცის ხალხმა, მაგალითად ჰყავთ სახედაკარგული პოლიტიკოსები და საშოვარზე გამოსული ცნობილი ადამიანები. მწერალი თხრობაში რთავს გურამიშვილის, კლდიაშვილისა და სხვათა სტრიქონებს, ან მოიხსენიებს მათ და ესიტყვება, ალუზიად შემოაქვს თხრობაში თითქოს უცბად გახსენებული, ამ წუთას წამოგონებული მათი მხატვრული სამყაროდან დეტალები, მაგრამ მკითხველი გრძნობს მწერლის წუხილს, თუ როგორ უფრო დამძიმებულია ქართული რეალობა მათი მყოფობის შემდგომ.

ნათელია, მხოლოდ ქართული სახელები და გვარები იცვლება, მტრის ხატი და ქართველთა საქციელი უცვლელია. ჯამბაკური რომანში მწერლის ერთგვარი ალტერ-ეგოა და მისი სიტყვები გლობალიზაციის, დემოკრატიისა და დასავლეთისადმი ქვეყნის კურსის ამგვარ აღქმად წარმოდგება:

„ამ დაშლილ, დანგრეულ, ალუფხულ ქვეყანას კიდევ დანგრევა უნდა? რასა სჩადიხართ, რა ზნეზე დამდგარხართ?!. რანი ვართ? რუსეთი ქილიკობს. როცა ვაბრაზებდით, მაშინ კიდევ რაღაცა გვერქვა. ახლა ქილიკობს, დასავლეთს ნიშნს უგებს: შეჰხედეთ, დასტკბით, ეგერაა პირმშო შვილი თქვენი დემოკრატიისაო. თქვენც მისდგომიხართ და იქ მიეჭრებით მშენებლებსა ამერიკის საელჩოსი. აგერ ნავთსადენს მიეჭრებით-იმედით რომ შეჰყურებს დასავლეთი. მოშალოთ გინდათ, აურიოთ გინდათ თან უსინდისოდ დაგილიათ მშიერი პირი. გიქოთქოთებთ მუცელი მშიერი. საჭმელსასმელს იქიდან ელით, დასავლეთისაგანა. გადარჩენას იქიდან ელით. არც რას იშურებს. იქიდანა სუნთქავთ. იბრუნებთ სულსა და ხალხს აჯანყებთ იმის წინააღმდეგა. რა ჭკუისაგანაა?.. რა ეშმაკს აჰყოლილხართ. რა ფერისასა?.. მოვიშორეთ წითელი ეშმაკი, გვეშველა. როგორც იქნა. რა ფერს უნდა დავემორჩილოთ?!. დამშვიდდით, გონს მოდით, ნულარ დაანგრევთ ძლივს აღდგენილ ხიდსა დასავლეთისაკენა. ნუ გაახარებთ მტერსა ჩვენსა. მძვინვარე რუსეთს ნუ გაახარებთ. თუ იმათი ხართ-გამოტყდით ბარემდა. ხალხი შეგაჩვენებთ. გაგყრიან, გაგანიავენ. თუ დასავლეთი გიჩანთ იმედადა... თვით დასავლეთს რად აღიზიანებთ? ზურგი რომ გვაქციოს არ გემინიათ?... არაო... შესმახებს ყველა ერთად...“

ჯამბაკურის სახე, მონოლითური და ძლიერი, მწერლის რომანთა გალერეაში ასევე უცვლელ „ხატს“ გულისხმობს. იგი „ბორიაციის“ განწირული ოჯახის იტრიელთა ჩამომავალია, მათი სულიერი მემკვიდრე, გაუტეხელი და მკვიდრი. „არტისტული გადატრიალების“ შემდგომ რომანებში იტრიელთა სულიერი მემკვიდრეები აცოცხლებენ საგვარეულო „ხატს“. ისინი არიან და არც არიან ბოლომდე თავისი დროის შვილნი. მათ დიდწილად წინაპართა ხვედრი განუსაღვრავთ ცხოვრებას,

მაგრამ უცვლელად გადააქვთ შთამომავლებში მარად უცვლელი და ხელშეუვლები მემკვიდრეობა. ჯამბაკური ამ თვალსაზრისით ბაადურ რიკოთელის („თეთრი დათვი“) სახე-ხატია. ბიოგრაფიული მსგავსებაც ნათელია – ორივე აფხაზეთიდან დაბრუნდა და დიდი მცდელობის მიუხედავად „ახალ-მოწესეთა“ (ასე ეწოდებოდა რომანებში მედროვე პოლიტიკოსებს, რომლებიც ქართულ მრავალ-საუკუნოვან გენს, მამულიშვილებს ანადგურებენ, როგორც მტერს) სამიზნე აღმოჩნდა. მაგრამ აქ ვლინდება საგვარეულო სიჯიუტე დასახული მიზნის მისაღწევად, ეგებ „მამული წყევა“ როგორმე განქარდეს, მტრობით დანგრეულს ხომ რწმენითა და სიყვარულით უნდა აღდგენა...სწორედ ეს ძალა მოჩანს ბაადურის, ჯამბაკურის ხასიატებში. მათ მწერალი იმედით სრულქმნის და მკითხველსაც განმსჭვალავს ამ განცდით.

ბოლოდროინდელი რომანები უჩვეულო რომანტიული სულისკვეთებითა და სიმბოლურ-ალეგორიული ხატურით გამოირჩევა. რეალური პერსონაჟები სიმბოლურ საზრისს, იდეას განასახიერებენ. რომანის ეპიგრაფი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“: „ და ეცნობა გზაიცა მისვლად, რამეთუ მის ჟამისა კაცთაგან მიუვალ იყო ადგილი იგი და მირაივიდეს... ფრიად უხაროდა პოვნაი დიდებულისა მის ადგილისაი, რამეთუ იყო მას შინა ნუგემის საცემელი სულიერი და ხორციელი“. აგიოგრაფიულ თხრობაში საუბარია საბა ოშხნელისა და გრიგოლ ხანძთელის მიერ იშხნის ხილვაზე... გზა უფლისგან ემცნოთ და განახლებული მონასტერიც ცხადად წარმოუდგათ. ცხადია, რომ მწერალი ჯამბაკურის მიერ მამულის ახლად აღორძინებასა და მკვიდრობას გულისხმობს. თხრობას განსაზღვრავს სულიერ-სარწმუნოებრივი საზრისი. „მის ჟამის კაცთაგან“ ჯამბაკურს დიდი წინააღმდეგობა ხვდება, მაგრამ მადლიც მფარველობს. სახელწოდება „მორჩილი“ ასევე საღვთისმეტყველო შინაარსს იტევს, მაგრამ ეს არ არის მორჩილება კაცთა წინაშე, საწუთისოფლო არსით, ამ მხრივ იგი წინაპართა მსგავსად დაუმორჩილებელია. სათაურის საზრისი გულისხმობს ღვთის მორჩილებას, მისი განგებულებისადმი ქედმოდრეკას. სხვა პერსონაჟების გზაც მონასტრისკენ მიემართება და ეს მათი არჩევანია. თითქოს სხვა საწუთისოფლო გზა არც რჩებათ ბნელით მოსილ წუთისოფელში, რომელსაც მწერალი მკვეთრად და შეულამაზებლად წარმოსახავს.

არტიკული გადატრიალებანი და რევოლუციური სულისკვეთება მტრის სცენარს და ქართველთა როლებს წარმოსახავს. მწერლისეული ხედვით გლობალიზაციის შემოჭრა საქართველოში და დიდი სახელმწიფოების ინტერესები გადაშლილია ახალ სარკედ, რომელშიც ძველი ნიღბები, ანუ ქართველთა თამაში ცხადად ისახება. ოთარ ჩხეიძის რომანების ციკლს ბოლშევიკების დროიდან ქართული საგვარეულოების განადგურების, იავარქმნის მძაფრი აღწერის კვალად გამორჩეული პიროვნების მიერ სამკვიდროს აღორძინების დიდი სურვილი გასდევს. ტრაგიკულია რეალობისა და პიროვნების შეჯახება. „მორჩილი“ ხატავს საბარათიანოში დიდი წინაპრის ფუძეზე დამკვიდრებულ არჯევანს. მეურნეობის აღორძინება და ციხე-კოშკების, ტაძრების აღდგენა დიდ ძალისხმევას გულისხმობს, მაგრამ მტერს არ სძინავს და ის კვლავ ანადგურებს, კლავს და შეურაცხყოფს მამულიშვილურ ღვაწლს. ვიწროპარტიული დაპირისპირებები და ურთიერთშუღლი მწერლის თვალსაწიერში მტრის ხელით იმართება და ყველა დროში უცვლელია. გლობალიზაციის ჟამი მწერლის ხედვით საქართველოში შემოდის „ცელით“. იგი დაუნდობლად ანადგურებს ყოველივე ქართულსა და ეროვნულს. უცხო ეროვნების შემოდინებას, მათი უფლებებისა და ინტერესების დაცვაც სწორედ ქართველთა გადათელვასა და შევიწროვებას გულისხმობს ყველა დროში. თანამედროვე ტატული ბარათაშვილი და მაიკო ორბელიანის მოსახელე ასული არა ჰგვანან თავის რომანტიული ეპოქის წინაპრებს, მაგრამ გლობალიზაციის ეპოქაში იმგვარადვე ისჯებიან, როგორც იმპერიული ეპოქის ჟამს. მწერლის ხედვა და აღქმა რეალობისა მძაფრია და მკითხველს თვალწინ გადაუშლის იმპერიათა და სახელმწიფოთა „თამაშის“ არსს, მაგრამ რომანი იმედით, თავისუფლების წყურვილით არის განმსჭვალული.

Tinatin Tvaltchrelidze

თინათინ თვალჭრელიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დოქტორანტი

Activation of Taboo Topics in Jemal Karchkhadze's Creativity

ტაბუდადებული თემების აქტივიზაცია ჯემალ ქარჩხაძის შემოქმედებაში

In the totalitarian space, the killing of the moral law is highly relevant. Rather than the post-Soviet trauma narrative, Jemal Karchkhadze's work is interesting in the direction of tabooing and de-tabooing moral issues, in order to present epochally correct artistic-aesthetic values (Karchkhadze's journalism, *The Tenant*, *Jupiter's Regret*, *Antonio and David*, etc.) While moral values are taboo, Jemal Karchkhadze made the issue of morality the main problem of his literary works; he wrote: "I am a moralist by nature and nothing can be done about it." Two types of conjuncture of the era spread during this period: "urapatriotic" and international.

Keywords: Cultural narratives, national identity, taboo, totalitarizm

საკვანძო სიტყვები: კულტურული ნარატივები, ეროვნული იდენტობა, ტაბუ, ტოტალიტარიზმი

ჯემალ ქარჩხაძის შემოქმედების კვლევის ამოცანაა საბჭოური იდეოლოგიის ფონზე შესწავლა იმ ნაციონალური ნარატივისა, როცა ყალიბდებოდა პიროვნება, ერი ამ არეალისგან გამოცალკევებით. ამ ნიადაგზე ნაციონალური ნარატივის კულტურის ესთეტიკაც ჩამოყალიბდა. ნაციონალური ნარატივის კულტურა პასუხობდა, განსაზღვრავდა და აყალიბებდა საერთო ესთეტიკურ მოთხოვნებს. გარკვეულ პერიოდში პიროვნებისათვის მკვეთრად იცვლებოდა ზღვარი ორ კულტურას, ორ იდეოლოგიას შორის და პიროვნებას ეძლეოდა ცოდნა იმის შესახებ, თუ რომელი ღირებულებები იყო ჭეშმარიტი და რომელ სივრცესთან უნდა მოეხდინა თვითიდენტიფიკაცია. ამ შემთხვევაში პიროვნებისათვის თვითგანსაზღვრის პროცესი უპირობოდ გულისხმობდა საბჭოთა არეალისგან გამოცალკევებას და საკუთარ ერთან, როგორც „კოლექტიურ მე-სთან“ გაიგივებას. საქართველოში ეს იყო პირველი და აუცილებელი ეტაპი, რომლის მიღმა დარჩენილი პიროვნება, ფაქტობრივად, შეიძლებოდა განხილულიყო, როგორც საბჭოური იდეოლოგიის მსხვერპლი, რომელმაც ვერ შეძლო თვითგანვითარება და გამოიჯენა ოფიციალური, პოლიტიკური რეჟიმის მიერ მისთვის წინასწარ განაზღვრული სივრცისგან. ტრავმირებული საზოგადოების ფორმირების მიზეზები ქარჩხაძის შემოქმედებაში კარგად იკვეთება.

„მიზანი მაცთურია, ბატონებო. სანამ მიაღწევთ თქვენი გგონიათ; როცა მიაღწევთ, მაშინღა მიხვდებით, რომ სხვისი ყოფილა“ (ქარჩხაძე, 2016, გვ. 5), – ასე იწყება ჯემალ ქარჩხაძის რომანი „მდგმური“, მწერლისა, რომელმაც საკუთარი შემოქმედებით ზნეობრივი ორიენტირის როლი შეასრულა 70-80-იან წლების საზოგადოებაში. ეს პერიოდი კონფორმისტულ ხანად უნდა ჩაითვალოს საბჭოთა საქართველოს ისტორიაში. ჩამოყალიბდა ორგვარი კონიუნქტურა: ნაციონალური (ურა-პატრიოტული) და ინტერნაციონალური (საბჭოთა იდეოლოგიის შესაფერისი). ჯემალ ქარჩხაძე არცერთს არ იზიარებდა, მწერალმა ამ კონფორმისტულ გარემოში ილიასეული მართლის თქმის

სტილით ფარდა ახადა ტაბუდადებულ თემებს: ღირსებას, ჯანსაღ პატრიოტიზმს, ზნეობას, თავისუფლებას.

ნაცვლად სახელმწიფოსა და კულტურის იმგვარი მიმართებისა, როცა სახელმწიფო უზრუნველყოფს კულტურის განვითარებას, ამ საუკუნეებში მიმართება უკუქმედითი იყო და კულტურული აქტივობის ძალით ნარჩუნდებოდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის პერსპექტივა, ვიდრე პოსტკოლონიურ რეალობამდე ლიტერატურულმა სივრცემ იკისრა ერის ზნეობრივი აღზრდის ფუნქცია, მორალისტობა. ქარჩხაძემ საზოგადოების სამომავლო პოსტკოლონიური ტრავმირების მიზეზები განსაზღვრა და შეფარვით დაიწყო ტაბუირებული თემების რეპრეზენტირება. საზოგადოების დემორალიზაციის ფაქტორები პოსტსაბჭოთა სივრცეში 70-80-იანი წლების სტაგნაციით აიხსნება. ამ ლიტერატურული ხაზის შესწავლა უმთავრესია ქარჩხაძის შემოქმედებაში. ჯემალ ქარჩხაძის პირველი მოთხრობა „აბზიანიძეების ოჯახი“ 1962 წელს გამოქვეყნდა. მწერლის პუბლიკაციებმა საზოგადოების დიდი მოწონება, ხოლო საბჭოური იდეოლოგიის მქონე კრიტიკოსთა მხრიდან მკაცრი შეფასებები დაიმსახურა. მიუხედავად ამისა, ჯემალ ქარჩხაძეს წერა არ შეუწყვეტია და ნაწარმოებებსაც რეგულარულად აქვეყნებდა. 1977 წელს გამოიცა თხზულება „იგი“. ამ მოთხრობას მოჰყვა უმნიშვნელოვანესი რომანები „მდგმური“ (1979), „ქარავანი“ (1984), „ანტონიო და დავითი“ (1984), „ზებულონი“ (1988), „იუპიტერის სინანული“ (1994), „განზომილება“ (1999–2001). მიუხედავად იმისა, რომ „მწერლობის მოთვინიერება“ გრძელდებოდა, ამ პერიოდის ქართული მწერლობის ალტერნატიული ახალი ძალა მაინც ადარ იზიარებდა ქართველ მოდერნისტთა განწირული თაობის ტრაგიკულ ბედს (რატიანი, 2018, გვ. 187).

საბჭოთა სინამდვილემ ქართულ მხატვრულ ლიტერატურას ერთპლანიანობა დაუკანონა, სათქმელი აშკარა უნდა ყოფილიყო. ეს პრინციპი წარმატებით მუშაობდა არა მხოლოდ ავტორებზე, არამედ მკითხველზეც. თუმცა ჯემალ ქარჩხაძე იყო ანტისაბჭოთა ხელოვანი თავისი შინაგანი ბუნებითა თუ ზნეობრივი სიფაქიზით. ის მიიჩნევდა, რომ როგორც პიროვნება, ისე ერი უნდა აღიზარდოს მორალურად: *„იდეალური ხასიათით არავინ იბადება, არც პიროვნება და არც ერი. ამიტომ ერიც ისევე უნდა ცდილობდეს ხასიათის აღზრდას, როგორც პიროვნება. ამისთვის კი აუცილებელია ამ ხასიათის გაცნობიერება“* (ქარჩხაძე, 2014, გვ. 58). ერის თავისუფლების იდეა ზნეობრივად მოაზროვნე სოციუმის არსებობის საფუძველზე ხორციელდება (ბერიაშვილი, 2018, გვ. 43). წინააღმდეგ შემთხვევაში სასურველი დემოკრატია ინდივიდზე მასების ბატონობის შესაძლებლობას გააჩენს. ჯემალ ქარჩხაძე უკომპრომისო მამხილებელია „საკუთარ სინდისთნ გარიგებულ“ ადამიანთა მიერ შექმნილ შემგუებლურ გარემოში. იკვეთება თემა „საშიში სამყაროს ჰიპერტროფირებული მოდელის წიაღში გამომწყვდეული უარყოფილი ინდივიდისა, რომელიც ეძებს ხსნას“ (რატიანი, 2018, გვ. 147). გადარჩენის შესაძლებლობა წარმოადგენს არა მხოლოდ იმედს, არამედ მოთხოვნილებას, გარდაუვალ აუცილებლობასაც კი, რომელიც აიძულებს ადამიანს, ჩაუღრმავდეს საკუთარ არსებობას და ფასეული საზღვრის, ამბივალენტური ლიმინალური ზონისა და ურთულესი, მტკივნეული ტრანსფორმაციების მიღმა გამოიმუშაოს სხვა, ალტერნატიული რეალობა.

საბჭოურ პირობებშიც 70-80-იანი წლების საქართველოში მიმდინარეობდა კულტურული იდენტობის საფუძველზე ეროვნული იდენტობის საზღვრების მონიშვნა, ერის კოლექტიური მეხსიერების განმტკიცება, კოლექტიური თვითიდენტიფიკაცია. ამ ნიადაგზე ნაციონალური ნარატივის კულტურის ესთეტიკაც ჩამოყალიბდა, როგორც მასობრივი ესთეტიკა (წიფურია, 2016, გვ. 81). ამ თვალსაზრისით ჯემალ ქარჩხაძის წვლილი ქართულ ლიტერატურაში მნიშვნელოვანია.

ჯემალ ქარჩხაძის ლიტერატურული სამყაროს შესახებ რამდენიმე მეცნიერის მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვანი კრიტიკული მიმოხილვა არსებობს. მათ შორის, ლ. ბრეგაძის, ი. მილორავას, თ. ვასაძის, მ. ჯალიაშვილის, შ. აფრიდონიძის, ზ. კიკვიძისა, ბ. დურგლიშვილის, მ. მენთემაშვილის და სხვათა ნაშრომები. ქარჩხაძის შემოქმედება უმეტესად ფრაგმენტულად არის შესწავლილი. გვხვდება მისი ტექსტების ბიბლიური კონცეპტებითა და ისტორიზმის პრინციპით

კვლევა. ასევე საინტერესოა იგავის მხატვრული ტრანსფორმაციის ძიება ქარჩხაძის შემოქმედებაში, როგორც მიკროსქემისა. მწერლის ფილოსოფიურ-ესთეტიკური ხედვის განხილვისას კრიტიკოსთა მიერ მეტადაა მოხმობილი ბიბლიური ასპექტები. ჩვენი კვლევის მიზანი კი ჰერმენევტიკული საინტერპრეტაციო მოდელით ტექსტების შინაგანი და გარეგანი ლოგოსის ძიებაა, ფილოსოფიურ-ეგზისტენციალური წაკითხვით მხატვრული ტექსტის, ამ ეტაპზე ემპირიულ მასალას წარმოადგენს რომანი „მდგმური“, პირველსაზრისის წვდომა.

რომანი „მდგმური“ უნდა მივაკუთვნოთ მაგიურ რეალიზმს, რაც აბსოლუტურად მიუღებელი იყოს საბჭოთა კომუნისტური იდეოლოგიისთვის. 70-იანი წლების შემგუებლურ პოზიციას ჯემალ ქარჩხაძემ დაუპირისპირა ტაბუდადებული თემების გამოღვიძება. ეს არის ტექსტი არა მკითხველის გარშემო არსებული რეალობის წასაკითხად, არამედ თავად მკითხველის შინაგანი სამყაროს გასაგებად. ასე უბიძგებს მწერალი მკითხველს, რომ ჩაუღრმავდეს საკუთარ თავს და იფიქროს ზნეობრივ არჩევანზე. რომან „მდგმურში“ გვხვდება **სამმაგი კრიზისის** მახასიათებლები: შემეცნების, სუბიექტურობისა და ენის კრიზისი. მდგმურს უჭირს არსებულ რეალობასთან რაციონალური თანაარსებობა. რომანის პირველივე თავია „მეტამორფოზა“. გმირის ანთროპოლოგიურ არსში დომინირებს არაცნობიერი ფსიქიკა („**მრავლობითობა**“, **ნიცშე**). გმირი ხან სიზმრით, ხან ოცნებით, ზოგჯერ წარმოსახვით ინაცვლებს სხვა სამყაროში, მაგალითად, ნილოსის სანაპიროზე. საინტერესოა **ენა**, რომელიც არასოდროს არის თვითკმარი მოცემულობა, პერსონაჟის ორგანული აღწერისთვის დამახასიათებელია შინაგანი მონოლოგი და განცდილი მეტყველება. „*სიტყვა სახიფათო იარაღია; შეუძლია ავი ოინი გვიყოს. სიტყვა აზრის თარგმანია, თარგმანი კი ტლანქად ნათქვამი ორიგინალია*“ (ქარჩხაძე, 2008, გვ. 284).

XX საუკუნის 70-80-იანი წლები საზოგადოებისთვის კონფორმისტულ პერიოდად უნდა ჩაითვალოს, ამ პერიოდში კომუნისტური იდეები არააქტუალური იყო, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავდა პლურალიზმისა და დემოკრატიის ნიშნების გაჩენას. ტოტალიტარულ სივრცეში აქტუალური სწორედ ზნეობრივი კანონის ჩაკვლაა. ვიდრე პოსტსაბჭოთა ტრავმულ ნარატივამდე საინტერესოა ჯემალ ქარჩხაძის შემოქმედება ზნეობრივი საკითხების ტაბუირებისა და დეტაბუირების მიმართულებით, რათა ეპოქალურად სწორი მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულებები წარმოჩნდეს. ქარჩხაძის რომანის უმთავრესი მახასიათებელი იგავურობაა, პარაბოლური არსი. ქარჩხაძესთან ტრადიციულ საყოფაცხოვრებო გარემოში იჭრება ფანტასტიკისა და ირიალურობის დისკურსი, როგორც გამოვლინება ეგზისტენციალური გაუცხოებისა. „*ადამიანის ამოცანა არის სამყაროსა და საკუთარი თავის შეცნობა. ყოველი ადამიანი რომელიღაც ზეგარდმო აუცილებლობით თავისი შესაძლებლობის კვალობაზე ამ ამოცანის ამოხსნას ცდილობს*“ (ქარჩხაძე, 2008, გვ. 210). მწერლის პროზა ტოტალიტარიზმის ეპოქაში პროტესტს სწორედ სახარებისეული იგავური კონტექსტების მეშვეობით გამოხატავს. აზროვნების ამგვარ იგავურობას, გარკვეული აზრით, ტოტალიტარულმა მმართველობამაც შეუწყო ხელი; სახარებისეული იგავები ჯემალ ქარჩხაძემ XX საუკუნის ქართულ ყოფას შეუსაბამა. იგავი ხშირად მეტყველებს მეტაფორულ ენაზე, რომელიც საშუალებას აძლევს ადამიანს, უფრო ადვილად განიხილოს რთული და კომპლექსური იდეები. მას შეუძლია გამოხატოს აბსტრაქტული არგუმენტის გამოყენებით კონკრეტული ნარატივი, რომელიც უფრო მარტივი და ადვილად გასაგებია (დურგლიშვილი, 2018, გვ. 55)

ერნსტ კასირერის აზრით, სულიერი კულტურის ნებისმიერი სახე სხვა არაფერია, თუ არა ნიშნები, კოდები. კონკრეტულ იტორიულ-კულტურული ეპოქის მოთხოვნილებათა შესაბამისად, კულტურა არა მხოლოდ ხსნის კოდს, არამედ უკვე გახსნილის ხელახალ დამიფვრას, გასაიდუმლოებას მიმართავს მისი შენახვის მიზნით. სწორედ ამის მაგალითია მითი, იგავი, კლოდ ლევი სტროსის განსაზღვრებით – „ზეენა“. გარკვეული სახეცვლილებებით კულტურათა კოდების მუდმივი ბინადრებია – მითოიდები, ბიბლიური იგავები – სიმბოლოები, არქეტიპები და ა. შ. ლევი-სტროსის აზრით, სულ ერთია, დროის ნაკადს აღმა მივადევნებთ თვალს, თუ დადმა დავეყვებით. ამიტომაც, იგავი ისაა, რაც ანადგურებს დროს, იგავი მარადისობის ზედროულობაა. „*ხოლო დღე*

უძრავად იწვა ირგვლივ, როგორც სივრცე, და შეყვარებულნი ხელიხელჩკიდებულნი დადიოდნენ მასში. და დრო ხარობდა მათით, რადგან ისინი იყვნენ მისი ცივი მარტოობის დამარღვეველი დისონანსი“ (ქარჩხაძე, 2008, გვ. 294).

სათაურში კოდირებული მდგმურის ცნება შემდეგ ტექსტში რეალიზდება. გმირი მუდმივად მდგმურია ამ სამყაროსი, უფრო, საკუთარი ცნობიერების, გაორებული, საკუთარ თავში დაქვე-ბული, მაძიებელი, მაგრამ ხშირად ცდუნებული და დაცემული. შეუძლებელია ათეისტურად განწყობილი ეპოქისა და სამყაროს სკეფსისი და ირონია არ დავინახოთ პერსონაჟის ამ კომენტარში. „ერთადერთი რეალური ქვეყანა ეს ქვეყანაა. ერთადერთი სიცოცხლე დაბადებისა და სიკვდილის შემაერთებელი ხაზია. სტუმრის თეორია ღმერთის უარყოფაა, მისი აზრით, ფუჭი ილუზია იდეალიზმია. ადამიანი, რომელიც ცილების, ცხიმებისა და შიგნეულობისაგან შედგება, ღვთაებრივი ვერ იქნება... იდეალიზმი რეალურ სამყაროში თვითმკვლელობის ტოლია. ცხოვრება მისია, ვინც ოცნებას მოკლავს“ (ქარჩხაძე, 2012, გვ. 464).

შოპენჰაუერის მიხედვით, ყოფიერების საფუძველი აბსოლუტური გონი კი არაა, არამედ აბსოლუტური ნება, რაც ნიშნავს იმას, რომ სამყარო და მასში მიმდინარე პროცესები, იმთავითვე საზრისსა და მიზანსაა მოკლებული, ვინაიდან ნება არის ყოფიერების „ბრმა“, უსაზმნო, საზრისს მოკლებული პირველსაწყისი, რომელსაც არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული. ხოლო ამ უსაზრისობის ვითარებაში სუბიექტს აქვს წარმოდგენები, ანუ ილუზორული დასკვნები საკუთარი არსებობის სიმყარის შესახებ. მაგრამ სუბიექტის არსებობა და მასთან ერთად მისი წარმოდგენები სრული ილუზიაა, „მოჩვენება“, ადამიანი კი ამ თავის პირადი წარმოდგენების ტყვეობაშია, ამ წარმოდგენათა საფუძველზე უსასრულოდ უჩნდება სურვილები, რომლებსაც ის ვერ იკმაყოფილებს და მას ამ დაუკმაყოფილებლობის გამო, საბოლოო ჯამში, საკუთარი ეგზისტენცია ტანჯვად გადაექცევა ხოლმე, ვინაიდან სუბიექტის სურვილები და ყოფიერების პირველსაწყისი – ნება იმთავითვე დაპირისპირებულნი არიან და ამ კონფლიქტის ტრაგიკულობას ადამიანი ხშირად ვერ აცნობიერებს, ანუ ვერ აცნობიერებს, რომ მისი სურვილები წარმავალი და ამაოა, განქარვებადია, რომ ყოფიერების სტიქიური უსაზრისო არსი მას წამისყოფით წარხოცს (ბრეგაძე, 2018, გვ. 24).

შოპენჰაუერის მიხედვით, საჭიროა ამ სურვილებისაგან და ასე სულიერი სიმშვიდისა და თავისებური „კათარზისის“ მოპოვება, ანუ, საკუთარი მოჩვენებითი წარმოდგენებისაგან გათავისუფლება, „განწმენდა“ და ასე ყოფიერების ნებელობისაგან თავის დაღწევა, ვინაიდან საკუთარი წარმოდგენები სწორედ ყოფიერების ნებელობითი ბუნების ერთ-ერთი გამოხატულებაა. ამიტომ, საჭიროა კათარზისი და „სამსარადან“ „წირვანაში“ გადასვლა. კირკეგორის მიხედვით, თავის ეგზისტენციაში ეთიკურ ფაზაზე ყველა წარსდგება, მაგრამ ამ ფაზის დაძლევა ცალკეულთა ხვედრია, ვინაიდან ყოველ ადამიანში ერთნაირად აპრიორული არ არის სუბიექტურობა, ანუ პიროვნულ-სულიერი და მსოფლმხედველობრივი განვითარების დონე, ყოველ ადამიანში თანაბრად მყარი არ არის თვითობა, პიროვნულობა, პიროვნული ნებელობა, შემეცნებითი ნებელობა. საინტერესოა პერსონაჟის სულიერი მდგმარეობა: „მსუბუქად მივბაძებდი... მზე იყო ოქროსფერი და მცხუნვარე. ცა იყო ლურჯი და კამკამა. გზა უსასრულო... მე ვერ ვიხსენებ, დედოფალო, შენს სახეს. ვიცი, შენი სახე ლამაზია და სხიმფენი... მე სადღაც შევყოვნდი და გზა ამერია“ (ქარჩხაძე, 2012, გვ. 299).

მოდერნის ეპოქაში მოელო ბოლო ე. წ. მყარ, მონოლითურ სუბიექტურობას, პიროვნულობას, შესაბამისად, სუბიექტს, რომელსაც „ოდესღაც“ ჰქონდა მყარი ღირებულებები და ეთიკური პრინციპები. ამის ნაცვლად აღნიშნულ ეპოქაში სუბიექტი იქცა პიროვნებადამილი, იდენტობადაკარგულ მოცემულობად. შედეგად, სუბიექტი კი აღარ ახდენს გავლენას გარესამყაროზე, იგი კი არ განკარგავს და წარმართავს მას, არამედ სუბიექტი სრულად დეზორიენტირდა თავის ეგზისტენციაში და მთლიანად დაექვემდებარა გარესამყაროს, ყოფიერების, ისტორიული პროცესის არაპროგნოზირებად არსს. მდგმურის ქმედება გონებით არ იმართება, ამ ირაციონალურობაში სუბიექტი ავლენს განვითარებისა და ძიების მთელ ცხოველმყოფელ ენერგიას. ცხადია, ამგვარ აღწერაში დრო და სივრცე ემპირიულია და იმავდროულად, არაემპირიული. გმირი ხშირად იმეორებს: „მე ისევ

გზაჯვარედინზე ვიდექი“. რეალურ გზაჯვარედინე ხვდება მაკას, არარეალური გზაჯვარედინით იკვეთება ირინესთან და გზას მასთან ერთად აგრძელებს არარსებულ მისტიკურ სივრცეში, სადაც დრო აჩქარებულია და იმავდროულად, წარმოსახვითი. თავში „პატრიარქი“ მდგმური და ირინე გადინაცვლებენ ამოუცნობ სამყაროში. ეს არის პირველყოფილი ადამიანის სამყოფელი, სადაც თევზაობით, ნადირობითა და შემგროვებლობით ირჩენს ადამიანი თავს. მდგმური ისე ეგუება არ რეალობას, თითქოს მთელი ცხოვრება იქ გაუტარებია. საინტერესოა დრო, რომელიც ძალიან სწრაფად გადის. მდგმური თითქოს ძილბურანში ხედავს ყველაფერს. დილით გარეთ გასულს თოვლი დახვდება, წინა საღამოს კი ტბაში ბანაობენ ის და ირინე. მდგმურისთვის მოქმედებს „შინაგანი დრო“. ის თან არსებობს იმ მისტიკურ ტყეში და თან არც არსებობს. დაბრუნებისას იაზრებს, რომ წლები გასულა. უძღები მის დაბრინუნებას ჰგავს მისი იმავე ქუჩაზე გამოჩენა: „გზაჯვარედინზე წამით შევჩერდი“. მდგმურს რაციონალურობის სრულ კრიზის უქმნის უდროობიდან ყოფაში დაბრუნება. რა თქმა უნდა, უპირატესობა ენიჭება ირაციონალურ საწყისს, არ არსებობს ავტონომიური სუბიექტურობა, გმირს ფსიქიკური აღქმები აყალიბებს, რომელიც ყოველ ჯერზე სხვადასხვაგვარად არის წარმოდგენილი. ამდენად, მოდერნისტი ავტორისთვის დრო „ჭეშმარიტად სუბიექტურია“ და გმირს სხვადასხვა დროით განზომილებაში ამოგზაურებს.

ქრონოტოპულია „მდგმურის“ ფინალი, როდესაც მდგმური – ძე შეცდომილი აღსარებას აზარებს სულის შეყვარებულს – უამბობს მას ტანჯვის და იმ ჭრილობების შესახებ, რომელთაგან ზოგს შეცდომა, ზოგს შეცოდება, სიბეცე, სულმოკლეობა, სასოწარკვეთა, სილაჩრე, უმადურობა, დაცემა, მონობა, ღალატი, დამარცხება, დავიწყება ჰქვია.

სიუჟეტის სტრუქტურის თვალსაზრისით გაუქმებულია დასაწყისი და ლოგიკური დასასრული, დასასრული ღიაა. პერსონაჟის არაცნობიერის რეალიზებისთვის შინაგანი მონოლოგი, განცდილი მეტყველება სწორად მიგნებული ვერბალიზაციის ხერხებია. თუმცა არსებითია არა სიუჟეტის ტრადიციული სტრუქტურა, არამედ მთლიანი იდეა □ ადამიანი მდგმურია, მოგზაურობს და მკვიდრდება სხვადასხვა სივრცეში, ეძიებს, პოულობს, უარყოფს, ეცემა, განიჭმინდება და იბრუნებს ეგზისტენციალურ რწმენას. მდგმური ამ ხაზს ავითარებს ადამიანის აზროვნებისა და არსებობისა. პერსონაჟი უარყოფს უკვე დადგენილ და ჩამოყალიბებულ ცხოვრებისეულ პრინციპებს, გადააფასებს ღირებულებებს და თავად არაცნობიერის წვდომით ქმნის ახალ ონტოლოგიურ საზრისს, საკუთარს, უშუალო სუბიექტური ნიჰილიზმის გზით დაწყებულსა და ერთგვარი პოვნით დასრულებულს. მწერალი საოცარი სიზუსტით აგნებს ადამიანურ სისუსტეთა სათავეს: მას ყოველთვის „სხვაგან“ ერჩივნა ყოფნა და ყოველთვის გარბოდა. ბოლოს მაინც აქ დაბრუნდა, დაღლილი და იმედგადაწურული – ძე შეცდომილის ნაცნობი ოდისეა იმით სრულდება, რომ მის არსებაში ამღერებული ბავშვები შედიან და ანუგეშებენ.

ისტორია გვევლინება ყოფის მაფორმირებელ ელემენტად, რომელიც განსაზღვრავს ცნობიერებას. საქართველო ყოფილი საბჭოთა ქვეყანაა, ამიტომ მის უახლეს პერიოდს გაცილებით დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ეს ტოტალიტარული წარსულის არმქონე ქვეყნების შემთხვევაში შეიძლება იყოს. თემა აქტუალურია იმდენად, რამდენადაც საინტერესოა გარდამავალი პერიოდების ლიტერატურა. ცხოვრების ახალ წესთან, ახალ რეალობასთან შეგუებას დრო სჭირდება, თან ეს პროცესები უკვე ხანში შესული, ჩამოყალიბებული ერის ფსიქიკაში უფრო ნელა და წინააღმდეგობრივად მიმდინარეობს და ამყარებს ერის კოლექტიურ მეხსიერებას. პროცესი ე.წ. „ზვიდან ქვევით“ განხორციელდა, ამიტომაც აღმოჩნდა ტრავმული, ევროპის მრავალი ქვეყნისგან განსხვავებით. როცა საბჭოთა კავშირში ე. წ. „უძრაობის ხანა“ დაიწყო, ცენზურა შედარებით დამშვიდდა. თუმცა, ამ პერიოდის ქართულ ლიტერატურაში კარგად გამოვლინდა, რომ ზნეობრივი ღირებულებები გადაფასდა და ის მატერიაზე, ფინანსებსა და ძალაუფლებაზე ორიენტირებულმა დეგრადირებულმა საზოგადოებამ ჩანაცვლა. ამდენად, ტაბუირებული აღმოჩნდა ისეთი ღირებულებები, როგორებიცაა: ღირსება, პატრიოტიზმი, რწმენა, სინდისი და სხვ. ქარჩხაძე მორალისტური ნარატივით

იკვლევს ამ თემების ტაბუირების მიზეზებს და ალევორიულად წერს მათზე, რათა შექმნას ერის სწორი კოლექტიური ცნობიერება. სწორედ ეს დისკურსი აყალიბებს პოსტკოლონიურ ნარატივს.

ამდენად, მიგვაჩნია, რომ „მდგმური“ ეს არის ანტისაბჭოთა ტექსტი, მაგიური რეალიზმის ბრწყინვალე ნიმუში, მწერლის მიზანია ეგზისტენციალური ძიების, გამოუვალობის, დაეჭვების ჩვენება. იგავური ენით არსებული მსოფლმხედველობრივი ორიენტაციების რღვევა, ირაციონალური ანთროპოლოგიური არსით საკუთარ თავთან და სამყაროსთან მუდმივად გაუცხოება, ამასთან, საკუთარი აბოლუტური ნების რეალიზება, ერთგვარი პიროვნული დეზორიენტირება და სულიერი კათარზისი. ამ ყოველივეს მხატვრული ასახვა ასე მნიშვნელოვანია პიროვნებისათვის, ნაციონალურ ღირებულებებზე მდგარი საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის კონფორმიზმის ეპოქაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბერიაშვილი, მ. (2018). ზნეობრივისა და პოლიტიკურის გაგება ჯემალ ქარჩხაძის პუბლიცისტიკის მიხედვით, ჯემალ ქარჩხაძის ფორუმი, ლიტერატურული ალმანახი, II, 3-65, თბილისი: „ქარჩხაძის გამომცემლობა“.
- ბრეგაძე, კ. (2013). ქართული მოდერნიზმი, თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“.
- ბრეგაძე, კ. (2018). მოდერნი და მოდერნიზმი, თბილისი: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.
- ბრეგაძე, კ. (2009). ჰერმენევტიკა და მხატვრული ტექსტის ინტერპრეტაცია, ჟურნალი „სჯანი“, IX, 38-53, თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა.
- ბრეგაძე, ლ. (2016). განზომილების საიდუმლოებანი, ჯემალ ქარჩხაძის ფორუმი, ლიტერატურული ალმანახი, I, 6-20, თბილისი: „ქარჩხაძის გამომცემლობა“.
- დურგლიშვილი, ბ. (2018). იგავის მხატვრული ტრანსფორმაცია ჯემალ ქარჩხაძის პროზაში, სადისერტაციო ნაშრომი, ქუთაისი: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- ლიტერატურის თეორია. XX საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობანი, (2006). თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა.
- რატანი, ი. (2018). ქართული მწერლობა და მსოფლიო ლიტერატურული პროცესი, თბილისი: „უნივერსიტეტის გამომცემლობა“.
- ქარჩხაძე, ჯ. (2008). მდგმური, თბილისი: „ქარჩხაძის გამომცემლობა“.
- ქარჩხაძე, ჯ. (2011). შემოქმედების კანონი, თბილისი: „ქარჩხაძის გამომცემლობა“.
- ქარჩხაძე, ჯ. (2014). პუბლიცისტიკა, თბილისი: „ქარჩხაძის გამომცემლობა“.
- წიფურია, ბ. (2016). ქართული ტექსტი საბჭოთა / პოსტსაბჭოთა / პოსტმოდერნულ კონტექსტში, თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ჯამბურია, კ. (2018). ჯემალ ქარჩხაძე კონფორმიზმის წინააღმდეგ, ჯემალ ქარჩხაძის ფორუმი, ლიტერატურული ალმანახი, II, 3-24 თბილისი: „ქარჩხაძის გამომცემლობა“ .

References:

- Beriashvili, M (2018). Zneobrivila da p'olit'ik'uris gageba Jemal Karchkhadzis p'ublitsist'ik'is mikhedvit, Jemal Karchkhadzis porumi, lit'erat'uruli almanakhi, II. [Understanding the Moral and Political According to Jemal Karchkhadze's Publicism, Jemal Karchkhadze Forum, Literary Almanac, II]. 3-65. Tbilisi: „Karchkhadzis gamomtsemloba“.
- Bregadze, K'. (2009). Hermenevt'ik'a da mkhat'vruli t'ekst'is int'erpret'atsia. [Hermeneutics and Interpretation of a Literary Text]. Journali "Sjani", IX. 38-53. Tbilisi: lit'erat'uris inst'it'ut'is gamomtsemloba.
- Bregadze, K'. (2013). Kartuli modernizmi. [Georgian Modernism]. Tbilisi: gamomtsemloba „meridiani“.
- Bregadze, K'. (2018). Moderni da modernizmi. [Modern and Modernism]. Tbilisi: Shota Rustavelis kartuli lit'erat'uris inst'it'ut'i.
- Bregadze, L. (2016). Ganzomilebis saidumloebani, Jemal Karchkhadzis porumi, lit'erat'uruli almanakhi, I. [Secrets of Dimensions, Jemal Karchkhadze Forum. Literary Almanac, I]. 6-20, Tbilisi: „Karchkhadzis gamomtsemloba“.

- Modebadze, Irine (2016 d). Rustaveliana XXI veka: interpretatsii epokhi postmoderna [“The Knight in the Panther’s Skin” at Russian: Interpretations of Postmodern Era]. “*The Knight in the Panther’s Skin*” and its Place in the World Literature. Modern Interpretations. Tbilisi: "Saari", 388-399. ISBN 978-9941-461-57-6
- Modebadze, I. I. (2012 a): "Rustveli. Vepkhis tkaosani". Pervod Georgiya Devdariani. [“Rustveli. The Knight in the Panther’s Skin” Translation by Georgiy Devdariani]. *VI International Symposium CONTEMPORARY ISSUES OF LITERARY CRITICISM. Medieval Literary Processes, Europe, Asia, Georgia. Proceedings, I*, 90-103. Tbilisi: Institute of literature press.
- Modebadze, Irine (2012b): Svoboda i Neobkhodimost': ponimaniye i interpretatsiya v perevode [Perception and Interpretation: Freedom of a Translator and Necessity of a Text]. “*Literary Researches*”, XXXIII, 153-170. Tbilisi: Institute of Literature Press.
- Rustaveli, Shota (2023). *Vityaz' v tigrovoy shkure. Pervod s gruzinskogo Kote Gulisashvili* [“The Knight in the Panther’s Skin”. Translation from Georgian by Kote Gulisashvili]. Tbilisi: «CARPE DIEM».
- Rustaveli, Shota (2023). *Vityaz' v tigrovoy shkure. Pervod s gruzinskogo Yuriy Lifshits* [“The Knight in the Panther’s Skin”. Translation from Georgian by Yuri Lifshits]. https://45parallel.net/shota_rustaveli/.
- Yeremishin, O. (2006). *Aforizmy. Zolotoy fond mudrosti*. (Khans Georg Gadamer) [Aphorisms. Golden fund of wisdom. (Hans Georg Gadamer)]. Moskva: “Prosveshcheniye”. <http://rus-yaz.niv.ru/doc/aphorisms-eremishin/fc/slovar-213.htm#zag-1150>
- “*Vepkhist'q'aosani*” or *t'omad* (1966), [“The Knight in the Panther’s Skin” in two volumes]. Edited by A. Shanidze and A. Baramidze. Tbilisi: “Mecniereba”.

ქართული ფოლკლორი და მსოფლიო მითოლოგია
Georgian Folklore and World Mythology

Dalila Bedianidze

დალილა ბედიანიძე

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

One Tale of „A thousand and One Nights“ and Georgian Folk Tales

**„ათას ერთი ღამის“ ერთი ზღაპარი და ქართული ხალხური
ზღაპრები**

In her study, *“One Tale of One Thousand and One Nights and Georgian Folk Tales”*, Dalila Bedianidze examines thematic and narrative parallels between classic international stories and Georgian folklore. Central to the analysis is the motif of the beloved bird’s sacrifice, found in tales such as *One Thousand and One Nights’* "Story of King Sindbad," "Kilila and Damana," the 67th Arak "Sovereign and Hawk," the Persian *Tutiname*, and Georgian folk narratives like "Kvavsakdara" and "Sakdar of the crow".

The work explores shared elements across these stories, focusing on character roles, themes, and actions.

The study discusses both the similarities and distinctions between these tales.

Keywords: Sparrow, Hawk, Crow, Snake, Sacrifice, Georgian folklore, Persian and Arabic tales

საკვანძო სიტყვები: შვეარდენი, ქორი, ყვავი, გველი

საქართველო ოდითგანვე იყო ხიდი აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებს შორის. მისი კულტურა და ისტორია ამ ორივე მხარეს უკავშირდება. განსაკუთრებით ეს აისახა ქართული ხალხური ზღაპრების მაგალითზე. ქართული ხალხური ზღაპრები არაერთი ქვეყნის ხალხურ ზღაპრებთან იჩენს საინტერესო მიმართებას, რომელთა შორისაც არის არაბული „ათას ერთი ღამის“ ზღაპრები. მსგავსი ზღაპრები, როგორც ქართული, ასევე არაბული, აგებულია საერთაშორისო სიუჟეტებზე, რაც მიგვანიშნებს, რომ მათ შეეხო გლობალიზაცია და მსგავსება გლობალიზაციის შედეგია. ეს ყოველივე კი გამოწვეული იყო შემდეგი პოლიტიკური ვითარებით: ჯერ კიდევ V საუკუნეში ჩვენი წელთაღრიცხვით საქართველოში სპარსელები ბატონობდნენ, რაც 643-645 წლებიდან შეცვალა არაბთა და მათი ამირას ბატონობამ. ეს გრძელდებოდა მერვე-მეცხრე-მეათე საუკუნეებში. პირველი პერიოდი ქართული მწერლობისა ემთხვევა სპარსელთა და არაბთა ბატონობის ხანას,

რაც, რასაკვირველია, მოიცავდა ქართულ კულტურას, მათ შორის ფოლკლორსაც და გასაკვირი არ არის, რომ მსგავს თემებსა და სიუჟეტებზე აგებული ზღაპრები შექმნილიყო. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ „ინდური და სპარსული, ებრაული და ქრისტიანული, ბაბილონური და ეგვიპტური მასალა შერწყმულია წმინდა არაბულ ელემენტებთან უცნობ ხელოვანთა მიერ, რომელთაც ჩვენ უნდა ვუმაღლოდეთ „ათას ერთი ღამის“ კორპუსის იშვიათ სიმდიდრეს“ (წერეთელი, 1967, გვ. XVI). „ათას ერთი ღამის“ წარმოშობის შესახებ მრავალი სხვადასხვა შეხედულება არსებობს, მათ შორის ვარაუდიც, რომ ძველი შექმნილია არაბულ ნიადაგზე. „ათას ერთ ღამეში“ გვხვდება აგრეთვე დიდაქტიკური ხასიათის მოთხრობები, მსგავსი „ქილილა და დამანასი“ და ინდური წარმოშობის სხვა არაკები. გადაკეთებული არაბულ ყაიდაზე“ (წერეთელი, 1967, გვ. VII).

„ათას ერთი ღამის“ ზღაპრებს შორის გვხვდება ზღაპარი „სინდბად მეფის ამბავი“, რომელსაც მეხუთე ღამეს უყვება მეფეს შეჭრაზადი და რომელიც თემატურ-სიუჟეტურ მსგავსებას იჩენს ქართულ საზღაპრო სამყაროსთან – ეს არის იუნან მეფის ამბავი, რომელმაც უთხრა თავის ვაზირს, გშურს ჩემი ახლობელი ბრძენისა, გინდა, რომ მოვკლა და მერე კი ვინანო, როგორც სინდბად მეფემ ინანა თავისი შევარდნის მოკვლაო. ეგ როგორ იყო? – ჰკითხა ვაზირმა და მეფემაც უამბო „სინდბად მეფის ამბავი“ („ათას ერთი ღამე“, 1969, გვ. 51-53). ეს ამბავი წარმოადგენს თავგადასავალს პატრონისთვის თავდადებული და მისი სიკვდილისგან გადამრჩენელი ფრინველისა, რომელიც ბოლოს კვდება. სიუჟეტურად ამბავი ენათესავება „ქილილასა და დამანას“ 67-ე არაკს „ხელმწიფე და ქორი“, სპარსული „თუთი-ნამეს“ პირველ ამბავს (ამაზე ქვემოთ). ასევე თემატურ მსგავსებას იჩენს ქართულ ხალხურ ზღაპრებთან „ყვავსაყდარა“ და „ყვავის საყდარი“. ეს არც არის გასაკვირი. „ქილილა და დამანა“ მსოფლიოში გავრცელებული ლიტერატურული ძეგლია. იგი მოიპოვება მწიგნობრობის მქონე თითქმის ყველა ხალხის ენაზე. „ქილილა და დამანას“ სამშობლო ინდოეთია. თავდაპირველად ის დაიწერა სანსკრიტულ ენაზე. ჩვენი წელთაღრიცხვის VI საუკუნეში „ქილილა და დამანა“ დამუშავდა ფალაურ (შუა-სპარსულ) ენაზე და იმავე საუკუნეში ითარგმნა სირიულად. VIII საუკუნეში ჩამოყალიბდა „ქილილა და დამანას“ არაბული რედაქცია. ეს არაბული რედაქცია დაედვა საფუძვლად თხზულების შემდეგდროინდელ მრავალ თარგმანს სხვადასხვა ენაზე. ქართულად „ქილილა და დამანა“ თარგმნილი უნდა იყოს არა უგვიანეს XII საუკუნისა (კეკელიძე-ბარამიძე, 1969, გვ. 395-404).

„ქილილა და დამანას“ ძველ ქართულ თარგმანს ჩვენს დრომდის არ მოუღწევია... ტექსტის ხელახალი ქართული თარგმანები ეკუთვნის XVI-XVIII საუკუნეებს. იგი თარგმნა ასევე სულხან-საბა ორბელიანმა ვახტანგ VI-ის თხოვნით, რომელსაც შესრულებული ჰქონდა ამ ნაწარმოების პწკარედული თარგმანი, რაც გასაჩარხავად მიანდო სულხან-საბას.

დავუბრუნდეთ „ათას ერთი ღამის“ ზღაპარს „სინდბად მეფის ამბავი“ („ათას ერთი ღამე“, 1969, გვ. 51-53):

სპარსეთის მეფეს თავისი გაზრდილი შევარდენი ჰყავდა და არასდროს იშორებდა, სანადიროდაც დაჰყავდა. გაუკეთა ოქროს თასი, კისერზე ჩამოკიდა და წყალს იქიდან ასმევდა. ერთხელაც, სანადიროდ ყოფნისას, ნადირის დასაჭერად ხაფანგი გამართეს. შიგ ქურციკი მოხვდა, რომელიც მეფეს გაექცა და მეფე მას მთა-მთა დაედევნა. მეფემ შევარდენი მიუშვა და იმან ქურციკი დააბრმავა. მეფემ გურზით მოკლა ქურციკი, გადაატყავა და უნაგირზე ჩამოიკიდა. იმ უდაბურ ადგილზე წყალი არ მოიპოვებოდა. ცხელოდა. მწყურვალე მეფემ ერთი ხე დაინახა, რომელზეც ზეთის მსგავსი წყალი ჩამოდიოდა. მეფემ შევარდენს ჩამოხსნა თასი, აავსო იმ წყლით და წინ დაიდგა. შევარდენმა თასს ფრთა წაჰკრა და გადააბრუნა. მეფემ ისევ აავსო თასი და შევარდენს დაუდგა, იფიქრა, სწყურიაო. შევარდენმა თასი ისევ გადააბრუნა. ასე მოიქცა მესამედაც, როცა თასი მეფემ ცხენს დაუდგა. მეფემ შეაჩვენა შევარდენი და ხმლით ფრთები დააყრევინა. შევარდენმა თავით ანიშნა, ხის კუნწეროს შეხედო. მეფემ აიხედა და დაინახა, ხის წვეროზე გველი წევს და ხეზე რომ წყალი ჩამოდის, ის გველის შხამი ყოფილა. ინანა მეფემ შევარდენს რომ ფრთები მოკვეთა. ქურციკი თავის

კარავში მიიტანა და მზარეულს გადაუგდო მოსამზადებლად. მეფე ტახტზე დაჯდა. შევარდენი ხელზე ესვა. უეცრად შევარდენმა დაიკვნესა და მოკვდა. მეფემ მწუხარებისგან შეჰყვირა.

ამბავი მეფის ერთგული ფრინველისა, რომელმაც მეფე მოწამვლისგან იხსნა და თავი გაწირა პატრონისთვის, საერთაშორისო სიუჟეტზეა აგებული და გვხვდება სულხან-საბა ორბელიანის მიერ ქართულად გადმოღებულ იგავ-არაკებში „ქილილა და დამანა“. ეს არის არაკი 67-ე, სათაურით „ხელმწიფე და ქორი“ („ქილილა და დამანა“, 1949, გვ. 405-406): ერთ მეფეს ნადირობა უყვარდა და ჰყავდა ერთი კარგი ქორი, რომელიც ასევე ძალიან უყვარდა. ერთ დღეს ნადირობისას ქურციკს დაედევნა, რომელიც გაექცა და მეფე მის დევნაში თავის სპას დაშორდა. ამასობაში მოსწყურდა. დაუწყო ძებნა წყალს და ერთ კლდეზე ნახა კამკამა წყალი ჩამოსწვეთდა. მეფემ ორჯერ აავსო თასი იმ წყლით, მაგრამ ქორმა ორჯერვე დაუქცია. გაბრაზებულმა მეფემ ქორი მიწას დააწყვიტა და მოკლა. მეავჟანდემ მეფე რომ მოწყურებული და ქორი მოკლული ნახა, მათარა მოიხსნა და მეფეს წყალი მისცა. იმან უთხრა, ამ კლდეზე ჩამომავალი წყალი მინდა, სხვა წყალი არაო. აგზავნა კლდეზე მეავჟანდე და იმან ნახა იქ ერთი მკვდარი გველეშაპი, რომელსაც სიცხე ადნობდა და მისი გესლიანი ქონი წყალს ერთვოდა. მეავჟანდემ ეს მეფეს მოახსენა და მათართ წყალი მისცა. მეფე თან წყალს სვამდა, თან ტიროდა. მეავჟანდემ ტირილის მიზეზი ჰკითხა. მეფემ უამბო, როგორ მოკლა ქორი. მეავჟანდემ უთხრა, იმ ქორს დიდი ფათერაკისგან გადაურჩენიხარ, ჯობდა, არ აჩქარებულიყავ და ქორი არ მოგეკლათ.

ეს არაკი იმ კაცის ცოლმა მოყვა, რომელმაც ერბო-თაფლის ქილა გატეხა (იხ. არაკი „გლახაკი და ქილა ერბო“). „ამ არაკით ნათქვამია, რომ ესეთი საქმე სიჩქარით მრავალი მომხდარა და სულ-მოკლეობით, სინანულის ზღვასა დანთქულანო – თქვა ცოლმა – სიჩქარე კაცსა ესეთსა ორმოს ჩაადებს, ასსა წელსა ეცადოს, ვედარ ამოვიდესო“ („ქილილა და დამანა“, 1949, გვ. 407). აქ ალბათ მართებულია გავიხსენოთ ქართული ანდაზა: „აჩქარებითა სოფელი არავის მოუქამია“.

სპარსულ ძეგლში „თუთი-ნამე“ მოთხრობილია დამასკოს ხელმწიფის ამბავი, რომელმაც დაუფიქრებლად მოკლა თავისი ქორი და მერე ძალიან ინანა, მაგრამ რაღას უშველიდა. ეს ამბავი თუთიყუშმა უამბო ქმრის მოღალატე ქალს, იგი „თუთი-ნამეს“ პირველი ამბავია და ეწოდება „დამასკოს ხელმწიფის ამბავი“: ვინმე ხელმწიფე ყოფილა, ერთი ქორი ჰყოლია, თურმე სამეფო ქორს ეძახდნენ. ხელმწიფესაც ძალიან უყვარდა თავისი ქორი.

ერთ დღეს სანადიროდ წასულმა კარგად ინადირა და პურის ჭამის დროს წყალი მოითხოვა. სანამ მონები წყალს უშოვიდნენ, მეფე წყურვილმა ძალიან შეაწუხა და ცხენით თავი უდაბნოს მისცა. ერთ მთასთან ნახა წყარო, მაგრამ წყალს ყვითელი ფერი დაჰკრავდა. მეფემ ჯამით წყალი ამოიღო და უნდა დაეღია, მაგრამ ქორმა ფრთა აუკრა და დაუქცია. ასე მოხდა სამჯერ. მეფე წყურვილისგან სულს ღაფავდა. გაბრაზდა. ქორი მიწაზე დაანარცხა და მოკლა. მერე წყაროს სათავე მონახა, რათა გაეგო წყალი რატომ იყო გაყვითლებული. ნახა, რომ წყაროსთვალში გველეშაპი ჩაწოლილა და წყალს თქვლეფს, ყოველ მოხვერეპაზე წყალი ყვითლად ბინძურდება. გველეშაპმა შემოუტია. მეფე ცხენით გაიქცა და გადაურჩა გველეშაპს. ამასობაში მისი მხედრებიც წამოეწივნენ. მეფემ მათი დანახვით კი გაიხარა, მაგრამ ქორის მოკვლის გამო ბევრი ინანა, თუმცა წამხდარ საქმეს რაღას უშველიდა („თუთი-ნამე“, 2008, გვ. 7-9).

როგორც ვხედავთ, ეს ამბავი ახლოს დგას „ქილილა და დამანას“ ზემოხსენებულ არაკთან. ადამიანის ერთგული და გადამრჩენელი ფრინველი აქაც ხელმწიფის საყვარელი ქორია, რომელიც სამჯერ დაუქცევს ხელმწიფეს მოწამლულ წყალს, ოღონდ განსხვავებით „ქილილა და დამანასგან“ და „სინდბად მეფის ამბისგან“ გველი, გველეშაპი მკვდარი კი არ არის, ცოცხალია.

ადამიანის ერთგული გონიერი ფრინველის შესახებ ქართულ საზღაპრო ეპოსში გვხვდება ეტიოლოგიური ხასიათის პატარა ზღაპარ-გადმოცემა „ყვავსაყდარა“ (ხალხური სიბრძნე, III, 1964, გვ. 247). იგი ჩაწერილია თინა მელიქიშვილის მიერ – ფოლკლორის არქივი №30373:

„ენისელში გლეხები ყანას მკიდნენ. სადილად ცხვარი დაკლეს და მოსახარმად ცეცხლზე შედგეს ქვაბით. მზარეულს ჩასძინებოდა. ამ დროს ქვაბში გველი ჩასულიყო და ჩახარშულიყო ხორცთან ერთად.

მუშები სადილად გამოვიდნენ. მოუთმენლად ელოდნენ საჭმელს. ამ დროს, სად იყო და სად არა, წამოვიდა ერთი ყვავი და ქვაბს თავზე გადაუარა ჩხავილით.

– გააგდეთ ეს საზიზღარიო! – ხალხმა იყვირა – აუქშიეს ყვავს ერთხელ, ორჯერ, მაგრამ ის თავისას არ იშლიდა, თავს დასტრიალებდა ხალხს და საცოდავად ჩხაოდა. დაუშინეს ქვები, ჯოხები. უცებ ყვავი შურდულის ქვასავით დაეშვა და ქვაბში ჩავარდა, ჩაიფუფქა.

წამოიშალა ხალხი გაკვირვებული და ნაწყენი, წამოაპირქვავეს ქვაბი და ჩახარშული შხამიანი გველი კი წამოჰყვა.

მუშების გადარჩენისათვის იქ პატარა ეკლესია ააშენეს. იმ ეკლესიას ახლაც „ყვავსაყდარას“ უწოდებენ.

ამ ზღაპარს მოეპოვება ვარიანტიც – სათაურით „ყვავის საყდარი“: „სოფელ ენისელის მახლობლად მინდორში მუშები ყანას მკიდნენ. იქვე, ხის ძირში, ცეცხლზე ქვაბი იდგა და შიგ საჭმელი იხარშებოდა. ამ ქვაბში ჩავარდნილა მცურავი. ეს დაუნახავს ყვავს. დაუწყია ჩხავილი, რომ ეს ამბავი როგორმე მუშებისთვის ეცნობებინა.

თურმე, ყვავი ჩხავილით ხან მუშებს, ხან ქვაბის თავს დასტრიალებდა, მაგრამ მუშები ყანის მკით ისე იყვნენ გართული, რომ ვერ გააგებინა. ბოლოს ერთი მუშა წამოვიდა სადილის წამოსაღებად. ყვავმა, სხვა რომ ვერაფერი გააწყო, თვითონ ჩავარდა ქვაბში.

მუშებმა, იმის გამო, რომ ქვაბში ყვავი იყო ჩავარდნილი, მოხარშული საჭმელი აღარა ჰამეს, გადაღვარეს და ნახეს შიგ გველი. მაშინ მიხვდნენ, თუ ყვავმა მათ რა სიკეთე უყო.

ამ ცეცხლის ნანთებზე, სადაც ყვავი დაიღუპა, აუგიათ ყვავის საპატივცემოდ პატარა საყდარი. ეს საყდარი დღესაც არის და ხალხი ყვავის საყდარს ეძახის“ (ქართული ზეპირსიტყვიერება, 1976, გვ. 197).

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ამ ამბის სიუჟეტი საერთაშორისოა და მისი ნომერი საერთაშორისო სიუჟეტთა კატალოგში არის ATU 178 (Uther, Hans-Jörg, 2004).

ზემოხსენებულ ხუთ თხზულებას შორის თავს იჩენს მთელი რიგი მსგავსება-განსხვავებანი.

ადამიანის, პატრონის გველის შხამით მოწამვლით დაღუპისაგან გადამრჩენელი გონიერი ფრინველი არაბულ ზღაპარში შევარდენია, „ქილილა და დამანას“ არაკში – ქორი, ისევე, როგორც „თუთი-ნამეში“, ხოლო ქართულ ხალხურ ზღაპრებში – ყვავი. არაბულ ზღაპარსა, „ქილილა და დამანასში“ და „თუთი-ნამეში“ გადარჩენილი პერსონაჟი ხელმწიფეა, რომელიც ნადირობს, ხოლო ქართულ ხალხურ ზღაპრებში – მუშები, რომელნიც ყანას მკიდნენ. „ათას ერთი ღამის“ ზღაპარსა, „თუთი-ნამეში“ „ქილილა და დამანასში“ შევარდენი, ქორი გველის ან მკვდარი გველეშაპის შხამით მოწამლულ დასალევ წყალს დაუღვრიან პატრონს (წყალი ერთგან ხეზე ჩამოსწვეთს, მეორეგან – კლდეზე), ხოლო ქართულ ზღაპრებში ყვავი ქვაბში ცხვრის ხორცთან ერთად ჩახარშული გველის შხამით მოწამვლისგან იხსნის ხალხს – ქვაბს ჩხავილით დასტრიალებს, ხალხს არ ეპუება და ბოლოს თავს გაწირავს – მდულარე საჭმლიან ქვაბში ჩახტება და ჩაიფუფქება – ეს მოტივი კი მხოლოდ ქართულ ხალხურ ზღაპრებში გვხვდება. „ათას ერთი ღამის“ ზემოხსენებულ ზღაპარშიც და „ქილილა და დამანას“ არაკშიც მოქმედება ქურციკზე მეფის ნადირობისას ვითარდება, ისევე, როგორც „თუთი-ნამეში“ მეფე ნადირობს, ხოლო ქართულ ზღაპრებში – მკისას. აქ ქურციკი, მეფე და ნადირობა აღარ იხსენიება. არაბულ ზღაპარში, „თუთი-ნამეში“, „ქილილა და დამანას“ არაკში მეფე თავის საყვარელ უდანაშაულო ფრინველს მისი საქციელით გაბრაზებული ან ფრთებს დააყრევინებს ხმლით (ცოტა ხნის შემდეგ ფრინველი კვდება), ან მიწას დაახეთქებს და უდანაშაულოდ კლავს, ქართულ ხალხურ ზღაპრებში კი ყვავი წყალს კი არ დაუღვრის მეფეს, არამედ მდულარე ქვაბში ჩახტება, თავს სწირავს ადამიანებისათვის, ნებაყოფლობით იკლავს თავს ხალხის გადასარჩენად, რაც დიდ ჰუმანიზმზე მიგვანიშნებს. საყვარელი ფრინველის შემოკვდომის გამო მეფე არა-

ბულ ზღაპარსა, „თუთი-ნამეს“ და „ქილილა და დამანას“ არაკვიც დამწუხრებულა და მეტი არაფერი, ხოლო ქართულ ხალხურ ზღაპრებში ამაგდარ ყვავს, რომლის სიკეთეც კერძიანი ქვაბის გადმოპირქვავების შემდეგ ირკვევა (რადგან ყვავი შიგ ჩახტა – დ.ბ.) ხალხი ნახავს, რომ შიგ შხამიანი გველი იყოს ჩახარშული – მადლიერი ხალხი ყვავს ეკლესიას აუშენებს, რომელსაც ახლაც „ყვავსაყდარა“, ანუ „ყვავის საყდარი“ ეწოდება.

ფრინველის სიკვდილი ჩვენს მიერ განხილულ ზღაპრებში სხვადასხვაგვარია: ყვავი თავს სწირავს ადამიანებისთვის, თავს იკლავს, ქორს პატრონი მიწაზე დაანარცხებს და ისე კლავს, ხოლო შევარდენი ფრთების დაჭრის შემდეგ მალე თავისით კვდება. მხოლოდ ფრინველის სიკვდილის შემდეგ ხდება ნათელი მისი საქციელის მიზეზი – როგორც არაბულ ზღაპარსა, „თუთი-ნამეს“ და „ქილილა და დამანასში“, ასევე ქართულ ხალხურ ზღაპრებში შხამიანი გველი (თუ გველეშაპი) წარმოადგენს საფრთხეს ადამიანებისთვის – კლდეზე თუ ხეზე მკვდარი გველეშაპი თუ გველია, დამასკოს მეფეს გველეშაპი შეხვდება, საქმელში შხამიანი გველია ჩახარშული. ყველგან გველის შხამი ფიგურირებს. შევარდენი, ისევე როგორც ქორი, მომინაურებულია, მონადირეა, პატრონი ჰყავს, ყვავი კი გარეული ფრინველია, უპატრონო, მაგრამ აქ ყველას პატრონი, ადამიანის მოყვარე და მოკეთე. ქართულ ხალხურ ზღაპრებში ადამიანთათვის თავდადებული ფრინველი უკვდავყოფილია ხალხის მიერ. შევარდენი, ქორი და ყვავი ფუნქციურად ერთმანეთს შეესატყვისება და ფრინველთა გონიერებაზე, მათი ადამიანისადმი სიყვარულსა და ერთგულებაზე მეტყველებს. „ქილილა და დამანას“ არაკი უფრო ახლოს დგას არაბულ „ათას ერთი ღამის“ ზღაპართან და „თუთი-ნამეს“ ამბავთან, ვიდრე ქართული ზღაპრები „ყვავსაყდარა“ და „ყვავის საყდარი“, სადაც არა სამეფო კარის, არამედ უბრალო მშრომელი ადამიანების – გლეხების ცხოვრება და ქართული სოფლის კოლორიტია ასახული. „სინდბად მეფის ამბავშიც“, „თუთი-ნამესშიც“ და „ხელმწიფე და ქორშიც“ აღწერილია აღმოსავლური ქვეყნის სამეფო კარის ცხოვრება, ხოლო ქართულ ზღაპრებში ქართული სოფლის ცხოვრების ერთი კერძო ეპიზოდი. არ არის გამორიცხული ამ ზღაპრების საერთო აღმოსავლური წარმოშობა. „ქილილა და დამანას“, „თუთი-ნამეს“, ასევე – „სინდბად მეფის ამბის“ ავტორი ალბათ იცნობდა ლეგენდას ადამიანისათვის თავდადებული ფრინველის შესახებ, რომელიც თემატურად და სიუჟეტურად ენათესავება ქართულ ხალხურ ზღაპრებს. იმ პერიოდში, როცა „ათას ერთი ღამის“ ზღაპრები და „ქილილა და დამანას“ არაკები ყალიბდებოდა, საქართველოში სპარსობა და არაბობა იყო და ამანაც უთუოდ იქონია გავლენა.

„ათას ერთი ღამის“ ზღაპარში მოქმედება ხდება სპარსეთში, „ქილილა და დამანასში“ მოქმედების ადგილი დაკონკრეტებული არ არის, „თუთი-ნამესში“ დამასკოა მოქმედების ადგილი, ხოლო ზღაპრებში „ყვავსაყდარა“ და „ყვავის საყდარი“ მოქმედება ვითარდება საქართველოში, კახეთში, სოფელ ენისელში.

ზემოხსენებული არაბული ზღაპარი „თუთი-ნამეს“ ამბავი და არაკი „ქილილა და დამანასიდან“ მოთხრობილია დიდაქტიკური მიზნით და ფილოსოფიური გააზრებით (რომ ადამიანი არ უნდა აჩქარდეს სასიკვდილო განაჩენის გამოტანისას – დ.ბ.), ხოლო „ყვავსაყდარა“ და „ყვავის საყდარი“ ეტიოლოგიური ხასიათის ზღაპრებია. ხუთივეგან გველის, გველეშაპის შხამით ადამიანის მოწამლაა აცილებული გონიერი ფრინველის მიერ, ხოლო გველის მრავალმნიშვნელოვანი სიმბოლიკა კარგად არის ცნობილი თვით ძველი აღთქმიდან.

ამრიგად, ჩვენ განვიხილეთ საერთაშორისო სიუჟეტზე აგებული ხუთი ნაწარმოები:

1. „ათას ერთი ღამის“ ზღაპარი „სინდბად მეფის ამბავი“, რომელიც მოგვითხრობს, თუ როგორ დააჭრა მეფე სინდბადმა ფრთები თავის საყვარელ შევარდენს სასურველი წყლის დაღვრის გამო ნადირობისას და ამის გამო შევარდენი მოკვდა;

2. „ქილილა და დამანას“ 67-ე არაკი „ხელმწიფე და ქორი“, სადაც ერთმა ხელმწიფემ, რომელსაც ასევე მოსწყურდა ნადირობისას და სასურველი წყალი საყვარელმა ქორმა დაუქცია, ამიტომ ქორი მიწას დააწყვიტა და მოკლა (ორივეგან პატრონის საყვარელი, ერთგული ფრინველის სიკვ-

დილის შემდეგ ირკვევა ფრინველის პატრონისთვის თავდადება, გველის შხამისგან რომ იხსნა პატრონი);

3. ასევე ქორია პატრონის მხსნელი „თუთი-ნამეში“. „თუთი-ნამეს“ პირველი ამბავი, სადაც დამასკოს მეფემ თავისი საყვარელი ქორი მოკლა, რადგან მან მწყურვალეს სამჯერ დაუქცია წყალი – მოწამლული გველეშაპის შხამით, მეფე აჩქარდა და მერე სინანულში ჩავარდა, ისევე, როგორც „ქილილა და დამანას“ არაკში.

4. ქართული ხალხური ზღაპრები „ყვავისაყდარა“ და „ყვავის საყდარი“, სადაც მოთხრობილია, თუ როგორ იხსნა მომკვლელები სოფელ ენისელში ერთმა ყვავმა გველის შხამისაგან, რომელიც გლეხების საჭმელში იყო ჩახარშული – საჭმლით სავსე მდუღარე ქვაბში ჩახტა, თავი მოიკლა, თავი გაწირა უდანაშაულო ადამიანების გადასარჩენად, მისი სიკვდილის შემდეგ გაცხადდა მისი გმირობა, რისთვისაც იმ ადგილზე მადლიერმა ხალხმა მისი სახელობის ეკლესია „ყვავისაყდარა“, ანუ „ყვავის საყდარი“ ააშენა. ეს ხუთივე ნაწარმოები აგებულია საერთაშორისო სიუჟეტზე, ამასთან, გვხვდება საერთო პერსონაჟები – ადამიანისთვის თავდადებული და საკუთარი სიცოცხლის ფასად ადამიანთა სიკვდილისგან მხსნელი ფრინველები: შევარდენი, ქორი, ყვავი. გვხვდება ასევე გველი, უპირატესად მკვდარი, რომელიც თავისი შხამით წამლავს სასმელ წყალს თუ საჭმელს. ასევე, საერთო პერსონაჟები არიან ადამიანები – მეფე სინდბადი, შევარდენის პატრონი, დამასკოს მეფე – ქორის პატრონი, ვინმე სხვა მეფე – ქორის პატრონი და გლეხები, მომკვლელები. ამ პერსონაჟებს იხსნის გველის შხამით მოწამვლისაგან გონიერი ფრინველი, რომლის ამბავიც ხალხშია გავრცელებული, საუკუნეები გამოუვლია და მეტყველებს უხსოვარი დროიდან საქართველოს აღმოსავლეთის ქვეყნებთან მჭიდრო კავშირზე, განვითარებულ კულტურულ-განმანათლებლურ ურთიერთობებზე. ნიშანდობლივია, რომ ქართულ ზღაპრებში ღმერთმა ყვავის მოვლინებით გადაარჩინა ადამიანები სიკვდილს, რაც იმის მიზეზი გახდა, რომ სარწმუნოების სახლი, ანუ ეკლესია ააშენა ყვავის სახელზე მადლიერმა ხალხმა, ხუთივე ზემოთ განხილული ნაწარმოების იდეა ჰუმანისტურია.

გამოყენებული ლიტერატურა:

- „ათას ერთი ღამე“. (1969). ტ. I, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- „თუთი-ნამე“. (2008). სპარსულიდან თარგმნა მაგალი თოდუამ, თბილისი: „ქართული ბიოგრაფიული ცენტრი“, „საარი“.
- კეკელიძე, კ., ბარამიძე, ალ. (1969). ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბილისი: თსუ.
- „ქილილა და დამანას“. (1949). იგავ-არაკები ქართულად გადმოღებული ვახტანგ VI-ისა და სულხან-საბა ორბელიანის მიერ, თბილისი: „საბჭოთა მწერალი“.
- ქართული ზეპირსიტყვიერება. (1976). შეკრებილი კახეთში ამბერკი გაჩეჩილაძის მიერ. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- წერეთელი, გიორგი. (1967). „ათას ერთი ღამე“, ტ. I, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- ხალხური სიბრძნე. (1964). ტ. III, თბილისი: „ნაკადული“.
- Uther, Hans-Jörg. Te types of International Folktales. A classification and Bibliography. Based on the System of Anti Arne and Stith Thompson Paprt 1, part 2. Helsinki Academia Scientiarum Fennica.

References:

- „Atas erti ghame“. (1969). T'. I. [\"A Thousand and One Nights\", vol. I]. Tbilisi: „sabch'ota sakartvelo“.
- Kartuli zep'irsit'q'viereba. (1976). Shek'rebili k'akhetshi Amberk'i Gachechiladzis mier. [Georgian Oral Tradition. Collected in Kakheti by Amberki Gachechiladze]. Tbilisi: „sabch'ota sakartvelo“.
- K'ek'elidze, K', Baramidze, Al. (1969). dzveli kartuli lit'erat'uris ist'oria. [History of Old Georgian Literature]. Tbilisi: tsu.
- Khalkhuri sibrdzne. (1964). T'. III. [Folk Wisdom. Vol. III]. Tbilisi: „nak'aduli“.
- „Kilila da damana“. (1949). Igav-arak'ebi kartulad gadmoghebuli Vakht'ang VI-isa da Sul Khan-Saba Orbelianis mier. [\"Kilila and Damana\". Fables and Tales Translated into Georgian by Vakhtang VI and Sul Khan-Saba Orbeliani]. Tbilisi: „sabch'ota mts'erali“.
- Ts'ereteli, Giorgi. (1967). „Stas erti ghame“. T'. I. [\"A Thousand and One Nights\", Vol. I]. Tbilisi: „sabch'ota sakartvelo“.
- „Tuti-name“. (2008). Sp'arsulidan targmna Magali Todua. [\"Tuti-name\". Translated from Persian by Magali Todua]. Tbilisi: „kartuli biografiuli tsent'ri“, „saari“.
- Uther, Hans-Jörg. Te types of International Folktales. A classification and Bibliography. Based on the System of Anti Aarne and Stith Thompson Paprt 1, part 2, Helsinki Academia Scientiarum Fennica.

Bela Mosia

ბელა მოსია

Shota Meskhia State Teaching University of Zugdidi

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

Georgia, Zugdidi

საქართველო, ზუგდიდი

Dragon Defender Saint George and World Experience

ვეშაპთან მებრძოლი წმინდა გიორგის კულტი და მსოფლიო გამოცდილება

Despite the fact that the topic of the cult of St. George fighting the dragon was discussed many times and by many scientists, we discuss the cult of St. George in the system of popular religion, church frescoes and icons, Georgian hagiography, hymnography and folklore. We will analyze its multifaceted form and meaning. The novelty of our research is the face of the dragon of Gveleti rock and the legend about its punishment by St. George. Particular importance is the petrification spell of the snake, which has survived to this day in Samegrelo, West Georgia.

Key words: Dragon, snake, petrified snake, petrify the snake

საკვანძო სიტყვები: დრაკონი, ვეშაპი, გაქვავებული გველები, გველის გაშემება

ვეშაპი, ვეშაპის მოკვლა, ვეშაპის მკვლელი გმირები ქართული მოთოლოგიის უძველესი მოტივია. აღნიშნული თემა მნიშვნელოვანია, იმდენად რამდენადაც მსოფლიო ფოლკლორისტიკის თანამედროვე კვლევებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ვეშაპთმცოდნეობას როგორც ცალკე მიმართულებას¹. ვეშაპთან ბრძოლისა და მისი დამარცხების მოტივი კვინ ტუიტის შრომებში საკმაოდ ვრცლად და დეტალურადაა განხილული ქართულ მაგალითებზე დაყრდნობით. დრაკონის გამოსახულების მრავალფეროვნებასა და მნიშვნელობაზე მსჯელობს ქეთევან სიხარულიძე. ვეშაპი როგორც ამბივალენტური არსება ის იყო დაკავშირებული მიწასთან, ქვესკნელთან და ზეცასთანაც და ასევე ცეცხლის ბუნებასაც ატარებდა. მისი ქართული სახელწოდება გველშაპი მას გველსა და ვეშაპს ერთნაირად აკავშირებს. ის უკავშირდება წყალსაც და როგორც გარკვევით ჩანს, ის საკმაოდ ამბიციურად გამოიყურება უძველესი წარმოდგენებიდან მოყოლებული. მან ბევრი რამ იცის, შესაბამისად, მას ბევრი რამ შეუძლია.

ვეშაპი, დრაკონი ერთ-ერთი უძველესი მითოლოგიური ურჩხულია და დღესაც ცოცხალია. მესხიერებაში ისინი ისევე შემორჩა როგორც ჯადოქრობის ბრალდებები, ალბათ იმიტომ, რომ ისინი ბიბლიაშია ნახსენები. მათი წარმოდგენა დაკავშირებულია ბიბლიურ გამოსახულებასთან.

ვეშაპის, დრაკონის გამოსახულება ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მოვლენაა. არსებობს დრაკონების რამდენიმე გამოსახულება – ხანჯლით დაკბილული ქვეწარმავალი მხეცების სიმრავლით, დიდი ღამურის მსგავსი ფრთებით, შხამიანი ეკლებით, ბასრი კლანჭებითა და ცეცხლოვანი სუნთქვით. თითოეული მათგანი ინდივიდუალური ფანტაზიით არის შევსებული. ვეშა-

¹ <https://www.mythicaldragonlore.com/science-behind-mythical-dragons.html> სტატიების სერია (ხელმისაწვდომი 2024 წლის 18 აპრილი).

პის, დრაკონის გამოსახულებები საქართველოში სხვა დანარჩენისგან განსხვავდება. ის გვხვდება ცეცხლოვანი, გველეთის კლდეზე გაქვავებული, უმეტესად კი წმინდა გიორგის ხატებზე. ვეშაპის ქართული სიმბოლოები უმეტესად ბერძნულის მსგავსია, ძირითადად ის გველია, გრძელი კუდით, ერთი თავით, გაქვავებული, ცეცხლოვანი და ფაქტობრივად მუდმივად დამარცხებული.

დრაკონი შეიძლება იყოს ნებისმიერი გველი, განსხვავებები შეიძლება იყოს ამ არსებების ზომებში, ფორმებსა და შესაძლებლობებში, როგორც ისინი ჩანან მითებში, ლეგენდებსა და ზღაპრებში. ამრიგად, დრაკონი არის ორმაგი სიმბოლო, რომელსაც შეუძლია გამოხატოს სიკეთე ან ბოროტება, ახასიათებს ურთიერთობას ბუნებასა და კაცობრიობის ცივილიზებულ სამყაროს შორის, განასახიერებს როგორც შექმნის, ისე განადგურების სურვილს. მიიჩნევა, რომ ვეშაპის მკვლელ, დამარცხებელ გმირებს საფუძვლები ქრისტიანულ რელიგიაში აქვთ, თუმცა გველეთის კლდის გაქვავებული ვეშაპის ლეგენდა ბევრად უფრო ძველია.

წმინდა გიორგი მნიშვნელოვანია ქრისტიანული ეკლესიისთვის, როგორც მართლმადიდებლური, ასევე კათოლიკური, პროტესტანტული ეკლესიისთვის. გარდა ამისა, წმინდა გიორგის სიკვდილი და აღდგომა მოხსენიებულია მუსლიმთა წმინდა წიგნის, ყურანის კომენტარებშიც. საქართველოში ყველამ იცის წმინდა გიორგის ტროპარი – „ტყვეთა განმათავისუფლებლო და გლახაკთა ხელის აღმკრობელო, სნეულთა მკურნალო და მეფეთა უძლეველო წინამძღოლო, ღვაწლით შემოსილო დიდო მოწამეო გიორგი, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩვენთათვის“.

წმინდა გიორგის კულტი საქართველოში IV საუკუნიდან იღებს სათავეს და ეს სულაც არ არის დამთხვევა. ქრისტიან წმინდანთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია წმინდა გიორგის. ამას მოწმობს ისიც, რომ საქართველოში ტაძრების უმეტესობა წმინდა გიორგის სახელზეა აგებული. როგორც ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს, „არ არის გორაკი, მაღალი და დაბალი, სადაც არ დგას წმინდა გიორგის ეკლესია“. ეს ტაძრები აშენებულია ქალაქებში, სოფლებში, კლდეებზე, მთის მწვერვალებსა და ძნელად მისადგომ ადგილებში. ეკლესიები მოხატულია წმინდა გიორგის ცხოვრებისა და სასწაულების ამსახველი ფრესკებით. მოწამის მტკიცე თაყვანისცემას გამოხატავს ისიც, რომ ერთი გავრცელებულია სახელი – გიორგი. წმინდა გიორგი ეკლესიის ისტორიაში შევიდა, როგორც ძლევა მოსილი, ციური მხედარი. იგი ითვლება ცხენოსნების, ფერმერების, მწყემსებისა და მოგზაურების მფარველ წმინდანად. ხალხი ასევე ევედრება მას დემონური ძალებისგან განთავისუფლებას.

ჩვენს ქვეყანაში, სხვა მართლმადიდებლური ქვეყნებისგან განსხვავებით, გიორგობა წელიწადში ორჯერ – 23 ნოემბერს და 6 მაისს აღინიშნება. ამ დღეს ყველა მოქმედ ტაძარსა და მონასტერში მოწამის სახელზე ლიტურგიები აღევლინება. ქართული რელიგიური დღესასწაულების უმეტესობა წმინდა გიორგის სახელს უკავშირდება. გიორგობას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სახელწოდებით ატარებდნენ: ქართლში გერისთობას¹, უსანეთობას (არსებობს გადმოცემა უსანეთობის ირემზე)², ატოცობას³ (შვიდ წელიწადში ერთხელ ვეშაპი მოდის, შემოეხვევა

¹ სოფელ გერის წმინდა გიორგის სალოცავი ქართლში, ლიახვის ხეობაში, სოფელ გერში მდებარეობს და ერთ-ერთი უდიდესი სალოცავია საქართველოში. <http://www.ambioni.ge/geristoba> (ხელმისაწვდომი 2024 წლის 18 აპრილი)

² უსანეთობის ირემი – სოფელ მეჯვრისხევში უსანეთობის დღესასწაულზე ირემი მოდიოდა შესაწირავად. მნათე რქებზე ანთებულ სანთლებს და უმაგრებდა, მარილს აალოკინებდა, ტანზე ბეწვს შეუტრუსავდა და ეკლესიის გარშემო სამჯერ შემოატარებდა. ამის შემდეგ ირემი დაიჩოქებდა და თავს დასაკლავად გადახრიდა. მნათე დაკლავდა ირემს და მის ხორცს იქ მისულ მლოცველებს გაუნაწილებდა. <https://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%97%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%98> (ხელმისაწვდომი 2024 წლის 18 აპრილი)

³ წმინდა გიორგისთან დაკავშირებული რელიგიური დღესასწაული <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=14&t=17491> (ხელმისაწვდომი 2024 წლის 18 აპრილი).

ტადარს კუდიტ პირში და როცა ხალხი შემოდის ტადარში, ის მათ გზას უხსნის) ეძახდნენ; კახეთში – ალავერდობა, თეთრი გიორგობა; სამეგრელოში – ილორობა და სხვა. გიორგობაზე ხალხი ეკლესიას სამჯერ თუ შვიდჯერ გარს შემოუვლის. გუნდი ქებას ასრულებს. თეთრ ხალათებში გამოწყობილი „ხატის მონები“, მძიმე ჯაჭვებით კისერზე, მუხლებზე დადიოდნენ ეკლესიაში და კედლებზე სანთლებს ანთებდნენ. კარის ზღურბლზე „ხატის მონა“ იწვა და ყველა, ვინც ტადარში შედიოდა, მას დააბიჯებდა. ლიტურგიის შემდეგ მსხვერპლშეწირულ პირუტყვსა და ფრინველს კლავდნენ, ტარდებოდა ვახშამი, რომელიც ხშირად რამდენიმე დღე გრძელდებოდა.

დღეს გორის მუნიციპალიტეტში, გორიჯვრის ტადარში, სასულიერო პირების წინააღმდეგობის მიუხედავად, ადგილობრივები ცხვრებსა და მამლებს სწირავენ. უნდა აღინიშნოს, რომ მსხვერპლშეწირვის ტრადიცია დაკავშირებულია წარმართობასთან და არა ქრისტიანულ რელიგიასთან, ისევე როგორც ეს კარგად ჩანს ზემოთჩამოთვლილ წმინდა გიორგისადმი მიძღვნილ არაერთ რელიგიურ რიტუალში.

საქართველოში წმინდა გიორგის თაყვანისცემა IV საუკუნის დასაწყისიდან დაიწყო. საქართველო, წმინდა გიორგის ქვეყანა, უძველესი დროიდან ასე იწოდებოდა. არსენ იყალთოელის თქმით, საქართველოს განმანათლებელი წმინდა ნინო დიდი მოწამის ბიძაშვილი იყო და ქართველმა ერმა მისგან შეიტყო წმინდა გიორგის წამების შესახებ. ლეგენდის თანახმად, სწორედ წმინდა ნინომ დააწესა ეს დღე დღესასწაულად.

წმინდა გიორგის სახელზე არაერთი სასწაულმოქმედი ხატია შექმნილი, რომლებსაც სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგი, დრაკონის შუბით მოკვლა – წარმოადგენს გამარჯვებას ბოროტებაზე. საქართველოში მრავალი ლეგენდა მოგვითხრობს, რომ წმინდანი ხშირად ეხმარებოდა ქართველ ჯარს მრავალრიცხოვან მტერთან ბრძოლაში, მათ შორის დიდგორის ბრძოლაში. წმინდა გიორგი ქართველ მეფეთა, ბაგრატიონთა დინასტიის გერბზე იყო გამოსახული, როგორც დრაკონის მკვლელი. ის არის ერთიანი საქართველოს სიმბოლო, განსახიერება და მფარველი. წმინდა გიორგი საქართველოს გერბის მთავარი ფიგურაა და ჰერალდიკასა და ვექსილოლოგიაში სიმბოლურად თეთრ ფონზე წითელი მართკუთხა ჯვრით არის გამოსახული.

ვეშაპის, დრაკონის შესახებ კვლევას მხოლოდ მაშინ აქვს მნიშვნელობა თუ მას დავიწყებთ არგონავტების მითიდან. არგონავტების მითი არის ბერძნული მითოლოგიის ერთ-ერთი მთავარი მნიშვნელობის ისევე როგორც მითები სამყაროს შექმნის, ღმერთების წარმოშობის, ზეციური ძალა-უფლებისთვის ბრძოლის, დიდ გამირებთან, ტროასა და თებეს ომებთან ერთად. არგონავტების მითის ციკლი უნდა ეფუძნებოდეს იმ შორეული დროის მეზღვაურების საშინელებათა შთაბეჭდილებებს, როდესაც ადამიანი ჯერ კიდევ სწავლობდა არც თუ ისე სრულყოფილი ზღვის გემის მართვას, წყალქვეშა რიფებს, ქარიშხალს, "მომრავ" კლდეებსა და დაუოკებელი დინებებს, რომლებიც მას ზებუნებრივი ძალების გამოვლინებად ეჩვენებოდა. არგონავტების მოგზაურობის მთავარი მიზანი იყო დიდი განძი „ოქროს საწმისის“ სახით. ეს ყველაფერი მოხდა ძვ.წ. XIII საუკუნის მეორე ნახევარში, რადგან უკვე ვხვდებით ამ ლაშქრობის მონაწილეთა დიდი ნაწილის შვილებს ტროას ომში, რომელიც სავარაუდოდ ძვ.წ. დაიწყო XIII-XII საუკუნეების მიჯნაზე. თუ დიდ მწერალს ხორხე ლუის ბორხესს ვენდობით, არგონავტების მითმა წარმოშვა მსოფლიო ლიტერატურის ოთხი მთავარი მოთხრობიდან ერთ-ერთი, განძის ნადირობა (დანარჩენი სამი არის ალყაში მოქცეული ქალაქი, სახლში დაბრუნება და თვითმკვლელობა. ღმერთი).

არგონავტებმა გემზე შეიარაღებული დარჩენა გადაწყვიტეს, ხოლო იასონი ფრიქსოსის ვაჟებთან და ორ მეზღვაურთან, ტელამონთან და აუგეასთან ერთად აიეტის სასახლისკენ გაემართა, რათა გაერკვია, დათმობდა თუ არა აიეტი ოქროს საწმისს. მათ გაიარეს კირკაიონის ხეობა და მალე მიაღწიეს აეტიუსის სასახლეს, რომელიც გარშემორტყმული იყო ფართო კარიბჭით შემკული კედლით. იასონმა და მისმა ამხანაგებმა ჯერ ქალკიოპე გაიცნეს, შემდეგ კი თავად აიეტიუსი და მისი ცოლი. მედეაც აქ იყო. ამასობაში ეროსმა დედის, აფროდიტესა და ჰერას დავალება შეასრულა და მედეას ისარი ესროლა.

მედეას საოცარი გატაცება ჰქონდა იასონის მიმართ. შვილიშვილებმა უთხრეს აიეტს მინი-ანებისგან მიღებული დახმარების შესახებ და ასევე იასონისა და არგონავტების მოსვლის მიზეზი. აიეტეს განრისხდა ამ განზრახვით, მაგრამ დაჰპირდა იასონს ოქროს საწმისის მიცემას, თუ დაარწმუნებდა მეფეს მის სიამაყესა და ძალაში და გააკეთებდა იმას, რასაც აიეტესი ზოგჯერ საკუთარი ხელით აკეთებდა. იასონს დაევალა შემდეგი დავალება: მას უნდა შეეპყრო ჰეფესტოსის მიერ გამოჭედილი ბრინჯაოს ცეცხლმოკიდებული ხარები და არესის მინდვრები გადაეხვნა და დრაკონის კბილები დაეთესა. მერე იქიდან გამოსულ შეიარაღებულ მეომრებს უნდა დაემარცხებინა და ეს ყველაფერი უნდა მოესწრო ერთ დღეში.

მედეა და იასონი შეხვდნენ ჰეკატეს ტამარში. იასონი მიხვდა, რომ ქალწული ღვთაებრივი გრძნობით იყო აღძრული და შეეცადა საგანგაშო სიტყვებით აეხსნა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო მისთვის კოლხის ასულის დახმარება. მედეამ იასონს წამალი მისცა და უთხრა, როგორ გამოეყენებინა. ქალის მშვენიერებამ და მისადმი გამოვლენილმა კეთილგანწყობამ მოხიბლა იასონი და მედეას მიმართ ძლიერი სურვილი აღუძრა. მან პირობა დაუდო კოლხის ასულს, რომ თუ ყველაფერი კარგად იქნება, მედეას სამშობლოში წაიყვანდა და ცოლად მოიყვანდა.

იასონმა ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც მედეამ უთხრა. აიეტმა აიღო დრაკონის კბილები დასათესად და შუალამისას თაფლით დაფარული ჰეკატეს მისცა. ქალღმერთმა შეისმინა ვედრება. დილაადრიან იასონმა წამალი სცხო სხეულსა და იარაღსაც. არგონავტები დიდი სისწრაფით მიცურავდნენ „არგოსთან“ არესის ხეობისკენ. აქ შეიკრიბნენ კოლხები და აიეტიც მოვიდა თავისი ბრწყინვალე ეტლით, საბრძოლო აღკაზმულობით. იასონი ამოცანის შესასრულებლად გაემართა, მივიდა ხარების თავხედურ უღელთან, გუთანთან და ანდამატის გუთანთან.

ორი ცეცხლმოკიდებული ხარი ადგა მიწიდან. მათ მიერ გასროლილმა ცეცხლმა არაფერი მოუტანა ჯეოსონს. დაიმორჩილა ისინი და უღელში შეჰყარა ისინი. მთელი მინდორი გააშენა და დრაკონის კბილები დათესა. მათგან გამოვიდნენ თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული გოლიათები. იასონმა მათ ქვა ესროლა, ისინი გარს შემოეხვივნენ ქვას და დაიწყეს ბრძოლა. იასონმა ისარგებლა ამით, შეუერთდა მათ და ყველა დახოცა. მიუხედავად იმისა, რომ დავალება შესრულდა, აიეტმა მაინც არ დათმო საწმისი და ახალი ხრიკი მოიფიქრა. ჰერამ მედეას გულში საოცარი შიში ჩაუნერგა. იმ ღამეს მივიდა არგონავტებთან და შეატყობინა, რომ მეფე მის და მინიონების მოკვლას აპირებდა. არგონავტებს გაქცევა მოუწიათ. იასონმა ზეგეს შეჰფფიცა, რომ ცოლად მედეას შეირთავდა. ამის შემდეგ, არგოსის რჩევით, მედეამ იასონი მიიყვანა არესის ხეობაში, სადაც ოქროს საწმისი ეკიდა დიდ მუხაზე, რომელსაც ურჩხული დრაკონი იცავდა. გველეშაპმა რომ დაინახა, საშინელი ხმით მთელი კოლხეთი შეაირყია. სენსაციურმა მედეამ დრაკონი ჯადოსნური გალობითა და წამლის წვეთებით დააძინა. იასონმა საწმისი მოიპარა და არგონავტებმა მაშინვე დატოვეს ადგილი.

ცნობილი არგონავტების მითის ეს ვრცელი ვერსია ჩვენთვის საინტერესოა კბილების დათესვის, მისგან ამოზრდილი მეომრებისა და მედეას მიერ გრძნეული გალობითა და წამლის პკურებით ვეშაპის დაძინების სიუჟეტების მიხედვით. ქართულ მასალებზე დაყრდნობით აღნიშნული მოტივების გარშემო ვაწარმოეთ კვლევა-ძიება.

კბილების დათესვისა და მისგან ამოზრდილი მეომრების შესახებ ვერსია ქართულში ვერ დასტურდება, მხოლოდ სამეგრელოში უყრიან სახლის სხვენზე თავგებს ბავშვების გამოცვლილ კბილებს თხოვნით, ამოღებულ ადგილას ახალი და თავგის კბილივით გამძლე ამოვიდეს. კბილის სხვენზე აგდების რიტუალს კი ლექსად ფორმირებული ტექსტი ახლავს: „ჭუკ მაჭუკელაია, ჩქიმ ჩიჩიე კიბირ სი ქოულუდას, სკან ჯგირ კიბირ მა ქომუჩი“ = „თავგო, თავუნია, ჩემი წამხდარი კბილი შენ წაიღე, შენი კარგი მე მომეცი“. მედეას მიერ გრძნეული გალობა და წამლის პკურებით ვეშაპის დაძინების მოტივი, როგორც არქაული და უძველესი, დღემდე გვაქვს გველის გაშემშების შელოცვებში, რომელსაც დღესაც იყენებენ რაჭაში, სამეგრელოში. შელოცვები უკვე სოციალური ქსელები-

თავ ვრცელდება და ხელმისაწვდომია მისი არა ერთი ვარიანტი¹. მას შეუძლია დროებით გველის მოდუნება, გაშეშება და არა მოკვდინება. მსგავსი შელოცვები დასავლეთ საქართველოში ბევრგან გვხვდება: კი-კი, კი-კი, კიბანახი, აჩანახი, ბაჩანახი, გველო შენ გამორაკრავდი თხილის ჯოხივით გაშეშდი“ (რაჭაში). „არისუ მარისუ სარია სარისუ, ბერწული დო ლაკარტია, ოდგიში, ოდგიშ, გვერს მეტახი ოჭიში“; „ალე, მალე, სალე, მალე სალე მაკუდელოა, გვერი ჭიჭე, გვერი დიდი, გვერი ართი-ანიშ ზომა, არიქა ოდგიში, ოდგიში, გვერს მეტახი ოჭიში“ (სამეგრელოში). გაშეშებული გველის მოტივზე ქართულ ფოლკლორში მსჯელობა ჩემ მიერ ადრეც ყოფილა გვლვეთის კლდის გარშემო არსებული ლეგენდის კვლევისას².

ვეშაპებს, გველებს, უჩხულს, დრაკონს საერთო მითოლოგიური სფუძველი აქვთ და ის შესაძლოა გველის სახით ყოფილიყო. ისინი განსახიერებდნენ მიწას, ქვესკნელს, როგორც დიდი თევზი ასევე წყალს (ზღვა, ოკეანე, მდინარე), წყლის ბატონებს, წყლის სტიქიას, ასევე ზეცასაც ფრინველივით, მას ცეცხლის ბუნებაც აქვს. გამომდინარე იქიდან, რომ ის ამდენ სამყაროს უკავშირდება, მან ბევრიც იცის. ისინი მთის, კლდის ბინადრები არიან, რაც მათ სინკრეტულობას უსვამს ხაზს. აქედან მოდის მისი მიწისა და ცის შუამავლის ბუნებაც. იმდენად რამდენადაც ვეშაპი წყლის პატრონია და წყალი სიცოცხლესთან ასოცირდება, ვეშაპიც ნაყოფიერების სიმბოლოა. ვეშაპი, როგორც ყველა სხვა უძველესი არსება, როგორცაა მონსტრები, გიგანტები, განძის მფლობელია. გველებს დღემდე სამეგრელოში ეზოში არ კლავენ, განძისა და ბედნიერების ნიშანი რომ არ აღიკვეთოს ოჯახში. გველები მიწაში დამარხულ ნაწილიან გმირებს ნაწილს ამოულოკავენ და ამის შემდეგ თვითონ ხდებიან განძის, ბედნიერების მფლობელები. ამდენად ეზოში მათი მოკვდა ბედნიერების აღმოფხვრას გულისხმობს. ვეშაპის მიერ შთანთქმული გმირები მის მუცელში განახლებიან, გადიან ინიციაციის გზას და თვითონ ამარცხებენ ვეშაპებს. ვეშაპის მუცელში გმირები იძენენ მის ძალასა და ცოდნას. გველის მჭამელი მინდიაც გველის ხორცის ჭამით სიბრძნეს ეზიარება. ბნელი ძალა და მავნე თვისებები მას მოგვიანებით უნდა შეეძინა. სწორედ აქედან ვეშაპების დამმარცხებელი გმირებიც გვიანდელია. განსაკუთრებული როლი ვეშაპის, გველვეშაპის გამოსახულებებში ქრისტიანობამ ითამაშა.

ვეშაპის გამოსახულების შესახებ ქართულ მითოლოგიაში ვრცელი მსჯელობის მერე ქეთევან სიხარულიძე ასკვნის: „ქართული ფოლკლორის მიხედვით შეგვიძლია დასკვნამდე მივიდეთ რომ გველვეშაპი მნიშვნელოვანი პერსონაჟი იყო ქართულ მითოლოგიაში, რომელიც განასახიერებდა სიბრძნესა და ნაყოფიერებას. ის მონაწილეობს ინიციაციის საიდუმლო რიტუალებში, გმირი მის მუცელში განახლდება. დრაკონის ქვის ქანდაკებები, რომლებიც აღმოჩენილია კავკასიის ტერიტორიაზე, არის დასტური მისი ამ კულტისა შორეულ წარსულში. მოგვიანებით დრაკონმა მიიღო ბოროტი არსის სახე. ის იწვევს გვალვას, იპარავს პირუტყვს, მალავს წყალს და იწვევს უნაყოფობას. მას დაამარცხებს გმირი, რომელიც შთანთქა დრაკონმა და მის მიერ იყო გაძლიერებული. დრაკონი შეიძლება მოკლას მხოლოდ მის წიაღში გაზრდილმა გმირმა. ეს სიუჟეტი გახდა მოგვიანებით საფუძველი დრაკონის / გველის მეზომოლი გმირების სიუჟეტის. მეზომოლთა შორის არის ხარი, რომელიც ჭექა-ქუხილის ღმერთის ერთ-ერთი ჰიპოსტასია. ეს ელემენტები ქართულ ნარატივებში გვხვდება. ეს გადმოცემები ჩანასახია უძველესი მითოლოგიური სისტემის, სადაც დრაკონის საკრალური სახეს ცენტრალური ადგილი ეკავა“ (სიხარულიძე 2017, გვ. 57).

ამდენად, საქართველოს ტერიტორიაზე დღემდე შემორჩენილი გველის გაქვავების, გაშეშების სიუჟეტები, შელოცვებისა და გადმოცემების უძველესი ნიმუშები ცხადყოფენ ბერძნული მედეას გარშემო გავრცელებული უძველესი პერძნული ეპოპეის გმირები კოლხური ძირების მატარებე-

¹ <https://ucnauri.com/38305/%E1%83%92%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%95%E1%83%90/> (ხელმისაწვდომი 22 აპრილი, 2024 წელი).

² ბელა მოსია, გაქვავებული გველის მოტივი ქართულ ფოლკლორში, ქართული ფოლკლორი 8 (XXIV), თბ. 2016, გვ. 81-87)

ლია. კოლხი ქალის ტრაგიკული ისტორიის ნაშთები დღემდე გვრჩება ჩვენი ყოფა-ცხოვრების ელემენტებში. გველის გაშეშების არა ერთი შელოცვისა და კბილების დათესვის ფრაგმენტული მოტივის სახით წეს-ჩვეულებაში. ფაქტია და ეჭვს არ იწვევს, რომ ქართული გენიალური წარსული ბევრჯერ იქნება ჩვენი მომავლის საწინდარი.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბერძენიშნილი ლ. (2022). მედეა, მედეასა და არგონავტების მითებისადმი მიძღვნილი ტრაგედიები, პოემები, ოდები და ფრაგმენტები, თბილისი.
- მოსია ბ. (2016). გაქვავებული გველის მოტივი ქართულ ფოლკლორში, ქართული ფოლკლორი 8 (XXIV), თბილისი.
- Kirby-Hirst, M. (UNISA) (2010). DRAGONOLOGY: THE IDEA OF THE DRAGON AMONG THE GREEKS AND THE ZULU <http://akroterion.journals.ac.za/>, 75-86.
- Sikharulidze, K. (2017). Image of Dragon in Georgian Mythology (ვეშაპის გამოსახულება ქართულ მითოლოგიაში). Journal in Humanities; ISSN: 2298-0245; e-ISSN: 2346-8289; Volume 6, Issue 2, 55-57.

References:

- Berdzenishnili L. (2022). Medea, medeasa da argonavt'ebis mitebisadmi midzghvnili t'ragediebi, p'oemebi, odebi da pragment'eb. [Medea, Tragedies, Poems, Odes and Fragments Dedicated to Medea and the Myths of the Argonauts]. Tbilisi.
- Kirby-Hirst, M. (UNISA) (2010). DRAGONOLOGY: THE IDEA OF THE DRAGON AMONG THE GREEKS AND THE ZULU <http://akroterion.journals.ac.za/>, 75-86.
- Mosia B. (2016). Gakvavebuli gvelis mot'ivi kartul polk'lorshi. Kartuli polk'lori 8 (XXIV). [The Motif of the Petrified Snake in Georgian Folklore, Georgian Folklore 8 (XXIV)]. Tbilisi.
- Sikharulidze, K. (2017). Image of Dragon in Georgian Mythology (ვეშაპის გამოსახულება ქართულ მითოლოგიაში). Journal in Humanities; ISSN: 2298-0245; e-ISSN: 2346-8289; Volume 6, Issue 2, 55-57.

Ketevan Sikharulidze

ქეთევან სიხარულიძე

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

Transformation Forms of European and Georgian Heroic Epics

ევროპული და ქართული საგმირო ეპოსების ტრანსფორმაციის ფორმები

The heroic epic is the original genre of the oral tradition of all peoples. Its further expansion and ideological and substantive changes were determined by the political and socio-cultural environment that formed over time, the state's development level, and the type of society.

The "classic" epic has already been demythologized. The epic hero fights for the benefit of society, so he gets the name of a national hero. A religious subtext appears, giving depth to the heroic ideal. This was facilitated by the formation of statehood and the literary processing of folk-art texts. This defines the difference between the heroic epics of large and small countries.

Keywords: Heroic epic, mythology, European literature, classical epic

საკვანძო სიტყვები: საგმირო ეპოსი, მითოლოგია, ევროპული ლიტერატურა, კლასიკური ეპოსი

თითქმის ყველა ხალხის ზეპირსიტყვიერების გამორჩეული ჟანრია საგმირო ეპოსი, რომელიც მითოლოგიის წიაღში ჩაისახა. ეპოსის წარმოშობაში წამყვანი როლი ეკუთვნის მითოლოგიური ცნობიერების ერთ-ერთ მთავარ მახასიათებელს – სამყაროში არსებული ძალების დაყოფას „თავისად“ და „უცხოდ“ და მათ დაპირისპირებას: ყველაფერი „თავისი“ აღიქმება კარგად, სასიკეთოდ, ყველაფერი „უცხო“ სახიფათოა და მტრულად განწყობილი. ამ წარმოდგენების საფუძველზე, ბუნებრივია, არქაულ ეპოსებში ძველი საზოგადოებების, ტომების ურთიერთობები და დაპირისპირებები ასახულია მითოლოგიური კატეგორიებით. ეპიკური დრო ესაზღვრება პირველქმნადობის, სამყაროს მოწყობის პროცესებს, როცა წინაპრების მონაწილეობით იქმნებოდა კულტურის პირველი ელემენტები. ე. მელეტინსკი თვლიდა, რომ საგმირო ეპოსის წარმოშობა განაპირობა მითებმა კულტურული გმირების შესახებ, რომლებიც ხშირად გმირობის ფასად მოიპოვებდნენ საზოგადოების განვითარებისთვის აუცილებელ საგნებსა და ცოდნას (Мелетинский, 1963, გვ. 25).

გვაროვნულ წყობილებაში განსაკუთრებით წამოიწია წინ მტრულ ძალებთან ბრძოლის თემამ, რომელმაც საზოგადოების წარმოსახვაში ისტორიული რეალობის ფასი შეიძინა. მეზრძოლიც თავისი ბუნებით, აღნაგობითა და ძალმოსილებით ენათესავებოდა მითოლოგიურ გმირს. მისი მოწინააღმდეგეები იყვნენ მითოსური არსებები, ურჩხულები, დრაკონები. მოქმედების მსვლელობაში მონაწილეობდნენ მითოლოგიური პერსონაჟები. ეპიკური ნაწარმოების შინაარსის მთავარი მომენტებია ბრძოლა და გამარჯვება. სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში ბრძოლის შინაარსი სხვადასხვა იყო, მაგრამ არის ერთი რამ, რაც აერთიანებს ბრძოლის ხასიათს ეპოსის განვითარების ყველა ეტაპზე: ბრძოლას აქვს საერთო სახალხო და სახელმწიფოებრივი, უფრო გვიანდელ ისტორიულ ეპოქებ-

ში მკაფიოდ გამოხატული კლასობრივი ხასიათი. იგი მიმდინარეობს არა ვიწრო მიზნისთვის, არამედ ხალხის მაღალი იდეალებისთვის მოცემულ ეპოქაში (Ирощи, 1955, გვ. 30).

საგმირო ეპოსის შემდგომ გაფართოებასა და იდეურ-შინაარსობრივ ცვლილებებს განაპირობებდა დროთა განმავლობაში ჩამოყალიბებული პოლიტიკური და სოციალურ-კულტურული გარემო. საგმირო ეპოსის პერსონაჟთა ხასიათებს, მოქმედების მიზანსა და ასპარეზს განსაზღვრავდა სახელმწიფოს განვითარების დონე და მათი მატარებელი საზოგადოების ტიპი. სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში თავს იჩენს ეროვნულობის განცდაც. ესაა დიდი და მცირე ქვეყნების საგმირო ეპოსების განსხვავების ერთ-ერთი მიზეზი.

ხალხთა დიდ გადასახლებებს მოჰყვა დასავლეთ ევროპაში ახალი საზოგადოებების, მათი ერთობებისა და სახელმწიფოების შექმნა, რის შედეგადაც დაჩქარდა ქრისტიანიზაციის პროცესი. ევროპაში ფეოდალური საზოგადოების განვითარება რამდენიმე ეტაპად წარიმართა. V-X საუკუნეებში მოსახლეობა ძირითადად სოფლებში ცხოვრობდა, წამყვანი იყო მიწათმოქმედება, ფეოდალებს ჰქონდათ საკმარისი დამოუკიდებლობა. XII-XV საუკუნეებში გაჩნდა ქალაქები, ჩამოყალიბდა ფეოდალური საზოგადოების სტრუქტურა, რომლის სათავეში იდგა მეფე.

შუა საუკუნეების ევროპაში განსაკუთრებული პოპულარობა შეიძინა საგმირო ეპოსმა, როგორც სარაინდო იდეოლოგიის მატარებელმა, რადგანაც რაინდობა მაღალი ავტორიტეტით სარგებლობდა საზოგადოების ყველა ფენაში. სახალხო მომღერლებმა (ჟონგლიორებმა, ტრუბადურებმა) გადაამუშავეს ეს სიმღერები, რომლებმაც თანდათან მიიღეს სიუჟეტურად და სტილისტურად ორგანიზებული სახე.

ადრეული შუა საუკუნეებიდან მოყოლებული საგმირო ეპოსმა ევროპაში კლასიკური ფორმა მიიღო XI საუკუნიდან და გაგრძელდა XIV საუკუნემდე. ამავე დროს დაიწყო მათი ჩაწერაც. კლასიკურ ეპოსში, რომელიც დიდ წილად ისტორიულ გადმოცემებს ემყარებოდა, ინტენსიურად მიმდინარეობს დემითოლოგიზების პროცესი. დემონურ პერსონაჟებს ცვლიან რეალური მტრები და მათთან კონფლიქტში ისტორიული მოვლენებიც აისახება. ეპიკური გმირი გამოირჩევა არა გოლიათური აღნაგობითა და არაჩვეულებრივი ღონით, არამედ მამაცობითა და ბრძოლის ხელოვნებით. იგი იბრძვის საზოგადოების სასარგებლოდ, ამიტომ იძენს ეროვნული გმირის სახელს და მისი ბრძოლის ასპარეზიც ფართოვდება. ჩნდება ახალი კოლიზიები, ზნეობისა და ღვთისმოშიშობის ქრისტიანული პლასტები, რაც მიზანმიმართულს ხდის ეპიკური პერსონაჟის აქტივობას და სიღრმეს მატებს გმირულ იდეალს. თანდათან ყალიბდება ფეოდალური სულისკვეთებაც. ფეოდალური მოვალეობის შესრულება რაინდის უმაღლესი ქმედებაა, როცა მიზნის მისაღწევად მსხვერპლის გაღებაც სავალდებულოა. ამის კარგი მაგალითია ფრანგული ეპოსი „სიმღერა როლანდზე“, რომელმაც ფეოდალური იდეალების განდიდებით ეთიკური ძალაც შეიძინა. მასში უკვე ჩანს პატრიოტიზმი და ნაციის გაერთიანების ტენდენცია (Bacon, 1914, გვ. 10)

ძველ ინგლისურ ეპოსს „ბეოვულფს“ საფუძვლად უდევს თქმულებები სახალხო გმირის – ბეოვულფის შესახებ. ვარაუდობენ, რომ იგი გაამთლიანეს და ლიტერატურულად დაამუშავეს იმ პერიოდში, როცა ანგლო-საქსებმა მიიღეს ქრისტიანობა, კერძოდ, VII საუკუნის შუა ხანებში (ბეოვულფი, 1989, გვ. 197). ამის შედეგად ეპოსი გახდა მრავალშრიანი და მთავარი პერსონაჟის სახეც გართულდა. ნაწარმოების პირველ ნაწილში იგი საგმირო ეპოსის ტიპიური გმირია, მეორეში კი უკვე ხალხის წინამძღოლად, მეფედ გვევლინება. ეპოსში დახატული სამხედრო ყოფა მიუთითებს, რომ ის გვაროვნული წყობის დაშლის პერიოდში შეიქმნა, მაგრამ ფეოდალიზმის ეპოქაში, VIII-IX საუკუნეებში ლიტერატურულად დამუშავდა და ჩამოყალიბდა, როგორც წიგნიერი კულტურის პროდუქტი, რომელშიც აშკარაა ქრისტიანული მრწამსის გავლენა. მესამე დრაკონთან ბრძოლისას ბეოვულფის მიზანია საკუთარი ხალხის გათავისუფლება ურჩხულისგან, რასაც უკვე აქვს პატრიოტული დატვირთვა. ამ ნაწარმოებში ასევე ჩანს ისტორიული წარსულის გამოძახილი: ჩრდილო-გერმანელი ხალხების როგორც ურთიერთდაპირისპირება, ისე მათი კონფლიქტები სამხრეთ-გერმანელ მეზობლებთან (Алексеев, 1943, გვ. 22).

მსგავს პროცესებს ასახავს გერმანული საგმირო ეპოსი, რომლის გამთლიანება და გადამუშავება დაიწყო მაშინ, როცა საფრანგეთში უკვე არსებობდა სარაინდო რომანები. ამან გავლენა მოახდინა მასზე. ხალხური თქმულებების საფუძველზე ჩამოყალიბებული გერმანული ეპოსის შინაარსი საკმაოდ ძველია, გმირები კი უკვე სარაინდო ტრადიციების სტილში არიან დახატულნი. მითოლოგიური მოთხრობები გვხვდება უფროსი და უმცროსი ედას სახელით ცნობილ წიგნებში. მათ შორისაა სიგურდის ამბავი, რომლის რამდენიმე ვერსიაც ცნობილი. ვერსიები სხვადასხვა ეპოქასა და საზოგადოებას განეკუთვნება და მათ შორის განსხვავებას სწორედ ეს ფაქტორი განაპირობებს. სიგურდი უკვე ზიგფრიდად სახელდებული ხდება „ნიბელუნგების სიმღერის“ პერსონაჟი. ამ საგმირო ეპოსის უკანასკნელი რედაქცია შექმნა სასახლის ლიტერატურის წარმომადგენელმა, უცნობმა პოეტმა XII საუკუნის დასასრულს, ფეოდალიზმის აყვავების პერიოდში. მასში აისახა იმ დროის ფეოდალური და ქრისტიანული ყოფის სურათები და სოციალურ-პოლიტიკური ვითარება. ეს ისტორია მოდიფიცირებულია შუა საუკუნეებისთვის დამახასიათებელი სახეებითა და სტილით. სიმღერაში ახლებურადაა დამუშავებული ხალხური ეპოსიდან აღებული პერსონაჟები და მოტივები. ისინი ნაკარნახევია ფეოდალური საზოგადოების სამხედრო და სამოქალაქო ცხოვრებითა და იდეოლოგიით. წამოწყებულია რელიგიის საკითხიც. ჩვენს დროში ზიგფრიდის მითმა მიიღო მრავალნაირი ფორმა. შეიქმნა უილიამ მორისი პოემა „სიგურდ ველსუნგი“, ვაგნერის ოპერა „ნიბელუნგების ბეჭედი“, ვ. ჯორდანის „ზიგფრიდის საგა“, ემანუელ გეიბლის ნაწარმოები „ბრიუნჰილდას ტრაგედია“ (Baldwin, 2009).

XV-XVII სს.-ის დასაწყისი გვიანი ფეოდალიზმის ხანაა, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების, ხელოსნობისა და სავაჭრო ურთიერთობების განვითარების დრო. ამან გამოიწვია ღრმა ცვლილებები პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში. თავის მხრივ ამას მოჰყვა ლიტერატურისა და ხელოვნების აყვავება. გაიზარდა გმირის ასპარეზი, აქცენტები გადავიდა საზოგადოებისადმი გმირის დამოკიდებულებაზე, მასშტაბური გახდა მისი მოქმედებები და შედეგები, შესაბამისად, გაიზარდა ნაწარმოების მოცულობა. ლიტერატურული გადამუშავების პროცესში შეიქმნა პერსონაჟთა ახალი ხასიათები, შინაარსში შემოვიდა ისტორიული გარემო და ეროვნულობის მუხტი. ამ პერიოდების მიხედვით შეიძლება ვისაუბროთ შუა საუკუნეების ლიტერატურის წამყვანი ჟანრის – საგმირო ეპოსის ცვლილებებზე. ადრეფეოდალურ ეპოქაში ჯერ კიდევ დომინირებს ხალხური საგმირო ეპოსი, რომელიც თანდათან გადადის სარაინდო რომანში. ეკლესიასაც მოსწონს ამ ტიპის ნაწარმოებები, რადგან აქ გმირობა აღწერილია სარწმუნოების სახელით.

ზემოთ დასახელებულ ნაწარმოებებში (ფრანგული, ანგლო-საქსური, გერმანული ეპოსები, ასევე ისლანდიური საგები) აისახა ხალხური მოტივები და სახეები, მაგრამ ისინი საგრძნობლად შეიცვალა: გაფართოვდა მათი სიუჟეტი, შინაარსი და მოცულობა. ამას ხელი შეუწყო სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებამ და ხალხური შემოქმედების ტექსტების ლიტერატურულმა გადამუშავებამ. შუა საუკუნეებში ჩნდება „წიგნური ეპოსი“, რომელიც ემყარება ზეპირ ტრადიციას, მაგრამ იღებს თავისებურ ფორმას ლიტერატურული გადამუშავების შედეგად. საგულისხმოა, რომ ამ ეპიკურ ნაწარმოებებს არ ჰყავთ ავტორი და ანონიმურობა ამ შემთხვევაში პრინციპულია. ის პირები, ვინც გააერთიანა, გააფართოვა და გადაამუშავა პოემები, თავს არ თვლიდნენ მათ მიერ დაწერილი ნაწარმოებების ავტორებად, რადგან ყველასათვის ცნობილ ტრადიციულ ეპიკურ სიუჟეტზე მუშაობა შუა საუკუნეებში არ აღიქმებოდა ავტორობად არც საზოგადოებისა და არც თავად პოეტის მიერ.

შედარებით-ტიპოლოგიურმა ანალიზმა ცხადყო, რომ ეპიკური შემოქმედების განვითარება (დიდი მასშტაბით – დასავლეთი-აღმოსავლეთი) ემორჩილებოდა საერთო კანონზომიერებებს და ჰქონდა რამდენიმე ერთგვაროვანი ეტაპი, რომელიც წინა ეტაპთან მიმართებაში ტიპოლოგიურად მემკვიდრეობითი იყო (Неклюдов, 2015, გვ. 125).

ქართულ ფოლკლორში საგმირო ეპოსი წარმოდგენილია უძველესი ძეგლით – ამირანის თქმულებით, რომლის შინაარსი ხანგრძლივი დროის განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიცვალა,

მაგრამ იმის გამო, რომ ის წერილობით არ დაფიქსირებულა, ჩვენთვის უცნობია მისი ტრანსფორმაციის ფორმები. სავარაუდოდ, ამირანის ამბავი თავდაპირველად შეიქმნა, როგორც მითი, რომელშიც აისახა დაპირისპირებულთა ბრძოლის უნივერსალური მოდელი. მოგვიანებით ჩამოყალიბდა თქმულებათა ციკლი, რომელმაც საბოლოოდ ეპოსის სახე მიიღო.

ქართულ ლიტერატურაში XI საუკუნეში საერო ნაკადი იწყება მოსე ხონელის საგმირო-სარაინდო რომანით „ამირანდარეჯანიანი“, რომლის მნიშვნელოვანი წყარო ამირანის ხალხური ეპოსია. საყურადღებოა, რომ ხალხური თქმულებების საფუძველზე საგმირო-სარაინდო თხზულებები ქართულ მწერლობასა და ევროპულ ლიტერატურაში ერთსა და იმავე პერიოდში იქმნება, კერძოდ, XI-XII საუკუნეებში, რასაც ალბათ ფეოდალური საზოგადოების ჩამოყალიბებისა და ლიტერატურული პროცესების ერთგვაროვნება განაპირობებდა. მოსე ხონელის ნაწარმოებსა და ხალხურ თქმულებას შორის მსგავსება არის როგორც პერსონაჟთა სახელების, ისე სიუჟეტური ეპიზოდების დონეზე. ხალხური მასალის გამოყენებით ავტორი ქმნის ნაწარმოებს სარაინდო რომანის კანონზომიერებებით, რომელშიც ფეოდალური ურთიერთობებიც აისახება. იგი ცალკეული მოთხრობების კრებულაა, რომლებსაც აერთიანებთ ამირან დარეჯანიანის ამბავი. მაგრამ აქ ვერ ვხედავთ გმირის სახის განზოგადებას და ეროვნული ნიშნით ამაღლებას. თხზულების მხატვრული ღირებულება ბევრად ჩამორჩება არათუ ევროპულ საგმირო ეპოსებს, არამედ ქართული ხალხურ ეპოსს სტრუქტურისა და სახეების სრულყოფის თვალსაზრისით. *„მწიგნობრული თხზულების გმირი ამირან დარეჯანის ძე გაცილებით დაბალი მხატვრული სახეა, ვიდრე ხალხური შემოქმედების მიერ წარმოსახული ღვთის ურჩი ამირანი“* (ჩიქოვანი, 1965, გვ.77).

დროთა განმავლობაში არქაულ პლასტებს შეერია შედარებით ახალი მოტივები, რამაც განაპირობა მთავარი პერსონაჟის წინააღმდეგობრივი ხასიათი. დღეს ძნელია იმის დადგენა, რა ცვლილებები მოხდა ტექსტის შინაარსსა და სტრუქტურაში, რადგან თქმულების ჩანაწერები მოგვეპოვება XIX საუკუნიდან. ამ პერიოდიდან იწყება ხალხური ეპოსის ტექსტში ჩარევა. ზოგჯერ პუბლიკაციების ავტორები თვითნებურად ცვლიდნენ ჩანაწერს, რედაქტირებული ტექსტი კი გავლენას ახდენდა თხზულებაზე და მის ცალკეულ მოტივებზე.

საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობამ განაპირობა ამირანის სახის ახლებური გააზრება. ამ დროს დაიწყო მიჯაჭვული გმირის გაიდეალება და მისი გათავისუფლება სოციალური თანასწორობის აღდგენას დაუკავშირდა. ეროვნული ძირების წარმოსაჩენად საჭირო გახდა საერთო ქართველური გმირის სახე, რომელსაც სიმბოლური დატვირთვა ექნებოდა. მე-20 საუკუნემ წინა საუკუნიდან მემკვიდრეობით მიიღო ამირანის გამორჩეული გმირული პათოსი და სამშობლოს თავისუფლების იდეის მატარებელ სახედ დამკვიდრდა ქართულ ლიტერატურაში, თუმცა აქაც ვერ იქცა მასშტაბურ გმირად. ნაწარმოების ქრისტიანიზაციის პროცესიც ვერ განვითარდა სრული სახით. ამირანის თქმულებაში ქრისტიანული კონცეპტის შესაბამისი ელემენტები სახეზეა. პერსპექტივაში მათ გაშლა-განვითარებას უნდა მოჰყოლოდა ახალი, ქრისტიანული სემანტიკის მქონე პერსონაჟებისა და ეპიზოდების გაჩენა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შინაარსისა და ფორმის ურთიერთშემოქმედება მოგვეცემდა ქრისტიანობის შესაბამისად ტრანსფორმირებულ ვერსიას. მაგრამ დაწყებული ტენდენცია ვერ განვითარდა, ამ ელემენტებმა ვერ მიადწიეს სტადიალურ განვითარებას (ისინი მოტივებადაც ვერ ჩამოყალიბდნენ). ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ამირანის თქმულების ქრისტიანიზაცია ვერ განხორციელდა (სიხარულიძე, 2001, გვ. 210).

თავად ამირანი დარჩა მითო-ეპიკურ სახედ. ეს იმას ნიშნავს, რომ მითოლოგიურმა პერსონაჟმა მითის ეპოსად ქვევისას მიიღო ეპიკური გმირის ნიშნები. ამირანი უპირისპირდება ღმერთს (რაც უძველესი მითოსური პლასტია ამ ეპოსში) და ამპარტავნებით შეპყრობილს ავიწყდება თავისი მისია, თუ რისთვის მიენიჭა ღონე, ფიზიკური შესაძლებლობა. თხრობაში შემოვიდა ჟანრის დამახასიათებელი ეპიზოდები, მაგრამ პატარა ქვეყანაში კუთხური დანაწევრების პირობებში ნაწარმოებმა ვერ მიიღო საგმირო ეპოსის ის მასშტაბი, რომელიც დამახასიათებელია ევროპული ეპოსებისთვის. „ამირანიანიში“ არ ჩანს სოციალური გარემო, საზოგადოება, რომელსაც გმირი უნდა წარმოად-

გენდეს. სამაგიეროდ ქართულმა ცნობიერებამ საგმირო ეპოსში შემოიტანა სრულიად განსხვავებული პლასტები. მან პრობლემა ზნეობრივ პლანში გამოკვეთა. ამირანის სახეში წინ წამოსწია გონიერებისა და მადლიერების დეფიციტი, რამაც იგი ტრაგიკულ პერსონაჟად ჩამოაყალიბა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბეოვულდი (1989). ანგლო-საქსური საგმირო ეპოსი, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- სიხარულიძე, (2001). სიხარულიძე, ქ. ამირანის თქმულების ქრისტიანიზაციის საკითხისათვის, ქართველური მემკვიდრეობა, V, 210-214. ქუთაისი: „ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.
- ჩიქოვანი, (1965). ჩიქოვანი, მ. ქართული ეპოსი, წ. 2, 46-109. თბილისი: „მეცნიერება“.
- Bacon, L. (1914). *The Song of Roland*, Introduction, 7-11, London: Oxford University Press.
- Baldwin, J. (2009). *The Story of Siegfried*, the foreword, *The Project Gutenberg EBook*.
<https://www.gutenberg.org/files/6866/6866-h/6866-h.htm>
- Алексеев, М.П. (1943). Беовульф в кн. История английской литературы, т.1, 22-276 М.-Л.: Издательство Академии Наук СССР.
- Мелетинский, Е.М. (1963). Происхождение героического эпоса, 21-95. Москва: Восточной Литературы.
- Неклюдов, С.Ю. (2015). Поэтика эпического повествования, 125-136. Москва: «Форум».
- Пропп, В.Я. (1955). Русский героический эпос, 30-56. Ленинград: Издательство Ленинградского Университета.

References:

- Alekseev, M. (1943). *Beowulf v kn. Istoria angliskoi literature*. [Beowulf in the book History of English Literature]. Moscow-Leningrad: Publisher Academy of Sciences of USSR.
- Bacon, L. (1914). *The Song of Roland*, Introduction, 7-11, London: Oxford University Press.
- Beovulpi. (1989). *Anglo-saksuri ep'osi*. [Beowulf, Anglo Saxons heroic epic]. Tbilisi: „Sabch'ota Sakartvelo“.
- Baldwin, J. (2009). *The Story of Siegfried*, the foreword, *The Project Gutenberg EBook*.
<https://www.gutenberg.org/files/6866/6866-h/6866-h.htm>
- Meletinski, E. (1963). *Poiskhojdenie geroicheskogo eposa*. [The Origin of Heroic Epic]. Publishing House of Eastern Literature.
- Nekludov, S. (2015). *Poetika epicheskogo povestvovania*. [The Poetics of Epic Narrative]. Moscow: “Forum”.
- Propi, V. (1955). *Ruski geroicheski epos*. [Russian Folk Epic]. Leningrad: publisher Leningrad University.
- Sikarulize, K. (2001). *Amiranis tkmulebis krist'ianizaciis sak'itkhisatvis. Kartveluri memk'vidreoba, V*. [The problem of Cristianization of the story about Amirani, Kartvelian Heritage, V]. Kutaisi: “Kutaisi State University”.
- Chikovani, M. (1965). *Kartuli ep'osi, t'omi 2*. [Georgian Epic, book 2]. Tbilisi: “Mecniereba”.

<https://www.gutenberg.org/files/6866/6866-h/6866-h.htm>

The Project Gutenberg EBook of The Story of Siegfried, by James Baldwin

THE STORY OF SIEGFRIED

By James Baldwin

New York Charles Scribner's Sons

Title: *The Story of Siegfried*

Author: James Baldwin

Release Date: June 2, 2009 [EBook #6866]

Mary Khukhunaishvili-Tsiklauri

მერი ხუხუნაიშვილი-წიკლაური

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

Myth and Folklore in Georgian Medieval Secular Prose Romance

“Amirandarejaniani” by Mose Khoneli

მითი და ფოლკლორი მოსე ხონელის (XII ს.) საფალავნო-სათავგადასავლო რომანში „ამირანდარეჯანიანი“

Annotation: The romance is based on the mainstream of depicting moral nature, physical quality of true knights and their life style presented in their fabulous adventures. The author merged artistic image of Amirandarejanisdze into nature of Georgian folk hero, demigod Amirani. Some adventures take place on invented mythical territories. One can find there the motifs of international tales of magic.

Key words: secular romance, Amirandarejanisdze, folklore, mythology

საკვანძო სიტყვები: საერო რომანი, ამირანდარეჯანისძე, ფოლკლორი, მითოლოგია

მითის და ფოლკლორის კავშირი მხატვრულ ლიტერატურასთან უნივერსალური მოვლენაა და ბუნებრივია მისი კვლევა დღემდე აქტუალურია. აღნიშნულმა პროცესმა საქართველოში საერო ლიტერატურის შექმნის დასაწყისშივე იჩინა თავი შოთა რუსთაველის წინამორბედის მოსე ხონელის საფალავნო-სათავგადასავლო რომანში „ამირანდარეჯანიანი“. ბრიტანელი მკვლევრის დოალდ რეიფილდის შეფასებით „ამირანდარეჯანიანი“ „გენიოსის მიერ შექმნილი ნაწარმოებია... რომანის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ის მითისა და ეპოსის ზღვარზე დგას, სადაც ღმერთ-კაცი ებრძვის ფანტასტიკურ არსებებს და ამტკიცებს ადამიანური ძალის უპირატესობას, მეორეს მხრივ კი გმირი იბრძვის იდეალის ან ჯილდოსთვის და შინაგან თვისებებს ამჟღავნებს“ (Rayfield, 2000, p. 70). რომანი თორმეტი ამბისგან შედგება, მათი გამაერთიანებელი ამირან დარეჯანისძის თავგადასავლება, რომელიც ერთის მხრივ რეალურ გარემოში, მეორეს მხრივ კი მითიურ-ფანტასტიკურ სივრცეში ვითარდება: მნათობთა სამეფოში, ტილისმათა ქვეყანაში, ზღვათა მეფის სამფლობელოში, ბალხეთში. ავტორი ამირან დარეჯანისძის სახით წარმოგვიდგენს ფიზიკურად ძლიერ და სულიერად ამაღლებულ გმირს, შუასაუკუნეების იდეალურ რაინდს და ამავედროულად ოსტატურად ახერხებს მასში ქართული ხალხური საგმირო ეპოსის გმირის, ამირანის ზებუნებრივი თვისებების შერწყმას. „ამირანდარეჯანიანი“ ხალხური ეპოსის სხვა ცნობილი სახეებიც გვხვდებიან: ბადრი, უსიბი, იამანი და ამბრი. რომანი არ არის რელიგიური იდეის ან ეროვნული პათოსის მქადაგებელი. არაბები, ინდოელები, თათრები, იემენელები, თურქები, ხაზარები, სპარსელები, ჩინელები და აზიისნიელები თანასწორები არიან. ამირანდარეჯანისძე და მისი მეგობარი რაინდები მიზნის მისაღწევად უკაცრიელ, ხიფათიან გზებს ირჩევენ, სადაც რეალური და მითიური არსებები სახლობენ... ამირანის თქმულების მოტივების გარდა რომანი ჯადოსნური ზღაპრის საერთაშორისო

მოტივებითაც სარგებლობს, რომელმაც ქართულ ჯადოსნურ ზღაპრებშიც ვხვდებით: მაქციობა ფრინველად და ცხოველად (ATU 301, 325, 315, 329, 408, 449, 445 B, 450, 665, 962 ***), ცალარქა (ATU 480, 566, 825, 943F, 1640), სპილო (ATU 567 A, 851,1310), წითელსახიანი კაცი (ATU 1588*), გველეშაპის მკვლელი (ATU 300, 300 A, 301, 303, 305, 314, 315, 317, 321, 328 A*), დევი (Ogre) იტაცებს ადამიანს, მეფის ასულს (ATU 301), ცალთვალა დევი, დევის თვალის დაზიანება (ATU 485, 1137) თვალუწვდენელი სასახლე, ციხე-კოშკი (ATU 425 C), ჯადოსნური ტყე (ATU 425), დაძმობილება (ერთ დღეს დაბადებულების) (ATU 516), გოლიათი, ბუმბერაზი (ATU 304, 314A, 315, 400,518, 590, 611, 711. 1099, 1640), წალკოტი (ATU 310), უკვდავების წყალი (ATU 303, 314, 332, C*, 519, 533, 550, 551, 590, 706, 707), სპილენძი (ATU 322 *).

რომანში აღწერილია შუასაუკუნეების რაინდის ზნეობრივი კოდექსი, რაინდული ორთაბრძოლა, ომის წესები, შუასაუკუნეების საომარ აღჭურვილობა – ლახტი, ხმალი, შუბი, კინე, საომარი ცხენის ჯიშები, რაინდთა ნადირობა, ლხინი, ჭადრაკით თავშექცევა. ავტორის ცნობით, მაღალი რანგის აზნაურს „ჭაბუკობით“ (ვაჟკაცობით) შეეძლო ხელმწიფეც კი გამხდარიყო. რომანი აქტუალურია შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნების შესასწავლად (აკოფაშვილი, რაინდობა საქართველოში, ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, თბილისი, 1996; ჯავახია, რაინდობა შუა საუკუნეების საქართველოში, 2008; ანჩაბაძე, საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები, 2010; წოწორია, ცხენოსანთა შუბით ბრძოლა აღმოსავლეთში. ქართული გამოცდილება, შუასაუკუნეების სამხედრო ისტორიის საერთაშორისო ჟურნალი. ტ. XII. 2014. International Journal of Medieval Military History).

ამირან დარეჯანისძე მიზნად ისახავს სახოლომხვეჭილ რაინდებთან შეჭიდებით გამოსცადოს თავი, უმეგობრდება მათ, ებრძვის მეგობრების მტრებს – ბუმბერაზებს, სამეფოებს, ეხმარება მათ ხელმწიფის ასულზე დაქორწინების სირთულეების დაძლევაში. „მკლავით ღონიერი“ დარეჯანისძე ამარცხებს ოთხასათასიან ლაშქარს, ათ ბუმბერაზს, კლავს ხუთას ღომს და ვეფხვს. რთულ სიტუაციაში მყოფი ბრძენის და აგინებს საკუთარ თავს, რითაც ხალხური ეპოსის გმირს ჩამოჰგავს: „გაწბილებულ ამირანს მზისაცა სცხვენოდა და კაცისაცა. თავი მკვდარში ჩაითვალა, ვინ ამირანი, ვინ ეს ამბავიო. გული ჰკლავდა, ჯავრი და ვარამი დღეს უბნელებდა მზიანსა, სიცოცხლეს ჰგმობდა, სიკვდილსა ნატრობდა ნამუსიანსა. საბნელოს ჩაჯდა ამირან, შამაიკრიფა ფეხები, თუ ამის მეტი არ ვიყავ, სამზეოს რას ვეხეხები“ (ამირანიანი, 2019, გვ. 163). „ამირან ჩამატროდა, ცხენ ოქროს ჩამაგდებული, გზად დედა წამეგება: – რად მახვედ დაღრუბლებული? – ღმერთი კი არ ორ, დედაო, სუ ვიყავ გამარჯვებული“ (ამირანიანი, 2019, გვ. 178). დარეჯანისძე მოწინააღმდეგეს არ პატიობს ბრძოლის დროს სიმუხთლეს, რაინდული პატივით ეპყრობა დამარცხებულ მეფეს, ფათერაკთან შესახვედრად, მიუხედავად გაფრთხილებისა, რთულ გზას ირჩევს. ამირანის ეპოსის გმირის მსგავსად სახელგანთქმული რაინდების მიმართ შურს ვერც ის მალავს და ამავედროულად დაჩაგრულთა ქომაგიცაა.

მოსე ხონელი მკითხველისთვის ამირან დარეჯანისძის გაცნობას პირველივე კარიდან, „აბესალომ ინდოთ მეფის ამბიდან“ იწყებს. პროლოგი ხალხური ეპოსის ცნობილი ეპიზოდს „სამთა ნადირობას“ ეხმიანება: „სანადიროდ წამოვიდნენ ამირან და მმანი მისნი, წინ ირემი წამოუხტათ, ოქროსია რქანი მისნი“ (ამირანიანი, 2019, გვ. 100). ამ ეპიზოდის სიძველეს ქართულ ქორეოგრაფიის ისტორიაც ადასტურებს. უძველეს ქართულ ფერხულებად სამი ფერხულია მიჩნეული: „დალი კლდეში მშობიარობს“, „სანადირო“, იგივე „სამთა ნადირობა“ და „ლილე“. პირველი და მეორე მონადირეთა საზოგადოებაში შეიქმნა, „ლილე“ კი ასტრალური პანთეონს უკავშირდება და მიწათმოქმედთა საზოგადოების პირმშოა (თათარაძე, 1976, გვ. 16-17). ამირანოლოგთა აზრით, სწორედ სამონადირეო ბაღადა „დალის კლდეში მშობიარობს“ დაედო საფუძვლად ამირანის დაბადების ამბავს (ვირსალაძე, 1964, გვ. 74-79). მოსე ხონელის რომანის მიხედვით, ნადირობისას ინდოეთის მეფე აბესალომი ქურციკს გადაეყრება, რომელსაც „რქანი ესხნეს ოქროსა ფერნი, თვალნი და ჰკლინი – შავნი, მუცელი – თეთრი, და ზურგი – მოწული. ჩაეხვეწა ქუეციკი და უჩინო იქნა“ (ქართული

მწერლობა, 1987, გვ. 280). ცნობილია, რომ ნადირთლვთაების რჩეული ცხოველები გამოირჩევიან თეთრი ფერით, შუბლზე თეთრი ნიკორით, ოქროს ან მანათობელი რქებით, ლაქებიანი ჭრელი ტყავით. ქურციკს მეფის მსახურები დაედევნენ, რამოდენიმე დღე უშედეგოდ ეძებდნენ, ბოლოს ქვითკირის სახლს მიადგნენ. სახლის შიდა კედელზე ამირანდარეჯანისძის, ორი რაინდის და ქალის სურათები იხილეს. კედლის წარწერა იტყობინებოდა: „ოდეს ქაჯნი დავხოცეთ და ზღვათა მეფის ასული გამოვიყვანეთ, ამას ადგილას მოვედითო“ (ამირანდარეჯანიანი, 1987, გვ. 281). მეფე აბესალომი იპოვნის ამირან დარეჯანისძის ხანდაზმულ თანამებრძოლ, სარვასამიძეს. აბესალომ მეფის თხოვნით სარვასამიძე ამირან დარეჯანისძის თავგადასავლის თხრობას იწყებს, რომელიც თორმეტი კარისგან შედგება, მოყოლას ერთ წელიწადს ანდომებს. სარვასამიძის თქმით, „ამირან დარეჯანისძის სწორი არავინ ყოფილ არს პირსა ყოვლისა ქვეყნისასა და ვგონებ არცა ვინ წაღმართ გამოჩნდების მისებრიო. იგი არის გულითა ქველი, გონებითა ბრძენი და მეცნიერი. მას უვლიან ყოველნი ქვეყანანი და კარგად იცის ამბავნი უცხოთა ქვეყანათანო“ (ამირანდარეჯანიანი, 1987, გვ. 286, 347). ამირანის საგვარეულო ისტორიას მოსე ხონელი რატომღაც გვერდს უვლის და ბაღდადის ამირ მუმლის ყმად წარმოგვიდგენს, თავად ამირ მუმლი დარეჯანისძეს ძმად მოიხსენიებს (იქვე, გვ. 347). ხალხური ეპოსის ვერსიების მიხედვით ამირანი ნადირთლვთაება დალის შვილია. მატრიარქატის პატრიარქატით ჩანაცვლებამ, მონადირეთა საზოგადოებიდან მიწათმოქმედთა საზოგადოებაზე გადასვლამ, ქრისტიანულმა რელიგიამ და პატრიარქატმა ცვლილებები შეიტანა ამირანის თავგადასავალში. ზოგიერთ ვერსიაში ამირანის დედა, წარმართული ნადირთლვთაება დალი აღარ ფიგურირებს, წინა პლანზეა ამირანის მამა: მონადირე დარეჯანი, სულკალმახი, სულთანი, სოლომონი, ჟადალი. ქალღვთაება ნაადრევი მშობიარობის დროს კვდება. დედის თხოვნით ახალშობილ ამირანს გზაჯვრედინზე, უღრან ტყეში ან იამანის წყაროსთან ტოვებენ. იამანი იშვილებს ამირანს და თავის შვილებთან ბადრისა და უსუპთან ერთად ზრდის. მართალია მოსე ხონელი ამირანის ბიოგრაფიას არ გვაცნობს, მაგრამ ამირანის დარეჯანის ძედ მოხსენიებით ხაზს უსვამს ხალხური ეპოსის ვერსიების საფუძვლიან ცოდნას და მამად მონადირე დარეჯანის აღიარებას. „ამირანდარეჯანიანი“ შუასაუკუნეების ქრისტიანულ ფეოდალურ საქართველოში დაიწერა, ავტორმა წინა პლანზე ამირანის მამა, დარეჯანი წამოსწია და ამავდროულად მიგვახვედრა, რომ ამირან დარეჯანისძე ხალხური ეპოსის მემკვიდრე იყო.

დარეჯანისძის თავგადასავალი ბადრი იამანიძეს უკავშირდება. დარეჯანისძე ბადრის ყმას გადაეყრება და მისგან იგებს შეუდარებელი რაინდის, ბადრის გასაჭირის ამბავს. ბადრი ბაყბაყ დევმა მეგობრებთან ერთად მოიტაცა, როცა საცოლესთან, ზღვათა მეფის ასულთან ერთად შინ ბრუნდებოდა. ბადრის მამამ იამანმა დარეჯანისძესთან ბადრის ყმა გაგზავნა და შვილის დახსნაში დახმარება სთხოვა:

„შენ ხარ ღონე ჩვენიო“. რომანში ხალხური ეპოსიდან გამოყენებულია ამირანის, ბადრის და უსუპის სამ ვეშაპთან ბრძოლის მოტივი, რომელიც რამოდენიმე ეპიზოდად არის გაშლილი. უსიბი დარეჯანისძის შეძენილი მეგობარია. შავი ჭაბუკის და მისი ლაშქრის დამარცხების შემდეგ ბადრი იამანისძე ტყვეებს ანთავისუფლებს, რომელთა შორის უსიბიცაა, რომელიც ბადრის უერთგულესი მსახური ხდება. მართალია უსიბი: „უსუსური იყო, თუ არა გული კაცისა უკეთესი არა ეგებოდა... იყო პირდაპირი, პირში მთქმელი, დაუფარავად ამხელდა ორგულებს“ (ამირანდარეჯანიანი, 1987, გვ. 309-310).

„ვეშაპთმებრძოლის“ მოტივი თავდაპირველად ბადრის საგმირო თავგადასავალში გვხვდება, სადაც ორი ვეშაპი ფიგურირებს: თეთრი და შავი, ვეშაპთმებრძოლი კი სამია: ბადრი, უსიბი და ბადრის ყმა ინდო ჭაბუკი. რომანში ხალხური ეპოსის ანალოგიური სიტყვიერი ფორმულაა გამოყენებული: „შავი მე და თეთრი თქვენო“, – ამბობს ბადრი. უსიბი უმაღვე პასუხობს: „ჩემი კერძი თქვენდავე მომიხსენებიაო“ (ამირანდარეჯანიანი, 1987, გვ. 296). ბადრი შავ ვეშაპს კლავს. ბადრის ყმა ინდო ჭაბუკი თეთრს ებრძვის და მოულოდნელად მის ხახაში წელამდე ჩაინთქმება, ვეშაპი

გაიქცევა. ბადრი თეთრ ვეშაპსაც ჰკლავს და ინდო ჭაბუკს დაიხსნის. საყურადღებოა, რომ თავად ამირანდარეჯანისძის საგმირო თავგადასავალი ხალხური ეპოსისი მსგავსად სამ ვეშაპთან ბრძოლით იწყება (ამირანდარეჯანიანი, 1987, გვ. 314). კლდის კარი იხსნება და სამი საშინელი ვეშაპი გამოდის. „ამირან დარეჯანისძემ თქვა: შავი – მე, თეთრი შენ სარვასამისძე, წითელი – უსიბსო“. „წითელიც შენდავე მომიხსენებიაო“, პასუხობს უსიბი. დარეჯანისძემ წითელი მოკლა, შავმა კი დარეჯანისძე ჩანთქა და გაიქცა. სარვასამიძე დაედევნა და კუდი მოჰკვეთა. ვეშაპმა სახლში შეასწრო, გზა და კვალი ვერ იპოვნეს. „წესი იყვის დარეჯანისძისა, რომე ორნი დაშნანი იქით და აქეთ მოგვისგან ესხნიან. ამოიღო, მუცელი დაუჭრა, გვერდი გაუპო, სისხლით შესვრილი გამოვიდა და უსაყვედურა: ავად მიშველეთო“ (ამირანდარეჯანიანი, 1987, გვ. 315). მერვე კარში ამირან დარეჯანისძის „ტილისმათა ქვეყანაში“ სალაშქროდ წასვლა აღწერილი. ამირან დარეჯანისძე ბოროტი ბაქჯარ ქველისგან სამეფოს დასახსნელად მიდის, რომელმაც ქვეყნის წალკოტცი დაისაკუთრა, ვერავინ ზედავს იქ შესვლას, ბაღს კი დიდი და პატარა ვეშაპი დარაჯობს. დარეჯანისძე და სავარსამიძე ვეშაპების მოსაკლავად მიდიან (ამირანდარეჯანიანი, 1987, გვ. 398-399). ამირანს წელზე ორი ხმალი ჰკიდია, ვეშაპმა ამირანი ხმლებიანად ჩაყლაპა. დარეჯანისძემ დაშნა ჰკრა და ვეშაპმა პირიდან ამოაგდო, სავარსამიძე ცხენიანად თავისუფლად იდგა ვეშაპის ხორხში. დარეჯანისძემ ხმალი ჰკრა და სავარსამიძე ვეშაპის ხორხიდან ცხენიანად გამოვიდა. პატარა ვეშაპი კი დარეჯანისძის ყმებმა მოკლეს (ამირანდარეჯანიანი, 1987, გვ. 399). რომანის მეთორმეტე კარში მოთხრობილია ამირანის „ბალხეთს შესვლისა ამბავი“. სამეფოს მონა ბალხამი აუჯანყდა, მეფე მოკლა, დედოფალი და ხელმწიფის ასული კი ერთ ქალაქს აფარებენ თავს. დარეჯანისძემ ბალხამი მოკლა, სამეფო იხსნა და მეფის ასულზე იქორწინა. ბალხეთს ღამაზ დევიც ერჩის, რომელიც უზარმაზარ ვეშაპზე ამხედრებული ღამდამობით ქალაქს სტუმრობს და ადამიანებს იტაცებს. დარეჯანისძე კლავს ღამაზ დევს და ვეშაპს, რომლის სიდიდის ხილვამ ხალხს თავზარი დასცა (ამირანდარეჯანიანი, 1987, გვ. 509).

საყურადღებოა, რომ მოსე ხონელი ამირან დარეჯანისძის და ბადრის შემდეგ განსაკუთრებულ ყურადღებას ამბრი არაბის მიმართ იჩენს, რომლის თავგადასავალი სრულად არის ასახული მეხუთე კარში, „ამბრი არაბისა ამბავში“. ამბრი იამანეთში დევნილობაში დაიბადა, არაბეთიდან დევნილი მეფის დღგვაროვნის ოჯახში. ამბრი „ლომ ჭაბუკმა“ აბუტარმა აღზარდა: შვიდი წლისამ უკვე იცოდა „ოროლთა მღერა“ – შუბით თამაში, გამორჩეული მშვილდოსანი და მონადირე იყო, ლომს როგორც კატას ისე კლავდა. ასტროლოგის წინასწარმეტყველებით მისი თანასწორი ქვეყანაზე არავინ იქნებოდა. პირველი ბრძოლა ამბრმა მეკობრეებს მოუგო. როცა ხანთა მეფემ იამანეთის სამეფოს დარბევა გადაწყვიტა. ამბრი პირადად შეებრძოლა ხანთა მეფეს, მეფე შეიპყრო, მაგრამ რაინდულად შეინდო: „*მე მონა ვარ და არ ეგების ჩემგან არცა შენი სიკვდილი და არცა პატიმრად ჩაყვანაო*“ (ამირანდარეჯანიანი, 1987, გვ. 332). მოგვიანებით, როცა ხანთა მეფემ მისი მოკვლა გადაწყვიტა, ამბრმა აღარ დაინდო და სიცოცხლეს გამოსასალმა (ამირანდარეჯანიანი, 1987, გვ. 344). რაინდული ორთაბრძოლა გამართა ამბრმა იამანეთის მახორებელ ინდო ჭაბუკთან, მათი ორთაბრძოლა შვიდი დღე გაგრძელდა, ამბრმა დაამარცხა ინდო ჭაბუკი, ცხენიც მოუკლა, დამარცხებულთან მივიდა და მძობა შესთავაზა: „*დღეისგან შენი ძმა და მონა ვარო*“ (ამირანდარეჯანიანი, 1987, გვ. 339). ამირან დარეჯანისძე არაბეთიდან ჩამოსული უცნობისგან ამბრის საგმირო თავგადასავლების ამბავს შეიტყობს, გადაწყვეტს პირადად ეახლოს, გაიცნოს და დაუმეგობრდეს. ამბრი იმ დროს ოცდათხუთმეტი წლისაა. ამირან დარეჯანისძე ექვს ყმასთან ერთად ათიათასკაციანი ლაშქრით არაბეთს მიდის. გზაზე შავად მოსილი კაცები შემოხვდნენ, რომლებმაც უამბეს, რომ „*ლომთა ლომი უსწორო ჭაბუკი ამბრი არაბი მოკვდაო და მით შავითა არის ყოველი არაბეთი და იამანეთიო*“ (ამირანდარეჯანიანი, 1987, გვ. 346). ამბრის გარდაცვალების მიზეზი არ სახელდება, მწერალი ამ თემას გვერდს უვლის. დამწუხრებული დარეჯანისძე ბაღდადში ბრუნდება.

რას უნდა გამოეიწვია მოსე ხონელის ამბრის თემით დაინტერესება?! რომანში ამბრი არაბი ხალხური ეპოსის გმირების ამირანის და ბადრის თანასწორად არის წარმოდგენილი. ამირანის თქმულების მიხედვით ამბრი ამირანის მთავარი მეტოქეა, მისი დამძლევი არავინაა. ამირანი დიდი ხანია ამბრს დაეძებს, რომ ძალა გამოსცადოს (ჩიქოვანი, 1947, გვ. 280). ეპოსის კახური ვერსიით,

ამირანი ამბრის გოლიათ დედას შემთხვევით გადაეყრება, რომელსაც გარდაცვლილი ამბრი მოჰყავს: „ქარის კაცს მეკვლა ამბრი, მკლავი მიწაზე მითრევდა, გუთანი თითებითა ხნავდა“ (ჩიქოვანი, 1947, გვ. 312). ფშაური ვერსიით მიცვალებულ ამბრის თორმეტი უღელი კამეჩი ძლივს სძრავდა. ამბრის ბარკალი კი მიწაზე მიეთრეოდა და მიწას მიჰლარავდა... ამბრის დედამ იცნო ამირანი, თავისი შვილის მტრის გამოცდა მოინდომა და უთხრა: „ამბრის ბარკალი მიწაზე უპატიურად ეთრევა და მომაწოდეთ. ამირანმა ამბრის ბარკალს ძვრაც ვერ უყო. ღმერთმა იცის ჩემო ამირან ამბრის ვერ ედარებოდი, მკვდარმა გაჯობა ცოცხალსაც, ცოცხალს რას ედარებოდი?“ (ამირანიანი, 2019, გვ. 162). „ამბრის დედამ მათრახის ტარით თავისუფლად შემოდო შვილის ფეხი ურემზე“ (ამირანიანი, 2019, გვ. 17). ფოლკლორისტ ელ. ვირსალაძის აზრით ბადრის დედის მიერ ამირანის გაწბილების ეპიზოდი ეპოსის უძველესი მოტივია და ამირანის ქალღვთაებებთან დაპირისპირებას ასახავს. ამ მოტივს ამირანის ეპოსის სხვა ვერსიებშიც ვხვდებით (ვირსალაძე, 1964, გვ. 84). პროფ. მიხეილ ჩიქოვანი ამირანის ამბის ეპოსად ჩამოყალიბებას ასტრალური რელიგიის დამკვიდრებას და გუთნური მიწათმოქმედების განვითარებას უკავშირებდა, როცა მონადირეობა ჯერ კიდევ ინარჩუნებდა მნიშვნელოვან ადგილს არა მარტო სამეურნეო, არამედ იდეოლოგიურსა და კულტურულ ცხოვრებაში, რასაც ელ. ვირსალაძეც იზიარებდა (ჩიქოვანი, 1947, გვ. 62, 69; ვირსალაძე, 1964, გვ. 75, 80). ამირან-ამბრის მოტივიც თქმულებაში ამ პერიოდში უნდა შესულიყო. სიტყვა „ამბარი“ სპარსული წარმოშობისაა და ეწოდება დიდი ტევადობის ხორბლეულის ან ფქვილის შესანახ დიდი ტევადობის სათავსს ეწოდება. „ამბრი“ არაბული ლექსიკიდანაც უნდა იყოს გავრცელებული და სურნელოვან ნივთიერებას ეწოდება, რომელიც ამბრის ხისგან მიიღება. ამბრის ხე 50 მეტრის სიმაღლემდე იზრდება 1.5 მეტრის დიამეტრით. ყურადსაღებია, რომ ამბრის ხის ხეივანს ქარსაცავად იყენებენ (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1986; ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 1. გვ. 351-353, 1975). სავარაუდოდ გოლიათი „ამბრი“ მიწათმოქმედთა შემწე და ქარისგან მოსავლის დამცველი უნდა ყოფილიყო. ქარის მითოსის კვალი ქართულმა მითოლოგიურმა პოეზიამ შემოგვინახა, დაპირისპირებული მთვარის და მზის შუამავლად „ზენა ქარი“ გვევლინება (ქართული ხალხური პოეზია, 1972). ქარის მითოსი ქართულ სინამდვილეში შესწავლილი არ არის. მეგრულ ლექსიკაში ოცზე მეტი სახის ქარია შემორჩენილი. მეგრელებს ქარის ორი ღვთაება ჰყავდათ: მამაკაცი ღვთაება „ქაქამინჯე“ და ქალღმერთი – „ჩიჩა“, რომელსაც თმაგაწეწილი ქალად წარმოიდგენდნენ. ქარის ღვთაებებისადმი მიძღვნილი რიტუალი მექარეობის დღეს, გაზაფხულზე სრულდებოდა (ქობალია, 2010, გვ. 65). ჩვენი აზრით, სამონადირეო საზოგადოების ღვთაების, დალის შვილის, ამირანის დაპირისპირება მიწათმოქმედების ღვთაებრივი ოჯახის შთამომავალთან, ამბრისთან, იმ მითოსური ამბის ნაწილია, რომელმაც ამირანის ეპოსში, ამირანის საგმირო თავგადასავლებში დაიდო ბინა. ამირანის ვერსიებში ამბრი, მისი გოლიათი დედა (და), მქსოველი ცოლი ნაყოფიერების, მიწათმოქმედების ღვთაებრივი ოჯახის დესაკრალიზებული სახეებია, რომელთა უნივერსალური ატრიბუტი თითისტარი და რთვაა. ამირანის ეპოსის ზოგიერთ ვერსიაში მომაკვდავი (მიცვალებული) ამბრის დასაფლავების ეპიზოდი მიწათმოქმედების ბერძნული ღვთაების დემეტრას ასულის, კვდომა – ალდგომის ქალღვთაების პერსეფონეს მიწისქვეშეთში გაცილების რელიგიურ რიტუალს ეხმიანება (გელოვანი, 1983, გვ. 407). აღსანიშნავია, რომ ამირანის თქმულების ზოგიერთ ვერსიაში მიწათმოქმედების ღვთაებრივი ოჯახის, ამბრის კვალი დაკარგულია. ამბრი სხვა გოლიათებითაა ჩანაცვლებული: ანდეროებით, ჰანდრალომით, ანდრალომით, მერაბით, რომლებიც ცოცხლად იმარხებიან, ამირანი მარხილიდან მათ გადმოვარდნილ ფეხს მშვილდ-ისრით თავისუფლად სწევს და მარხილზე დებს. როგორც ამირანის ეპოსის ვარიანტების შესწავლა ცხადყოფს, თქმულების ეპიზოდებს, მოტივებს სხვადასხვა ასაკი და ისტორია აქვს და მათი შესწავლა ნათელს მოჰფენს არა მარტო ეპოსის ცალკეული ეპიზოდების და მოტივების მითოსურ საფანელს, არამედ თავად ქართული მითოსის ისტორიას. სავარაუდოდ, მოსე ხონელის ეპოქაში ამბრის, როგორც მიწათ მოქმედების ღვთაების სახე, ამბრის ოჯახთან დაკავშირებული ამბები ცნობილი უნდა ყოფილიყო, თუმცა დღეისათვის ერთადერთი კახურმა ვერსიამ ცნობილი, რომელშიც ამბრის მკვლელად მითიური ქარის კაცია დასახელებული. სავარაუდოდ შუასაუკუნეებში მოღვაწე საერო მწერალს, მოსე ხონელს მეტი უნდა სცოდნოდა ამბრისა და მის ღვთაებრივ ოჯახზე, მასთან დაკავშირებულ ხალხურ გადმო-

ცემებზე, რომლებიც სამწუხაროდ დაკარგულია. ჩვენი აზრით, საერო მწერალმა მოსე ხონელმა ამირანის მსგავსად ამბრის სახეც ლიტერატურულად გადაამუშავა.

„ამირანდარეჯანიანის“ მითო-ფოლკლორული მოტივების შესწავლამ ცხადყო, რამდენად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული მწროლობის ცხოვრებაში ხალხურმა ზეპირსიტყვიერებამ, რომელიც წარმართულ ეპოქაში იქმნებოდა, ქრისტიანულ რელიგიას გადაურჩა და ჩვენამდე მოღწეული შუა საუკუნეების საერო ლიტერატურის, მოსე ხონელის საგმირო-საფალავნო რომანის შთაგონების წყაროდ იქცა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- აკოფაშვილი, გ. (1996). რაინდობა საქართველოში, თბილისი: ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. ISBN 978-9941-13-884-3.
- ამირანიანი. (2019). ქართული ხალხური პროზა, ტ. 2. თბილისი: თსუ გამომცემლობა.
- ანჩაბაძე, გ. (2010). საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები (1921 წლამდე). თბილისი: ილიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2010, ISBN 978-9941-9126-0-3.
- გელოვანი, ა. (1983). მითოლოგიური ლექსიკონი, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- ვირსალაძე, ე. (1964). ქართული სამონადირეო ეპოსი. თბილისი: „მეცნიერება“.
- თათარაძე, ა. (1976). ძველი ქართული ფერხულები (სვანური), თბილისი: „მეცნიერება“.
- ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, (1986). ტ. 1, თბილისი: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.
- ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, (1975). ტ. 1, თბილისი.
- ქართული ხალხური პოეზია, 1972, ტ. 1. თბილისი: „მეცნიერება“.
- ქობალია. ა. (2010). მეგრული ლექსიკონი. თბილისი: „არტანუჯი“. ISBN 978-9941-421-14-3.
- ჩიქოვანი, მ (1947). მიჯაჭვული ამირანი. თბილისი: თსუ.
- ხონელი, მ. (1987). ამირანდარეჯანიანი. ქართული მწერლობა, 2. თბილისი: „ნაკადული“.
- ჯავახია, ბ. (2008). რაინდობა შუა საუკუნეების საქართველოში. თბილისი: ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი.
- Rayfield, D. (2000). The Literature of Georgia, A History. London; “Curson“.
- Uther, Hans-Jorg (2004). The Types of International Folktales. Volume III. Helsinki, University of Helsinki.
- Tsotsoria, M. (2014). Couched Lance and Mounted Shock Combat in the East. Georgian Experience: International Journal of Medieval Military History. Vol. XII. 2014.

References:

- Ak'opashvili, G. (1996). Raindoba Sakartveloshi. [Chivalry in Georgia]. Tbilisi: Institute of History and Ethnology.
- Amiraniani. (2019). Kartuli khalkhuri p'roza. T'. II. [Amiraniani. Georgian folk proze, II]. Tbilisi: TSU Press. ISBN 978-9941-13-884-3.
- Anchabadze, G. (2010). Sakartvelos samkhedro ist'oriis sak'itkhebi 1921 ts'lamde. [The Problems of Georgian Military History till 1921]. Tbilisi: Iia State University. ISSN 978 9941-912-0-3.
- Chikovani, M. (1947). Mijach'vuli Amirani. [Amirni Chained]. Tbilisi: TSU Press.
- Gelovani, A. (1983). Mitologiuri leksik'oni. [Mytological Dictionary]. Tbilisi: “Sabch'ota Sakartvelo”.
- Javakhia, B. (2008). Raindoba shuasauk'uneebis Sakartveloshi. [Chivalry in Middle Ages of Georgia]. Tbilisi: Institute of History and Ethnology.
- Kartuli enis ganmartebiti leksik'oni. (1986, I). [Georgian Explanatory Dictionary]. Tbilisi: “Metsniereba”.
- Kartuli khalkhuri p'oestia (1975, I). [Georgian Folk Poetry }. Tbilisi: “Metsniereba“.
- Kartuli sabch'ota entsik'lop'edia. (1975, I). [Georgian Soviet Encyclopedia]. Tbilisi: “Metsniereba”.
- Kobalia, A. (2010). Megruli leksik'oni. [Mingrelian Dictionary]. Tbilisi: “Artanuji”.
- Khoneli, M. (1987). Amirandarejaniani. [Amirandarejaniani]. Tbilisi: “Kartuli Mtserloba“.
- Rayfield, D. (2000). The Literature of Georgia. A History. London: “Curson“.
- Tataradze, A. (1976). Dzveli kartuli perkhulebi (Svanuri). [Ancient Georgian Round Dances (Svan)]. Tbilisi: “Metsniereba“.
- Tsotsoria, M. (2014). Couched Lance and Mounted Shock Combat in the East. Georgian Experience: International Journal of Medieval Military History. Vol.XII. 2014.
- Uther, Hans-Jorg (2004). The Types of International Folktales. Volume III. Helsinki: University of Helsinki.
- Virsaladze, E. (1964). Kartuli samonadireo ep'osi. [Georgian Hunting Epos]. Tbilisi: “Metsniereba”.

Marine Turashvili

მარინე ტურაშვილი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

Fairy Tale as a Universal Genre and Quantitative and Typological Analysis of Georgian Folk Tales

ზღაპარი, როგორც უნივერსალური ჟანრი და ქართული ხალხური ზღაპრების რაოდენობრივი და ტიპოლოგიური ანალიზი

The fairy tale, as a genre, holds a significant position in the folklore of all nations. The striking similarity is evident not only in the types but also in the narratives, underscoring its universality.

After analyzing fairy tales, it was found that they make up approximately 9% of the entire folklore repertoire. When looking at the subgenres, the percentage breakdown is as follows: animal tales account for 6%, magical tales for 59%, religious tales for 3%, novelistic tales for 17%, and anecdotes for 15%. The data analysis highlights that magical tales are the most popular within the Georgian folklore repertoire.

Key Words: Folk Tales, Genre, Typological Analysis

საკვანძო სიტყვები: ხალხური ზღაპრები, ჟანრი, ტიპოლოგიური ანალიზი

ზღაპარს, როგორც ჟანრს, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ყველა ერის ფოლკლორში. მათი მსგავსება არა მხოლოდ ტიპების, არამედ სიუჟეტების დონეზეც თვალშისაცემია. სწორედ ეს განსაზღვრავს მის უნივერსალურობას. მათი ინტენსიური შეგროვება საქართველოში მე-20 საუკუნიდან იწყება. მე-19 საუკუნის ბოლოდან მოყოლებული ისინი მრავამხრივად შესწავლილი, არსებობს, ერთი მხრივ, თეორიული ნაშრომები, და, მეორე მხრივ კი – რამდენიმე ცდა მათი კატალოგიზაციისა. კვლევის მიზანი იყო ქართული ხალხური ზღაპრების შესწავლა, შესაბამისად, მიზანი ითვალისწინებდა გარკვეული სამუშაოების შესრულებას: რაოდენობრივი მეთოდის გამოყენებით ქართული ფოლკლორის მონაცემთა ბაზაში (იხ., <https://www.folktreasury.ge/ARPA>) ელექტრონულად სისტემატიზირებული ზღაპრების შესახებ მონაცემების შეგროვებას, **ტიპოლოგიური ანალიზის მეთოდი კი დაეფუძნა** 2004 წლის ნოემბერში ჰელსინკის მეცნიერებათა აკადემიის ფოლკლორისტთა კავშირის მიერ სამ ტომად გამოცემული ზღაპრის ტიპთა საერთაშორისო კატალოგს – „The Types of International Folktales. A Classification and Bibliography“ (Uther 2004), რომლის საფუძველსაც შეადგენდა ანტი აარნეს დამუშავებული და შემდგომ სტიდ თომპსონის მიერ გავრცობილი „ზღაპრის

ტიპების საძიებელი“. ყველაფერი კი საბოლოოდ გადაამუშავა და შეავსო გერმანელმა ფოლკლორისტმა და ზღაპართმცოდნემ პროფესორმა ჰანს-იორგ უთერმა. ამრიგად, აარნე-თომპსონ-უთერის საერთაშორისო კატალოგის სახით სამეცნიერო სივრცეში შემოვიდა მნიშვნელოვანი ნაშრომი, რომელიც კომპარატივისტული, ფოლკლორისტული და, საერთოდ, ყოველგვარი ხალხური გადმოცემების ფართო მასშტაბით კვლევების განსახორციელების საშუალებას იძლევა. კვლევაში შედარებითი ანალიზისთვის გამოყენებულია ელექტრონული პროდუქტი (*იხ.*, <http://www.folktreasury.ge/Folklore>), რომელიც შეიქმნა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ხელშეწყობით 2010-2012 წლებში განხორციელებული პროექტის – „ქართული ხალხური პროზის კომპარატივისტული ანალიზის ელექტრონული პლატფორმა“ – ფარგლებში, რომელშიც ზღაპრის ტიპთა საერთაშორისო კატალოგთან შედარებითი ანალიზის საფუძველზე დამუშავებულია შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივში დაცული გამოუქვეყნებელი ზღაპრები.

ქართული ზღაპრების შესწავლა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ბოლოდან იწყება და ის ალ. ხანაშვილის სახელს უკავშირდება. მკვლევარი საკუთარ მონოგრაფიაში ზოგადად ზღაპრებს სამ ჯგუფად ჰყოფს: 1. მითოლოგიური, 2. საყოფაცხოვრებო და 3. ცხოველთა (ხანაშვილი, 1895). მოგვიანებით მ. ჩიქოვანმა ზღაპრების მხატვრული ანალიზი შეისწავლა და მიიჩნია, რომ ქართული ზღაპრული ეპოსის კვლევას ადრეულ ხანაში ჩაეყარა საფუძველი და აღნიშნულ დროდ ამ ჟანრის ლიტერატურულად გადამუშავების დაწყებას მიიჩნევს (ჩიქოვანი, 1946). ე. ვირსალაძეც სპეციალურ ნაშრომს უძღვნის ქართულ ხალხურ ზღაპარს (ვირსალაძე, 1960).

საბავშვო ფოლკლორის კვლევისას ზღაპრები საგანგებოდ შეისწავლა ფ. ზანდუკელი (ზანდუკელი, 1977, გვ. 1980). მოგვიანებით თ. ქურდოვანიძე (2002) შეეხო ამ ჟანრთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებს. მკვლევარმა რ. ჩოლოყაშვილმა შეისწავლა ზღაპრების მიმართება უძველეს რწმენა-წარმოდგენებთან, რის საფუძველზეც ახლებურად გაიაზრა მათი ცალკეული მოტივები და ზოგ შემთხვევაში მთელი სიუჟეტებიც. მკვლევარმა გამოიკვლია ზღაპრის განვითარების ძირითადი ეტაპები, ახსნა ცალკეული სახე-სიმბოლოები, ამასთანავე, ყურადღება გაამახვილა ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: პერსონაჟების გენეზისი და სხვა (ჩოლოყაშვილი, 2004). მოგვიანებით კი მათ მიუძღვნა სპეციალური მონოგრაფია, რომელშიც შესწავლილია ზოგადად ეპოსის ცალკეული ქვეჯგუფების საზღვრები და თავისებურებანი, ფუნქცია და ა. შ. (ჩოლოყაშვილი, 2005). ზემოთ განხილული თეორიული კვლევები ცხადყოფს, რომ ზღაპრებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ხალხურ შემოქმედებაში და, შესაბამისად, კვლევის მრავალფეროვნებაც ამ ჟანრისადმი მეცნიერთა დიდ ინტერესზე მეტყველებს.

2014 წელს ზღაპრის ტიპთა საერთაშორისო კატალოგთან შედარებითი ანალიზის საფუძველზე დამუშავდა თემა „ქართული ხალხური ცხოველთა ზღაპრების ტიპოლოგიური ანალიზი ზღაპრის საერთაშორისო კატალოგის ATU15 ტიპის კონტექსტში“ (ტურაშვილი, 2014ა). ამავე წელს შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივში დაცული გამოუქვეყნებელი ცხოველთა ზღაპრები შესწავლილ იქნა რაოდენობრივი და შედარებითი ანალიზის მეთოდების გამოყენებით, წარმოჩინდა მსგავსებები და განსხვავებები, ასევე, გამოიკვეთა ეროვნული რეპერტუარისთვის დამახასიათებელი თავისებურებებიც (ტურაშვილი, 2014ბ). მოგვიანებით კი *1836-1927 წლების რუსულ პრესაში გამოქვეყნებული მასალის მიხედვით*, შედარებით-ტიპოლოგიური ანალიზის მეთოდით დამუშავდა ცხოველთა ზღაპრები (ტურაშვილი, 2020).


რაც შეეხება ქართული ზღაპრების კატალოგიზაციას, ამ მხრივაც სერიოზული მუშაობაა ჩატარებული. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ელ. ვირსალაძის დამსახურება ამ საქმეში. 1961 წელს მან გამოაქვეყნა ნაშრომი „ზრაპართა სიუჟეტების საძიებელი“, რომელიც ქართული ზღაპრების კატალოგიზაციის პირველი ცდაა. მკვლევარმა აარნე-ანდრეევის ცხოველთა ზღაპრის კატალოგის მიხედვით დამუშავებული ქართული ცხოველთა ზღაპრების ტიპთა კატალოგი გააკეთა, რომლის წინასიტყვაობაში დაწერა:

„წინამდებარე ნაკვეთზე ჩატარებული მუშაობიდანაც ირკვევა საკმაოდ დიდი თავისებურება ცხოველთა შესახებ ქართული ხალხური ზღაპრებისა. ჩვენ მიერ ფიქსირებულია ქართულ მასალაში სულ ასამდე ამგვარი სიუჟეტი. მათ შორის ორმოცი პირველად არის შეტანილი კატალოგში და რუსულ, უკრაინულ თუ დასავლეთ ევროპის მასალებთან შედარებით ორიგინალურია. ამის გარდა, დანარჩენ 70 სიუჟეტიდან 27 ორიგინალური ქართული ვარიაციით არის წარმოდგენილი“ (ვირსალაძე, 1961, გვ. 335).

1970 წლიდან ქართული ზღაპრის სიუჟეტთა საძიებელზე მუშაობდა თ. ქურდოვანიძე, 2000 წელს კი ეს საძიებელი გამოვიდა ინგლისურ და რუსულ ენებზე. აღნიშნულ წიგნში მკვლევარს 460 ზღაპრის ტიპი აქვს გამოყოფილი, რომლებშიც 176 საკუთრივ ქართულ ორიგინალურად მიიჩნევა (ქურდოვანიძე, 2000). ცხოველთა ეპოსის კლასიფიკაციასა და სიუჟეტურ საძიებელზე იმუშავა, ასევე, რ. ჩოლოყაშვილმა. მკვლევარი გვთავაზობს ეტიმოლოგიური გადმოცემების ოთხი, კუმულაციური და ცხოველთა შესახებ ზღაპრების თორმეტი ქვეჯგუფის ფარგლებში გაკეთებულ საძიებელს (ჩოლოყაშვილი 2009).

კვლევა ეყრდნობა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივის ორ ელექტრონულ პროდუქტს: ქართული ფოლკლორის მონაცემთა ბაზასა (იხ., <https://www.folktreasury.ge/ARPA> და სურათი 1) და ქართული ხალხური პროზის კომპარატივისტული ანალიზის ვებპლატფორმას (იხ., <https://www.folktreasury.ge/Folklore> და სურათი 2), რომელშიც 2004 წელს აარნე-ტომპსონ-უთერის ზღაპრის ტიპთა საერთაშორისო კატალოგთან თავსებადობაში დამუშავებული და თავმოყრილია ფოლკლორის არქივში დაცული გამოუქვეყნებელი ზღაპრები. ელექტრონული პლატფორმა ქართულ ფოლკლორულ რეპერტუარზე კომპარატივისტული ანალიზის საფუძველზე ფართომასშტაბიანი კვლევების განხორციელების საშუალებას იძლევა.

სურათი 1 – ქართული ფოლკლორის მონაცემთა ბაზა
ძიება



შედეგი

Database of Georgian Folklore

Outer User Edit Table Log

Search: (Recorder Name contains კოჭლაეაშვილი) AND (Narrator Birth Province contains 15) AND(1=1)

Search Result

ID	Code	Narrator Name	First Line	Format
34805	PHN125c-1_13.66_103.80	ცქვიტიშვილი, გლმუნტი	აი, რა იცი გლმუნტი მუნ ძველი მესტიერის შესახებ სოფელში	audio
34806	PHN125c-1_104.65_169.36	ცქვიტიშვილი, გლმუნტი	მერე ერთი კიდე ყოფილიყო სხვა კაცი, ჩვენი მოჭიდავე, რა...	audio
34807	PHN125c-1_170.74_214.80	ცქვიტიშვილი, გლმუნტი		audio
34808	PHN125c-1_217.56_257.49	ცქვიტიშვილი, გლმუნტი		audio
34809	PHN125c-1_260.91_383.46	ტატუნაშვილი, მიხეილ გიორგის ძე	მინდა გაიშოთ აშხავე ამ ოციოდე წლისაო	audio
34810	PHN125c-1_386.21_583.11	ტატუნაშვილი, მიხეილ გიორგის ძე	მოყმის [...] სიცოცხლე,	audio
34886	PHN125c-1_4427.54_4916.32		ჩყო ერთი სოფლაგარი, სოფლაგარს ცაედა ერთი გოგო, გასათხოვი გოგო და ცოლი რომ მოუკვდა	audio
735	faq380-1 355	გელაშვილი გიორგი	0	text
14993	faq380 115	ლაზარაშვილი მარიამ	ღედამთილო კონკა მოდის	text
14994	faq380 116	ლაზარაშვილი მარიამ	ეცლე ღველე	text

Back from-1 | to-10 total-145 ordered by Format Forward

სურათი 2 – ქართული ხალხური პროზის კომპარატივისტული ანალიზის ელექტრონული პლატფორმა

Groups of Users: - All -

Origin of Resources: - All -

ATU: 0015

Text ID:

Text Code:

Key Word:

Clean Search

ATU= 0015

ATU= 0015

Add a New Motif Save Motifs Order

Motive in the native language	Motive in English	Text ID	Text Code
ATU 0020D* - მოზღოცველი ცხოველები (შემოკლებული ვარიანტი)	ATU 0020D* - Pilgrimage of the animals (short version)		1
Delete Motif Edit Motif			
2 Motive in the native language	2 Motive in English		1
ATU 0020C - ცხოველები შიშით მიფრინავენ მსოფლიოს დასასრულში	ATU 0020C - The Animals Flee in Fear of the End of the World		1
Delete Motif Edit Motif			
3 Motive in the native language	3 Motive in English		10
დათვი (კატა ID 20280) და მულა (თაგვი ID 20280) ამობილდებიან და იწყებენ ერთად ცხოვრებას	A bear (a cat ID 20280 and a fox (a mouse ID 20280) make friends and live together		10
Delete Motif Edit Motif			
4 Motive in the native language	4 Motive in English		1
დათვი და მულა თესვენ ზარ ცნას	A bear and a fox sow shared arable land		1


Selected Texts Identifiers

ID	Code	Narrator Birth Province	Narrator Living Province	Sex	Note	ATU
4760	fas274 gv157	0	6	m		0020D*+0015
5780	fas2 gv6	0	3	f		0015+0001

ქართული ფოლკლორის მონაცემთა ბაზაში (იხ., <https://www.folktreasury.ge/ARPA>) განთავსებულია შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში დაცული 34531 ტექსტის შესახებ კონტენტ- და მეტამონაცემი, რომელთაგან ზღაპარი არის 3521 ერთეული. მონაცემთა ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ, ზოგადად, ისინი მთელი ფოლკლორული რეპერტუარის 9%-ია (იხ. სურათი 3).

325

სურათი 3 – ქართული ხალხური ზღაპრების ყველა ტექსტთან მიმართება




ზღაპრის ტიპთა საერთაშორისო კატალოგში (Uther, Hans-Jorg 2004) ბლოკები ასე ნაწილდება:

- ცხოველთა ზღაპრები (1-299);
- ჯადოსნური ზღაპრები (300-749);
- რელიგიური ზღაპრები (750-849);
- ნოველისტური ზღაპრები (550-999);
- სულელი ოგრის (გიგანტის, ეშმაკის) ზღაპრები (1000-1199);
- ანეკდოტები (1200-1999);
- კუმულაციური ზღაპრები (2000-2399).

ქართულ ხალხურ საზღაპრო ეპოსში, საარქივო მასალაში, გარდა სულელი ოგრის (გიგანტის, ეშმაკის) ზღაპრებისა (1000-1199), ყველა ქვეყანრი ფიქსირდება და საინტერესო სურათს გვიჩვენებს: ცხოველთა ზღაპრები არის 130 ერთეული, ჯადოსნური – 1405, რელიგიური – 82, ნოველისტური – 405, ანეკდოტები – 357, კუმულაციური – 8 და გაფუჭებული – 360. მათი პროცენტული განაწილება კი ამგვარია: ცხოველთა 6%, ჯადოსნური 59%, რელიგიური 3%, ნოველისტური 17% და ანეკდოტები 15%. რაოდენობრივი ანალიზის ცხადყოფს, რომ ყველაზე პოპულარი ჯადოსნური ზღაპრები ყოფილა, შემდეგ – ნოველისტური, ანეკდოტები და კუმულაციური. ეს ყველაფერი ეროვნული რეპერტუარის მახასიათებლობას უსვამს ხაზს (იხ. სურათი 4).

სურათი 4 – ქართული ხალხური ზღაპრების რაოდენობრივი ანალიზი



ქართული ხალხური პროზის კომპარატივისტული ანალიზის ვებპლატფორმა (იხ., <https://www.folktreasury.ge/Folklore>) ზღაპრის ტიპთა საერთაშორისო კატალოგისგან განსხვავებით იძლევა ტიპთა რელევანტურობის დადგენის საშუალებას, შესაბამისად, ზღაპრების ტიპოლოგიური ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ ცხოველთა ზღაპრებში ყველაზე პოპულარული ტიპია ATU15, ჯადოსნურში – ATU301, რელიგიურში – ATU779, ნოველისტურში – ATU938B, ანეკდოტებში – ATU1640 და კუმულაციურში – ATU2042.

ცხოველთა ზღაპრებში ყველაზე პოპულარული ტიპი – ATU15 „ნათლის“ მიერ საჭმლის ქურდობა – ქართულ რეპერტუარში არსებობს როგორც მარტივი, ერთტიპიანი ზღაპრების სახით, ასევე – კომბინირებული (მაგ., 0036+0068A+0015*). საერთაშორისო კატალოგთან შედარების საფუძველზე დადგინდა, რომ ქართული ზღაპრებში კომბინაცია არ გვაქვს 3, 4, 5, 34, 41, 47A და 210 ტიპებთან, ქართულში ასეთი ხუთი ტიპია: 20C, 20D*, 30, 36 და 41. კომბინაციის შემთხვევაში ქართულ და უხოურ მასალას შორის თანხვედრა მხოლოდ და მხოლოდ ორ ტიპშია, მათსადამე, ამ მხრივაც ქართული ხალხური ცხოველთა ზღაპრები სიუჟეტის განვითარების საინტერესო და განსხვავებულ სურათს იძლევა (Uther, 2004, გვ. 26-27).

ჯადოსნური ზღაპრის პოპულარი ტიპია ATU301, რომელიც 115 ერთეული ტექსტია, აქედან 34-ში ის მარტივი კომპოზიციითაა აგებული, ხოლო 81 კომბინირებულია ძირითადად ჯადოსნური ზღაპრებისვე ტიპებთან, მაგრამ ფიქსირდება ანეკდოტთან (ATU1640) კომბინაციაც. საერთაშორისო კატალოგში აღნიშნული ტიპის კომბინაციები უფრო მრავალფეროვანია, უმეტესწილად ის შერწყმულია ჯადოსნური ზღაპრის ტიპებთან, ესენია: ATU300, 302, 313, 400, 550, 650A, 300A, 303, 304, 312D, 314, 327B, 400, 402, 506, 530, ასევე, სულელი ოგრის (გიგანტის, ემმაკის) ბლოკის ზღაპრებთან: ATU1060, 1088, 1115 და ერთ შემთხვევაში ანეკდოტთან – ATU1910. რა თქმა უნდა, არსებობს მისი ლიტერატურული ვერსიებიც (Uther, 2004, გვ. 176-179).

რელიგიურ ზღაპრებში პოპულარულია ATU779 – „სხვადასხვა ღვთაებრივი ჯილდო და სასჯელი“ – სულ 13 ზღაპარია და ყველა მარტივი აგებულებისაა, ანუ ერთტიპიანია, ზღაპრის სხვა ბლოკების ტიპებთან კომბინაცია არ დასტურდება. ასევეა ზღაპრის საერთაშორისო კატალოგშიც, თუმცა იქ მისი ლიტერატურული ვერსიებია აღნიშნული (Uther, 2004, გვ. 436).

ნოველისტურ ზღაპრებში პოპულარი ტიპი „ახალგაზრდობაში უკეთესი“ – ATU938B ქართულ ზღაპრულ ეპოსში 17 ზღაპარშია დადასტურებული და ყველა შემთხვევაში ის კომბინირებულია ტიპთან ATU860B* – საერთაშორისო კატალოგის მიხედვით, ის მხოლოდ მარტივი კომპოზიციითაა და არსებობს მხოლოდ მისი ლიტერატურული ვარიანტები (Uther, 2004, გვ. 581-582).

ანეკდოტებში პოპულარულია ATU1640 – „მამაცი მკერავი“. აღნიშნული ტიპი დასტურდება 38 ქართულ ხალხურ ზრეპარში, რომელთაგან უმეტესწილად ერთტიპიანებია – 35 ერთეული, ხოლო 3 ზღაპარში ის კომბინაციაშია ჯადოსნური ზღაპრების ტიპებთან, ესენია: 300, 301 და 613. 25 ზღაპარი კი აღწერილია 1640-1674 ბლოკში. საერთაშორისო კატალოგში აღნიშნული ტიპის კომბინაციები განსხვავებულად და უფრო მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი, ძირითად ის შერწყმულია თავისივე ბლოკის ტიპებთან: 1563 და 1641, სულელი ოგრის (გიგანტის, ემმაკის) (1045, 1088, 1115, 1116, 1149 და 1149), ასევე, ცხოველთა (151 და 177) და ჯადოსნური (300, 326, 650A და 854) ზღაპრების ტიპებთან (Uther 2004, გვ. 342-344).

მრავალფეროვანია კუმულაციური ზღაპრის ტიპი ATU2042 („შემთხვევითობათა ჯაჭვი“). არსებობს მისი ლიტერატურული ვარიანტიც. აღნიშნული ტიპი მსოფლიოს შვიდ ქვეყანაშია გავრცელებული. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველო არც ამ ჩამონათვალშია მოხსენიებული. არადა, იგი ერთ-ერთი პოპულარული ტიპია ქართულ ზღაპრულ რეპერტუარში სათაურით „კოჭობმა რა ქნა?“ აღნიშნული ზღაპარი ძირითადად ლექსითი ფორმისაა და მისი მოკლე პროზაული შინაარსი ასეთია: „აიყარე, გაიყარე, კოჭობაში ჩაყარე, ზედ მარილი დააყარე, შეწვი და შეჭამე. კოჭობი მიაქვს წყალს (თხა ხეთქავს ID 9883), თხას მგელი ჭამს, წყალს სვამს ჭია, მგელი ტყეს შეერევა, ჭია

ხეში ძვრება, ხეს (ტყეს ID 9883) სჭრის ცული, ცული მიაქვს (აბლაგვებს ID 9883) მჭედელს.“ აღნიშნული ტიპი ძალიან ახლოსაა კუმულაციურ ზღაპართან სათაურით „თხა და ვენახი“.

საარქივო გამოუქვეყნებელი ზღაპრების მონაცემთა ანალიზი ცხადყოფს, რომ ქართულ ფოლკლორულ რეპერტუარში ყველაზე პოპულარული ყოფილა ჯადოსნური ზღაპრები. ამასთან, ქართულ ფოლკლორულ რეპერტუარში, ისევე როგორც საერთაშორისოში, უფრო გავრცელებულია ერთტიპიანი ზღაპრები, ვიდრე კომბინირებული. ასევე, საინტერესო სურათს იძლევა ტიპთა კომბინაციები და რელევანტურობა, რისი დადგენის საშუალებას იძლევა „ქართული ხალხური პროზის კომპარატივისტული ანალიზის ვებპლატფორმა“ (იხ., <https://www.folktreasury.ge/Folklore>). სამწუხაროდ, ქართული ლიტერატურული ზღაპრები ჯერჯერობით დაუმუშავებელია და ნაშრომში ქართულ მასალაზე დაყრდნობით შეუძლებელია დასკვნების გაკეთება, თუმცა გაანალიზებული მასალა იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ ქართულ ხალხურ ზღაპრებს ეროვნული რეპერტუარისთვის დამახასიათებელი თავისებურებებიც მრავლად აქვს შეძენილი.

გამოყენებული ლიტერატურა:

- გოგიაშვილი, ე. (2006). *ქართული ზღაპრები ახალ საერთაშორისო კატალოგში*. ქართული ფოლკლორი, 3, XIX. თბილისი: „მეცნიერება“.
- ვირსალაძე, ე. (1960). *ზღაპარი*. ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, I. თბილისი: რუსთაველის სახ. ქართ. ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა.
- ვირსალაძე, ე. (1961). *ზღაპრის სიუჟეტთა საძიებელი, ზღაპრები ცხოველების შესახებ*. ლიტერატურული ძიებანი, XIII. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
- ზანდუკელი, ფ. (1980). *წერილები საბავშვო ფოლკლორზე*. თბილისი: „ნაკადული“.
- ზანდუკელი, ფ. (1977). *ქართული საბავშვო ფოლკლორის საკითხები*. თბილისი: „ნაკადული“.
- სიხარულიძე, ქ. (1958). *ნარკვევები*. თბილისი: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- სიხარულიძე, ქ. (1938). *ქართული საბავშვო ფოლკლორი*. თბილისი: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ტურაშვილი, მ. (2020). *ცხოველთა ზღაპრების შედარებით-ტიპოლოგიური ანალიზი (1836-1927 წლების რუსულ პრესაში გამოქვეყნებული მასალის მიხედვით)*. ჩოლოყაშვილი, რ. და ონიანი, ო. (რედაქტორები). 1836-1927 წლების რუსულ პრესაში გამოქვეყნებული ქართული ფოლკლორული მასალის შესწავლა, კვლევები ანოტირებული ბიბლიოგრაფია. თბილისი: „მერიდიანი“.
- ტურაშვილი, მ. (2014ა). *ქართული ხალხური ცხოველთა ზღაპრების ტიპოლოგიური ანალიზი ზღაპრის საერთაშორისო კატალოგის ATU 15 ტიპის კონტექსტში*. ქართული ფოლკლორი, 7 (XXIII). თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა.
- ტურაშვილი, მ. (2014ბ). *ქართული ხალხური ზღაპრების კომპარატივისტული ანალიზი ზღაპრის საერთაშორისო კატალოგის კონტექსტში (საარქივო მასალის მიხედვით)*. ჟურნალი „სჯანი“. თბილისი: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა.
- ქურდოვანიძე, თ. (2002). *ქართული ზღაპარი*. თბილისი: „მერანი“.
- ჩიქოვანი, მ. (1946). *ქართული ფოლკლორი*. თბილისი: „სახელგამი“.
- ჩიქოვანი, მ. (1946). *ზღაპრის სტრუქტურული ანალიზი*. ფოლკლორის თეორია და ისტორია, VIII. თბილისი: „მეცნიერება“.
- ჩოლოყაშვილი, რ. (2004). *უძველეს რწმენა-წარმოდგენათა კვალი ხალხურ ზღაპრულ ეპოსში*. თბილისი: „ნეკერი“.
- ჩოლოყაშვილი, რ. (2009ა). *ზღაპარი და სინამდვილე*. თბილისი: „ნეკერი“.
- ჩოლოყაშვილი, რ. (2009ბ). *ცხოველთა ეპოსის კლასიფიკაცია და სიუჟეტური საძიებელი (კუმულაციური ზღაპრები და ზღაპრები ცხოველთა შესახებ)*. ქართული ფოლკლორი, 2(XVII). თბილისი: „მეცნიერება“.
- Uthe, H-J. (2004). *The Types of International Folktales. A Classification and Bibliography*. Helsinki: Suomalainen Tiedekatemia Academia Scientiarum Fennica.
- Курдованидзе, Т. (2000). *Указатель Сюжетов Грузинской Народной Сказки, Систематический Указатель По Системе Аарне-Томпсона*. Тбилиси: „Мерани“.

ინტერნეტრესურსი:

ხალხური პროზის კომპარატივისტული ანალიზის ვებპლატფორმა:

<http://www.folktreasury.ge/Folklore/searcher.php>

ქართული ფოლკლორის მონაცემთა ბაზა: <https://www.folktreasury.ge/ARPA/>

Referenses:

- Chikovani, M. (1946). *Kartuli Polk'lori*. Tbilisi: „Sakhelgami“.
- Chikovani, M. (1946). *Zghap'ris St'rukt'uruli Analizi*. Polk'loris Teoria da Ist'oria, VIII. Tbilisi: „Metsniereba“.
- Choloq'ashvili, R. (2004). *Udzveles Rts'mena-ts'armodgenata K'vali Khalkhur Zghap'rul Ep'osshi*. Tbilisi: „Nek'eri“.
- Choloq'ashvili, V. (2009a). *Zghap'ari da Sinamdvile*. Tbilisi: „Nek'eri“.
- Choloq'ashvili, R. (2009b). *Tskhovelta Ep'osis K'lasipik'atsia da Siuzhet'uri Sadziebeli (K'umulatsiuri Zghap'rebi da Zghap'rebi Tskhovelta Shesakheb)*. Kartuli Polk'lori, 2(XVII). Tbilisi: „Metsniereba“.
- Gogiasvili, E. (2006). *Kartuli Zghap'rebi Akhal Saertashoriso K'at'alogshi*. Kartuli Polk'lori, 3, XIX. Tbilisi: „Metsniereba“.
- Kurdovanidze, T. (2002). *Ukazatel' Sûžetov Gruzinskoj Narodnoj Skazki, Sistematičeskij Ukazatel' Po Sisteme Aarne-Tompsona*. Tbilisi: „Merani“.
- Kurdovanidze, T. (2002). *Kartuli Zghap'ari*. Tbilisi: „Merani“.
- Sikharulidze, K. (1958). *Nark'vevebi*. Tbilisi: St'alinis Sakhelobis Tbilisis Sakhelmts'ipo Universit'et'is Gamomtsemloba.
- Sikharulidze, K. (1938). *Kartuli Sabavshvo Polk'lori*. Tbilisi: St'alinis Sakhelobis Tbilisis Sakhelmts'ipo Universit'et'is Gamomtsemloba.
იმ დღიდან არსენას წასვლისა და დაბრუნების მოლოდინი სწრაფად რომ მოედებოდა გლეხ-კაცობას და შემდეგ ლეგენდადაც გადაიქცეოდა, ეს ლეგენდა უკვე ვეღარც საბუთს უნდა წაეშალა და ვეღარც დროს ამოეფხიკა (2, 545).

ეს ლამაზი ლეგენდა მიხეილ ჯავახიშვილს ყრმობისას რომ უნდა გაეგონა (2, 570), ხელიდან როგორ გაუშვებდა, რომანის ფინალი მისით არ გაეცისკროვებინა, მითუმეტეს:

ამ ლეგენდით შემოსილიყო ალექსანდრე ბატონიშვილის სახელი.

და აგერ მის თვალწინ იმოსებოდა ამ ლეგენდით სახელი ქაქუცა ჩოლოყაშვილისა, რომლის მოლოდინიც ბოლომდე გამოჰყვებოდა პოლიტიკურ კაბალაში ხელმეორედ მოხვედრილ საქართველოს.

ამ მოლოდინს თავის მხრივ გაამლიერებდა „არსენა მარაბდელიც“.

არსენა ოძელაშვილის პროტოტიპი ჩემი ბიძაშვილიაო, რომ ირწმუნებოდა მწერალი ცენზურისა და ბოლშევიკურ-ჩეკისტური კრიტიკისათვის თვალის ასახვევად, ადვილად რომ ვერ გამოსდებოდნენ, თორემ ბევრი ადამიანისათვის დაფარული არ დარჩებოდა მარაბდელის პროტოტიპის ნამდვილი ვინაობა.

და ბასილ მელიქიშვილის ხსენებაც არ შეიძლებოდა, რათა მიხეილ ჯავახიშვილს დაგეშილი კრიტიკოსები უნებურად კვალზე არ დაეყენებინა და ბასილის სახელით არ გახსნილიყო ქაქუცა ჩოლოყაშვილის გაიგივება არსენა მარაბდელთან.

თვითონ ბასილს აკი უტრიალებდნენ ჩეკისტები, მაგრამ ვერადავერ გამოიჭერდნენ ვერც მას და ვერც მიხო ბერიტაშვილს, უვნებლად რომ გამოაღწევდნენ დაგებულ მახეებს.

თუმც ბასილის მამას კი მიწვდებოდნენ და ჯერ მეტეხის ციხეში გამოამწყვდევდნენ და მერე არც დახვრეტას ააცილებდნენ.

ამ პირად ტრაგედიას ძალიან უნდა ემოქმედა ბასილ მელიქიშვილის ისედაც შერყეულ ჯანმრთელობაზე, გამძაფრებოდა ჭლექი და... კიდევ მიეყვანა ამ განუკურნებელ სენს სამარის კარამდე.

მერე იყო:

ურემზე რომ დაასვენებდნენ ცხედარს და კოფოზე და დაჯდებოდა ქვითინით.

გამოცლებოდა ხელიდან ასე უეცრად მიხეილ ჯავახიშვილს თავისი ლიტერატურული მემკვიდრე?

თუმც ბედისწერას იმით შეეწინააღმდეგებოდა, რომ:

ქაქუცა ჩოლოყაშვილის სულიერ მემკვიდრეობას არგუნებდა რომანის ფურცლებზე.

ერეკლესაც რომ შეარქმევდა მეტი შთამბეჭდაობისათვის.

და მასაც სიმბოლურ მანტიაში გაჰხვევდა, ამ სიმალლეზე აზიდავდა, როდესაც ლურჯას აგრძნობინებდა თავის მომავალ პატრონს, ერეკლე ოძელაშვილთან მიაჭენებდა და ზურგსაც მიაშვერინებდა.

დაე ისტორია ყოფილიყო უმადური ვინმე.

მხატვრული სიტყვის ძალას ხომ მაინც უნდა მოეფინა თავისი მადლი და შარავანდედი ბასილ მელიქიშვილის ტრაგიკული სახეებისათვის...

არა მყავს მემკვიდრეო – კვლავაც გულს უნდა შეწყდომოდა მიხეილ ჯავახიშვილი.

გამოყენებული ლიტერატურა:

- მელიქიშვილი, ბასილ. (2021). „თურმანი“, მოთხრობები, მინიატურები, ლექსები, პირადი მიმოწერა, წერილები.
- ჯავახიშვილი. მიხეილ. (1977). „არსენა მარაბდელი“, თხზულებანი რვა ტომად, ტომი მეოთხე, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“,
- ჯავახიშვილი. მიხეილ. (1980). წერილები, თხზულებანი, ტომი მეექვსე.
- ჯავახიშვილი. მიხეილ. (2015). უბის წიგნაკებიდან, თბილისი: „ინტელექტი“.
- ლიტერატურული ჟურნალები (1910-1920-იანი წლები). (2011). მეოთხე წიგნი (გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი, ლიტერატურა და სხვა, მემარცხენეობა, მოქმედება, არიფიონი), ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი.

References:

- Javakhishvili, Mikheil. (1977). „Arsena Marabdeli“. Tkhzulebani rva t'omad. T'omi meotkhe. [“Arsena Marabdeli”, works in eight volumes, volume four]. Tbilisi: „sabh'ota sakartvelo“.
- Javakhishvili, Mikheil. (1980). Ts'erilebi, tkhzulebani, t'omi meekvse.
- Javakhishvili, Mikheil. (2015). Ubis ts'ignak'ebidan. [From Ubi's books]. Tbilisi: „int'elekt'i“.
- Lit'erat'uruli zhurnalebi (1910-1920-iani ts'lebi). (2011). Meotkhe ts'igni (galak't'ion t'abidzis zhurnali, lit'erat'ura da skhva, memartskheneoba, mokmedeba, aripioni). [Literary magazines (1910-1920s). Fourth book (Galaktion Tabidze's magazine, Literature and others, Leftism, Action, Aripioni)]. Kartuli lit'erat'uris sakhelmts'ipo muzeumi.
- Melikishvili, Basil. (2021). „Turmani“. Motkhrobbi, miniat'urebi, leksebi, p'iradi mimots'era, ts'erilebi. [“Thurman”, stories, miniatures, poems, personal correspondence, letters].

Nino Gogiasvili

ნინო გოგიაშვილი

Iakob Gogebashvili Telavi state University

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Georgia, Telavi

საქართველო, თელავი

Polar Concepts of Fear and Love in the “Society of the Formers”

(Based on Irakli Samsonadze’s Short Novel *The Cushion*)

შიშისა და სიყვარულის პოლარული კონცეპტები „ყოფილების საზოგადოებაში“ (ირაკლი სამსონაძის მცირე რომანის – „ყურთბალიში“ – მიხედვით)

In just one continuous paragraph, the writer conveys the biggest trauma caused to his generation by the geopolitical changes of those times, the civil war and the country facing an absolute economic collapse.

The idea of the novel is to demonstrate and analyze the polar concepts of fear and love. The main character of the novel is a member of the “society of the formers”, a writer who has become functionless in Georgia in the 1990s.

Keywords: Samsonadze, Cushion, Novel

საკვანძო სიტყვები: სამსონაძე, ბალიში, რომანი

შიშისა და სიყვარულის პოლარული კონცეპტები „ყოფილების საზოგადოებაში“ (ირაკლი სამსონაძის მცირე რომანის – „ყურთბალიში“ – მიხედვით).

დრამატურგისა და მწერლის ირაკლი სამსონაძის მცირე რომანი „ყურთბალიში“ მნიშვნელოვანი ტექსტია არა მხოლოდ ავტორის შემოქმედების, არამედ მიმდინარე ქართული ლიტერატურის თვალსაზრისითაც. რომანის დროით-სივრცობრივი ქრონოტოპი გასული საუკუნის 90-იანი წლების საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და ეგზისტენციალური ნიშნულებითაა განსაზღვრული.

მოცემული ნაშრომი, მოკრძალებული მცდელობაა, გავიაზრო ირაკლი სამსონაძის რომანის „ყურთბალიში“ იდეა, და ძირითადი გზავნილები მკითხველისადმი. ტექსტის ჟანრული განსაზღვრა მცირე რომანის კლასიფიკატორს შეგვიძლია მივუსადაგოთ; „ყურთბალიში“ დოკუმენტური პროზის ე.წ. ნონფიქშენის ნიმუშია, და რომანის მთავარი გმირიც – „ყოფილი მწერალი“ – ავტორის ლიტერატურული გარდასახვაა. ლიტერატურული მიმდინარეობის თვალსაზრისით, ტექსტი ნეორეალიზმის მკვეთრი ნიშნებით გამოირჩევა. ნეორეალიზმი, როგორც ლიტერატურასა და კინემატოგრაფიაში აღმოცენებული მიმდინარეობა, რომელიც იტალიაში ჩაისახა, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში აღმოცენდა. ირაკლი სამსონაძის რომანიც საქართველოს სამოქალაქო ომის შემდგომ პერიოდს ასახავს და რეალიზმის ახლებური გადააზრებითაა შექმნილი. ირაკლი სამსონაძე აგრძელებს ქართული მწერლობის ტრადიციულ ხაზს, ინდივიდუალური სტილითა და თხზვის

ექსკლუზიური ნიუანსებით. თუმცა, „ყურთბალიში“ არ არის არც ტრადიციული, არც არატრადიციული და არც პოსტმოდერნისტული რომანის კლასიკური მაგალითი.

მწერალი, მხოლოდ ერთი, უწყვეტი აზრებით გადმოსცემს იმ უდიდეს ტრავმას, რაც მის თაობას მიაყენა იმდროინდელმა გეოპოლიტიკურმა ძვრებმა, სამოქალაქო ომმა და აბსოლუტურ ეკონომიკურ კოლაფსში ჩავარდნილმა ქვეყანამ. საქართველო გახდა უფუნქციო, ფრუსტრირებული და შიშის ვიბრაციებით მცხოვრები ადამიანებით დასახლებული ადგილი, სადაც აწმყო მძიმე, მომავალი კი – უიმედო და გაუგებარი გახლდათ. ტექსტის ფორმა შესაბამისია მის შინაარსთან, რაც მწერლის მაღალ პროფესიონალიზმზე მეტყველებს; პერსონაჟების „ყელში წაჭერილი“ ცხოვრების ლიტერატურული პორტრეტები და პასაჟები სუნთქვაშეკრული იკითხება, – თითქოს, ამ საბრალო ადამიანებთან ერთად, მკითხელიც იტანჯება. თხრობის ექსპრესიულობა, დანაწევრებული, პოეტური სინტაქსის მოკლე წინადადებები, გამეორება მწერლის სტილის განმსაზღვრელია, და შინაარსისა და იდეის რელევანტურ ფორმას წარმოადგენს.

რომანის იდეა შიშისა და სიყვარულის პოლარული კონცეპტების წარმოჩენასა და ანალიზში მდგომარეობს. საზოგადოება, რომელიც შიშის ძლევამოსილებას ექვემდებარება, ირღვევა, კნინდება და დეგრადირდება. შიში სიყვარულის ადგილს ადარ ტოვებს, ადამიანის არსებობის ერთადერთი ალიბი კი სიყვარულია. მიუხედავად იმისა, რომ რომანი „ყურთბალიში“ XXI-ე საუკუნის დასაწყისში დაიწერა, როდესაც პოსტსაბჭოთა ლიტერატურა, ხშირად, პოსტმოდერნისტული ნიშნებით გამოირჩევა და პოსტმოდერნისტული მგრძნობელობა დროის მთავარ მოთხოვნადაა ქცეული, ის უფრო ნეორეალისტურ და ნატურალისტურ ტექსტად შეგვიძლია მოვიაზროთ; რადგან, მწერალი იუველირის სიზუსტით ძერწავს პერსონაჟებს, მიუხედავად ჭარბი ექსპრესიულობისა, არც ერთი პორტრეტი არ რჩება ბუნდოვანი და დაუსრულებელი.

„კლასიკური თხრობა ყოველთვის იწვევს უცვლელ შთაბეჭდილებას: თითქოს, თავდაპირველად, ავტორის შემეცნებაში აღსანიშნი (ან ზოგადი წარმოდგენა) ჩნდება, შემდეგ კი, თავისი წარმოსახვითი ნიჭის ფარგლებში, ის ეძიებს „სწორ“ აღმნიშვნელებს, დამაჯერებელ მაგალითებს; კლასიკოსი ავტორი ხელოსანს ჰგავს, მას თავი აქვს დახრილი აზრის დაზგაზე და წინასწარ შემუშავებული კონცეპტის არსის გამოსახატავად საუკეთესო გამომსახველობით დეტალებს არჩევს“ (ბარტი, 2013, გვ.182), – წერს როლან ბარტი.

რომანის მთავარი პერსონაჟი „ყოფილების საზოგადოების“ წევრი, 90-იანი წლების საქართველოში უფუნქციოდ დარჩენილი მწერალია. მისი ცხოვრება ერთ დიდ დრამას წარმოადგენს: საქართველო ათასი ჯურის „ყვარყვარესა“ და „ჯაყოს“ ხელშია ჩავარდნილი, მართალი კაცის ერთადერთი მორალური პოზიცია კი, ასეთ დროს, მარგინალიზაციაა, რადგან ვერ ეთვისება ამგვარ მახინჯ სოციალურ სისტემას. ფუნქციადაკარგული „ყოფილების“ თემა კარგად დამუშავებული და შესწავლილია, არა მხოლოდ ქართულ, არამედ მსოფლიო ლიტერატურაში: „ნაკაცარი“ თეიმურაზ ხევისთავი გაგვახსენდება მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებიდან“, რომელსაც არანაირი სუბსტანცია არ გააჩნია, ადამიანად დასარჩენად. თუმცა, ჯაყო არა მხოლოდ დროის, არამედ, უფრო საკუთარი უსუსურობისა და უნიათობის მსხვერპლია. „ყურთბალიშის“ პროტაგონისტი მწერალია, თეიმურაზივით „წიგნის ჭია“, თუმცა, სოციალური კრიზისის ჟამს, წვრილ კონტრაბანდისტობასაც ითავსებს; მოცემული მეტამორფოზა ნამალადევია, გამოუვალი მდგომარეობის ნაყოფი, საკუთარ ეგოზე ზეწოლის შედეგი და, ამის გამო, ნაკლებშედეგიანი. მწერლის შინაგანი კომფორტი სრულიად დარღვეულია, და ნაცვლად წერისთვის შესაბამისი გარემოს შექმნისა, ფიქრისა და ჭკრეტისა, იძულებულია, ოჯახის გამოკვების მიზნით, ათასი შეუსაბამო და მიუღებელი საქმე წამოიწყოს; ამის გამო, ილახება მისი ღირსება და, შედეგად, მიღებული აგრესია ისევ ოჯახს უბრუნდება.

რომანში ასახულია მძიმე სოციალური კრიზისი, რომელსაც, მწერლის აზრით, ეგზისტენცი-ალური გაურკვევლობა და ცდომილებაც იწვევს, ეკონომიკურ შეჭირვებასთან ერთად; „თირკმელის გაყიდვა“ სულის გაყიდვის მატერიალიზებული მეტაფორაა, რაც ფიზიკური გადარჩენის გამო-უვალ რეალობადაა ქცეული. „თირკმელთან შედეგა იოლია. საქმე დამლული. კოჭლი ნანა. მე და ვახომ ჩვენ ჩვენი თირკმელი შევთავაზეთ. ჰო. კოჭლ ნანასთან ჩემი ხორცის გასაყიდად მივედი. მაქსიმეს მეგობრის კაფეში – ჩემი სულის გასაყიდად“ (სამსონაძე, 2019, გვ. 7), – ვკითხულობთ მთა-ვარი გამირის – ყოფილი მწერლის – მონოლოგს „ყურთბალიშში“. „თითქოს ვიღაცას ვღალატობდი. ვის ვღალატობდი? ვის და თირკმელს. თირკმელი კი არ მღალადობდა მე, არამედ მე ვღალატობდი მას“ (სამსონაძე, 2019, გვ. 57). ტექსტში შეუნიღბავი ნატურალიზმითაა წარმოჩენილი ოჯახის, როგორც საზოგადოების ყველაზე მდგრადი ინსტიტუტის, დეგრადაციის დინამიკა, რომელსაც შიშის პრიმატს დაქვემდებარებული ადამიანები განაპირობებენ.

რომანი მნიშვნელოვანია როგორც იდეის, ასევე სტილის თვალსაზრისით.

„წაგებული ომის შემდეგ ვახომ ავტომატი გაყიდა და ბაზრობაზე დახლი იქირავა. ვახოს-თვის აფხაზეთის ომი პირველი ომი არ ყოფილა. მანამდე ცხინვალი იყო. მერე თბილისის ომი. მერე აფხაზეთი. ვახომ მესამე ომის მერე გაყიდა ავტომატი. მორჩა, – თქვა ვახომ, – ჩემი საომარი ვიომე. ეტყობა, ცუდი მეომარი ვარ, ვნახოთ, როგორი ვაჭარი ვიქნები“ (სამსონაძე, 2019, გვ.7), – ვკითხულობთ „ყურთბალიშში“.

ვახო მთავარი გამირის ბავშვობის მეგობარია, რომელმაც ომის დასრულება და ვაჭრობის და-წყება გადაწყვიტა; ციტატიდან ნათლად სჩანს, რომ წაგებულმა ომებმა ვახო ფსიქოლოგიურად და-ანგრია, გატეხა. ქვეყანაში არსებული გამოუვალი მდგომარეობა კი, ვაჭრობის პერსპექტივას უშლის თვალწინ მას. სრულიად ნათელია „ვეფხისტყაოსნის“ ფრაზის – „თქვენ ვაჭარი ჯაბანნი ხართ, ომისაცა უმეცარნი“ – იმპლიციტური არსებობა მოცემულ ალუზიაში. რუსთველისეული დოქტრი-ნის თანახმად, ვაჭარი სულმოკლე, მშიშარა ადამიანია, რომელსაც ბრძოლისა და ომის უნარი არ გააჩნია. ბრძოლას სიმამაცე, იდეის სიყვარული და მისადმი ერთგულება სჭირდება, რაც ვაჭრის-თვის უცხოა, რადგან ის მხოლოდ მოგება-წაგების კონტექსტში განიხილავს გარემოს. მოცემული ინტერტექსტი სხვადასხვა ლიტერატურულ ტექსტებშია გადამუშავებული; ამჯერად მახსენდება გურამ დოჩანაშვილის მოთხრობა „მხოლოდ ერთი კაცი“, სადაც ანალოგიურადაა კონსტრუირებუ-ლი მშიშარა ვაჭრის ლიტერატურული პორტრეტი. „ყურთბალიშის“ პერსონაჟის ტრანსფორმაციის მოდელი – მეომრიდან მოვაჭრემდე – რომანის მთავარი იდეური გასაღებია; ადამიანები კარგავენ სიყვარულისა და ბრძოლის უნარს, და ემორჩილებიან შიშისა და თვითგადარჩენის ინსტინქტს; ადამიანები კარგავენ პროფესიებსა და სამსახურებს, და ხდებიან „ყოფილების საზოგადოების“ წევრები. ვახომ დახლსაც თავი ანება და ლუდის შემოტანას მიჰყო ხელი. ეს საქმეც მალე მოსწყინდა და მანქანების პროფილაქტიკა გახსნა, მთავარ გამირთან ერთად; ამის შემდეგ კი, წვრილმან კონტრაბანდისტობას მიჰყვეს ხელი მეგობრებმა და „ფულის გაჭრაც“ ისწავლეს, როგორც იმ დროს დამკვიდრებული სლენგი დაღადავდა: პროდუქტებს ყიდულობდნენ და ჯიხურებში აბარებდნენ. მუდმივად ფიზიკურ გადარჩენაზე ზრუნვასა და ფიქრში გართულებს, ცხოვრების გემოს შესაგრ-მნობი დრო აღარ რჩებათ; ხანდახან თუ ცდილობენ, ერთმანეთთან შეხებით საკუთარი სხეულები დაიბრუნონ: „მე და ქეთინო ცოლქმრობის ვალს ვიხდით. არა. ზამთრის ცივ ღამეებში მე და ქეთინოს სიყვარულის ვალი გვაწუხებს“ (სამსონაძე, 2019, გვ.11). სიყვარული, როგორც ადამიანის ონტოლოგიური მოთხოვნილება, ადამიანური არსებობის დასტური და გამართლება და მისდამი ვალი, აღიარებულია ის თუ ლატენტური, ყველა პერსონისთვის ყველაზე სასურველი და კმაყოფი-ლების მომგვრელი კონდიციაა. თუმცა, როდესაც ადამიანს საბაზისო, ფიზიკური სიცოცხლისთვის აუცილებელი ვიტალური მოთხოვნილებები აქვს დასაკმაყოფილებელი, მასში გადარჩენის ინსტინ-ქტი იწყებს მუშაობას და სხვას ყველაფერს გვერდით სწევს. ასეთი ადამიანი ფიზიკურად გადარჩე-

ნილი, მაგრამ სულიერად მკვდარია. ცოლ-ქმრის ფიზიკური შეერთების ეს კონკრეტული შემთხვევა უფრო საბაზისო ინსტინქტის ქცევაა, ვიდრე სიყვარულის ადამიანური დეკლარირება.

მოუხედავად იმისა, რომ რომანი ძალიან თავისუფლად იკითხება, როგორც ამბობენ, წყალივით, ირაკლი სამსონაძე მაინც დეტალების მწერალია. ნაწარმოების დასაწყისიდანვე გვთავაზობს რომელიმე პატარა დეტალზე პედალირებას და მთელი ტექსტის განმავლობაში პერმანენტულად ავითარებს, აძლიერებს, აკონკრეტებს მას. მაგალითად, ვახოს რომ უაჰერობა აწუხებს და, სიუჟეტური ხაზის განვითარების კვალდაკვალ, ხან სად წამოყოფს ეს ფაქტი თავს და ხან – სად. რომანში თხრობა დინამიკურია, მაღალი სიჩქარითა და მგრძობელობით სავსე. ბევრია ერთსიტყვიანი – ზმნა-წინადადება. ყურადღებამისაქცევია, რომ პროტაგონისტის მონაყოლი დრო ხან წარსულის და ხან აწმყოს ლინგვისტური დროით აღინიშნება. ვფიქრობ, ეს მინიშნებაა, რომ 90-იანების სოციალური ტრაგედიის პოსტტრამაული მოცემულობა დღესაც აქტუალურია და გრძელდება. თანამედროვე ქართულ საზოგადოებას ჯერ კიდევ არ მოუხდენია სრული რეფლექსია ამ მოცემულობაზე და, თითქოს, წარსულ დროში აგრძელებს ცხოვრებას. მთხრობელისთვის განცდები იმდენად ავთენტური და მკვეთრია, ხშირად მათ აწმყოს გრამატიკული დროით გამოხატავს. წინადადებები მოკლეა და, ხშირად, დაუსრულებელი, წინადადების რომელიმე წევრის დეფიციტით გამოწვეული. მაგალითად: „ცივი თითებით რკინის სიცივეს. კარი ხრჭალით. ჩუ, ჩუმად. ფარდებჩამოფარებული ოთახის ბინდი. თვალს ვაჩვევ. ეჩვევა“ (სამსონაძე, 2019, გვ.13), და ა.შ. ტექსტის ამგვარი დანაწევრებული ნარატივი სპეციფიკურ დინამიკასა და სტილს ქმნის. პარალელს გავავლებ ოთარ ჩხეიძის ლიტერატურულ სტილთან, მოცემული თვალსაზრისით. წარმოუდგენელია, ამგვარი „წამის შთაბეჭდილების“ გადმოცემის მანერაზე არ გაგვახსენდეს ნიკო ლორთქიფანიძის იმპრესიონისტული ნოველები და თხზულებები. რომანის დასაწყისიდანვე, მთავარი გმირი პირველ პირში გვიყვება, რომ ის გაციებულია. შეციებული ადამიანის პორტრეტი ზამთარში, ნათლად ასახავს იმ ცუდ პირობებს, რომელშიც მას უხდება ცხოვრება. შემადრწუნებელი დრამატიზმითაა აღწერილი ოჯახის მდგომარეობა, როდესაც ახალი წელი მოდის და სახლში არაფერია: მაცივარი – ცარიელი, ოჯახის უფროსი – ნასვამი, ბავშვი – დამფრთხალი, ცოლი კი – საჩხუბრად შემართული, გაკაპასებული. მახსენდება ეგნატე ნინოშვილის ცნობილი მოთხრობა „გოგია უიშვილი“ და სიღარიბის ის აუტანელი სისასტიკე, რომელიც განსაკუთრებით ახალი წლის დღესასწაულისას მუდავნდება. ახალი წელი ხვავთან, ბარაქასთან, მხიარულებასა და იმედებთან ასოცირდება, და სიღარიბე იმგვარ კონტრასტს ქმნის მასთან, რომ მიუღებელი ხდება ადამიანის ფსიქიკისთვის. ამის გამო, გოგია უიშვილი თავს იკლავს, „ყურთბალიშის“ მთავარი პერსონაჟი კი ცოლს ურტყამს – გამეტებით, უსუსური კაცის დაუნდობლობით, დამნაშავეს უზნეობით. მამის საქციელზე პატარა შვილი განწირული ყვირის, მამა კი გარბის სახლიდან, რომ სადღაც დაიცხროს აფორიაქებული სინდისი. ...“სიღატაკით გავილახეთ. სამივენი. ჰო. სამივენი. სიღატაკით გალახულები. ყველას შეგვებო ერთმანეთის ხელი“ (სამსონაძე, 2019, გვ. 16), – ვკითხულობთ რომანში, და ეს სიტყვათშეთანხმება – სიღატაკით გალახვა – არაჩვეულებრივად ასახავს ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილი ადამიანების ტრაგედიას.

ავტორი შეურბილებელი ნატურალიზმით აღწერს ფრუსტრირებული პერსონების, „ყოფილების საზოგადოების“ ღირსეული წევრების ცხოვრების ფსკერზე ქმედებების დეტალებს: მეგობრები, როგორ ივიწყებენ რაღაც წუთებით ცხოვრებას, უფრო სწორედ, სურთ დაივიწყონ: სასმელით, მეძავებით... ცხადია, ამგვარ ცდებს შედეგი ვერ გამოქვს და ისინი უფრო ღრმად ეშვებიან წუმპეში, მათთვის ასმაგად შემზარავია ის რეალობა, რაც თავად შეიქმნეს, თავდავიწყების მიზნით.

ირაკლი სამსონაძე მოურიდებლად გულწრფელია და დაუჯერებლად პედანტი; მას მარცვალ-მარცვალ აკრეფილი და ტექსტში ჩადებული აქვს ყველა მანკიერი თვისება, რაც „ყოფილების საზოგადოებას“ ახასიათებს, და არა მარტო „ყოფილების“, ზოგადად – საზოგადოებას. მთელი ეს ლიტერატურული ნეორეალიზმი, მოჭრილი, პულსაციასავით წინადადებებით, დრამატული და ტრაგიკული სტოკატოებით, იმისთვისაა დაწერილი, რომ თქვას: „უფლება მართლა დიდი სიტყვაა. სიყვარულივით. განსჯისა და მოკითხვის უფლება მხოლოდ სიყვარულს აქვს. ბანალურია. ალბათ.

არ მაინტერესებს. საკუთარ ტყავზეა განცდილი. ყოფილების საზოგადოებამ მაგრძნობინა“ (სამსონაძე, 2019, გვ.45). ესეც ბანალურია, მაგრამ, ფაქტია, რომ ყველა დიდი ნარატივის შესახებ უკვე ჩვენს წელთაღრიცხვამდე ცნობილია; მეტიც, ანტიკური ტექსტები მთელი სიმძაფრით განიხილავენ სიყვარულს, სიმუღვილს, ღალატს, საზოგადოების მანკიერებებს და ა.შ. „ყურთბალიშის“ ავტორი მთელი გატაცებით საუბრობს სიყვარულის უზენაესობასა და მის პოლარულ – შიშის სიმცირის შესახებ. მწერლის გზავნილები ქრისტიანულ ელფერსაც ატარებს: „*მე გენეტკურად ქრისტიანი ვარ და დროდადრო იმ ეკლესიის წიაღში ვეძებ შვებას, რომელიც ჩემმა წინაპრებმა შემომინახეს*“ (სამსონაძე, 2019, გვ.45). „*რა ათეისტურ საზოგადოებაშიც არ უნდა იზრდებოდეს კაცი, ბოლოს და ბოლოს, იგი მაინც ფიქრობს ღმერთზე. როდესაც ღმერთზე ვფიქრობ, მე ბებიჩემის ნაფერები ხატიდან მომზირალ სახეს ვხედავ. იმას მივმართავ და ამიტომაც, იმ ეკლესიაში შევდივარ, სადაც მისი მსგავსი ხატი მეგულდება*“ (სამსონაძე, 2019, გვ.45-46). ღმერთთან და საკრალურობის განცდასთან, მთავარ პერსონაჟს ბებიის ხსოვნა აკავშირებს. თუმცა, ათეისტურ გარემოში გაზრდილი ადამიანისთვის უცხოა რელიგიური კანონებისა და დოგმატების ცოდნა, მითუფრო, ამ კანონებით ცხოვრება. ბებიის ხსოვნასთან ასოცირებული ღმერთი-სიყვარული პროტაგონისტისთვის ცხოვრებაში ყველაზე ნათელი და საიმედო შუქურაა; როდესაც ძალიან იღლება, მიდის ეკლესიაში და შვებას გრძნობს. „ყოფილების საზოგადოების“ მათხოვრებიც კი, რომლებიც ეკლესიის წინ შექუჩებულან, სხვანაირები არიან; ირონიაშეპარული დრამატიზმით საუბრობს მწერალი მათხოვრების გამოწვედილი ხელების პლასტიკაზე, დამუშავებულ, საწყალობელ ინტონაციაზე, მათ შორის კონკურენციაზე... „თანაგრძნობის მაღლს ყიდის“ „ყოფილების საზოგადოების“ მათხოვარი, ანუ, ვაჭრობს იმით, რითიც შეუძლია. ლირიკული გმირი იხსენებს სახარებისეულ პასაჟს, როდესაც ქრისტემ აყარა ეკლესიის ეზოში შეყრილი ვაჭრები. ეს მათხოვრებიც ვაჭრები არიან, მაგრამ მთავარ პერსონაჟს მხოლოდ ფულის მიცემა შეუძლია მათთვის. განსჯა ნებადართულია მხოლოდ ჭეშმარიტი სიყვარულის მატარებლისათვის, რაც, ცხადია, მხოლოდ ქრისტეს ღვთაებრივი პერეოგატივაა. მთავარი გმირი განჩხრეკს საკუთარ ემოციებს და აღიარებს, რომ ჭეშმარიტი სიყვარულით არ მოქმედებს. მისი სოციალური ქცევა მოწყალების გაღების დასწავლილი აქტია, სიბრალულის დეკლარირება მხოლოდ, და არა – სიყვარულის.

შიში, ავტორისეული განცდით, გამორიცხავს სიყვარულს, რადგან ის უკიდურესი ბოროტებაა, სიყვარული კი – უკიდურესი სიკეთე. „*მიდი-მოვდივარ. თვითდამკვიდრების ინსტინქტი. თვითგადარჩენის ინსტინქტი. ყველგან შიში იგრძნობა. ყველა გამოხედვის მიღმა შიში იჭყიტება. ყველა ომახიანი სიტყვის მიღმა შიში ხმაურობს. შიშით გაბოროტებულნი. შიშით თვალდაბინდულნი. შიშით შიშის მთესავნი*“ (სამსონაძე, 2019, გვ. 48), – ვკითხულობთ „ყურთბალიშში“ და სახარებისეული სენტენციის – „სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი“ – დეკონსტრუირებული რემინისცენცია იკვეთება. ქრისტეს, როგორც განსხეულებული სიყვარულის მოგონება, შიშთან, როგორც მის პოლარულ კონცეპთან, კონტრასტის შესაქმნელად, და ხაზგასასმელად სჭირდება ავტორს.

მიუხედავად დაქცეული დროისა, რომანის მთავარი პერსონაჟის გაუსაძლისი ტკივილი მაინც მის ეგზისტენციალურ კრიზისს უკავშირდება. მთავარ პერსონაჟს მუდმივად სტანჯავს გრძნობა, რომ, როდესაც შეეძლო რეაგირება, ქუჩაში დაგდებულ კაცს მშვიდად აუარა გვერდი, რადგან ტომრით პროდუქტი მიჰქონდა. სინანული მსჭვალავს მის მთელ არსებას და წარმოიდგენს, რომ ეს კაცი მისი ძმაცადა ვახო იყო, ან სულაც – ქრისტე ღმერთი! მას შიშითა და გადარჩენის ინსტინქტით გონდაკარგული საკუთარი არსება აფრთხობს, შვებად კი ისევ დედის შეკერილი ყურთბალიში ეგულება, რომელსაც მისი შვილის სუნის სდის. გარემო, რომელიც მისთვის ასე უცხო, დამთრგუნველი და გასვრილია, ბალანსდება მისთვის საკრალურ ნივთთან შეხებით. ყურთბალიში უპირობო სიყვარულის სიმბოლოა, რომლითაც დედას შეუძლია უყვარდეს შვილი და ბებიას – შვილიშვილი. სწორედ ეს უპირობო სიყვარულია ადამიანის გადარჩენის ერთადერთი შანსი, სწორედ ისაა ადამიანის არსებობის ერთადერთი გამართლება. სხვა დანარჩენი ანუ გამორჩენაზე, ინსტინქტებზე და შიშზე აგებული სიცოცხლე აზრს მოკლებულია. შიში თუ დაიდლევა და ტრანსფორმირდება სიყ-

ვარულად, ადამიანთა ცხოვრების ხარისხი უფრო მაღალ სიხშირეზე გადავა. ირაკლი სამსონაძის მცირე რომანი „ყურთბალიში“ სწორედ შიშისა და სიყვარულის პოლარული კონცეპტების წარმოდგენა და მისი ლიტერატურული დამუშავებაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბარტი, რ. (2013). S/Z, თბილისი: თსუ გამომცემლობა.

სამსონაძე, ი. (2019). ლეას საათი: ტრილოგია. ყურთბალიში, თბილისი: „ინტელექტი“.

References:

Bart'i, R. (2013). S/Z. [S/Z]. Tbilisi: tsu gamomtsemloba.

Samsonadze, I. (2019). Leas saati: t'rilogia. Q'urtbalishi. [Leah's Watch: A Trilogy]. Ttbilisi: „int'elekt'i“.

Barty, R. (2013)., Tbilisi: TSU Publishing House

Mzia Jamagidze

მზია ჯამაგიძე

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

Concept of Heterotemporality in the Novel "A Lizard on the Grave Stone "

by Archil Kikodze

ჰეტეროტემპორალობის კონცეფცია არჩილ ქიქოძის რომანში „ხვლიკი საფლავის ქვაზე“

Georgian literary process of the 21st century shows that along with modern challenges, Georgian literature is actively incorporated in re-determining and re-identifying national time and space. Many fictional texts are created to evaluate and overcome the national past and traumas and simultaneously recall forgotten pasts and narratives to redefine and recreate modern national narratives. This paper aims to discuss one such strategy- the concept of heterotemporality by analyzing the novel “A Lizard on the Grave Stone” (2021) by Archil Kikodze. We analyze how the writer envisions the national culture's perspective and place in global space.

Keywords: Georgian Literature, Heterotemporality, National time

საკვანძო სიტყვები: ქართული ლიტერატურა, ჰეტეროტემპორალიტეტი, ეროვნული დრო

21-ე საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე თვალის გადევნება დაგვანახებს, რომ არსებული გლობალური თუ ლოკალური გამოწვევების შესაბამისად, ქართული მწერლობა აქტიურად არის ჩართული ლოკალური/ნაციონალური სივრცისა და დროის ხელახალი თვითგანსაზღვრისა და თვითიდეტიფიკაციის პროცესში. იქმნება არაერთი მხატვრული ტექსტი, რომელშიც მთავარი ფოკუსი, ერთი მხრივ, წარსული გამოცდილებისა და ტრავმების გადამუშავება და შეფასება და ამასთანავე – დავიწყებული ისტორიის გახსენებაცაა, რის საფუძველზეც თანამედროვე ნაციონალური კულტურული ნარატივები იქმნება;

პოსტკოლონიურ კვლევებში არაერთი სამეცნიერო თეორია და კონცეფცია იქმნება იმისთვის, რომ პოსტკოლონიურ ეტაპზე მყოფ ერებს გლობალურ სივრცესთან კომუნიკაცია და ინტეგრაციის პროცესი გაუმარტივდეთ. ამჯერად მოხსენებაში განვიხილავთ ჰეტეროტემპორალობის კონცეფციას არჩილ ქიქოძის რომანის „ხვლიკი საფლავის ქვაზე“ (2021) მაგალითზე. ვიმსჯელებთ, როგორ აყალიბებს მოდერნიზებულ ქართულ კულტურულ/ნაციონალურ იდენტობას სივრცის ჰეტერეტემპორალური აღქმა და როგორ წარმოისახავს მწერალი ნაციონალური კულტურის პერსპექტივასა და ადგილს გლობალურ სივრცეში.

ჰეტეროტემპორალობის კონცეფცია თანამედროვე პოსტკოლონიურ კვლევებში დროისა და ისტორიის ურთიერთმიმართების საკითხის ანალიზს გულისხმობს და გამოიყენება ლიტერატურული ტექსტების, ისტორიული ნარატივებისა და კულტურული პრაქტიკების გასაანალიზებლად. უფრო კონკრეტულად, მოიცავს ცალკეულ გეოგრაფიულ სივრცეებში განსხვავებული დროითი ცნობიერების ფორმებისა და მათი ურთიერთქმედებისა თუ თანაკვეთის პრაქტიკების შესწავლას. ამ კონცეფციის ერთ-ერთი ავტორის, დევიმ ჩაკრაბარტის აზრით, თანამედროვე მსოფლიოში ერთიანი გლობალური ბაზრის პოლიტიკა კულტურებისა და აზროვნების გაერთმინებულ ფორმებისა და ჰომოგენურობის საფრთხეებს წარმოშობს, განსაკუთრებით მცირე ქვეყნების კულტურებისთვის. ამ გამოწვევის პასუხად, ის გვთავაზობს თანაბრად ღირებული მოდერნულობების სხვადასხვა გეოგრაფიულ ადგილას სხვადასხვა დროითი ცნობიერებით გამრავლებას. „ჰეტეროტემპორალობა“ ანუ დროების სიმრავლე თანამედროვე გეოპოლიტიკურ წარმოსახვასა და დისკურსში უარყოფს იმ აზრს, რომ არსებობს დროის ერთი მეტანარატივი, რომელიც განსაზღვრავს თანამედროვე დროით გამოცდილებას. ამის საპირისპიროდ, ჰეტეროტემპორალობის კონცეფცია არის დროის აღქმაზე დაფუძნებული აზროვნების წესი და ცხოვრების ფორმა, პროცესი, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია განსხვავებული დროის აღქმის მქონე ადამიანებისა თუ საზოგადოებების ერთმანეთთან ურთიერთობა და ის კულტურული პროდუქტი, რასაც ეს ურთიერთქმედების პროცესი წარმოშობს. ისტორიკოსი პართა ჩატერჯე ასეთი პრაქტიკის მაგალითებად განიხილავს ადამიანის ტექნიკასთან დამოკიდებულებას, როცა მას არ მოიხმარენ მანამ, სანამ ამა თუ იმ რელიგიის წარმომადგენელი სასულიერო პირი, სათანადო რელიგიურ რიტუალებს არ შეასრულებს, მაგალითად, არ აკურთხებს; ანდა ბიზნესმენი არ დადებს საქმიან გარიგებას, სანამ ასტროლოგთან კონსულტაციას არ გაივლის და ა.შ; მისი აზრით, სწორედ ამგვარი ჰეტეროტემპორალური ცნობიერებით დასახლებულ ადგილებს წარმოადგენს თანამედროვე სამყარო (Chatterjee, 1999, გვ. 132).

თუმცა სამეცნიერო სივრცეში არსებობს ჰეტეროტემპორალობის სრულიად საპირისპირო გააზრებაც, რომელიც ანთროპოლოგ იოანეს ფაბიანს ეკუთვნის. იგი წიგნში „დრო და სხვა: როგორ ქმნის ანთროპოლოგია თავის ობიექტებს“ (1983) ამტკიცებს, რომ ჰეტეროტემპორალობის იგივე მრავალი დროების კონცეფცია თავად დასავლური ნარატივია, რომელიც გამიზნული და შექმნილია იმისთვის, რომ შეინარჩუნოს ე. წ. „სხვები“ დაქვემდებარებულის/განსხვავებულის სტატუსით თავისი კონტროლის ქვეშ, რადგან ასეთ ტემპორალობებს დამოუკიდებლად არ შესწევთ უნარი მოდერნული დასავლური სეკულარული დროითი ცნობიერების ალტერნატივებად იქცნენ. ფაბიანის აზრით, ე. წ. არადასავლეთის, ჰეტეროტემპორალური აღქმა და რეპრეზენტაცია თავისთავად აქცევს მას დასავლეთის ჩამორჩენილ ნაწილად, ან დასავლეთთან სივრცითად და დროულად გამიზნულად დისტანცირებულ ადგილებად. ამ დისკურსს ფაბიანს „ალოქრონიზმს,“ „თანასწორობის უარყოფას“ უწოდებს და ამტკიცებს, რომ სწორედ ჰეტეროტემპორალური აღქმა იწვევს სხვის ობიექტივიზებას და ირიბად ემსახურება იმპერიალიზმსა და ნეოკოლონიალიზმს. ამგვარად, ფაბიანის მიაჩნია, რომ თანამედროვე გლობალური კაპიტალიზმი არის „გადაულახავი ჰორიზონტი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ შეიძლება სივრცითად გაფართოვდეს, მაგრამ ისე, რომ არ იყოს გააზრებული და, შესაბამისად, რელატივიზებული – დროისა და ცვლილების თვალსაზრისით“. (Fabian 2014, 143-144) დიფერენციალური და არათანაბარი დროები კი უბრალოდ დასავლური კონსტრუქციაა კოლონიური ძალაუფლების სამსახურში.

ცხადია, დროის გააზრებისა და ნაციონალური დროითი ცნობიერების შექმნის პროცესში მწერლობას განსაკუთრებული როლი აკისრია. ამ თვალსაზრისით, ქართული მწერლობის ანალიზი საინტერესოა, ერთი მხრივ იმიტომ, რომ ჩვენ, კულტურული იდენტობის თვალსაზრისით, მუდმივად მოვიაზრებთ საკუთარ თავს დასავლური ცივილიზაციის ნაწილად, თუმცა ხანგრძლივი კოლონიზაციის გამოცდილებების გამო საუკუნეების განმავლობაში დასავლური დროითი ნარატივიდან მუდმივად გავაქვს ე. წ. „ამოვარდნები მრავალჯერადი წყვეტების, შებრუნებების, ინერციების“ (მბეგე, 2001) სახით. იმიტომ საინტერესოა, დღეს თანამედროვე ქართული მწერლობა

ლიტერატურული ნარატივებით როგორ წარმოადგენს ნაციონალურ დროს, სად ვიმყოფებით ახლა, სად ხედავს მწერლობა ნაციონალური არსებობის პერსპექტივას. სწორედ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ არჩილ ქიქოძის რომანს „ხვლიკი საფლავის ქვაზე.“

რომანში ორი დროითი ნარატივი უპირისპირდება ერთმანეთს. ერთი დროითი განცდა სიმბოლიზებულია გიგოს პერსონაჟში, რომელიც მითოსური დროისა და დასავლური სეკულარული დროის ჰიბრიდიზაციით ცდილობს საკუთარ სამშობლოში თანამედროვე ნაციონალური ჰეტეროტემპორალური დროის შექმნას. გიგო წარმოშობით მთიელია, მთხრობელის ბავშვობის მეგობარი, პროფესიით მხატვარი, რომელმაც გერმანიაში ცხოვრების პერიოდში იქ თავის დამკვიდრება გერმანელი გალერიის მფლობელი ქალის დახმარებით შეძლო. ეს პერსონაჟი ორგანულად ატარებს ორ დროით ცნობიერებას – მითოსურს/პრეისტორიულს ანდა პრემოდერნულს და დასავლურ/სეკულარულს. მისი მცდელობები კი აწმყოში ამ ორი დროის ჰიბრიდიზაციისკენ არის მიმართული. გიგოს რომ მთხრობელისგან განსხვავებული დროითი ცნობიერება და მგრძნობელობა აქვს, ეს რამდენჯერმეა ტექსტში ხაზგასმული. გერმანიიდან დაბრუნებული ის ბავშვობის მეგობრებს შეკრებს და მთხრობელის თქმით, ისე იქცევა თითქოს ამდენი წელი ერთმანეთის გარეშე არ ეცხოვროთ. მაგალითად, „გიგო ისე ძელაპარაკებოდა თითქოს აქვე იყო. თითქოს საერთოდ არ წასულიყო არსად, წლობით არ გადახვეწილიყო“ (გვ 76). ამის დასტურია ასევე ის ფაქტი, რომ გერმანიიდან სპეციალურად ბრუნდება მთის რიტუალური წესის თუ ტრადიციის შესასრულებლად, რაც ორი მოსისხლე გვარის ერთმანეთთან შერიგებას გულისხმობს და ამ რიტუალურ წესში მონაწილეობას სთხოვს მთხრობელსაც. ცნობილია, რომ მითოსური ან/და პრეისტორიული ცნობიერება დროის გააზრების ქრონოლოგიურ პრინციპს არ ეფუძნება. ის მოიცავს ციკლურ ცნობიერებას და ფაბიანის ანთროპოლოგიური კონცეფციით, გულისხმობს არა აწმყოში ცხოვრებას, არამედ წარსულში არსებობას (Fabian, 2014, გვ.153). დროის შესახებ თეორიებში ესენციალური მითოსური დროები მუდმივად წარსულია, რომელიც არ ვითარდება და სხვადასხვა დროით ციკლში ერთი და იმავე შინაარსების გამეორებას ახდენს. შესაბამისად, არც განვითარებისა და ტრანსფორმაციის პოტენციალი გააჩნია. ციკლური დროითი ცნობიერებით მომავლის პერპექტივის შექმნა რომ შეუძლებელია, ტექსტის მიხედვით, ამის დასტურია მთხრობელის მამის ცხოვრებაც, რომელსაც ავტორი შემდეგვარად აღწერს. „მამინ მამაკაცების მთელმა თობამ ერთი ათწლეულით საბანი გადაიფარა თავზე და როცა გადაიხადა, აღარ მოეწონა, რაც იქ დახვდა. მამა ავად რომ არ ყოფილიყო, ვინ იცის რას მოიფიქრებდა, მაგრამ ავადმყოფმა ეს მოიფიქრა, ახალ რვეულში თავიდან იწერდა მთელ ნაშრომს და ასე თითქმის უსასრულოდ. ეს იყო მისი გზა. წერდა სანამ შეეძლო და სულ უფრო ხეწდა კალიგრაფიას. არა მგონია, ეს ჰქონოდა მიზნად, მაგრამ ასე გამოუვიდა. მისი უკანასკნელი დაუმთავრებელი რვეული შედეგრი მგონია, მაგრამ არა მეცნიერული, არამედ – კალიგრაფიული“ (გვ. 59). ამ ნაწყვეტით დასტურდება, რომ გიგოს მსგავსად, გვიანსაბჭოთა პერიოდის და 90-იანი წლების ქართველმა ინტელექტულებმაც ვერ შეძლეს ახალი ნაციონალური დროითი ცნობიერების შექმნა და უბრალოდ რეალობის გადამწერებად იქცნენ, ნაცვლად იმისა, რომ გაეაზრებინათ და გარდაექმნათ არსებული სივრცე და რეალობა. გიგოც უშედეგოდ ცდილობს ალტერნატიულ ჰეტეროტემპორალური დროებითობის შექმნას, რადგან თვალსაჩინოა, რომ თავად ნაციონალურ მითოსურ ცნობიერებას აღარ გააჩნია რესურსი და არსებული რეალობის განახლების პოტენციალი. ტექსტის მიხედვით ამის ნათელი დასტური ბერლინში მოწყობილი გიგოს გამოფენაა. მართალია, ნაციონალურ თემატიკაზე შესრულებული მისი ნახატები მოწონებით სარგებლობს, თუმცა მთხრობელის თქმით, „გიგოს ნახატებს ის სჭირს, რაც თავდ გიგოსს[...]გიგო ტყვეა იმ მოტივების და ამბების ბავშვობიდან რომ ესმოდა. თვითონ დაიდო ეს ბორკილი და გასაღებიც შორს მოისროლა. [...] რადგან დაიჯერა, რომ მთის გარეშე დაიღუპება, მთავარს დაკარგავს, რაღაც ცოდნას, ურომლისოდაც გიგო გიგო აღარ იქნება. იმ ცოდნას, რომელიც ევროპელი კი არა ქართველი ბარელიც ვერ გაიგებს და რაც მეტს ეცდება გაიგოს, მით უფრო უბადრუკი იქნება ეს მცდელობა“ (გვ. 69). ამიტომაც შუაგულ ბერლინში გამოფენილი ეს ნახატები მყვირალა კიტჩად მოჩანს. ამავდროულად,

არც არსებული ნაციონალური გარემოც იძლევა ამ სივრცეში ახალი ქრონოლოგიური განზომილების შემოტანის შესაძლებლობას, რადგან ყველაფერს რასაც ამ სივრცეში გიგო შექმნის და მიმოქმედებს ნაციონალური გარემო და საზოგადოება მყისიერად რიტუალურ წერიგის ნაწილად გარდაქმნის. ტექსტში ამის თალსაჩინო მაგალითია გიგოს მიერ საყოფაცხოვრებო დანიშნულებით აგებულ თავშესაფარი, ხალხმა როგორ გადააკეთა სალოცავ ნიშად. ამდენად, მთხრობელის შეფასებით, გიგოს მცდელობებს შექმნას ახალი ნაციონალური ჰეტეროტემპორალური დრო, პერსპექტივა არ აქვს და ამას მისი სიკვდილის ფორმაც ცხადყოფს. მან სამოცი ხელი პინგპონგი ითამაშა და გულის შეტევით გარდაიცვალა. რაც თავისთავად უაზრო და აბსურდული სიკვდილია.

შესაძლოა, გიგოს მცდელობები უშედეგოა, თუმცა ნაციონალური სივრცე რომ ახალი დროითი ცნობიერებით განახლებას საჭიროებს, ამას ტექსტში ბევრჯერ მიგვანიშნებს ავტორი. ტექსტის დასაწყისში აღნიშნულია, რომ პერსონაჟის მშობლიური სოფლის სახლში საათი გაჩერებულია და მუდმივად ცხრა საათს უჩვენებს „...*გაჩერებულია, – მეუბნება მანანა. შეხსენებასავით, საყვედურით არის ნთქვამი უნდა მხსომებოდა? მართალია, შარშანაც გაჩერებული იყო, იქნებ შარშანწინაც და ვერ შევამჩნიე?*“ (გვ. 31); გაჩერებულ დროისა და უფუნქციო სივრცის აქცენტირებას ახდენს ასევე პერსონაჟის თვითრეფლექსია, სოფელში დაბრუნება პრეისტორიულ წარსულში დაბრუნებას რომ მოაგონებს. „ყოველი წინ გადადგმული ნაბიჯი თითქოს მაბერებდა. ასე მემართება ყოველ ჯერზე, როცა აქ მოვდივარ,“ ამბობს ის.

ყოველივე ამის ფონზე საინტერესოა, სად ხედავს გამოსავალს ავტორი? როგორ უნდა დაუსხლტე არსებულ სივრცეში გაბატონებულ ლოკალურ დროებს, იმისთვის რომ ნაციონალურ სივრცეში ახალი დროითი ცნობიერების და ახალი შინაარსების შექმნა შეძლო. ტექსტში რამდენჯერმე გვხვდება სასაფლაო, რომელსაც ერთგვარი ლიმინალური სივრცის ფუნქცია აქვს რადგან ამ ადგილას, ერთი მხრივ, გარკვეული დროითი განცდები და ცნობიერება სრულდება და ამავედროულად, ჩანს ახალი დროითი განცდებისა და შინაარსების წარმოიქმნას პოტენციალიც. ამის სიმბოლო კი, ტექსტის მიხედვით, მთხრობელის მამის საფლავზე შენიშნული მწვანე ენდემური ჯიშის ხვლიკია, კავკასიური გეკონი, რომელიც მთხრობელის მამის აღმოჩენილია და რომლის დევნასაც მისი სიცოცხლე შეეწირა. „*მამაჩემის სიკვდილის მიზეზი მისი მოუსვენრობა იშვიათი სახეობის ხვლიკი და ორი ძლევა მოსილი იმპერია გახდა. მე ასე მომწონს ასე მიორჩენია ვიფიქრო, ვდრე ის რომ მამა ნარჩენმა ნაგავმა მოკლა. ჯერ მისთვის იყო შვება საკუთარი სიკვდილის მითად ქცევა და მერე ჩემთვის*“ (გვ. 56). ლიტერატურასა და კულტურის კვლევებში ხვლიკი თავისი ტრანსფორმაციისა და რეგენარაციის უნარის გამო ხშირად გამოყენებული მეტაფორაა როგორც განახლების, ხელახლა დაბადების და ცხოვრების ციკლური ბუნების გამომსახველობის სიმბოლო. აღნიშნულ ტექსტშიც სწორედ ამგვარი სიმბოლური ფუნქცია აქვს ხვლიკს, რომელსაც მთხრობელი მამამისთან აიგივებს. „*მის დანახვაზე განსაკუთრებით მიტოვდება გული, რადგან ქვაზე მწვანე ხვლიკს ვხედავ. გამიბობს სხლტება და ბალახში უჩინარდება Lacerta agilis grusinica – ჩვენია, მხოლოდ ჩვენი, ენდემური. მოუხელთებელია მამაჩემი, მაგრამ კარგად დავინახე, როგორი მოზრდილი და სულ მწვანე იყო. მას მერე რაც მამაჩემზე ნადირობა წამოვიწყე, ყველა მზისგან გახურებული საფლავის ქვა და ზედ გარინდებული ნებისმიერი ქვეწარმავალი მნიშვნელოვანი გახდა. ის თუ მოუხელთებელია, მე ჯიუტი და მოთმინებით სავსე ვარ*“ (გვ. 54). ამდენად, ტექსტში საფლავის ქვაზე შენიშნული ხვლიკი, ვიფიქრობთ, სწორედ ახალი ნაციონალური დროითი ცნობიერების, იმედის და მომავლის სიმბოლოა. სწორედ ეს იმედი უბიძგებს პერსონაჟს, რომ შეცვალოს არსებული დრო, გარდაქმნას და აავსოს ახალი შინაარსით. მთხრობელს ახალი დროითი ცნობიერების წარმოქმნის შესაძლებლობა ყოველგვარი ცრურწმენებისა და რელიგიური თუ მითოსური შინაარსებისგან დაგლილ სივრცეში წარმოუდგენია. უფრო კონკრეტულად მნიშვნელოვანია ნაცნობ, მშობლიურ გარემოსთან გაუცხოება, რომ კვლავ არსებული რეალობის მძევლად და რიტუალური გარემოს ნაწილად არ გადაიქცეს საზოგადოება. სწორედ ამიტომ ცდილობს მთხრობელი მშობლიურ/ნაცნობ გარემოსგან გაუცხოებას. მშობლიურ სოფელში ჩასული საყვარელ ქალს მოატყუებს, რომ „თითქოს აქაური

არ ვიყავი, ვითომ შემთხვევით გადავუხვიე მთავრი გზიდან და ვიარე, სანამ არ მივადექი პატარა საყდარს და სასაფლაოს ძველი და ახალი საფლავის ქვებით.“ საკუთარი წინაპრების ზებია -ზაზუ-ების საფლავსაც ისე აუარა გვერდი, რომ არ შეიმჩნია. სწორედ ასე, სასაფლაოზე ჩუმად შეპარული დაქორწინდება საყვარელ ქალზე მიტოვებულ სამლოცველოში. თუმცა ეს რეალური ჯვრისწერა არ ყოფილა. საქორწინო რიტუალი ჩაატარა არა სასულიერო პირმა, არამედ კონფერანსიემ, რომელიც მთელი ცხოვრობა მსახიობობაზე ოცნებობდა და რომელსაც სოფელი უცნაურ შემწილად მიიჩნევდა. „იმ დღეს აღდე ვერაფრით ივიწყებს და ჩვენი ქორწილის დღეს ეძახის. რა გინდა, ხომ გვექონდა ქორწილიო ასე მეუბნება დღემდე [...] და მეც ყოველ ჯერზე სულელივით მიხარია, რომ ახსოვს ის დღე და ბებერი უშვილოპირო კონფერანსიეს მიერ ფეტიშის ადგილად ქცეული პაწაწინა ნახევრად ჩამოქცეული საყდარი“ (გვ. 44). ამგვარი სახით არსებულ რეალობასთან გაუცხოება საბოლოოდ ისეთი ქმედებებისთვისაც ათავისუფლებს სივრცეს, რომელთაც გარემოზე ზემოქმედებისა და მისი გარდაქმნის პოტენციალი აქვს. თუ ამბის მსვლელობისას მთხრობელი უბრალოდ გარემოს აღმწერი იყო, ამბის ბოლოს, კვლავ გიგოს დაკრძალვის რიტუალში მონაწილეს, რეალობისადმი პროტესტი გაუჩნდება და გადაწყვეტს ახალგაზრდა გარდაცვლილი ბიჭის სურათი, რომელიც მის ჭირისუფალს მანქანის საქარე მინაზე ჰქონდა დამაგრებული, საჯაროდ სხვის დასანახად ჰყავდა დატყვევებული, „მზეზე ახუნებს და თან ადიდებს თავის ტკივილს“ (გვ. 171), გაათავისუფლოს. მთხრობელს ეს სურთი თავისი ბავშვობის მეგობარს ახსენებს. „ამას მაინც გავუკეთებ რამეს. მე გავათავისუფლებ ზესკნელსა და ქვესკნელს შორის დატყვევებულს, ტრასებსა და შარავზეზე ხალხის დასაზაფრად განწირულს, საქარე მინაზე დილის ჩიტივით მიჭყლეტილს, ასე ხილულს და ასე დავიწყებულს“ (გვ. 171). ამიტომ ჩამოგლეჯს მანქანიდან სურათს და შუაზე დახვეს, რასაც ცხადია, საზოგადოების აღშფოთება მოჰყვება, ამიტომ სცემენ და მეგობრის დაკრძალვიდან გამოაგდებენ. თბილისისკენ მომავალი მთხრობელი მატარებელში ადის და ეს, მისი თქმით, განსხვავებით ტექსტის დასაწყისში მოხსენიებული გაჩერებული საათისგან, მაინც მოძრაობის, რაღაც ახალისკენ მიმავალი გზის დასაწყისის სიმბოლოა. ამდენად, ვფიქრობთ, აღნიშნული ტექსტის მიხედვით, ცხადია, რომ დაქვემდებარებულობის სტატუსისგან თავის დაღწევისა და გლობალურ სივრცეში სრულფასოვნად ორიენტირებისთვის, მწმენელოვანია პოსტკოლონიური გამოცდილებების მქონე საზოგადოებმა/ერებმა, ერთი მხრივ, შეძლონ საკუთარი ისტორიის კრიტიკული გადასინჯვა და ამავდროულად, ადგილობრივი სივრცის მოდერნული სეკულარული დროითი ცნობიერებით გარდაქმნა და გამინაარსება.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ქიქოძე არჩილ (2021). ხვლიკი საფლავის ქვაზე. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.
 Chakrabarty, Dipesh. (2000). Provincializing Europe: Postcolonial Thought and Historical Difference. Princeton UP, forthcoming, Princeton,
 Chatterjee Partha. (1999). „Anderson's Utopia“ *Diacritics*, Volume 29, Number 4, Winter: pp. 128-134.
 Fabian Johannes. (1983). Time and the Other: How Anthropology Makes Its Object, Columbia University Press

References:

- Chakrabarty, Dipesh. (2000). Provincializing Europe: Postcolonial Thought and Historical Difference. Princeton UP, forthcoming, Princeton,
 Chatterjee, Partha. (1999). „Anderson's Utopia“ *Diacritics*, Volume 29, Number 4, Winter: pp. 128-134.
 Fabian, Johannes. (1983). Time and the Other: How Anthropology Makes Its Object, Columbia University Press
 Kikodze, Archil. (2021). Khvlik'i saplavis kvaze. [Lizard on a tombstone]. Tbilisi: Bak'ur Sulak'auris gamomtsemloba.

Manana Kajaia

მანანა ქაჯაია

Georgian Technical University

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

One Aspect from Niko Nikoladze's Journalism

ერთი ასპექტი ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტიკიდან

The article is about the publicism of the great thinker of the 19th century, Niko Nikoladze.

The specificity of his attitude towards literary criticism in general is of particular importance. In the letter "Criticism and its importance in literature" Niko Nikoladze talks to the reader about the purpose of criticism in the language of journalism and emphasizes that if the writer's call is to "correctly and intelligently express people's life, character, morals, needs and thoughts", the purpose of criticism is to keep an eye on writing, to notice its character and compare its meaning.

Keywords: criticism, century, journalism, thought

საკვანძო სიტყვები: კრიტიკა, საუკუნე, ჟურნალისტიკა, ფიქრი

შესავალი

XIX საუკუნეში კრიტიკა სიტყვაკაზმული მწერლობის სათავედ ითვლებოდა.

ლიტერატურული კრიტიკა ნიკო ნიკოლაძის მრავალფეროვანი პუბლიცისტური მოღვაწეობის ერთი ყველაზე მთავარი უბანია. ჯერ კიდევ XIX საუკუნის 60-70-იან წლებში იგი თეორიულად ასაბუთებდა კრიტიკოსის დიდ მნიშვნელობას ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის. ამ თვალსაზრისის მიხედვით, მისი ნააზრევებიდან, პირველყოვლისა, ყურადღებას იმსახურებს წერილი „კრიტიკა და მისი მნიშვნელობა ლიტერატურაში“ (ნიკოლაძე, 1960, გვ. 411).

ნიკო ნიკოლაძე, მიუხედავად მისი დამსახურებებისა, შეიძლება ითქვას, რომ სადღეისოდ მაინც არ არის სათანადოდ წარმოჩენილი, არადა, მათ შორის არსებულ ობიექტურ და სუბიექტურ წინააღმდეგობათა მიუხედავად, ნიკო ნიკოლაძეს თავად ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებით უწევდა ანგარიშს, რადგან იგი ისეთ კაცად მიაჩნდა, „რომელთან ერთად უდელში შებმა სახარბიელოა“ (ჭავჭავაძე, 1961, გვ. 45).

მართალია, ნიკო ნიკოლაძის პიროვნებას არ სჭირდება ჩვენ მიერ განსაკუთრებული შემკობა, მაგრამ, ალბათ, მართებული იქნება, თუ გავიხსენებთ გერონტი ქიქოძის მოსწრებულ და ლაკონიურ შეფასებას: „ნიკო ნიკოლაძე უდოგმატო კაცი იყო, ყველაზე თავისუფლად მოაზროვნე სამოციანი წლების ქართველ მოღვაწეთა შორის“ (ქიქოძე, 1963, გვ. 184).

მეტად საინტერესოა ნიკო ნიკოლაძის დამოკიდებულება დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი წერეთლის მიმართ.

ნიკო ნიკოლაძესა და გიორგი წერეთელს განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდათ. ეს განპირობებული იყო იმითაც, რომ ნიკო ნიკოლაძის და, ოლიმპიადა, გიორგი წერეთლის ცოლი იყო.

ნიკოლაძეებისა და წერეთლების ოჯახები განუყრელად ცხოვრობდნენ. ამ სიახლოვესა და სიყვარულს არ შეუშლია ხელი ნიკო ნიკოლაძისათვის, რომ გულდია აზრი გამოეთქვა გიორგი წერეთლის მოთხოვნაზე „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა“, ეთქვა: „რაც მოეწონა, მომწონსო ეთქვა და რაც არა, დაეწუნებინა“.

გიორგი წერეთლის კოლორიტული პიროვნება, მისი ესთეტიკური მრწამსი და საკუთრივ პროზა აზრთა სხვადასხვაობის წყარო იყო და არის დღესაც. ფაქტი ერთია, გიორგი წერეთლის სახით XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურას მოევიდნა უაღრესად ერუდიტი, ფართო თვალსაწიერის მწერალი, რომელმაც ახალი ცხოვრების გადასხვაფერებულ პირობებში, როცა ჩვენს გარშემო ურთიერთს შეეჯახა რაინდული და ბურჟუაზიულ-მემჩანური იდეალი, თავის ბელეტრისტიკაში რელიეფურად ასახა ეს რთული სოციალური პროცესი. მოწინავე ლიტერატურულმა საზოგადოებამ ცხოველი ინტერესი გამოავლინა მისი პროზის მიმართ.

გიორგი წერეთლის ნაწარმოებებს მისი თანამედროვე ქართველი საზოგადოება ყოველთვის დიდი ინტერესით ეგებებოდა. ამ ინტერესს ძირითადად რამდენიმე ფაქტორი განსაზღვრავდა, უპირველეს ყოვლისა, მწერლის ნიჭი, ძალიან სადა, უშუალო სტილი და, ამასთან ერთად, მეტად საინტერესო გარემოებაც. კერძოდ ის, რომ მწერლის გმირები არა მარტო მათი თანამედროვე საზოგადოების ტიპურ წევრებად აღიქმებოდნენ, არამედ ზოგიერთ გმირში მკითხველი ხშირად რეალური პიროვნების ანარეკლს ხედავდა.

დიდი ინტერესით შეხვდა მკითხველი გიორგი წერეთლის პირველი მხატვრული ნაწარმოების „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკას“ გამოქვეყნებას, რომელიც პირველად 1866-1870 წელს დაიბეჭდა „დროებასა“ და „კრებულში“ „მგზავრის წიგნების“ სათაურით.

ნიკო ნიკოლაძემ „მგზავრის წიგნებს“ მიუძღვნა პატარა, მაგრამ მეტად საყურადღებო წერილი „გ. წერეთლის პირველი შრომა“, რომელიც ჟურნალ „მომამბეში“ დაიბეჭდა“ (ქიქოძე, 1963, გვ. 158). აღსანიშნავია, რომ ნიკო ნიკოლაძის წერილი ნაწარმოების ცალკე წიგნად გამოსვლის შემდეგ გამოქვეყნდა (1894 წ.). თავად ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ „კიკოლიკის, ჩიკოლიკისა და კუდაბზიკას თავგადასავალი“ ნიკო ნიკოლაძისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწარმოები იყო. მისი აზრით, კრიტიკა მწერლობას ტონს უნდა აძლევდეს და, ამასთან, საზოგადოებისათვის საჭირო მიმართულებას უსაზღვრავდეს. მართლაც, აღნიშნულ წერილში კარგად არის წარმოჩენილი გიორგი წერეთლის ნაწარმოების დადებითი მხარეები, რაც შეიძლება მწერლობისათვის გარკვეული ტონის მიცემადაც ჩავთვალოთ და, ამასთან, ფაქტობრივად გეზის განსაზღვრავდაც აღვიქვათ, რადგან კრიტიკოსი ხაზგასმით აღნიშნავს: „ამ შრომის ბედი, როგორც შინაგანი ღირსება, სწორედ სამაგალითოა ჩვენს მწერლობაში, მომავალი ჩვენი ბელეტრისტებისათვის“ (ნიკოლაძე, 1894, გვ. 139-159).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გიორგი წერეთლის ნაწარმოებთან დაკავშირებით გამოთქმული ნიკო ნიკოლაძის მოსაზრებათა განხილვისას, აუცილებლად გასათვალისწინებელია ისიც, რომ კრიტიკოსი ბრწყინვალედ იცნობდა ევროპულ და რუსულ ლიტერატურას. აი, როგორ მოსწრებულად, ლაკონიურად, მაგრამ საკმაოდ ღრმად და სრულად აფასებს ერთგან დიდ ინგლისელ მწერალს ჩარლზ დიკენსს ნიკო ნიკოლაძე: „მის თხზულებაში თავის ნაცნობების და მეგობრების, ხშირად თავის საკუთარ სახესა ხედავდა მკითხველი, და თანაც იცინის იმათ ბაიბურობაზე, თან უკეთეს ზნესა და საქციელს ეჩვევა“ (ნიკოლაძე, 1960, გვ. 109). ჩვენი აზრით, კრიტიკოსისგან ზოგადად მწერლის შემოქმედებისადმი წაყენებული მოთხოვნების თავისებურ თეზისად შეიძლება მივიჩნიოთ მეორე დიდი ინგლისელი მწერლის უ. თეკერის შემოქმედების დახასიათება: „ამ თხზულებებში სასტიკად გალანძღულია ინგლისელის დიდკაცობა, მისი სიამაყით, სულმდაბლობით და ოსტატურად დამალული გარყვნილებით, მისი ანგარებით და ხალხის დაუზოგველობით“ (ნიკოლაძე, 1960, გვ. 110).

ნიკო ნიკოლაძის კრიტიკული წერილი იმითაც არის საყურადღებო, რომ მას საკმაოდ საინტერესო სტრუქტურა აქვს. კრიტიკოსი თავიდანვე ხაზგასმით აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ „მთელმა საზოგადოებამ მიაქცია ყურადღება დამწყები ავტორის ნიჭს. მისი ცხოველი სურათები, იუმორი, მისი ტიპები ყველას მოწონებას იმსახურებდა“ (ნიკოლაძე, 1894, გვ.139).

როგორც ვიცით, „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკას“ სიუჟეტური „ქარგა“ იმგვარად ვითარდება, რომ მთავარი გმირები მოგზაურობისას უცნობ ადამიანებს ხვდებიან და მწერალიც სულ სხვადასხვაგვარი ხერხითა და დეტალებით ხედავს პერსონაჟთა სახეებს. მსგავს ტიპებს ცოტა მოგვიანებით ქართველი მკითხველი უკვე დავით კლდიაშვილის შემოქმედებაში გაეცნო. საინტერესოა, რომ ფრიად მრავალრიცხოვან გმირთაგან ნიკო ნიკოლაძემ კუდაბზიკა გამოარჩია, რომლის შინაგანი სამყარო, აზროვნების სტილი და, საერთოდ, მთლიანი ბუნება შესანიშნავად თავსდება ძალიან კოლორიტულ და, ამასთანავე, თბილი იუმორით სავსე სიტყვაში – „კუდაბზიკა“. სწორედ კუდაბზიკა შეიძლება მივიჩნიოთ დავით კლდიაშვილის ნაწარმოებთა გმირების წინაპრად. მართალია, გიორგი წერეთელი ამ გმირის დახასიათებისას არ ამჟღავნებს იმ შინაგან ნაღვლიან დამოკიდებულებას, რომელიც ასე მკვეთრად იგრძნობა დავით კლდიაშვილთან, მაგრამ უნდა ითქვას, რომ თუკი კუდაბზიკას სახეს მთლიანობაში გავიაზრებთ, მაშინ ჩვენ წინ საბრალო ადამიანი წარმოდგება, რომელიც სწორედ თავისი კუდაბზიკობით ბადებს სიბრალოლს, რადგან მას პიროვნული არაფერი გააჩნია კუდაბზიკობის გარდა.

ნიკო ნიკოლაძე ხაზგასმით აღნიშნავს: „მთელს ამ თხზულებაში სრულიად რომ არაფერი ყოფილიყო, გარდა მარტო ერთი კუდაბზიკას აღწერისა, მაშინაც ჩვენს მწერლობაში უკვალოდ არ დარჩებოდა „მგზავრის წიგნები“, ამიტომ რომ კუდაბზიკა – ნამდვილი ტიპია“ (ნიკოლაძე, 1894, გვ.147).

როგორც კრიტიკოსს, ნიკო ნიკოლაძეს მხედველობიდან არ რჩება გმირის სახის შექმნის გიორგი წერეთლის მიერ მოხდენილად გამოყენებული ხერხი, კერძოდ ის, რომ კუდაბზიკას დახასიათება ერთხელ კი არ არის მოცემული როგორც მთლიანი, შეკრული ინფორმაცია, არამედ თითქმის მთელ ნაწარმოებშია გაშლილი (უფრო ზუსტად ნაწარმოების პირველ ნაწილში). კუდაბზიკას სურათი ერთ ადგილას კი არა აქვს ავტორს დახატული, – წერს ნიკო ნიკოლაძე, – „არამედ აქა-იქ, პირველი გვერდიდან უკანასკნელამდინ, ჰპოულობს კაცი თითო-ორიოლა სიტყვას, შენიშვნას, ხაზს და როცა (მკითხველი, – მ. ქ.) კითხვას გაათავებს, მას თვალწინ ცოცხლად უდგება მთელი და ცხოველი სურათი ცხოვრებით სავსე ადამიანისა. მისი ხასიათი სწორედ რომ მშვენივრად არის გატარებული მთელ თხზულებაში... სადაც კი გამოჰყავს ავტორს თავისი კუდაბზიკა. ეს უკანასკნელი გამოდის, მოქმედებს და ლაპარაკობს სწორედ ისე, როგორც იმდროინდელი წვრილფეხა აზნაური. ეს მხარე ბ-ნ გ. წერეთლის „მგზავრის წიგნებისა“ სწორედ რომ უნაკლოდ არის დაწერილი... და უეჭვოა, რომ დიდხანს, დიდხანს დარჩება სამაგალითო ნაწარმოებად ჩვენს ბელეტრისტიკაში“ (ნიკოლაძე, 1894, გვ.148). მართლაც, ნიკო ნიკოლაძის პროგნოზი, ფაქტობრივად, გამართლდა – ზოგადად „კუდაბზიკობის“, როგორც მოვლენის, ადამიანის შინაგანი ბუნების, აზროვნების სტილის გამოვლენის ფორმაზე დაყრდნობით დავით კლდიაშვილმა „შემოდგომის აზნაურების“ მთელი გალერეა შექმნა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ნიკო ნიკოლაძემ კარგად აღიქვა კუდაბზიკას, მართლაც უდავოდ ნიჭიერად დახატული კოლორიტული სახე და ამიტომ განსაკუთრებით წარმოაჩინა იგი. „კუდაბზიკობა“, როგორც ზოგადი სახე, როგორც მოვლენა პირველად ნიკო ნიკოლაძემ შენიშნა და ეს მის უდავო დამსახურებად უნდა ჩაითვალოს.

როგორც აღინიშნა, ნიკო ნიკოლაძეს ფართო ერუდიცია და რაფინირებული გემოვნება ჰქონდა იმისათვის, რომ ავი და კარგი გაერჩია, სწორედ ამიტომ იგი პირუთვნელად მიუთითებს გიორგი წერეთლის ნაწარმოების ნაკლოვან მხარეებზეც. განსაკუთრებით უსვამს ხაზს კრიტიკოსი შემდეგ გარემოებას: „თანდათან მხატვარი უფრო და უფრო ხშირად თავისივე კომენდატორად

ხდება. ეს საშინელი ნაკლოვანებაა ხელოვნურ მწერლობაში. ბელეტრისტი, პოეტი მარტო სურათებით უნდა ზემოქმედებდეს მკითხველზე“ (ნიკოლაძე, 1894, გვ.152).

ნიკო ნიკოლაძის აზრით, გიორგი წერეთელი ვერ მოერია ჩიკოლიკისა და კიკოლიკის სახეთა შექმნის ამოცანას. „აქ ავტორს ესაჭიროებოდა უფრო რთული გრძნობის თუ ზნეობის გაჩხრეკა, უფრო მძიმე და ფარული ხასიათის გამოკვლევა“ (ნიკოლაძე, 1894, გვ.152), – აღნიშნავს კრიტიკოსი. მნელია, არ დაეთანხმო ამ მოსაზრებას, რადგან მართლაც ძალიან იშვიათად იგრძნობოდა, რომ ამ ორი იმ დროისათვის საკმაოდ განათლებული, თავისებური, თუმცა რამდენადმე დაბალი, მაგრამ მაინც ინტელექტის მქონე გმირთა დახატვისას მწერალს არა აქვს მთელი სიძლიერით გამოყენებული მხატვრული ოსტატობა.

ნიკო ნიკოლაძეს, ბუნებრივია, როგორც მწერლის თანამედროვეს, არ შეეძლო მთელი ძალით შეეგრძნო ნაწარმოების მნიშვნელობა, როგორც მხატვრული ისტორიული მატრიანისა. გიორგი წერეთელი საკმაოდ ადგილს უთმობს ბატონყმობის გადავარდნაზე მსჯელობას. აზნაურ ბაკურასა და კუდაბზიკას საუბარში კარგად არის გადმოცემული რიგითი ადამიანების მოსაზრებანი. კუდაბზიკა, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ბატონყმობის გადავარდნის მომხრეა, თავისი აზროვნების ძირითად საწყისსა და მიმართულებას მოულოდნელად ერთ უცბად წარმოთქმულ ფრაზაში ამჟღავნებს: „არა, არა, არა, მაგი არ იქნება, წყალს რავა მევიტან!“ (წერეთელი, 1985, გვ. 229). ჩვენი აზრით, კუდაბზიკას ეს სიტყვები გაცილებით უფრო სრულად იძლევა მის დახასიათებას, ვიდრე მწერალი მისი ბიოგრაფიის ვრცლად და დეტალურად გადმოცემისას შეძლებდა. როგორც მართებულად აღნიშნავდა ნიკო ნიკოლაძე, „კუდაბზიკას სურათი ერთ ადგილას კი არ აქვს ავტორს დახატული, არამედ აქა-იქ“ (ნიკოლაძე, 1894, გვ. 148). ჩვენი აზრით, ეს კუდაბზიკას შინაგანი სამყაროს წარმმართველი, გამხსნელი ფრაზა – „წყალს რავა მევიტან!“ – მისი მსგავსი ტიპების აღსაქმელად მწერლის მიერ მკითხველისათვის მიწოდებულ თავისებურ კოდს წარმოადგენს. ჩიგუნისა, ბაკურის, კუდაბზიკას, ან უკვე გარდასული საუკუნის რიგითი ადამიანების აზრები, ფაქტობრივად, დოკუმენტური სიზუსტით შემოინახა გ. წერეთლის კალამმა და, ამდენად, „მეზავრის წიგნების“ ფურცლებს მკითხველი უკვე მატრიანის ხიბლითაც კითხულობს.

გიორგი წერეთელი მისთვის დამახასიათებელი სადა, მაგრამ ამავე დროს მოულოდნელი ზუსტი შედარებებით შემკული თხრობის სტილით შესანიშნავად გადმოგვცემს კიკოლიკისა და მისი თანამეზავრების დადიანების ყოფილ სასახლეში დაბინავების ამბავს. მწერალი ასე აგვიწერს სასახლეს: „ეს იყო უზარმაზარი ზის სახლი შვიდი განიერი ოთახით. გარშემო ხის ჯვარიანი ხარისხა ერტყა. ორ კუთხეზე ამალღებული სატახტო ადგილი იყო გაკეთებული, როცა სასახლეში ლხინი და მეჯლისი გაიმართებოდა, ამ ამალღებულს ადგილზე ტახტს მოაწყობდნენ და ზედ დასახლდებოდნენ მთავარ-დედოფალი“ (წერეთელი, 1985, გვ. 247).

მწერალი შესანიშნავად აცოცხლებს ძველი სასახლის ცხოვრების სურათს, რომელიც უკვე მისი თანამედროვე მკითხველისთვისაც კი გარდასული ეპოქის ანარეკლი იყო. როგორც ნიკო ნიკოლაძე აღნიშნავდა, გიორგი წერეთელი „ცხოველ სურათს გვიხატავს“ სევდიანი წარსულისას და თან, ამასთან ერთად, ეს სურათი თავისებური მიმზიდველობითაც გამოირჩევა. ამ მიმზიდველობის ძირითადი ძალა, ჩვენი აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ მწერალი დადიანების სასახლის ცხოვრებას მათი ერთგული მოხუცი ფარემის სიტყვებით გადმოგვცემს: „სულ ქეიფი, სიმღერა, ლხინი და პატყობა იყო გამართული, სადილზე ყოველთვის სამ წყებად დაჯდებოდნენ. ამ აივანს ხომ ხედავთ ბატონო? ამ სიგრძე აივანზე მარტო დიდი თავადები იმდენი დაჯდებოდნენ, რომ ტევა აღარ იყო. აზნაურობას და საპატიო გლეხობასაც კიდო თავისი ადგილი ჰქონდა. როდესაც დადიანი და დედოფალი მაქანა, მაგ ტახტზე იჯდნენ, მაშინ მზეც კი თამაშობდა სიხარულით“ (წერეთელი, 1985, გვ. 248).

დადიანის ფარემის აღწერას ჩვენს მატრიანეებში გადმოცემული დიდი ფეოდალების ღალატის ამბებსაც თუ დავუმატებთ, საქართველოს ერთ დროს ძლიერი ფეოდალური სამეფოს დაცემის ორი მთავარი მიზეზი გამოიკვეთება – უदारდელობა და ორგულობა. შემთხვევითი როდია, რომ

გიორგი წერეთელი, მართლაც, მრავალმხრივ განათლებული პიროვნება, ასე დეტალურად გადმოგვცემს დადიანების სასახლის ცხოვრების სტილს. იგი ცდილობს მკითხველში ფიქრი და დარდი აღძრას, რადგან სწამს, – როგორც ნიკო ნიკოლაძე აღნიშნავს, მწერალმა ბუნებიდან მწერლობაში ახალი უცნობი ხასიათები უნდა გადმოიღოს და რაც უცნობი და შესამჩნევი იქნება, იგი უნდა ხატოს. ამასთან, ისიც აღსანიშნავია, რომ როგორც თავად მწერლის მიერ გაკეთებული შენიშვნა მეტყველებს, არა მარტო დადიანების ლანდად ქცეული ფარეში, არამედ დიდი სასახლეც არ დაუნდვია დროთა ბრუნვას და ცეცხლის ალს დაუნთქავს.

ნიკო ნიკოლაძე თავის წერილში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკას“ მეორე ნაწილი, რომელსაც თავდაპირველად სათაურად „კიკოლიკის ცხოვრება“ ჰქონდა, საერთოდ არ განეკუთვნება ბელეტრისტიკას. „ამ ნაწილს, – წერს ნიკო ნიკოლაძე, ბელეტრისტიკის ნაწარმოებს ვერავინ უწოდებს. იგი წარმოადგენს გაჭიანურებულ დავას ავტორსა და კიკოლას შუა. ამგვარი თხზულების გარჩევა შეიძლება მორალისტმა იკისროს, ან პუბლიცისტმა, მარტო იმის გამოსაკვლევად, თუ ვინ სტყუის და ვინ მართალია ამ ბაასში...“ (ნიკოლაძე, 1894, გვ. 153). მართლაც, თუ დავუკვირდებით, აშკარად დავინახავთ, რომ მოთხრობის მეორე ნაწილში ავტორი ცდილობს მკითხველს კიკოლიკური აზროვნების ჩამოყალიბების პროცესში აჩვენოს და დაანახოს, რომ ასეთი პირების მოღვაწეობის მიზანს საკუთარი პირადი ინტერესების დაკმაყოფილება შეადგენს, თუმცა ამ ძირითად მიზანს ოსტატურად ნიღბავენ ეროვნული და საზოგადოებრივი ინტერესებით.

მიუხედავად იმისა, რომ ნიკო ნიკოლაძე უარყოფითად აფასებს ნაწარმოების მეორე ნაწილს, მაინც შენიშნავს, რომ კიკოლიკისა და ავტორის საუბარში „ბევრი ჭკვიანური რამ არის ნათქვამი, ორივე მხრით“ (ნიკოლაძე, 1894, გვ. 156) ჩვენი აზრით, კრიტიკოსი მეორე ნაწილის ძირითადად დადებით მომენტად პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლების წლების მოგონებებს გულისხმობს, რადგან სწორედ ამ მოგონებათა ფონზე იშლება ავტორისა და კიკოლიკის მსჯელობანი. თავად ნიკოლაძის თქმით: „გიორგი წერეთლის ბუნებრივი ნიჭი ყველაზე მეტად უფრო მძლავრად და საღად მარტო პირველ მის ახალგაზრდობაში, თითქმის მარტო ჩვილ სიყმაწვილეში გაზრდილა შთაბეჭდილებებით და გამდიდრებულა“ (ნიკოლაძე, 1894, გვ. 150).

უნივერსიტეტში მიღებული შთაბეჭდილებები რომ მართლაც განსაკუთრებით მძლავრად აღიბეჭდა როგორც გიორგი წერეთლის, ასევე ნიკო ნიკოლაძის მეხსიერებაში, ამაზე ის დიდი მსგავსებაც მეტყველებს, გიორგი წერეთლის მოთხრობაში აღწერილი მოვლენები რომ ამჟღავნებდნენ ნიკო ნიკოლაძის მოგონებებთან. პოლონელი სტუდენტის მგზნებარე საუბრები, ქართველთა დიდი ინტერესი ევროპის ისტორიისადმი, ჯუზეპე გარიბალდის პიროვნებით აღფრთოვანება, დაბოლოს, თავად კიკოლიკის სახეც, როგორც გიორგი წერეთლის მოთხრობის მეორე ნაწილის, ასევე, ნიკო ნიკოლაძის მოგონებების მთავარ მომენტებს შეადგენენ.

საინტერესოა, რომ ნიკო ნიკოლაძის წერილს ჟურნალ „კვალში“ გამოეხმაურა პ. პეტრიძე (ჟორდანია, 1920, გვ. 21), რომელმაც საკმაოდ დაწვრილებით განიხილა იგი. ოპონენტი უარყოფითად აფასებდა გამოჩენილი ქართველი ჟურნალისტის ნააზრევს, რადგან მიაჩნია, რომ ნიკო ნიკოლაძემ გიორგი წერეთლის შემოქმედება მხოლოდ კუთხური თვისებების წარმოჩენით შეაფასა. პ. პეტრიძე, ჩვენი აზრით, თავად საკმაოდ საყურადღებოდ განიხილავს კუდაბზიკას სახეს და ამიტომ საჭიროდ ვცანით მის წერილზეც შეგვეჩერებინა ყურადღება. იგი აღნიშნავს, „ჩვენი აზრით, გ. წერეთელი გვიხატავს კუდაბზიკას, არა როგორც რასიულ ტიპს (იგულისხმებს ტომობრივობა, მ.ქ.), არამედ როგორც სოციოლოგიურ ტიპს, რომელიც შეიძლება მოიპოვებდეს მთელ საქართველოში და არა მარტო ერთ კუთხეში“ (პეტრიძე, 1894, გვ. 15), შემდეგ პ. პეტრიძე განიხილავს ბაკურასა და კუდაბზიკას სახეებს და ხაზგასმით მიუთითებს, რომ „ეს ორი პირი წარმომადგენელია მაშინდელი მიმდინარეობისა: ძველებურის, ბატონყმურის (ბაკურა) და ახლის, ჩინოვნიკურის (კუდაბზიკა). აი, ამ მხრივ არიან საინტერესო ეს ტიპები და არა მათი სიფიცხით, თუ სხვა რასიული თვისებებით“ (პეტრიძე, 1894, გვ. 15).

პ. პეტრიძეს მიაჩნია, რომ ბახვა ფულავა და მოსე მწერალი კუდაბზიკას შთამომავალნი არიან. ვფიქრობთ, მოსე მწერალი მართლაც შეიძლება კუდაბზიკას მივამსგავსოთ, ხოლო რაც შეეხება ბახვა ფულავას, ჩვენი აზრით, იგი არაფრით ჰგავს კუდაბზიკას.

უმართებულო არ იქნება, თუ ერთ გარემოებაზე გავამახვილებთ ყურადღებას. მიუხედავად იმისა, რომ ნიკო ნიკოლაძე ერთგვარად იწუნებდა კიკოლიკისა და ჩიკოლიკის სახეებს, სადღესოდ შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ორივე ძალიან სიცოცხლისუნარიანი და იმ დროსა და გარემოში შეგუებული ტიპები აღმოჩნდნენ.

კიკოლიკი, ანუ მარტოხელა, თავის თავზე შეყვარებული კაცი – კიკო ანუ ტუზი, დღესაც მშვენივრად ახერხებს თავის გატანას. ჩიკოლიკი კი მოუსვენარი ჩიკორი-ბზორიალა ახლაც კარგად უძღვება რტულ ურთიერთობებს – სტატიების გაზეპირებული სათაურებითა და ჭორაობით (წერეთელი, 1985, გვ. 341), თუმცა თავად გიორგი წერეთლის თქმით, „ეს ხომ ქართველის თვისებაა, დღეში ერთი მაინც რომ არ მოვაჭოროთ, ისე როგორ გავძლებთ“ (წერეთელი, 1985, გვ. 190). ამასთან, თავად სახელთა ჟღერის მსგავსებით, ჩვენი აზრით, მწერალი იმაზე მიგვანიშნებს, რომ კიკოლიკი და ჩიკოლიკი, ფაქტობრივად, ერთი ტიპის ოდნავ განსხვავებული ორი ანარეკლია და კიკოლიკებს მხოლოდ აქ შეუძლიათ იმეფონ და საკუთარ ხალხს აძრონ ტყავი, სადაც ჩიკოლიკის მსგავსი „შარლატანი“ (წერეთელი, 1985, გვ. 340)... და „კუდაბზიკები“ გამოჩნდებიან თანამგზავრებად.

დასკვნის სახით:

როგორც დავინახეთ, ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე და ჟურნალისტი ნიკო ნიკოლაძე მართლა შედარებით ლაკონიურ, მაგრამ სერიოზულსა და ობიექტურ შეფასებას აძლევს გიორგი წერეთლის შემოქმედებას, რომელიც მის თანამედროვეთა შორის ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებს წარმოშობდა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გიორგი წერეთლის თანამედროვე კრიტიკოსთა შორის ყველაზე უფრო რეალურ და ობიექტურ დასკვნას სწორედ ნიკო ნიკოლაძე იძლევა და, ამასთან, მისი მოსაზრებები ძალიან ახლო დგას გიორგი წერეთლის მეორე დიდი თანამედროვის აკაკი წერეთლის ნააზრევთან.

აკაკი გიორგი წერეთლისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ წერილში აღნიშნავდა, რომ მის (გ. წერეთლის, – მ. ქ.) შემოქმედებას „ორგვარი ბეჭედი აზის: ზოგს ნიჭისა და ზოგს მოქანცვის... იმის ნაშრომ-ნაღვაწს ისე უნდა უყურებდნენ, როგორც ოქროს მადნეულის ძარღვს: უნდა გაარჩიო, გარეცხო, რამდენიმე ფუთი სილა-ტალახი მოაშორო, რომ ისე გამოარჩიონ რამდენიმე ოქროს მარცვალი“ (წერეთელი, 1968, გვ. 110).

სწორედ ასეთ „ოქროს მარცვლად“ აღიქვა ნიკო ნიკოლაძემ კუდაბზიკას მართლაც უდავოდ ნიჭიერად დახატული სახე და ამიტომ განსაკუთრებით წარმოაჩინა იგი. როგორც ითქვა, „კუდაბზიკობა“, როგორც ზოგადი სახე, როგორც მოვლენა, პირველად გიორგი წერეთელმა შექმნა და ეს მის უდავო დამსახურებად უნდა ჩაითვალოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ნიკოლაძე ნ. გ. (1894). წერეთლის პირველი შრომა, „მომბე“, 3, თბილისი.
- ნიკოლაძე ნ. (1960). თხზულებანი, ტ. II, თბილისი.
- ნიკოლაძე ნ. (1960). კრიტიკა და მისი მნიშვნელობა, თხზულებანი, ტ. II, თბილისი.
- ნიკოლაძე ნ. (1960). ჩარლზ დიკენსი და უილიამ თექერეი. თხზულებანი, ტ. I, თბილისი.
- ნიკოლაძე ნ. (1962). მთავრობა და ახალთაობა, თხზულებანი, ტ. I, თბილისი.
- ნიკოლაძე ნ. (1975). ცხოვრების დიდ გზაზე, თბილისი.
- ნიკოლაძე ნ. (1984). მოგონებები, თბილისი: თსუ გამომცემლობა.
- პეტრიძე პ. (1894). მოამბის პუბლიცისტიკა (3 და 4). „კვალი“, 24, თბილისი.
- ჟორდანიას ნ. (1920). თხზულებანი, ტ. II, თბილისი.

ქიქოძე გ. (1963). რჩეული თხზულებანი, ტ. I, თბილისი.

წერეთელი გ. (1985). „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა“, ქართული პროზა, ტ. X, თბილისი.

წერეთელი აკ. (1968). გიორგი წერეთელი, თხზულებანი, სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. VII, თბილისი.

References:

Jordania, N. (1920). Tkhzulebani. T. II. [Literary Works. Vol. II]. Tbilisi.

Nik'oladze, N. G. (1894). Ts'eretlis p'irveli shroma. [Tsereteli's First Work]. „Moambe, 3, Tbilisi.

Nik'oladze, N. (1960). Tkhzulebani. T'. II. [Literary Works, Volume II]. Tbilisi.

Nik'oladze, N. (1960). K'rit'ik'a da misi mnishvneloba. Tkhzulebani. T'. II. [Criticism and its Meaning. Literary Works. Vol. II]. Tbilisi.

Nik'oladze, N. (1960). Charlz Dik'ensi da Uiliam Tek'erei. Tkhzulebani. T'. I, [Charles Dickens and William Thackeray. Literary Works, Vol. I]. Tbilisi.

Nik'oladze, N. (1962). Mtavroba da akhaltaoba. Tkhzulebani. T'. I. [Government and New Generation, Literary Works, Vol. I]. Tbilisi.

Nik'oladze, N. (1975). Tskhovrebis did gzaze. [On the great road of life]. Tbilisi.

Nik'oladze, N. (1984). Mogonebebi. [Memories]. Tbilisi: tsu gamomcemloba.

P'et'ridze, P. (1894). Moambis p'ublitsistika (3 da 4). „K'vali“, 24. [Publicistics of Moambe (3 and 4)]. "Kvali", 24. Tbilisi.

Kikodze, G. (1963). Rcheuli Tkhzulebani. T. I. [Selected Works, Vol. I]. Tbilisi.

Ts'ereteli, G. (1985). „K'ik'olik'i, chik'olik'i da k'udabzik'a“. Kartuli p'roza. T'. X. [“Kikolik, Chikolik and Kudabzika”. Georgian Prose. Vol. X]. Tbilisi.

Ts'ereteli, A. (1968). Giorgi Ts'ereteli. Tkhzulebani. Sruli k'rebuli tkhutmet' t'omad. T'. VII. [Giorgi Tsereteli. Complete Works in fifteen volumes. Vol. VII]. Tbilisi.

Khatuna Kalandarishvili

ხათუნა კალანდარიშვილი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

The Christian Understanding of the Meaning of Life in Vazha-Pshavela's Creative Prose

სიცოცხლის საზრისის ქრისტიანული გაგება ვაჟა-ფშაველას მხატვრულ პროზაში

Vazha-Pshavela creates a fictional world that is governed by ethical norms informed by Christian teachings. He places readers on a solid moral foundation, conversing about essence and purpose of humanity. He hints that people have strayed from their initial form, being one with the essence of nature through God's Grace, replacing it by a consumer attitude, bringing death and letting violence and conflict rule the world. Returning to prior harmony is only possible through the solidification of high ethical ideals and rejuvenation of kindness in human hearts. Through his stories, Vazha strives to display life itself as an ethical phenomenon.

Keywords: Meaning of life, Christianity, Ethical Ideals

საკვანძო სიტყვები: ცხოვრების აზრი, ქრისტიანობა, ეთიკური იდეალები

ვაჟა-ფშაველას, ამ უაღრესად ფართო თვალსაწიერის მქონე შემოქმედის, მდიდარ ლიტერატურულ მემკვიდრეობაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს მისი მცირე ზომის პროზაული ნაწარმოებები, რომლებიც ნათელ წარმოდგენას გვიქმნის მწერლის მსოფლმხედველობასა და ადამიანის დანიშნულების მისეულ გააზრებაზე.

ვაჟას მხატვრული პროზა იმთავითვე საგანგებო ყურადღების საგანი იყო მკვლევარებისათვის, რამდენადაც, თავისი ღრმა და ფილოსოფიური ხასიათის გამო, სხვადასხვა ასპექტით გააზრების უშრეტ შესაძლებლობებს იძლეოდა. ეს არის მიზეზი, რომ სამეცნიერო სივრცეში ვაჟა-ფშაველას პროზაულ თხზულებებთან მიმართებით ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული მოსაზრებები გამოითქვა.

დიდი მკვლევარი, კიტა აბაშიძე, მიიჩნევდა, რომ ვაჟა-ფშაველა თავისი მცირე პროზაული ნაწარმოებების პერსონაჟთა ცხოვრებას სამშობლოს ბედთან აკავშირებს და ამ პერსონაჟთა ხვედრის აღწერით მამულის მდგომარეობას გამოსახავს: „ხანდისხან სამშობლოს კვნესა „შელის ნუკრის“ ტირილად მოესმის...“ (1962, გვ. 389). ვახტანგ კოტეტიშვილის აზრითაც, „საქართველოს ბედზე ფიქრობდა ჩვენი პოეტი და, როგორც უკანასკნელი მოგიკანი, დარაჯად ედგა თავისი მთების შეუვალობას“ (1959, გვ. 610-611). თანამედროვე მკვლევრებიც უშვებენ იმ შესაძლებლობას, რომ ვაჟა-ფშაველას მცირე ზომის მხატვრულ პროზაში ალაპარაკებული ბუნება სამშობლოს სახეს წარმოადგენდეს. „ხმელი წიფელი, მართლაც, შესაძლებელია წარმოვიდგინოთ საქართველოდ, რომელიც ელის თავის მომავალს“ (1998, გვ. 14), – წერს თამარ შარაბიძე.

ასევე ხანგრძლივი დროის მანძილზე იყო მკვლევართა სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საგანი ბუნების წარმონაქმნთა გაპიროვნების ვაჟა-ფშაველას ფენომენალური უნარი, რაც საფუძვლად უდევს მის მხატვრულ პროზას. მკვლევარების ერთი ნაწილი მას წარმართული მსოფლმხედველობის გამოხატულებად თვლიდა. ამის დასტურია, თუნდაც, დიდი მკვლევრის – გერონტი ქიქოძის შრომები (ქიქოძე, 1936, გვ. 48). სხვაგვარი რაკურსით აფასებდა ვაჟას შემოქმედებას კონსტანტინე კაპანელი – მას ეჭვი არ შეუტანია დიდი მწერლის ქრისტიანობაში, მაგრამ მიიჩნევდა, რომ თავად ქართულ სინამდვილეში ჩამოყალიბებული ქრისტიანობაა უნიკალური ხასიათისა – მისთვის უცხოა „*რაციონალიზმი და მშრალი გონების პრიმატი*“. ამგვარი ქრისტიანობის გამოხატულებას წარმოადგენს ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, მისი აზრით: „*პრიმატი გრძნობისა და ნების, ადამიანობისა და სიყვარულის კულტი, ბუნების ძალთა სილამაზე და სიდიადე, ბუნებასთან ადამიანის დაახლოვების ტენდენცია, ესთეტიური მსოფლშეგრძნების ბიოლოგიისა და კოსმოლოგიის არეში გადატანა, პანთეიზმი და ანთროპომორფიზაცია – აი ვაჟა-ფშაველას შემოქმედების თვისებანი, რომელნიც გვაგონებენ ევროპის დიდ მწერლებს, განსაკუთრებით რუსოს და გოეთეს*“ (კაპანელი, 1996, გვ. 257).

თავისთავად ცხადია, მკვლევარი ვაჟა-ფშაველას არ მოიაზრებს ძველი რელიგიური წარმოდგენების მიმდევრად. ვფიქრობთ, მის მიერ ხსენებული ტერმინები – პანთეიზმი, ანთროპომორფიზაცია – მიჩნეულია მხატვრული გამოსახვის საშუალებებად და ვაჟას მიერ შექმნილ მხატვრულ სახეთა მეტი სისრულით დახასიათებისათვის არის გამოყენებული. ეს გასაგებიცაა – ვაჟა-ფშაველას შემოქმედება არ იძლევა იმის საფუძველს, რომ პანთეიზმისა და ანთროპომორფიზმის შესახებ მსოფლმხედველობრივ სიბრტყეზე ვისაუბროთ. მისი მოთხრობების პერსონაჟები, ყველა მათგანი, იმ ფორმით და ისე ცხოვრობს, იმ ვალს იხდის სამყაროს წინაშე, როგორც „განგებას“, „დამბადებელს“ დაუწესებია. სავსებით აშკარაა მწერლის პოზიცია – ხილული ქვეყანა უზენაესის ნებითა და გონითაა ისე შექმნილი, როგორც ის არის. მასში ყველას თავისი ფუნქცია ეკისრება და ეს აწესრიგებს მას. ჩვენი შეხედულებით, ვაჟა-ფშაველას მხატვრული პროზა ყველაზე ნოყიერ საფუძველს მისი ქრისტიანული მოძღვრების შუქზე გააზრებისათვის გვთავაზობს. მოთხრობებში: „მთის წყარო“, „ფესვები“, „მთანი მაღალნი“, „კლდე მტირალი“, „კლდემ მხოლოდ ერთხელ სთქვა“, „ქუჩი“, „ია“, „ხმელი წიფელი“ და სხვ. – გამოკვეთილი იდეალები ქრისტიანული მსოფლმხედველობის ფუნდამენტური გამოხატულებაა.

ვაჟა-ფშაველას მოთხრობების მიხედვით, ერთი უზენაესი შემოქმედის მიერ შექმნილი სამყარო ერთიანი სისტემაა, რომელშიც ყველას და ყველაფერს თავისი ადგილი და ფუნქცია აქვს. ეს სამყარო შექმნილია ჰარმონიისათვის, ბედნიერებისათვის. სწორედ ასე განმარტავენ წმინდა მამებიც ხილული ქვეყნის შექმნის მიზეზს: „*ყოვლადკმაყოფილმა ღმერთმა ქმნილებანი არმყოფობიდან ყოფად მოიყვანა არა იმიტომ, რომ, რატომღაც, ეს მისთვის საჭირო იყო, არამედ იმისთვის, რომ ისინი, თავიანთი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ღვთიური ნეტარების თანაზიარნი ყოფილიყვნენ და გაეხარათ*“ (წმ. მაქსიმე აღმსარებელი, 3.45). ამ ქმნილებათა უფალი ადამიანია, იგი გრძნობს ყოველივეს არსებას და თავის თავში ატარებს ცოდნას ყველა ქმნილების შესახებ. ეს დიდი სიბრძნეა, რომელიც ადამიანს ღვთისაგან მიეცა, რათა შესძლებოდა თავისი დანიშნულების შესრულება: „*აკურთხა ღმერთმა ისინი და უთხრა: ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, აავსეთ დედამიწა, დაეუფლეთ მას, ეპატრონეთ ზღვაში თევზს, ცაში ფრინველს, ყოველ ცხოველს, რაც კი დედამიწაზე დახობავს*“ (დაბადება, 1.28,29). ღვთის ხატად და მსგავსად შექმნილი, უკვდავი სულის მქონე ადამიანის გამორჩეულობას ისიც აცხადებს, რომ მასში იმთავითვე იყო ჩადებული ცოდნა მის გარშემო მყოფ ქმნილებათა შესახებ, ბუნების ყოველი ნაწილის, სულიერის თუ უსულოს, არსს იგი იმთავითვე იცნობდა და გრძნობდა: „*გამოსახა უფალმა ღმერთმა მიწისაგან ველის ყველა ცხოველი და ცის ყველა ფრინველი და მიჰგვარა ადამს, რომ ენახა, რას დაარქმევდა. რომელ სულდგმულს რას დაარქმევდა ადამი, მისი სახელიც ის იქნებოდა*“ (დაბადება, 2.19). სწორედ ეს არის იმის გამოხატულება, რომ ადამიანი ღვთის ქმნილებათა თავია, შემოქმედისაგან დიდი გონიერებით

აღჭურვილი, რაც მას საშუალებას აძლევს, ღრმად წვდეს თითოეული ქმნილების ბუნებას და შესაფერი სახელები მოუმებნოს მათ.

ქრისტიანულ მოძღვრებაში დადასტურებული ადამიანის ასეთი ორგანული სიახლოვე ბუნებასთან შესაფერ გამოხატულებას პოულობს ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში. აშკარაა, რომ დიდი მწერლის სწრაფვა სწორედ ამგვარი სიახლოვის გამოკვლევის, გაანალიზების, თანამედროვე რეალურ სამყაროში მისი ტრანსფორმაციის განხილვისა თუ ჩვენებისკენ არის მიმართული. „ჩვენ ბუნებაში ვართ – იგი ჩვენშია. საით, როგორ შეგვიძლიან იგი თავიდან ავიშოროთ, იმას გავექცნეთ, დავემალნეთ?! ცოცხალნიც მისნი ვართ, მკვდარნიც“ (1964 გ, გვ. 395), – წერს ვაჟა. თანამედროვე სამყაროშიც, როდესაც ადამიანი გაემიჯნა ბუნებას, თავს მის ნაწილად აღარ მოიაზრებს და ცდილობს მასთან ახლებური მიმართება დაამყაროს, ვაჟა ბუნებასა და ადამიანს კვლავ ერთ მთლიანობად აღიქვამს, ისინი საერთო კანონზომიერებას ემორჩილებიან: „არ შეიძლება კაცთა ცხოვრებაში ისეთი რამ მოვლენა დავასახელოთ, რომ მისი მსგავსი თვით ბუნებაშიც არ მოიპოვებოდეს“ (1964 გ, გვ. 394-395), – აღნიშნავს ის.

ეს ტენდენცია, ბუნებასთან ადამიანის ორგანული სიახლოვისა, ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში სხვადასხვა ასპექტით ვლინდება. ამის დასტურია, თუნდაც, მისი შესანიშნავი „გველისმჭამელი“ და არაერთი სხვა ნაწარმოები. ამ ტენდენციის გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ ბუნების ქმნილებათა ის საყოველთაო გაპიროვნების ფაქტი, რომელიც იმთავითვე გამოარჩევს დიდი ვაჟას თხზულებებს ყველა სხვა მწერლისა თუ პოეტის ნაწარმოებებისაგან.

ამჟამად ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს ვაჟა-ფშაველას მცირე ზომის მხატვრული პროზა, რომელიც ფართოა როგორც თემატური თვალსაზრისით, ისე პრობლემატიკის კუთხით. მასში გაცხადდა დიდი ხელოვანის შემოქმედებითი უნარი, „გააცოცხლოს და ამეტყველოს ადამიანის თვალწინ გადამლილი უტყვი სამყარო ისე, რომ ადამიანურ ვნებათა ღირებულებამდე აამდლოს მათი არსებობის ფაქტი“ (ევგენიძე, 1989, გვ. 412) და სწორედ ისინი ალაპარაკოს ზოგადადამიანური ღირებულებების შესახებ. ვაჟა-ფშაველას მიაჩნია, რომ ზნეობრივი საფუძველი, რომლითაც ადამიანმა უნდა იხელმძღვანელოს, სამყაროს მოწყობაში იმთავითვე მოცემულია: „კარგს რასაც ვხედავთ, ბუნებაში ყოფილა თავისთვის უსარგებლო, ხოლო სხვისთვის სასარგებლო, სახეირო. მაშასადამე, თვით ბუნება გვადლევს საზომს სიკარგისა და უვარგისობისა და ჩვენ კაცთ ეს არ გვესმის, თუნდაც რომ გვესმოდეს, მაინც ყურადღებით არ ვეპყრობით ამ ბუნების კანონს“ (1964, გვ. 189), – წერს ის. ასეთ ვითარებაში, ლოგიკურია, ის თვისებები, რომლებიც ადამიანის ზნეობრივი სამყაროს აღზრდას უწყობს ხელს, რაც, მწერლის აზრით, ადამიანის სწრაფვის საგანი უნდა იყოს, ბუნების ქმნილებებს მიეწეროს და მათი საშუალებით გამოიხატოს. ამ ნაწარმოებების მიზანია შექმნას ზოგადი ეთიკურ-ზნეობრივი სამყარო, რომელიც, თავისთავად ცხადია, პირველ რიგში თავად ავტორის მსოფლმხედველობას ასახავს. მწერალი თავის პერსონაჟებს ტვირთავს ისეთი განცდებით, გრძნობებით, აზრებით, აქცევს ისეთი იდეების გამომხატველად, რომლებიც სამყაროს მისეული ხედვის მაჩვენებელია.

ამ გადასახედიდან აშკარაა, რომ ვაჟა-ფშაველა სამყაროს ქრისტიანის თვალთ უცქერის. მის პროზაულ თხზულებებში გადმოცემული იდეალები ქრისტიანული მიმართების გამომხატველია. მოტივები, რომლებიც მან თავის მოთხრობებში შემოგვთავაზა □ მოლოდინი, იმედი, უანგარო სიკეთე, სიცოცხლის სიხარული, საყოველთაო სიყვარული და ა.შ. □ ერთად აღებული, ქმნის საერთო სულისკვეთებას, რომელიც მართლმადიდებლურ მსოფლმხედველას ზედმიწევნით მისადაგება. როგორც მითითებულია, ბუნების განცდის „ხასიათს აპირობებს გარემო, რომელშიც ადამიანი ცხოვრობს, უშუალო გამოცდილება, მსოფლმხედველობა, ინდივიდუალური თავისებურება და სხვა“ (კიკნაძე, 1989, გვ. 86-87).

ვაჟა-ფშაველას პროზაულ თხზულებათა პერსონაჟები შეჰხარიათ სიცოცხლეს. მათთვის ბედნიერების მომტანია თავისთავად სიცოცხლის ფაქტი, რაც სავსებით ეთანხმება სამყაროს ქრისტიანულ აღქმას. „ყვავილნი მუდამყამს სიცოცხლეზე საუბრობდენ, მზესა და დედამიწას ჰლოცავდენ

და ღმერთს ევედრებოდნენ: „ღმერთო, ნუ მოგვიღებ მალე ბოლოს, დიდხანს გვაცოცხლო!“ (ვაჟა-ფშაველა, 1964 ბ, გვ. 42). მაგრამ ეს ყველაფერი არ არის – ამ პერსონაჟების სიცოცხლეს კიდევ უფრო ღრმა შინაარსს სძენს მორალი, რომელიც მათს არსებობას უდევს საფუძვლად: მთის წყაროს უხარია სიცოცხლე, რომ ყველას წყურვილი მოუკლას და ამით თავისი დანიშნულება აასრულოს: „ღმერთს ესე დაუწესებია: უნდა ვივინო, ვივინო; ყველამ ჩემით უნდა მოიკლას წყურვილი“ (ვაჟა-ფშაველა, 1964 ა, გვ. 63). მას ბედნიერებას ანიჭებს იმ მოვალეობის შესრულება, რისთვისაც ღმერთს გაუჩენია. ბედნიერებას ანიჭებს, რადგან ეს მოვალეობა გარშემომყოფთადმი სიყვარულზეა დამყარებული. ამიტომ მის ბედნიერებას ვერაფერს აკლებს უდიერი დამოკიდებულება ზოგიერთი სულიერის მხრიდან – ამ ბედნიერების წყარო თავისთავად სიცოცხლეა და ის გულწრფელი წადილი უანგარო სიკეთის ქმნისა, რომელიც მის სიცოცხლეს ავსებს. უნებლიე დანაშაული, რასაც მდინარესთან შეერთების შემდეგ ძალაუნებურად ჩადის, მის ბუნებას ეწინააღმდეგება. მთის წყაროს მხოლოდ ის აშფოთებს, რომ შესაძლოა სიცოცხლეს მოაკლდეს და ღვთისაგან დადგენილი თავისი მოვალეობის შესრულება ვეღარ შეძლოს. უანგარო და უშურველი სიკეთის ეს მოტივი ნათლად იკითხება ვაჟას არაერთ სხვა მოთხრობაშიც. „ვისთვის ვწვალობ, ვინ არის მადლობის მთქმელიო!“ – ჩიოდა დედამიწა, „მაგრამ იმავე დროს წინ წამოწვდილს, შორიდან წამოზრდილს წიფლის, არყის და ვერხვის ფესვებს უდებდა საგ ზალს... უარს ვერავის ეტყვის ეს ღვთისაგან კურთხეული. ყველას დედაა, ყველასთვის ის ზრუნავს, ყველა იმის ზურგსა ჰკიდია“ (ვაჟა-ფშაველა, 1964ა, გვ. 218). ვაჟას პერსონაჟები ხარობენ სიცოცხლით, მაგრამ მათთვის ისეთ სიცოცხლეს აქვს განსაკუთრებული ფასი, რომელსაც მკაფიო მორალურ სახეს სძენს და ამინაარსებს უანგაროდ გაწეული სიკეთე. „ახ, რა უქმად, უმნიშვნელოდ მიდის ჩემი სიცოცხლე! – ამბობდა ხშირად ვერხვი, – ისე გავჩნდი და გავიზარდე, ერთი წამი ვერ გავიხარე, ვერავის რა ვარგე“ (ვაჟა-ფშაველა, 1964 ბ, გვ. 43). თუ ცხოვრების აზრად სხვისი სამსახური არ გიქცევია, თუ შენს ცხოვრებას სიყვარული არ უდევს საფუძვლად, მით უფრო, თუ სხვას შენი სიცოცხლით ზიანს აყენებ, მაშინ ეს „მკვდარი სიცოცხლეა“ (ვაჟა-ფშაველა, 1964 ბ, გვ. 53), მოკლებული თავის ჭეშმარიტ არსს. სიცოცხლე თავისთავად ბედნიერებაა, რადგან ღმერთმა ის საყოველთაო სიყვარულისა და ერთსულოვნებისთვის შექმნა. ამიტომ სიცოცხლის ფაქტით დატკობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი წარმართველი ჰუმანურობა და ზნეობრივი პრინციპებია. სხვა შემთხვევაში იგი შეიძლება ტვირთად კი იქცეს: „რა საჭიროა... სისხლის მსმელი ნადირი?“ – ათქმევინებს მგელს ვაჟა-ფშაველა, – „რას ვაკეთებთ ჩვენ? არაფერს, ცოდვის მეტს. ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი არსება თავიდან ბოლომდე დაგვირგვინებული ცოდვაა“ (ვაჟა-ფშაველა, 1964 ბ, გვ. 53).

საზოგადოდ, სიცოცხლით მინიჭებული სიხარულის მოტივი მთლიანად მსჭვალავს ვაჟას მცირე ზომის მხატვრულ პროზას. ამ შემთხვევაში არ იგულისხმება მხოლოდ ბუნების ამა თუ იმ წარმონაქმნის ცალკეული წყურვილი და სწრაფვა სიცოცხლისაკენ. ბუნების არც ერთი გამოვლინება ვაჟას მოთხრობებში განყენებულად არ მოიაზრება. ყველა ამ მოთხრობაში ბუნების ყოველი ნაწილი საერთო ფერხულშია ჩაბმული, რომელშიც ყველას თავისი ადგილი და ფუნქცია აქვს – ისე გაამდიდროს სამყარო, ის შემატოს საყოველთაო სიკეთეს, რაც ღვთისაგან მისთვისაა დანიშნული; ვაჟას მოთხრობების მიხედვით, ბუნების თითოეული ნაწილი აღბეჭდილია თავისებური სილამაზით, რომელსაც ისინი უშურველად უზიარებენ ერთმანეთსა და ყოველგვარ არსს, სულიერს თუ უსულოს, ხარობენ ერთმანეთით:

„უღრანს ტყეში მოსული ვარ... მანამ ცოცხალი ვარ, ჩემის სილამაზით დავატკობ ტყეს, ბალახს და იმ გაღმიდამ გამომცქერალს გულხავსიანს კლდესა, სურნელებას მივაფრქვევ არე-მარეს“, – ათქმევინებს დიდი მწერალი იას, – „...ნეტა სიმღერა შემემდლოს, ნეტავი დამბადებელს ჩემთვის ნიჭი მოეცა, რომ მექო მალლა ცა და ღრუბელი, მზე, ეს ჩემი მფარველი ხეები, ეს მთები, ის ჭალები და დაბუა ჩიტები, რომელნიც ხმელს, ყვითელს ფოთლებში

წითლის და მწვანის ფრთაბუმბულით ჩემს წინ დაგოგავენ და ხანდახან შემომჭიკჭიკებენ პირში, მათამაშებენ, უხარიანთ ჩემი სიცოცხლე“ (ვაჟა-ფშაველა, 1964ა, გვ. 35).

სიცოცხლით გამოწვეული ეს აღფრთოვანება, ასე მძაფრად გამოხატული სიცოცხლის სიყვარული ვაჟას სხვა მოთხრობებშიც ვლინდება. ხმელი წიფელი ყურს უგდებს „ადგილის დედას“, რომელიც ზამთრობით „ბუნების სანუგეშოდ სიყვარულზე, სიწმინდეზე და სიცოცხლეზე ზღაპარს უამბობს“ (ვაჟა-ფშაველა, 1964 ა, გვ. 84). მისი ნუგეში „ფესვის ბოლოზე ამოსული პატარა დასახული ყლორტია“ (ვაჟა-ფშაველა, 1964 ა, გვ. 87), რომელიც მისი სიცოცხლის გაგრძელებად უნდა იქცეს. ამით ამკარავდება სიცოცხლის დიდი წყურვილი მის დაუძლურებულ სხეულში. კლდის ფერდობზე ეულად ამოსული უშნო ქუჩიც მთელი ძალით ეწაფება სიცოცხლეს: „მზეო, დამხედე! წვიმავ, დამნამე! კლდეო მაღალო, შეინახე ჩემი ფესვები, სიცოცხლეს ნუ დაუკარგავ, ნუ ამომთხრი, ნუ ამომადებ!“ (ვაჟა-ფშაველა, 1964ა, გვ. 203). მართალია, სხვებისაგან მოშორებით უწევს ყოფნა, მაგრამ გრძნობით და განცდით ბუნების საზოგადო ფერხულშია ჩაბმული, მისი საწუხარი ასევე დიანებს და მისი სიხარულით ხარობს. ქუჩის გული გარშემომყოფთადმი სიყვარულითაა სავსე, მისთვის სიცოცხლე სილამაზეა, ბედნიერება; ხოლო მტრობა, ძალადობა, რასაც სიკვდილი მოსდევს – სილამაზის დაკარგვა. ამიტომაც აატირა ქუჩი ძირს გაშლილ ველზე გამართული ბრძოლის შემდეგ დახოცილი მეომრების დანახვამ: „მხედარნი თავის ცხენებითურთ ეყარნენ მინდორზე უსულოდ, როგორც აი ეს ლოდები. ეს სურათი ჩემთვის სატირელი სურათი იყო და ვიტირე კიდეც. სილამაზე, შვენება დაჰკარგოდათ. ეს მეწყინა და ამან ამატირა“ (ვაჟა-ფშაველა, 1964ა, გვ. 203). ქუჩს ნაზი სიყვარულის უნარი აქვს, მიუხედავად პირქუში გარეგნობისა. მისი სიყვარულის გრძნობა თავისთავადია, ის თვითონ კვებავს თავის არსებობას და არ არის განპირობებული ობიექტური ვითარებით – სხვისი მხრიდან გამოვლენილი სიმპათიით თუ განსაკუთრებული დამოკიდებულებით. ამგვარი უანგარობა სიყვარულის ჭეშმარიტ ბუნებას ავლენს. ასეთ სიყვარულს ატარებს გულში მთის წყაროც, იაც, კლდეც – ვაჟას პროზაულ თხზულებათა ყველა პერსონაჟი. როგორც მითითებულია, „სიყვარული სულგრძელია და ტკბილი; სიყვარულს არ შურს, სიყვარული არ ქედმაღლობს, არ ზვაობს; არ უკეთურობს, არ ეძებს თავისას, არ მრისხანებს, არ განიზრახავს ბოროტს“ (I კორ., 13. 4-5). ამგვარი სიყვარულის უნარი ის საერთო ნიშანია, რომელიც ვაჟას პერსონაჟების სამყაროსადმი მიმართების თავისებურებას ახასიათებს და განმარტავს.

როგორც ცნობილია, ვაჟა-ფშაველას პროზაული თხზულებებისათვის დამახასიათებელი არ არის მორალიზება. მიუხედავად იმისა, რომ ეს მოთხრობები მთლიანად ეთიკურ-ზნეობრივ საკითხებს განიხილავს და ღრმად მორალისტური შინაარსის მქონეა, „ვაჟა... პირადად თვითონ არ გვაწვდის მორალისტურ შენიშვნებს. ამ მოთხრობებში მორალი თვით ამბიდან გამომდინარეობს... ავტორის მიერ მათზე საგანგებო მითითების გარეშე“ (კიკნაძე, 1989, გვ. 221-222). ასეთი მიდგომითაა შექმნილი ზემოთ განხილული ყველა მოთხრობა. შესრულების მანერის თვალსაზრისით მათგან ცალკე უნდა გამოიყოს „კლდემ მხოლოდ ერთხელ სთქვა“. ამ ნაწარმოებში ვაჟა-ფშაველამ რამდენადმე გადაუხვია იმ მხატვრულ მეთოდს, რომლის დახმარებითაც ძირითადად შექმნილია მისი მცირე ზომის მხატვრული პროზა და ღიად, ერთგვარი პუბლიცისტური პათოსით, გამოხატა თავისი დამოკიდებულება უმნიშვნელოვანესი ადამიანური პრობლემების მიმართ. ფილოსოფიური ხასიათის ამ მცირე მოთხრობის ამოცანაა, ერთი მხრივ, აჩვენოს ადამიანური ბუნების თავისებურება, ის მანკიერებანი, რომლებიც მას თან სდევს კაცობრიობის არსებობის მანძილზე; მეორე მხრივ, მკითხველს დაანახვოს გამოსავალი – ამ მანკიერებათა დაძლევის გზა, რომელიც ზედმიწევნით თანხვედება ქრისტიანულ მოძღვრებას. ვაჟა-ფშაველას აზრით (ამას ზემოთ განხილული მოთხრობებიც ადასტურებს), ეს გზა სიყვარულზე გადის, სიყვარულია ის უპირველესი, უმნიშვნელოვანესი გრძნობა, რომლის გარეშე ქვეყნის გადარჩენა შეუძლებელია. ყველა ცოდვა, ყველა შეცდომა, რასაც ადამიანი განიზრახავს თუ სჩადის, სიყვარულის ნაკლებობის შედეგია. როგორც ცნობილია, სწორედ ამით განსხვავდება ქრისტიანული მოძღვრება ყველა სხვა რჯულისაგან – მას

საფუძვლად საყოველთაო სიყვარული უდევს. იგი არ სჯერდება ცუდი საქმის აკრძალვას და ადამიანს გამუდმებით უანგარო სიკეთისა და ქველმოქმედებისკენ მოუწოდებს. ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით, მიუღებელია არა მხოლოდ ზიანის მიყენება სხვა ადამიანისათვის, არამედ გულგრილობაც, ინდიფერენტული დამოკიდებულებაც. როგორც ნათქვამია, „საკმაო არ არის, არ გბუღდეს მოძმე, უნდა გიყვარდეს კიდევ“ (ჭავჭავაძე, 2006, გვ. 239). ესაა ქრისტიანული რწმენის ქვაკუთხედი. „გაძლევთ თქვენ ახალ მცნებას“, – ეტყვის მაცხოვარი თავის მოწაფეებს, – „რათა გიყვარდეთ ერთმანეთი, როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ... იმით გიცნობთ ყველა, რომ ჩემი მოწაფეები ხართ, თუ გექნებათ ერთმანეთის სიყვარული“ (იოანე, 13. 34,35). მოთხრობის იდეაც ესაა: სიყვარულით უნდა აივსოს ადამიანის გული, სიყვარული იქცეს მის წარმართველ ძალად ცხოვრებაში. მხოლოდ ამაშია ადამიანთა მოდგმის ხსნა. „გიყვარდეთ, კაცნო, ერთმანეთი!“ ათქმევინებს კლდე მწერალი, – „... ამ სიტყვებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, შინა და კარში ეს ხმა უნდა ისმოდეს, პირველი მცნება ეს უნდა იყოს, დედა ამას უნდა ჩასჩიჩინებდეს შვილს აკვანში, ისე გამუდმებით, რომ ეს ჩაძახილი ვეღარა გზით ვერ ამოიშალოს ადამიანის გულიდან...“ (ვაჟა-ფშაველა, 1964 ბ, გვ. 27).

ვაჟა-ფშაველას მხატვრული პროზა, მისი ხასიათიდან გამომდინარე, სიბრალოლის თემასაც ეხება. როგორც ცნობილია, სიბრალოლის განცდა არბილებს კაცის გულს და ხელს უწყობს სამყაროსადმი ჰუმანური დამოკიდებულების აღზრდას. იგი ადგილს აღარ ტოვებს გულგრილობისთვის, რასაც „სული ნელ-ნელა დემონურ სიძულვილამდე მიჰყავს“ (ფილოთეველი, 2012, გვ. 230). დიდი ილია ჭავჭავაძე, იგივე წმინდა ილია მართალი, წერს: „რა მადლია ქვეყანაზე, რომ ყველა სხვა მადლი იქიდანამ გამოდიოდეს, როგორც სხივები მზისაგან? მწამს და ვაღიარებ, რომ ამისთანა მადლი – მადლია სიბრალოლისა. მადლსაც სიმართლისას, პატიოსნებისას, სიყვარულისას, ნუგეშისცემისას, ერთმანეთის განკითხვისას, შეწყნარებისას, შენდობისას, □ დასაბამად, სათავედ სიბრალოლის მადლი აქვს. თუ გებრალემა, უსამართლობას ვერ უზამ; თუ გებრალემა, უნამუსოდ ვერ მოექცევი; თუ გებრალემა, გეყვარება კიდევ; თუ გებრალემა, ნუგეშსაცა სცემ; თუ გებრალემა, გულით წმინდით განიკითხავ; თუ გებრალემა, შეიწყნარებ; თუ გებრალემა, შეუნდობ“ (ჭავჭავაძე, 1988, გვ. 543). ვაჟა-ფშაველას პროზაში სიბრალოლის გრძნობა ჩამოყალიბებული მოტივის სახითაა მოცემული. იგი არაერთ ნაწარმოებში ვლინდება, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, მისი შესანიშნავი „შვლის ნუკრის ნაამბობი“ უნდა გამოვყოთ, რომლის ერთი უმთავრესი ამოცანა მკითხველში სიბრალოლის გრძნობის აღძვრაა. ვაჟას თხრობის მანერა და ნაწარმოებში გამოყენებული სტილური თავისებურებები სწორედ იმას ემსახურება, რომ მკითხველს თვალსაჩინოდ წარმოუდგინოს და მაქსიმალურად დაუახლოვოს ნუკრის ნაამბობი, გახადოს იგი ნუკრის უბედურების თანამონაწილედ და ამით გააღვივოს მის გულში სიბრალოლის განცდა, რომელიც საბოლოოდ მოუცილებელი ხდება მკითხველისათვის. ამავე გრძნობის აღძვრას ისახავს მიზნად ვაჟა-ფშაველას სიცოცხლის სიყვარულით სავსე მოთხრობებში ისეთი ამბების აღწერა, როგორიცაა „მშვენიერი ტოტებგადართხმული წიფლის“ მოჭრა, „დალილი-დაქანცული“, „მოღულუნე“, „გაზაფხულის მოსვლით გახარებული“ ქედანის მოკვლა („ია), „უზარმაზარი მუხის“ წამოქცევა და მისი ფესვების დაობლება („ფესვები“) და სხვ. ეს შემთხვევები არღვევს ჰარმონიას, რომელიც ბუნებაში არსებობს და რომელსაც ვაჟა შემდეგი სიტყვებით გამოხატავს: „ყველას მოსწონს თავი, ყველას უხარიან სიცოცხლე, ყველას უყვარს ბუნება“ (ვაჟა-ფშაველა, 1964 ა, გვ.35).

ვაჟას მოთხრობების მიხედვით, სილამაზითა და სიხარულით აღსავსე ბუნების ფერხულში დისონანსის შემომტანი ადამიანია. იგი დაშორდა ბუნებას და ვეღარ გრძნობს მასთან ორგანულ კავშირს, საკუთარი თავი ბუნების ნაწილად აღარ მიაჩნია: „კაცმა, შეუბრალებელმა ადამიანმა, მოგვიკლა გული, მოგვიკლა შვილი და დაგვტოვა თვალცრემლიანი“; – ათქმევინებს მწერალი ფესვებს, □ „ადგა, ცულით დაუწყო ჭრა; იმას არ ესმოდა ჩვენი და ჩვენის შვილის კვნესა. ცულს რომ გვეცემენ, ჩვენ კვვნესით და თქვენ კი, კაცნი, ამას „რაკუნს“ ეძახით. გადმოგვდის სისხლი და თქვენ ჩვენს სისხლს „ხის წვენს“ უწოდებთ... განა რომ ხელს არ გამოვიღებთ, თავ-პირს არავის ვაკაწრით, არა

ვლანძავთ, წასულს არ მივდევთ და მოსულს მრისხანე სახით არ ვუხვდებით, იმიტომ არაფერს ვგრძნობთ?! „მუხას ვჭრიო“, – კაცი თავის ამხანაგს ეძახდა, ვითომდა არაფერიო“ (ვაჟა-ფშაველა, 1964 ა, გვ. 217). ადამიანის ამგვარი უგრძობლობა არაერთ ნაწარმოებშია ხაზგასმული. ვაჟა მიგვანიშნებს, რომ ადამიანი დაცილდა თავის პირველსახეს, როდესაც მას ღვთისაგან ბუნების არსის ღრმად წვდომის უნარი ჰქონდა მიმადლებული. მან დაკარგა ბუნებისადმი სიბრალული და თანაგრძობა, მისი სილამაზით ტკბობისა და აღტაცების უნარი. ბუნებასთან მიმართებით ადამიანს უკვე მომხმარებლური დამოკიდებულება ჩამოუყალიბდა, რამაც პირველ ადგილზე გარშემომყოფი სამყაროსაგან სარგებლის მიღების სურვილი დააყენა. სწორადაა მითითებული, რომ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში ხაზგასმულია „ადამიანისა და ბუნების განუყოფლობა“ და ისიც, რომ „ადამ და ევას სამოთხიდან გამოძევების შემდეგ შეიცვალა ადამიანის ბუნებასთან დამოკიდებულებაც“ (შარაბიძე, 2020, გვ. 140).

პირველქმნილმა ცოდვამ მხოლოდ ღვთის ქმნილებათა მადლიან ერთობას კი არ დააშორა ადამიანი, არამედ სიკვდილიც დაამკვიდრა ხილულ ქვეყანაში, ძალმომრეობა, დაპირისპირება გაამეფა სამყაროში. სწორედ ეს უნდა დაიძლიოს, რომ ქვეყანამ დაიბრუნოს სილამაზე, ჰარმონია. ამისთვისაა საჭირო ზნეობრივი საფუძვლის შექმნა, მაღალეთიკური იდეალების დამკვიდრება, სათნოების გაღვივება ადამიანის სულში, რათა გამრავლდეს სიკეთე, ადამიანმა დაიბრუნოს თავისი ცხოვრების ჭეშმარიტი, ფუნდამენტური ნიშანი – ღვთისაკენ სწრაფვა სულის განწმენდის გზით. როგორც თავად მწერალი აღნიშნავს, „თუ კი ყველა სხვის შემწეობით, სხვისი შველით ვიქნებით გამსჭვალული, სხვა ჩვენთვის იქნება, სხვას ჩვენთვის ენდობება კეთილი, ¶ ეს იგივე თავისის თავის შველა გამოდის, თუმცა სხვა ფერით, სხვა წესით, რომელიც უფრო ღვთიურია, უფრო კაცობრივი, რადგან ამგვარი დამოკიდებულება ერთისა მეორესთან სპობს შურს, მტრობას კაცთა შორის“ (1964, გვ. 189-190).

ვაჟა-ფშაველა ისწრაფვის შექმნას ისეთი მხატვრული სამყარო, რომელშიც ქრისტიანული მოძღვრებით ნაკარნახევი ეთიკურ-ზნეობრივი ნორმები მოქმედებს. ამით ცხადდება დიდი მწერლის თვალსაზრისი ადამიანის სიცოცხლის საზრისთან, მის ამქვეყნიურ დანიშნულებასთან დაკავშირებით; რაც, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ადამიანის ამაღლებისაკენ, სულიერად მისი ღვთის წიაღში დაბრუნებისკენ არის მიმართული. ვაჟას შემოქმედების ეს ზოგადი ნიშანი, რომელიც სხვადასხვა ასპექტით არის გამოკვეთილი და სხვადასხვაგვარი მასალით ილუსტრირებული მის მხატვრულ მემკვიდრეობაში, ნათლად აჩვენებს მის პროზაულ თხზულებათა იდეურ გამიზნულობასაც, რომლებიც მტკიცე ზნეობრივ საფუძველზე აყენებენ მკითხველს და ადამიანის რაობასა და დანიშნულებაზე ესაუბრებიან. ვაჟას სურს, თავისი მოთხრობებით შექმნას ისეთი მხატვრული სამყარო, რომელშიც სიცოცხლე წარმოჩენილი იქნება, როგორც ეთიკური ფენომენი.

გამოყენებული ლიტერატურა:

აბაშიძე, ვ. (1962). ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ბერი ევრემ ფილოთეველი, (2012). მამობრივი დარიგებანი, თბილისი: წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახანე ჩაკიდული თხემები.

ბიბლია, (1989). თბილისი: საქართველოს საპატრიარქო.

ევგენიძე, ი. (1989). ვაჟა-ფშაველა, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ვაჟა-ფშაველა, (1964 ა). თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. V, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.

ვაჟა-ფშაველა, (1964 ბ). თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. VI, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.

ვაჟა-ფშაველა, (1964 გ). თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.

კაპანელი, ვ. (1996). ქართული სული ესთეტიკურ სახეებში, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

კიკნაძე, გ. (1989). ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

კოტეტიშვილი, ვ. (1959). ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია (XIX ს.), თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.

- ქიქოძე, გ. (1936). წერილები ხელოვნებაზე, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- შარაბიძე, თ. (2020). მოზაიკური სინთეზი: წერილები ვაჟა-ფშაველაზე, თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- შარაბიძე, თ. (1998). ვაჟა-ფშაველას პროზა, ბურჯი ეროვნებისა, II, 14-15, თბილისი: ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოების ჟურნალი.
- წმინდა მაქსიმე აღმსარებელი. (2024). ოთხი ასეული თავი სიყვარულის შესახებ, 3.45. https://www.orthodoxy.ge/tserilebi/maqsime_sikvaruli3.htm (ბოლო ნახვა 12.11.2024)
- ჭავჭავაძე, ი. (1988). თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, II, თბილისი: „მეცნიერება“, „საბჭოთა საქართველო“.
- ჭავჭავაძე, ი. (2006). თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, IX, თბილისი: „ილიას ფონდი“.

Bibliography:

- Abashidze, K'. (1962). Et'iudebi XIX sauk'uis kartuli lit'erat'ures shesakheb. [Etudes Regarding XIX Century Georgian Literature]. Tbilisi: Tbilisi University Publishing House.
- Beri Ephrem Piloteveli, (2012). Mamobrivi darigebani. [Fatherly Advices]. Tbilisi: St. John the Baptist Monastery Chakiduli Tkhemebi.
- Bible, (1989). [Bible]. Tbilisi: Patriarchate of Georgia.
- Ch'avch'avadze, I. (1988). Tkhzulebata sruli k'rebuli ots t'omad. T. II. [A Complete Collection of Stories in Twenty Books. Vol. II]. Tbilisi: "Metsniereba", "Sabchota Sakartvelo".
- Ch'avch'avadze, I. (2006). Tkhzulebata sruli k'rebuli ots t'omad. T'. IX. [A Complete Collection of Stories in Twenty Books. Vol. IX]. Tbilisi: "Ilias Pondi".
- Evgenidze, I. (1989). Vazha-pshavela. [Vazha-Pshavela]. Tbilisi: Tbilisi University Publishing House.
- K'ap'aneli, K'. (1996). Kartuli suli estet'ik'ur sakheebshi. [Georgian Spirit in Aesthetic Expressions]. Tbilisi: Tbilisi University Publishing House.
- Kikodze, G. (1936). Ts'erilebi khelovnebase. [Letters Regarding the Arts]. Tbilisi: "Sabchota Sakartvelo".
- K'ik'nadze, G. (1989). Vazha-pshavelas shemokmedeba. [Vazha-Pshavela's Creative Work]. Tbilisi: Tbilisi University Publishing House.
- K'ot'et'ishvili, V. (1959). Akhali kartuli lit'erat'ures ist'oria (XIX s.). [History of New Georgian Literature (XIX C.)]. Tbilisi: Publishing House "Sabchota Sakartvelo".
- Sharabidze, T. (2020). Mozaik'uri sintezi: ts'erilebi Vazha-Pshavelaze. [Mosaic Synthesis: Letters Regarding Vazha-Pshavela]. Tbilisi: University Publishing House.
- Sharabidze, T. (1998). Vazha-Pshavelas p'roza. [Vazha-Pshavela's Prose]. Burji Erovnebis, II, 14-15, Tbilisi: Besarion Jorbenadze Society Journal.
- Ts'minda Maksime Aghmsarebeli. (2024). [Otkhi aseuli tavi siq'varulis shesakheb. [Saint Maximos the Confessor. Four Hundred Verses About Love]. 3.45. https://www.orthodoxy.ge/tserilebi/maqsime_sikvaruli3.htm (Last seen 12.11.2024).
- Vazha-Pshavela, (1964). Tkhzulebata sruli k'rebuli at t'omad. T'. V. [A Complete Collection of Stories in Ten Books. Vol. V]. Tbilisi: "Sabchota Sakartvelo".
- Vazha-Pshavela, (1964). Tkhzulebata sruli k'rebuli at tomad. T'. VI. [A Complete Collection of Stories in Ten Books. Vol. VI]. Tbilisi: "Sabchota Sakartvelo".
- Vazha-Pshavela, (1964). Tkhzulebata sruli k'rebuli at tomad. T'. IX. [A Complete Collection of Stories in Ten Books. Vol. IX]. Tbilisi: "Sabchota Sakartvelo".

Nestan Kutivadze

ნესტან კუტივაძე

Akaki Tsereteli State University

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Georgia, Kutaisi

საქართველო, ქუთაისი

Peculiarities of the Artistic Representation of Violence in a Literary Text

(Vazha-Pshavela, George Orwell)

ძალადობის მხატვრული რეპრეზენტაციის თავისებურებები ლიტერატურულ ტექსტში (ვაჟა-ფშაველა, ჯორჯ ორუელი)

A literary tale "The Bear" (1909) by the famous Georgian writer Vazha-Pshavela and a dystopian novel "Animal Farm" (1945) by the famous English novelist George Orwell were written in the same period. Despite this, there is a much larger historical distance between these two texts in terms of socio-cultural context. In the artistic transformation of society based on violence, both writers turned to the animal world. Vazha-Pshavela chose the predator while Orwell featured domestic animals as characters. Both texts show well the almost stereotypical nature of violence, the dramatic nature of the loss of freedom, the social misery of a conquered society.

Keywords: morality, culture, representation of violence, artistic text.

მხატვრულ ტექსტში სხვადასხვა ფორმით თითქმის ყოველთვის განსახილველად თანამედროვეობა. მასში რეპრეზენტირებული სამყარო საზოგადოებრივი შინაარსისა და მნიშვნელობის მატარებელია. ადამიანი ძალაუფლების მოპოვებისაკენ მიდრეკილი აღმოჩნდა ოდიოტურად. ამას ხშირად საფუძვლად არსებობისათვის ბრძოლა ედო, თუმცა კაცობრიობის ისტორია, როგორც წარმოსახული, ისე რეალური, ძლიერისა და სუსტის დაუსრულებელი, მუდმივი წინააღმდეგობაა. ამ დაპირისპირებას თავისი არსით ეწინააღმდეგება მორალის, ზოგადად, კულტურის პარადიგმა, რასაც მხატვრულ ტექსტებში ძალადობის რეპრეზენტირების თავისებურებები კიდევ უფრო მეტად უსვამს ხაზს. ლიტერატურულ ტექსტში არაჰუმანური, ძალადობაზე დამყარებული საზოგადოების ჩვენებით მწერლები ცდილობენ სწორედ რეალური ძალადობის წინააღმდეგ გაილაშქრონ, სისასტიკით დაბრმავებული ადამიანის დამახინჯებული სახის მამხილებელი სურათი შექმნან.

საგულისხმოა, რომ სხვადასხვა ეპოქისა და ქვეყნის ავტორების მიერ ამ თემის მხატვრული რეფლექსია კარგად აჩვენებს თავად ძალადობრივი საზოგადოებებისათვის დამახასიათებელ არაერთ საერთო ნიშანს. შიში, წინამძღოლის განდიდება, განუკითხაობა, ძალმომრეობა, ფარისევლობა და სხვ., რომლებიც შესაძლებელია სხვადასხვა კონკრეტული ფორმით გამოვლინდეს, თავისი არსით ერთი და იგივეა.

გამოჩენილი ქართველი მწერლის ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული ზღაპარი „დათვი“ (1909) და ცნობილი ინგლისელი პროზაიკოსის ჯორჯ ორუელის დისტოპიური რომანი „ცხოველთა ფერმა“ (1943–1944) ერთ საუკუნეში დაიწერა. ამის მიუხედავად, ამ ორ ტექსტს შორის საზოგადოებრივ-

კულტურული კონტექსტის მხრივ გაცილებით დიდი მანძილია. განსხვავებულია იმ ქვეყნებში არსებული ისტორიული ვითარება, რომლებშიც ეს თხზულებები იწერება. საქართველო რუსეთის მიერ დაპყრობილი, სოციალურად მძიმე მდგომარეობაში მყოფი პროვინციაა, ინგლისი კი მეორე მსოფლიო ომის ბოლო პერიოდში მყოფი რუსეთის მიერ მოდერნიზებული ახალი იმპერიის – საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი მოკავშირე, თუმცა უკვე თვალნათელია ტოტალიტარული სახელმწიფოებს არსებობა იტალიის, ბოლშევიკური საბჭოთა კავშირის თუ ნაცისტური გერმანიის სახით. საგულისხმოა, რომ ორუელი ტოტალიტარიზმის შესაძლო გაბატონებას პირდაპირ აკავშირებდა მხატვრული ლიტერატურის დასასრულთან (ორუელი, 2016, გვ. 322), რადგან „მკვეთრი და უცაბედი ემოციური გადაფასებანი, რომელსაც თავის მიმდევართაგან, ან უმჯობესია ვთქვათ, თავის მსხვერპლთაგან ითხოვს ტოტალიტარიზმი, ფსიქოლოგიურად წარმოუდგენელია“ (ორუელი, 2016, გვ. 324), რის დასტურადაც მოჰყავდა სწორედ ზემოთ ნახსენებ სამ ქვეყანაში არსებული შემოქმედებითი ატმოსფერო. გამოსავალს კი ისეთ სახელმწიფოებრივ სისტემაში ხედავდა, რომელიც ადამიანს „შეუნარჩუნებს აზროვნების და გამოხატვის თავისუფლებას“ (ორუელი, 2016, გვ. 325).

ადამიანის თავისუფლების მნიშვნელობაზე ამახვილებს ყურადღებას ვაჟა თავის წერილებში („რას ჰქვია თავისუფლება“, „რა არის თავისუფლება?“), რომლებშიც, მართალია, 1905–1907 წლების ისტორიული ვითარება და საზოგადოებრივი შეხედულებებია არეკლილი, მაგრამ პროზაიკოსი ზოგადად ძალადობის დამლუპველ ბუნებაზე აპელირებს, „თავისუფლებას ხალხისათვის მტარვალთაგან წართმეულ ბედნიერებას“ უწოდებს და („რა არის თავისუფლება?“ (ვაჟა-ფშაველა, 1964ა, გვ. 411) დარწმუნებულია, რომ, ადრე თუ გვიან, თავად „თავისუფლების მტაცებლებს“ ბუმერანგით უბრუნდებათ საკუთარი ძალადობა, გამოსავალს კი „ერის საერთო სიმწიფეში, განათლებასა და ცოდნაში ხედავს“ (ვაჟა-ფშაველა, 1964ა, გვ. 411).

ძალადობაზე დამყარებული საზოგადოების მხატვრული ტრანსფორმაციისას ორივე მწერალმა ცხოველთა სამყაროს მიმართა. ვაჟა-ფშაველამ მტაცებელი, ხოლო ორუელმა შინაური ცხოველები გამოიყვანა პერსონაჟებად.

ფოლკლორისტიკაში კარგად არის ცნობილი, რომ ცხოველთა ზღაპრებს ალეგორიზმი არ ახასიათებს, არც ეთიკის კანონებით არის შესაძლებელი ცხოველთა ქცევის განსჯა, აქ მთავარი არსებობისათვის ბრძოლაში გამრჯვებაა. „ცხოველთა ზღაპრის პერსონაჟი არ არის უარყოფითი თვისებების ან გასაკიცი სოციალური ფენის წარმომადგენელი ადამიანის ალეგორიული სახე“ (ჩოლოყაშვილი, 2002, გვ. 532).

ლიტერატურული ზღაპარი, ლიტერატურულ ტექსტში შემოყვანილი ცხოველთა სამყარო გამორიცხავს ამგვარ იმმორალიზმს, ფოლკლორული ტექსტისაგან განსხვავებით, რომელშიც გონება-მახვილობისა და მოხერხებულობის წყალობით მიიღწევა სასურველი შედეგი, ამ შემთხვევაში ავტორის მხატვრული ჩანაფიქრი გაცილებით მრავალმრიანია.

როგორც აღნიშნავს ფოლკლორისტი რუსუდან ჩოლოყაშვილი, „ცხოველთა ზღაპრებში ალეგორიულ გააზრებას მხოლოდ მეცნიერები დებენ, რომლებიც ცდილობენ შესაძლებლობის ფარგლებში ახსნან ამ ნაწარმოების დედააზრი – რისთვის შეიქმნა ეს ზღაპარი?“ (2002, გვ. 534).

თუ ცხოველთა ზღაპრების მიზანდასახულობის ახსნას მეცნიერები მისი ალეგორიული გააზრებით ცდილობენ, ლოგიკურია საზოგადოების უმწვავესი სურათის ალეგორიულ ასახვად იქნას მიჩნეული მხატვრული ტექსტი, რომელიც ცხოველთა სამყაროდან აღებული პერსონაჟების გარდა, ამგვარი ინტერპრეტაციისათვის სხვა არაერთ დეტალს შეიცავს. გასათვალისწინებელია, რომ მწერალთა მიერ ცხოველებისა და ფრინველების სიმბოლური გააზრება, სხვა პლასტებთან ერთად, მოიცავს მათზე არსებულ ზოგად წარმოდგენებსაც, ამასთან, განსაზღვრულია მხატვრული ჩანაფიქრით, რაც იმთავითვე გასაგებს ხდის ტექსტის ალეგორიზმს, რომ იოლად გამოსაცნობი იყოს ავტორის მინიშნებები.

„დათვი ქართულ ცხოველთა ეპოსში საკმაოდ პოპულარული პერსონაჟია. დათვი აქ გვხვდება რამდენიმე ტიპის ზღაპარში, სადაც მისი სახე ერთფეროვანი არ არის: ის ზოგან – გულუბრყვილოა (მელიასთან), ზოგან – მშიშარა (კატასთან), სხვაგან გლეხებს თვითონ აშინებს, მაგრამ ყველა ზღაპარში ბოლოს იღუპება. მხოლოდ ერთი ტიპის ზღაპარშია ის ძლიერი, დანარჩენ ცხოველთა რისხვა და გამარჯვებული“ (ჩოლოყაშვილი, 2005, გვ. 52).

ქართული ფოკლორული ტექსტებისაგან განსხვავებით, დათვი როგორც კირლოტის, ისე ტრესიდერის სიმბოლოთა ლექსიკონის მიხედვით, განიხილება უხეში ძალის, ქვეცნობიერის ბნელი მხარეების, სიხარბის სიმბოლოდ, უხეში და სასტიკი ადამიანის ატრიბუტად, თუმცა მასვე მიაწერენ გამბედაობასა და დედობრივ ზრუნვას (Трессидер, 2010-2023; Cirlot, 2001, p. 23).

მრავალპლანიანი დატვირთვა აქვს დათვს, როგორც პერსონაჟს, ვაჟა-ფშაველას ამავე სახელწოდების ტექსტში. ადამიანზე გამარჯვებული, კმაყოფილი და საკუთარი ძლიერებით ბედნიერი დათვის ცხოვრების ფილოსოფია ძალმომრეობაზეა აგებული. ის ძალას მხოლოდ საკვების მოსაპოვებლად არ იყენებს, ძალმომრეობა დიდ სიამოვნებასაც ანიჭებს. ადამიანებთან საკუთარი კარმიდამოს დასაცავად გადახდილი ომის შემდეგ კი თავს სისასტიკით იწონებს.

დათვის სამოქმედო დოქტრინაში პირდაპირ აირეკლება ძალმომრეობაზე აგებული საზოგადოება, რომელიც თავადვე უწყობს ხელს ძლიერს მორჩილებაში ჰყავდეს არამხოლოდ სუსტები. საგულისხმოა, რომ ბიძია დათუნია, როგორც მწერალი უწოდებს, ადამიანის უსამართლობით ხსნის საკუთარ საქციელს, შეუპოვრებს კი ბრიყვებად მიიჩნევს. *„ვიდრე ერთი ურჩია ქვეყანაზე, ჩემი ბედნიერად ცხოვრება ყოვლად შეუძლებელია. სრულს ბედნიერებას მხოლოდ მაშინ მოვიპოვებ, როცა ურჩნი მთლად გასწყდებიან, აღიფხვრებიან პირისაგან ქვეყნისა. ამიტომ საჭიროა ყველას გონების ჩარხი ასე მოიმართოს, ასე ფიქრობდეს და სხვაგვარად არა: დაემორჩილებით უძლეურნი ძლიერთა, რამეთუ მათ ხელთ არის სიცოცხლე თქვენი, ე.ი. ჩვენიო“* (ვაჟა-ფშაველა, 1964, გვ. 260), – აცხადებს ყველას დამორჩილების სურვილით გაშმაგებული დათვი.

ტექსტის მიხედვით, ადამიანზე გამარჯვება „ბიძია დათუნისა“ მხეცთა შორისაც ღირსებას ჰმატებს, რადგან მხეცებს მიაჩნიათ, რომ „გამარჯვება დათვისა საერთოდ მხეცთა გამარჯვებას მოასწავებდა ადამიანთა ტომზე“ (ვაჟა-ფშაველა, 1964, გვ. 261). ნიშანდობლივია, რომ ლომი უიარაღო ხალხის დახოცვაში მისალოცს ვერაფერს ხედავს და არც დათვის ძლიერებას აღიარებს, ასევე იქცევა ვეფხვიც.

როგორც ეს პასაჟი, სხვა ცხოველების ქცევაც ალეგორიულად საზოგადოების ანარეკლია. დათვს ულოცავენ მგლები, ადიდებენ მელიები და ლომსა და ვეფხვს გმობენ, ტურები ხოტბას ასხამენ, მაჩვები უჩოქებენ და თავს უმცროს ძმებს უწოდებენ, შორიდან ულოცავენ დამფრთხალი კურდღლები, „ფეხის ხმას აყოლილი“ (ვაჟა-ფშაველა, 1964, გვ. 263) ვირი კი მილოცვებისაგან დაღლილი და მოშიებული დათვის პირველი ლუკმა ხდება. „მამასადამე, სრული, უნაკლულო, ნამდვილი მილოცვა – ვირისა გამოდგა, რადგან მთელი თავისი არსება ძღვნად მიართვა თავის ბატონს. ბატონყმობა, თუ ვიტყვით, ამისთანა უნდა სწორედ“ (ვაჟა-ფშაველა, 1964, გვ. 264), – ამბობს მწერალი. ამ სარკაზმით ვაჟა-ფშაველა ფარისევლობის სავალალო შედეგს აჩვენებს. ვირი ცოცხალი გადარჩებოდა, სხვების მსგავსად მილოცვა რომ არ გადაეწყვიტა. „დათვის შეხედულება, აზრი მსოფლიო ცხოვრებაზე ასეთი გახლავთ საზოგადოდ: თუნდა სტუმრად მივიდეს ვინმე მასთან, თუნდა მისალოცად, ნამეტნავ მაშინ, როცა ჰშიან, უნდა შაჭამოს. სიმშლილი თავისთვის იყოს, – ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო, ნათქვამია“ (ვაჟა-ფშაველა, 1964, გვ. 264), – ამგვარად აფასებს მწერალი მოძალადის ფილოსოფიას. ის არ იცვლება, მისგან განსხვავებულ ქმედებას არავინ არასდროს უნდა ელოდეს.

მოძალადის ბოროტი ბუნება აისახა დათვის მზაკვრულ გეგმაში. სოფლის დაწიოკებას ძლიერის ქებასთან ერთად მოჰყვება შედეგი, რადგან, მისი აზრით სოფლელებს *„...უფრო მომეტებული ჩვენი ხათრი მაშინ ექნებათ, როცა დაშინებულნი და შეძრწუნებულნი იქნებიან ჩვენ მიერ. ხოლო*

ერთი უნდა გახსოვდეთ, სახელი ჩემი და აბრუ აღამაღლეთ ქვეყნის თვალში ქებითა და დიდებითა, რათა თქვენც აღმალდეთ“ (ვაჟა-ფშაველა, 1964, გვ. 262), – ამბობს დათვი. ცხოველთა შემთხვევაში, ასე ყალიბდება საზოგადოების მართვის მოდელი, რომლის ნაწილია ლიდერის განდიდებაც. დათვის ძალმომრეობა როგორც მტაცებლების, ისე ადამიანების სრულ მორჩილებას გულისხმობს. სოფელს ახლა დათვის ნაცვლად, მაგრამ მისივე დავალებით, აწიოკებენ მეღიები, ტურები, მგლები, მაჩვები. მათგან გამწარებული გლეხები კი დათვის ავკაცობას ივიწყებდნენ და „თითქმის ემადლიერებოდნენ“ (ვაჟა-ფშაველა, 1964, გვ. 268) იმას, ვინც მათი უბედურების მთავარი მიზეზი იყო.

ტექსტში ძალადობრივი სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი არაერთი ნიშანი კარგად ინტერპრეტირდება, მათ შორის, დასმენაც. დათვის „სრასახლის“ კარზეც ჯაშუშები მრავლად გაჩნდნენ „თუ დათვი გაიმარჯვებდა, ყველა მათგანი უსათუოდ უნდა დიდს ბედნიერებას მოჰსწრებოდა. ასე ჰქონდა ყველა ჯაშუშს აღბეჭდილი წარმოდგენა გულსა და გონებაში“ (ვაჟა-ფშაველა, 1964, გვ. 264), – აღნიშნავს მწერალი. საგულისხმო პასაჟია, რომ საკუთარი კეთილდღეობის მიზნით ჩადიან ამ საქციელს, თუმცა არც იციან და არც ფიქრდებიან დაპირებული მოწყალება, ან თუნდაც დიდი ბედნიერება რას გულისხმობს.

ტექსტში გადმოცემული ამბის შემდგომი განვითარებაც სოციუმის მანკიერებებს მკაფიოდ აჩვენებს. მელია დაასმენს კურდღელს, დამხობას გიპირებენო (ვაჟა-ფშაველა, 1964, გვ. 264), მგლებიც დათვს ერთგულებას შვლების, ირმების, არჩვებისა და ღორების დასმენით უმტკიცებენ. მაჩვიც დათვს სოფელში შეთქმულების მზადების შესახებ აფრთხილებს. ტექსტში კარგად ჩანს, ძალა და თავდაჯერებულობა როგორ აღუნებს სასტიკ არსებასაც კი, რადგან დარწმუნებულია, რომ „სიფრთხილე სისუსტეს ეწამლება მხოლოდ და უნდა იწამლოს კიდევაც, რომ ფონს გავიდეს“ (ვაჟა-ფშაველა, 1964, გვ. 267), – ასეთია დათვის სამოქმედო კრედო.

ნიშანდობლივია, სინამდვილეში ამ სახის ძალა მოჩვენებითია და რეალურად ის შიშზე დგას. ეს კანონზომიერება არც ვაჟას ზღაპარში ირღვევა. აღმოჩნდება, რომ დათვის ტახის მოელვარე ეშვების დათვს ეშინია და სულაც არ არის დაუმარცხებელი.

დრამატული და მრავლისმთქმელი ალეგორიაა ის სურათი, რომელსაც პროზაიკოსი დათვის სიკვდილის შემდეგ ხატავს. ტახების მიერ დათვის მოკვლა მელას სიამოვნებს, მაგრამ მანც გაიმახის, ღალატით მოკლესო, კურდღლებს უხარიათ, ხოლო დათვისგან წყალობის მომლოდინეებს სწყინთ (ვაჟა-ფშაველა, 1964, გვ. 270). ტექსტის მიხედვით, არც მტაცებელთა ფარისევლობა იცვლება. თავიანთი ბატონის ლეშით გამძღრები ერთმანეთის მოსაჩვენებლად ცრემლებს ღვრიან, გვამს დიდებით მიაბარებენ მიწას, ძეგლად კი მხეცთაგან გამოხრული ძვლების კომპლას აღუმართავენ (ვაჟა-ფშაველა, 1964, გვ. 270).

ზღაპარში აღწერილი ამბავი კიდევ უფრო დიდი ძალმომრეობით სრულდება. ტურა, აფთარი, მგლები ... ისევ იმორჩილებენ დანარჩენებს, „სამშობლოსათვის თავდადებული“ დათვის გვარის სადიდებლად და ერთგულების დასამტკიცებლად აჩოქებენ და აბღავლებენ. „მათი ხმა ჯოჯოხეთის ცეცხლში ტანჯულთა გოდებას მოაგონებდა ადამიანს“ (ვაჟა-ფშაველა, 1964, გვ. 271). მტაცებელნი დღესასწაულობენ, დანარჩენები იხოცებიან ან გარბიან, რომ თავს უშველონ. „გოდება ისმოდა ყოველი მხრით, ხოლო შებრალება არსაიდან“ (ვაჟა-ფშაველა, 1964, გვ. 271), – ასე სრულდება ტექსტი, რომელიც მთლიანად აირეკლავს რუსეთისაგან დაპყრობილი მამულის, სოციალურად დაბეჩავებული ადამიანის, სიცრუითია და ორპირობით სავსე საზოგადოების უნუგემო და უმძიმეს მდგომარეობას, როდესაც გამოსავალი თითქმის არ ჩანს, არ იცვლება მოძალადის ბუნება და ძალადობის არსი, ყოველგვარი წინააღმდეგობა მარცხდება, რასაც შედეგად მეტი სისასტიკე მოსდევს.

ის, რაც ვაჟა-ფშაველამ თავის ლიტერატურულ ზღაპარში საკმაოდ აგრესიული ფორმით, გარეული ცხოველების მეშვეობით განასახოვნა, ჯორჯ ორუელის „ცხოველთა ფერმაში“ თანდათან ხდება. ტექსტის პერსონაჟები შინაური ცხოველები არიან, თუმცა არანაკლებ სასტიკია მათი

მეშვეობით დახატული რეალობაც. გაცილებით მრავალშრიანია ალეგორიაც, რომელიც პირდაპირ აირეკლავს ტოტალიტარული სახელმწიფოს არსს, ტექსტში იოლად ამოსაცნობია კავშირი ისტორიულ ფიგურებსა თუ მოვლებებს შორის, მაგრამ ამასთან ერთად რომანი აჩვენებს ძალადობის ხასიათს, მის ბუნებას ზოგადად.

რომანის მთავარი გმირი ღორი ნაპოლეონია. ისტორიული ფიგურის სახელი მიზანმიმართულია და სწორედ იმის აღმნიშვნელია, რომ რომანი სხვა არაერთი სავარაუდო ანალოგიის მიუხედავად, არ ასახავს მხოლოდ ერთ კონკრეტულ ისტორიულ ფორმაციას.

აღსანიშნავია, რომ ღორი, როგორც სიმბოლო წინააღმდეგობრივი სახეა. ის გამოხატავს სიხარბეს, უმცრებას, სიჯიუტეს, ვნებას, თუმცა, ამავე დროს, დედობისა და ნაყოფიერების განსახიერებაცაა (Трессидер, 2010-2023a), თუმცა ტექსტში სხვა თვისებებითაც ხასიათდება.

„ადამიანის ტირანიისაგან“ გათავისუფლებული ცხოველები ღორი მეიჯერის იდეების საფუძველზე „ენიმალიზმის“ მოძღვრებას აყალიბებენ, კატეგორიულად ემიჯნებიან ადამიანებს და თავისუფლებისა და თანასწორობის პრინციპებზე აგებული სახელმწიფოს მშენებლობას იწყებენ. „ენიმალიზმის“ არსის გამომხატველი მცნებები, რომ არასდროს დაივიწყონ, ჭიმკარზე აქვთ წარწერილი და შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული: „1. ორ ფეხზე მოსიარულე ყველა არსება მტერია. 2. ყველა ოთხ ფეხზე მოსიარულე ან ფრთოსანი არსება მეგობარია. 3. არც ერთი ცხოველი არ ჩაიცვამს ტანსაცმელს. 4. არც ერთი ცხოველი არ დაიძინებს საწოლში. 5. არც ერთი ცხოველი არ დალევს ალკოჰოლს. 6. არც ერთი ცხოველი არ მოკლავს სხვა ცხოველს. 7. ყველა ცხოველი თანასწორია“ (ორუელი, 2012, გვ. 25). შესაბამისია დროშის სიმბოლიკაც. „დროშის მწვანე ფერი, სნოუბოლის განმარტებით, გამოხატავდა ინგლისის ველთა სიმწვანეს, ხოლო ჩლიქი და რქა – ცხოველთა მომავალ რესპუბლიკას, როდესაც ადამიანთა მოდგმა საბოლოოდ დაემხოდა“ (ორუელი, 2012, გვ. 30). ასე მკაფიოდ და რადიკალურად გაიმიჯნენ ადამიანები და ცხოველები ერთმანეთისაგან, თუმცა ფერმის იდილია, როგორც მოსალოდნელია, მალე ირღვევა.

ალეგორიზმის მასშტაბით ორუელის ტექსტი გაცილებით ფართოა და შეიცავს ძალადობრივი საზოგადოების / ტოტალიტარული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელ არაერთ დეტალს: ინერგება შიში, ჩნდება მტრის ხატი განდევნილი მეპატრონის სახით.

ნაპოლეონი თავისი გამოზრდილი ძალების მეშვეობით ჩამოცილებს ცხოველთა ამბოხის ერთ-ერთ ხელმძღვანელს სნოუბოლს, უმთავრესად რკინისებურ დისციპლინას მიიჩნევს, ექვემდებარება აყენებს სნოუბოლის გმირობას ადამიანების წინააღმდეგ გამართულ გომურის ბრძოლაში და შეახსენებს ცხოველებს ჯოუნზის დაბრუნების საფრთხეს. ღორ სქვილერის მეშვეობით ტაქტიკურ სვლად გამოაცხადებს თავის დროზე წისქვილის აშენების წინააღმდეგ გალაშქრებას, სნოუბოლს საშიშ მტრად, წისქვილის აშენების იდეას საკუთარ მოსაზრებად, თანდათან შრომა უფრო მონური ხდება, იკლებს საკვები, იმატებს მოჩვენებითობა, ცხოველების ცხოვრება მხოლოდ სქვილერის დავთრებში უმჯობესდება.

ძალადობაზე დამყარებულ საზოგადოებაში შექმნილ ატმოსფეროს კარგად გამოხატავს ნაპოლეონის მიერ მოწყობილი სასამართლოები. ხოცავენ ღორებს, ქათმებს, ბატებსა და ცხვრებს იმ დანაშაულისთვის, რომელიც მათ არ ჩაუდენიათ, მაგრამ ძალების შიშით „ყოველგვარი შემდგომი მითითების გარეშე“ (ორუელი, 2012, გვ. 69) აღიარებენ სნოუბოლთან საიდუმლო კავშირს. რომანის ეს პასაჟი საბჭოთა კავშირში დატრიალებული 1930-იანი წლების სისხლიანი რეპრესიების საკმაოდ მკაფიო ალეგორიაა, მაგრამ, თუ ამ კონკრეტული ისტორიული კონტექსტის გარეშე განვიხილავთ ამ ეპიზოდს, ის ძალადობრივი ეპოქების უნივერსალურ სურათადაც გამოდგება, რადგან საუკუნეების განმავლობაში არაერთი იმპერია მდგარა სისხლზე, შიშსა და ასეთი სისასტიკისაგან მიღებულ შოკზე, რომლის გადააზრებას დრო ჭირდება და რაზეც აპელირებს ავტორი, როდესაც წერს: „მათ უკვე აღარ იცოდნენ, რა უფრო დიდი საშინელება იყო: ზოგიერთი ცხოველი დალატი, როცა ისინი სნოუბოლს შეეკრნენ, თუ ეს უმოწყალო ქლეტა, რისი მოწმენიც დღეს გახდნენ“ (ორუელი, 2012, გვ. 70).

აჯანყების დროინდელ წარმოდგენებსა და დამდგარ რეალობას შორის გარდატეხა სისხლიანმა ხოცვა-ჟლეტამ გამოაჩინა. ცხოველებს სურდათ თანასწორობასა და თანაგრძნობაზე დაფუძნებული საზოგადოება შოლტისა და შიმშილის გარეშე და არა ძალმომრეობით სავსე ყოფა საგულისხმოა, რომ ქლოვერს, რომელიც ადეკვატურად აღიქვამს რეალობას, სიტყვები/განათლება არ ჰყოფნის, მოვლენებს რომ თავისი სახელი დაარქვას და შესაბამისი დასკვნები გააკეთოს. ამ უნარის განვითარება, თუ ტექსტის კანონზომიერებაში დავრჩებით, სხვადასხვა ცხოველს ისედაც განსხვავებული აქვს, მაგრამ ნაპოლეონის მიერ ასეთი შესაძლებლობაც სკოლების დახურვით გააზრებულად ისპობა, რაც ასევე მრავლისმთქმელი პასაჟია.

როგორც წესი, ძალმომრეობა თანდათან ივრცობა და თავისუფლების ყველა ნიშანს აქრობს. ასეა ამჯერადაც. უქმდება ამბოხების დროინდელი სიმღერა, რადგან ბელადს მიაჩნია, რომ დასჯით აჯანყება დასრულებულია, „გარე თუ შინა მტერი – ორივე დამარცხებულია“ (ორუელი, 2012, გვ. 73). სიმღერაში „მხენო ინგლისის“ გადმოცემული იდეა შესრულებულია, მომავალი, უკეთესი საზოგადოება შექმნილია (ორუელი, 2012, გვ. 73). ამ უკანასკნელის ნაცვლად პოეტი მინიმუსი ახალი სიმღერას წერს „ცხოველების ფერმის“ უძლეველობაზე.

შემთხვევითი არაა, რომ ტექსტში ნაპოლეონს მოიხსენებენ ტიტულებით: „ჩვენი ხელმძღვანელი, ამხანაგი ნაპოლეონი“, „ცხოველთა ძმა“, „ადამიანთა რისხვა“, „ცხვართა მფარველი“ (ორუელი, 2012, გვ. 75) და სხვ., მღერიან მის სადიდებელ სიმღერას, ამკობენ ეპითეტებით: „უმამოთა მეგობარო“, „კეთილ იღბლის წმინდა წყარო“, „სალაფავთა მეუფეო“, „დიდო ძია“ (ორუელი, 2012, გვ. 76). საკვების შემცირებასთან ერთად, რომელსაც გადანაწილებას უწოდებენ, ფერმაში იმატებს სანახაობა. ფერმაში ადრე დაწესებულ ცხოველთა გმირის პირველი და მეორე ხარისხის ორდენებს, „გომურის ბრძოლის“, ამბოხების და სხვა დღესასწაულებს ემატება ყოველკვირეული გამარჯვებების აღსანიშნად მოწყობილი „სტიქიური დემონსტრაცია“ და „ნაპოლეონის პატივსაცემად შეთხზული ლექსების საჯარო კითხვა“ იმართებოდა (ორუელი, 2012, გვ. 91), ადიდებენ ნაპოლეონს და ისმენენ მიღწევების შესახებ. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ზეიმის ყველაზე მორჩილი მონაწილეები ცხვრები არიან, რომლებიც თავიანთი მუდმივი მამებლობით საზოგადოების დიდ ნაწილს ასახავენ ალეგორიულად.

ერთ-ერთი დასამახსოვრებელი პერსონაჟია მოსე ყორანი. ტექსტის მიხედვით, ის ჯამში და მატყუარაა, კარგა ხნის გაუჩინარების შემდეგ, კვლავ ჩნდება და ისევ „მაქარყინულის მთაზე“, „სამყურას უჭკნობ ველებსა“ და „სელის თესლის ნამცხვარსა და ნატეხ შაქარზე“ (ორუელი, 2012, გვ. 93) იწყებს საუბარს. მართალია, მისი არ სჯერათ, მეტიც, ეზიზღებათ ღორებს, მაგრამ არც ხელს უშლიან, რომ გაწბილებულ ცხოველებს ასეთი იმედი გაუღვივოს (ორუელი, 2012, გვ. 93). ეს ყოველივე სრულ ჰარმონიაშია ცხოველთა საზოგადოების მართვის ფერმისეულ პრინციპებთან, ამავე დროს, არც მნელად ამოსაცნობი ალეგორიაა.

ძალადობრივ საზოგადოებაში ადამიანის ღირებულებას აჩვენებს ერთგული და მშრომელი ცხენის, ბოქსერის, აღსასრული. ის ცხოვრობს ორი დევიზით: „უკეთესად ვიმუშავე“ და „ნაპოლეონი ყოველთვის მართალია“ (ორუელი, 2012, გვ. 49), მაგრამ, როგორც კი ვედარ შეძლებს შრომას, მაშინვე სასაკლაოზე მიჰყავთ, მის სიკვდილს კი ისევ ნაპოლეონის განსადიდებლად იყენებენ (ორუელი, 2012, გვ. 98–99).

„არაფერი შეცვლილა უკეთესობისაკენ ან უარესობისაკენ, რადგან შიმშილი, სიძნელეები და გულის ავრუება ცხოვრების მარად უცვლელი წესი არისო“ – ამბობს ვირი ბენჯამინი (ორუელი, 2012, გვ. 102), რომლის მეშვეობით რიგითი ადამიანის მდგომარეობა და მსოფლმხედველობა შემოაქვს ავტორს. ასეთი ადამიანები ცვლილებებს არ ეწინააღმდეგებიან, მაგრამ დიდი მოლოდინიც არასდროს აქვთ, იმთავითვე ბედთან შეგუებული არიან. სწორედ ამგვარ ნიჰილიზმს შეიცავს რევოლუციის დასაწყისში ნათქვამი მისი სიტყვები, რომ ვირები დიდხანს ცოცხლობენ (ორუელი, 2012, გვ. 59).

ტექსტის მიხედვით, ცხოველები ბევრი გაჭირვების მიუხედავად, მაინც კმაყოფილები არიან, რადგან თვლიან, რომ უკეთ ცხოვრობენ და თავისუფლები არიან, წარსულში კი მონები იყვნენ (ორუელი, 2012, გვ. 89), ეამაყებთ „ცხოველების ფერმის“ წევრობა და იმედი აქვთ, რომ მეიჯორის ნაწინასწარმეტყველებ ცხოველთა რესპუბლიკასაც შექმნიდნენ, სადაც არ „იჭაჭანებდა“ ერთი ადამიანი კი (ორუელი, 2012, გვ. 103). მწერლის ამგვარი აქცენტები აძლიერებს ალეგორიულ პლანს. ცხოველები ბრმად მისდევენ ილუზიებს, მაშინ როდესაც ღორები ცდილობენ დაემსგავსონ ადამიანებს და ორ ფეხზე იწყებენ სიარულს.

ძალადობის ხასიათი ვლინდება ფერმაში არსებული მცნებების ცვლილებით, რომელიც, როგორც წესი, შეფარულად ხორციელდება. თუ პირველად ვაჭრობის აუცილებლობით აიხსნება ადამიანთან ურთიერთობისა და ფულის გამოყენების აკრძალვის გაუქმება (ორუელი, 2012, გვ. 54–55), სისხლიანი რეპრესიებისაგან მოგვრილი შიშის განულებების შემდგომ ამჩნევენ ცხოველები მეექვსე მცნებაში „არც ერთი ცხოველი არ მოკლავს სხვა ცხოველს უმიზეზოდ“ (ორუელი, 2012, გვ. 74) ჩამატებულ სიტყვას – „უმიზეზოდ“, რითაც სავსებით იცვლება სინამდვილის აღქმა. სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულების მონაწილის სისხლი უმიზეზოდ დაღვრილ სისხლად ვერ ჩაითვლება. ასევე, ჩუმიად იცვლება მეშვიდე მცნებაც, რომლის მიხედვითაც, ცხოველებს შეეძლოთ ალკოჰოლის დაღვრა, ოღონდ ის „დიდ რაოდენობით არ უნდა დაელიათ“ (ორუელი, 2012, გვ. 87). ბოლოს ფერმის კედელზეც ერთადერთი წარწერა რჩება: „ყველა ცხოველი თანასწორია, მაგრამ ზოგიერთი უფრო თანასწორია, ვიდრე სხვები“ (ორუელი, 2012, გვ. 105). მკითხველისთვის ცხადია, რომ ასეთი პარადოქსული შეხედულების მცნებად ქცევით, ავტორი ძალადობაზე აგებულ სოციალურ უმში თანასწორობის იდეის აბსოლუტურ დევალაციას და ძალადობის დაკანონებას უსვამს ხაზს.

ტექსტის დასასრულს სარკასტულად და ერთგვარად გამაფრთხილებლადაც ჟღერს ადამიანებისა და ღორების ღრეობაზე მეზობელი მამულის მეპატრონის, პილკინგტონის, სიტყვები: „ეს იყო დრო, როცა ადამიანებს ეგონათ, რომ ღორების ხელმძღვანელობით მართული ფერმა წარმოადგენდა რასმე არანორმალურს და შეეძლო ზიანი მიეყენებინა გარშემომყოფათვის“ (ორუელი, 2012, გვ. 107), შემზრავია ამ გამოცდილების სწრაფად გაზიარების სურვილიც. ორუელის სარკაზმი კიდევ ურო სასტიკი ხდება. პილკინგტონის განცხადებით, ღორებისა და ადამიანების ინტერესები არასოდეს დაპირისპირებია ერთმანეთს, ცხოველთა ფერმას მდაბიო ცხოველების პრობლემა, ადამიანთა საზოგადოებას კი დაბალი კლასების საკითხი აქვს მოსაწესრიგებელი (ორუელი, 2012, გვ. 108). ფერმას უბრუნდება ძველი სახელწოდება „მანორის ფერმა“, ასევე, „ამხანაგო“ იცვლება მიმართვით „ჯენტლმენებო“. ამით, ფაქტობრივად, იკვრება წრე. ადამიანები და ცხოველები გაიგივდნენ. ვერც ღორები გახდნენ უკეთესები და ვერც ადამიანებმა დაკარგეს საკუთარ თავში ცხოველური ინსტინქტები. „თორმეტი ბრაზმორეული ხმა ერთად ისმოდა და ყველა ერთმანეთს ჰგავდა. ამჯერად არავინ იკითხავდა, რა დაემართათ სახეზე ღორებს. ფანჯრებთან მდგარ ცხოველებს მზერა ღორიდან ადამიანზე გადაჰქონდათ, ადამიანიდან ღორზე, შემდეგ ღორიდან ისევ ადამიანზე... მაგრამ უკვე შეუძლებელი გამხდარიყო მათი ერთმანეთისაგან გარჩევა“ (ორუელი, 2012, გვ. 110–111).

რომანში არ რეპრეზენტირდება მხოლოდ ძალმომრეობაზე აგებულ საზოგადოება, ასევე ასახულია ადამიანისთვის თანდაყოლილი შინაგანი სისუსტეებიც, რომლებიც თავს არაერთხელ, მუდმივად იჩენს და ყველა შემთხვევაში გამოვლენის ფორმები იცვლება მხოლოდ და არა შინაარსი. ამდენად მასთან ბრძოლაც დაუსრულებელი პროცესია.

ორუელის რომანი „ცხოველების ფერმა“ იგავური ფორმით არამხოლოდ საბჭოთა, ზოგადად, ტოტალიტარულ რეჟიმს აკრიტიკებს და საზოგადოების თავისუფალი ნების ჩახშობის პროცესს განასახოვნებს. ვაჟა-ფშაველას დათვი („დათვი“) სასტიკი მოძალადეა, რომელიც სხვის მიწას (მამულს) იპყრობს და არ შეუძლია ბედნიერად იგრძნოს თავი, ვიდრე ყველა მას არ ემორჩილება.

მნიშვნელოვანი განსხვავების მიუხედავად, ორივე მხატვრული ტექსტი ერთნაირად აჩვენებს ძალადობის დაფარულ, ხშირად ძნელად ამოსაცნობ ბუნებას, მის დამანგრეველ ხასიათს, ამასთან,

მკაფიოდ წარმოაჩენს, როგორ შეიძლება დაეცეს ადამიანი, განუკითხაობის მსხვერპლი ხდება ყველა ტიპის სოციალური, რომელიც მხოლოდ ემორჩილება, ქედს იხრის და არ იბრძვის.

როგორც ვაჟა-ფშაველას, ისე ორუელის ტექსტებში მხატვრული ლიტერატურისათვის დამახასიათებელი პირობითობით აისახება სხვადასხვა ეპოქის ტირანია, ძალადობის თითქმის სტერეოტიპული ხასიათი, თავისუფლების დაკარგვის დრამატული ბუნება, დაპყრობილი საზოგადოების სოციალური სიბეჩავე, მკაფიოდ ვლინდება, რომ არავითარი მნიშვნელობა არ აქვს კონკრეტულ ისტორიულ კონტექსტს. ძალადობა უნივერსალური ფენომენია და ის, უპირველეს ყოვლისა, პიროვნულ თავისუფლებასა და ინდივიდუალიზმს ვერ ეგუება.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ვაჟა-ფშაველა. (1964). თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტომი VI, მოთხრობები, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“
- ვაჟა-ფშაველა. (1964a). თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტომი IX, პუბლიცისტური და ეთნოგრაფიული წერილები. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“
- ორუელი, ჯ. (2012). ცხოველების ფერმა, თარგმნა დათო აკრიანმა, თბილისი: „პალიტრა L“
- ორუელი, ჯ. (2016). ლიტერატურა და ტოტალიტარიზმი, თარგმნა დიანა მიქელაძემ, „გულანი“, 20, 319-325, ახალციხე: „ახალციხის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
- ჩოლოყაშვილი, რ. (2005). ცხოველთა ეპოსი, თბილისი: „ნეკერი“
- ჩოლოყაშვილი, რ. (2002). ცხოველთა ეპოსი და იგავი, ლიტერატურული ძიებანი, 2002, 23, 530-535, თბილისი: „მერანი“

A DICTIONARY OF SYMBOLS. (2001). Second Edition by J. E. CIRLOT, LONDON: Taylor & Francis e-Library.

<https://ia801204.us.archive.org/35/items/DictionaryOfSymbols/Dictionary%20of%20Symbols.pdf>

Трессидер, Дж. (2010-2023) Словарь символов, МЕДВЕДЬ.

https://royallib.com/read/tresidder_dgek/slovar_simvolov.html#614400

Трессидер, Дж. (2010-2023a). Словарь символов, СВИНЬЯ.

https://royallib.com/read/tresidder_dgek/slovar_simvolov.html#921600

References:

- Choloq'ashvili, R. (2005). Tskhovelta ep'osi. [Animal Epic]. Tbilisi: „nek'eri“.
- Choloq'ashvili, R. (2002). Tskhovelta ep'osi da igavi. [Animal Epic and Fable]. Lit'erat'uruli dziebani, 2002, 23, 530-535. Tbilisi: „merani“.
- CirLOT, J. E. (2001). A DICTIONARY OF SYMBOLS. Second Edition by J. E. CIRLOT, LONDON: Taylor & Francis e-Library. <https://ia801204.us.archive.org/35/items/DictionaryOfSymbols/Dictionary%20of%20Symbols.pdf>
- Oruell, J. (2012). Tskhovelebis perma, targmna Dato Ak'rianma. [Animal Farm, translated by Dato Akriani]. Tbilisi: „p'alit'ra L“.
- Oruell, J. (2016). Lit'erat'ura da t'ot'alit'arizmi, targmna Diana Mikeladzem. [Literature and Totalitarianism, translated by Diana Mikeladze]. „Gulani“, 20, 319-325. Akhaltsikhe: „akhaltsikhis sakhelmts'ipo universit'et'i“.
- Tressider, Dzh. (2010-2023). Slovar' simvolov. MEDVED'. [Dictionary of Symbols, BEAR]. https://royallib.com/read/tresidder_dgek/slovar_simvolov.html#614400
- Tressider, Dzh. (2010-2023a). Slovar' simvolov. SVIN'YA. [Dictionary of Symbols, PIG]. https://royallib.com/read/tresidder_dgek/slovar_simvolov.html#921600
- Vazha-Pshavela. (1964). Tkhzulebata sruli k'rebuli at t'omad. T'omi VI. Motkhrobbi. [Complete Works in Ten Volumes, Volume VI, Stories]. Tbilisi: „sabch'ota sakartvelo“.
- Vazha-Pshavela. (1964a). tkhzulebata sruli k'rebuli at t'omad, t'omi IX. P'ublitsist'uri da etnografiuli ts'erilebi. [Complete Works in Ten Volumes, Volume IX, Journalistic and Ethnographic Letters]. Tbilisi: „sabch'ota sakartvelo“.

Hayate Sotome

ჰაიატე სოტომე

The University of Tsukuba

ცუკუბას უნივერსიტეტი

Japan, Tsukuba

იაპონია, ცუკუბა

Representation of Hero/Anti-Hero and Literary Topoi in A. Qazbegi's "The Patricide"

გმირის/ანტიგმირის სახე და ლიტერატურული ტოპოსი ა. ყაზბეგის „მამის მკვლელობა“

From the beginning of the 19th century, the Russian Empire colonized Georgia. The situation was especially difficult in the Khevi region, where the adventure of Georgian protagonists, Iago, Nunu and Koba, in Aleksandre Qazbegi's novel "The Patricide," took place. These protagonists are victims of this colonization.

After Iago and Koba rescued Nunu, who was forcibly married and then confined in a cave, they fled to Chechnya, joined to Shamil's army, and fought against the Russian troops. As mentioned in the text, the Russian army consists not only of Russians and Cossacks, but also of other Caucasians, including Georgians. In the novel, two types of Georgians are represented: the "heroes," – Iago, Nunu and Koba, – who have conscience, and the "anti-hero," – Girgola, – who lacks it and serves Russian imperialism. Although main plot develops around the adventure of the "heroes," drawing readers' attention to them, Girgola's psychology is also described in detail and is equally noteworthy. From this point, "The Patricide" possesses two characteristics of both chivalric and picaresque novels.

Additionally, the places where the "heroes" and the "anti-hero" operate are also notable. The former flee from Khevi to Chechnya, where the battles between Russian troops and Shamil's army occur. In Chechnya, particularly in the Ichkerian forest, there are no highways (referred to in the novel as "national roads"). This circumstance makes it impossible for the Russian troops to move and battle effectively, giving Shamil's army an advantage. In contrast, the "anti-hero," Girgola remains in Khevi or Vladikavkaz (Dzaug), where there is a highway connecting the cities. The Russian Empire controls the territory through this highway. These two topoi – the cities and the villages, and the highway itself / the roadless, "nomadic" space – are crucial for understanding A. Qazbegi's works.

Keywords: Alexander Kazbegi, Father's Murderer, Chronotope, Paul Virilio

საკვანძო სიტყვები: ალექსანდრე ყაზბეგი, მამის მკვლელობა, ქრონოტოპი, პოლ ვირილიო

1. შესავალი

ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობაში „ნამწყენსარის მოგონებანი“ მოთხრობილია მწყემსური ცხოვრების სირთულეები შესახებ. ამ სირთულეებს შორის ყურადღება მინდა გავამახვილოთ შემდეგზე:

[...] ვერ მოვასწართ ჩასვლა სოფ. ბალთას, სადაც ზასტავაში შეგვაყენეს და გზის ხარჯის თხოვნა დაგვიჩვენეს.

ჩვენ ეს ხარჯი უსამართლოდ გვეჩვენა, რადგანაც გზა-გზა არ გვივლია და სულ მინდორზედ ძოვნით მოგვიდიოდა ცხვარი, მაგრამ ჩვენს საბუთიანს ლაპარაკს ყურადღებას არავინ აქცევდა და გასასვლელს გზას არ გვანებებდნენ (ყაზბეგი, 1948, გვ. 460).

აქ საინტერესოა, რომ ყაზახები სამოვრებზე გადაადილების საფასურს ითხოვენ ზასტავაში, ხოლო მწყემსები, როგორც მოთხრობელი ამბობს, ამას „გზის ხარჯად“ თვლიან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყაზახები ზასტავაში, ანუ საკონტროლო პუნქტში, მოსულ მწყემსებს ფულს სთხოვენ და მათთვის მნიშვნელობა არ აქვს, გზებით დადიოდა ის თუ მინდვრებზე. მწყემსები ფიქრობენ, რომ უშუალოდ გზაზე სიარულსა და გზის გამოყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს ეპიზოდი გულისხმობს იმას, რომ ყაზახებსა და, ზოგადად, რუსეთის იმპერიის კოლონიალისტურ მმართვეობას, მწყემსებისა და ადგილობრივი მთის ხალხისგან განსხვავებული ხედვა და დამოკიდებულება აქვთ. კერძოდ, რუსული მმართველობა თვლის, რომ არა მარტო გზას, არამედ მის ირგვლივ არსებულ ტერიტორიებსაც უნდა აკონტროლებდეს. ადგილობრივებისთვის კი ასე არ არის და გზის იქითა ტერიტორია მმართველობის რუსების კონტროლის გარეშე რჩება. მოხსენებაში მინდა ვიმსჯელოთ იმაზე, თუ როგორაა ამგვარი „გზა“ ასახული ა. ყაზბეგის რომან „მამის მკვლელობა“.

2. გზა და ტყე

როგორც ცნობილია, დარიალის ხეობაში, რომელიც ა. ყაზბეგის ნაწარმოების სცენაა, ფიგურირებს ე. წ. საქართველოს სამხედრო გზა, რომელიც აშენდა მე-19 საუკუნის დასაწყისში, როცა რუსეთის იმპერიამ კავკასიაში შემოაღწია, და იგი იმთავითვე იმპერიის ცენტრისა და, ასე ვთქვათ, პერიფერიის დამაკავშირებელი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურულ ობიექტად იქცა. ამას ჩვენ ვკითხულობთ რომანშიც: *რუსეთი გაიზარდა, გაიწია განზედ, ის ველარ მოთავსდა თავის კალაპოტში და ამიერურბოდა სამხრეთისაკენ და, რაც კი გზაზედ ჰხვდებოდა, უნდოდა დაემორჩილებინა, დაეპყრო. ჩეჩნელები გზაში ეჩხირებოდნენ ამ მდინარეებს, და ეს იყო პირველი მიზეზი შეტაკებისა* (ყაზბეგი, 1948, გვ. 308).

ამგვარად, რუსეთის იმპერია საქართველოსა და კავკასიას გზის მეშვეობით მმართვედა, მას ეფექტური მართვისთვის აშენებდა და ინარჩუნებდა.

გზა ქალაქებს, სოფლებს, ზასტავებს, სტანციებს და კიდევ ანაზურის ციხესაც ერთმანეთს უკავშირებს და მთელი ის სივრცე, რომელსაც ის აკავშირებს რუსეთის იმპერიის მმართველობის ქვეშ ექცევა. რუსული ჯარი, მისი ყარაული ყაზახები და რომანის ანტიგმირი გრიგოლა სწორედ ამ გზის სივრცეში, ანუ გზის ტოპოსში მოქმედებენ. რომანში, მაგალითად, ვკითხულობთ: „გზები სავსეა ყარაულებით“ (ყაზბეგი, 1948, გვ. 291) ან „ყაზახი მოდიოდა გზების საჩხრეკად და მშვიდობიანობის დასაცველად“ (ყაზბეგი, 1948, გვ. 354). გზა და მასში არსებული პუნქტები, როგორც სოფელი, ზასტავა და ა. შ. – ეს „ხაზისა და წერტილის“ სქემა – სწორედ იმდროინდელი რუსული მმართველობის ფორმა იყო.

ამ გზის ტოპოსის საპირისპიროა ტყის ტოპოსი, რომელსაც რომანის გმირები, კობა, იაგო და ნუნუ, გრიგოლასგან თავის დასაცავად მიმართავენ. მაგალითისთვის ავიღოთ ის მომენტი, როცა ნუნუ გამოქვაბულიდან გაქცევის შემდეგ შედის ტყეში და მას კინაღამ თავს დაესხა დათვია. მას

იაგო და კობა დაეხმარნენ. თუმცა რატომ იყვნენ ისინი ტყეში, ეს შემდეგნაირადაა ახსნილი: *იაგოს ასე სწრაფად და დროზედ გაჩენის მიზეზი დათვის ტყეში იყო ის, რომ ეს რამდენი ხანია, რაც ამან და კობამ აქ შეიფარეს თავი, როგორც ერთს საუკეთესოდ დასამალს ადგილს* (ყაზბეგი, 1948, გვ. 263).

გრიგოლას მიერ ნუნუს დაჭრის შემდეგ იაგო და კობა ჩეჩნეთში მიდიან, სადაც შამილის ჯარს უერთდებიან და მათთან ერთად რუსულ ჯარს ებრძვიან. ის ადგილი, სადაც შამილის ჯარი დგას, არის იჩქერიის ტყე. სწორედ ტყეში შეუძლიათ მათ რუსებთან საბრძოლო უპირატესობა ჰქონდეთ.

შამილს უნდოდა ვარანცოვი თავისის ჯარით იჩქერის ტყეში შეეტყუებინა, სწორედ იმ ტყეში, სადაც ისე დაამარცხა ამ რამდენიმე წლის წინათ ლენერალი გრაბე, და რუსები კი ემზადებოდნენ რომ ეს ტყე გაეგლოთ თავიდან ბოლომდინ და თავის იარაღისთვის დაემორჩილებინათ (ყაზბეგი, 1948, გვ. 303).

ამგვარად, გზის ტოპოსის საპირისპიროდ (გზის, რომელსაც და რომლის საშუალებითაც რუსული იმპერია ე. წ. პერიფერიებს მართავს) რომანში წარმოდგენილია ტყის ტოპოსი, რომელსაც შამილი მართავს.

3. სიჩქარე და სივრცე

მოხსენებაში გზისა და ტყის ტოპოსს მინდა დავუკავშიროთ ქრონოტოპის კონცეფცია. მ. ბახტინის თეორიის მიხედვით, რომანში ტოპოსი განუყოფელადაა მიჯაჭვული დროსთან (Бахтин, 1975, გვ. 392). თუმცა, ფრანგი თეორიტიკოსი, პოლ ვირილიოს, წიგნში „სიჩქარე და პოლიტიკა“ წერს, რომ სახელმწიფო სტრუქტურა და პოლიტიკური ძალაუფლება სიჩქარესა და აჩქარებასთან მუდმივადაა დაკავშირებული. დროთა განმავლობაში სახელმწიფო ან გზას აკეთებს და კავალერიას ამზადებს, ან რკინიგზას აკეთებს, ან თვითმფრინავს ააფრენს, რომლითაც უფრო შორი და ფართო ტერიტორიების მართვა შეუძლია. თანდათ სიჩქარე უფრო და უფრო ემატება. ამ სიჩქარის დრამატული გამოვლინებაა, ვირილიოს მიხედვით, ომში შეჯახება; არტილერიის „ჭურვის აფეთქების ელვისებური სიჩქარე“ და თანამედროვე პერიოდში ეს ბირთვული იარაღის აფეთქებითაა განხორციელებული.

ვირილიოს ამ ქრონოტოპის კონცეფციის გათვალისწინებით, განვიხილოთ გზისა და ტყის ტოპოსები „მამის მკვლელობაში.“ როგორც უკვე აღვნიშნეთ, გზა რუსულ მმართველობას ხელს უწყობდა. გზა არის ის ტოპოსი, სადაც ყაზახები ცხენებით დადიან. მამასადამე, აქ დრო ცხენის სირბილის სიჩქარეს უკავშირდება. მაგალითად, რომანის იმ ადგილას, სადაც იაგო გზის პირას იმალება და სიტუაციას ეცნობა, ჩვენ ვკითხულობთ, რომ გზაზე ყაზახები ცხენებით დადიან:

ცხენების ხმა თანდათან ახლოვდებოდა; ბოლოს ხალხის ლაპარაკიც მოისმა: აღმოჩნდა, რომ ათიოდე, თუ ცოტა მეტი, ყაზახი მოდიოდა გზების საჩხრეკად და მშვიდობიანობის დასაცველად (ყაზბეგი, 1948, გვ. 354).

ტყე კი ამგვარ სიჩქარეს ანელებს; უღრან ტყეში გაზრდილი ხშირი მცენარეები ანელებს იმ სიჩქარეს, რომლითაც გზაზე ცხენი მიდის:

მართლაც, გაბმული უდაბნო ტყეები, გახლართული სვით და სხვა ხვეულის მცენარეებით, განუწყვეტლივ აყენებდნენ ცხენოსნებს, აძებნიდებდნენ უკეთესს გზას, მაშინ, როდესაც ქვეითები კი შიგა ძვრებოდნენ და გზაში არა ბრკოლდებოდნენ (ყაზბეგი, 1948, გვ. 324).

სწორედ ამიტომაც, ტყეში რუსულ ჯარს არ აქვს და ვერ მოიპოვებს უპირატესობას, რომელსაც გზაზე განხორციელებული სიჩქარე ანიჭებს.

ზემოხსენებული მაგალითი ცხენებთანაა დაკავშირებული, ხოლო ყველაზე ტიპური მაგალითი ჩნდება ჩერქეზსა და რუს სალდათს შორის მიმდინარე შემდეგ დიალოგში:

- აი, ჩვენი გზა ეს არის, – უთხრა იმან, – სულ ტყიანია, მარტო აი, აქ შეგხვდება მინდორი, მერმე ისევ ტყე დაიწყება... გზის ნაპირს სულ ხევი მისდევს.
- გზაში ისეთი მაღლობი არსად არის, რომ ზარბაზნები გაგვემაგრებინა და იქიდან ყუმბარები გზას მისწდომოდა?.. მაშინ ჯარი დაფარული იქნებოდა მტრისგან.
- გარშემო სულ მაღლობებია და მთები, მაგრამ ტყის სიხშირით იქ ზარბაზნებს ვერ გავიტანთ; ქვევითა კაცსაც კი გაუჭირდება იქ გასვლა, არამც თუ ცხენების გაყვანა და ზარბაზნების გატანა შეიძლებოდა (ყაზბეგი, 1948, გვ. 338).

როგორც აღწერილია, გზა, რომელზეც რუსული ჯარი დადის, ტყითაა გარშემორტყმული. ამ ტყის გამო ზარბაზნის გამოყენებაც და ცხენზე ჯდომაც ძალიან რთულია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვირილიო სიჩქარის პოლიტიკის ყველაზე ნათელ მაგალითად ზარბაზანს ასახელებს. ტყეში სწორედ ზარბაზნის სიჩქარეა განულებული.

სხვა მხრივ, კიდევ საინტერესოა ჩვენთვის, რომ ასეთი ტყის სიხშირე შამილს ხელს არ უშლის:

ცოტა ხანმა გაიარა, და ჯერ ტყის შტოებს შუა აქა-იქ გაელდა მომავალთ იარაღი და ცხენთა მორთულობა, და ცოტა ხნის შემდეგ გამოჩნდა მშვენიერი შეხედულობის მოცუბი, თეთრის წვერით და თეთრისვე ჩაღმით თავზედ. თეთრს გასუქებულს ცხენებს, რომელიც გედივით მოცურავდა, მაღლა და ამაყად თავი აეღო, თითქოს გრძნობდა თუ რა მხედარი მოჰყვანდა (ყაზბეგი, 1948, გვ. 327).

შამილის თეთრი გასუქებული ცხენი „ტყის შტოებს შუაში“ „გედსავით მოცურავდა,“ რაც ზემოხსენებული რუსული ჯარისგან განსხვავებულია. ამდენად, აქ ტყის ქრონოტოპი რუსული იმპერიალისტური ძალების დროსა და სიჩქარეს, რომელიც მათი მმართველობის საფუძველია, ანელებს. შამილისთვის ეს ასე ხდება.

4. დასკვნა

„მამის მკვლელში“ გზა არის ის ტოპოსი, რომელსაც რუსეთის იმპერია მართავს, და სადაც რომანის ანტიგმირი გრიგოლა მოღვაწეობს, ხოლო ტყე ისეთი ტოპოსია, სადაც რომანის გმირები კობა, იაგო, შამილი და, საერთოდ, მთის ხალხი ტრიალებს. გზის ქრონოტოპი ცხენის სიჩქარეს უკავშირდება და ომის დროს კი – ზარბაზნის ჭურვის სიჩქარეს. მეორე მხრივ, ტყის ქრონოტოპი ცხენისა და ჭურვის სიჩქარეს ანელებს და ამიტომაც ტყეში მთის ხალხს რუსულ ჯარზე უპირატესობა აქვს. ამგვარად, „მამილს მკვლელში“ გზისა და ტყის ქრონოტოპები მე-19 საუკუნის ქართული და არაქართული ლიტერატურის მნიშვნელოვან მახასიათებლებად გვევლინება.

დამოწმებანი

- ყაზბეგი, ალ. (1948). *თხზულებათა სრული კრებული*, ტ. 1, თბილისი: საბჭოთა მწერალი.
 Virilio 1986: Virilio, Paul. *Speed and Politics: An Essay on Dromology*. Trans. Mark Polizotti, NY: Semiotext(e).
 Бахтин, М.М. (1975) *Бахтин*, Вопросы литературы и эстетики: исследования разных лет. М.

References:

- Bakhtin, M.M. (1975). Bakhtin, Voprosy literatury i estetiki: issledovaniya raznykh let. [Questions of Literature and Esthetics: Research from Different Years]. M.
 Q'azbegi, Sl. (1948). Tkhzulebata sruli k'rebuli. T'. 1. [Complete Collection of Works, Vol. 1]. Tbilisi: "sabch'ota mts'erali".
 Virilio 1986: Virilio, Paul. *Speed and Politics: An Essay on Dromology*. Trans. Mark Polizotti, NY: Semiotext(e).

Ana Letodiani

ანა ლეთოდიანი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

Liminality Theory and Vazha-Pshavela's "The Snake-Eater"

ლიმინალობის თეორია და ვაჟა-ფშაველას "გველისმჭამელი"

Concept of liminality is associated with the changes in life of various types. According to anthropologic theory of liminality, any variability implies three phases. 1. Separation; 2. Liminality; 3. Incorporation.

According to the liminality theory, in interpretation of the literary text, naturally, following of the characters' transformation process is of particular interest. Our attention was focused on the way of comprehension of the characters with certain common signs, in this case – Vazha-Pshavela. In his poems "Host and Guest" and "Aluda Ketelauri" the process of the characters' internal transformation correspond to the stages distinguished within the liminality anthropological theory. In our view, the situation is different, to some extent, in case of Mindia, the main character of "The Snake-Eater"/ His transformation process does not fully correspond to the stages identified according to anthropological theory of liminality.

Keywords: Liminality Theory; Vazha-Pshavela; "The Snake-Eater"

საკვანძო სიტყვები: ლიმინალობის თეორია; ვაჟა-ფშაველა; „გველისმჭამელი“

ლიმინალობის ცნება ორ განსხვავებულ სივრცეს შორის მიჯნას აღნიშნავს. ის სხვადასხვა ტიპის ცხოვრებისეულ ცვლილებას: სოციალური სტატუსის, ღირებულებების, ნორმების, პიროვნული თუ სხვა ტიპის ტრანსფორმაციას, უპირველესად, კი, იდენტობის ძიების პროცესს უკავშირდება (Геннеп, 1983, გვ. 8; Тёрнер, 1983, გვ. 168). ლიმინალობის ანთროპოლოგიური, კერძოდ, არნოლდ ვან გენეპის თეორიის თანახმად, ნებისმიერი სახის ცვალებადობა მოიცავს 3 ფაზას. 1. სეპარაცია ანუ გამოცალკევება; გარკვეული სოციალური ერთობისაგან გამიჯვნა ინდივიდუალური არჩევანის საფუძველზე; ამ დროს ინდივიდი ერთობისათვის ნიშნულ მახასიათებლებს კარგავს. 2. მარგინალობა, ლიმინალობა, ეს, სტადია გულისხმობს ნორმატიული კონტექსტისაგან გამოცალკევებას და ადრინდელის საპირისპირო სამყაროს შექმნას. 3. ინკორპორაცია/რეაგრეგაცია, გაერთიანება, საზოგადოებაში განახლებული სოციალური სტატუსით დაბრუნება (Геннеп, 1999, გვ. 15; რატანი 2010: 110, 111; Bräunlein, 2012, გვ. 96). მოგვიანებით, ვიქტორ ტერნერმა განავითარა გენეპის "გადანაცვლების" პროცესის სამეტაპიანი მოდელი და შემოგვთავაზა ე.წ. სოციალური დრამის ოთხნაწილიანი სქემა. ტერნერთან ლიმინალობა გაცდა ვიწრო ანთროპოლოგიურ ჩარჩოებს და უფრო ფართო მნიშვნელობა მიიღო. ტერნერის თანახმად, ლიმინალობა ოთხი ფაზისაგან შედგება:

1. უთანხმოება; დაპირისპირება სოციალურ ნორმასთან;
2. კრიზისი და კონფლიქტი;
3. აღმდგენი ქმედება; კონფლიქტის მოგვარების ცდა (რიტუალი);
4. რეინტეგრაცია ანუ შეერთება (Тёрнер, 1983, გვ.13; Förster, გვ. 3).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ლიმინალობის თეორიის დახმარებით სხვადასხვა ცხოვრებისეული მოვლენის გააზრებაა შესაძლებელი. ამ თეორიის მიხედვით მხატვრული ტექსტის ანალიზის შემთხვევაში, საყურადღებოა პერსონაჟთა შინაგანი ცვლილების პროცესისათვის თვალის მიდევნება, რა იქცევა მათი ტრანსფორმაციის საფუძვლად, როგორც ფორმით გადიან ლიმინალობის თეორიის თანახმად განსაზღვრულ ფაზებს განახლების გზაზე. ამჯერად, ჩვენთვის საყურადღებოა, ერთი ავტორის, ამ შემთხვევაში, ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ფარგლებში როგორ შეიძლება გავიაზროთ ლიმინალობის თეორიის საფუძველზე, გარკვეული ნიშნებით მსგავს პერსონაჟთა სახეები. აქამდე, შევეცადეთ ლიმინალობის ანთროპოლოგიური თეორიის დახმარებით გაგვეანალიზებინა ვაჟა-ფშაველას პოემები, „ალუდა ქეთელაური“¹, „სტუმარ-მასპინძელი“². ამჟამად, „გვალისმჭამელსა“ და მინდიას პერსონაჟზე შევაჩერებთ ყურადღებას.

„გველისმჭამელში“ სიუჟეტის დაწყებიდან მალევე ვიგებთ, რომ ქაჯებთან 12 წლიანი ტყვეობის დროს (ლიმინალობის თეორიის თანახმად, მინდიას ეს მდგომარეობა სეპარაციის კონდიციას შეესაბამება) მინდია განიცდის „სამშობლოს გარეთ ყოფნას“. ტყვეობით შეწუხებულს, ერთადერთ გამოსავლად თავის მოკვლა ესახება და ამ მიზნით ჭამს გველის ხორცს. სიკვდილის ნაცვლად, ის გრძნეულების უნარს შეიძინს. თვითმკვლელობის გადაწყვეტილება, 12 წლიანი ტყვეობის შედეგია, რაც, ბუნებრივია, მძაფრი კრიზისის მაჩვენებელია. ლიმინალობის ფაზის, ინდივიდუალური კრიზისის დასაწყისს, ხშირად გარკვეულ კრიტიკულ, სოციალური სტატუსის დაკარგვას, განშორებას და სხვა ამ ტიპის მოვლენას უკავშირებენ (Фыс, 2018, გვ. 146). სწორედ, განშორება (სამშობლოსთან, ოჯახთან, ახლობლებთან) მინდიას კრიზისის საფუძველი. ტერნერის თანახმად, ლიმინალობა მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ, როგორც შუალედური მდგომარეობის, არამედ, როგორც ზღვრულ სიტუაციებში მიღებულ გამოცდილებაზე ადამიანური რეაქციების მარკერი. ამ დროს საყურადღებოა როგორი ზეგავლენა აქვს ლიმინალობას პიროვნებაზე. ტერნერის თვის ლიმინალობა იმგვარი კონდიციაა, როცა იდენტობა გარკვეულ დონეზე წაშლილია, ადამიანი დეზორიენტირებულია, თუმცა, ეს ფაზა, ამავე დროს, ახალ პერსპექტივებსაც აჩენს. ეს პროცესი ნათლად იკვეთება მინდიას ტყვეობის ეტაპზე, როცა ის გველის ხორცის მიღებას გადაწყვეტს. ის დეზორიენტირებულია, სამშობლოს, მისიანებს მოშორებულს აღარ უღირს სიცოცხლე და თავის მოკვლა ურჩევნია. თვითმკვლელობა, ესაა მისი რეაქცია კრიზისულ, ზღვრულ სიტუაციაზე. თვითმკვლელობის ასპექტს მოგვიანებით დავუბრუნდებით. ლიმინალობის გადალახვის არსი არის ის, რომ ამ პერიოდის გადატანის შემდეგ სუბიექტი აცნობერებს საკუთარ თავში შესამჩნევ ცვლილებებს, აღარ არსებობს ძველი, ჩვეული თვისებები. რაც მთავარია, ეს ცვლილებები მისი სურვილით მოხდა. ეს ცვლილებები მიუთითებს პიროვნულ ზრდაზე. ალუდას და ჯოყოლას შემთხვევაში, ცვლილებები მათი სურვილით, შინაგანი წინააღმდეგობების გადალახვის საფუძველზე ხდება. ჯერ კიდევ, სეპარაციის საფეხურზე ჩანს, რომ ისინი მოფიქრალი პერსონაჟები არიან, ცდილობენ გააცნობიერონ მათ ფსიქიკაში, ცნობიერებაში მომხდარი ძვრები და ამ ფიქრის შედეგად წყვეტენ, როგორ გააგრძელონ ცხოვრება. მინდიას შემთხვევაში, განსხვავებული ვითარებაა,

¹ ანა ლეთოდიანი. „ალუდა ქეთელაურის“ გააზრებისათვის („ლიმინალობის თეორია და „ალუდა ქეთელაური“). V საერთაშორისო სიმპოზიუმში; ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები; მითოსური აზროვნება, ფოლკლორი და ლიტერატურული დისკურსი. ევროპული და კავკასიური გამოცდილება. ეძღვნება ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 150-ე წლისთავს. ნაწილი I. გვ. 83.

² ანა ლეთოდიანი. ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“ და ლიმინალობის თეორია. ქართველური მემკვიდრეობა. XXVII. 2023.გვ. <https://doi.org/10.52340/PUTK.2023.27.14>

არსებული მდგომარეობის ცვლილების გადაწყვეტილება თავად მიიღო, მაგრამ ცვლილებები, ახალ რეალობასთან (გულთმისნობის უნარის შექმნა) რეაგირეგაცია (შეერთება), მისი სურვილი არ ყოფილა, მისი ჩარევის, მისი ცდის გარეშე, “გარედან შემოსული” მოცემულობაა, აქ არ ჩანს სიახლის გაცნობიერების პროცესი, ერთადერთი, რასაც მინდია გრძნობს გაკვირვებაა. შემთხვევითია მისი ტრანსფორმაცია და შესაძლოა, ამიტომაც ვერ იაზრებს ის მომხდარს ცნობიერ დონეზე ალუდასა და ჯოყოლას მსგავსად.

ლიმინალობის ანთროპოლოგიური თეორიის თანახმად, ადამიანის ცხოვრება შედგება ლიმინალობის (გადანაცვლების) და შედარებით სტაბილური მდგომარეობისაგან, ამდენად, სეპარაცია, ლიმინალობა (ზღვრული ფაზა) და ინკორპორაცია მუდმივი პროცესია. ხევისურეთში დაბრუნებული მინდიასთვის ცხოვრების ახალი ეტაპი იწყება. თავიდან მისთვის ადრე ჩვეულ გარემოსთან სეპარაციის პროცესი არ აღმოჩნდება მარტივი. როგორც ლიმინალობის ფაზის გავლის შემდეგ არ ესმით თემის წევრებს ალუდასა და ჯოყოლას საქციელი, ასევე ხდება მინდიას შემთხვევაშიც. ხატობის ეპიზოდამდე, მინდია, ერთგვარად მარგინალიზებულია, ლიმინალურ ფაზაშია, მისი ქცევა და დამოკიდებულებები გაუგებარია სხვებისთვის. თუმცა, ხატობაზე მომხდარის შემდეგ, როცა მისი საქციელით გულისწყრომის გამოხატავ ხევისურებს, ორი ჩიტის ამბავს მოუყვება, მისთვის დგება მორიგი ინკორპორაციის, ცხოვრების შედარებით სტაბილური ეტაპი, განახლებული სტატუსით. გამოვლენილი სიბრძნის გამო, ის, დიდ პატივისცემასაც დაიმსახურებს. ხევისურეთში ყოფნის პერიოდი უფრო დეტალურადაა სიუჟეტში აღწერილი და შესაბამისად, ლიმინალობის თეორიის მიხედვით განსაზღვრული ფაზებისთვის თვალის მიდევნებაც უფრო იოლია. მინდიას ცხოვრებაში ლიმინალობის მორიგი ფაზა, თავს იჩენს მაშინ, როცა ოჯახის საჭიროებისათვის ხესაც მოჭრის, ნადირსაც მოკლავს და ამის გამო კარგავს გრძნეულების უნარს, მისთვის მძიმეა იმის გააზრება, რომ ცოდნის დაკარგვის გამო, აღარ ესმის მცენარეთა ხმა, აღარ შეუძლია საკუთარ ხალხს მტერთან ბრძოლაში გაამარჯვებინოს. ამ შემთხვევაში ლიმინალობის ეტაპზე (არც აქეთ, არც იქეთ, დეზორიენტირებულ სივრცეში) მყოფი მინდიას გაცნობები უფრო ტრაგიკულადაა გამოხატული, ვიდრე ამავე ფაზაში, ქაჯების ტყვეობაში მყოფისა. ეს ლოგიკურიცაა, რადგან მინდიასთვის შექმნილი ცოდნის რეალიზების ასპარეზი, სწორედ ხევისურეთია. მინდიასთვის კიდევ ერთი ლიმინალური ფაზა დგება არა გამყარებული საზოგადოებრივი სტრუქტურისაგან გამოყოფის, არამედ, წინანდელი მდგომარეობის, ცოდნის დაკარგვის გამო. ამ დროს უფრო კარგად ჩანს მინდიას შინაგანი ტკივილი, მისი იდენტობის შეგრძნება გაბუნდოვანებულია, მისი მდგომარეობა სიზმრისეულს ჰგავს. ასეთ შემთხვევაში, ინდივიდი დგას აუცილებლობის წინაშე, განსაზღვროს საკუთარი არსი და ახალი სოციალური წესრიგი...“ (ბ. ტომასენი). მინდია კურატების შეწირვით ცდილობს ძველი მდგომარეობის დაბუნებას (ეს საქციელი ვ.ტერნერის თეორიის მიხედვით, აღმდგენი ქმედების, კონფლიქტის მოგვარების (რიტუალის) ფაზას თანხვედება¹).

ლიმინალობის ფაზა, უმეტესად, გზის მოტივს, ხეტიალს მოიცავს. „გველისმჭამელში“ ისევე, როგორც „სტუმარ-მასპინძელში“, „ალუდა ქეთელაურში“ მოქმედების ხანგრძლივობის და სივრცეში გადაადგილების თვალსაზრისით დრო-სივრცე შეკუმშულია, ლოკალიზებულია (ქაჯების სივრცე, მინდიას სოფელი). ვფიქრობთ, ამას დასახელებული ტექსტების ჟანრული თავისებურებაც განაპირობებს. ფიზიკურ სივრცეში განვითარებული მოვლენების კვალდაკვალ, განსაკუთრებით მნიშვნელობს პერსონაჟის შინაგან სამყაროში მიმდინარე პერიპეტეიები. მინდიას შემთხვევაში, განსხვავებით ალუდასა და ჯოყოლასგან საყურადღებო ფაქტია, ის, რომ ცოდნის დასაწყისში აღვნიშნეთ რომ ამ ფაქტორს დავუბრუნდებოდით. როგორც ჩანს, რთულ სიტუაციაში მყოფი მინდი-

¹ *ტერნერი მიიჩნევს, რომ როცა კონფლიქტი განსაკუთრებით მწვავედება, მხოლოდ რიტუალის საშუალებითაა შესაძლებელი განხეთქილებასთან ახლოს მყოფი სოციალური სტრუქტურის აღდგენა, ან მშვიდობა მიიღწევა განხეთქილების დაკანონებით. რიტუალის სიმბოლოებს აქვს სინთეზური ხასიათი, აერთიანებს განსხვავებულ და ლოგიკურად შეუთავსებელ იდეებს (Тёрнер, 1983, გვ.12).

ასთვის გამოსავალი, ყოველ ჯერზე თვითმკვლელობაა და არა სხვა ტიპის რაციონალური ქმედება. სიუჟეტის მიხედვით, დაჭრილ მინდიას დაკარგვით გამოწვეული დიდი ტკივილის დროს, თავის უბედურებაში სხვებს (მზიას) უფრო ადანაშაულებს, ვიდრე საკუთარ თავს. ლიმინალობის რთული ფაზის გავლა თვითჩადრმავებას გულისხმობს, რაც ნაკლებად ჩანს მინდიას შემთხვევაში. თუ „სტუმარ-მასპინძელში“ ჯოყოლას მარტო ბრძოლა ქისტებისთვის იმის დამტკიცებას ისახავს მიზნად, რომ ის ორგული, მოღალატე, „რჯულზე გამდგარი“ არ არის (ვაჟა-ფშაველა, 1985, გვ. 198), მინდიასთვის მარტო ბრძოლა თვითმკვლელობის ტოლფასია. დასაწყისში აღვნიშნეთ, რომ ამ ფაქტორს დავუბრუნდებოდით. როგორც ჩანს, რთულ სიტუაციაში მყოფი მინდიასთვის გამოსავალი, ყოველ ჯერზე თვითმკვლელობაა და არა სხვა ტიპის რაციონალური ქმედება. სიუჟეტის მიხედვით, დაჭრილ მინდიას ხევსურები გამოარიდებენ ბრძოლის ველს და საყვედურობენ, წინა ხაზზე გადასვლით, ძალით რატომ იკლავდა თავს. თანამებრძოლების მიერ გადარჩენილი მინდია თავს იკლავს, თითქოს რკალი იკვრება, კომპოზიცია წრიულია, რასაც თვითმკვლელობის მოტივი განაპირობებს. ამბის დასაწყისში მინდია თავის მოკვლას ცდილობს და მოქმედება ტექსტში მინდიას თვითმკვლელობით სრულდება. სიუჟეტის დასაწყისში ვერ მოახერხა თავის მოკვლა და სიკვდილის სანაცვლოდ გრძნეულების უნარი შეიძინა, რაც თითქოს ერთგვარი გამოცდაც იყო, როგორ გამოიყენებდა ამ ცოდნას. მინდია ვერ გაართმევს ამ გამოცდას თავს, სავარაუდოდ, სიუჟეტის დასაწყისში, ქაჯების ტყვეობისგან თავის დაღწევაც მის ძალებს აღემატებოდა, ვერაფერი მოიფიქრა თვითმკვლელობის გარდა. პოემის ფინალში მინდია თავს იკლავს და ვედარ ვხედავთ მის მორიგ ინკორპორაციას, თუ ამ ფაზად არ მოვიაზრებთ ალტერნატიულ, არამქვეყნიურ დრო-სივრცეს, თუმცა, ტექსტის მიხედვით ამაზე მსჯელობა, რთულია, განსხვავებით „სტუმარ-მასპინძელის“ ფინალისაგან. სიუჟეტის ბოლოს აღწერილი ჩვენება ჯოყოლას, აღაზას და ზვიადაურს არაორდინარულ, ალტერნატიულ დრო-სივრცეში წარმოგვიჩენს, ანუ ისინი ანტიტემპორალურ გარემოში, მარადისობაში ინკორპორირდებიან. „აღუდა ქეთელაურის“ შემთხვევაში, ღია ფინალი გვაქვს. ლიმინალობის კონდიციაგადაღალახული აღუდა ოჯახთან ერთად მიდის სოფლიდან, გაურკვეველია საით, მაგრამ მთავარია, რომ ის აღარაა ცნობიერად იმ თემის ნაწილი, რომლის სახელიანი წევრიც იყო. სოფელში რჩება მინდია, რომლის საქციელის საფუძველზე (ზავშევს არ მისცა მუცალის მკლავის ძვლით თამამის უფლება), შეგვიძლია ვთქვათ, რომ მასში იგრძნობა ლიმინალობის პოტენციალი. „გველისმჭამელის“ შემთხვევაში, არც ანტიტემპორალურ სივრცეში ინკორპორირებაზე შეგვიძლია საუბარი და ვერც ლიმინალობის პოტენციალზე ვიმსჯელებთ. შეიძლება ითქვას, ლიმინალობის თეორიის კონტექსტში მინდიას სახის გააზრება ამყარებს გრიგოლ კიკნაძის აზრს, რომ მინდია უფრო ინტუიტიური პერსონაჟია (კიკნაძე, 1978, გვ. 164). ჩვენი მხრივ დავამატებთ, რომ აღუდა და ჯოყოლა რაციონალური, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოფიქრალი პერსონაჟები არიან და გადაწყვეტილებებსაც ამის მიხედვით იღებენ. აღუდასა და ჯოყოლას ცვლილება მათი ღირებულებითი ორიენტირების, საზოგადოებაში გამყარებული ნორმების რღვევას მოყვება, ამიტომაც იწვევს ეს ყველაფერი შინაგან ძვრას, გადაფასების მტკივნეული პროცესს, რაც, საბოლოოდ ინსპირაციად იქცევა ტრანსფორმაციისათვის. მინდიას შემთხვევაში, გრძნეულების უნარი მიღება არ უკავშირდება ღირებულებით სისტემას, ის მას „მზა“ მოცემულობის სახით ეძლევა. არსად ჩანს, რომ ცოდნის ამ უნარის მიღების შემდეგ იგი ანალიზებს მომხდარს. ამ ამბის შემდეგ, მასში პიროვნულად არაფერი იცვლება. იგი მხოლოდ ამ ცოდნის მქონე ადამიანის შესაბამისად იქცევა. ამით შეიძლება ავხსნათ, ის ფაქტიც, რომ მინდია ვერ ახერხებს ინკორპორაციას. ტერნერის კონცეფციის თანახმადაც, ლიმინალობის პროცესი, ყოველთვის რეინტეგრაციით არ შეიძლება დასრულდეს (Förster, 2003, გვ. 2).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ვაჟა-ფშაველას პოემებში „აღუდა ქეთელაური“ და „სტუმარ-მასპინძელი“ პერსონაჟთა შინაგანი ტრანსფორმაციის პროცესი, შეესაბამება ლიმინალობის ანთროპოლოგიური თეორიის მიხედვით გამოყოფილ ეტაპებს. დასახელებულ მხატვრულ ტექსტებში ინდივიდთა სეპარაციის, ლიმინალობის მტკივნეულ, კრიზისულ ფაზებს, ფიქრის, გაც-

ნობიერებული გადაწყვეტილების საფუძველზე სეპარაციის, ლიმინალობის და ინკორპორაციის პროცესს ვადევნებთ თვალს, თუმცა, განსხვავებული ვარიაციებით. ვფიქრობთ, გარკვეულწილად, განსხვავებული ვითარება „გველისმჭამელის“ მთავარი პერსონაჟის, მინდიას შემთხვევაში. მისი ტრანსფორმაციის პროცესი ლიმინალობის ანთროპოლოგიური თეორიის მიხედვით გამოყოფილ საფეხურებს სრულად არ ესადაგება, თუმცა, სწორედ ამიტომამა ამ პერსონაჟის სახე საყურადღებო.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ვაჟა-ფშაველა. (1985). თხზულებანი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
- კიკნაძე გრ. (1978). ვაჟა-ფშაველას ხუთი პოემა//ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის საკითხები. თბილისი: თსუ-ს გამომცემლობა.
- რატიანი, ი. (2010). ტექსტი და ქრონოტოპი, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- Bräunlein Peter J., (2012). Victor W. Turner: Rituelle Prozesse und kulturelle Transformationen. https://bibliographie.unituebingen.de/xmlui/bitstream/handle/10900/101155/Br%C3%A4unlein_058.pdf?sequence=1;
- Förster T. (2003). Victor Turners Ritualtheorie. https://ethnologie.philhist.unibas.ch/fileadmin/user_upload/ethnologie/Dokumente/Forschung_und_Doktorat/Foerster_Victor_Turners_Ritualtheorie.pdf;
- Геннеп Арнольд Ван. (1999). Обряды Перехода. Москва. Издательская фирма „Восточная Литература“.
- Фусу Л. И. (2017). Концепции лиминальности в научном дискурсе как междисциплинарная проблема. <http://publishing-vak.ru/file/archive-philosophy-2017-3/22-fusu.pdf>;
- Тернер Виктор. (1983). Символ и Ритуал. Издательство «Наука».

References:

- Bräunlein Peter J., (2012). Victor W. Turner: Rituelle Prozesse und kulturelle Transformationen. https://bibliographie.unituebingen.de/xmlui/bitstream/handle/10900/101155/Br%C3%A4unlein_058.pdf?sequence=1;
- Förster T. (2003). Victor Turners Ritualtheorie. https://ethnologie.philhist.unibas.ch/fileadmin/user_upload/ethnologie/Dokumente/Forschung_und_Doktorat/Foerster_Victor_Turners_Ritualtheorie.pdf;
- Fusu L. I. (2017). Kontseptsii liminal'nosti v nauchnom diskurse kak mezhdistsiplinarnaya problema. [Concepts of liminality in scientific discourse as an interdisciplinary problem]. <http://publishing-vak.ru/file/archive-philosophy-2017-3/22-fusu.pdf>
- Gennepe Arnold' d Van. (1999). Obryady Perekhoda. [Rites of Passage]. Moskva. Izdatel'skaya firma „Vostochnaya Literatura“.
- K'ik'nadze Gr. (1978). Vazha-Pshavelas khuti p'oema/lit'erat'uris teoriisa da ist'oriis sak'itkhebi. [Five Poems of Vazha-Pshavela // Issues of Theory and History of Literature]. Tbilisi: tsu-s gamomtsemloba.
- Rat'iani, I. (2010). T'ekst'i da kronot'op'i. [Text and Chronotope]. Tbilisi: tbilisis universit'et'is gamomtsemloba.
- Terner, Viktor. (1983). Simvol i Ritual. [Symbol and Ritual]. M.: «Nauka».
- Vazha-Pshavela. (1985). Tkhzulebani. [Works]. Tbilisi: „sabch'ota sakartvelo“.

Nino Malutashvili

ნინო მალუტაშვილი

Ilia State University

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

The Essence and Function of Dialogue in Modern Georgian Poetry

("Putting out the potatoes" by Besik Kharanauli)

დიალოგის არსი და ფუნქცია თანამედროვე ქართულ ლექსში

(„ბესიკ ხარანაულის „კარტოფილის ამოღება“)

This text discusses the significance of dialogue in fiction, specifically analyzing its use in Besik Kharanauli's "Potato Removal." It explains that dialogue serves not just as everyday speech but as an integral part of literary texts, carrying specific artistic functions.

The analysis draws on Mikhail Bakhtin's literary theory, particularly his concepts of "Voice of the people" and internal dialogue. The text emphasizes that dialogue in fiction involves multiple participants: the author, characters, and readers, each bringing different perspectives.

The study focuses on Kharanauli's poem, which features two main dialogic interactions: between the lyrical hero and his mother, and between the hero and his teenage son. Notably, the hero often responds to his mother's spoken lines through inner speech, demonstrating a non-classical form of dialogue.

The research aims to examine these dialogue passages in detail, analyzing specific examples and investigating what factors determine the various dialogue forms present in the poem.

Keywords: Dialogue, lyrical hero, poem, characters, autor

საკვანძო სიტყვები: დიალოგი, ლირიკული გმირი, ლექსი, პერსონაჟები, ავტორი

დიალოგი, როგორც სიტყვაშიგების განსაკუთრებული ფორმა, საკმაოდ საგულისხმო მოვლენაა მხატვრულ ლიტერატურაში. როგორც წესი, პროზაულ ტექსტს ის დინამიკურობას სძენს. ლიტერატურათმცოდნეებისთვის ეს ფორმა საინტერესოა, არა როგორც ყოველდღიური ყოფითი მეტყველებისთვის დამახასიათებელი მოვლენა, არამედ, როგორც ტექსტის ორგანული ნაწილი, გარკვეული დატვირთვის მატარებელი. საყურადღებოა დიალოგის ფუნქცია ზოგადად, მხატვრულ შემოქმედებაში. წინამდებარე კვლევაში კი ხაზი გაესმება, თუ რა დატვირთვას ითავსებს, როგორაა აგებული და გამოხატული დიალოგი კონკრეტულ ლირიკულ ნაწარმოებში.

საანალიზოდ შერჩეული ტექსტია ბესიკ ხარანაულის „კარტოფილის ამოღება“. ვფიქრობთ, ერთია – დიალოგის კლასიკური ფუნქცია და მეორეა – მისი განსხვავებული ვარიანტი. უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ დიალოგი პროზაში კომუნიკაციის ერთ-ერთი მრავალფეროვანი ფორმაა, რადგანაც უზოგადესი ჩამონათვალი რომ დასახელდეს, მასში მონაწილეობს: ავტორი, პერსონაჟი და მკითხველი. ცხადია, ეს უკანასკნელი თავის თავში მრავალგვარ სუბიექტს და შესაბამისად, მრავალგვარ აღქმასა და თვალსაზრისს გულისხმობს.

საინტერესოა, რომ დიალოგის ამგვარი ფორმების გარკვეულ ინვარიანტს შეიძლება შევხვდეთ თანამედროვე ქართულ ლირიკულ ტექსტში, კერძოდ, ბესიკ ხარანაულის „კარტოფილის ამოღებაში.“

ლექსში ლირიკული გმირისა და დედის დიალოგს ვხვდებით, თუმცა აღნიშნული დიალოგი კლასიკური სიტყვამიგების ფორმას არ წარმოადგენს.

ლექსი მოიცავს დედის მიერ წარმოთქმულ რამდენიმე რეპლიკას, რაზეც ლირიკული გმირი, უმეტესად, შინაგანი მეტყველებით სცემს პასუხს. ასევე, ვხვდებით ერთგვარ დიალოგს ლირიკული გმირისა და მის მოზარდ შვილს შორის.

სწორედ, ამ მონაკვეთების განხილვა, კონკრეტული მაგალითების მოძიება-დასახელება და ანალიზი წინამდებარე კვლევის მიზანი. საინტერესოა, იმ ფაქტზე დაკვირვებაც, თუ რა განაპირობებს დასახელებულ ლექსში დიალოგის ამგვარი ვარიანტების არსებობას.

მხატვრულ ტექსტებში, ხშირად, სწორედ დიალოგია პერსონაჟის ხასიათის შექმნისთვის საჭირო ლიტერატურული ხერხი.

შეუძლებელია, რომ დიალოგთან მიმართებით ყურდალება არ მიექცეს რამდენიმე მკვლევრის შეხედულებას უშუალოდ დიალოგის არსსა და ლიტერატურაში მის ფუნქციასთან დაკავშირებით.

ამ მხრივ, საგულისხმოა მიხაილ ბახტინის „დიალოგურ კრიტიკა“. ბახტინის შეხედულებით, რომანში დიალოგის საშუალებით გამოიხატება ე.წ. „ხალხის ხმა“ და ამავე დროს თავადვე გამოყოფს დიალოგის განსხვავებულ ფორმას – შინაგან დიალოგს (ბახტინი, 1994, გვ. 94-100).

კარნავალიზებულ ლიტერატურაზე მსჯელობისას, ის გამოკვეთს სოლილოქვიუმის ჟანრს, რომელიც, მისივე თქმით, ე.წ. შინაგან დიალოგს, მარტივად რომ ვთქვათ, საკუთარ თავთან დიალოგს ეფუძნება (ბახტინი, 2010, გვ. 241).

ბახტინი ასევე განიხილავს დიალოგის ფილოსოფიურ და ლინგვისტურ ასპექტებს, მისი მოსაზრებით, დიალოგი მხოლოდ საუბრის ფორმა არ არის, არამედ – აზროვნებისა და კომუნიკაციის არსებითი პრინციპი. (ბახტინი, 1994, გვ.96)

საერთოდ, მისი დიალოგური კრიტიკის ერთ-ერთი ძირითადი პოსტულატი სწორედ, ტექსტის მრავალხმოვან და დიალოგურ ბუნებას უსვამს ხაზს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ჭეშმარიტების ძიების დიალოგური საშუალება უპირისპირდებოდა, როგორც ოფიციალურ მონოლოგიზმს, რომელიც მზა ჭეშმარიტების ფლობას იჩემებს, ასევე მიაბიტიურად თავდაჯერებულ ადამიანებს, რომლებსაც ჰგონიათ, რომ მათ ნამდვილად იციან რაღაც, რომ ისინი გარკვეულ ჭეშმარიტებას ფლობენ. ჭეშმარიტება არ იბადება და არ მწიფდება ცალკე ადამიანის გონებაში, იგი ადამიანთა შორის იბადება, რომლებიც დიალოგური ურთიერთობის პროცესში ერთად ეძებენ ჭეშმარიტებას“ („სოკრატეს დიალოგი“. ბახტინი, 2010, გვ. 242).

იური ლოტმანი დიალოგს განიხილავს, როგორც კულტურული კომუნიკაციის ფუნდამენტურ მექანიზმს, დიალოგს მოიაზრებს არამხოლოდ ენობრივ ურთიერთმიმართებად, არამედ კულტურათა შორის ურთიერთობის ერთ-ერთ საფუძვლად. დიალოგი მისთვის სხვადასხვა სემიოტიკური სისტემის (კოდის) ურთიერთგაცვლას, ხოლო ტექსტი განიხილება დიალოგური ურთიერთობის მუდმივ პროცესად, სადაც აზრი იქმნება სწორედ კომუნიკაციის პირობებში (1977, გვ. 215).

დიალოგზე მსჯელობისას საინტერესოა ჟაკ დერიდას შეხედულებაც, რომლის მიხედვითაც დიალოგი არ არის მხოლოდ პირისპირ კომუნიკაცია, არამედ ტექსტების, კონტექსტებისა და აზრის მუდმივი გადაკვეთა (1976).

წინამდებარე ნაშრომში საანალიზოდ შერჩეული ტექსტი საინტერესოა იმდენად რამდენადაც მასში, როგორც უკვე აღინიშნა, დიალოგის გარკვეულწილად განსხვავებულ ვარიანტს ვხვდებით.

ლექსში იკვეთება დიალოგის ორი ვერსია, ერთი მხრივ, ლირიკული გმირისა და დედის, ხოლო მეორე მხრივ, ლირიკული გმირისა და შვილის დიალოგი.

არცერთი მათგანი არ არის კლასიკური ფორმის დიალოგი.

ლექსის დასაწყისშივე ჩანს დედის რეპლიკა, რომელსაც უშუალოდ დედა კი არ ამბობს, არამედ შვილი ისე ახმოვანებს, თითქოს დედამ თქვა, ხოლო პასუხი უკვე შინაგანი დიალოგის ერთგვარი ფორმაა:

„– ხვალე კარტოფილი უნდა ამოვიღოთ! –
მითხარი შენ
და საწოლისკენ სკამი მიიწიე,
რომელზეც შემდეგ,
შუქს რომ ჩააქრობდი,
ტანსაცმელი უნდა დაგეწყო.
მე კედლისკენ გადავბრუნდი.
ამით ისიც გაგრძნობინე,
რომ გავიგე შენი ნათქვამი
და ისიც გითხარ, რომ ხვალინდელ დღეს
სულ სხვა რამეებს ვაპირებდი...“ (ხარანაული, 2012)

დედის რეპლიკა – „ხვალე კარტოფილი უნდა ამოვიღოთ“, როგორც უკვე ითქვა, შვილმა გაახმოვანა და შვილის პასუხი ასეთივე რეპლიკა კი არ არის, არამედ მხოლოდ კედლისკენ გადაბრუნება და ის, რაც პასუხად გაიფიქრა და დედას უთქმელად აგრძნობინა. ეს რომ დიალოგის კლასიკური ფორმა ყოფილიყო, ლირიკული გმირი, ალბათ იტყოდა – „სხვა გეგმები მაქვს,“ მაგრამ ლირიკული ნაწარმოების იდეას, სწორედ ის გამოკვეთს, რომ დედასა და შვილს შორის კლასიკური დიალოგის აწყობა გართულებული და თითქმის შეუძლებელია, ამ შემთხვევაში პასუხები კი არ გამოითქმის, არამედ იგულისხმება.

„_სხვაც ათასი საქმეებია,
ამინდებს უნდა დავემუროთ,
წვიმები რომ დაიწყოს მიწაში ჩაგვილპება.
და ძილის წინ კოცნის მსგავსად
და თმაზე ხელის გადასმასავით
ხმადაბლა მითხარ:
_ზამთარში ხომ კარგია ხოლმე
ნაცარში გახუხული!“ (ხარანაული, 2012)

მოცემულ მონაკვეთში ჩანს, რომ ავტორი თავადვე უსვამს ხაზს განსხვავებული დიალოგის ფუნქციას და იმასაც, რომ დიალოგი არამხოლოდ სიტყვა-მიგების, არამედ აზროვნების ფორმაა, კომუნიკაციის არსებითი პრინციპი. დედის სიტყვების მიღმა იგულისხმება სიტბო, რომელიც უნდა გამოეხატა და არ/ვერ გამოეხატა, დედამ სულ სხვა შინაარსის ფრაზა თქვა „ძილის წინ კოცნისა“ და „თავზე ხელის გადასმის“ მაგიერ.

მხატვრულ ნაწარმოებში დიალოგის ფილოსოფიურ ასპექტებზე მსჯელობისას, უნდა ითქვას, რომ დიალოგი არამხოლოდ ლიტერატურული პორტრეტის, ან ხასიათის შექმნის, ანდა ტექსტისთვის დინამიკურობის მინიჭების მეთოდია, არამედ ნაწარმოების იდეის გამოკვეთის ერთ-ერთ ხერხადაც შეიძლება განვიხილოთ.

ბესიკ ხარანაულის „კარტოფილის ამოღების“ იდეა სწორედ დედა-შვილს შორის ვერშემდგარი დიალოგია, სადაც კარტოფილის ამოღება, როგორც პროცესი, დედისა და შვილის ერთადერთ საერთო საქმედ და კომუნიკაციის ერთადერთ საშუალებად იქცა:

„როცა დედაჩემი მიწას აცლის კარტოფილს, ანდა
სადმე დამალულს ეძებს თავის გრმნულ თითებით,
მე, ბარის ტარს დაყუდებული,
ვუყვები რამეს,
ხოლო როდესაც
ახალ ორმოს თხრას შევუდგები,
ის მეტყვის რამეს...“ (ხარანაული, 2012)

ეს პროცესი აღწერილია, როგორც ტკბობა, როგორც დედაშვილური ურთიერთობის უწყვე-
ტობისა და ყველაზე ძვირფასი, უხილავი კავშირის სიმბოლო:

„და ასე ვართ ოთხ-ხუთ საათს,
მზის ქვეშ ჩვენ ვართ ორნი ხოლმე
და სხვა არავინ,
საჩოთიროს არაფერ ვიტყვით,
რომ გუნება არ გავიფუჭოთ.
რომ დავტკბეთ ასე,
ვილივლივით მზეში, ჰაერში,
ამოვთხაროთ ჩვენი წარსული,
ამოვყაროთ ოქროები,
პირი ვუჩინოთ...“ (ხარანაული, 2012)

თუმცა მეორე მხრივ, აქვე თავს იჩენს, „კრიტიკული მომენტები“, ერთგვარი გაუცხოება დე-
დასა და შვილს შორის –

„მაგრამ არის ხოლმე კრიტიკული მომენტებიც,
როდესაც,
მაგალითად,
დედაჩემის წერილს მივიღებ,
რომელშიც იგი,
ჭეშმარიტი პედაგოგის ურყევი ტონით
მწერს – ჩამოდიო!
მე კი ამ დროს
სულ სხვა საქმეები მაქვს გამოჩენილი,
ანდა უბრალოდ,
სხვაგან წასვლა მირჩევნია“... (ხარანაული, 2012)

კარტოფილის ამოღებისას შექმნილ ერთგვარ იდილიას უირისპირდება შვილის ფრაზები –
„ხვალინდელ დღეს სულ სხვა რამეებს ვაპირებდი:“, „ანდა უბრალოდ სხვაგან წასვლა მირჩევნია“.
შესაბამისად, ლექსში კარგად ჩანს დედაშვილური ურთიერთობის წინააღმდეგობები, რომელთა
ახსნაც რთულია.

„შენ ალბათ კიდევ ბევრის თქმა გასურდა,
შენ მოფერებაც გინდოდა ჩემი,
ასე კი არა,
კედლისკენ გადაბრუნებულს
პატარა ბავშვივით რომ გამეხუმრე...“

**მაგრამ ჩვენ ჩუმად შევთანხმდით
ყველაფერზე.** (ხარანაული, 2012)

ლექსში დიალოგის ვერბალიზებულ/გამოთქმულ/გახმოვანებულ ნაწილს თუ დავაკვირდებით, ბევრი არაფერი თქმულა, ხოლო ლირიკული გმირის შინაგანი მონოლოგით თუ ვიმსჯელებთ, დედააზრი სწორედ ნაგულისხმევ და არა ნათქვამ, პასუხებში უნდა ვეძებოთ.

იდეურ ნაწილზე მსჯელობისას უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ლექსში ლირიკული გმირის მხრიდან ერთგვარი გულისწვეტის განწყობაც ჩანს იმის გამო, რომ დიალოგი ვერ შედგა და მეორე მხრივ, იკვეთება ის თვალსაზრისიც, რომ დედაშვილობა, როგორც ფენომენი, ვერავითარი დიალოგით ვერ გამოითქმება. საგულოსხმოა, რომ სწორედ აზრთა ასეთი წინააღმდეგობრიობა განაპირობებს აღნიშნული ლირიკული ნაწარმოების ფორმას, დიალოგის ასეთ ვარიანტს.

„მე დავლიე ერთი-ორი ჭიქა ჩვენი არყისა
და დედაჩემს ვუმტკიცებდი,
რომ ყველაფერი კარგად მიმდის,
რომ გაზაფხულზე ჩამოვალ და
კარტოფილს დავთესთ.
ის ასეთი პატარა და თითქმის მოხუცი
მისმენდა მე, ჩემს ალთაბალთას,
**რაღაცის თქმაც დააპირა – დიდი რაღაცის,
მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა,
ის რაღაცა ნერწყვს ჩააყოლა...**
**არ შეუძლია მას იოლი ლაპარაკი არც მიწაზე,
არც ცხოვრებაზე,
არც ზამთარზე და არც გაზაფხულზე,
არც პურზე და არც კარტოფილზე,
ყველაფერი ძალზე რთულია,
ძალზე რთულია და ძალზე ძნელი.“**

(ხარანაული, 2012)

დედაშვილური კავშირი, შეიძლება ითქვას, რომ ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი ყველაზე მყარი კავშირია სამყაროში, რომელიც თავის თავში მოიცავს უდიდეს წინააღმდეგობებსაც, ერთი მხრივ მარადიულ კავშირს და მეორე მხრივ, დედასთან განშორების, საკუთარი გზის დამოუკიდებლად ძიების საკითხებს.

ზემოხსენებული მსჯელობიდან გამომდინარე, ჩანს, რომ „კარტოფილის ამოღებაში“ გამოკვეთილი საკითხები, მარტივად შეიძლება განზოგადდეს და დიალოგის ეს არატრადიციული ფორმაც, რომელსაც ავტორი იყენებს, ზოგად ჭრილში განვიხილოთ.

როგორ აღინიშნა, ლექსის ერთ მონაკვეთში ასევე იკვეთება ლირიკული გმირისა და შვილის დიალოგიც, რომელიც ასევე არ არის კლასიკური ფორმის.

„ნახევარ საათში
ჩემი ბიჭი უკვე გაიტყუეს იქაურმა ამხანაგებმა.
ვიდრე ეზოდან გავიდოდა – შემოგვხედა, –
– რა ვქნა, წავიდეო?!
ჩვენ იგი გავუშვიტ... თხუთმეტი წლისაა,
ისიც კარგია,
რომ სინდისმა შეაწუხა და ყოყმანი დაეტყო.“

(ხარანაული, 2012)

მოცემულ მონაკვეთში გვხვდება რეპლიკა/შეკითხვა, ხოლო პასუხი არ ჩანს, მხოლოდ შედეგია ნაჩვენები, რომელიც მკითხველს ნათლად მიახვედრებს, რა უპასუხა მშობელმა. აქაც სულ რამდენიმე ფრაზით იკვეთება მშობლისა და შვილის ურთიერთობის საკითხი, მშობლისაგან თავის დაღწევის ერთგვარი სურვილი. „ისიც კარგია, რომ სინდისმა შეაწუხა და ყოყმანი დაეტყო“ – ლირიკული გმირისთვის ნათელია რა ურჩევნია შვილს, რადგან რამდენიმე მონაკვეთში თავად ამბობს, რომ დედასთან ჩასვლას, იქნებ „სხვაგან წასვლა ურჩევნია“

მოცემული ლირიკულ ნაწარმოებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ დიალოგის არსსა და ფუნქციაზე გამოთქმული თეორიული მოსაზრებები თვალსაჩინოა.

საანალიზოდ შერჩეულ ტექსტზე დაკვირვებამ ცხადჰყო, რომ ლირიკული ტექსტის ფარგლებშიც თამამად შეიძლება მკვლელობა დიალოგის ფილოსოფიურ ასპექტებზე, რომელზე დაკვირვებაც იდეური ანალიზისას გარკვეულ მნიშვნელობას იძენს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ლიტერატურის თეორიის ქრესტომათია (II ტომი), (2010). დიალოგური კრიტიკა, მიხაილ ბახტინი, კარნავალიზებული ლიტერატურა, თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა.
- ხარანაული ბ (2012), ლექსები, პოემები (1954-2005), თბილისი: „ინტელექტი“.
- The Bakhtin Reader (1994), The Dialogic Idea as Novelistic Image, New York: Oxford University Press.
- Derrida J. 1976a [1967], Of Grammatology, London: The John Hopkins University Press.
- Lotman J. 1977a; [1967] Problems in the typology of culture. Soviet Semiotics: An anthology. Baltimore and London: The John Hopkins University.

References:

- Derrida J. 1976a [1967], Of Grammatology, London: The John Hopkins University Press.
- Kharanauli, B. (2012). Leksebi, p'oemebi (1954-2005). [Poems, Poems (1954-2005)]. Tbilisi: "int'elekt'I".
- Lit'erat'uris teoriis krest'omatia (II t'omi). (2010). Dialoguri k'rit'ik'a, Mikhail Bakht'ini. K'arnavalizebuli lit'erat'ura. [Literary Theory Chrestomathy (Volume II). Dialogical Criticism, Mikhail Bakhtin, Carnivalized Literature]. Tbilisi: lit'erat'uris inst'it'ut'is gamomtsemloba.
- Lotman J. 1977a; [1967] Problems in the typology of culture. Soviet Semiotics: An anthology. Baltimore and London: The John Hopkins University.
- The Bakhtin Reader (1994), The Dialogic Idea as Novelistic Image, New York: Oxford University Press.

Avtandil Nikoleishvili

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

Akaki Tsereteli State University

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Georgia, Kutaisi

საქართველო, ქუთაისი

Towards the Contribution of Giorgi Tsereteli in the History of Georgian Emigrant Literature

გიორგი წერეთლის წვლილისათვის ქართული ემიგრანტული მწერლობის ისტორიაში

The literary heritage of the famous Georgian immigrant writer Giorgi Tsereteli (1917-1993) has not been the subject of a thorough study. The main goals of his creative work were Georgia's history and his critical views of the Soviet reality. In his writings he analyzed the situation in Georgia during the Soviet period from a critical point of view. Giorgi Tsereteli, with his literary heritage and diversity of genres, is one of the prominent representatives of Georgian emigrant writers of the last century.

Keywords: Giorgi Tsereteli, Georgia, emigration, Soviet era

საკვანძო სიტყვები: გიორგი წერეთელი, საქართველო, ემიგრაცია, საბჭოთა ეპოქა

სამწუხაროდ, ცნობილი ქართველი ემიგრანტი მწერლის, პუბლიცისტისა და აქტიური საზოგადო მოღვაწის გიორგი წერეთლის (1917-1993 წწ.) ლიტერატურული მემკვიდრეობა დღემდე არ ქცეულა საფუძვლიანი შესწავლის საგნად. არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში აქტიური შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობით მან ქართული ემიგრაციის ისტორიაში საპატიო ადგილი არა მარტო მხატვრული და პუბლიცისტური შემოქმედებით დაიმკვიდრა, არამედ მრავალმხრივი საზოგადოებრივი მოღვაწეობითაც და წარმატებული საგამომცემლო საქმიანობითაც.

ქართული ემიგრანტული ლიტერატურის ისტორიაში გიორგი წერეთლის მიერ შეტანილი წვლილის რამდენადმე მაინც წარმოჩენამდე, ქვემოთ შევეცდები ფრაგმენტულად გავიხსენო მისი ბიოგრაფიის უმთავრესი შტრიხები: დაიბადა 1917 წელს ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ პერევისაში. 1935 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. ანტისაბჭოთა საქმიანობაში ბრალდებული მისი უფროსი ძმის დახვრეტის გამო 1937 წელს იძულებული გახდა, სწავლისათვის თავი დაენებებინა და მასწავლებლად დაეწყო მუშაობა, ერთი წლის შემდეგ კი კვლავ განაგრძო უნივერსიტეტში სწავლა.

1941 წლის დეკემბერში ომში გაიწვიეს. 1942 წელს ტყვედ ჩავარდა და ცხოვრების მთელი შემდგომი პერიოდი ემიგრაციაში გაატარა და აქტიურად ეწეოდა ლიტერატურულ, ჟურნალისტურ და საზოგადოებრივ საქმიანობას. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროიდან მოყოლებული სამშობლოს ხანმოკლე დროით მხოლოდ ერთხელ, გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე, სტუმრობდა, მისი მოღვაწეობის უმთავრეს მიზანს საქართველოსადმი მსახურება წარმოადგენდა.

ქართულ ემიგრანტულ პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული ნაწერების გარდა, გ. წერეთელი პარიზში ქართულ ენაზე გამოცემული ორი წიგნის ავტორიცაა. ესენია: ლექსების კრებული „სიყვარულის თაიგული“ (1983 წ.) და პუბლიცისტური წერილების კრებული „ჩვენი სატკივრები“ (1987 წ.).

გარდაიცვალა 1993 წლის 24 მაისს. დაკრძალულია ლევილში.

გურამ შარაძის შეფასებით, გ. წერეთლის ჟანრობრივად მრავალფეროვანი შემოქმედებიდან დღესდღეობით „ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასი“ მისი პუბლიცისტი ნააზრევია (შარაძე, 1993, გვ. 406). თუმცა ქართული ემიგრანტული ლიტერატურის ისტორიაში შეტანილი მისი წვლილის შეფასების დროს უყურადღებოდ არც მის მიერ შექმნილი ლექსები და კრიტიკულ-ლიტერატურათმცოდნეობითი წერილები უნდა დავტოვოთ.

გ. წერეთლის ლექსთა უდიდესი ნაწილი მისივე პუბლიცისტური ნააზრევის პოეტური ანარეკლია და ხშირ შემთხვევაში ერთი და იმავე საკითხებით ნასაზრდოები. იქიდან გამომდინარე, რომ პოეტურ ტექსტებს მის შემოქმედებაში რაოდენობრივი თვალსაზრისითაც მოკრძალებული ადგილი უჭირავს და იგი პარიზში 1983 წელს გამოცემული მხოლოდ ერთადერთი კრებულის – „სიყვარულის თაიგული“ ავტორია, არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ საკუთარი ნააზრევის გამოხატვის უმთავრეს ჟანრებად ის კრიტიკასა და პუბლიცისტიკას მიიჩნევდა და არა პოეზიას.

თავისი ცხოვრებისეული ხვედრიდან გამომდინარე, პოეტური შთაგონებისთვის იმპულსის მიმცემ უმთავრეს ფაქტორად გ. წერეთლისთვის უპირველეს ყოვლისა სამშობლოსაგან ფიზიკური განშორებით განპირობებული ნოსტალგია იქცა. ფიზიკურ განშორებას ამ შემთხვევაში ხაზს განსაკუთრებული სიმკვეთრით იმიტომაც ვუსვამ, რომ ემიგრაციაში ცხოვრების მიუხედავად, იგი კვლავაც რჩებოდა მშობელ ქვეყანასთან ნოსტალგიური გრძნობებით დაკავშირებულ მამულიშვილად. სწორედ აღნიშნული მოვლენის ლოგიკურ გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ მის ლექსებში ხაზგასმულად სენტიმენტალიზებული ფორმით გამოხატული პატრიოტული გრძნობები, რასაც თავად პოეტი „მისი არსის გასაღებ“ მოვლენად მიიჩნევდა და ამგვარად განუმარტავდა მკითხველს (წერეთელი, 1983, გვ. 2):

მამული ჩემი, ის წმინდა ხატი, ღვთიურის ხელით გულს ჩანახატი,
მისთვის გიზგიზებს გულში ხანძარი, სანამ დგას ფეხზე ჩემი ტაძარი.

სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობის ამგვარი ფორმით გამოხატვას მეტი სიმძაფრე პოეტმა იმ ფაქტორების ხაზგასმითაც შესძინა, რაც მისი ცხოვრებისეული ხვედრის განმაპირობებელ მოვლენად იყო ქცეული (წერეთელი, 1983, გვ. 3):

აწმყომ მოშალა ყველა სამანი, ბედმა ხიფათის გზებით მატარა;
არ შემისრულა გულის ზრახვანი, მშობლიურ მიწის ხილვაც მანატრა.

როგორც წინამდებარე ნარკვევში დამოწმებული ფრაგმენტებითაც ნათლად ჩანს, გიორგი წერეთლის ლირიკული ნააზრევი ხშირ შემთხვევაში აშკარადაა აღბეჭდილი XIX საუკუნის ქართული პოეზიის დიდოსტატთა, პირველ ყოვლისა კი აკაკი წერეთლის, შემოქმედებითი ზეგავლენით. ამ გარემოებას არც თავად გ. წერეთელიც რომ არ მალავდა, ეს მისი ერთ-ერთი ლექსისთვის გაკეთებული წარწერითაც – აკაკისებური თვალნათლივ ჩანს (წერეთელი, 1983, გვ. 5):

არც მომკვდარა და არც სძინავს, მახვილს ჭედავს მტერთა მგმირავს,
დაუცავს და კვლავ დაიცავს კავკასიის მშობელ მიწას.
ღვთიურ ხელით, როგორც მძივი, ნაჭედია მისი სული,
ვერვინ ნახოს მთის არწივი ლაფში იყოს განართხული.
მას წარსული გზას უნათებს, მომავალზე აძლევს რწმენას;
ამირანი არყევს მის მთებს და ასწავლის გმირულ თმენას.

გ. წერეთლის პოეტური შთაგონების უმთავრეს საფუძველს ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის ის ტრაგიკული მოვლენები წარმოადგენდა, რომელთა დიდი ნაწილის მონაწილე თავადაც იყო. არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ მისი პოეტური შემოქმედება უპირველეს ყოვლისა სწორედ ამ მოვლენათა პოეტურ გამოძახილს წარმოადგენს. მიუხედავად მათგან დროული დისტანცირებისა, ამ მოვლენების შედეგად დამკვიდრებული რეალობა კვლავაც დარჩა გ. წერეთლის სულიერი ტკივილის განმსაზღვრელ უმთავრეს ფაქტორად. მაგალითად (წერეთელი, 1983, გვ. 6):

ო, ამ ცივ ზამთარს თუ გადავურჩი, ზამთარს სუსხიანს ჩრდილოეთისას,
გაზაფხულისთვის ვარდ-ყვავილებით შეგიცვლი ტანჯვას ჯოჯოხეთისას.
შშობლიურ ველზე დავკრეფ ყვავილებს, ულამაზესებს მთელი ქვეყნისას,
მრავალ ფერიდან ავარჩევ სამ ფერს – სიმბოლოს შენი უკვდავებისას.
დაცემის, მაგრამ კვლავ წამოდგომის, ნიშანს უშრეტი ენერგიისას,
წამების, მაგრამ არდამონების, ბოროტზე მუდმივ გამარჯვებისას.
ოცდაექვს მათს გვირგვინად შეკრულს, კრძალვით მოგართმევ შენს სადიდებლად,
თეთრ საქორწილოს ნაზად ჩავაწნავ შავსა და წითელს ხსოვნის ლამპარად.

განახლებული რუსეთის იმპერიის მიერ ჩვენი ქვეყნის ხელმეორედ დაპყრობით განპირობებულ ტკივილს გ. წერეთელს კიდევ უფრო მეტად უმძაფრებდა სამშობლოსაგან ფიზიკური სიმორე. მისი პოეტური შემოქმედების უმთავრეს თემად დამკვიდრებული ამ ტკივილის არსზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად დავიმოწმებ კიდევ ერთ მაგალითს მისი პოეტური შემოქმედებიდან – ფრაგმენტი ლექსიდან „ორჯერ ვერ მომკლავს წუთისოფელი“ (წერეთელი, 1983, გვ. 6):

ცაზე ბურუსის გაუსავლეთი, მზეც აღარ მზეობს თვის ბრწყინვალეობით.
საით მივმართო? დღეს დასავლეთიც მომჩერებია უნდო თვალებით.
თავს დამხარხარებს, ჰკივის სატანა, ფეხდაფეხ მომდევს მტერი მდევარი,
რარიგ გაჭირდა ლელოს გატანა, არც წინამძროლი, არც შესაფარი.
საფლავს მიმზადებს, თხრის გამალებით, სისხლის წყურვილით გახელებული,
წითელი დათვი, სკვითის თვალებით, გზაჯვარედინზე ჩასაფრებული.
ვით უდაბნოში დავეხეტები, არც თანამგზავრი, არც მეგობარი,
პარნასის მთიდან გაქრენ ღმერთებიც, რომ შემვივრდომონ მიუსაფარი.

როგორც დამოწმებული ლექსებითაც ჩანს, გ. წერეთლის პოეზია საკმაოდ პოლიტიზებულია და ნოსტალგიურ გრძნობათა ემოციურად წარმომჩენი. არ გადავაჭარბებთ, აქვე იმასაც თუ ვიტყვით, რომ მისი ლექსების უმეტესობა ავტორის პუბლიცისტურ წერილებში განსჯილ საკითხთა პოეტური ვერსიებია.

მაგალითად, 1947 წელს დაწერილ ლექსში „პასუხს მოითხოვენ (გამოძახილი ნოე ჟორდანის გამოსვლაზე სამშობლოში დაბრუნების შესახებ)“ გ. წერეთელმა (1983, გვ. 14) ქართული ემიგრაციის ზოგიერთი წარმომადგენლის კომპრომისული მოწოდება სამშობლოში ემიგრანტთა დაბრუნებასთან დაკავშირებით ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეალების ღალატად მიიჩნია და ეს მოვლენა ასე შეაფასა:

„საშვილიშვილოდ იქნება კრული, ვინც განვლილ ბრძოლის გზას უღალატებს, ქართლის დიდების წამებულ გმირთა წამოიშალნენ ლეგიონები, ყური მიუგდეთ, ცოცხლების მიმართ რას გვაუწყებენ მათი სიტყვები: „იქნებ სიმტკიცე წლებმა დაცვითეს, დამარცხებებმა მოგაკლოთ ლხენა, რომ ახალ დროის სისხლიან სკვითებს გასურთ მოაჩვენოთ შეცვლილი რწმენა?.. არა და არა! ათასჯერ არა! არა და არა ათიათასჯერ! ნებას არ მოგცემთ ცუდ დათმობების და თუ მტრის გული ათჯერ ვერ გასჭერ, დრომას ნუ დახრი დიად ბრძოლების! თუ

გამარჯვების დიდებულ გვირგვინს თავს ვერ დაიდგამს თქვენი თაობა, დე, ღიად დარჩეს საკითხი: ვინ-ვის? გვწამს, გაიმარჯვებს შთამომავლობა! მებრძოლ თაობას, ახლა დაქანცულს, ახსოვდეს სიტყვა ნაქანდაკარი: „სჯობს მონობაში გადიდკაცებულს თავისუფლების ძებნაში მკვდარი.“

გიორგი წერეთლის ცხოვრებისეულმა ხვედრმა არსებითად განაპირობა ის გარემოება, რომ მისი პოეტური შემოქმედების ფაქტობრივად ერთადერთ თემად ეროვნული პრობლემა იყო ქცეული. როგორც პოეტის ლექსებიდანაც თვალნათლივ ჩანს, მშობლიური გარემოსაგან მოწყვეტის მიუხედავად, იგი კვლავაც საქართველოზე ფიქრითა და დარდით ცხოვრობდა და სამშობლოსაგან იძულებითი სიშორით განპირობებულ ნოსტალგიას ლექსების შექმნით იქარავდა.

ამ გრძნობის წარმომჩენ უმთავრეს ფაქტორად ჩვენი ქვეყნის ისტორიის არა მარტო გმირული, არამედ ტრაგიკული ეპიზოდებიც იყო ქცეული. გ. წერეთელი ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას პირველ ყოვლისა 1921 წლის თებერვლის ტრაგედიასა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ ქართველი ხალხის დასათრგუნად გატარებული რეპრესიული პოლიტიკის უმთავრეს ეპიზოდებს იხსენებდა და ამ გზითაც ცდილობდა მკითხველის ეროვნული ცნობიერების განმტკიცებას. მაგალითად – ფრაგმენტი ლექსიდან „სისხლი“ (წერეთელი, 1983, გვ. 16):

მიყვარს სიცოცხლე, სიკვდილისგან არას მოველი,
მაგრამ მზადა ვარ, როს მამული ამას მოითხოვს,
მისი ველები ჩემი სისხლის არხით მოირწყოს.
როცა, მამულო, ჩემი სისხლი კი დაგჭირდება,
(მოვალეობა მიკარნახებს, არა დიდება),
როცა ეგ წყლულნი შვილთა სისხლით უნდა აიცრა,
დანის ერთ მოსმით მზად ვარ ყველა ძარღვი დავიჭრა.

გ. წერეთლის ლირიკის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას საბჭოთა რეჟიმის შედეგად ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებული რეალობის ნეგატიურ მხარეთა წარმოსახვაც წარმოადგენდა. კერძოდ, მის პოეზიაში ხაზგასმულად რეტუმირებული ფორმით იყო ნაჩვენები ის რეალობა, რომლის დამკვიდრების უმთავრეს მიზანს აქ მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების ეროვნული ცნობიერებისთვის მკვიდრი საფუძვლის გამოცლა წარმოადგენდა. მაგალითად – ფრაგმენტი 1948 წელს დაწერილი ლექსიდან „ჩემს თანამემამულეთ“ (წერეთელი, 1983, გვ. 18):

ფეხებზე ხუნდი, ენას საკეტი, ნამგალ-ჩაქუჩზე მიგიკრეს ხელი,
თუ ღმერთმა მშვიდად დღე დაგიღამა, კვლავ გათენებას ეჭვით მოელი.
სიცოცხლე ტანჯვად გადაგიქციეს, საიქიოზეც მოგტაცეს რწმენა;
ყველა წაგართვეს, რაც კი გებადა, სიმართლისათვის მოგკვეთეს ენა...
რაღა ყოფნაა ეგ შენი ყოფნა, ცრემლსა და შხამში ამონალესი,
თუ არა ოდენ ბედის ჩივილი, გულის სიღრმიდან ამონაკვესი?!

თუმცა, დროდადრო გამოვლენილი ამგვარი სულიერი სკეპტიციზმის მიუხედავად, გიორგი წერეთლის პოეზიიდან ისიც თვალნათლივ ჩანს, იგი სულიერ სასოწარკვეთილებას მაინც რომ არ ეძლეოდა და არა მარტო სიტყვიერად ეხმაურებოდა ხსენებულ მოვლენებს, არამედ პირადადაც იყო აქტიურად ჩართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის პროცესში.

გ. წერეთლის ეროვნული სულისკვეთების წარმომჩენ ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ გამირულად მებრძოლ ქართველ მამულიშვილთა ღვაწლის განდიდებაც იქცა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა 1921 წლის თებერვლის ტრაგედიისა და 1924 წლის აგვისტოს აჯანყების მსხვერპლთა ხსოვნის უკვდავსაყოფად დაწერილი მისი ლექსები.

საბჭოთა ხელისუფლების რეპრესიული პოლიტიკის წარმომჩენი ამ ლექსების ემოციურ მუხტს პოეტს ისიც უმძფარებდა, რომ ხსენებული ტრაგიკული მოვლენების მსხვერპლთა შორის ერთ-ერთი მისი ღვიძლი ძმაც იყო. ნათქვამისთვის მეტი სიცხადის მისაცემად დავიმოწმებ ფრაგმენტს ლექსიდან „ავვისტოს მსხვერპლთ (ჩემ საფიცარ ძმა აბელს, ავვისტოს აჯანყების მამაც მონაწილეს, ჩეკის ჯალათების უდანაშაულო მსხვერპლს 1936-ში)“ (წერეთელი, 1983, გვ. 28):

დავხაროთ წუთით სისხლში ნაბანი შინდისა ფერი ქართლის დროშები,
ცრემლები არა! ცრემლები არა! გმირთ არ შეშვენით ოხვრა-მოთქმები.
რისხვის დუმილი უფრო უხდებათ თავისუფლების უშიშარ მებრძოლთ;
სამშობლოსათვის თავდადებულებს მარადისობის გვირგვინი ეხლოთ.

გიორგი წერეთლის მხატვრული ნააზრევის გაანალიზების დროს რამდენიმე სიტყვა მისი შემოქმედების იმ ნიმუშებზეც მიიწვია, რომელნიც ავტორმა „პროზაული პოეზიის“ ციკლში გააერთიანა. ჩემი აზრით, მკაფიოდ გამოხატული პუბლიცისტური პათოსით აღბეჭდილი ამ ტექსტების მიჩნევა პოეტური ჟანრის ნაწარმოებებად აშკარად მოკლებულია რეალურ საფუძველს, რადგანაც თემატურადაც და აზრობრივი სტრუქტურითაც ისინი პუბლიცისტურ ჩანაწერებს წარმოადგენს.

მაგალითად – ფრაგმენტი ერთ-ერთი ასეთი ტექსტიდან („სიკვდილი „უკვდავისა,“ 1953 წლის მარტი. გვ. 5), რომელშიც სტალინის სიკვდილის შედეგად განცდილი ემოცია საქართველოს ისტორიასთან მიმართებით ამგვარადაა გამოხატული:

„საბჭოთა იმპერიის და კომუნისტური სამყაროს უცილო მბრძანებელს, ოდა-ხოტბებით და ლეგენდებით ცამდე აყვანილს, იოსებ სტალინს გამოუქროლა სიკვდილის ცელმა და დასცა ძირს, როგორც უბრალო მომაკვდავი ამა სოფლისა... „ქართლის ცხოვრების“ გამგრძელებლისათვის ის იქნება უღირსი შვილი, რადგან: პირადი განდიდებისათვის უცხო ერის ხიმტებით ქელა და დაამხო მშობელი ქვეყანა... სატანური გაუტანლობით მან არ დაინდო მოყვარე თვისი, მეგობარი, თანამებრძოლი... და ამდენი სისხლით მოსვრილ მის სახელს წყევლა და კრულვა... საშვილისშვილოდ!“

გ. წერეთლის შემოქმედებითი ნააზრევის გაანალიზების დროს რამდენიმე სიტყვა მის ლიტერატურულ წერილებზეც მიიწვია. ხსენებულ პუბლიკაციებში იგი არა მარტო ზოგადად მსჯელობდა საბჭოთა მწერლობაში მიმდინარე პროცესებზე, არამედ კრიტიკული თვალთახედვითაც განიხილავდა ცალკეულ ავტორთა შემოქმედების ფართოდ ცნობილ ნიმუშებს. მაგალითად, „გუშაგის“ 1985 წლის მე-7 ნომერში გამოქვეყნებულ წერილში – „მარადისობის კანონი“ და მიხეილ ქავთარაძე“ გიორგი წერეთელმა საკმაოდ მკაცრად გააკრიტიკა მიხეილ ქავთარაძე მის მიერ ამ რომანთან დაკავშირებით გამოთქმულ პოზიტიურ შეფასებათა გამო (მ. ქავთარაძის ხსენებული წერილი – „ნოდარ დუმბაძის გარდაცვალების გამო“ იხ: გაზეთი „ივერია“, 1985 წ., №28).

კერძოდ, გ. წერეთელი პრინციპულად არ ეთანხმება მ. ქავთარაძის იმ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც „მარადისობის კანონი“ „კომუნისტი მწერლის“ მიერ დაწერილ „არაკომუნისტურ“ ნაწარმოებად იყო მიჩნეული („გუშაგი,“ 1985 წ., №7, გვ. 57). მისი შეფასებით, ნ. დუმბაძის რომანი სინამდვილეში საბჭოური კონიუნქტურით დაღდასმულ რომანს წარმოადგენს, რაც არსებითად განაპირობა ხელისუფლების მესვეურებთან მწერლის პიროვნულმა სიახლოვემ.

წერილში კრიტიკული განსჯის საგნად რომანის ის ეპიზოდებიცაა ქცეული, სადაც კომუნისტური პარტიის ვეტერანები პარტიის წევრად მიღების წინ გამართულ გასაუბრებაზე მყოფ მწერალს იმასთან დაკავშირებითაც უსვამენ შეკითხვას, რას იტყოდა იგი იმის თაობაზე, მისი მშობლები სწორედ ამ პარტიის მესვეურთა მიერ რომ იყვნენ რეპრესირებულნი. ამ შეკითხვის დასმის დროს მათ პირველ ყოვლისა იმის გარკვევა აინტერესებდათ, ამის გამო ჰქონდა თუ არა მას რაიმე

წყენა სახელისუფლები პარტიის პოლიტიკისადმი. როგორც რომანის ამ ეპიზოდთან ვიცით, ვეტერან კომუნისტა მიერ დასმულ ამ შეკითხვაზე მწერალმა განაცხადა, რომ მან ამ ტრაგიკული მოვლენის ჩამდენთ ეს ქმედება აპატია. გ. წერეთლის აზრით, მშობლებრეპრესირებული ბაჩანას მიერ ამ ტრაგიკული მოვლენისადმი გამოხატული მიმტევებლური დამოკიდებულება სრულიად გაუმართლებელია.

ჩემი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ნოდარ დუმბაძისესთან და მის რომანთან დაკავშირებით გ. წერეთლის მიერ ესოდენი სიმწვავეით გამოთქმულ შენიშვნებს გარკვეული საფუძველი მართლაც მოეპოვება, ხსენებული პუბლიკაცია მაინც უნდა მივიჩნიოთ მწერლის მიერ წარმოსახული რეალობის შეფასებად ქვეყანაში იმხანად არსებული პოლიტიკური რეალობის გაუთვალისწინებლად.

„თავისუფლების ტრიბუნაში“ დაბეჭდილი წერილების გაანალიზების დროს განსაკუთრებული ყურადღება მინდა მივაქციო ჟურნალის 1978 წლის 23-ე ნომერში გამოქვეყნებულ გიორგი წერეთლის პოლემიკურ სტატიას – „ბ-ნ კალისტრატე სალიას „ქართული ლიტერატურა დასაწყისიდან ჩვენ დრომდე“. კ. სალიას ხსენებული ნარკვევი 1972 წელს ფრანგულ ენაზე დაიბეჭდა ქართველოლოგიური ჟურნალის – „ბედი ქართლისას“ გაერთიანებულ XXIX-XXX ტომში.

თავის რეცენზიაში გიორგი წერეთელმა საკმაოდ მკაცრად განიხილა კალისტრატე სალიას ხსენებული ნარკვევი და მას მკვეთრად ნეგატიური შეფასება მისცა. ჩემი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ქართული მწერლობის თხუთმეტსაუკუნოვანი პროცესის უმთავრეს ეტაპთა კ. სალიასეული გააზრება ცალკეულ შემთხვევებში მართლაც შეიძლება იქცეს პოლემიკის საგნად, ხსენებული ნაშრომის ამგვარი შეფასებისთვის საფუძველი ნამდვილად არ არსებობს.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კ. სალიას მიერ გამოთქმული ზოგიერთი დებულება გ. წერეთლის წერილში არასწორადაა განმარტებული, ანდა არსებითად განსხვავებული სახით ინტერპრეტირებული. მაგალითად, განსახილველი პუბლიკაციის ავტორისადმი წაყენებული ბრალდება იმასთან დაკავშირებით, თითქოს ქართული ანბანის შექმნა მესრობ მაშტოცის დამსახურებას წარმოადგენდა, საფუძველსაა მოკლებული. პირიქით, კ. სალიას ხსენებულ ნარკვევში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ამ მოსაზრებას არც ერთი ცნობილი მეცნიერი არ იზიარებდა („ბედი ქართლისა“, 1972, გვ. 206).

გ. წერეთელი კ. სალიას იმის გამოც აკრიტიკებდა, რომ მის ნარკვევში დაწვრილებით არ იყო განხილული „ის სოციალური, ეკონომიკური, მატერიალური და, რაც მთავარია, პოლიტიკური მდგომარეობა, რომელშიაც უხდებოდა ჩამოყალიბება საბჭოთა პერიოდის ლიტერატურას... არაფერი ამის მსგავსი... დიდი ილიას, აკაკის და ვაჟას შემდეგ ის ისე გადადის საბჭოთა ხანის მწერლებზე, თითქოს არაფერიც არ მომხდარიყო“ („თავისუფლების ტრიბუნა“, 1978 წ., №23, გვ. 10).

გ. წერეთლის ხსენებული რეცენზიის განხილვის დროს ყურადღება მის იმ ეპიზოდებსაც მინდა მივაქციო, რომლებშიც ერთმანეთთან შეპირისპირებული სახითაა შეფასებული საბჭოთა ეპოქასა და წინარე საუკუნეებში მოღვაწე ქართველ მწერალთა შემოქმედება. კერძოდ, გ. წერეთელი კ. სალიას მართებულად აკრიტიკებდა იმის გამო, რომ მათ შორის არსებული ბალანსი ამ შემთხვევაში აშკარად იყო დარღვეული საბჭოთა პერიოდში მოღვაწე მწერალთა სასარგებლოდ. ნათქვამისთვის მეტი სიცხადის მისაცემად დავიმოწმებ ფრაგმენტს გ. წერეთლის რეცენზიიდან: „ჩვენს სათაყვანებელ თერგდალეულებს ბ-ნი სალია უფრო ნაკლებ ადგილს უთმობს, ვიდრე „სოც. რეალიზმის“ წარმომადგენლებს. მაგალითად, დიდებული ილია და აკაკი ერთ თავში მოუქცევია და ორივესთვის 28 სტრიქონი დაუთმია, მაშინ, როცა მარტო ლეო ქიაჩელს 30 სტრიქონი აქვს დათმობილი, ხოლო ირაკლი აბაშიძეს 90“ („თავისუფლების ტრიბუნა“, 1978 წ., №23, გვ. 11).

ჩემი აზრით, ასევე ერთმნიშვნელოვნად მისაღებია გ. წერეთლის მიერ კ. სალიას მიმართ გამოთქმული შენიშვნაც იმასთან დაკავშირებით, რომ მან თავის ნარკვევში სათანადო შეფასება არ მისცა საბჭოთა ეპოქაში მოღვაწე ქართველ მწერალთა შემოქმედების იმ ტექსტებს, რომლებიც

იმდროინდელი იდეოლოგიური პოლიტიკის ზეწოლის შედეგად იყო შექმნილი და ამ მოვლენას ამგვარ შეფასებას აძლევდა:

კ. სალიას „მიუდგომლად და ობიექტურად უნდა გაეშუქებინა საქართველოს ისტორიის ეს უბედური ხანა (იგულისხმება საბჭოთა პერიოდი – ა. ნ.), რომ საშუალება მიცემოდა უცოდინარ მკითხველს გარკვეულიყო, თუ რა სასწაულით მოხდა, რომ ისეთი შესანიშნავი წარმომადგენლები, როგორებიც იყვნენ გალაკტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, იოსებ გრიშაშვილი და სხვა გადაიქცნენ ჩვენი სამშობლოს დამპყრობლების, ლენინ-სტალინ-ბერია-ბრეჟნევის მეხოტბე პოეტებად. ანდა, თუ როგორ დაიღუპნენ შემოქმედებისათვის ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ნიჭიერი მწერლები და პოეტები: მიხეილ ჯავახიშვილი, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი და სხვები“ („თავისუფლების ტრიბუნა,“ 1978 წ., №23, გვ. 10).

გ. წერეთელი კ. სალიას იმის თაობაზეც საყვედურობდა მართებულად, საბჭოთა ეპოქაში მოღვაწე ზოგიერთი ქართველი მწერლის შემოქმედებითი ღვაწლი თავის ნარკვევში მას არაპროპორციულად რომ ჰქონდა წარმოჩენილი. კერძოდ, იმ დროს, როცა მის მიერ შერჩეული სამი ე. წ. საბჭოთა პოეტიდან (გ. ტაბიძე, გ. ლეონიძე და ი. აბაშიძე) იგი გალაკტიონის პოეზიის ანალიზს მხოლოდ 45 სტრიქონს უთმობდა, ი. აბაშიძის პოეტური ღვაწლის წარმოჩენას 90 სტრიქონი ჰქონდა მიძღვნილი („თავისუფლების ტრიბუნა,“ 1978 წ., №23, გვ. 13).

გ. წერეთელი კ. სალიას იმაშიც დებდა ბრალს, საბჭოთა პერიოდის ქართულ პოეზიაში ი. აბაშიძის პოეტური წვლილს იგი ჰიპერბოლიზებული სახით რომ წარმოაჩენდა და მის „მლიქვნელურ პოეზიას“ (გ. წერეთლის სიტყვებია) თავად ის ამგვარად აფასებდა:

ი. აბაშიძე ვერავითარ შემთხვევაში ვერ ჩაითვლებოდა „ქართული ეროვნული პოეზიის ყველაზე უკეთეს წარმომადგენლად,“ რადგანაც „იგი მუდამ იყო და დარჩა ჩვენი დამპყრობელი კრემლის ერთგულ „კოლაბორატორად,“ რომელსაც დიდი წვლილი მიუძღოდა ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის საბჭოურად გახედნის საქმეში, რისთვისაც კრემლს მისთვის წყალობა არ მოუკლია... ირ. აბაშიძის პოეტური ქმნილებების უმრავლესობა წყალში გადასაყრელია, რადგანაც იგი მონობას უნერგავს ჩვენს ახალგაზრდობას, უმღერის ლენინს, სტალინს, ბერიას, ოქტომბრის რევოლუციას და მას თებერვალი მისთვის უყვარს, „რომ ჩვენს მამულს თებერვალში გაუთენდა შვების დილა“ („თავისუფლების ტრიბუნა,“ 1978 წ., №23, გვ. 13).

არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ გალაკტიონ ტაბიძისა და ირაკლი აბაშიძის შემოქმედებათა შეფასების დროს კალისტრატე სალიაცა და გიორგი წერეთელიც ამგვარად ავლენდნენ ტენდენციურ მიდგომას. კერძოდ, თუ გალაკტიონის პოეტური ღვაწლი კ. სალიას ნარკვევში სათანადო მასშტაბურობითა და რეალობასთან შესაბამისობით მართლაც არ იყო წარმოჩენილი და გ. წერეთლის მიერ ამასთან დაკავშირებით გამოთქმული შენიშვნები უთუოდ მართებულია, ი. აბაშიძის პოეტური შემოქმედების შეფასების დროს ორივე კრიტიკოსი ამგვარად ტენდენციურია.

გ. წერეთლის წერილში მეტ-ნაკლებად მსგავსი პოლემიკური პოზიციებიდანაა გაანალიზებული და კრიტიკული თვალთახედვით შეფასებული კ. სალიას დამოკიდებულება საბჭოთა პერიოდის ქართული მწერლობის ცნობილი წარმომადგენლების: კ. გამსახურდიას, ლ. ქიაჩელისა და გ. ლეონიძის შემოქმედებისადმი. როგორც ამ ჩამონათვალითაც თვალნათლივ ჩანს, კ. სალიას თვალთახედვის არეში ვერ მოხვდა იმხანად მოღვაწე არაერთი ცნობილი მწერალი, რის გამოც იგი ლოგიკურად იქცა გ. წერეთლის მკაცრი კრიტიკის ობიექტად.

გიორგი წერეთლის შემოქმედებითი მემკვიდრეობის გაანალიზების დროს განსაკუთრებული ყურადღება მის პუბლიცისტურ ნააზრევსაც უნდა მივაქციოთ, რადგანაც ქართულ ემიგრან-

ტულ პრესაში მრავლად გამოქვეყნებულ მის პუბლიცისტურ წერილებში კრიტიკულ-ოპოზიციური განსჯის საგნადაა ქვეული როგორც საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული არაერთი პრობლემა, ისე საბჭოთა ხელისუფლების მანკიერი მხარეები.

გ. წერეთლის პუბლიცისტიკის სწორედ ერთ-ერთ ასეთ მნიშვნელოვან თემატურ მიმართულებას წარმოადგენს ქართველ ებრაელობასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული წერილები. აღნიშნული მოვლენის არსებითად განმაპირობებელ ფაქტორად ამ შემთხვევაში 1970-იან წლებში დაწყებული ის მასშტაბური პროცესი იქცა, რის შედეგადაც ქართველ ებრაელთა უდიდესმა ნაწილმა მუდმივ საცხოვრებლად თავის ისტორიულ სამშობლოს მიაშურა. გ. წერეთლის წერილებში არაერთგზის ესმება ხაზი იმას, რომ საქართველოდან ებრაელთა მიგრაციის განმაპირობებელ ფაქტორს ეთნიკური ნიშნით მათი შევიწროება არ წარმოადგენდა.

რაც შეეხება საქართველოსადმი ქართველ ებრაელთა დამოკიდებულებას, ჩვენი ქვეყნის ისტორიიდან და თანადროული ყოფიდან დამოწმებულ ეპიზოდებზე დაყრდნობით გ. წერეთელი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ სხვა უცხო ტომელებისაგან განსხვავებით, ჩვენს ქვეყანაში მკვიდრობის პერიოდში ისინი „ქართველების გვერდიგვერდ იბრძოდნენ და იღვწოდნენ საქართველოს დასაცავად და ასაშენებლად. საბჭოთა რუსეთის ჯარების მიერ საქართველოს ოკუპაცია ქართველმა ებრაელებმაც ჩვენსავით განიცადეს“ („თავისუფლების ტრიბუნა“, პარიზი, 1976, №10, გვ. 13).

იმის დასტურად, ეს მოვლენა ცალმხრივი რომ არ ყოფილა და ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები ებრაელებისადმი ქართველ ხალხსაც მხოლოდ ტოლერანტული დამოკიდებულება რომ ჰქონდა, გ. წერეთელი საქართველოს ისტორიიდანაც იშველიებდა სათანადო არგუმენტებს. კერძოდ, მისი ხაზგასმით, იმ დროს, როცა „ქართლის ცხოვრებაში“ ერთი შემთხვევაც კი არაა აღნიშნული ეთნიკური და რელიგიური ნიშნით ებრაელთა დარბევისა და დევნა-შევიწროებისა, „რუსეთში, უკრაინაში და პოლონეთში ებრაელთა „პოგრომებმა“ ტრადიკული ხასიათი მიიღო.“

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გ. წერეთელი იმ აქტიურობასაც მიაპყრობს მკითხველის ყურადღებას, რითაც ქართველი ებრაელები საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პროცესშიც იყვნენ ჩართული. კერძოდ, მისი ხაზგასმით, ისინი, „ისევე, როგორც ქართველები, გვერდიგვერდ იბრძოდნენ საქართველოს სახელმწიფოს დასაცავად და ასაშენებლად. საბჭოთა რუსეთის ჯარების მიერ საქართველოს ოკუპაცია ქართველმა ებრაელებმაც ჩვენსავით განიცადეს“ („თავისუფლების ტრიბუნა“, პარიზი, 1976, №10, გვ. 13).

აღნიშნული მოსაზრებისთვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად გ. წერეთელს კონკრეტული მაგალითებიც მოჰყავდა იმ თანამდგომი დამოკიდებულების წარმოსაჩენად, რასაც მეორე მსოფლიო ომში ფაშისტთა რეპრესიებისაგან ებრაელების გადასარჩენად იჩენდნენ ქართველები. კერძოდ, მისი ხაზგასმით, მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობის დროს „გერმანიის ტყვეთა ბანაკებში არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ ქართველ ტყვეს ებრაელი გაეცა.“

გიორგი წერეთლის წერილისადმი ინტერესს მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ისიც, რომ თავის პუბლიკაციაში მან მკითხველის ყურადღება ებრაელთა ეთნიკური წარმომავლობის პრობლემასაც მიაპყრო. კერძოდ, პუბლიცისტმა ერთმნიშვნელოვნად უარყო ქართველთა და ებრაელთა ცალკეული წარმომადგენლების მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, თითქოს ჩვენი ქვეყნისადმი ქართველ ებრაელთა სიყვარულის განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორად ის გარემოება იყო ქვეული, თავიანთი ეთნიკური წარმომავლობით ისინიც ქართველები რომ იყვნენ და მათგან მხოლოდ სარწმუნოებით განსხვავდებოდნენ.

როგორც ცნობილია, ეს მოსაზრება 1910-იანი წლების საქართველოში იმდენად ფართოდ იყო გავრცელებული, რომ იმდროინდელ ქართულ პრესაში („საქართველო“, „სამშობლო“, „სახალხო საქმე“, „ხალხის მეგობარი“, „ერთობა“...) ამასთან დაკავშირებით ცხოველი პოლემიკაც კი იყო გამართული. ამ პოლემიკის მთავარ წარმომადგენლებად მაშინ ქართველ ებრაელთა რელიგიური ლიდერი დავით ბააზოვი და „ახალგაზრდა ასიმილატორებად“ სახელდებული ძმები: მიხაკო და იოსებ ხანანაშვილები მოგვევლინენ. დავით ბააზოვმა ქართველ ებრაელთა ეთნიკურ კუთვნილ-

ბასთან არსებულ ზემოთ ხსენებულ მოსაზრებას „დიდი გაუგებრობა და შეცდომა“ უწოდა (ამასთან დაკავშირებით იხ: ნიკოლეიშვილი, 2003, გვ. 63-70).

როგორც უკვე ითქვა, პოლემიკური განხილვის საგნად ქცეულ ამ თვალსაზრისს „თავისუფლების ტრიბუნაში“ გამოქვეყნებულ თავის წერილში გიორგი წერეთელმაც მიაქცია ყურადღება და აღნიშნა:

„ქართველი ებრაელების შესახებ ორი შეხედულება არსებობს: ერთნი იცავენ, რომ ისინი ქართველი წარმოშობის არიან და მხოლოდ მოსეს რჯულის აღიარებით განსხვავდებიან დანარჩენი ქართველებისაგან. მეორენი კი ამტკიცებენ, რომ ისინი სისხლითაც და რჯულითაც განსხვავებული არიან, რომ ისინი საქართველოში მოვიდნენ ისრაელის სახელმწიფოს განადგურების შემდეგ და ამიტომაც მათ შეინარჩუნეს ისრაელიტის სახელწოდება“ („თავისუფლების ტრიბუნა“, პარიზი, 1976, №10, გვ. 13).

გ. წერეთლის ხაზგასმით, მისი პუბლიკაციის მიზანს ამ პრობლემის საბოლოოდ გადაჭრა კი არ წარმოადგენდა, არამედ საბჭოთა საქართველოს ხელისუფლებისადმი მოწოდება იმისა, ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ იმ ებრაელებს, რომლებიც მათ ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების სურვილს გამოთქვამდნენ, არავითარი დაბრკოლებები რომ არ უნდა შექმნოდა.

მკითხველის იმაში დასარწმუნებლად, საქართველოსადმი ქართველ ებრაელთა სიყვარული ამ ადამიანთა ეროვნული თვალთახედვის არაკონიუნქტურულ გამოხატულებას რომ წარმოადგენდა, გიორგი წერეთელი ჩვენს ქვეყანასთან მათი მუდმივი განშორებით განპირობებული ნოსტალგიის მძაფრად წარმომჩენ ეპიზოდებსაც გვაწვდის. მაგალითად: ემიგრაციაში არსებული ქართული რადიოს – „თავისუფლების“ კორესპონდენტთან საუბრის დროს საქართველოდან ისრაელში გადასახლებულ ებრაელ გოგონას ასეთი რამ უთქვამს: „თუ ბავშვს ორი მშობელი ჰყავს – დედა და მამა, ჩვენთვის ეს ისრაელი და საქართველოა“. მეორე რესპოდენტს კი საქართველოდან ისრაელში მისი ოჯახის გადასახლებისთვის ასეთი შეფასება მიუცია: „1973 წელს ჩვენი ოჯახი ისრაელისაკენ დაადგა გზას. ეს იყო ჩემთვის უდიდესი ტრაგედია. ვტოვებდი იმ ქვეყანას, სადაც დავიბადე და დავვაჟკაციდი. სამი წელია, აქ ვარ. დღე არ გავა საქართველოზე ფიქრის გარეშე“ („თავისუფლების ტრიბუნა“, პარიზი, 1976, №10, გვ. 14).

გ. წერეთლის პუბლიცისტიკის ერთ-ერთ უმთავრეს თემას საბჭოთა პერიოდის საქართველოში არსებული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პრობლემების ანალიზიც იქცა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო ერთ-ერთ სტატიას წარმოადგენს მ. განშორებულის ფსევდონიმით გამოქვეყნებული წერილი „საქართველოს შემდეგ აფხაზეთი“ („თავისუფლების ტრიბუნა“, პარიზი, 1978, №21, გვ. 22-24). ხსენებულ პუბლიკაციაში ნილაბახდილი სახით იყო წარმოდგენილი აფხაზეთში იმხანად გამართული საპროტესტო დემონსტრაციებისა და მანიფესტაციების განმაპირობებელ ფაქტორთა ნამდვილი არსი.

გ. წერეთლის ხაზგასმით, აფხაზ სეპარატისტთა ორგანიზებით გამართული ეს გამოსვლები სინამდვილეში „რუსული იმპერიალიზმის წინააღმდეგ კი არ იყო მიმართული, არამედ საქართველოს, ქართველების წინააღმდეგ... აფხაზი მანიფესტანტები მოითხოვდნენ ქართული ენის, როგორც ოფიციალური ენის, ამოღებას ახალი კონსტიტუციიდან და რომ ამავე კონსტიტუციის მიხედვით აფხაზეთს მიეცემოდა უფლება საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობიდან გამოსვლის და რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკაში შესვლის“ („თავისუფლების ტრიბუნა“, პარიზი, 1978, №21, გვ. 22).

ერთ-ერთი მთავარი ბრალდება, რომელსაც აფხაზი სეპარატისტები მათ მიერ ორგანიზებულ ამგვარ თავყრილობებზე უყენებდნენ ქართველ ხალხსა და მის მთავრობას, იმაში მდგომარეობდა, თითქოს ისინი „აფხაზებს საშუალებას არ აძლევდნენ თავიანთი ეროვნული ენის და კულტურის განვითარებისას, უმახინჯებდნენ ისტორიას და სხვა“.

როგორც გიორგი წერეთლის შემოქმედებითი ღვაწლის თუნდაც არასრული სახით წარმომჩენი წინამდებარე ნარკვევითაც თვალნათლივ ჩანს, ჟანრობრივად მრავალფეროვანი თავისი ლიტერატურული მემკვიდრეობით იგი ყოველგვარი მიკერძოების გარეშე უნდა მივიჩნიოთ გასული საუკუნის ქართული ემიგრანტული მწერლობის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ნიკოლეიშვილი, ა. (2003). ნარკვევები ქართველ ებრაელთა ლიტერატურულ-პუბლიცისტური მოღვაწეობის ისტორიიდან, ქუთაისი: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- სალია, კ. (1972). ქართული ლიტერატურა დასაწყისიდან ჩვენ დრომდე. ჟურნალი „ბედი ქართლისა“, XXIX-XXX, პარიზი.
- ქავთარაძე, მ. (1985). ნოდარ დუმბაძის გარდაცვალების გამო, იხ: გაზეთი „ივერია“, 28, პარიზი.
- შარაძე, გ. (1993). უცხოეთის ცის ქვეშ, წიგნი 3. თბილისი: „მერანი“.
- წერეთელი, გ. (1976). ქართველი ებრაელები ისრაელში. ჟურნ. „თავისუფლების ტრიბუნა“, 10, 11-13, პარიზი.
- წერეთელი, გ. (1976). „მარადისობის კანონი“ და მიხეილ ქავთარაძე, იხ: „გუშაგი“, 7, პარიზი.
- წერეთელი, გ. (1978). ბ-ნ კალისტრატე სალიას „ქართული ლიტერატურა დასაწყისიდან ჩვენ დრომდე“. იხ: „თავისუფლების ტრიბუნა“, 23.10-14. პარიზი.
- წერეთელი, გ. (1983). სიყვარულის თაიგული, ლექსები, პარიზი.
- წერეთელი, გ. (1976). ქართველი ებრაელები ისრაელში. მნიშვნელოვანი ეროვნული მოვლენა. „თავისუფლების ტრიბუნა“, 10-13, პარიზი.
- წერეთელი, გ. (1978). საქართველოს შემდეგ აფხაზეთი, „თავისუფლების ტრიბუნა“, 21, 22-24. პარიზი.

References:

- Kavtaradze, M. (1985). Nodar Dumbadzis gardatsvalebis gamo. [Due to the Death of Nodar Dumbadze]. Gazeti „Iveria“, 28, P'arizi.
- Nik'oleishvili, A. (2003). Nark'vevebi kartvel ebraelta lit'erat'urul-p'ublitsist'uri moghvats'eobis ist'oriidan. [Essays from the History of Literary and Publicistic Activities of Georgian Jews]. Kutaisi: ak'ak'i ts'eretlis sakhelmts'ipo universit'et'is gamomtsemloba.
- Salia, K'. (1972). Kartuli lit'erat'ura dasats'q'isidan chven dromde. zhurnali „bedi kartlisa“. XXIX-XXX, P'arizi.
- Sharadze, G. (1993). Utskhoetis tsis kvesh, 3. [Under the Sky of a Foreign Country, 3]. Tbilisi: „merani“.
- Ts'ereteli, G. (1976). Kartveli ebraelebi israelshi. [Georgian Jews in Israel]. Zhur. „tavisuplebis t'ribuna“, 10, 11-13, P'arizi.
- Ts'ereteli, G. (1976). „Maradisobis k'anoni“ da mikheil kavtaradze. [“The Law of Eternity” and Mikheil Kavtaradze]. „Gushagi“, 7, P'arizi.
- Ts'ereteli, G. (1978). B-n K'alist'rat'e Salias „kartuli lit'erat'ura dasats'q'isidan chven dromde“. [Mr. Kalistrate Salia's "Georgian Literature from the Beginning to Our Times"]. „Tavisuplebis t'ribuna“, 1978 ts'. #23.10-14. p'arizi.
- Ts'ereteli, G. (1978). Sakartvelos shemdeg Apkhazeti. [After Georgia, Abkhazia]. „Tavisuplebis t'ribuna“, 21, 22-24. P'arizi.
- Ts'ereteli, G. (1983). Siq'varulis taiguli, leksebi. [Bouquet of Love]. P'arizi.

Nino Vakhania

ნინო ვახანია

Sukhumi State University

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

**Women of the Georgian Royal House
(according to the writings of Alexander Orbeliani)**

**ქართული სამეფო სახლის ქალები
(ალექსანდრე ორბელიანის თხზულებათა მიხედვით)**

The article qbout the role and purpose of Georgian women in the past of our country. In particular, it is about the wisdom, loyalty and courage of the women of the Erekle II family. We rely on the writing of the romantic writer Alexander Orbeliani and create the portrait of The King’s Daughter-in-law, George XII’s first wife, Ketevan Andronikashvili.

The interference of the Russian government in the domestic affairs of the Georgian kingdom is obvious. Enemies were ruled by the naïve George XII through the treacherous Georgian princes.

It turned out that the country prevented a military coup by the intervention of Ketevan Andronikashvili. An unanswered question is clearly heard in the essay: Did the enemies poison young Ketevan to weaken and then overthrow the royal court? This issue is still relevant.

Key words: smart, freedom, loyalty, politics, motherland

საკვანძო სიტყვები: ჭკვიანი, თავისუფლება, ერთგულება, პოლიტიკა, სამშობლო

ქართველმა ქალმა სიმამაცის, კეთილშობილების, თავგანწირვის არაერთი მაგალითი გვიჩვენა ისტორიულად, რამაც თავისი ასახვა პოვა მხატვრულ ნაწარმოებებშიც. ენამ ქალი კაცს გაუიგივა და ღირსეულს დედაკაცი უწოდა. ჩვენი ძველი ისტორია დიდად აქებს ქართველ ქალსო, – წერს ალექსანდრე ორბელიანი და თვითონ მხატვრულსა და მხატვრულ-დოკუმენტურ ქმნილებებში ქმნის ქალთა (დედაკაცთა) მართალ და დაუვიწყარ პორტრეტებს. ოჯახიდან მწერალმა ბევრი ისეთი რამ იცის, რაც ისტორიულ ქრონიკებში არ დაწერილა. ამიტომ მისი მონათხრობი განსაკუთრებით ღირებული და ზოგ შემთხვევაში უნიკალურია.

გიორგი ბატონიშვილის პირველი ცოლის, ქეთევან ანდრონიკაშვილის, შესახებ მეტად საგულისხმო ცნობებს გვაწვდის ალექსანდრე ორბელიანი. მწერალი გამორჩეულია თავისი პირუთვნელობით. მის მიერ აღბეჭდილი ინფორმაცია, როგორც წესი, სანდოა. რადგან ამ ქალის შესახებ ისტორიოგრაფიაში შედარებით მწირი მასალა გვაქვს, ალექსანდრე ორბელიანის მხატვრულ-დოკუმენტური თხზულებები ფასდაუდებელი წყაროა წარსულის სურათების ნათლად, სისწორით აღსადგენად.

ბიოგრაფიულ ლექსიკონში მოცემული ინფორმაცია ერეკლე მეორის რძლის შესახებ ძირითადად პლატონ იოსელიანის გამოკვლევას ეყრდნობა („ცხოვრება გიორგი XIII-ისა“). სხვა ისტორიკოსებიც უხვად სარგებლობენ და უაპელაციოდ იღებენ (იმეორებენ) ამ ცნობილი ისტორიკოსის მიერ ნათქვამს. არადა, მიუხედავად პლატონ იოსელიანის განსწავლულობისა, მისი თხზულებები მაინც კრიტიკულად უნდა განვიხილოთ. თავი რომ დავანებოთ ნიკოლოზ ბარათაშვილის ხუმრობასა და ილია ჭავჭავაძის „გამოცანას“ პლატონის შესახებ, ალექსანდრე ორბელიანიც აშკარავეს ამ ისტორიკოსის არაობიექტურობასა და მიკერძოებას. უამრავ ღირებულ ისტორიულ ფაქტთან ერთად, ნარკვევში ხელშესახებადაა აღბეჭდილი ავტორის სუბიექტურობა და ტენდენციურობა. არაერთი მოვლენა შეფასებულია მმართველი ძალის, დამპყრობლის საამებლად. მათი პოზიციის განსამტკიცებლად. რუსეთის ხელისუფლების სურვილის აღსასრულებლად პლატონ იოსელიანი არ ერიდება სიმართლისგან გადახვევას, ფაქტების დამახინჯებას.

პლატონ იოსელიანი, როგორც რუსეთის ხელისუფლების მამებელი ისტორიკოსი არაერთხელ ამხილა თეკლა ბატონიშვილმა შვილთან, ალექსანდრე ორბელიანთან საუბრებში.

ბიოგრაფიულ ლექსიკონში ხაზგასმულია ქეთევანის გულადობა. შიდა ქართლიდან თბილისში მიმავალ ქეთევან ანდრონიკაშვილს გზად ხუთასამდე ლეკი დახვედრია. ქეთევანმა, რომელსაც თან ახლდა სამასამდე მეომარი – მორიგე ჯარის რაზმი – თვითონ იკისრა თურმე ბრძოლის მეთაურობა და სასტიკად დაამარცხა მოთარეშე ლეკები. ერეკლე II ამალით შეგებებია თავის მამაც რძალს და მის საპატივცემლოდ ალღუმი გაუმართავს. ეს ამბავი 1778 წელს მოხდა, როცა ქეთევანი 24 წლისა იყო (პაპუნაშვილის მიხედვით). მაგრამ მის მიერ ბრძოლაში გამოჩენილი სიმამაცე რა მოსატანია იმ სულიერ სიმადლესთან, რომელსაც ეს დიდებული ქალი ამჟღავნებდა თურმე.

ალექსანდრე ორბელიანი უფრო ახლოს გვაცნობს ამ ჭკვიან, გონიერ, მეფისა და ქვეყნის ერთგულ, უშიშარ ასულს. „ის ქეთევან ასეთი თავშეწირული ერთგული ყოფილა მეფის ირაკლისა, რომ თავდადებული მსხვერპლი. იქამდისინ, რომ მეფის ირაკლის მშვიდობისათვის არავის არ დაინდობდა, არა თავის მახლობელსა“ (ორბელიანი, 2023, გვ.70).

აქ ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვათ ქეთევანის ძმის, რევაზ ანდრონიკაშვილის შესახებ. პლატონ იოსელიანი და მასზე დაყრდნობით ქართული საბჭოთა ენციკლოპედიაც დიდად აქებს რევაზ ანდრონიკაშვილს, რომელსაც, როგორც ჩანს, ჭკუა, სიმამაცე და გამოცდილება, და სხვა კარგი პიროვნული თვისებები მართლაც, არ აკლდა. თუმცა 1770 წელს ქიზიყის მოურავად დანიშნული რევაზი სრული ძალაუფლების ხელში ჩაგდებას მიზნით ღალატობდა მეფესა და მამასადამე, ქვეყანას. ყოველგვარი მიუღებელი ხერხით იბრძოდა ერეკლეს წინააღმდეგ, რათა მეფედ დამჯდარიყო მისი სიმე, გიორგი ბატონიშვილი, რომელზეც დიდი გავლენა ჰქონდა და რომელსაც, ფაქტობრივად, თვითონ მართავდა. 1770 წელს, ასპინძის ომში, ცნობილია, გიორგი ბატონიშვილი მეფე-მამას არ დაეხმარა. ერთ ციხე-სიმაგრეში გამაგრდა იმ აბსურდული საბაბით, მტერი იქ, მთავარ ბრძოლაში დაგვამარცხებს და აქეთ, სიღრმეში რომ წამოვა, მაშინ შევებრძოლებიო. ალექსანდრე ორბელიანის ცნობით, ამ ღალატისკენ მას მეფის ირაკლის ოჯახობის მტრებმა უბიძგეს, კერძოდ, „თავადმა რ... ა... და იმის დამოკიდებულებმა...“ (ორბელიანი, 2023, გვ.51). რევაზ ანდრონიკაშვილმა უღალატა ერეკლეს მერეც, კრწანისში – 2000 მებრძოლი შეაკავა ქიზიყში და არ გაუშვა ბრძოლის ველზე. მასთან იმყოფებოდა ბატონიშვილი გიორგიც.

ჩვენს ისტორიოგრაფიაში გავრცელებულია ის შეხედულება, რომ რევაზ ანდრონიკაშვილი „დააუპირისპირდა სასახლის კარზე ფეოდალთა იმ ჯგუფს, რომელსაც სათავეში ედგა დედოფალი დარეჯანი. 1780 წელს დარეჯანის ინიაციტივით ანდრონიკაშვილს ჩამოართვეს ქიზიყის მოურავობა და დაუბრუნეს ერეკლე II-ის სიმეს ზაქარაის“ (ბიოგრაფიული ლექსიკონი). ეს, როგორც ახლა იტყვიან, რუსეთის ხელისუფლების ნარატივია. თითქოს დარეჯანი ერეკლეს სიცოცხლეშივე სასახლეში რაღაც ჯგუფს მეთაურობდა, რომელიც გერის, გიორგის წინააღმდეგ მოქმედებდა. თითქოს დედოფალი საკუთარი შვილის გამეფებას მიელტვოდა და აშკარად ერეოდა სამეფო საქმეებში. ეს

სიცრუე და მისი გავრცელების მიზანი ბოლომდე ამხილა და გააშიშვლა ალექსანდრე ორბელიანმა რამდენიმე თხზულებაში. ახლა კი კვლავ ქეთევან ანდრონიკაშვილს მივუბრუნდეთ.

1780 წელს გიორგი ბატონიშვილი და ქეთევანი რევაზ ანდრონიკაშვილის მიწვევით ქიზიყში სტუმრებიან მოურავს. ქეთევანს შეუტყვია საკუთარი ძმის მოღალატეობრივი განზრახვა. რის შესახებაც არაფერი იცოდა გულუბრყვილო და მიმნდობმა უფლისწულმა გიორგიმ, ცხადი გახდა მისი მეუღლისთვის. სამეფო საქმეებში როგორი გარკვეული, როგორი დაკვირვებული, ფრთხილი და მოზომილი უნდა ყოფილიყო ახალგაზრდა ქალი, რომ დაზუსტებით შეეტყო ქვეყნის მტრების გეგმა. ან რა სიმამაცე, გამბედაობა, ქვეყნისა და მეფის სიყვარული და ერთგულება იქნებოდა საჭირო იმისთვის, რომ ძმა ემხილებინა და ამით ქვეყანა გადაერჩინა?! თანაც ისე, რომ მეფის რისხვა ზომიერად შეეკავებინა და ძმაც სასიკვდილოდ არ გაემეტებინა...

ქიზიყში მყოფმა „ბატორძალმა“ მოულოდნელად თბილისში დაბრუნება მოინდომა. გიორგი ბატონიშვილის მდივან ელიაზარ ფალავანდიშვილს გაენდო და მოთათბირების შემდეგ გადაწყვიტეს, იქ არაფერი ეთქვათ გიორგისთვის და ქეთევანს ეს ამბავი პირდაპირ ერეკლესთვის ეცნობებინა (ელიაზარ ფალავანდიშვილს ცოლად ჰყავდა დავით ბარათაშვილის – შემდეგ ალექსანდრე ორბელიანის სიმამრის – და – ბარბარე ბარათაშვილი).

შინაომის, ორივე მხრიდან ქართველების სისხლისღვრის საშიშროება აშკარა გახლდათ. რევაზის ჩანაფიქრით, მას ლეკებისა და კახელების რაზმები უნდა შეეგროვებინა და გაერთიანებინა მოტყუებით – ვითომ სპარსეთზე ან ოსმალეთზე თავდასასხმელად. სინამდვილეში ერეკლეს უნდა დასხმოდნენ თავს, მოეკლათ მეფე და უფლისწული გიორგი გაემეფებინათ. ელიაზარისა და ქეთევანის მართებული გათვლით, შეთქმულები ვერაფერს დააკლებდნენ ერეკლეს, მაგრამ ეს დაპირისპირება დაასუსტებდა საქართველოს. თან როგორც „ის ღვთიური ქეთევანი“ ამბობდა თურმე, „მეფეს ირაკლიზედ უკეთესი მეფე ვილა უნდა დასონ აქა?“ (ორბელიანი, 2023, გვ.71).

ელიაზარ ფალავანდიშვილისა და სხვა ხანდაზმული ხალხისგან ბევრჯერ მოუსმენია მწერალს სიმართლე. ელიაზარი, სხვა ხანდაზმულ პირებთან ერთად, თეკლასთანაც ხშირად მოდიოდა თურმე სტუმრად. ძველი ამბების მოყოლით ართობდა, გულს უმაგრებდა. რაც იცოდა (და ბევრი რამის თვითმხილველი და მონაწილე გახლდათ), გულწრფელად უამბობდა ალექსანდრე ორბელიანსაც. მისგან იცის მწერალმა ეს ეპიზოდიც. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას: რომ არა ალექსანდრე ორბელიანი, ჩვენ დაგვეკარგებოდა ერთი დიდებული ქალის – სამეფო ოჯახის წევრის, ქეთევან ანდრონიკაშვილის – სულიერი პორტრეტის მეტად მომხიბლავი და ღირებული შტრიხები.

მტკიცე, უტეხი ხასიათით გამორჩეულმა ქალმა ქმარს თბილისში წასვლის ნებართვა სთხოვა იმ საბაბით, დედოფალი დიდი ხანია, არ მინახავს და მომენატრაო. მშვიდობიანმა და წრფელმა ბატონიშვილმა გიორგიმ დიდად გაიხარა და ცოლი მაშინვე გაისტუმრა სათანადო ამალით.

მწერალი დიდი დამაჯერებლობით აღწერს იმ სიხარულს, რაც მეფე-დედოფალს განუცდია და გამოუხატავს საყვარელი რძლის დაბრუნების გამო. მეფე თურმე ქალაქგარეთ გაეგება, დედოფალი სასახლის კარებთან დახვდა და დიდი დიდებით შემოიყვანეს შინ.

თუმცა ალექსანდრე ორბელიანი გარდასული ამბების მიუკერძოებელ მთხრობელად გვევლინება, მაგრამ მისი ნაწერები მაინც არ არის მშრალი ქრონიკა. მწერლის სუბიექტური დამოკიდებულებები, განწყობა, ტენდენცია აშკარად, დაუფარავად იკითხება ყველგან. მკაფიოდ ამჟღავნებს ავტორი თავის მიზანსაც: „ის ანბები [რომ არ] დამეწერა, ... სულერთიან გაქრებოდა მეფის ირაკლის მტრების გასამართლებლად, რომ ყოველი თავიანთი დანაშაული მეფეს ირაკლისა და დედოფალს დარეჯანზედ გადმოიღონ; ამით თავიანთი დაჰვარონ, რომ სამარადისოთ სულ ვერავინ ვერა გაიგოს რა იმათი ეშმაკური საქმეები“ (ორბელიანი, 2023, გვ.72). ეს ამონარიდი ნათლად წარმოაჩენს ავტორის ხედვის დიდ მასშტაბსა და სიღრმეს.

ქეთევანმა დინჯად, თავდაჭერილად, შესაფერის დროს გაუმხილა მეფე-დედოფალს თავისი „გიჟი ძმის“ განზრახვა. ერეკლემ ალელვების გარეშე, გარეგნულად გულდამშვიდებით ჰკითხა, –

ჩვენო ბედნიერებაო, ეგ ანბები შენს ქმარს ბატონიშვილს რატომ არ შეატყობინეო. ჭკვიანურმა პასუხმა გამოხატა ახალგაზრდა ქალის სიტუაციაში სწრაფად გარკვევის, მომავლის სწორად განჭვრეტის, გადაწყვეტილების მიღებისა და მტკიცედ მოქმედების უნარი.

ოდნავ ვრცელ ციტატას დავიმოწმებ:

„მე და ელიაზარ მდივანმა არ ვამჯობინეთ შეგვეტყობინებინა. თქვენი შვილი გიორგი მრისხანე ხასიათისა გახლავსო, ვაითუ სახალხოთ გასწყრომოდა ჩემს ძმას რევაზს და ამით უარესი საქმე მომხდარიყო? ის ჩემი ძმა რევაზ ვიცი, თავს გაიმართლებდა ბევრის მიკიბულ-მოკიბულის ლაპარაკით, ის ასეთი კაცია და ამაში მე ცუდ დედაკაცათ დავიდებოდი და ყველანი ლანძღვას დამიწყებდნენ: თავის ძმასაც არ ინდობსო. თვითონ ის ჩემი ძმა ასე აალაპარაკებდა ყველას ჩემზედ, ამისთვის ვერ ვაცნობე თქვენს შვილს“ (ორბელიანი, 2023, გვ. 73).

განმარტება იმდენად სრულყოფილია, ემოციურადაც და ინფორმაციულადაც იმდენად ტევადი და მრავლისმეტყველი, რომ მეფე-დედოფალს გასარკვევი აღარაფერი რჩება. ამის შემდეგ მეფე რჩევას ეკითხება თავის შორსმჭვრეტელ რძალს, რით დასაჯოს რევაზი.

თავისი რისხვითა და წყალობით განთქმულ მეფეს დასჯის ხერხები არავისთვის ექნებოდა საკითხავი, მხოლოდ ამ შემთხვევაში ხაზგასმით გამოხატავს ქეთევანის პატივისცემას, სურს, მას არაფერი აწყენინოს, თან ბოლომდე ენდობა რძალს. მწერალი იდეალური ფერებით გვიხატავს სამეფო ოჯახის წევრთა ურთიერთობას, რომელიც, შეუძლებელია, სიმართლეს არ ასახავდეს. ქეთევან ანდრონიკაშვილის რჩევით, მეფემ მოურავობა უნდა ჩამოართვას რევაზს და გადასცეს თავის სიმეს, ზაქარია ანდრონიკაშვილს. ამ საქმეში საკუთარი დის ჩარევის შესახებ რევაზს არაფერი გაუგია. ყოფილ მოურავს ამით ხელ-ფეხი შეეკრა. თუმცა გადაჭარბებული სასჯელი არ იყო მისთვის, მაინც სულ უკვირდა, ეს საქმე ვინ დამართა. მეფე ირაკლის მტრებმა მოიგონეს და რევაზსაც არწმუნებდნენ, დედოფალმა დარეჯანმა ჩააგონა მეფეს, რადგან ზაქარია იმის შვილის, ელენეს ქმარიაო.

ალექსანდრე ორბელიანი სხვაგანაც არაერთგან შენიშნავს საქართველოს მტრების სურვილს, ყველაფერი ისე დაეხატათ, „*მითამ მეფე ირაკლი, რადგან არაფერში არ ვარგებულა, ამისთვის რასაც ისა შვრება, სულ დედოფალ დარეჯანის სიტყვით*“ (ორბელიანი, 2023, გვ. 74). მწერალი მაგალითებით, დოკუმენტებით უარყოფს ბრალდებებს დარეჯანის მიმართ და ცხადყოფს დამპყრობლის ჩანაფიქრს – მომავალში სახელმწიფოს დაკარგვა შინააშლილობას დაბრალდეს და არა რუსულ აგრესიას. მისი თქმით, რადგან სახელოვან მეფეს ვერაფერს დასწამებდნენ (ვერავის დააჯარებდნენ), დარეჯან დედოფალი ამოიღეს მიზანში. კიტა აბაშიძე წერს „პოლიტიკურ რომანტიზმში“, ძალიან ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ სალახანა კნორინგისაგან გავრცელებულ ლეგენდას ბატონიშვილთა შორის განხეთქილების თაობაზეო. ასევე ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ და არ დავიჯეროთ ამბები დარეჯან დედოფლის ავანტიურისტულ ბუნებასა და სამეფო საქმეებში ჩარევაზე.

ისტორიულად ცნობილი ფაქტია, რომ ქეთევან ანდრონიკაშვილი 1782 წელს, სრულიად ახალგაზრდა, 28 წლისა გადაჰყვა ძეობას (თეიმურაზის დაბადებას). მისი მოულოდნელი და ტრაგიკული აღსასრული ალექსანდრე ორბელიანს ეჭვს უჩენს, მტრებმა ხომ არ მოწამლესო. ახლო ხანებში მოკლეს ერეკლეს ერთ-ერთი საიმედო საყრდენი – ლევან ბატონიშვილიც. რამდენიმე წლის შემდეგ კი, 1788 წელს აღესრულა ერეკლე მეფის მარჯვენა ხელი – ანტონ კათალიკოსიც. სხვათა შორის კათალიკოსის მოწამვლის ვერსიაც ალექსანდრე ორბელიანმა ახსენა. საქმე ისაა, რომ ისტორიულად დადასტურებული არ არის არც ქეთევან ანდრონიკაშვილისა და არც ანტონ კათალიკოსის მკვლელობა, მაგრამ იმ ეპოქის ზედმიწევნით მცოდნე მწერლისგან ეჭვის გამოთქმაც საგულისხმოა. თვითონ ისტორიკოსთა მოვალეობად მიაჩნია საქმის კარგად დაკვირვება და გამოძიება და დოკუმენტებთან ერთად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მკვლევრის ალლოსაც. „*რა ვქნა, მე ეჭვი მაქვს, ხომ არ მოწამლეს? კარგო ისტორიკო, მოიკითხე კარგათ ღვთის გულისათვის. თუ კარგი ისტორი-*

კოსი იქნები ნამდვილად რომ ვერ შეიტყო მაშინდელი გარემოებისა გამო, მიხვდები და დაინახავ...“ (ორბელიანი, 2023, გვ. 74).

კიდევ რამდენი რამ არის იმ ქალის ამბებიო, – წერს მწერალი და გული გვწყდება, რომ კიდევ ბევრის შენახვა და დატოვება ვერ მოასწრო. მეფე-დედოფლის მიერ რძლის დატირება კი შემოგვინახა სახიერად: შვილო ქეთევან! პირველათ ჩუენთან შენ რომ შამოხველ, ბედნიერება შემოგვითანე, მიდიხარ და თან მიგაქვს ის შენი შემოტანილი ბედნიერებაო. სანამ ცოცხალი იყო, ქეთევანი თავის ძმაზე სულ ფრთხილად იყო, სადაც წავიდოდა, უკან კაცებს აადევნებდა, რას საქმობს და რას შვებაო. იმ ქალის სიკვდილის შემდეგ კი, ერეკლესა და ქვეყნის საზიანოდ, სვავის ფრთები შემოუსხამს და ისე გაუმინდვრებია რევახს.

„არც მწუხარების, არც სიხარულის, არც თანაგრძნობის, არც გამარჯვების, მარცხის და სირცხვილის, გმირობისა და სიამაყის – ცრემლი არ იყო, აღარ ჩნდებოდა თვალის უპესთან, თითქოს დაწყდა მაცოცხლებელი წყაროსწყალი, მიწის გულში პირი იბრუნა“. ცრემლდამშრალ, გაუბედურებულ ქვეყანას უცხო კაცი მოადგა ჩანთით და „უცრემლო ჭირისუფლებს“ ამცნო: სიტყვები მოგიტანეთ, მე მევალეობა მათი შენახვა, თქვენ როცა ამისთვის არ გეცალათო!“ უცხო კაცის მიერ მოტანილი გაუცხოებული სიტყვები ყველამ დაიტაცა და ყველამ: „დიდი ხნის უგრძნობი სისველე იგრძნო დაწვზე... მის გარშემო ბევრი იდგა ცრემლჩამდგარი თვალებით, სანათლავად გამზადებული ემზახვივით სავსე ჰქონდათ უპეები, ცოტაც და მზის სხივები შთაეფლობოდნენ სამეზის და მეტეზისაც“. უცხო კაცი კი ჩანთას არხევდა და „გეგონება, უფსკერო იყო, შიგ საუნჯე არ ილეოდა: – რაც მეტია საუნჯე, ფასიც მეტია. სჯობს ცრემლით, ვიდრე სისხლით“... (სადღობელაშვილი, 2024, გვ. 3).

ცრემლის მეტაფორის „განმარტება“ და „ინტერპრეტაცია“ ქართულ მხატვრულ სინამდვილეში ეროვნული ყოფიერების გასაღებსაც წარმოადგენს და სამყაროს მიმართ ჩვენი ქვეყნის დამოკიდებულებასაც საუკეთესოდ ხსნის.

გამოყენებული ლიტერატურა:

გოჩიაშვილი, ე. (2003). პარასკევი ჩემი დღეა, თბილისი: „მერანი“.
იაშვილი, პ. (1992). სამი ტკივილი. წიგნში: ქართული მინიატურული პროზა. თბილისი: „ლომისი“.
ინგოროყვა, პ. (1992). ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა. ქ. „მნათობი“, 4.
ვაჟა-ფშაველა, (1992). კლდე მტირალი. წიგნში: ქართული მინიატურული პროზა. თბილისი: „ლომისი“.
რატიანი, ი. (2008). ჰერმენევტიკა. წიგნში: ლიტერატურის თეორია. XX ს. ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები, თბილისი: „ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა“.
სადღობელაშვილი, ნ. (2024). ცრემლი, გაზ. „ლიტერატურული გაზეთი“, 25 აპრილი–9 მაისი, 8, 3.
ჩანტლაძე, შ. (1998). მე მოვალ... თბილისი: „ლიტერატურული მატინე“.

References:

- Chant'ladze, Sh. (1998). Me moval... [I will come...]. Tbilisi: „lit'erat'uruli mat'iane“.
- Gochiashvili, E. (2003). P'arask'evi chemi dghea. [Friday is my day]. Tbilisi: „merani“.
- Iashvili, P'. (1992). Sami t'k'ivili. Ts'ignshi: kartuli miniat'uruli p'roza. [Three pains. In the book: Georgian Miniature Prose]. Tbilisi: „lomisi“.
- Ingoroq'va, P'. (1992). Kartuli mts'erlobis ist'oriis mok'le mimokhilva. [A brief overview of the history of Georgian literature]. Zh. „mnatobi“, 4.
- Rat'iani, I. (2008). Hermenevt'ik'a. Ts'ignshi: lit'erat'uris teoria. XX s. dziritadi metodologiuri k'ontseptsiebi da mim-dinareobebi. [Hermeneutics. In: Literary Theory. Key Methodological Concepts and Movements of the 20th Century]. Tbilisi: „lit'erat'uris inst'it'ut'is gamomtsemloba“.
- Sadghobelashvili, N. (2024). Tsremli. [Tear]. Gaz. „lit'erat'uruli gazeti“, 25 ap'rili-9 mai, 8, 3.
- Vazha-pShavela, (1992). K'ldē mt'irali. Ts'ignshi: kartuli miniat'uruli p'roza. [The weeping rock. In the book: Georgian miniature prose]. Tbilisi: „lomisi“.

Nunu Balavadze

ნუნუ ბალავაძე

Ilia state university

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

**Poems Against Violence in the 70s-80s of the 20th Century Georgian
(Lia Sturua, Besik Kharanauli) and American (Louise Bogan, Muriel Rakeyser, Sylvia Plath,
Maya Angelou, Charles Simic, Mark Strand, Galway Kinnell, Thomas Wolfe) on the Example
of Poetic Texts**

**ლექსები ძალადობის წინააღმდეგ მე-20 საუკუნის 70-80-იანი წლების ქართული
(ლია სტურუა, ბესიკ ხარანაული) და ამერიკული(ლუიზ ბოგანი, მიურიელ რაკეისერი,
სილვია პლათი, მაია ანჯელოუ, ჩარლზ სიმიკი, მარკ სტრენდი, გოლუეი კინელი)
პოეტური ტექსტების მაგალითზე**

In the article, on the example of the poems of Lia Sturua and Besik Kharanauli, we consider the poetic texts of the 70s and 80s of the 20th century as lyrical works created against violence; We will talk about why poetry "dares" to oppose the violence caused by totalitarianism and why it has this role in relation to American poetry, where poems should play the role of a mirror, to see the sense of this century, what is called – violence/femicide, racism, loss of humanity.

In the both culture the transcendental lyrical subject becomes an emblem of the individual's resistance to society.

Key Words: violence, mirror, femicide, racism

საკვანძო სიტყვები: ძალადობა, სარკე, ფემიციდი, რასიზმი

პოეზია ახალ ფუნქციას მე-20 საუკუნის 70-80-იანი წლებიდან ითავსებს-იგი გამოდის ძალადობის წინააღმდეგ და აცხადებს, რომ ლექსების ფუნქცია მხოლოდ და მხოლოდ ესთეტიკური ტკბობა არ შეიძლება იყოს, არამედ ლექსები სწორედ სამყაროში ყოველგვარ სიმახინჯესა და ანომალიას უნდა დაუპირისპირდნენ. ეს მიდგომა ქართულ პოეზიაში ლია სტურუასი და ბესიკ ხარანაულის პოეტურ ტექსტებში აშკარად შეინიშნება; ამ პოეტურ ტექსტთა პარალელურად საინტერესოა ამერიკული პოეზია, რომელიც რასიზმის, ფემიციდის, ადამიანთა უფლებების დარღვევის წინააღმდეგ გამოდის. ძალადობაში შესაძლოა იგულისხმებოდეს კონკრეტული ეპოქებით გამოწვეული შეზღუდვა, ადამიანთა უფლებების უფულვებელყოფა.

ლია სტურუასი და ბესიკ ხარანაულის ლექსების მაგალითზე განვიხილავთ მე-20 საუკუნის 70-80-იანი წლების პოეტურ ტექსტებს, როგორც ძალადობის წინააღმდეგ შექმნილ ლირიკულ ნაწარმოებებს; საინტერესოა, რატომ „ბედავს“ პოეზია ტოტალიტარიზმისგან გამოწვეულ ძალადობასთან შეწინააღმდეგებას და ამერიკულ პოეზიასთან მიმართებით მას ეს როლი რატომ ეკისრება.

ლია სტურუა ლექსში „ბალადა მამდარ არ მამაკაცზე“ საუბრობს ადამიანზე, რომელიც საკუთარ არსში რეალურსა და ირეალურს ვერ მიჯნავს. ვერ გაუგია „თემოსეული ანგელოსები“ თავისი „მამდარი უსირცხვილობის“ ცხადია თუ სიზმარი. ის ორი ცხოვრებით ცხოვრობს – „ხორცის წითელი ზვინებით ავსებულ მინდორში“ და საკუთარ სახლში, რომელშიც თავისი ცოლი „სუფევს“, რომელიც ყოველდღიურად ასეთი ქმრის გვერდით მცხოვრები ასრულებს „შიშის, კრძალვის და ზეიმის რიტუალს“ (სტურუა, 1991, გვ. 109).

ქალისთვის რეალობა უფრო ირეალურია, კაცს სურს, რომ ირეალური მისი რეალობის ნაწილი გახდეს. „ვარდისფერი თემოსეული ანგელოსებით სავსე მინდორში იცხოვროს“, ამიტომ ქალი ეცლება ამ ძალადეობის, სიბილწის სამყაროს და თავს იკლავს. ამ ფაქტის შემდეგ ფიზიკურად ქმარი, ეხილება მეორე თვალი, რომელიც ადამიანს საკუთარ არსებობაზე აფიქრებს და თავისი სიზმრები იცვლება – უკვე „თემოსეული ანგელოსები“ კი არა ორი თავგი-თეთრი და შავი ესიზმრება და თავისი ცოლი, რომელიც „პირდაპირ ვარცლიდან, რომელშიც იბანდა, ამალდა ცაში“ (სტურუა, 1991, გვ. 110).

ლია სტურუას პოეზიაში ხშირად ვხვდებით რემინისცენციებს. ამ ტექსტის „სიბრძნე ბალაჰვარისას“ „ცხოვრება სიზმარიას“ ორი თავგი ჩნდება, რომლებიც საწუთროს განასახიერებენ (სტურუა, 1991, გვ. 110) ლექსის ბოლო ტაეპი კი მარკესის „მარტოობის ასი წელიწადიდან“ თეთრულის დაფენის დროს რემედიოსის ცად ამალღება გაახსენდება მკითხველს.

მნიშვნელოვანი ტექსტია ბესიკ ხარანაულის „მენაპირე ვარსკვლავი“, რომელსაც რეფრენად გასდევს სიტყვები „ბაირონი აღარ გაიღვიძებს“-ამითი ავტორი მიგვანიშნებს, რომ ჭეშმარიტი პოეზიის ხანა დასრულდა და „პოეტები გაიკრიჭნენ მოქალაქეებად და რად არ იქცნენ...“ (ხარანაული, 1991, გვ. 397) მათი ყოველდღიური საქმიანობა ლექსის წერა არ არის, „დასვენების დღეებშიღა თუ მოიცლიან ლექსებისათვის“. ზოგადად პოეტობა თუ ტანჯვისა და თანაგრძობისთვის დაბადებას ნიშნავს, ამჟამინდელი პოეტები

„ისევე მარჯვედ უსხლტებიან ყოველგვარ ხიფათს,
როგორც გვერდს უვლის გასრესილ ძალს
მოქალაქე-მომხმარებლის სუფთა მანქანა“.

(ხარანაული, 1991, გვ. 398)

თანამედროვე ქალაქში, რომელშიც ერთდროს პოეზიის სურნელი იდგა, ძაღლები დაწანწალებენ; ბაირონის ნაცვლად იღვიძებენ „სპორტსმენები, მკვლელები და სუპერვარსკვლავები“-ლირიკული გმირი მკითხველს უჩვენებს, რომ ცხოვრობთ სამწუხარო რეალობაში, რომელიც თავად შევქმენით. მიუწვდომელს აღარ ვესწრაფვით და საქმეს ვიმარტივებთ:

„რადგანაც ხალხი კარგი ვინმე გახდა,
მიუწვდომელს უკვე აღარავის ეწვდება
და საქმესაც აღარავის ირთულებს,
ფუჭად ჩაიარა რენესანსის გარჯამ...“

(ხარანაული, 1991, გვ. 399)

ბესიკ ხარანაული მკითხველს წარმოუდგენს გადაგვარებულ სამყაროს, სადაც სექსუალური რევოლუცია იმრჯვებს, მაიმუნის ფორმები მოსწონთ, გონიერ ქალებს ლოცვანის პარარელურად ჩანთებში ინტიმური საგნები უდევთ, „სიყვარულის კეთება“ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე განცდა, პოეტი-მომხმარებელიც მარტოოდენ აღწერს. მღვდელი-ფსიქიატრი ცოდვილს მისი კეთების ძალას უფრო აძლევს და ადამიანები ცოდვის ქმნაზე ოცნებობენ. ლირიკულ გმირს ისლა დარჩენია, ილადადოს:

„დღეს გათენდი, განკითხვის დღევ „ხვალე“,
„ხვალეს“ ნუ გვპირდები,
ხვალ გვიანია,
რადგანაც უკვე ყელამდე ვართ ჩატენილები“.
(ხარანაული, 1991, გვ. 401)

ამ სამყაროში შიშის დაკარგულია ფსევდოთავისუფლების სახელით, მაცხოვარსაც არ მოუნდება დაბადება.

მე-20 საუკუნის გერმანელ ფილოსოფოსსა და სოციოლოგს, თეოდორ ადორნოს თუ დავეყრდნობით, პოეტი „ახდენს ხელოვნების მანიფესტაციას, ხოლო ლირიკული ნაწარმოები იქცევა სოციალური ანტაგონიზმის სუბიექტურ გამოხატულებად“ (Adorno, 1991, გვ. 38). ლია სტურუასი და ბესიკ ხარანაულის პოეზია თანხვდება თეოდორ ადორნოსეულ განმარტებას თანამედროვე პოეტის მიერ ლირიკული ნაწარმოების შექმნის მიზანთან მიმართებით – ლექსებმა საზოგადოებას უნდა წარმოუჩინოს ისეთი სამყარო, რომელშიც, არსებულ რეალობასთან შედარებით, ყველაფერი განსხვავებულია, დაცლილია ყოველგვარი ძალადობისგან. აქედან გამომდინარე, სოციუმსაც უნდა გაუჩნდეს სურვილი, ლირიკული სუბიექტის მსგავსად გაილაშქროს სამყაროს მატერიალიზაციის წინააღმდეგ. შეეწინააღმდეგოს სამყაროში აღმოცენებულ ნიჰილიზმს.

ამერიკულ პოეზიაში პოეზიამ სარკის როლი უნდა შეასრულოს, ამ საუკუნის სენის დასანახად, რასაც ჰქვია – ძალადობა/ფემიციდი, რასიზმი, ადამიანობის დაკარგვა-ქართველ ავტორებთან ამას ლექსის მიერ ადამიანის გადარჩენა ანაცვლებს-სწორედ ეს ტენდენცია იჩენს თავს – ლექსმა უნდა იხსნას ადამიანი-პიროვნება.

გოლუეი კინელი საუბრობს ლექსის არსზე და მას გორას ადარებს („ლექსის თარო“), რომელიც გადამფრენი ფრინველების ფრთებით არის დასერილი, ადარებს ნიადაგს, რომელიც მდინარეებისგან ისერება, დაკაწრულ თავის ქალას.

„ასევეა ლექსიც.
არის ერთგვარი პალიმფესტი, აჭრელებული, ზოლებგავლებული,
ხასიათებით, სურნელით
გამგზავრებისა და დამწვარი ქვისგან.“
(Kinnel, 1964, გვ. 18)

ლექსში „პოეზიის თარო“ ლირიკული გმირის აზრით, დგება საჭიროება, როცა უკვე ლექსები უნდა გამოვდგათ თაროებზე ყუთებში „ლობიოს, სარეცხი საშუალებების ან შვრიის მსგავსად“. ანუ პოეზიაც უკვე ყოველდღიური მოხმარების საგნად უნდა იქცეს. პოეზია არ უნდა იქცეს უხემ პამფლეტად და „ბუნდოვან, ცალმხრივ რომებში“ არ უნდა დაიკავოს ადგილი. მისი მიზანი „სიყვარულის უზომო ტალახში საკუთარი თავის აღმოჩენა უნდა იყოს“ (Kinnel, 1964, გვ. 19).

საინტერესოა ის, რომ გოლუეი კინელი ხაიამთან და კიპლინგთან სულიერ ნათესაობას განიცდის. იგი მიზანმიმართულად დაეძებს ხაიამსა და კიპლინგს (რომლებმაც დედამიწას უკვდავება მიანიჭეს) შორის სივრცეს, რათა პოეტად ჩამოყალიბდეს და დამკვიდრდეს. შეინიშნება კავშირი აღმოსავლურ და დასავლურ პოეზიას შორის.

ის ეპოქაა, როდესაც ახალგაზრდა პოეტებმა უნდა დაიკავონ ძველების გვერდით ადგილი, რაც საამაყოა. ის ეპოქაა, როდესაც კიდევ ერთხელ უნდა შევიგნოთ ის, რომ პოეზია ცასა დამიწას აკავშირებს, ამიტომაც მიგვანიშნებს ავტორი: „წიგნები მაღლა/ვერტიკალურად დგას ბალახში...“ (Kinnel, 1964, გვ. 19).

მარკ სტრენდის ლექსში „ამბავი ჩვენი ცხოვრებისა“ ერთ დღესაც ლირიკული გმირი აღმოაჩენს, რომ:

„თუ რამე დარჩა ჩვენი ცხოვრებიდან,
მხოლოდ ამბავი ჩვენი ცხოვრებისა“.
(Strand, 1998, გვ. 146)

ამავდროულად, იგი ზემოდან დაჰყურებს საკუთარ თავს და ესაუბრება. ეს იმდენად ინტიმური და საკრალური პროცესია, რომ მძინარის ფიქრებსა და სიზმრებსაც კი კითხულობს.

„კაცს ესიზმრება შიშველი ქალი,
რომელიც ბაღში ელოდება,
რომელსაც სჯერა, რომ სიყვარულს უნდა ემსხვერპლოს.
იმავე თავში ქალი კვდება“.
(Strand, 1998, გვ. 146)

ეს, მეორე მხრივ, პოეტის კრებულის ერთ-ერთ თავში აღწერილი სიტუაციაც არის. მარკ სტრენდი მიგვანიშნებს, რომ პოეტი ამქვეყნად ყოველთვის უბედურად გრძნობს თავს, რადგან მისი შიდა და გარე სამყარო ვერ თანხმდებიან, მათ შორის მარადიული ბრძოლაა:

„მისი შინა და გარე სამყარო
ერთმანეთში ვერ თანხმდებიან
და ის თავს გრძნობს უბედურად
თავის სამეფოში“ . (Strand, 1998, გვ. 149)

პოეტად ყოფნის გამართლების კიდევ ერთი დასტურია ლექსი „პოეზიის ჭამა“. როგორც ლირიკული გმირი ამბობს, პოეტის პირიდან მუდმივად ჟონავს მელანი და „არ არსებობს უფრო დიდი ბედნიერება“. შემოქმედსაც იმდენად უყვარს საკუთარი პირმშო, რომ იგი თითოეულ ლექსს ჭამს. მას შეუძლია თამამად განაცხადოს, რომ ის ამ საუკუნეში ახალი ადამიანია, რომელსაც ბევრი სიახლის შეტანა შეუძლია სამყაროში.

„მე ვარ ახალი ადამიანი.
ვუყეფ და ფეხქვეშ ვებლანდები.
ბედნიერი ვხობავ ზურგზე წიგნების კუპრში“.
(Strand, 1998, გვ. 166)

ჩარლზ სიმიკი ერთ-ერთ ლექსში „ოცნებების იმპერია“ ოკუპირებულ ქვეყანაზე საუბრობს. მისი აზრით, ყველა ოკუპირებული ქვეყნისა თუ ქალაქის სახლში სიბნელეა. ლექსში პატარა პროვინციული ქალაქი მსოფლიოს მოდელად არის აღქმული, რომელშიც მალე კომენტანტი საათი გამოცხადდება, რომლის მიზეზი უცნობია.

„სახლები ყველა ბნელია.
მაღაზიები დაცარიელებული/გამომიგნული“.
(Simic, 1996, გვ. 125)

ლირიკული გმირისთვის მნიშვნელოვანია ერთდროულად საკუთარი თავისა და არსებული რეალობის განჭვრეტა, პროტესტი ნიღბებით სიარულის თაობაზე, საკუთარი თავის დაკარგვის შიში:

„მე მაქვს ერთგვარი ჰელოუინის ნიღაბი,
რომლის გაკეთებისაც მეშინია“.
(Simic, 1996, გვ. 127)

ამერიკელი ქალი-პოეტებისთვის ძალადობა განსაკუთრებულად მტკივნეული თემაა. სილვია პლათი „ტიტებში“ საპირისპირო სქესს მიმართავს, სურს, რომ მისი თვალითაც აღიქვას სამყარო. მის გარშემო ყველაფერი არეული და სასტიკია, ამიტომაც მას „სიმშვიდის სწავლა“ უწევს. თუმცა სიმშვიდეს არა საზოგადოებასთან ურთიერთობაში, არამედ მარტობაში სწავლობს-საავადმყოფოში. ლირიკულ გმირს საკუთარი თავისგან გაქცევა უფრო უნდა, ვიდრე საზოგადოებისგან, ამიტომაც ამბობს:

„აღარავინ ვარ; წარსულს მივაბარე ჩემი აფეთქებანი,
სახელი და დღიური ტანსაცმელი – მედღებს,
ცხოვრების ისტორია – ანესთეზიოლოგს, და სხეულიც – ქირურგებს.
ჩემს თავს გასაქანი აღარ აქვს, უძრავად გამოამწყვდიეს ბალიშსა და ზეწრის
თასმებს შორის.“ (Plath, 1992, გვ. 54)

სილვია პლათი საოცრად ბასრი და მძაფრი მეტაფორებითა და შედარებებით აღწერს საკუთარ მდგომარეობას, შესაბამისად, ლექსი დრამატული და სულისშემძვრელია. სიმბოლურია ლექსის სათაური. ტიტები იმდენად კონტრასტულია ერთფეროვან სითეთრესთან. რაც არ უნდა სასოწარკვეთილი იყოს ადამიანი სიცოცხლის სურვილს დაუბრუნებს. მიუხედავად ამისა, ტიტებს სილვია პლათის ლირიკული გმირი არ მიიჩნევს დადებითი მუხტის მატარებლად. პირიქით- საგნებს რაც მეტი სიცოცხლე შემოაქვს ლირიკული გმირის ცხოვრებაში, მით უფრო პროტესტი აღეძვრება.

დეპრესია იმდენად სულისშემძვრელია, რომ ტიტები მისთვის ესთეტიკური სიამოვნება კი არა, ჟანგბადის მშთანქმელ წყაროდაა ნაქცევი. ისინი უკვე შემზარავ ხმებსაც კი გამოსცემენ. ტიტები საშიშ მხეცებად ქცეულან. მხოლოდ გულია დარჩენილი ბარძიმად, რომელიც წმინდა ზიარებას ითხოვს.

„წყალი, გემოს რომ ვუსინჯავ, ზღვასავით თბილი და მლაშეა,
ქვეყანა კი, საიდანაც ის მოედინება, ისევე შორეულია, როგორც
ჯანმრთელობა.“ („ტიტები“. Plath, 1992, გვ. 55)

ლუის ბოგანს მრავალი ლექსი აქვს ქალის ფენომენზე, რომელშიც ერთმანეთს ენაცვლება შიშისა და თამაშის ელემენტები. მისი ტექსტების კვლევა წარმოჩენილი იქნება პოეტის შემოქმედების იმ ფონზე, რომელშიც ლირიკული გმირი ქალის ფენომენზე საუბრობს და აშკარად გამოკვეთს იმ „ახალი ხელოვნებისთვის“ დამახასიათებელ შტრიხებს, რომლებზეც საუბრობს მე-20 საუკუნის მოაზროვნე ხოსე ორტეგა ი გასეტი, რომელიც მიიჩნევს, რომ იმან, რაც ადრე ცენტრი ე. წ. Mainstream-ში იყო, ახლა გადაინაცვლა პერიფერიისკენ, აქედან გამომდინარე, ახალი ხელოვნება – The New Art=Marginale. პოეტიც არ არის ორატორის როლში, „თანამედროვე ხელოვანს აძრწუნებს პერსპექტივა ესოდენ მაღალი მისიისთვის ცხებულობისა“ (გასეტი, 1992, გვ. 109)

ლუიზ ბოგანის პოეზიაშიც ქალი უფრო მძაფრად და აშკარად გამოხატავს შიშს. ამ მხრივ საინტერესოა მისი პოეტური ტექსტი „ქალები“, რომელშიც ქალს შეუძლია ხასიათის იმპროვიზება. უკვე მკითხველი ამჩნევს, რომ ქალის თვისებების ჩამოთვლისას პოეტი პარალელურად მამაკაცის ბუნებაზეც აკეთებს აქცენტს. - ლექსის ეს სტროფში შინაარსობრივად სტრიქონთა ანტითეზას ვხვდებით.

თანდათანობით აუტანელი ხდება ქალის გარშემო შექმნილი ატმოსფერო და ცდილობს თავის შემოსაზღვრულ სამყაროში იცხოვროს, შესაბამისად, მისი არსებაც „აგურის სახლივით ალისფერია.“ თვითონვე დაიდოს ტაბუ, რათა არ გაანადგურონ. ის იასამნისფერი, ღია სტურუასთვისაც საკუთარ თავთან შინდისფერი ფერი ასოცირდება. განსხვავებული ქალია, მაგრამ ეს განსხვავებულობა სხვებისგან აშკარად გამოარჩევს და ესეც იქვევს თრთოლვას. შეგნებული აქვს, რომ გამორჩეულობა დამლუპველია, კანკალებს და ამასთან ერთად სიტყვებით ნიღბავს ამ განცდას. მისი არა-

ვის ესმის, საკუთარი თავი თვითონვე უნდა გაიტანოს. იმდენად გაჯერებულია შიშით, რომ ნებისმიერ დეტალზე სვამს კითხვას და ღია სტურუსას ლირიკული გმირივით ყოველა პოეტურ ქმნილებაში კითხვითი წინადადებებით იწყებს პრობლემურ საკითხზე მსჯელობას. დამრიგებლური ტონით უქადაგებს ეგოს. აქ სიჩუმეც იგივე ყვირილია, ოღონდ უფრო ძლიერიც კი.

ლირიკული გმირი ერთგვარად სოციოლოგის როლში გვევლინება, რომელსაც სურს შეისწავლოს ამ სქესის განსაკუთრებულობა, ანდა, მოგვაწოდოს „ფაქტები“, რომლებიც გვეტყვიან, რომ ქალები არაფრით განსხვავდებიან მამაკაცებისგან, მაგრამ, მეორე მხრივ, ავტორი ერთგვარად განეფინება იმ პერსონაჟ ქალებშიც, რომლების თვისებებზეც თავად საუბრობს.

როგორც ეს ამერიკულ პოეზიასა და, ზოგადად, ფემინისტურ პოეტურ ტექსტებში შეინიშნება, ლუიზ ბოგანის ლირიკული გმირი არ არის „განრისხებული/გაბრაზებული ქალი“ („Angry Woman“) ვინც საკუთარ კომპლექსებსა და სულიერ ტრავმებს სამყაროს აბრალებს. ლუიზ ბოგანის ლექსი „ქალები“ შემდეგ ქვეტექსტს მოიცავს – სამყარო ორი ნაწილისგან შედგება-ქალი და მამაკაცი, რომლებსაც სხვადასხვა, მაგრამ ერთდროულად მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრებათ, ისინი ერთმანეთს ვერ ჩაანაცვლებენ, თუმცა ორივე ერთი მთლიანის სახესხვაობაა და ადამიანებისა (საზოგადოების) თუ ინდივიდის პრობლემას წარმოადგენს ის, რომ თითოეული ვერ ხედავს თავის განსაკუთრებულობას, ისინი (ქალიც და მამაკაციც) საკუთარი ფუნქციის უპირატესობის წარმოჩენით შემოიფარგლებიან, რაც ამახინჯებს მათსავე რეალურ სახეს.

ხოსე ორტეგა ი გასეტი ამბობს, რომ ახალი თაობის პოეტისთვის მთავარია იყოს პოეტი და ახალი ხელოვნება მეცნიერებასთან, პოლიტიკასთან და ახალ ცხოვრებასთან ერთად ახდენს საზღვრების ლიკვიდირებას და პოეტი იწყება იქ, სადაც მთავრდება ადამიანი“ (გასეტი, 1992, გვ. 61-62) უნდა ითქვას, რომ მსგავსი ტენდენცია ღია სტურუსასა და ლუიზ ბოგანთანაც გვხვდება. ლექსის დასაწყისიდან ბოლომდე თანდათანობით ვგრძნობთ გაუჩინარებას ადამიანის, ამ შემთხვევაში, ქალისა, რომლის არსიც იკარგება სოციალური თუ კულტურული თვალსაზრისით.

„შავკანიანთა მოდემის აღთქმაში“ მაია ანჯელოუს ლირიკული გმირი საუბრობს შავკანიანთა პრობლემებსა და გულისტკივილზე. მისი თქმით, ყველა სიმწელე წინაპართა გზის დავიწყების გამო ემართებათ. შესაბამისად, რაც მათ ვერ მიაგეს წინაპრებს, ლირიკული გმირის აზრით, მათაც იმავეს გაუკეთებენ მომავალი თაობა-შვილები. მომავალი თაობა საკუთარ გზას ვეღარ იპოვის, ვეღარ ილოცებს, მშობლების ტირილს ვერ შეისმენენ, გზაარეულ შვილებს გააჩენენ, – ამ ყველაფრის სათავე და მიზეზი სიყვარულის დავიწყებაა. ცხოვრება ის სარკეა, რომელში ჩახედვისთანავე „სიძულვილის სამადლობელი“ სამყარო ყვირის (Anjelou, 1993, გვ. 44). ადამიანები არა სიყვარულს, არამედ სიძულვილს უხდებიან მადლობას, სიძულვილის გზას ადგანან. ამიტომაც შავკანიანი ადამიანი დებს აღთქმას, რომ ერთმანეთს ჩასჭიდონ ხელი და განაახლონ წინაპართა გზაზე სიარული, რაც სიყვარულს მოუტანთ. დაიბრუნონ თავიანთი თავმდაბლობა, უერთგულონ თავიანთ სიმარტოვეს, მხოლოდ სიკეთე ჩაიღიონ და ამის ნაცვლად პატივი და ღირსება მიეგებათ.

ამ სამყაროს ტრაგედია იმაში მდგომარეობს, რომ რასიზმი ბატონობს. შავკანიანები თეთრკანიანებისგან აღიქმებიან შიშველ, ეულ, მშიერ და ყოველგვარ გრძნობას მოკლებულ არსებებად.

მიურიელ რაკეისერი ლექსში „მკვდრის წიგნიდან. მკვდრის წიგნი“ საუბრობს სამყაროში მომხდარ კატაკლიზმებზე. ევროპასა და ამერიკაზე, როგორც ამ ორი კონტინენტისა თუ კულტურის კონტრასტზე. ლექსში ნებისმიერი სიტყვა, თუ წინადადება სიმბოლურად რაღაც ფაქტს შეიძლება უკავშირდებოდეს:

„მკვდარი, და ეს კაცები იბრძვიან ჩვენი სიკვდილისთვის,
ახველებენ ომის თეატრებს“.

ლირიკული გმირი ამბობს, რომ სწორედ ამ ისტორიისმარად დასამახსოვრებლად სამი რამ არ უნდა ჩავიდინოთ:

„რა სამი რაღაც არ ინდა გავაკეთოთ?
დავიწყება, სიჩუმე. მარტო დარჩენა“.
(Ruskeiser, 1968, გვ. 78)

ომებს მოაქვს „შუმის ბორცვები და თვითმფრინავის ფატალური ბრწყინვალეობა“. ამერიკა კონტრასტული სახეა ევროპისა, რომელიც არ შეიძლება გამოყენებული იქნეს გარდაქმნისთვის“. მხოლოდ ამერიკაში შეძლებს ადამიანი სუნთქვას.

პოეტი მკითხველს ეუბნება, გაიაზროს, როგორი წარმოუდგენელია მიტაცებული მიწების, დაწესებული საზღვრის, დაცემული ქალაქების, გადათელილი ტყეებისა, და ბლოკადის შემდეგ „გამქრალის გაცოცხლება“.

„იხილე, როგორ წაიღეს მიწა, სიცოცხლის შემდგომ
გამქრალის გაცოცხლება, პიონერად დარგული ბაზა და ბლოკადა.
მივიღოთ ტყეები, რომლებიც გადათელილია ფეხით
დასავლეთით, სადაც ახალი ღრუბლები
მზის ჩასვლას გვაუწყებს.
აიღეს საზღვაო. შეცვალა იზოლაცია,
დაეცა ქალაქები, სადაც ისინი იდგნენ,
დააწესეს ევროპის საზღვარი“.

(Rukeyser, 1968, გვ. 79)

ლექსის პერსონაჟი სამყაროს საზღვრებს აკონკრეტებს-მისთვის ევროპა „კონკრეტული დასავლეთია“, რომლის თავზე ღრუბლები ფრიალებს. ხოლო ფანტასტიკური ქვეყანა სამხრეთით მოიაზრება, რომელიც უპირისპირდება ევროპას, ის არის თვით „სამყარო უდაბნოში“, მასში „სიცოცხლის შადრევანია“. აქ, ევროპისგან განსხვავებით, „შეუზღუდავი საზღვრები“, „აყვავებული მიწები“ და „დაუსრულებელი სიყვარულის მარცვალია“ (Rukeyser, 1968, გვ. 80).

თუკი სიმბოლიზმის დროს ქართული კულტურა ევროპულისკენ ისწრაფვოდა, მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან მწერლის წარმოდგენაში ერთმანეთს ორი სრულიად განსხვავებული სამყარო უპირისპირდება. სამყარო, რომლისკენაც ინდივიდი უნდა მიილტვოდეს და მეორე-რომელსაც უნდა გაექცეს. სწორედ ლირიკული სუბიექტისთვისაც თავისუფლების სიმბოლოა ამერიკა, ხოლო საბჭოთა კავშირი თავისუფლების შემზღუდავი. ავტორისთვის მნიშვნელოვანია კავშირი რკინის ფარდის მიღმა სამყაროსთან. შესაბამისად, ბესიკ ხარანაულიცა და ლია სტურუაც ცდილობენ თავიანთი პოეზიის მეშვეობით შექმნან თანამოაზრე საზოგადოება, რომელიც მათ მსგავსად შეხედავს არსებულ რეალობას და თანაუგრძნობს.

ქართველ და ამერიკელ ავტორთა შედარება შეიძლება მართლაც გვამღევედეს იმის დასკვნის საშუალებას, რომ თანამედროვე პერიოდში, როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში, კაპიტალისტურ და სოციალისტურ პერიოდში, როგორც არ უნდა იყოს საზოგადოების ფორმა, ტრანსცენდენტული ლირიკული სუბიექტი იქცევა საზოგადოებისადმი ინდივიდის წინააღმდეგობის ემბლემად.

გამოყენებული ლიტერატურა:

- სტურუა, ლია. (1991). ლექსები, პოემები, თბილისი: „საქართველო“.
- ხარანაული, ზესიკ. (1991). ლექსები, პოემები, თბილისი: „საქართველო“.
- Adorno, Teodor. (1991). Note to literature, New York, „Columbia university press“
- Angelou, Maya. (1993). “On the Pulse of Morning” (excerpt) from On the Pulse of Morning. Copyright © 1993 by Maya Angelou. Used by permission of Random House, an imprint and division of Penguin Random House LLC. All rights reserved.
- Bogan, Luise. (2005). Poets Prose: Selected Writings Of Louise Bogan Paperback – June 4, 2005, by Louise Bogan (Author), Mary Kinzie (Editor)
- Gasset, Jose Ortega. (1992). "Dehumanization of art", Tbilisi: "Lomis"
- Juno, Andrea. (1999). Angry Women Paperback – August 1
- Kharanauli, Besic. (1991). Agoniuri. Tbilisi: "Meran"
- Kinnell, Galway. (1964). “Burning” from Flower Herding on Mount Monadnock. Copyright © 1964 by Galway Kinnell. Reprinted with the permission of Houghton Mifflin Company. All rights reserved, www.houghtonmifflinbooks.com.
- Rukeyser, Myrriell. „poetry in 1968” poems, <https://www.poetryfoundation.org/search?query=Muriel+Rukeyser>
- Plath, Sylvia. (1992). The Collected Poems Paperback – September 2, 2008(1956-1963) – First Harper perenntial edition Published 1992
- Simik, Charles. (1996). Copyright Credit: Charles Simic, “Mirrors at 4 a.m.” from Walking the Black Cat. Copyright © 1996 by Charles Simic. Reprinted by permission of Houghton Mifflin Harcourt. Source: Walking the Black Cat (Houghton Mifflin Harcourt, 1996)
- Strand, Mark.(1998).The Art Of Poetry LXXVII (During an interview Mark Strand discusses his writing style and his poetry, pp.146-178, 1998, Publisher – Paris Review

References:

- Adorno, Teodor. (1991). Note to literature, New York, „Columbia university press“
- Angelou, Maya. (1993). “On the Pulse of Morning” (excerpt) from On the Pulse of Morning. Copyright © 1993 by Maya Angelou. Used by permission of Random House, an imprint and division of Penguin Random House LLC. All rights reserved.
- Bogan, Luise. (2005). Poets Prose: Selected Writings Of Louise Bogan Paperback – June 4, 2005, by Louise Bogan (Author), Mary Kinzie (Editor)
- Gasset, Jose Ortega. (1992). "Dehumanization of art", Tbilisi: "Lomis"
- Juno, Andrea. (1999). Angry Women Paperback – August 1
- Kharanauli, Besic. (1991). Agoniuri. Tbilisi: "Meran"
- Kharanauli, Besic. (1991). Leksebi, p'oemebi. [[Poems, verses]. Tbilisi: "Sabsh'oita Sakartvelo".
- Kinnell, Galway. (1964). “Burning” from Flower Herding on Mount Monadnock. Copyright © 1964 by Galway Kinnell. Reprinted with the permission of Houghton Mifflin Company. All rights reserved, www.houghtonmifflinbooks.com.
- Rukeyser, Myrriell. „poetry in 1968” poems, <https://www.poetryfoundation.org/search?query=Muriel+Rukeyser>
- Plath, Sylvia. (1992). The Collected Poems Paperback – September 2, 2008(1956-1963) – First Harper perenntial edition Published 1992
- Simik, Charles. (1996). Copyright Credit: Charles Simic, “Mirrors at 4 a.m.” from Walking the Black Cat. Copyright © 1996 by Charles Simic. Reprinted by permission of Houghton Mifflin Harcourt. Source: Walking the Black Cat (Houghton Mifflin Harcourt, 1996)
- Strand, Mark.(1998).The Art Of Poetry LXXVII (During an interview Mark Strand discusses his writing style and his poetry, pp.146-178, 1998, Publisher – Paris Review
- St'urua, Lia. (1991). Leksebi, p'oemebi. [Poems, verses]. Tbilisi: "Georgia"

Khatuna Chanishvili

ხათუნა ჭანიშვილი

Caucasus University

კავკასიის უნივერსიტეტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

The Boarder Between Poetry and Journalism as a Reflection of the Old and Nitification of the New

(according to the first issue of the newspaper “Georgia” for 1918)

პოეტურისა და პუბლიცისტურის ზღვარი როგორც ძველის ანარეკლი და ახლის უწყება

(გაზეთი „საქართველო“ 1918 წლის პირველი ნომრის მიხედვით)

First issue of the newspaper “Sakartvelo” in 1918 includes contemplative poetic texts, against the background of which the publications acquire logical content, adding completeness to the newspaper. It seems that time and main century concepts are limited to description of poetic and publicist spirit movements building Georgian national identity. Authors have identified key accents characteristic to universal, Georgian-European civilization and took them as organic basis for live thinking process. Authors’ thought reflects main modus of being human that is established as the basis for Georgian publicist literature of three-year freedom period while for us, the contemporaries – as undoubted life experience.

Keywords: Poetry, publicistics, newspaper “Sakartvelo”

საკვანძო სიტყვები: პოეზია, პუბლიცისტიკა, გაზეთი „საქართველო“

გაზეთი „საქართველო“ 1918 წლის პირველ იანვარს, ორშაბათს მეოთხე გვერდს იმ პოეტური მასალით დაასრულებს, სადაც პუბლიკაციებით და პოეტური მასალით ჩაწერილი და შეკუმშულია ქართული ისტორიის, იდენტობის მთავარი სააზროვნო ველი. აღნიშნული საგაზეთო ნომერი, შესაძლოა, ჩვენთვის ახალ სააზროვნო გზავნილად გაცხადდეს 106 წლის თავზე, ვინაიდან თემატიკა და სტრუქტურა, ჩვენი დაკვირვებით, ზუსტად ასახავს და ასახავდა რეალობას. სწორედ რეალობის აღქმის, მოხელთებისა და ახალ სათქმელად გადაქცევის უნარია ის მთავარი ხელსაწყო, ჩვენთვის, ახლანდელთებისთვისაც რომ ახლოობს. 1918 წლის 26 მაისამდე 145 დღე იყო დარჩენილი. საქართველოში თავისუფლების სამწლიანი ლანდი ჩამომდგარიყო და მიძინებულ, ძველი ისტორიული ცხოვრებით სუნთქვამოსაბრუნებელ, დაღლილ ხალხს კვლავ შეახსენა, რომ ის აქ არის. მის იქ ყოფნას კი როგორც ჩანს, მსოფლიო პოლიტიკური ძვრები უფრო განაპირობებდა, ვიდრე ქართველთა გააზრებული განსჯანი და ქმედებანი. ამ აზრს გაზეთის აღნიშნულ ნომერზე, როგორც შეკუმშულ დროისა და სივრცის ანარეკლზე დაკვირვებაც გვიდასტურებს.

პირველი იანვრის ნომერი ჩვენთვის პუბლიცისტურისა და პოეტურის ზღვარის დანახვა და აღმოჩენაა, როგორც უხილავი, შინაგანი, ყველაზე ცოცხალი დიალოგის ნიშანი. დიალოგისა, რომლის მნიშვნელობის გააზრება გვაიძულებს სუფთად ამოვიკითხოთ ის მთავარი შინაარსი, რაც ყვე-

ლაზე მტკივნეულ და გადასაჭრელ ამოცანად ჩანდა და ახლაც ჩანს, აქ გვხვდება ისტორია, ღირებულება, ლექსი, სამშობლო, პოლიტიკა, სიყვარული, ლეგენდა. თითქოს ნიშანთა იმ სისტემამ მოიყარა თავი, თავად რომ მიიხმობს შესახვედრად მკითხველს. მკითხველს, რომელიც საუკუნის თავზეც გზააბნეული დაღაცელებს თითქოს უფრო დიდი

ლანდების კვალად, რადგან თეორიულად თავისუფალია, მაგრამ თითქოს ვერ სუნთქავს მას, დამოუკიდებელია, მაგრამ ვერ ცხოვრობს თავს. ისევ ჩამომდგარა უსაშველოდ მომლოდინე საიდანმე შემოქროლილი, ძღვნად მიღებული და არა საკუთარ თავში ნავარჯიშევი, ღირსების განმცდელი რეალობის მისაღებად. იქ და აქ არის მხოლოდ სპექტაკლი. სპექტაკლი არა როგორც სამხრეთული კულტურის მახასიათებელი ცოცხალი ყოველდღიურობის იმპროვიზაციის ნაწილი, არამედ, როგორც ჩაკეტილი სივრცე, სადაც ფარდა გახუნებულია, დარბაზი მტვრიანი, მაყურებელი მთვლემარე, რეჟისორი უინტერესო, მხატვარი ზნესუსტი. მალფუჭებადი მასალით მყარი დეკორაციის აგების უტოპიური იდეით შეპყრობილი. მაგრამ აქ სხვა პრობლემაცაა. აქ აქამდე უცნობი თეატრალური დასი გამოკეტილა სადღაც გაურკვეველ ალაგას, სადაც ზღვარი მოშლილია ნამდვილსა და ზღაპრულს შორის. ზღაპრულს, რომელიც თავის თავში მაინც ინახავს კეთილ დასასრულს, რომელიც არ ჩანს, შორეთშია. ჩვენი მიზანი კი სწორედ ამ კეთილ დასასრულთან მიახლოების მცდელობაა, გზის გაკვალვის მცდელობა ტექსტებში მაინც, სადაც იმ ხალხის ნააზრევია, რეალობას რომ წუთითაც არ დაშორებულან. იქნებ მათთან მიახლოებამ გამოაჩინოს თემშარანი.

თავისუფლების მიღების წლის პირველი საგაზეთო ნომრისთვის შერჩეულ პოეტურ ნაფიქრალში არ იკითხება ნაგულისხმევი მოლოდინი. აქ უფრო აზროვნების საფეხურებია გავლილი თუ ავლილ-ჩავლილი. ვალერიან გაფრინდაშვილი „სურნელოვან სარკეში“ სარკის დაისების ოცნებაა გაფენილი და სულის ბროლის სერაბიმთან გადყრისა. ეს არის დრო, როცა თვალები ივიწყებენ ცის შუშაბანდებს და სურნელება გრძნეულ ქალაქთა სანახავად ფიქრს ამოქმედებს, რაც საბოლოოდ ფარხმარდაყრილს ეიმედება:

„მე ისევ ვეტრფი ორეულთა სასტიკ მყინვარებს,
რომ აჩრდილების მოვისმინო თეთრი ბრძანება“ .

(გაფრინდაშვილი, 1918, გვ. 4)

გრძნეულ ქალაქებზე ფიქრი, რომელიც მოქმედია, მოაზროვნე პოეტს აიძულებს დამორჩილდეს იმ დროს, სადაც ცა დავიწყებულია, დავიწყებულია ხაგრძლივად, ეპოქალურად. სერაბიმები კი სულ დაემებენ სულს, სულს, რომელთაც შესწევთ ძალა მათზე ფიქრისა. სწორედ ეს ფიქრი გადაარჩენს პოეტს, რომელსაც საუკუნის თავზე მიაკითხავს ერთი ვინმე და სთხოვს საჩუქრად უსახსოვროს ნამდვილი და ტკივილიანი გამოცდილება, თუ როგორ ხდება დროში დარჩენა, დროში, რომელიც სულ მოითხოვს ახალ სიმბოლოს თუ ახალ ცისფერყანწელს, რომელიც მთელი არსებით გრძნობს სასტიკ მყინვართა გარდუვალობას, რასაც აჩრდილთა ბრძანება მოსდევს. ეპოქალური, პოლიტიკური მძიმე სული ლანდად კრავს პოეტურ სათქმელს, რომელის გამოსავალი მხოლოდ ლექსად დარჩენაშია და ეს უდაო გამოსავალია, შემნახავი, გადამრჩენელი. გაზეთის მთავარი რედაქტორის გრიგოლ ვეშაპელის საახალწლო მილოცვაც ამ ხაზზე სუნთქავს. ისიც გადარჩენას ლამობს, მხოლოდ პუბლიცისტის ხმითა და ფიქრით. „*ნუ ვუსურვებთ ერთმანეთს პირადად ნურც ბედნიერებას, ნურც დღეგრძელობას. აღსრულდეს აღსასრულებელი*“ (ვეშაპელი, 1918, გვ. 1). რადგან უკან 1917 წელი იყო. სისხლიანი და კიდეც გაგრძელება იქნება// იყო. „*დღეს საქართველო იმ გმირსა ჰგავს, მარჯვნივ წახვალ თუ მარცხნივ, სულღერთია დაღუპვას იმუქრება*“ (ვეშაპელი, 1918, გვ.1). შორსმჭვრეტელია გრიგოლ ვეშაპელი. მისი სამხერი ჰორიზონტებითაა შემოსილი და ვერც ინტუიციურად ვერ ჭვრეტს მოახლოებულ თავისუფლებას, რადგან ცივი გონებით იცის კონტექსტი, რასაც მისი ქვეყანა ვერ გადურჩება. იცის გონებით, სულით. იცის რეალობა და იმ მაყურებელთა მტვრიანი დარბაზიდან გარეთ გადის. გარეთ, სადაც რეალობა თავისთავადია. წამკითხავს ელის. ეპოქას, სარკეს, რევოლუციის აჩრდილებს, თან სერა-

ბიმთა ძალისხმევას სწეული სიფხიზლით დაადგენს ნამდვილს, რეალურს და ამიტომ ამბობს: „საქართველოს დიდება ჯერ კიდევ შორეა“ (ვეშაპელი, 1918, გვ.1). ვინ იცის რა დროს ინახავს სიტყვა „შორეა“. ჩვენი ფიქრით, ეს სიშორე მაშინ შემოკლდება, თუ ამ ტექტებში არსებულ გამოცდილებას ჩვენად გარდავქმნით და სინამდვილის წაკითხვას შევძლებთ. არ მოვუდუნდებით ნამდვილი ფიქრის სიმძაფრეს. თუმცა წერილის ფინალი მართლაც ზღაპრულია. ისეთი, როგორც ქართველის გზა. ავტორი პლატონ იოსელიანის, როგორც თავად აღნიშნავს, მესიანისტურ სიტყვას იხსენებს და ზღაპრულ დასასრულს ქმნის ასე: „ქართველთა გამოსწოვნეს ტვინი სპარსთა, და რომელთა, შეჭამეს ბიზანტია და თვით დარჩნენ შეუჭმელად...ესეთი არს თვისება და ხასიათი ქართველთა ნათესავისა, ძველისა კაცთა ნათესავთა შორისო“ (ვეშაპელი, 1918, გვ. 1). ზღაპარი, რომელიც შინ მშვიდობით აბრუნებს გმირს, ერთი აუცილებლობათაა განპირობებული: გმირი უნდა ხედავდეს ისე, როგორც შემოქმედი. მას უნდა ჰგავდეს, შეცდომა არ უნდა დაუშვას. ამიტომაც სპექტაკლის ჩაშლა აუცილებელი და ნამდვილ ცხოვრების სცენაზე გადმონაცვლება, სადც მტვერი გადაიწმინდება და თოვლიც მოდის, სუფთა, იისფერი...

ტიტე ტაბიძის „ბალაგანის მეფე“ იმ ღმერთსგანდგომილი კაცის მრუდე ტკივილის გადმომცემია, ჰაერშიც რომ შეიგრძნობოდა, ოღონდ ვისაც ჰაერის შეგრძნება შეეძლო, ვინც გარეთ იყო და არა თავის მოდერნულ ნაჭუჭში ჩასმული, სადაც სპექტაკლს მართლაც საკუთარი თავის გარდა არაფერი სურს, სადაც ცრუ დასახლებები და სასაცილო ინიციატივების უგემოვნო მასკარადია, სადაც სისხლი უსათუოდ იღვრება. ამ აზრის პოეტურად განმცდელია ტიტე ტაბიძე და საკუთარი თავის თუ მთელის ბალაგანის მეფედ გამგები. „*მე ძველი მახსოვს აღთქმები წმინდა და დავიწყებულ ღმერთს ვევედრები*“ (ტაბიძე, 1918, გვ. 4). თუმცა ვედრება ღონემიხდილთა ნებაა მხოლოდ მისუსტებული. გაქცეული დრო ისე შორსაა, ვერ დაეწევა პოეტი და სხვა რაღა თქვას, თუ მოიმოქმედოს, თუ არა ლექსი, რომელიც მის ხმას და სულის სურათს გაზეთის ფურცელს მიანდობს. დრო გავა და ის ისევ ისუნთქს, როგორც პოეტი ახალი დროის, უფრო მეტიც, შეეწევა, ახალი მედიების ღვარცოფში სულ უფრო მეტად ჩაკარგულ ადამიანს, რომელსაც საკუთარი თავი ბოლომდე დავიწყებია. მაგრამ ძველების ფიქრად ქცეული პოეტური ამბავი ბალაგანის მეფისა თავისი სევდით ცოცხლობს სწორედ და გადარჩენილია ჩვენთვის, რომ გვითხრას:

„და ბალაგანის მოკვდები მეფედ,
 რაღაც მეფური იყო ჩემს სულში,
 დაგვიანებულ ხმით შემიერთეთ
 თქვენ, ვინც მღეროდით ღმერთზე წარსულში“.
 (ტაბიძე, 1918, გვ. 4)

ღმერთი შორსაა, ჭეშმარიტებაც, მასზე მსჯელობის შესაძლებლობაც. ამიტომ ერთი გზისგამკვალავი მხოლოდ ხიდია დროის მიერ გადებული, საუკუნოვანი, ძველი, თუმცა შეუმჩნეველი, ნისლში ჩაკარგული. ეს ხიდი ჩვენთვის ნისლების გვერდით ცნაურდება, თუკი ვეცდებით მათში გავლას, დანამული სუფთა ჰაერით გაშლილი სივრცე აღმოჩნდება ჩვენთვის გადანახული ამჯერად პოეტური სიტყვის სახით.

თითქოს გვიხმობს საკუთარ ნამდვილ გამოცდილებასთან საზიარებლად და მზა საფეხურად, ასავლელად. ოღონდ გამოვჩნდეთ. ამ გზაზე ერთი პუბლიკაციაც წამოგვწეწევა, სათაურით „მცინარე“. ავტორი დავით კასრაძე, ღმერთთან მომლოდინედ ჩნდება. ცდილობს გაარკვიოს ანდაზის „კაცი ბჭობდა ღმერთი იცინოდას“ საზრისი. ავტორმა დიალოგის ფორმა აირჩია და ხმა-მაღალ ფიქრად იქცა იქაც და აქაც. ფიქრად, რომელიც ერთი შეხედვით მისტიკურ ჭრას ჰგავს და დაბრუნებული საბოლოოდ ამბობს, რომ „ისიც იტანჯება ჩვენი ტანჯვით, იწვის ჩვენი საცოდაობით“ (კასრაძე, 1918, გვ. 4). და აქ სამართლიანად უნდა გაგვახსენდეს, რომ ღმერთსაც სჭირდება ადამიანის მხარდაჭერა. შეიძლება მეტად ნაივურად თქმაც, -მასაც უხარია. ასე კარგავენ დაემებენ შემოქმედს გაზეთ „საქართველოს“ 1918 წლის პირველ ნომერში, ძველი გაზეთი გადახუნებულ

გვერდებზე, სადაც ყველაზე მძაფრად შეიგრძნობა რეალობა, სადაც სპექტაკლი, როგორც უსულო, მტვრიანი სივრცე და ყველაფერი ხელოვნური, დამარცხებულია. ამის უტყუარი ნიშანი ჩვენი ფიქრის სიმძაფრეცაა, სადაც ყველაზე ცხადად ჩანს ხიდი, რომელიც საუკუნეს ითვლის და ჩვენთვისვე გადებულია. აქ ვალის გადახდის დრო დგება ხიდთან მიახლოება მხოლოდ მათთვისაა ნებადართული, ვინც ნამდვილად ცხოვრობს. ნამდვილად ცხოვრების საზომი კი ამავე გაზეთის ერთი პუბლიკაციის მიხედვითაც დგინდება, რომლის სათაურია „მძლეეთამძლე დამარცხდა“. ლეგენდა ალექსანდრე მაკედონელის შესახებაა, თუ როგორ შეარჩია არასწორი ადგილი დასაბინავებლად და როგორ დატბორა სამეფო სივრცე მიწისქვეშა წყალმა. ეს ლეგენდაც ღმერთდავიწყებულ მეფეზე გვიყვება, რომელიც თან რეალობასაც დაშორებია. მან მაშინ მხოლოდ საკუთარი თავი იცოდა, ნამდვილ ცხოვრებას კი ასცდა, საკუთარ თავში დამპყრობელი უფრო აცხოვრა და ბუნებისგან ენიშნა, რომ დავიწყება შესაძლოა ადამიანური თვისებაა, მაგრამ გახსენება თუ დაკარგული დროის პოვნაც ხელეწიფება მას, ადამიანს მაკედონელს, „საქართველოს“ რედაქტორს გრიგოლ ვეშაპელსა თუ ჩვენ, სპექტაკლის საზოგადოების ერთგულ ხალხს, რომელთათვისაც გახსენება საკუთარი ვინაობისა დღეს უპირველეს ვალდებულებად გვიცხადდება. „ახალ იმედით გავაღებ კარებს, ყოველდღე ველი მე ფოსტალიონს“ (დადიანი, 1918, გვ. 4).

ეს გახლავთ ამონარიდი ბოლო ლექსისა, რომელიც გაზეთის ლოგიკურ დასასრულად ჩნდება. მოლოდინი და იმედია ახალი ადამიანის საყრდენი. 1917 წელი უკვე იყო. საქართველოს კი წინ მოულოდნელი დამოუკიდებლობის, დამოუკიდებლობის სამი წელი ელის. რის უწყებას მოიტანს ფოსტალიონი ავტორმა ჯერ არ იცის, თუმცა აქედან შეგვიძლია ვიკითხოთ, დღესაც იმავე იმედით ხომ არ მყოფობს საზოგადოების ნაწილი. კვლავ ფოსტალიონის უწყების და არა საკუთარ თავად, ძალისხმევად ცხოვრების ნამდვილ უწყებად, რომელიც დროშიც შენიშნული და აღსაქმელი იქნება. ზოგისთვის ისევე ბინდია და გზებიც დაბურული. აქ შეუძლებელია გვერდი ავუქციოთ სიმონ ქვარიანის პუბლიკაციას „ზეციერ ასულს“, სადაც ეპოქის სურათხატია აღწერილი. თითქოს უცნაურია, რომ საახალწლო, პირველი იანვრის ნომერში ამოვიკითხავთ შემდეგს:

„აჰა გაისმა ხმა უცნაური, ხმა საზარელი, ხმა საშინელი. კვლავ იჭედება ხალხთ ბორკილები, კვალად იწნება მათრახი მათთვის, კვალად მზადდება საპყრობილენი. ამ დროს კი აღვირახსნილი ბრბო ღმუის მახვილით ხელში, ღმუის არყით და სისხლით მთლად გაღეშილი. და ბრბოს წინაშე ფერხულს უვლის სიკვდილის ლანდი. ცეკვავს, ტრიალებს უცნაურად, წითლად იცინის... ბნელდება ირგვლივ“ (ქვარიანი, 1918, გვ. 4).

ძნელია დაიჯერო, რომ იმ ქვეყანაში, სადაც მალე დამოუკიდებლობას იზეიმებენ საპირველიანვრო გაზეთი ასეთი პათოსით ხმაურობს. ჩვენ მხოლოდ შემდეგს ვიტყვით: სპექტაკლი, როგორც რეალობის ჩამნაცვლებელი, იმდენად ვირტუოზულად თამაშდება, რომ სარკასტულ სარკეებს აყენებს ირგვლივ. ხალხი იყურება, მაგრამ ვერფერს ხედავს ნამდვილს, რადგან გონება აცდენილია რეალობას. ირონიაა განგების, რომ საუკუნეების ნანატრი დამოუკიდებლობა თავს დაგვატყდება ისე, რომ ამას ცოცხლად ვედარავინ აღიქვამს. შემთხვევითი არც ისაა, რომ ამავე ნომერში „საახალწლო მილოცვა“, რომლის ავტორია ჩიორა, კვლავ ბაზალეთის ტბის გმირს ნატრობს: „აი, ეს იმედი და სასოება ამშვენებს მკითხველო ჩემს საახალწლო, სამეკვლეო ხონჩას“ (ჩიორა, 1918, გვ. 4).

ჩვენი ხედვით, სრულიად მწყობრად გვიამბობს 1918 წლის პირველი იანვრის ნომერი იმდროინდელ და დღევანდელ ქვეყანაზე, ქართველების ქვეყანაზე, სადაც ბაზალეთის ტბის გმირის მითი კვლავ აქტუალურია და საიდან გამოგვეცხდება არავინ იცის. მთავარია მოლოდინი, უსასრულო, დაუსაბამო და უსასრულო ლოდინი გოდოს ბეკეტისეული, თუ ვაჟას მთების?

გაზეთ „საქართველოს“ 1918 წლის პირველი იანვრის ნომერში შეკუმშული დრო იქ და აქ მყოფობს, როგორც უძრავი რამ და დიახ, რაც იყო, ის არის და რაც არის, იქნება? ბაზალეთის ტბის გმირს საღათას ძილით ჩასძინებია. თითქოს არავინაა, ვინც მის გაღვიძებას ეცდება. კვლავ ლოდინი, უსასრულო ლოდინია.

გამოყენებული ლიტერატურა:

გაზეთი საქართველო, (1918). 1.

ტაბიძე, ნ. (2011). პუბლიცისტიკის საკითხები, თბილისი: „უნივერსალი“.

References:

Gazeti "Sakartvelo". (1918). [Newspaper "Georgia"]. 1.

T'abidze, N. (2011). P'ublitsist'ik'is sak'itkhebi. [Issues of Journalism]. Tbilisi: „universali“.

Nino Dondoladze

ნინო დონდოლაძე

Batumi Shota Rustaveli State University

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Georgia, Batumi

საქართველო, ბათუმი

Trope in Georgian and English Romantic Poets' Poems

ტროპი ქართველ და ინგლისელ რომანტიკოსთა ლექსებში

A trope can be an important characteristic feature of a poem. Tropes can reflect changes happening in the time, national characteristics and aesthetics of a literary movement. They can convey not only a poet's mood, but also part of his Weltanschauung. The aim of the article is to show essential characteristics of verbal structures of Romantic poetry and explore similarities and differences between tropes applied by Georgian and English Romantic poets.

The study of tropes is carried out mainly through Maia and Giorgi Natadze's theory of imagery. Tropes in poems by English and Georgian poets are analyzed and it is concluded that metaphors of the Georgian and English Romantic poets reflect aesthetics of the movement. Tropes differ in terms of "compactness," which is the result of national characteristics.

Keywords: trope, romanticism, aesthetics, Christian

საკვანძო სიტყვები: ტროპი, რომანტიზმი, ესთეტიკა, ქრისტიანული

ჩემი მიზანი არის ვაჩვენო თუ რა არსებითი ნიშანი ახასიათებს რომანტიკული მსოფლმხედველობის პოეზიის სიტყვიერ სტრუქტურას, რა განასხვავებს მას რეალისტური მსოფლმხედველობის, მათ შორის ხალხური ლექსის სიტყვიერი სტრუქტურისგან და მეორე, რა განსხვავებაა ამ მხრივ ერთიდაიგივე მსოფლმხედველობის სხვადასხვა ერის ავტორთა პოეზიაში. ეს განსხვავება კარგად უნდა ჩანდეს ტროპში და ამიტომ ერთმანეთს ვადარებ ტროპებს ქართველ და ინგლისელ რომანტიკოსთა პოეზიაში.

ტროპი პოეზიის უმნიშვნელოვანესი ელემენტია. ნებისმიერი სახის მეტაფორას განსაკუთრებული გავლენის მოხდენა შეუძლია მკითხველზე. როგორც ცნობილია, ესთეტიკური ფუნქციის გარდა მეტაფორას შეუძლია მრავალმხრივ ასახოს სამყარო, გამოხატოს მწერლის/პოეტის ინდივიდუალური თუ ეროვნული მახასიათებლები, ასახოს მიმდინარეობის ესთეტიკა, ეპოქალური ცვლილებები.

ტროპის მნიშვნელობა ბერძნულიდან მომდინარეობს, ნიშნავს ჩვეულებრივი მნიშვნელობიდან შემოტრიალებას იმისთვის, რომ შეიქმნას სემანტიკური, ლექსიკური „გადახვევა“ (Wales, 2014, გვ.162). რომან იაკობსონის განმარტებით, ტროპი, მეტაფორა, სემანტიკური პარალელიზმის შემცველი სიტყვა/ფრაზაა. ტროპში არსებულ პირველი და მეორე მნიშვნელობებს ზოგიერთი მსაზღვრელ საზღვრულს უწოდებს, ზოგჯერ „tenor“ (ის, რაც აღიწერება) და vehicle (სიტყვა, რომლის საშუალებითაც აღწერს) უწოდებენ ან უბრალოდ, პირველ და მეორე მნიშვნელობას. პირველი მნიშვნელობით ავტორი ხსნის მეორე მნიშვნელობას, პირველი მნიშვნელობა გამოხატულია, ითქმის,

მეორე იგულისხმება, დაფარულია. თუ მკითხველამდე ორივე მნიშვნელობა მიდის, მაშინ მკითხველი იგებს ავტორის სათქმელს.

აზროვნება მეტაფორულია. ზოგადად, აზროვნების პროცესში ადამიანი ერთ მოვლენას მეორესთან აკავშირებს მსგავსების საფუძველზე. რაც მისთვის ნაცნობია, იმის საშუალებით ცდილობს ახსნას უცნობი. ტროპშიც ხდება ერთი მნიშვნელობის მეორით დახასიათება. მეტაფორაში ავტორმა, შესაძლოა, ამხსნელად გამოიყენოს ისეთი მოვლენა, რაც მისთვის უფრო საინტერესო, ნაცნობი და გათავისებულია. როგორც მაია და გიორგი ნათაძეები თავიან სტატიაში „რა არის ტროპი და როგორ აისახება მის ცვლაში ეპოქების ცვლა“ აღნიშნავენ, ავტორი ამხსნელად ირჩევს იმ მოვლენას თუ საგანს, რაც მისთვის უფრო ახლოსაა და გასაგები და მოყავთ მაგალითები ქართველი, გერმანელი, რუსი, ინგლისელი, შოტლანდიელი ავტორების ლექსებიდან (1988, გვ. 227-229).

რომანტიკოსი და რეალისტი პოეტების ტროპებს შორის განსხვავების გამოსავლენად შეგვიძლია ერთმანეთს შევადაროთ ნაწყვეტები რობერტ ბერნსის და რობერტ საუთის ლექსებიდან. რობერტ ბერნსი წერს: „*O my Luv's like a red, red rose / That's newly sprung in June / O my Luv is like the melody / That's sweetly play'd in tune*” (Burns, 2013). ნაწყვეტი რობერტ საუთის ლექსიდან „წმინდა მთა“: „*The violet there its modest perfume shed, / Like humble virtue, rather felt than seen*.” (1851, გვ. 766). ორივე ნაწყვეტში გამოყენებულია ტროპის ნაირსახეობა, შედარება. პირველ ლექსში რობერტ ბერნსი, ვისი პოეზიაც ხალხურ პოეზიასთანაა ახლოს და ფაქტიურად რეალიზმს მიეკუთვნება, თავისი გრძნობის შთამბეჭდავ ხატს ქმნის იმით, რომ ივნისის ახალგაშლილ წითელ ვარდს და მელოდიას ადარებს სიყვარულს. ვარდი მატერიალურია, ასევე მატერიალურია მელოდიაც, მას ემპირიული შეგრძნებით აღვიქვამთ. გრძნობა არის ელემენტი სულიერი სამყაროს. რობერტ ბერნსის ამ ტროპში პირველი მნიშვნელობა ფიზიკურია, მეორე-სულიერი. პოეტი გრძნობას ხსნის მატერიალური სამყაროს ელემენტით და ასე ეხმარება მკითხველს გაიგოს რა მშვენიერია მისი სიყვარული. ინგლისური რომანტიზმის წარმომადგენელ რობერტ საუთისთან პირიქით ხდება, ფიზიკური (ია და მისი სურნელი) დაზუსტებულია სულიერით, სათნოებით, რომელსაც პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ, გრძნობით ჩაწვდები. ორივე პოეტის ლექსში ტროპის თავისებურება მიმდინარეობის ესთეტიკას უკავშირდება. რეალისტი მის გარეთ მყოფი სამყაროს ობიექტური დამკვირვებელი და შემფასებელია და ამიტომ მატერიალურის საშუალებით ხსნის მოვლენას. რომანტიკოსი ემოციას აკვირდება და ესაა მისთვის მნიშვნელოვანი (უილიამ უორდსვორთის ცნობილი რომანტიზმის ფორმულა „ლირიკული ბალადების“ შესავალში გამოხატავს რომანტიზმის ესთეტიკის ამ არსებით მახასიათებელს: „*Poetry is the spontaneous overflow of powerful feelings: it takes its origins from emotion recollected in tranquillity*” (1991, გვ. 251)). მოკლედ რომ ვთქვათ, რომანტიკოსებში დამახასიათებელი სამყაროს ემოციური აღქმა ვლინდება ტროპში იმით, რომ ფიზიკურის ახსნა, დაზუსტება. ხდება სულიერით, ადამიანის სულის თვისებით.

ამგვარი ტროპის (როცა ფიზიკური ახსნილია სულიერით, ადამიანის სულის მოძრაობით, ემოციით) ნიმუშია ბაირონის ლექსში „ჭექა-ქუხილი ალპებში“: „*O night, / And storm, and darkness, ye are wondrous strong, / Yet lovely in your strength, as is the light / Of a dark eye in woman!*” (2024) და იგივე ლექსშია: „*...where the swift Rhone cleaves his way between / Heights which appear as lovers who have parted / In hate, whose mining depths so intervene, / That they can meet no more, though broken-hearted; / Though in their souls, which thus each other thwarted, / Love was the very root of the fond rage...*” (2024). ასეთივე ტროპის მაგალითია ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსშიც „შემოღამება მთაწმინდაზედ“: „*გინახავთ სული, ჯერეთ უმანკო მხურვალე ლოცვით მიქანცებული / მას ჰგავდა მთვარე ნაზად მთარე, დისკო-გადახრით შუქმიბინდული!*” (1978, გვ. 172). მსგავსი მაგალითია გაზვიადების ინგლისელი პოსტრომანტიკოსი პოეტის ელიზაბთ ბარეთ ბრაუნინგის 43-ე სონეტში („მათქმევინე როგორ მიყვარხარ“ . . .): „*I love thee to the depth and breadth and height / My soul can reach, when feeling out of sight / For the ends of being and ideal grace*” (2024).

ტროპები, რომლებშიც ფიზიკურის დაზუსტება ხდება სულიერით, გვხვდება სხვადასხვა ქვეყნების რომანტიკოსების პოეზიაში. ეს ტროპები რომანტიკული პოეზიის მარკერია და მომდინარეობს რომანტიზმის ესთეტიკიდან. მათი არსებობა არის არსებითი მსგავსება ქართულ და ინგლისელ რომანტიკოსთა ტროპებს შორის. თუმცა არსებობს სხვა ტიპის მსგავსებებიც.

ალ. ჭავჭავაძის ლექსში „კავკასია“ ფიზიკურის ახსნა ხდება რელიგიურით: „*კავკას, მათ მათ შორის მხოლოდ უცვალელებელი, /ზოგთა ჰმუსრავს, ზოგთ ჰბადებს ვით ღმერთი მბრძანებელი*“ (1978, გვ. 63). აქ ხდება ზებუნებრივით, სულიერით დაზუსტება, რაც ზოგადად ახასიათებს რომანტიკოსების პოეზიას. ქრისტიანული ხედვა ჩანს სხვადასხვა ქვეყნის რომანტიკოსთა მიერ შექმნილ ხატებში. თუმცა ეს (რელიგიური პლანი) მხოლოდ რომანტიკოსთა ესთეტიკის მანიშნებელი არ არის და ნებისმიერ მიმდინარეობის ავტორთან გვხვდება.

ბუნებას დიდი ადგილი უჭირავს ნებისმიერი რომანტიკოსის შემოქმედებაში—ერთ-ერთი მსგავსება ქართულ და ინგლისელ რომანტიკოსების ტროპებს შორის არის ის, რომ მათ პოეზიაში უხვად გვხვდება გაპიროვნება. გაპიროვნება თავისთავად რომანტიკულია, რეალისტ პოეტთან იშვიათად იპოვი, პრაქტიკულად არ გვხვდება. მაგალითად, ალ. პუშკინის პოეზიას, რომელიც რეალისტურია, საერთოდ არ ახასიათებს ბუნების გაცოცხლება და ამიტომ მის ლექსებში არ არის გაპიროვნება. როცა ბუნებაზე საუბრობს, რომანტიკოსი პოეტი მას, როგორც ცოცხალს ისე აღიქვამს და გაპიროვნების სიმრავლე ამ მსოფლმხედველბრივ მომენტიტაა განპირობებული. გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ რომანტიკოსების ლექსებში ხშირად გვხვდება გაპიროვნების ნაირსახეობა – *ტროპული მიმართვა* (რასაც ზოგჯერ კრიტიკულ ლიტერატურაში აპოსტროფს უწოდებენ). ამგვარი ტროპული მიმართვები გვხვდება სხვადასხვა ეროვნების რომანტიკოსის ლექსში: „*ვინ იცის, მტკვარო, ვისთვის რას იტყვი*“ (ბარათაშვილი, 1978, გვ.176), „*მთაო ცხოველო, ხან მცინარო, ხან ცრემლიანო*“ (ბარათაშვილი, 1978, გვ. 172), „*Thou hast a voice, great Mountain*“ (Shelley, 2024); „*Thou too, hoar Mount!*“ (Coleridge, 2024). ლირიკული გმირი ხშირად ბუნების ცალკეულ ელემენტებს მიმართავს, როგორც პირისპირ მდგომ მოსაუბრეს, იმავე საზოგადოების წევრს, რომელსაც თავად ეკუთვნის. ტროპული მიმართვის გამოყენება უნდა მომდინარეობდეს რომანტიკოსთა შეხედულებიდან, რომ ორივეს, ადამიანსა და ბუნების ნებისმიერ ელემენტს აქვს ერთნაირი გრნობა, ერთნაირი განცდა. რომანტიკოსისთვის გაპიროვნებული ბუნება და ადამიანი ერთ სოციუმს ქმნის, ბუნების სხვადასხვა ელემენტი ისეთივე წევრია საზოგადოების, როგორც ადამიანი.

რომანტიკოსების. როგორც ქრისტიანული სამყაროს წარმომდგენლების პოეზიაში, როგორც უკვე ავღნიშნე, ბუნებრივია, აისახა რელიგიური ყოფა. ქართულ და ინგლისელ რომანტიკოსებთან ზოგჯერ ერთმანეთის მსგავსია ალუზიები, ტროპებით შექმნილი ქრისტიანული მსოფლმხედველობის მანიშნებელი ხატები. ჩვენს მიერ განხილულ ლექსებში რელიგიური ყოფის ამსახველი ტროპები ბიბლიურ ალუზიებთან ერთად სამყაროს შესახებ ერთ მთავარ ქრისტიანულ შეხედულებას უკავშირდება: სამყარო ღვთის შექმნილია და ყველაფერი ამ სამყაროში ზეციურს ადიდება თავისი არსებობით. მაგალითად, ნაწყვეტი ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსიდან „შემოღამება მთაწმინდაზე“: „*რა სანახავი წარუტყვევს თვალთა მაშინ შენს ტურფა სერზედ მდგომარეს! /ძირს გამლილს ლამაზ ველსა ყვავილნი მოჰფენენ, ვითა ტაბლას წმიდასა, /და ვით გუნდრუკსა სამადლობელსა, შენდა აღკმევენ სუნნელებასა!*“ (1978, გვ. 171). ამ სტრიქონებით–ნიკოლოზ ბარათაშვილი მთას მიმართავს და არა უშუალოდ ღმერთს, მაგრამ ლექსში გამოყენებული ტროპები ქრისტიანული კონტექსტის მანიშნებელია და მთაც „წმინდაა“. ტროპული მიმართვაში „*ჰოი, მთაწმინდავ, მთაო წმინდავ*“; პირველი მიმართვა გეოგრაფიულ ადგილს ასახელებს, მეორეს ზებუნებრივი პლანი შემოყავს, ღვთიურს უკავშირდება, ყვავილები სამადლობელს ზეციურს მიართმევენ.

მსგავსი რელიგიური შინაარსის გამოხატველია ტროპები ინგლისელი რომანტიკოსის ს. ქოლრიჯის ლექსშიც: „*To rise before me--Rise, O ever rise, /Rise like a cloud of incense from the arth! /Thou kingly Spirit throned among the hills, /Thou dread ambassador from Earth to Heaven, /Great Hierarch! tell thou the silent sky, /And tell the stars, and tell yon rising sun/ Earth, with her thousand voices, praises*

God.”(Coleridge, 2024). სხვა მსგავსი მაგალითია ს. კოლრიჯის ლექსიდან „ბუნებას“: „*And the sweet fragrance that the wild flower yields/ Shall be the incense I will yield to Thee, Rise like a cloud of incense from the Earth!*“ (1981, გვ. 202) ნ. ბარათაშვილის ტროპის მსგავსად, რობერტ საუთის ლექსში „წმინდა მთა“ ველი შედარებულია ტაძართან: „*For all that vale was like a temple made/ By Nature's hand.*“ (2024) შდრ. ნ. ბარათაშვილთან „ტაბლა“ (1978, გვ. 171).

ზემოთ მოყვანილი ნაწყვეტებში ტროპები ამავე დროს ბიბლიური ალუზიებია და ძირითადად უკავშირდება 148 ე ფსალმუნს „*აქედით უფალსა ქუეყანით ... მთანი და ყოველნი ბორცუნი, ხენი ნაყოფიერნი და ყოველნი ნაძუნი*“ (ბიბლია, 2015, ფსალმუნი 150: 7-9), ან სხვა მსგავს ნაწყვეტებს ბიბლიიდან, როგორცაა, მაგალითად, ნაწყვეტი ფსალმუნთა მეთოთხმეტე კანონიდან: „*აკურთხედიტ უფალსა ყოველნი ქმნულნი მისნი ყოველსა ადგილსა უფლებისა მისისასა, აკურთხევეს სული ჩემი უფალსა*“ (ბიბლია, 2015, ფსალმუნი 102: 22). ქართველ და ინგლისელ რომანტიკოსებთან აზრი ერთია, ღმერთია სამყაროს შემოქმედი, მისი ხელია ყველგან და მას აქვს ყველა ქმნილება.

ამ შინაარსობრივი მსგავსების გარდა, ზემოთ მოყვანილ ნაწყვეტებში შეიმჩნევა განსხვავებაც: ნ. ბარათაშვილთან ტროპი უფრო კომპაქტურია, ვიდრე ინგლისელი რომანტიკოსების. ზოგადად, ინგლისელი რომანტიკოსების ტროპების შედარებისას შეიმჩნევა, რომ უილიამ უორდსვორთის, რ, საუთის, ს. კოლრიჯის, ლექსები უფრო დახუნძლულია დეტალებით. ნ. ბარათაშვილის ლექსში სათქმელი უფრო შემჭიდროვებულად გამოითქმება და მეტი სივრცეა სიტყვებს შორის. ეს განსხვავება, „კომპაქტურობა“, ალბათ, ეროვნული ბუნებიდან მომდინარეობს. მსგავსი განსხვავება შეინიშნება ზოგადად ქართული ქრისტიანული ხელოვნების და ინგლისური ქრისტიანული ხელოვნების ნიმუშების შედარებისას.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართველ და ინგლისელ რომანტიკოს პოეტებთან არის შემთხვევები, როცა ტროპში ფიზიკურის ახსნა ხდება სულიერით, ადამიანის შეგრძნებით. ეს ყველაზე არსებითი მსგავსებაა, რომელიც ვლინდება ტროპში და იგი რომანტიკოსების ესთეტიკიდან მომდინარეობს. ასეთი რამ არ ხდება რომანტიკოსების ყველა ტროპში, მაგრამ ამგვარი, რომანტიზმის ესთეტიკასთან უშუალოდ დაკავშირებული ტროპები გვხვდება სხვადასხვა ქვეყნის რომანტიკოსთა პოეზიაში, მათ შორის ქართველ და ინგლისელ რომანტიკოსთა პოეზიაში და მათი პოეზიის, მეტაფორის მარკერს ქმნიან. განსხვავებაა ის, რომ ქრისტიანული მსოფლმხედველობის გამოხატვისას ქართულ რომანტიკულ ლექსში ტროპი უფრო კომპაქტურია.

გამოყენებული ლიტერატურა

- ბარათაშვილი, ნ. (1978). ქართველი რომანტიკოსები, 169-228. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- ბიბლია. (2015). თბილისი: „ალილო“, „ქრონიკონი“, ალექსი შოშიაშვილი
- ნათაძე, მ. და ნათაძე გ. (1988). რა არის ტროპი და როგორაისახება მის ცვლაში ეპოქების ცვლა, 194-259. თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამოცემა“.
- ჭავჭავაძე, ალ. (1978). ქართველი რომანტიკოსები, 35-137. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- Browning, E.B.(2024). Sonnets from the Portuguese 43: How do I love thee? Let me count the ways. Poetry Foundation. <https://discoverpoetry.com/poems/lord-byron/thunderstorm-on-the-alps/>
- Burns, R. (2013). My Luve is like a Red, Red, Rose. Robert Burns. [BBC – Robert Burns – My Luve is like a Red Red Rose](https://www.bbc.com/culture/article/20130913-my-luve-is-like-a-red-red-rose)
- Byron, L. (2024). Thunderstorm on the Alps. Poetry. <https://discoverpoetry.com/poems/lord-byron/thunderstorm-on-the-alps/>
- Coleridge, S.T. (1981). Verse and Prose, Moscow: Progress Publishers.
- Coleridge, S.T.(2024). Hymn before Sun-rise, in the Vale of Chamouni, Poetry Foundation. <https://www.poetryfoundation.org/poems/43988/hymn-before-sun-rise-in-the-vale-of-chamouni>
- Shelley, P.B. (2024). Mont Blanc: Lines Written in the Vale of Chamouni, Poetry Foundation. <https://www.poetryfoundation.org/poems/45130/mont-blanc-lines-written-in-the-vale-of-chamouni>
- Southy, R. (1851). The Complete Poetical Works of Robert Southey. New York: D. Appleton&Company.
- Wales, K. (2014). A Dictionary of Stylistics, London&New York: Routledge Taylor and Frances Group.
- Wordsworth, W. Coleridge, S.T. (1991). Lyrical Ballads. London and New York: Routledge.

References:

- Baratashvili, N.(1978). Kartveli Romantikosebi [Geprgian Romantic Poets]. 169-228. Tbilisi: “Sabchota Sakartvelo”.
- Biblia. (2015). [Bible]. Tbilisi: Alilo Press. Kronikoni Press. Aleks Shiolashvili.
- Browning, E.B.(2024). Sonnets from the Portuguese 43: How do I love thee? Let me count the ways. Poetry Foundation.
<https://discoverpoetry.com/poems/lord-byron/thunderstorm-on-the-alps/>
- Burns, R. (2013). My Luve is like a Red, Red, Rose. Robert Burns. BBC – Robert Burns – My Luve is like a Red Red Rose
- Byron, L. (2024). Thunderstorm on the Alps. Poetry.
<https://discoverpoetry.com/poems/lord-byron/thunderstorm-on-the-alps/>
- Chavchavadze, Al. (1978) Kartveli Romantikosebi [Georgian Romantic Poets]. 35-137. Tbilisi: “Sabchota Sakartvelo”.
- Coleridge, S.T.(2024). Hymn before Sun-rise, in the Vale of Chamouni, Poetry Foundation.
<https://www.poetryfoundation.org/poems/43988/hymn-before-sun-rise-in-the-vale-of-chamouni>
- Coleridge, S.T. (1981). Verse and Prose, Moscow: Progress Publishers.
- Natadze, M.& Natadze, G. (1988). Ra aris tropi da rogor aisakheba mis tsvlashi epokebis tsvla. [What is a trope and how changes of time is reflected in its change].Tbilisi: Tbilisi University Press.
- Shelley, P.B. (2024). Mont Blanc: Lines Written in the Vale of Chamouni,Poetry Foundation.
<https://www.poetryfoundation.org/poems/45130/mont-blanc-lines-written-in-the-vale-of-chamouni>
- Southy, R. (1851).The Complete Poetical Works of Robert Southey. New York: D. Appleton&Company.
- Wales, K. (2014). A Dictionary of Stylistics, London &New York: Routledge Taylor and Frances Group.
- Wordsworth, W. Coleridge, S.T. (1991). Lyrical Ballads. London and New York: Routledge.

Ketevan Samadashvili

ქეთევან სამადაშვილი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

Thematic and Versification Trends of the Georgian Lyric Poem of the Second Half of the 20th Century

XX საუკუნის II ნახევრის ქართული ლირიკული ლექსის თემატური და ვერსიფიკაციული ტენდენციები

The main question of hermeneutics is: how is the world that we want to understand arranged. Georgian lyrics discuss all topics that people think about.

In this regard, the poetry of the 2nd half of the 20th century is particularly important, their work in the modern era deserves special attention.

The subject of our discussion is the theme and versification trends of the Georgian lyric poem of the second half of the last century, taking into account the following aspects: intercultural isolation and destruction, individual way of describing reality, difficulties of establishing innovations.

Keywords: Georgian lyric, lyric poem, poetic generations

საკვანძო სიტყვები: ქართული ლირიკა, ლირიკული პოემა, პოეტური თაობები

ანტიკური ხანიდან პოეზია ხელოვნების უმაღლეს, სინთეზურ დარგად მოიაზრება, ლირიკა კი – პოეზიის პოეზიად. ლირიკული სინამდვილე არა მხოლოდ კონკრეტულის, აბსტრაქტულის წვდომის საშუალებასაც გვაძლევს, შთაგონების მიღმა დგას – გაცილებით ტევადი და მნიშვნელოვანია. ლირიკული ლექსის ერთ-ერთი ყველაზე საგულისხმო თავისებურება ისაა, რომ იგი ჯერ კიდევ შექმნის პროცესში მკითხველის თანაარსებობასა და ჩართულობას გულისხმობს. მ. მაჭავარიანი აღნიშნავს: „*ლექსი იმდენნაირია, რამდენმა კაცმაც წაიკითხა*“ (მაჭავარიანი, 2013, გვ. 156).

ლირიკული ლექსის ცენტრში ავტორია. იგი ასახიერებს და ობიექტურ სახეს აძლევს არა უშუალოდ მოვლენას, არამედ – თავის დამოკიდებულებას ამ მოვლენასთან. ასე იქმნება ობიექტური ფაქტით შთაგონებული სუბიექტური პოეტური ხედვა, მხატვრული ასოციაცია, განწყობილება გადაეცემა მკითხველს და ზემოქმედებს მასზე.

საქართველოში ლირიკის განვითარების კლასიკურ პერიოდში (XVII-XVIII სს) ძირითადად დომინირებდა ეპიგრამა, დითირამბი, ეპითალამა, მიძღვნა. უკვე XIX საუკუნიდან ლირიკული ჟანრების დეტალურმა გამოვლენამ მნიშვნელობა დაკარგა, მაგრამ თავისებურად მაინც ფუნქციონირებდა. ფოლკლორული ნიმუშები ცხადყოფს, რომ ქართული ლირიკული პოეზია ხალხურ-მითოსურ ნიადაგზეა აღმოცენებული, მისი წანამძღვრები „ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგშიც დაიძებნება.

საგულისხმოა, რომ ევროპიდან შემოსულ რომანტიზმს საქართველოში მკვეთრად ეროვნული სულისკვეთება ასაზრდოებდა. მან ქართულ ლიტერატურაში ახალი შემოქმედებითი პრინცი-

პეზი და ჟანრები დაამკვიდრა – მაგალითად, საკუთრივ ლირიკისა და ელეგიის პატრიოტული, ფილოსოფიური და სატრფიალო სახეობები.

XIX საუკუნის 60-იანელთა („თერგდალეულთა“) სამწერლო ასპარეზზე გამოსვლას წინ უმნიშვნელოვანესი მოვლენა უძღოდა – ივანე კერესელიძის მიერ 1857 წელს ჟურნალ „ცისკრის“ განახლება. სწორედ ამ ჟურნალმა შემოიკრიბა სხვადასხვა თაობისა და მსოფლმხედველობის ქართველი მწერლები: გ. ორბელიანი, ა. ორბელიანი, გ. რჩეულიშვილი, ბ. ჯორჯაძე, მ. თუმანიშვილი და სხვანი, რათა მხატვრული ლიტერატურა ეროვნული თვითშეგნების გაღრმავების წყაროდ ექციათ.

სიმბოლურია, რომ სწორედ ასი წლის შემდეგ, უკვე 1957 წელს, მწერალ ვახტანგ ჭელიძის რედაქტორობით განახლდა ჟურნალ „ცისკრის“ გამოცემა. იგი წარმატებით ამოუდგა გვერდში ჟურნალ „მნათობს“, რომელსაც ს. ჩიქოვანი რედაქტორობდა. ლიტერატორთა წრეებში ბევრმა (ალ. კალანდაძე, რ. მიშველაძე, კ. იმედაშვილი) სწორედ „ცისკრის“ დაარსების თარიღი მიიჩნია ახალი ლიტერატურული ხანის (60-იანი, ზოგი მოსაზრებით, 50-იანი წლების) დასაწყისად. მაგალითად, მკვლევარი ა. ნიკოლეიშვილი მიიჩნევს, რომ მოცემული პერიოდის, პირობითად 60-იანი წლების, ქრონოლოგიური ჩარჩოები ბევრად სცდება კალენდარული ათწლეულის ფარგლებს და მასში უნდა მოვიაზროთ 1956-1975 წლები.

ქართული ლირიკული ლექსის შემოქმედნი წარმატებით აგრძელებენ წინაპართა გზას, განცდების განზოგადებული წარმოსახვის საშუალებით ეხმიანებიან ზოგადსაკაცობრიო იდეალებსა და თანამედროვეობას. ამასთან, მათთვის უცხო არც ვერსიფიკაციული სიახლეებია და არც სიტამამე – მკაცრი ცენზურის პირობებში უერთგულონ ჭეშმარიტ ღირებულებებს. *„XX საუკუნის [...] ეროვნული პოეტური აზროვნების შინაგანი განახლების პროცესი, უპირველეს ყოვლისა, იმ თაობის მწერალთა სახელებს უკავშირდება, რომელნიც 40-იანი წლების მეორე ნახევარსა და 50-60-იანი წლებში გამოდიან სამოღვაწეო ასპარეზზე“* (ნიკოლეიშვილი, გვ. 402)

XX საუკუნის II ნახევრის ქართული ლირიკის ზოგადი ენობრივი ტენდენციის გაანალიზებამ ცხადყო, რომ პოეტები თამამად მიუბრუნდნენ არქაულ სინტაქსურ კონსტრუქციებს. მ. მაჭავარიანისა და მ. ლებანიძის ლირიკაში ენის მიზნობრივი დამკვლეობა ძირითად შემთხვევებში პათეტური განწყობის შექმნას ემსახურება. მაგალითად, ლექსში „დუმილი რეკავს“, მ. მაჭავარიანი ძველქართული ენობრივი ნორმების გაცოცხლებას ცდილობს: *„ორი ცრემლიდან საქართველოს გაჰყურებს საბა; ვერ დაუნახავს დღეს უცრემლოდ ქართველსა ქართლი“* (მაჭავარიანი, 2006, გვ. 74).

გ. ასათიანი გამოჰყოფს XX საუკუნის 60-იანი წლების პოეტური აზროვნების სამ ურთიერთკონტრასტულ მოდელს: 1. ირაკლი აბაშიძის მიზანმიმართული კურსი პოეზიის „მარადიული“ პრობლემატიკისა და მყარი, კლასიკური ფორმისაკენ („აკადემიზმის“ ნაკადი, რომელიც სათავეს იღებს ციკლიდან „რუსთაველის ნაკვალევზე“); 2. ურბანისტული პოეტური აზროვნების გაღრმავება, „რთული“ პოეზიის აღმოცენება, რომელიც ოთარ ჭილაძის შემოქმედებას უკავშირდება და 3. მურმან ლებანიძის შემოქმედება – „პოეტური სიხალასის, შინაური, სადა, გულითადი ინტონაციების, და, შესაბამისად, გასაგები, ხალხური „გამდაბიურებული“ ფორმის მედროზე“ (ლიტ. პროც. და კრიტ., 1980, გვ. 19).

მიღმური სათქმელი იკითხება მ. ლებანიძის პატრიოტული თემატიკის ტაეპებში: *„გასწით, ხარებო, ღვინიებო და წიქარებო, გასწით, ხარებო – თქვენი გზა ნახეთ!“* (ლებანიძე, 2012, გვ. 77) ან *„ჩვენ თვალს ვაყოლებთ სამხრეთისკენ გაფრენილ ჩიტებს...“* (ლებანიძე, 2012, გვ. 34). თამამი და ბუნებრივია სამშობლოსადმი მიძღვნილი ლექსები. პოეტს, რაჭის ბუნების შვილს, გულს უტეხს ქართული ვაზის ჯიშების გადაგვარების ფაქტი, დაცლილი სოფლები, ნამარნალები, ნაურმალები... იგი პირდაპირ აცხადებს: *„მეშინია, ეს სამოთხე, ეს წალკოტი სხვა არავინ მოვიდეს და დაიკავოს!“* (ლებანიძე, 2012, გვ. 204).

მ. ლებანიძე ბევრგან თხრობის პუბლიცისტურ სტილს იცავს („ფუნდუკში, დილით, წვეწვს ხვრეპდნენ სამნი“, „მატარებლიდან...“), ეს განსაკუთრებით იმ ლექსებზე ითქმის, პოეტის მეუღლეს, ელენე ჭავჭავაძეს რომ ეძღვნება: *„დათვები,“ „ელენეობა – მაისის ღამეს,“ „როგორ არ ვწუხდე,*

როს ფერი მიგდის“ და სხვ. მათში ყოველდღიური საზრუნავი და ჭირისუფლის გულისხმიერებაა ჩაქსოვილი.

ნაომარი კაცის განცდებია აღბეჭდილი მ. ლებანიძის ფრონტულ ლირიკაში („სურათი – 1943“, „არც რაინდობა,“ „ათასი კილომეტრი თოვლში!“ „მარუხისაკენ“...). ახალგაზრდობაში განვლილი ომის გზა მის წარმოსახვაში წლების შემდეგ არაერთგზის ცოცხლდება. „*დამესიზმრება: სისხლის წებო ჩემმაში ჩამდის და, როგორც კურდღელს, მესერშიტი მინდორში დამდევს...*“ (ლებანიძე, 2012, გვ. 196). ლექსებში ფრაგმენტულ კადრებად გაილევეს თოვლსა და ყინვაში ფეხით განვლილი ათასი კილომეტრის თუ ცხენ-კაცის ლემით მოფენილი მინდვრების აგონია. პოეტი იმ ადამიანების სახეებსაც არ ივიწყებს, დაჭრილ ჯარისკაცს მხარში რომ ამოუდგნენ და ადამიანური სითბო გაუნაწილეს („გარიაჩი-კლიუჩიდან კრასნოდარამდე“).

მ. ლებანიძეს ეკუთვნის უამრავი მიძღვნილი ხასიათის ლექსი: „ოთარ ჭელიძეს,“ „ბორის პაიჭაძეს,“ „თამუნია ქავთარაძეს,“ „ლადო,“ „ანა კალანდაძეს,“ „ილიას“ და სხვ. ამასთან, ადრესატები, არცთუ იშვიათად, საზოგადოებისთვის უცნობნი არიან („ლილი,“ „გვაშაყან“...).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გალაკტიონისადმი მიძღვნილი ლექსების ციკლი, სადაც მონუმენტურადაა აღქმული ქართული პოეზიის უგვირგვინო მეფის ფიგურა, სწორუპოვარი სიცოცხლეშიც და სიკვდილშიც: „*ყვავილების მდინარეს რკინის კუბო მიჰქონდა, იწვა გალაკტიონი, სივრცეებზე ფიქრობდა*“ (ლებანიძე, 2012, გვ. 138). მემუარული ლირიკის ეს ნიმუში პირველად 1968 წელს გამოქვეყნდა. აქ ფრაგმენტულადაა გაშუქებული პოეტის ცხოვრებისეული დეტალები, ოსტატურადაა ჩართული სასაუბრო ინტონაციები და გროტესკული ელემენტები.

მ. ლებანიძის ლირიკული ლექსის რიტმი მელოდიურია და მრავალხმოვანი, განსაკუთრებით იზოსილაბური საზომებით დაწერილ ლექსებში. პოეტს შემოაქვს თავისუფალი ლექსის ელემენტებიც. იგი ჰეტეროსილაბური ლექსის („ფიქრები,“ „ქართვლის დედა,“ „ათასი კილომეტრი თოვლში“...) დიდოსტატია. მაგალითად, გ. თიკანაძის დაღუპვის გამო დაწერილ ელეგიაში „ვოი,“ პოეტი სხვადასხვა სალექსო საზომს იყენებს, რაც, ვფიქრობთ, ერთგვარად ამძაფრებს აღწერილი ამბის ტრაგიზმსა და არაკანონზომიერებას. ჰეტეროსილაბური საზომითაა დაწერილი პოეტის ცნობილი ლექსი „ციცო,“ სადაც ერთმანეთს ენაცვლება 14, 10, 11, 6-მარცვლიანი ტაქტები.

სწორედ ვერსიფიკაციულ მიებათა ინდივიდუალიზმმა განაპირობა თავისუფალი ლექსის სტრუქტურული ფორმების მიგნება. ა. ხინთიბიძეს რომ დავესესხოთ: „*XX საუკუნეში ქართული ლექსი უფრო მეტი სიზუსტით იცავს რიტმულსა და მეტრულ კანონზომიერებებს, მრავალფეროვანი ხდება ქართული ლექსის სტროფის ვარიანტები, ჩნდება ასტროფული ლექსი: მკვიდრდება პოლიმეტრული სტროფი; უმთავრეს ადგილს იჭერს ვერლიბრი*“ (ხინთიბიძე, 2009, გვ. 143).

მ. ლებანიძის, როგორც პოეტის, პიროვნებისა და შემოქმედის, სახე შეუცდომლად იკითხება ლექსში „დათვზე ნადირობა“: მდეღვარე, სისხლიანი დღის ბოლოს პიროვნულ „მე“-სთან განმარტოებული ლირიკული გმირი მწარედ განიცდის თავს დატეხილ კომმარს, რადგან ველური ხილითა და ყვავილებით მოჩითულ მდელოზე ადამიანებმა სიცოცხლეს გამოასალმეს ბუნების უწყინარი ქმნილება – დათვი, „*ხბოსავით რომ სძოვდა თავჩარგული*“: „*დამლილი ჩვენგან ცალკე ხორცად და ცალკე ტყავად, თუ დათვი თავად, ღმერთო ჩემო, რომელი სჯობდა?!*“ (ლებანიძე, 2012, გვ. 153) – კითხულობს ბედისწერის განჩინებაზე გულდაწყვეტილი პოეტი.

შეუძლებელია, არ აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ პოეტს შემოქმედებითი პროცესისათვის თითქმის მიუღებელ პირობებში – ტოტალური ზეწოლის, სკკპ ცკ-ს დადგენილებებისა და დირექტივების ზეობისას მოუწია ცხოვრება და მოღვაწეობა, მაგრამ არ აჰყოლია ცდუნებებს, არ დასდგომია „ხუთწლედის“ მეხოტბეთა გზას. მას სხვა ღირებულებები და მრწამსი ამოქმედებდა – ჭეშმარიტი და მარადიული. სწორად შენიშნავს ა. ბაქრაძე: „*შემოქმედებითი თავისუფლება უპირველესად ორ აუცილებელ კომპონენტს გულისხმობს – პირველი, მწერალს (საერთოდ ხელოვანს) უნდა ჰქონდეს საკუთარი კონცეფცია და მეორე – ზნეობრივი პასუხისმგებლობა. ლიტერატურის პარტიულობის*

პრინციპი უარყოფს ორივე კომპონენტს და, ამდენად, შემოქმედებით თავისუფლებასაც“ (ბაქრაძე, 1990, გვ. 31).

თვითნაბადი ნიჭისთვის უცხოა შური სხვისი სიკეთის გამო. ამის დასტურია ა. კალანდაძისა და მ. მაჭავარიანის პირველი ნაბიჯების მ. ლებანიძისეული შეფასება: „ანა კალანდაძის სახელთან ერთად მუხრან მაჭავარიანის სახელმა ახალი პერსპექტივები გაანათა შტამპის ბატონობისა და აზრის სიღარიბის პირობებში. [...] მუხრან მაჭავარიანი ანგრევდა ძველ რიტმულ კონსტრუქციებს, ქმნიდა ახალ ჰარმონიებს, აახლებდა დიდი ხნით მივიწყებულ თავისუფალ ლექსს“ (ნიკოლეიშვილი, 1982, გვ. 317).

მუხრან მაჭავარიანმა სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე მიიპყრო ქართველი მკითხველის ყურადღება. „საბა,“ „ვითარცა მტკვარი,“ „დუმილი რეკავს“ და სხვა ლექსები შედეგურებად იქცა. ერთგან პოეტი აღნიშნავს: „მთავარი ხმა, სათქმელის შესატყვისი ხმა“ (მაჭავარიანი, 2006, გვ. 3). მისი ლირიკული გმირი გულმხურვალე მამულიშვილია, ერის გამომაფხიზლებელი („ტა, ტა, ტა, ტა!“ „მადლი იმ ხართა,“ „შენ, სისხლო ჩემო“ და სხვ.). წინაპართაგან მ. მაჭავარიანს საკუთარი კერპები ჰყავს: შოთა, საბა, დავით მეფე, გურამიშვილი, ილია... უყვარს სიძველეთა და საესავ ტაძართა ჩამოთვლა, რაც მისი ხელწერის ერთ-ერთი თავისებურებაა.

პატრიოტულთან ერთად მუხრან მაჭავარიანის შემოქმედებაში ყველაზე უხვად ფილოსოფიური ნაკადი ჭარბობს: „კაცი, რომელიც არაა ყალბი,“ „ყოველნაირი სიხარული სევდისკენ მიდის!“ „ვითარცა მტკვარი,“ „ვაგლახ!“ ცხოვრების წარმავლობაზე ჩაფიქრება შეიძლება, სულ უბრალო ყოფითმა მოვლენამაც კი გამოიწვიოს, როგორც, მაგალითად, ძაღლის ყეფა: „დღეს არა, – ხვალე უკვე ვეღარ დაგირღვევს დუმილს ხმა ვეღარც მამლის, ვეღარც ძაღლის, ვეღარც ელმავლის“ (მაჭავარიანი, 2013, გვ. 55), მაგრამ მისი უმთავრესი საფიქრალი მაინც სამშობლოა: „საქართველომ დღემდე მოაღწია ციხით. აწი? დღეის შემდეგ? დღეის ამას იქით?“ (მაჭავარიანი, 2006, გვ. 96).

ა. ნიკოლეიშვილი აღნიშნავს, რომ „მ. მაჭავარიანის პოეზიაში დედაენისადმი სიყვარული პირდაპირი გამოვლენა გახდა იმ ანტიპარტიული და ანტისაბჭოური შოვინისტური პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც აგაეშჩინის სახელითაა ცნობილი“ (ნიკოლეიშვილი, 1982, გვ. 404). პოეტმა ქართული ენის უნიკალურობასა და ძველთაძველობას არაერთი ლექსი უძღვნა: „ენა ქართული,“ „რაშია საქმე?!“ „ტა, ტა, ტა, ტა“...

მ. მაჭავარიანისათვის ჟამი ერთ სიბრტყეში მოიაზრება. გმირულ წარსულზე ბევრს წერს და თან – აწმყოსთან ორგანულ კავშირში. ქართველ ერისკაცს სწორედ დახავსებული ქვებისა და მიტოვებული ტაძრებისა თუ სალოცავების ჰარმონია იტაცებს: „ხან ვერად შვინდი, ხან ვერად ლეგა, – რეკავს სამრეკლო ხმადაკარგული“ (მაჭავარიანი, 2006, გვ. 90). შემოქმედისათვის წარსულის ნაკლოვანი თუ უნაკლო დღეების ლირიკაში ასახვა ხშირ შემთხვევაში ალეგორიული გზაა აწმყოს შესაცვლელად, მომავალზე დასაფიქრებლად.

მ. მაჭავარიანის ლირიკის ტონი ძირითადად პათეტიკურია. ეს თავისებურება ელეგიურ ლექსებსა და მიძღვნებშიც იგრძნობა – „ილიასადმი,“ „პაოლო,“ „ქაქუც!– ავაჰმე!“ და სხვ. მ. მაჭავარიანის ემოცია არაა რთულად ამოსაცნობი, არც ქვეტექსტებია ჩახლართული. პოეტისათვის ნიშანდობლივია სათქმელის პირდაპირ, თავდაჯერებული ადამიანის ინტონაციით, ჩამოყალიბება.

მ. მაჭავარიანის ლირიკული ლექსის გამომსახველობითი სტილი ე. წ. „დატეხილი“ ტაეპებიტაა განსაზღვრული, რაც ერთგვარად რიტმის შენელებას იწვევს, მაგრამ ხელს უწყობს ნათქვამის უფრო ეფექტურად, დაგემოვნებით გამოხატვას: „ძზე ამოდიოდა, მთვარე ჩადიოდა...“ (მაჭავარიანი, 2006, გვ. 10).

შემოქმედთან მრავლად მოიძებნება ვერსიფიკაციული მიგნებანი როგორც სალექსო საზომში, ისე – თემატურად. ორიგინალურია მისი სახეები და შედარებები: „ალაზანიც იმნაირად ბზინავს, როგორც თეთრი წმინდა ნინოს თმაში“ (მაჭავარიანი, 2013, გვ. 84), „ქვევრში ღვინოა და ღვინოში მთვარე აგდია“ (მაჭავარიანი, 2013, გვ. 174) და სხვ.

მ. მაჭავარიანი თამამად მიმართავს კუთხური მეტყველებისათვის დამახასიათებელ სიტყვებსა და გამოთქმებს: როა, აქანამდე („კრთის ენა ქართული, მოსული აქანამდე!“), აწი („რა მნიშვნელობა აქვს ჩემთვის აწი...“ (მაჭავარიანი, 2013, გვ. 243)), „სით გავიქცე, ¶ მუნ წავიქცე!“ (მაჭავარიანი, 2013, გვ. 239) მოხოსრავდა, წერამს, ახლორეა და ა. შ. აღნიშნული მეტ ბუნებრიობას სძენს პოეტის სათქმელს, ვინაიდან „ლირიკაში დეტალების, ნაწილების ჰარმონიულობა სახიერდება მოქმედებაში, განვითარებაში, წინააღმდეგობასა და დიალექტიკაში“ (ლიტ. თეორ. საფუძვ., 1986, გვ. 457).

მ. მაჭავარიანის ლირიკის რიტმი მოწესრიგებულია, მაგრამ გვხვდება შედარებით ტრაფარეტული რითმებიც („იცის-ღირსი,“ „საქები-მაგების“ და სხვ.). ა. ნიკოლეიშვილი შენიშნავს: „40-50-იან წლებში ქართველი მკითხველისათვის რამდენადმე უჩვეულო და მოულოდნელი აღმოჩნდა მ. მაჭავარიანის მიერ გამოქვეყნებული „ხორკლიანი“ ლექსები. ამგვარ ფორმისეულ სიახლეს ის მოჭარბებული სასაუბრო ინტონაციებიცა და ყოფითი დეტალებიც ემატებოდა, რომელნიც მან შემოიტანა და დაამკვიდრა ქართულ მწერლობაში თავისი პირველივე ნაწარმოებებით“ (ნიკოლეიშვილი, გვ. 414).

მ. მაჭავარიანს უხვად აქვს ე. წ. სატირულ-იუმორისტული ხასიათის ლექსები („ის,“ „ხმას ამოიღებ“ „უბედურება რა გინდა მეტი,“ „გარეწარი,“ „რომელსაც შენი მონობა ჰმართებს...“), სადაც საკუთარი ეპოქის სიმახინჯეებს (უვიცობას, მექრთამეობას, ქედმაღლობას, ნიჰილიზმს...) დასცინის.

პოეტს მითური ფრინველი ფასკუნჯი ერის ბედისა და უბედობის თანაზიარად გამოუსახავს არაერთ ლირიკულ ლექსში – „ჩამომზღვეული სვეტიცხოველით დრტვინავს ფასკუნჯი“ (მაჭავარიანი, 2013, გვ. 144), – წერს ერთგან. მის ლირიკულ გმირსაც მზისკენ ფასკუნჯი მიაფრენს (ლექსში „ფასკუნჯი“), ოღონდ – როგორც საგზაღს. ამ სრბოლაში ილევა ადამიანი, მაგრამ არ ეპუება ხორციელ ტკივილებს.

მ. მაჭავარიანის ფასკუნჯი ლურჯია, მთაგრეხილივით ბეჭები აქვს, რაც მის ძლევაგამოსილებაზე მიგვანიშნებს... გზად შავი ყორანი ხვდებათ („ტატოსია თუ პოსია?!“ (მაჭავარიანი, 2013, გვ. 152), – კითხულობს ლირიკული გმირი). იგი მზადაა, სრბოლას თავი შესწიროს, ბოლომდე გაიხარჯოს. ზღაპრულ-მითოსური სამყაროს ელემენტები ხაზს უსვამს ლექსის ლირიკული გმირის თავგანწირვას. ამ დიდებულ წამებშიც საქართველოა პოეტის „წვიმაც, თოვლიც და ყინვაც!...“ (მაჭავარიანი, 2006, გვ. 73). იმ თვალშეუდგამი სიმაღლიდანაც საკუთარ წინაპრებსა და სიწმინდეებს ხედავს: „გაფრენილს, – მზისკენ გაფრენილს, – შემომცქერიან დაბლიდან: ხცისი, ბელლევი, ავლევი, თიღვა, იკორთა, მთაწმინდა...“ (მაჭავარიანი, 2013, გვ. 152)

ლექსის ლირიკული გმირი პოეტის მთელი შემოქმედების განზოგადებული სახეა. „ლირიკოსი არჩევს ერთ არსებით ობიექტურ მომენტს, ავითარებს მას ასოციაციებში, გრძნობის მოძრაობაში და აქცევს თავისი ესთეტიკური იდეალის შესატყვის მხატვრულ ფენომენად.“ (ლიტ. თეორ. საფუძვ., 1986, გვ. 449) ფასკუნჯი პოეზიაა, რომელიც სულსა და ხორცს სთხოვს ყველას, ვინც მის მოხელთებას გადაწყვეტს. საბოლოოდ პოეტი თავად ხდება „ფასკუნჯის“ ფერების გამოსახვის საშუალებების ძიებათა ტყვე, ხშირად – მსხვერპლი.

გ. ასათიანი ერთგან შენიშნავს: „მუხრან მაჭავარიანი, როგორც პოეტი, არ დალატობს თავის თავს, ისევ სხვათა მიერ უვალი გზებით მიიწევს წინ და თავის საუკეთესო ლექსებში კვლავ დამოუკიდებელ შემოქმედად გვევლინება. ზოგიერთ მის ლირიკულ მინიატურას გრძნობის ნამდვილი სიღრმე, და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, მტკივნეული ძიების კვალი ეტყობა“ (ლიტ. პროც. და კრიტ., 1980, გვ. 16).

შოთა ნიშნიანიძის შემოქმედებაში უხვადაა სატრფიალო ლირიკა. პოეტის იდეალი ოდნავ გამომწვევი, ოდნავ დაბნეული და კდემამოსილი გოგონაა, ვაჟის დანახვაზე მუხლისთავებსა და მკერდს რომ იფარავს. პოეტი წერს: „ძლივს დატეულხართ ვიწრო კაბაში შენ, გაზაფხული და“ (ნიშნიანიძე, 2013, გვ. 107). როგორც მ. ლეზანიძე ციცოთი, შ. ნიშნიანიძეც მოიხიბლა ტურფა ასუ-

ლით, მაგრამ საბოლოოდ მხოლოდ მასზე ოცნებას დასჯერდა („სახუმარო“), – ბედნიერებამ მის ყურისძირთან „*აცდენილი ტყვიასავით გაიზუზუნა*“ (ნიშნიანიძე, 2013, გვ. 153).

შ. ნიშნიანიძის სიყვარულის საგანი არც ოფელიაა და არც არამიწიერი არსება. იგი უბრალო, სიცოცხლით სავსე გოგონაა, თავისებურად ჭირვეული, ზოგჯერ – მიუხვედრელი, ჭეშმარიტ გრძნობას რომ ვერ აფასებს. ლექსი „წვიმა და მეზობლის გოგონა“ ირონიანარევი სიხარულითაა სავსე, ფერებიც მკვეთრია, როგორც წვიმაში: „*მავთულეზე მიჯრით წვეთი წვეთზე ცოცავს და მე შენსკენ ვატან გაუბედავ კოცნას...*“ (ნიშნიანიძე, 2013, გვ. 125).

საყვარელი ადამიანის დანახვა ლექს „გახსენების“ ლირიკულ გმირს თითქოს ფეხქვეშ ნი-ადაგს აცლის – ეს სტუდენტობისდროინდელი მოგონებაა... შემდეგ ოჯახური იდილია ისადგურებს – შვილზე ზრუნვა, უმიზეზო ეჭვი და ჭირვეულობა. „*ეროტიკული პათოსის“ ფრიად ელეგანტური, მეხსიერების წიაღიდან დიდი ტაქტითა და სიფაქიზით ამოზიდული ფრაგმენტები, პოეტის პიკანტური ცხოვრებისეული ეპიზოდების რომანტიკულ ანარეკლებად სახიერდება. არაფერია მასში მაპროვოცირებელი, ფრივოლურ ემოციათა გამომწვევი... რადგან იგი, როგორც ხელოვნების ნიმუში, მხოლოდ ესთეტიკური „სამოსელით“ შემოდის ჩვენს ცნობიერებაში*“ (ლიტ. პროც. და კრიტ., 1980, გვ. 165).

ლირიკული ლექსი „პატარა იყავ და ამიტომაც“ მთელი სისავსით წარმოაჩენს ძლიერი გრძნობის აღმაფრენასა და ტრაგედიას. იმ დარდიანმა, გაუბედავმა მზერამ, ლირიკული გმირის თვალებში რომ აირეკლა, გოგონაში ქედმაღლური ბუნება გააღვიძა. ვაჟი მიხვდა, რომ სწორედ მუდართ სავსე მზერამ დაამსხვრია მისი იმედები: „*თვალეებში როცა ჩაგხედე, კარგო, შენ თვალში მაშინ დავპატარავდი*“ (ნიშნიანიძე, 2013, გვ. 114). მართლაც, „*ლირიკული პოეზია სახეებსა და სურათებს იყენებს უსახო და უფორმო გრძნობის გამოსახატავად, რომელიც ადამიანის ბუნების შინაგან არსს შეადგენს*“ (ბელინსკი, 1952, გვ. 362).

შ. ნიშნიანიძეც საკუთარი შემოქმედების ამოსავალს ქართულ ხალხურ პოეზიაში ეძიებს. მისი მხატვრული სახეები მითოსით საზრდოობს. პოეტი პირდაპირ წერს: „*მე ვარ მისანი ხარი წიქარა, შენი დვრიტა ვარ, მამულ-დედულო, ზღაპრიდან მისთვის გამოვიპარე, რომ გემსახურო და გიერთგულო*“ (ნიშნიანიძე, 2013, გვ. 86). ვეთანხმებით ს. სიგუას მოსაზრებას, რომელიც გამოთქმულია სტატია „მწვანე წელიწადში“: „*შოთა ნიშნიანიძის ლექსების ერთი რკალით სინამდვილის მრავალწახნაგოვანი სფეროდან გამოტანილია მითოსურ-ისტორიული შრე. შორეული წარსული ერთმება დღევანდლობას*“ (ლიტ. პროც. და კრიტ., 1980, გვ. 209).

შ. ნიშნიანიძის პოეზიაში ქართველთათვის ოდიოტანვე საკრალური ცხოველი ხარი არაერთ ლექსში ფიგურირებს: „*ვარ წუთისოფლის გზებზე გამდგარი ქედგახეხილი ხარი ნიკორა*“ (ნიშნიანიძე, 2013, გვ. 344). პოეტი სწორედ ხარს აიგივებს „ვეფხისტყაოსანთან,“ სვეტიცხოველთან, დიდგორთან... „*მთიდან ჩამორბოდნენ ხარები ბარადა და რქებით ჩხვერავდნენ კრწანისს და მარაბდას!*“ (ნიშნიანიძე, 2013, გვ. 18)

პოეტის კალამი არაერთგზის უბრუნდება ამორძალებს, ჭინკებს, ამირანს („ამირანის ნათლობა,“ „საამირანო“). ერთგან ამგვარი ხერხი არჩია: ღმერთთან მეზრძოლი პერსონაჟი უნიათო, ცხოვრებით კმაყოფილ კაცად დახატა, დევებს დარდიმანდულად რომ ესალმება და ამბოხზე აღარ ფიქრობს. ეს ლექსი პუბლიცისტური სტილითაა დაწერილი და ადამიანს საკუთარ შესაძლებლობებსა და სურვილებს შორის გადებულ ზღვარზე დააფიქრებს, ანუ – რისი გაკეთება ძალგვიძს და რას ვჯერდებით („ამირანი“. ნიშნიანიძე, 2013, გვ. 308).

შ. ნიშნიანიძის ლექსებში უამრავგან შეინიშნება ფილოსოფიური ნაკადი: „სინანული,“ „კარუსელი,“ „ფორმულა“... ლექსში, „კენჭი ვისროლე მდინარეში“, პოეტი ადამიანის უმწეობაზე საუბრობს, მიზნის აღსრულებისთვის რომ არ იბრძვის, სხვაგან წერს: „*დავბრუნდებით, გადავალთ არარაობაშივე – წუთისოფლის სტუმრები, აბა, რაღა გვაშინებს?..*“ (ნიშნიანიძე, 1990, გვ. 155). დიდსულოვანი მონღოლის დიდსულოვნურად შეფასებაც მხოლოდ მაღალი ბუნების ადამიანს შეუძლია:

„...*ნუ ვადიდებთ მარტოდენ ცოტნეს, ვახსენოთ სახედაღრეჯილი ლომი მონღოლიც, გმირობისა და ვაჟკაცობის უბადლო მცოდნე...*“ (ნიშნიანიძე, 1990, გვ. 80).

შ. ნიშნიანიძის ლირიკული პოეზიის ერთი ნაწილი პატრიოტული ხასიათისაა: „თევდორე“, „მონღოლები“, „იოანე ბერი“, „ცოტნე დადიანი“, „მამელუკები“... განსაკუთრებული გრძნობიერებით გამოირჩევა „აფხაზური კანტატა:“ *„შენს კალთას ასდის თავლის სუნი, ირმის რძის სუნი, ყრმობის ზღაპრო, მართლა ზღაპრულ სვე-ბედს გისურვებ“* (ნიშნიანიძე, 1990, გვ. 73). *„მან, როგორც პოეტმა და მოაზროვნემ, განსაკუთრებული სიღრმით შესძლო წარმოედგინა ისტორიის ავანსცენაზე გათამაშებული შხამიანი მოვლენების სრული აბსურდულობა“* (ბენაშვილი, 2002, გვ. 154). პოეტი უსაქართველო აფხაზეთს მკერდმოჭრილ ამორძალს ადარებს. ლექსი ელეგიური ლირიკის ნიმუშია.

შ. ნიშნიანიძე უბრალო ქართველ კაცზე წერს, *„წინაპრის ცრემლით ამოშანთულ“* (ნიშნიანიძე, 2013, გვ. 184) სალამურსა და შაშვის გალობას რომ აღმერთებს, სვანეთის მთას, როგორც ცოცხალს, რომ აღიქვამს: *„გადაალაჯებს ენგურის წყალს ბაყბაყდევივით, ამოჩრილი აქვს იღლიაში სვანთა სოფელი“* (ნიშნიანიძე, 2013, გვ. 92), ქვიდან ამოხეთქილ ბალახს რომ შეხარის.

სოფლიდან ჩამოტანილ, ქუჩა-ქუჩა გასაყიდად დატარებულ ყვავილების მიწას, როგორც მშობლიურ ეზო-გარემოსთან დამაკავშირებელ მარღვს, ისე აღიქვამენ ადამიანები. შ. ნიშნიანიძე კი ლექსში „ყვავილების მიწა“ შინდისელი დიაკაცის გაჭირვების წარმოდგენასთან ერთად თბილისის ძველი უბნების გაქრობის პრობლემასაც ეხება: *„გაქრა ძველი თბილისი თავის ციებ-ცხელებით, თავის მაწვნის ქილებით, სახედრებით, ცხენებით“* (ნიშნიანიძე, 2013, გვ. 194), – წერს პოეტი.

ელეგიური განცდაა ჩაქსოვილი ლექსებში: „ორი ტირიფი“ და „ვაზის სიმფონია.“ პოეტი ერთი სტროფით ხატავს შემოდგომის ბარაქიან სურათს: *„ფეხქვეშ გათელა შემოდგომამ ხეჭეჭურები, ჩამოიარა ეზო-ეზო სავსე ხელადით“* (ნიშნიანიძე, 2013, გვ. 188).

შ. ნიშნიანიძის მდიდარ შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ე. წ. ინტიმურ-მედიტაციურ მოტივებს: „დედა“, „სიზმარში გნახე: ისევ კვდებოდი“, „კარს მივადექი...“ განსაკუთრებული გრძნობიერებითაა დაწერილი ელეგიური ლექსი „მესიზმრა გიორგი შატბერაშვილი“: *„და მკვდრის მზე, როგორც ნათელკაცობა, მხრებზე დაადგა შარავანდივით“* (ნიშნიანიძე, 2013, გვ. 172).

1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიისას დაღუპულებს უძღვნა პოეტმა ლექსი-დატირება: *„-თეთრი გედი მღეროდაო? ვაჰ, შენს დედასაო! შენც სიმღერით მომიკვდები... ვაჰ, შენს დედასაო!“* (ნიშნიანიძე, 2013, გვ. 235). ელეგიური ლექსი „ბიჭები“ კი სხვადასხვა დროს სხვადასხვა ქვეყანაში გმირულად დაღუპული ყმაწვილების გმირობას ეხება: *„გავროში საფრანგეთისთვის მოკვდა, პაატა – საქართველოსთვის, ფაშიზმთან ბრძოლას შეეწირა ოლეგი.და ქვეყნად რაც კი იმედებია, აუზი-ღია მათ ბავშვურ მკლავებს.“* (ნიშნიანიძე, 2013, გვ. 250).

ორიგინალური და გულისხმიერებით სავსეა შ. ნიშნიანიძის მიძღვნილი ლირიკა („პავლე ინგოროყვას“, „ოთარ მამფორიას“ და ა. შ.) გიორგი სააკაძისადმი მიძღვნილ ლექსში მამაცი მხედართმთავრის საბრძოლო დიდების აღწერასთან ერთად პოეტმა მის წინააღმდეგობრივ ბედსაც გაუსვა ხაზი: *„გზაჯვარედინად გაიკლაკნა ბედი როკაპი და მოგაწივდა, მოგასივდა გველის ორკაპი“* (ნიშნიანიძე, 2013, გვ. 293). გალაკტიონის ტრაგიკულ აღსასრულს ასე განმარტავს: *„და რაკი სრულად ეკუთვნოდა ცასა და მიწას, მიწამ სხეული მიიზიდა და ზეცამ სული“* (ნიშნიანიძე, 2013, გვ. 168).

სატირულ-იუმორისტული ნაკადის ლექსებში: „დიდი და პატარა პოეტების შესახებ“, „ქალეზის შეფასება ბერბიჭას მიერ“, „ძველად წარსულში“ და სხვ. პოეტი დასცინის ადამიანურ სიყალბეს, სხვისი განქიქებისა და საკუთარი ნაკლის ვერშემჩნევის მანიას.

შ. ნიშნიანიძეს ძირითადად კლასიკური ფორმითა და დახვეწილი შინაარსის ნაწარმოებები აქვს, მაგრამ მისი ზოგიერთი ლექსი ჰეტეროსილაბური საზომითაა დაწერილი: *„ორღობებში გუბე-გუბე რომ მიტყაპუნებს, (14) ვით ფეხშიშველი სოფლელი გოგო... (10)“* (ნიშნიანიძე, 1990, გვ. 169). ჰეტეროსილაბური საზომითაა დაწერილი „სვანეთის მთაც.“

თეთრი ლექსის ფორმითაა დაწერილი „ბედნიერება.“ აქ რიტმულობა დაცულია, ამიტომ არ ვსაუბრობთ ვერლიბრზე, რომელიც „მეტრულ წესრიგს დაუმორჩილებელი ლექსია“ (ხინთიბიძე, 2000, გვ. 60).

შ. ნიშნიანძის პოეზიისათვის თხრობითი ინტონაციაა ნიშანდობლივი. თემატურად ლექსები მრავალფეროვანია: ინტიმურ-მედიტაციური, ისტორიული, მითოსური, პატრიოტული, სატრფიალო, სატირულ-იუმორისტული. პოეტი საკუთარი „მე“-ს გამოსახატავად იყენებს ლირიკულ ასოციაციებს, მითოსურ ელემენტებს, შედარებებს, ეპითეტებს. მასთან რიტმი და რითმა ძირითადად მოწესრიგებულია, კლასიკურ დონემდე დახვეწილი.

„პოეტი შეგნებულად ერიდება ურბანისტული გარემოს წარმოსახვას. მის ლირიკას ქალაქიდან გავყვართ სოფელში. [...] არ აინტერესებს ტექნიკის მიერ რეკონსტრუირებული სამყაროს მოდელი. მის ლექსებში არ სჩანს ავტომობილი, ტრამვაი, ტროლეიბუსი, ცათამბჯენები, ტელეფონი, ინსტიტუტი, ასფალტი, ფაბრიკა, ქარხანა, ელექტრონი და საერთოდ ის ატრიბუტები, რაც ქმნის ქალაქურ ყოფას“ (ლიტ. პროც. და კრიტიკ., 1980, გვ. 213).

ლექსში „ბროწეულა,“ მშობლიური ეზო-კარის და სოფლის დაკარგვის შიში იკითხება: *„ვანი, სადაც დავბერდი, ველარავინ ვიცან, დასაკლავი ხარივით ჩავბლადი მიწას“* (ნიშნიანძე, 2013, გვ. 178). ეს ბოლო ფრაზა, ალბათ, ის დიდი და ძირითადი სათქმელია, შ. ნიშნიანძის ლირიკულ გმირს რომ აწვალებს.

ანა კალანდაძის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლას კეთილმოსურნე თანამოკალმეთა მხრიდან დიდი აღფრთოვანება მოჰყვა. წლების შემდეგ პოეტი ქალის ღვაწლს მ. მაჭავარიანი ასე აფასებს: *„რა ხანია არსებობს ეს ცა, ეს ზღვა, ეს მზე, ეს ტყე და კიდევ ძალიან ბევრი რამ. უთვალავი თვალი უმზერდა და უმზერს ყოველივე ამას. მაგრამ ეს ყოველი არავის უხილავს ისე, არავის უგრძნია ისე, არავის უთქვამს ისე, ვითარცა იხილა ანამ, ვითარცა იგრძნო ანამ, ვითარცა გამოთქვა ანამ. [...] როცა ანას ვკითხულობ, – ერთი მისი სტრიქონი მაგონდება ნიადაგ: „წყავის ფოთოლი, ნამს რომ ფრთხილად ინახავს, თრთოლვით...“* (მაჭავარიანი, 2013, გვ. 261).

ა. კალანდაძესაც ქართული ლექსის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია უწინამძღვრებდა. პოეტის ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსვლამ თავიდანვე დიდი რეზონანსი გამოიწვია: გამომსახველობის ახალი ფერები, თავისებურებანი, საბჭოთა სინამდვილისათვის უცნაური და უცხო თემები... გ. ასათიანი შენიშნავს: *„ანა კალანდაძის ლირიკიდან ჩვენ მოგვესმა დიდი ხნის ნანატრი იდუმალი მუსიკა პოეზიისა – სულის განმწმენდი და ამამალლებელი“* (ლიტ. პროც. და კრიტიკ., 1980, გვ. 16).

ომის შემდეგ, ჯერ ისევ დამაბულ ვითარებაში, პოეტი ქალი ხოტბას ასხამდა ზენაარს, უმღეროდა ქართულ მიწას და ცას, ბუნებას: *„ატირდნენ მთები და ლამის მეც ავტირდე, ნაძვები დალონდნენ და მეც, მეც ვლონდები...“* (კალანდაძე, 2013, გვ. 28), *„სასაფლაოზე ქარი დაძრწის და აკლდამებში დაეძებს სადგურს...“* (კალანდაძე, 2013, გვ. 18). ისე თავისუფლად წერდა იესოსა თუ წარმართულ ღვთაებებზე (*„მე მივაშურებ ურარტუს ქვაბებს,“* „უსმენს,“ „განუდგა მოგვთა“...), თითქოს, მის გარშემო ათეიზმი არ ზეობდა.

სიტყვათა თუ ფრაზათა მიზანმიმართული განმეორებით ა. კალანდაძე მეტ ემოციასა და გამომსახველობას სძენს სათქმელს: *„უხმობს ზენაარს, ზენაარს უხმობს ჯვარზე გაკრული. არ ჩანს „ღრუბელი მაგრილებელი,“ – ცრემლი აპკუროს“* (კალანდაძე, 2013, გვ. 33). თავისუფლად იყენებს ჰეტეროსილაბურ საზომს: *„ვჭვრეტ სიყვარულით შენს დადარულ სახეს, დიდებულს, ერთ დროს ვნებიათ... შენი ოთახი ჰგავს ბიბლიურ ნოეს კიდობანს და მას ყორანნი თავს ევლებიან...“* (კალანდაძე, 2013, გვ. 9).

ა. კალანდაძის ლირიკა ხან ნაზი და ალერსიანია, ხან წინაპრის სიტყვას მინდობილი, საკუთარ ჟღერადობას ანიჭებს საკითხავს: *„სხვა საქართველო სად არი?“* (კალანდაძე, 2013, გვ. 3). პოეტისათვის უცხოა ე. წ. „საჩოთირო“ სიტყვა. *„ანა კალანდაძის ყოველი ლექსი განუყოფელი ნაწილია მისი უაღრესად საინტერესო, რთული და ფაქიზი სულისა და რომ ეს არის ერთ და იმავე“*

დროს ღრმად თავისებური, განუმეორებელი და ამასთან ყოველი ჩვენთაგანისათვის გასაგები, ნათელი და ახლობელი სული“ (ასათიანი, 1963, გვ. 218).

თუ მ. ლებანიძესთან, მ. მაჭავარიანთან და შ. ნიშნიანიძესთან მეტყველების არქაული ფორმები, თითქოს, ცალკეული სათქმელის შესალამაზებლად, ფრაზების დასახვეწად გამოიყენება, ა. კალანდაძის ლირიკაში უშურველად იკითხება წინაპართა სასაუბრო ქართული: „იპოვოს გული წმიდამან ცრემლმან და მეუფება თვისი ახაროს!“ „შეთქმულებიც ბორგვენ,“ „იახსარს დგახარ და თავდახრილი ბუბუნებ კრძალვით...“ (კალანდაძე, 2013, გვ. 61). „მხმობს ვარსკვლავების თეთრი ღვთაება...“ (კალანდაძე, 2013, გვ. 78). „მათი ხსენება წარიღეს დროთა“ (კალანდაძე, 2013, გვ. 27).

ნიშანდობლივია, რომ რიგი ლექსებისა ვაჟკაცური შემართებით, მაღალი ტონალობით გამოირჩევა: „საცივიანოს არბევდა ქარი, ისმოდა მისი ზათქი და ბორგვა...“ (კალანდაძე, 2013, გვ. 73). იგი ლექსებში უფრო მძიმე, სევდიან ამბებს ყვება და ამ იდუმალი განდობის თანამოზიარე მისივე ლირიკული გმირია. ძირითადად ელეგიურ და საკუთრივ ლირიკულ ლექსებში პოეტი ნაკლებად იყენებს პათეტიკას.

ა. კალანდაძე წერდა ისეთ მარადიულ თემებზე, როგორც პატრიოტიზმი და გმირული წარსული: „ფეხი დამადგით,“ „ასეთი დარი თუ იყო მაშინ,“ „აწყურთან,“ „მოდიოდა ნინო მთებით,“ „შორია თამარ“ ... ისტორიული ეპიზოდები კომპოზიციურად შეკრული და დრამატიზმით სავსეა.

ლირიკულ ნაწარმოებებში („მას, ალავერდის დიდებულ ტამარს,“ „მოდიოდა ნინო მთებით,“ „ფეხი დამადგით,“ „შორია თამარ“) პოეტმა ერის სამსახურში მდგომი არაერთი ისტორიული პირი გააცოცხლა. ლირიკული წიაღსვლებით შეახსენა მკითხველს მათი ღვაწლის შესახებ.

ლექსი „ამ სურით სვამენ“ რეკვიემია – ლირიკული გმირისა და ბუნების მიერ ომარ ხაიამის გულმხურვალე დატირება: „გული, თელილი ბედის ფლოქვებით მოკვდა, დადუმდა, დიდი ხანია... სულს მაინც შერჩა ღვინო დოქებით, ომარ ხაიამ...“ (კალანდაძე, 2013, გვ. 76).

მისტიკური იდუმალეზა მოჩანს პოეტის მიერ დანახულ გველში, „სევდიანი თვალებით რომ ლოცულობს“ (კალანდაძე, 2013, გვ. 73); იდუმალეზის ბურუსი მოსავს ძველ ქალდეას, რომაელთა აფრებს... ლაპილზე კი „ისევ დიდებული და სავსე მთვარეა...“ (კალანდაძე, 2013, გვ. 151).

„სიყვარულის აბსტრაქტიზებული უნივერსალური ხატი, როგორც გაცნობიერებული აუცილებლობა, როგორც სულიერი ჰარმონიის უპირველესი საყრდენი, ანა კალანდაძის პოეტური ინდივიდუალობის განმსაზღვრელი თვისებაა“ (ლიტ. პროც. და კრიტ., 1980, გვ. 178). ეს კარგად ჩანს პოეტის ლირიკულ სახეებში: „ძოწისფრად ირიჟრაჟა ცამან“ (კალანდაძე, 2013, გვ. 63), „ყაყაჩოებს ცეცხლი ენთოთ ტანზე“ და სხვ.

ა. ნიკოლეიშვილი აღნიშნავს: „ანა კალანდაძემ ქართულ პოეზიაში ერთმა პირველთაგანმა მოიტანა და დაამკვიდრა ქალური ალერსის განცდა... მთელი (მისი) პოეტური შემოქმედება მკაფიოდ გამოვლენილი მელოდიურობითა და მუსიკალური სინატიფითაა აღბეჭდილი“ (ნიკოლეიშვილი, გვ. 336).

როგორც ანა კალანდაძის ლირიკული შედეგრი „ღრუბლები“ აერთიანებს ცასა და მიწას, ისეა შერწყმული და გამთლიანებული სამყარო მის პოეზიაში. ლირიკოსი სიტყვით აცოცხლებს მშობლიურ ბუნებას: „თეთრი ნისლი ნისლებს ირევს,“ (კალანდაძე, 2013, გვ. 59) „თოვლიან მთებზე ნათელი დგება მარადიული...“ (კალანდაძე, 2013, გვ. 171)

მურმან ლებანიძე, შოთა ნიშნიანიძე, მუხრან მაჭავარიანი და ანა კალანდაძე მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალიზმით, ვერსიფიკაციული ძიებებითა და მიგნებებით, პატრიოტული და მოქალაქეობრივი პათოსით, მარადიულ ღირებულებათა წვდომის უნარით, სიღრმისეული სახეებითა და ქვეტექსტებით ქართული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელი არიან.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ლირიკული ემოციებისა და პოეტური ასოციაციების მრავალფეროვნება, იდეის სრულყოფისათვის ზრუნვა, აზრის გამოხატვის თანამიმდევრობა და ლოკალიზაცია, ლირიკული სუბიექტურობის არსი და უნივერსალური გამომსახველობითი მხატვრული უნარი – იმ საშუალებათა არასრული ჩამონათვალაია, რომლებმაც განაპირობა XX საუკუნის II ნახევრის ქართული ლირიკული ლექსის თემატური და ვერსიფიკაციული ტენდენციების მიმართულება.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ასათიანი, გ. (1963). პოეზია და პოეტები, თბილისი: „ლიტერატურა და ხელოვნება“.
- ბაქრაძე, ა. (1990). მწერლობის მოთვინიერება, თბილისი: „სარანგი“.
- ბელინსკი, ბ. (1952). რჩეული თხზულებანი, ტ. 1, თბილისი: „სახელგამი“.
- ბენაშვილი, გ. (2002). ლიტერატურული მედიტაციები, თბილისი: „მერანი“.
- ბერიძე, გ. (1966). ლირიკის გამომსახველობითი თავისებურება, თბილისი.
- კალანდაძე, ა. (2013). პოეზია, ტ. 1, თბილისი: „პალიტრა L“.
- კალანდაძე, ა. (2013). პოეზია, ტ. 2, თბილისი: „პალიტრა L“.
- ლებანიძე, მ. (2012). პოეზია, ტ. 1, თბილისი: „პალიტრა L“.
- ლებანიძე, მ. (2012). პოეზია, ტ. 2, თბილისი: „პალიტრა L“.
- ლიტერატურის თეორიის საფუძვლები. (1986). თბილისი: „განათლება“.
- ლიტერატურული პროცესი და კრიტიკა. (1980). თბილისი: „მერანი“.
- მაჭავარიანი, მ. (2006). 100 ლექსი, თბილისი: „ინტელექტი“.
- მაჭავარიანი, მ. (2013). პოეზია, ტ. 2, თბილისი: „პალიტრა L“.
- მაჭავარიანი, მ. (2013). პოეზია, ტ. 3, თბილისი: „პალიტრა L“.
- ნიკოლეიშვილი, ა. ქართული ლიტერატურა, ტ. 4, მეოცე საუკუნე, ნაწ. მე-2, თბილისი: „საქართველოს მაცნე“.
- ნიკოლეიშვილი, ა. (1982). ქართული საბჭოთა ლირიკა (სამოციანი წლები), თბილისი.
- ნიშნიანიძე, შ. (1990). თხზულებანი ორ ტომად, ტ. 1, ლექსები. პოემა, თბილისი: „საქართველო“.
- ნიშნიანიძე, შ. (1991). თხზულებანი ორ ტომად, ტ. 2, ლექსები. პოემა, თბილისი: „საქართველო“.
- ნიშნიანიძე, შ. (2013). პოეზია, თბილისი: „პალიტრა L“.
- ხინთიბიძე, ა. (2000). ქართული ლექსმცოდნეობა, თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.
- ხინთიბიძე, ა. (2009). ქართული ლექსის ისტორია და თეორია, თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

References:

- Asatiani, G. (1963). P'oezia da p'oet'ebi. [Poetry and Poets]. Tbilisi: „lit'erat'ura da khelovneba“.
- Bakradze, A. (1990). Mts'erlobis motviniereba. [The Taming of Writing]. Tbilisi: „sarangi“.
- Belinsk'i, B. (1952). Rcheuli tkhzulebani. T'. 1. [Selected Works, Vol. 1]. Tbilisi: „sakhelgami“.
- Benashvili, G. (2002). Lit'erat'uruli medit'atsiebi. [Literary Meditations]. Tbilisi: „merani“.
- Beridze, p. (1966). Lirik'is gamomsakhvelobiti tavisebureba. [The Expressive Peculiarity of Lyric Poetry]. Tbilisi.
- K'alandadze, A. (2013). P'oezia. T'. 1. [Poetry, Vol. 1]. Tbilisi: „p'alit'ra L“.
- K'alandadze, A. (2013). P'oezia. T'. 2. [Poetry, Vol. 2]. Tbilisi: „p'alit'ra L“.
- Lebanidze, M. (2012). P'oezia. T'. 1, [Poetry, Vol. 1]. Tbilisi: „p'alit'ra L“.
- Lebanidze, M. (2012). P'oezia. T'. 2, [Poetry, Vol. 2]. Tbilisi: „p'alit'ra L“.
- Lit'erat'uris teoriis sapudzvlebi. (1986). [Fundamentals of Literary Theory]. Tbilisi: „ganatleba“.
- Lit'erat'uruli p'rotsesi da k'rit'ika. (1980). [Literary Process and Criticism]. Tbilisi: „merani“.
- Mach'avariani, M. (2013). p'oezia, t'. 2. [Poetry, Vol. 2]. Tbilisi: „p'alit'ra L“.
- Mach'avariani, M. (2013). ppoezia, t'. 3. [Poetry, Vol. 3]. Tbilisi: „p'alit'ra L“.
- Mach'avariani, M. (2006). 100 leksi. [100 Poems]. Tbilisi: „int'elekt'i“.
- Nik'oleishvili, A. Kartuli lit'erat'ura. T'. 4. Meotse sauk'une, nats'. me-2. [Georgian Literature, Vol. 4, Twentieth Century. 2nd ed.]. Tbilisi: „sakartvelos matsne“.
- Nik'oleishvili, A. (1982). Kartuli sabch'ota lirik'a (samotsiani ts'lebi). [Georgian Soviet Lyrics (Sixties)]. Tbilisi:
- Nishnianidze, Sh. (2013). P'oezia. [Poetry,]. Tbilisi: „p'alit'ra L“.
- Nishnianidze, Sh. (1990). Tkhzulebani or t'omad, T'. 1. Leksebi. p'oema. [Works in two volumes, vol. 1, poems. Poem]. Tbilisi: „sakartvelo“.
- Nishnianidze, Sh. (1991). Tkhzulebani or t'omad. T'. 2. Leksebi. p'oema. [Works in two volumes, vol. 2, poems. Poem]. Tbilisi: „sakartvelo“.
- Khintibidze, A. (2000). Kartuli leksmtsodneoba. [Georgian Poetics]. Tbilisi: „Tbilisis universit'et'is gamomtsemloba“.
- Khintibidze, A. (2009). kartuli lexis ist'oria da teoria. [History and Theory of Georgian Poetry]. tTilisi: „tbilisis universit'et'is gamomtsemloba“.

მსოფლიო ლიტერატურული ტენდენციები: დასავლეთი და აღმოსავლეთი
World Literary Trends: West and East

Mzisa BuskivadZe

მზისა ბუსკივაძე

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

World Literary Processes and Issue of Turkish Literature Development
(The Middle Ages and the Tanzimat Period)

მსოფლიო ლიტერატურული პროცესები და თურქული ლიტერატურის
განვითარების საკითხი
(შუა საუკუნეები და თანზიმათის პერიოდის მწერლობა)

The article analyzes the development of Turkish literature, taking into account global literary processes. The research focuses on both internal and external literary factors, which are, in turn, shaped by historical and geocultural circumstances. Two significant cultural spheres that greatly influenced the development of Turkish literature are identified: Islamic culture and civilization, and European culture and civilization. These two distinct cultures and civilizations positioned Turkish literature in a "threshold" stance, reflecting a crisis within literature and society. This crisis can be assessed as a result of an unresolved threshold, trauma, and dual discourse. Within the scope of the article, our research is limited to medieval and Tanzimat literature.

Key words: Turkish literature, Islamic culture and civilization, European culture and civilization, Global literary processes

საკვანძო სიტყვები: თურქული ლიტერატურა, ისლამური კულტურა და ცივილიზაცია, ევროპული კულტურა და ცივილიზაცია, გლობალური ლიტერატურული პროცესები

ნაციონალური ლიტერატურის ჩამოყალიბება-განვითარებაზე ეროვნული მახასიათებლების გარდა მნიშვნელოვან გავლენას მსოფლიო ლიტერატურული პროცესებიც ახდენს. გეოპოლიტიკური და კულტურული არეალის ცვლა დიდწილად განაპირობებს ლიტერატურის შემდგომ კურსსა და ხასიათს. იქამდე ვიდრე თურქული ლიტერატურა იმ სახეს მიიღებდა, რა სახითაც იგი დღეს გვევლინება, საკმაოდ რთული და გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, მტკივნეული გზა გაიარა. თურქული ლიტერატურის კვლევისას იკვეთება ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც მისი მუდმივად „ზღურბლისმიერ“ პოზიციაში ყოფნით შეძლება დეტერმინირდეს. ვფიქრობ, თურქული ლიტერატურის ბუნების განსაზღვრისათვის უფრო ფუნქციონალური იქნება ლიტერა-

ტურის თეორეტიკოსის, პროფ. ირმა რატიანის მიერ დამკვიდრებული სამუშაო ტერმინი „სასაზღვრო ცნობიერება“. „სასაზღვრო ცნობიერება“ ერთ-ერთი სამუშაო ტერმინია, რომელიც გულისხმობს არა მარტო იმას, რომ საუბარია სასაზღვრო ქვეყანაზე, რომელიც თავისი გეოგრაფიული ადგილმდებარეობით წარმოადგენს წყალგამყოფს განსხვავებულ ხალხებსა და კულტურებს შორის, არამედ იმასაც, რომ საუბარია სასაზღვრო ეპოქებზე, რომლებიც წარმოადგენს წყალგამყოფს განსხვავებულ კულტურულ და ლიტერატურულ პრინციპებს შორის“ (რატიანი, 2018, გვ. 122).

თურქული ლიტერატურის „სასაზღვრო ცნობიერება“ ორი მნიშვნელოვანი კულტურითა და ცივილიზაციით არის განპირობებული, მხედველობაში გვაქვს ისლამური კულტურა და ცივილიზაცია და ევროპული კულტურა და ცივილიზაცია. მე-10 საუკუნეში თურქებმა ისლამი სისხლისღვრის გარეშე მიიღეს, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ახალი რელიგიის მიღება მარტივად და ერთბაშად არ მომხდარა. თურქ ხალხებში ისლამის გავრცელების ნელი პროცესის ნათელი გამოვლინება შუა საუკუნეების თურქული ლიტერატურაა, რომელიც მე-13 საუკუნიდან იწყება. შეიძლება ითქვას, თურქული ლიტერატურა სამი საუკუნის დაგვიანებით შეუერთდა არაბულ სპარსულ ლიტერატურას და საბოლოო ჯამში მათი განუყოფელი ნაწილი გახდა. ახალმა რელიგიამ თურქული ენა ცენტრიდან პერიფერიაზე გადაიტანა. გახდა რა ისლამური კულტურის ნაწილი, ისლამური კულტურის წიაღში წარმოშობილი რელიგიურ-ფილოსოფიური მიმდინარეობა სუფიზმი როგორც საზოგადოებრივი სისტემა, ისე ლიტერატურა, თურქული საზოგადოების მსოფლმხედველობის განმსაზღვრელიც გახდა. პოეზიის ენა სპარსულია. ერთი მხრივ რელიგიური წიგნების არაბულად კითხვამ, მედრესეებში არაბულად სწავლებამ, მეორეს მხრივ ლიტერატურული ტექსტების სპარსულ ენაზე შექმნამ, არაბული და სპარსული ენის ლექსიკითა და გრამატიკული ფორმებით გამსჭვალული ოსმალური ენა წარმოშვა, რომელიც მხოლოდ საზოგადოების მაღალი წრის წარმომადგენლების ენად ითვლებოდა. ენობრივი კუთხით საზოგადოების დიფერენციაცია შესაძლოა „დიდ“ და „პატარა“ კულტურებად შევავსოთ. ლიტერატურას რაც შეეხება, აქ თავს იჩენს „მაღალი“ და „დაბალი“ ლიტერატურების საკითხი. კლასიკური თურქული ლიტერატურა ყველა იმ ნორმის დაცვით ვითარდებოდა, რომელიც სპარსული პოეზიისათვის იყო დამახასიათებელი. ლიტერატურული კანონი წინასწარგანსაზღვრული ნორმების, ვერსიფიკაციული სისტემის „იგივეობის ესთეტიკის“, მყარი მხატვრული სახეების, თემატიკის მკაცრი დაცვით იყო დასაზღვრული. კლასიკური თურქული ლიტერატურის პარალელურად ვითარდება „დაბალი“ ლიტერატურა, რომელსაც „თექეს“ ლიტერატურა ეწოდება და რომელიც ეროვნული ლიტერატურის ჩამოყალიბების საწყისადაც კი შეიძლება მივიჩნიოთ. თექეს ლიტერატურის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ პოეზიის ენა თურქულია. ე.წ. „დაბალი ლიტერატურის“ წარმომადგენელი იუნუს ემრე – აზიკ ფაშა – გულშეპირი, დივანის, ან მესნევის შექმნისას უპირატესობას თურქულ ენას ანიჭებენ და უშუალოდ თურქი ავტორებისა და მათი ტექსტების გავლენას განიცდიან (იუსუფ ჰას ჰაჯიბი, აჰმედ იესევი და სხვა). დივანის ლიტერატურა, რომელიც იგივეობის ესთეტიკითა და მყარი სალექსო ფორმებით არის გამორჩეული, ძველი პროდუქტიულობით ვეღარ გამორჩევა, სიახლე კი აუცილებელი ფაქტორია ლიტერატურის განვითარებისათვის. ამაზე ნათლად მეტყველებს ნაბის სიტყვები „Fesane-i Leyla vü Mecnun'dan usandık“ (თქმულება ლეილასა და მაჯუნუნის შესახებ უკვე ყელში ამოგვივიდა) (Dayanç, 2012, გვ. 59). მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით სიახლე არსად ჩანდა ენდერუნელი ვასიფის ირონიული დამოკიდებულება კლასიკური ლიტერატურის სიყვარულის ობიექტისადმი, უკვე მიანიშნებს, რომ დივანის ლიტერატურამ საკუთარი შესაძლებლობები ამოწურა. თუმცა თითქმის ექვსსაუკუნოვანი ტრადიციის მოკლე დროში ახლი ლიტერატურული ესთეტიკით, ვერსიფიკაციული სისტემით ჩანაცვლება იოლი საქმე ნამდვილად არ იყო. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, როცა თურქული ლიტერატურა ახალი ცივილიზაციის (ევროპული ლიტერატურის) არეალში შედის, დივანის ლიტერატურის ტრადიციის გამგრძელებელი საკმაოდ ცნობილი პოეტები ჯერ კიდევ აგრძელებენ თავიანთ შემოქმედებით საქმიანობას. აღნიშნულ პერიოდში არსებობდა მწერალთა საზოგადოება (Encümen-i Şuara), რომ-

ლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ: *ჰერცოგოვინელი* არიფი, *ლესკოვაცელი გალიფი*, *იენიშეპირელი* ავნი. აღნიშნული „მწერალთა საზოგადოების“ შეკრებებს საწყის ეტაპზე იბრაჰიმ შინასი, ნამიქ ქემალი, ზია ფაშა და სხვა პოეტებიც ესწრებოდნენ. თუმცა, ახალგაზრდა თაობა მალევე გამოეყო მათ და იბრაჰიმ შინასის კვალს გაჰყვა.

სიახლის დანერგვის და ქვეყნის მოდერნიზაციის პროცესი, ლიტერატურაში უპირველეს ყოვლის დივანის ლიტერატურასთან დაპირისპირებაში გამოვლინდა. თუმცა ისინიც უნდა აღინიშნოს, რომ ლიტერატურის მოდერნიზების შესახებ კამათი უფრო თეორიულ ხასიათს ატარებდა, პრაქტიკაში კი სიახლის ადაპტირება არც თუ ისე ადვილი საქმე აღმოჩნდა, სწორედ ამიტომ *თან-ზიმათის* მწერლობის წარმომადგენლები დივანის ლიტერატურის გავლენისგან სრულიად ვერ გათავისუფლდნენ. მე-19 საუკუნის დასაწყისში მსოფლიოში ისტორიული გარემო იცვლება რამაც ოსმალეთის იმპერია პოლიტიკური და კულტურული ცვლილების აუცილებლობის წინაშე დააყენა. ცივილიზაციის ახალ არეალში გადასვლა თავისთავად გულისხმობდა ახალმიღებული ცივილიზაციისთვის დამახასიათებელი საზოგადოებრივი სისტემის ადაპტირებას, მორალური ნორმების აკუმულირებას. მე-20 საუკუნის გამორჩეულად საინტერესო თურქი მწერალი, აჰმედ ჰამდი *თანგინარი*, რომელიც ამავე დროს „მე-19 საუკუნის თურქული ლიტერატურის ისტორიის“ ავტორიც გახლავთ, სტატიათა კრებულში „სტატიები ლიტერატურის შესახებ“ აღნიშნავს: „*ახალ თურქულ ლიტერატურას საფუძვლად ცივილიზაციის კრიზისი უდევს*“ (Tanpınar, 1997, გვ. 85). აღნიშნული კრიზისი კლასიკური *ეპისტემის* ევროპული *კონცეპტით* „ჩანაცვლებამ“, ან უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვით „ჩანაცვლების მცდელობამ“, გამოიწვია. თურქულ საზოგადოებაში და თურქულ ლიტერატურაში დასავლური ღირებულებების ადაპტაცია, ან ადაპტაციის მცდელობა თავიდანვე რელიგიის, საზოგადოებრივი ნორმების, ტრადიციებისა და წეს ჩვეულებების ღია თუ ფარული კონფლიქტის ფონზე მიმდინარეობს. *გეოკულტურული* გარემოს ცვლილების გამო ახლისა და ძველის დიქოტომიის საფუძველზე ორმაგმა დისკურსმა და ორმაგმა მორალმა იჩინა თავი. იქნება ეს სამოსი, წეს-ჩვეულებები, საუბრის მანერა, ენა, რწმენა, განათლება და სხვა.

საჭიროა ხაზი გავუსვათ იმ მნიშვნელოვან ფაქტორებს, რომლებმაც თურქულ ლიტერატურას ახალი იდენტობის შექმნა „გაუმარტივა“. თურქი განმანათლებლებისათვის რომანის ჟანრი აღმოჩნდა ის მთავარი მარკერი, რომლითაც მათ შეეძლოთ ევროპულ ლიტერატურასთან კავშირისა და ზოგადად, ევროპელობაზე „პრეტენზია“ მშვიდად განეცხადებინათ. მე-19 საუკუნეში ფრანგულ კულტურასთან და ლიტერატურასთან სიახლოვემ თურქულ ლიტერატურაში ისეთი ჟანრების გაჩენას შეუწყო ხელი როგორცაა რომანი, მოთხრობა, თეატრის ჟანრები. ევროპეიზაციის პროცესის პირველი პერიოდი 1878 წლამდე გრძელდება. აღნიშნული პერიოდი, რომელიც დაახლოებით 20 წელს მოიცავს რომანის, მოთხრობის, თეატრის ჟანრების ეტაპობრივ განვითარებას ავლენს. რასაც ვერ ვიტყვით პოეზიაზე. ამის მიზეზი კი ის არის, რომ დივანის პოეზიას მყარი საფუძვლები გააჩნდა. ევროპული ლიტერატურიდან გადმოტანილი ჟანრები რაიმე სახის ტრადიციასთან დაკავშირებული არ არის. ვერც ის გამოდგება არგუმენტად, რომ იქამდე არსებობდა თურქული თეატრის ისეთი სახეობები როგორცაა *ყარაგოზი*, *ორთაოიუნუ* და ხალხური მოთხრობები. ევროპული *კონცეპტის* დამკვიდრებამ თავისთავად გამოიწვია „*აღმოსავლური პოეზიისათვის ნიშანდობლივი მითოპოეტურების ჩანაცვლება, დასავლური პოეზიისათვის ნიშანდობლივი ისტორიულ-ყოფითი ნარატივით*“ (რატიანი, 2018, გვ. 84). აღნიშნული „ჩანაცვლება“ ლიტერატურის სრული განახლების სურვილსა და მცდელობაში გამოვლინდა. *თან-ზიმათის* ლიტერატურის პირველი თაობის წარმომადგენელი მწერლები ცდილობენ თურქული ლიტერატურა აღმოსავლური ლიტერატურული ტრადიციის გავლენისაგან სრულიად გაათავისუფლონ და დასავლური ლიტერატურული ტრადიციის ჩარჩოებში მოაქციონ. მათთვის ევროპული ცივილიზაცია მხოლოდ სამრეწველო სისტემისა და ტექნიკის განვითარებაში არ გამოიხატებოდა, სწორედ განათლება და ლიტერატურა იყო მათთვის პროგრესის მონოლითურობის მაჩვენებელი. *შემსეთთინ* სამი ნაშრომში „პოეზია და სიახლეები ჩვენს ლიტერატურაში“ წერდა „*მათ, ვინც ევროპული ენები იცის და შექსპირის, გოეთეს,*

შილერის, რასინის ნაწარმოებებს კითხულობს, ნამდვილად არ მოეწონება ამბავი იმის შესახებ როგორ იკეთებენ ყარყატები მეჯუნის თმებში ბინას, ან როგორ ესაუბრება ლეილი მთვარეს“ (Tanpınar, 2012, გვ. 25). ნამიქ ქემალიც დივანის ლიტერატურის ნიმუშებს ეპოქის შესაბამისად აღარ მიიჩნევს და ყურადღებას ჩარლზ დიკენსის, ვიქტორ ჰიუგოს, ალექსანდრე დიუმას ნაწარმოებებზე ამახვილებს. ცნობილია, აჰმედ მიდჰათ ეფენდის პროევროპული შეხედულებებიც. ლიტერატურის მოდერნიზების მოსურნე მწერლები დივანის ლიტერატურის ნიმუშებს აღმოსავლურ ზღაპრებად მიიჩნევენ და ცდილობენ ისინი რაციონალური აზრით გაჯერებული ნაწარმოებებით შეცვალონ.

ქართულ-აფხაზური დიალოგის წარმატებული ლიტერატურული ფორმატი 2023 წელს გამოცემული აფხაზი და ქართველი მწერლების კრებულით დასტურდება. წიგნის სახელწოდებაა „შეხვედრა“ და მასაც ასეთივე ინიციატივა აერთიანებს – მწერლობამ თავისი სიტყვა უნდა თქვას „კაცთა შორის მშვიდობის დასამყარებლად“. იდეა განხორცილდა კონრად ადენაუერის ფონდის მხარდაჭერით. პროექტის ხელმძღვანელები არიან გურამ ოდიშარია და აფხაზი მწერალი დაურ ნაჭყეზია, რომელმაც ქართველ მკითხველს თავი დაამახსოვრა მოთხრობებით და განსაკუთრებით რომანით „უცხო ნაპირი“. უნდა აღინიშნოს, რომ 90-იანი წლების აფხაზურ მწერლობაში დაურ ნაჭყეზიამ არა მარტო იმით მიიპყრო ყურადღება, რომ მან არნახული წნეხისა და ცენზურის პირობებში გაბედა, ჩართულიყო კულტურათა დიალოგის პროცესში, არამედ თავისი სამშვიდობო მხატვრული ნარატივითაც შეუერთდა ქართველ მწერლებს. იგი ბოლომდე მიჰყვა შემოქმედის ინტუიციას და სათქმელიც ამ გადასახედიდან გაამჟღავნა.

კრებულში „შეხვედრა“ აფხაზი მწერლების ნაწარმოებები ქართულად თარგმნა ირმა ოსიამ. ნიშანდობლივია, რომ პროექტის ყველა მონაწილე ქალია, ავტორთა სია ასე გამოიყურება: დიანა ანფიმიადი, ასტანდა არძინა, ნინი ბატიაშვილი, შაზინა მგანბა, თამარ გეგეშიძე, ნინა ეშაუ, ეკატერინე ტოგონიძე, სირმა ფაჩულია. წიგნს თანდართული აქვს ინტერვიუები და ავტორთა ბიოგრაფიები. პროექტის ყველა მონაწილე წარმატებას ერთობლივად აღწევს, ისინი ეძებენ და პოულობენ თანხვედრას ომით გაყოფილი ადამიანების სევდასა და ტკივილში, ამცირებენ გაუცხოების მანძილს. მათი ლიტერატურული ინსპირაციის წყარო მშვიდობის აუცილებლობის განცდაა. ცნობილია, რომ ომი მრავალი ლიტერატურული შედეგის „მთავარი გამირია“ და ამ შემთხვევაშიც ავტორები გამირად აქცევენ საქართველოს ისტორიის დრამატულ ამბავს- აფხაზეთის ომს. წიგნის გარეკანზე ვკითხულობთ:

„რვა განსხვავებული სტილისა და პერსპექტივის ტექსტებში ქართული და აფხაზური საზოგადოების დღევანდელი ყოფა იკითხება. მოთხრობების მთავარი გამაერთიანებელი ხაზი ქალი მწერლების საერთო პოზიციაა: გულწრფელი გულისტკივილი ადამიანის მიმართ, მისდამი სიყვარული, თანაგრძნობა და სამართლიანობა. ეს კრებული ომის დამლევაზეა, ბოროტების დამლევაზე, რომელიც მან ჩვენს სულებს დამართა“ (შეხვედრა, 2023, გარეკანის გვერდი).

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ჩვენი მსჯელობა კონცენტრირდება აფხაზ მწერლებზე, ვინაიდან სწორედ მათ ლიტერატურულ ტექსტებში შეინიშნება ომის ნარატივის ტრანსფორმაცია და გადაკვეთის წერტილებთან მიახლოებების სურვილი. როგორც ცნობილია, ქართველმა მწერლებმა ეს განწყობა გაცილებით ადრე გამოამჟღავნეს. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზური საზოგადოების უდიდესი ნაწილი დღესაც ერთგულეებს რუსეთის იმპერიის მიერ ქართველთმომულეობის დიდაქტიკას და კულტურის მეშვეობითაც ამასვე ახორციელებს, პროექტის მონაწილე აფხაზი ავტორები მაინც კვეთენ იმ ზღვარს, რომელიც ამ დიდაქტიკას არ ემორჩილება. სამართლიანობისთვის უნდა შევნიშნოთ, რომ ქართულ-აფხაზურ კონფლიქტთან მიმართებაში ამ სათქმელის განვრცობა პირველად შეინიშნება უხუცესი აფხაზი მწერლის ფაზილ ისკანდერის მოთხრობაში „ომი და ბიჭი“. „*ფაზილ ისკანდერი ძალიან სათუთი თემატიკით უერთდება ზოგადკავკასიურ დიალოგს, ეს არის ბავშვის უმანკო თვალებით დანახული რეალობა, რომელსაც უფროსები ომს არქმევენ და ვერაფერს უხერხებენ იმ უსამართლობებს, რომელსაც თავად ქმნიან*“ (კაპანაძე, 2019, გვ. 173).

2023 წელს გამოცემულ კრებულში „შეხვედრა“ აფხაზი მწერლების ახალი თაობის წარმომადგენლები – ასტანდა არძინბა, მაზინა ბგანბა, ნინა ეშსაუ, სირმა ფაჩულია – კვლავ ბედავენ ისაუბრონ იმაზე, რაც ომმა დამართა ქართველებსა და აფხაზებს. ისინი ქმნიან არა შურისძიების, არამედ დიალოგის სივრცეს. პროექტის მონაწილე ყველა ავტორი ომის შემდეგაა დაბადებული. თუმცა ეს, რა თქმა უნდა, არაფერს ცვლის, რადგან პროექტის მონაწილე ყველა მწერალი იმ თაობას მიეკუთვნება, რომელიც პოსტკონფლიქტურ პერიოდში ქართველთა მოქალაქეობის აქტიური პროპაგანდის სამიზნე იყო და ყველა ლოგიკით ამ გავლენის კვალს უნდა ატარებდეს. მიუხედავად ამისა, პროექტის მონაწილე აფხაზ მწერალთა მოთხოვნებში უკვე მონიშნულია ომის ნარატივის ტრანსფორმაციის მკვეთრი კონტურები, რომლებიც შემდეგ ძირითად ტენდენციებად ასე შეიძლება ჩამოვყალიბოთ: 1. ომი გამარჯვების გარეშე 2. პოსტკონფლიქტური პერიოდის ნაციონალური ნარატივის გადასინჯვის მცდელობა. 3. თანაგანცდა როგორც ომის დამლევის საშუალება.

თავის მოთხოვნაში „კვანტური კავშირები“ პროექტის მონაწილე აფხაზი მწერალი ასტანდა არძინბა წერს:

„კაცობრიობა საკმარისად ვერ აღიქვამს ომის შემდგომი პერიოდის ტრაგიზმს და ეს ყველაფერი იმიტომ, რომ ომისგან შორს მყოფ ადამიანებს ეჩვენებათ, რომ ომში ყველაზე უარესი დაბობმბვა და სიკვდილთან ალბათობაა, არადა, ყველაზე საშინელი ომში გატეხილი ადამიანებია, რომლებმაც უყურეს ადამიანური ბუნების ყველაზე ამაზრზუნ, ყველაზე საშინელ გამოვლინებებს. ეს გატეხილი ადამიანები თავიანთი გატეხილი სულებით დადიან მშვიდობიან ცხოვრებაში და ომი მათთვის არ მთავრდება“ (შეხვედრა, 2023, გვ. 32).

იმავე მოთხოვნაში მისი შეგრძნებები უფრო მძაფრდება და ტრანსფორმირდება მშვიდობის სივრცის შექმნისათვის უაღრესად მნიშვნელოვან განცდებში – ეს გახლავთ პოსტკონფლიქტური პერიოდის ნაციონალური ნარატივის გადასინჯვა, მისი შეგრძნებები აღარ ემორჩილებიან ომის-შემდგომი ნაციონალური დიდაქტიკის გავლენებს:

„სკოლაში გვასწავლიდნენ, რომ ომი მოვიგეთ, დავიბრუნეთ თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ჩვენ ვართ გამარჯვებულები, ჩემთვის ეს იყო ყველა ოლიმპიკადა ერთდროულად რომ მოგვეგო, იმის ტოლფასი. ძალიან ვამაყობდი, მაგრამ ასაკის მატებასთან ერთად აღფრთოვანება იკლებდა. თუმცა ჩემი რესპოდენტები გამარჯვების დღისთვის ან სამხედრო თარიღისთვის მომზადებულ რეპორტაჟებში ისე მჭერმეტყველურად საუბრობდნენ ჩვენი ხალხის გმირობასა და გამბედაობაზე, ასობით ვაჟისა და ქალიშვილის სიცოცხლის ფასად მოპოვებულ თავისუფლებაზე. მე კი ისეთი ამბები შევიტყვე ომისა და მისი შედეგების შესახებ, რის გაგებაც არასდროს მინდოდა“ (შეხვედრა, 2023, გვ. 34).

აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ პროექტის სტრუქტურული დაგეგმარება, მის შინაარსთან ერთად, მკითხველს ეხმარება, კარგად გაიაზროს აფხაზი მწერლების მინორული, თუმცა ჩვენი აზრით, ამ პოლიტიკურ რეალობაში ძალიან თამამი პოზიცია ქართულ-აფხაზურ კონფლიქტთან დაკავშირებით. წიგნს თან ერთვის ინტერვიუები, სადაც ქართველი და აფხაზი მწერლები ერთმანეთს ენაცვლებიან როგორც რესპოდენტები და ეს მასალაც დამატებით არგუმენტად ყალიბდება სამშვიდობო გზავნილის გასააზრებლად.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ დასტურდება ამ ფორმატის პროექტების მნიშვნელოვანი როლი ნდობის აღდგენის პროცესში. კულტურა, როგორც უნიკალური, სანდო ინსტრუმენტი და კონფლიქტის მონაწილე მხარეთა უსაფრთხო შეხვედრის ადგილი, შეუცვლელია. მწერალთა დიალოგის ასეთი ფორმატი იმედია იმისა, რომ ქართულ-აფხაზური გაუცხოების პროცესი საგრძნობლად შემცირდება. კულტურის ეგიდით წარმოებულმა დიალოგმა უნდა უზრუნველყოს ომის პრევენცია და კონფლიქტზე ჯანსაღი რეფლექსიები წარმოშვას. როგორც უკვე აღვნიშნეთ,

ქართულ-აფხაზური კონფლიქტი ამ თვალსაზრისით, მართლაც, სპეციფიკურია, რადგან მხარეებს ისტორიული წარსული აერთიანებთ, ომამდელი და ომის შემდგომი ნარატივი მათ მეხსიერებაში სასარგებლო კონფლიქტშია, რომელსაც ხელშეწყობა სჭირდება. ეს ერთადერთი კონფლიქტის სახეობაა, რომელიც ასეთ წახალისებას საჭიროებს. პროექტი „შეხვედრა“ დასტურია, რომ აფხაზი მწერლების ცნობიერებაში ეს სასარგებლო კონფლიქტი რეალურად არსებობს და ისინი მაინც რჩებიან მეტაეთიკის ძირითადი პრინციპების ერთგულნი.

გამოყენებული ლიტერატურა:

- დიუმი, ჯ. (2014). თავისუფლება და კულტურა, თბილისი: ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა კვლევის ინსტიტუტი.
- ევოლა, ი. (2023). ომის მეტაფიზიკა, თბილისი: „აქტი“.
- კაპანაძე, ს. (2019). კონტექსტი, წერილები ქართულ მწერლობასა და კულტურაზე, თბილისი: „სვეტი“.
- რობაკიძე, გ. (2014). ომი და კულტურა, თბილისი: „არტანუჯი“.
- შეხვედრა, აფხაზი და ქართველი მწერლების მოთხრობების კრებული (2023). თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.
- Бахтин М.М. (1979). Эстетика словесного искусства, Москва.

References:

- Bakhtin M.M. (1979). Estetika slovesnogo iskusstva. [Aesthetics of Verbal Art]. Moskva.
- Diumi, J. (2014). Tavisupleba da k'ult'ura. [Freedom and Culture]. Tbilisi: pilosopiisa da sotsialur metsnierebat k'vlevis inst'it'ut'i.
- Evola, I. (2023). Omis met'apizik'a. [Metaphysics of War]. Tbilisi: „akt'i“.
- K'ap'anadze, A. (2019). K'ont'ekst'i, ts'erilebi kartul mts'erlobasa da k'ult'uraze. [Context, Letters on Georgian Writing and Culture]. Tbilisi: „svet'i“.
- Robakidze, G. (2014). Omi da k'ult'ura. [War and Culture]. Tbilisi: „art'anuji“.
- Shekhvedra, apkhazi da kartveli mts'erlebis motkhrobbis k'rebuli. (2023). [Meeting, Collection of Stories by Abkhazian and Georgian Writers]. Tbilisi: Bak'ur Sulak'auris gamomtsemloba.

Gia Khoperia

გია ხოფერია

Akaki Tsereteli State University

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Georgia, Kutaisi

საქართველო, ქუთაისი

The Fateful Events of 1993 in Abkhazia and the Modern Georgian Novel

(Sergo Tsurtsumia – “The Year of the Fire Rooster”)

1993 წლის საბედისწერო მოვლენები აფხაზეთში და თანამედროვე ქართული რომანი

(სერგო წურჭუმიას „ცეცხლოვანი მამლის წელიწადი“)

The images depicting the tragedy that unfolded in Abkhazia in the 90s of the last century were reflected in many artistic works, both poetic and prose, dramaturgical or documentary texts with different ranges and degrees showing the sources of this tragedy and the tragic results. Sergo Tsurtsumia's novel “The Year of the Fire Rooster” is distinguished from the artistic works created in recent years not only in terms of realistic portrayal of problematic nuances, but also in their generalized understanding and accurate representation of the logical development of events, because the motivation for creating such a text is due to the author's experience as an eyewitness and active participant in the war.

Keywords: artistic work, representation, dramatic line, Georgian soil

საკვანძო სიტყვები: მხატვრული შემოქმედება, რეპრეზენტაცია, დრამატული ხაზი, ქართული ნიადაგი

სერგო წურჭუმიას რომანმა „ცეცხლოვანი მამლის წელიწადი“ („ინტელექტი“, 2021) გამოცემისთანავე გაიტყვა სახელი, ვინაიდან მკითხველისათვის აფხაზეთის ტრაგედიის შესახებ მაუწყებელი ყოველი მხატვრული თუ დოკუმენტური ტექსტი ყოველთვის საინტერესო გახლდათ. მით უმეტეს, რომანის გამოჩენამ კიდევ უფრო გააღვივა ეს ინტერესი და გამოხმაურებებსაც თუ მივაქცევთ ყურადღებას, ნდობაც დაიმსახურა. პროფესიონალთა თუ არაპროფესიონალთა შეფასებები, ომის მონაწილეთა მოსაზრებანი, ლტოლვილთა თვალთ ნანახი, გონებაში ჩამახსოვრებული საშინელი ამბები ამ შეფასებებისას ბევრ საერთო სურათს ნახულობდა რომანის ფურცლებზე განფენილ სიუჟეტებთან, იმ სინამდვილესთან რაც მათაც კარგად იცოდნენ, მაგრამ თუ ასეთი უღმერთობა და არაადამიანურობა ტრიალებდა აფხაზეთის მიწაზე და რამდენად შეიძლებოდა ამ მასიური სცენის დახატვა, სიმართლის აღდგენა, იქნებ ვერც წარმოედგინათ, რომ არა სერგო წურჭუმიას ეს რომანი (აქ ვერ მოხერხდება მოძიებული მასალის ილუსტრირება სიმრავლის გამო, თუნდაც ინტერნეტში მიკვლეული ტექსტებისა, დავასახელებ მხოლოდ ავტორებს: რაულ ჩილაჩავა, როსტომ ჩხეიძე, ლია კუხიანიძე, ნანული ცხვედიანი, ნინო ვახანია, ავთანდილ ყურაშვილი, ესთერ ჯანაშვილი, გია ხოფერია, ზურაბ დათუაშვილი...).

აქვე უნდა ითქვას, რომ სერგო წურჭუმია არაა პირველი ავტორი, ვინც შეეხო აფხაზეთის თემას, საკმაო ლიტერატურაა დაგროვილი (პოეზია, პროზა, წერილები, დოკუმენტური ნარკვევები) ამ

მიმართულებით. პროზაულ ქმნილებათაგან საკმარისი იქნება გავიხსენოთ გურამ ოდიშარის „დევნილთა უღელტეხილი“, ბიძინა გოლეტიანის „ღია საფლავები“, თამაზ ლიპარტელიანის „სისხლიანი სასაკლაო“, ლელა ფხაკაძე-ზარანდიას „აფხაზური ტრაგედიები“ და სხვები.

რასაკვირველია, ამ ნაწარმოებების ავტორები ცდილობენ სინამდვილის ასახვას, მათ ხელთაა უამრავი დოკუმენტური მასალა. ესეც რომ არ იყოს თავადვე არიან იმ საშინელებათა შემსწრენი, რაც ხდებოდა სოხუმში, აფხაზეთის სხვადასხვა რეგიონში, სოფლებში, თვითონვე იბრძოდნენ, თვითონვე იცავდნენ მშობლიურ მიწას და ამის გამოცაა, რომ ძნელია ეჭვი გვეპარებოდეს მათ მონათხრობში. ამ ავტორებმა დიდი საქმე გააკეთეს, თითქმის წმინდა ნატურალისტურად ასახეს მაშინდელი მოვლენები და აშკარა ფაქტების წინაშე დაგვაყენეს, მაგრამ „ცეცხლოვანი მამლის წელიწადი“ უნდა დაწერილიყო, უფრო ხელშესახებად რომ გვეგრძნო ტრაგედიის თავი და ბოლოც, უფრო თვალნათლივი ყოფილიყო დაპირისპირებათა ისტორიული და ფილოსოფიურ ოფსიკოლოგიური მიზეზები, რომ ეს სისხლიანი ამბები ერთი ხელის მოსმით არ დაწყებულა, რომ შესაფერისი დრო – ჟამის მოხელთება აღმოჩნდა საჭირო და აუციულებელი იყო აფხაზურ ქართული კონფლიქტის თანდათანობითი გამძაფრება ისე, რომ ნათესაურ მოყვრული ძლიერი კავშირებიც კი დარღვეულიყო და წარმოუდგენელი სისხლის ღვრა მომხდარიყო. რასაკვირველია, ძნელია ამ რომანის წაკითხვა მხოლოდ ინფორმაციის მიღების მიზნით, მხოლოდ ავტორის სამემსრულებლო ხელოვნების ტკბობით, რა თქმა უნდა ესეცაა, მაგრამ უფრო ძნელად გადასატანი გახლავთ ის, რომ თავად ხდები რომანის პერსონაჟი და ბოლო სიუჟეტამდე გიწევს ტყვეობა, უმეტესად შემდგომაც რომ გრძელდება სწორედ ინფორმაციებისა და მწერლისეული ხელწერის წყალობით.

ამიტომაც დაფიქრება – წუხილი არ კმარა მკითხველს ამ რომანის წაკითხვისას, მხოლოდ სინანულის განცდა ვერ გაუთანაბრდება იმ ტრაგედიას, უწყვეტ ნაკადად, უწყვეტ გავარვარებულ ლავად რომ მოედინება გასისხლიანებული ფურცლების ხეობაში, ლამის ყველაფერი მართლაც რომ ფერფლადაა ქცეული, მაგრამ ფერფლთან ერთად შენახული და გახშიანებულია ისტორია, გმინვა იმ ისტორიისა ფილტვებდაცხრილული აფხაზეთიდან კვლავაც რომ მოისმის. ჩაფიქრება, თუნდაც მწარე და სინანულიც, ცხადია, არავის ასცდება, რამდენიმე გვერდიც რომ სახელდახელოდ გადაიაროს, თავარა ამბების ორომტრიალშიც გაეხვიოს, ვინც მომსწრეა მაშინდელიობის, ბევრი რამ ეცნოს და გაუნდლდეს ტკივილები, ესეცაა, ამგვარი ტალღებიც გამოემართებიან შენსკენ, გადაგველებიან, სულს მოგიშხამავენ და იქნებ აიტანო კიდევ, შეიგუო ეს პირველი დარტყმები, ადამიანი ხომ ყველაფრის მოსწრეა, ომისა და უბედურების მეტი რა უნახავს, როდის ყოფილა დაწყნარებული კაცობრიობა, ეს ცოდნაც წამოგეწიოს და დაჯერდე რომანის ზედაპირზე გავლას.

არც „ცეცხლოვანი მამლის წელიწადის“ ავტორს, სერგო წურწუმისა, აკლია ცოდნა და ნაკითხობა ადამიანის გავლილი გზისა, მშვენივრად მოეხსენება ისტორიული წყაროებიდან მოყოლებული ათასობით ლიტერატურული ბატალიები თითქმის წერტილ-წერტილ კვალში მისდევდნენ მავანთა იმპერიულ თუ ვიწრო ამბიციებს, მილიარდობით მსხვერპლი რომ დასჭირდა მათ დაცხრომას, რა ბოროტება და სისასტიკე არ დატრიალებულა, რა სადამსჯელო უკუდმართობას არ მოუცავს აღზევებულთა გონება, ლაპარაკობენ საბუთები, ლაპარაკობენ მხატვრული ტექსტები, ფილმები, ფერწერული ტილოები, მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ქმნილებები... დიახაც, მშვენივრად მოეხსენება, პირველს რომ არ მოუწადინებია გადაშვებულიყო ხელჩართულ ბრძოლაში, თუნდაც მისთვის საკუთარი ხუთი თითივით ნაცნობ პროცესებთან, ერთი შეხედვით დიდი ისტორიიდან ნასესხებ სცენარს რომ ჰგავს მათი დინება, გადაშვებულიყო იმ განზრახვითაც, რაც შეიძლება ამაზრზენად ეჩვენებინა თანამედროვეობის გახრწნილი სახე, ვითომცდა ცივილიზებული ადამიანის საცოდაობა, დასახიჩრებული სული და აქეთკენ გეზაღებულმა უფრო დამაიდებლად მიანიჭა თავის რომანს არსებობის უფლება.

ამიტომაც მიმაჩნია, რომ „ცეცხლოვანი მამლის წელიწადი“ მხოლოდ ვალის მოხდა არაა, კადრებად დაალაგო ის საშინელი მოვლენები ელვისებურად რომ საქართველოს ერთერთ საუკეთესო ნაწილს და ქარის მობერილზე კიდევ უფრო გავივებული ცეცხლივით გადახრუკა იქა-

ურობა, უპირველეს კი ადამიანები, ადამიანთა გულები, ამოაშრო და ამოდაგა სიცოცხლე, არაა ვალის მოხდა მშობლიურობის წინაშე, თუნდაც თავადაც გიბრძოლია, ვაჟკაცურად შებმიხარ მტერს, ათასჯერ ჩაუხედავს სიკვდილს შენს თვალებში და კარგად მოგეხსენება, სხვისი ნაამბობით კი არა, რა ჟალტამი და ბევრჯერ ენით გამოუთქმელი საშინელებაა ომი. ამ რომანიდან უამრავი პრობლემა იხედება, ომისწინანდელიც, ომისდროინდელიც, თუ გნებავთ შემდეგი დროებისაც, უთავბოლო ხლართებად მოჩანს ეპოქალური სატკივარი, ასევე უთავბოლო პოლიტიკური ვარჯიშობებით რომ წარმოიშვა და თანდათან მიიღო ულმობელი მონსტრის სახე. სწორედ ამ პოლიტიკურ პოლიგონებზე გავლილი წვრთნების შედეგებს უტრიალებს მწერლის ფიქრი და ცდილობს, როგორადაც მოუხერხდება წაშალოს კითხვის ნიშნები, უბედურების დატრიალების შემდეგ რომ გაჩნდა ომის ორივე სანაპიროზე.

„ცეცხლოვანი მამლის წელიწადი“ საკმაო მოცულობისაა, ექვსას გვერდს უახლოვდება. რაც ვიცოდით, ისიც ნათქვამია, რაც არ ვიცოდით ან თავად მწერლის გამონაგონად შეიძლება მივიჩნიოთ, რასაკვირველია, ერთად და შეზავებულად მოთხრობილი, ისიც ცოცხლად მოძრავ სიუჟეტებად, გრანდიოზულ სურათს წარმოგვიდგენს და ეს სურათი გვაიძულებს კიდევ დავყოვნდეთ მის წინაშე და სკოლის მოსწავლის ენაზე რომ ვთქვათ, მისგან მიღებული პირველი ემოციები ანუ მოკლე შინაარსი ჩაგვრჩეს გონებაში და ამ მახსოვრობითაც გამოვიჩინოთ თავი, რომ ჩვენთვის მისაწვდომად იოლია რომანის ყოველი კუთხე – კუნჭული, რომ არ გვიწევს დაფარულისა და შეფუთულის ამოსაცნობად ზედმეტი ჯაფა, ჩავიარეთ მთელი ექვსასი გვერდი და, მოკლე შინაარსის არ იყოს, ხელისგულზე გვიდევს საქვეყნო ტრაგედიის მოკლე ისტორია, ხატოვნად და ტემპერამენტული თხრობით რომ შემოგვთავაზა მწერალმა. ასე სახელდახელოდ თვალგადავლებასაც რომ დავჯერდეთ, ტექსტი ჩვენგან მოშორებით მაინც არ აღმოჩნდება, საინფორმაციო ნაკადების სიმწვავე იმთავითვე ამოქმედდება და მათ ზეგავლენაც დამთრგუნავი აღმოჩნდება. ერთის მხრივ, ესეც გათვლილი უნდა იყოს რომანის დაწერისას, სხვაგვარად სინამდვილის წარმოსახვა მთლიანად საეგებო ამბებზე აიკინძებოდა და ნაწარმოები სულ სხვა მიმართულებით გაიყოლებდა ჩვენს მზერას, თუმცა მხოლოდ ფაქტები და მძაფრი რეალობის კონტურები ისე ვერ ამეტყველდებოდნენ, რომ გაეხმიანებინა ისინი რომანის მთავარ გმირს, მოვლენების ეპიცენტრში რომ მოუწია ყოფნა და მოულოდნელად დაიწყო მისმა გონებამ ცხოვრების ახალი კარდიოგრამის ჩანიშვნა, მერე და მერე რომ მიბრუნებოდა ამ კარდიოგრამას და ცივი გონებით წაეკითხა მასზე აღნიშნული ზიგზაგები. სწორედ მთავარი გმირის მხრებზეა შემდგარი მთელი ნაწარმოები, გმირისა, რომელიც არსად გვემხილება, ვინაიდან იოლად შეგვიძლია მასში თავად მწერლის ამოცნობა და ისიც, რომ შეცდომად არ ჩაგვეთვლება, თუ მის ადგილზე ნებისმიერ სხვა ჭეშმარიტად მებრძოლეს წარმოვიდგენთ, რომელთა საკმაოდ სავსე ან ფრაგმენტული სახეებით რომანი ნამდვილად საინტერესოდ განშტოებული. თუმცა მთავარმა გმირმა მართლაც რომ მასშტაბურობა იკისრა და შემლო კიდევ ომის პოლიტიკური და გეოგრაფიული რუკების გაშლასთან ერთად მონოლოგების შემოთავაზებით მოეთხორო არა მხოლოდ პირად ფსიქოლოგიურ ქარტეხილებზე, არამედ მთლიანად ამოეყირავებინა ეპოქა, აღსავსე, ცალკერძ ჩვეულებრივი გულუბრყვილო და პატიოსანი ადამიანებით, ცალკერძ, პირსისხლიანი გნომებით.

ამჟამად არ მოხერხდება რომანის მთლიან სქემაზე საუბარი. კაცმა რომ თქვას, არცაა საჭირო. გაწაფული მკითხველი, არ ებნევა გზას, მშვენივრად ხვდება, როგორ აიწევ-დაიწევს მწერლის თამასა, როდის ახერხებს იგი მდინარის შუაგულისკენ გაცურვას, როდის მიაბიჯებს სანაპიროზე. მთავარი და არსებითი იმის გაცნობიერებაა, რატომ დაიწერა ესა თუ ის მხატვრული ტექსტი, არის თუ არა მისი მხატვრულობა ახალი აზროვნების მომცველი, ბიძგად რომ სჭირდება მკითხველს მხოლოდ რაიმე ცოდნის მისაღებად კი არა, არამედ გარდასახვისთვის.

და მაინც საჭიროა ცალკეული ფრაგმენტების გახსენება, ძლიერ შთაბეჭდილებას რომ ტოვებენ, რომანის მთავარ ხერხემალს ამაგრებენ და, ამავე დროს, ირგვლივ მოისვრიან ხოლმე კარგა

მოზრდილ ნაფოტებს, მიზანში რომ ჰყავთ ამოღებული ყველა, ვინც კი მოახერხებს იმ ხერხემლის ახლოს გავლას.

რომანი სამ ნაწილადაა დაყოფილი („აირგის რისხვა“, „გამწყდარი სიმი“ და „კარი არსაით“). სამივე ცალ-ცალკედაც გამოირჩევა სიუჟეტური განვრცობითა და ფინალური თავმოყრილობით, მაგრამ მათი ერთ მთლიანობად შერწყმა უფრო ეფექტურსა და საყურადღებოს ხდის მწერლის ჩანაფიქრს, უფრო ხელშესახებად გვიწევს აფხაზეთის ომის მსვლელობის, კერძოს სოხუმის დაცემის, ომის წინა პერიოდისა და ტრაგედიის შედეგების აღქმა – გააზრება, განსაკუთრებით რომ გამოიკვეთოს 1993 წლის მოვლენები, სამწუხაროდ ცეცხლოვანი მამლის წელიწადის სახელდებით რომ ჩაიბეჭდა ამ რომანში და, საერთოდაც, ასე შემორჩა ისტორიას. ნაწარმოების სამივე ნაწილის განფენილობას რომ მივყვეთ, უპირველესად თვალწინ დაგვიდგება ცალკეული დღეების ცეცხლოვანი სურათებიც, უფრო და უფრო რომ ეტყობოდათ აალება – გამძვინვარება და ჩასაყლაპად ეტანებოდა ქალაქს, რომლის დამცველები უკანასკნელ ტყვიამდე, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ცდილობდნენ მოეგერიებინათ ბევრად ჭარბი ძალები მტრისა, დაქირავებული რუსი და ჩრდილოკავკასიელი ბოვიკებისა, ადგილობრივ მცირერიცხოვან აფსუებს იმედად რომ ამოეფარებინა და საცაა გამარჯვებასაც იზეიმებდნენ, ვინაიდან სოხუმი მხოლოდ რამდენიმე ასეული პატრიოტისა და ღვთის ანაზარა დარჩა. დენტის სუნი რომანის პირველივე ფურცლებიდან გვეცემა და კარგა ხანს ვერ გამოვდივართ ბრძოლის ველიდან, სადაც გმირობისა და ვაჟკაცობის არაერთ მაგალითს ვხედავთ, მაგრამ უსამართლობისა და უთანასწორობის, მიუსაფრობის, განწირულობის ავბედითობაც არ გვრჩება შეუმჩნეველი. დიდი დაკვირვება და მჩხრეკელობა არცაა საჭირო, თუ რამდენად რეალური და დამაჯერებელია საომარი თეატრის ეს სცენები, მით უმეტეს, რომ თავადაა მონაწილეცა და რეპორტიორიც მწერალი მონათხრობი ამბებისა, სისხლის ღვრამდეც რომ იცოდა, რაგვარად ვითარდებოდა პროცესები საქართველოსთვის აფხაზეთის ჩამოსაჭრელად, თუ როგორ აქტიურობდნენ ერთი მუჭა აფსუა პოლიტიკოსები, კრემლთან რომ ჰქონდათ კუდი მიბმული და როგორ უწყობდა მათ განზრახვას ხელს საქართველოში აგორებული დაქსაქსულობა, მრავალპარტიულობასთან ერთად წარმოქმნილი არაფრის მაქნისი და პირფერული გულზე მჯილის ბაგაბუგი. რომანში გაცოცხლებულია ომის დეტალებთან ერთად სამზადისი ამ ფარსისა, თანდათანობით რომ ღვივდებოდა და იდგამდა ფესვებს კარგად შეფუთული პროპაგანდით, კონსპირაციულობით, ვერაგული გეგმებით, რისი შედეგიც ცხადად რომ ამოგვეკითხა თუნდაც „ცეცხლოვანი მამლის წელიწადის“ მთავარი გმირის გულში ჩახედვისას, რომლის თვალეზმა და გონებამ თითქმის სრულად გადმოღებული ასლივით დაიმახსოვრეს მშვიდობიანი უბრალო ადამიანების შემადრწუნებელი განწყობა, გაშმაგებული ქორივით მოულოდნელად რომ დააცხრა მათ, არ დაზოგა არც ქართველი, არც აფსუა, არც იქაურთაგან სხვანიც, რომელთა გათიშვისა და დაპირისპირებისათვის დიდი ხანია შემართულნი იყვნენ ძლიერნი და თვალთმაქცინი ამა ქვეყნისა. დაირღვა ტრადიციებით შეკავშირებული სიახლოვე, მიმოსვლა, ნათესაობა. ომმა ყველაფერი გააჩანაგა.

ბევრი ცრემლია ამ რომანში. მოტყუებული და აბუჩად აგდებული ადამიანების ცრემლი. უამრავი ფრაგმენტია დასველებული ამ ცრემლებით, ერთად შეზრდილი მეგობრებმა მეზობლების დაკარვით დაწყებული, თუნდაც დარბაისელი ალიასისა და მისი შვილის, ქიაზიმის, თავგადასავლის მოხმობით, ჟიული შარტავას თავგანწირულობის, ბოლო ამოსუნთქვამდე ფარეხმაღალის სიკვდილის გადმოცემით, ყველას ვერ გამოვედევნებით, მაგრამ დაუვიწყარია მალხაზ ნემსიწვერიძე და მისგან გახსენებული გაგრის ტრაგედია, სხვებიც, მიუხედავად ფრაგმენტულობისა, მწიფე სახეებად რომ იბეჭდებიან გონებაში, ქართველებიც, აფსუებიც, ახალგაზრდებიც, მოხუცებიც, ადგილობრივიცა და გადამთიელებიც, გადაშლილია ველი, როგორც სიკეთის მოსურნეთა და მთესველთა, ისე ბოროტთა და ღრიანკალთა. ხოლო თავისთავად რჩეული გმირი და მთხრობელი უნიკალურია გამოჩენიდან ვიდრე ენგურის ხიდამდე, სანამდეც გაჭირვებით თუ ბედგაღიმებით მოიტანა თავი და სამშვიდობოს გადმოიტანა ჩონჩხად ქცეული აფხაზეთის სინამდვილე. ეს

ბედგადიმებაც რუსის ბაბულიასა და მის შვილს, კოლიას, რომ მიეწერება, ესეც ცალკე სათქმელია, მართლაც ცალკე მოთხრობად რომ აღიქმება და ერთ-ერთი გამორჩეულიცაა მთელს რომანში.

„ცეცხლოვანი ომის წელიწადი“ ერთი იმ რომანთაგანია, რომელმაც უნდა შეაზიზღოს ომი ადამიანს, უფრო იმათ, ვისაც ომის გაჩაღება შეუძლიათ, ვისაც სიბნელე ეუფლება, ეშმაკი უღრნის სულს. სერგო წურწუმიამ ტყუილად არ ჩართო ამოდენა ტექსტში თავისი გმირის მონოლოგები, მიუხედავად სიმწვავისა, მიუხედავად მძიმე შთაბეჭდილებებისა, დამთრგუნავად აღლავებისა, მაინც გამოფხიზლებისკენ მოწოდებად მიმაჩნია ისინი, ვინაიდან ახლა, როცა აფხაზეთის ომიდან საკმაო ხანია გასული და მაშინდელი ვერაგობის თითქმის ყველა კარტია გახსნილი, იქეთაც და აქეთაც, და განსაკუთრებით იქეთ, „გამარჯვებულები“, რამდენადაც ვიცით, მაინცადამაინც ბედნიერად ვერ უნდა გრძნობდნენ თავს, რომ ერთმანეთისათვის ზურგშექცევა, ერთმანეთზე გადაკიდება, მხოლოდ რამდენიმე კაცის მოფიქრებული სცენარი იყო და მწერლის თავგამოდებაც ამიტომაცაა გულთან მისატანი, რომ მეზობლებისა და ნათესავების პირად საქმეებში ჩარეული მესამე, ყოველთვის ვიგინდარა ვინმეა და იმ მესამეს წარმატება ისევ ჩვენში აღმოცენებული სარეველას ბრალია. სარეველაცაა და სარეველაც, მაგრამ როცა ამას დაემატება გაქნილ პოლიტიკოსთა გაიძვერობა და ლალატი, არაფრისმაქნის ვაიმამულიშვილთა ყალბი ნოტაციები და ძალადსამხედროების არაპროფესიონალიზმი, რასაც გრძნობდა კიდევ ჩვეულებრივი მშვიდობიანი მოსახლეობა, ძნელია ერთბაშად შეაფასო ტრაგედიამდე აღზევებული პროცესები, თუმცა რომანში ამ პრობლემების სიმწვავე მკაფიოდ ჩანს, ძალიან ახლოიდან წარმოსახავს მათ მწერლის ობიექტივი.

ბუნებრივია, ასე მომცრო წერილით რომანის ღირსებებზე საუბარი შეუძლებელია. რაც არ უნდა მაცდუნებელი იყოს მოსათხრობი ამბავი, დაწერილობასაც თავისი ფასი აქვს. სერგო წურწუმი ამ საქმის ოსტატი რომაა მოთხრობებითაც ვიცით და ლექსებითაც. ამ რომანმა კი, უფრო დამარწმუნებლად აჩვენა მწერლის დიდი ნებისყოფაცა და შესაძლებლობანიც.

გამოყენებული ლიტერატურა:

- გოლეტიანი, ბ. (1994). ღია საფლავები – ომი აფხაზეთში – ნამდვილი ამბავი, ქუთაისი: „საქართველო ქუთაისის ფილიალი“.
- დათუაშვილი, ზ. (27 სექტემბერი, 2023). <https://www.facebook.com/zura.datuashvili.7>
- ვახანია, ნ. (29 აგვისტო, 2021). <https://www.facebook.com/sergo.tsurtsunia>
- კუხიანიძე, ლ. (27 ივნისი, 2021). <https://www.facebook.com/lia.kuxianidze>
- ლიპარტელიანი, თ. (2005). სისხლიანი სასაკლაო (ომი აფხაზეთში 1992-93წწ.), ქუთაისი: საგამომცემლო ცენტრი.
- ფხაკაძე-ზარანდია, ლ. (1997). აფხაზური ტრაგედიები, ქუთაისი: აწსუ გამომცემლობა.
- ყურაშვილი, ა. (3 ნოემბერი, 2021). <https://www.facebook.com/permalink>
- ჩილაჩავა, რ. (17 ნოემბერი, 2019). <https://www.facebook.com/raulchilachava>
- ჩხეიძე, რ. (30 ნოემბერი, 2021). <https://www.facebook.com/rostopm.chkheidze>
- ცხვედიანი, ნ. (21 აგვისტო, 2021). <https://www.facebook.com/nanuli.tskhvediani/>
- ხოფერია, გ. (27 სექტემბერი, 2023). <https://www.facebook.com/gia.khoferia>
- ჯანაშვილი, ე. (9 აგვისტო, 2021) <https://www.facebook.com/mari.janashvili.71>
- წურწუმი, ს. (2021). ცეცხლოვანი მამლის წელიწადი, თბილისი: „ინტელექტი“.

References:

- Chilachava, R. (17 Noemberi, 2019). <https://www.facebook.com/raulchilachava>
- Chkheidze, R. (30 Noemberi, 2021). <https://www.facebook.com/rostop.chkheidze>
- Datuashvili, Z. (27 sekt'emberi, 2023).). <https://www.facebook.com/zura.datuashvili.7>
- Goletiani, B. (1994). Ghia saplavebi – omi Apkhazetshi – namdvili ambavi. [Open Graves – The War in Abkhazia – A True Story, Kutaisi]. Kutaisi: “Sakartvelo Kutaisis piliali”.
- Janashvili, E. (9 Agvist'o, 2021). <https://www.facebook.com/mari.janashvili.71>
- Khoperia, G. (27 Sekt'emberi, 2023). <https://www.facebook.com/gia.khoferia>
- K'ukhianidze, L. (27 Ivnisi, 2021). <https://www.facebook.com/lia.kuxianidze>
- Lip'art'eliani, T. (2005). Siskhliani sasak'lao (omi apkhazetshi 1992-93ts'ts'). [Bloody Slaughterhouse (War in Abkhazia 1992-93)]. Kutaisi: sagamomtsemlo tsent'ri pkhak'adze-
- Phkak'adze-Zarandia, L. (1997). Apkhazuri t'ragediebi. [Abkhazian Tragedies]. Kutaisi: ats'su gamomtsemloba.
- Q'urashvili, A. (3 Noemberi, 2021). <https://www.facebook.com/permalink>
- Tskhvediani, N. (21 Agvist'o, 2021). <https://www.facebook.com/nanuli.tskhvediani/>
- Ts'urts'umia, S. (2021). Tsetskhlovani mamlis ts'elits'adi. [Year of the Fire Rooster]. Tbilisi, „int'elekt'i.
- Vakhania, N. (29 Agvist'o, 2021). <https://www.facebook.com/sergo.tsurtsunia>

Nino Mindiashvili

ნინო მინდიაშვილი

Caucasus International University

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

Georgia, Tbilisi

Literary Reflections of Georgian-Ossetian Relations

ქართულ-ოსური ურთიერთობების ლიტერატურული რეფლექსიები

The literary narrative of Georgian and Ossetian authors (Giorgi Sosiashvili, Zeinab Metreveli, Shota Darbuashvili, Vano Chkhikvadze, Zinaida Bitarova, Giorgi Sanakoev, Tamerlan Tadaev, Tengiz Doguzov...) allows us to draw interesting conclusions. It can be claimed that the above-mentioned events were almost perfectly reflected in the creative texts by Georgian and Ossetian authors, but with different positional approaches.

Based on the studied material, it can be said that the creative approaches of Georgian and Ossetian authors are, in many cases, different. Most of the Georgian authors express a conciliatory position, while the Ossetian authors express a relatively rigid and uncompromising position.

Keywords: Georgian literature, Ossetian literature, Conflict, Reflection

საკვანძო სიტყვები: ქართული ლიტერატურა, ოსური ლიტერატურა, კონფლიქტი, რეფლექსია

XX საუკუნის ბოლო ათწლეული ბევრი სიახლით ხასიათდება, საბჭოთა კავშირის დაშლამ საქართველო სულ სხვა რეალობაში აღმოაჩინა, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პროცესი ბევრ სირთულესთან იყო დაკავშირებული პოლიტიკურ-ეკონომიკურ-სოციალურ თუ კულტურულ კონტექსტში. რუსეთის მიერ ინსპირირებულმა კონფლიქტებმა კიდევ უფრო გაამწვავა ახლადფეხადგმული სახელმწიფოს მდგომარეობა, გასაკუთრებით საქართველოს ტერიტორიების 20 %-ის ოკუპაციის შედეგად.

ქართულ-ოსური ურთიერთობები საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა და იხვეწებოდა, რაც, ბუნებრივია, კულტურულ პროცესებშიც ისახებოდა და ორი ერის თანაცხოვრებაში პოზიტიურ როლს ასრულებდა. ნაციონალური სტერეოტიპები სხვადასხვა დროსა და სივრცეში განსხვავებულად წარმოჩინდებოდა და ეპოქის შესაბამისად იქმნებოდა, რაც განპირობებული იყო პოლიტიკურ-სოციალური ფონითა თუ სახელმწიფოებრივი მიდგომებით. ქართულ-ოსურმა და ქართულ-ავღანურმა კონფლიქტებმა მენტალურ კატასტროფამდე მიიყვანა საზოგადოება, ერთი მხრივ, ურთულესი პოლიტიკური მდგომარეობა, ხოლო, მეორე მხრივ, სხვადასხვა მხარეს დარჩენილი ათასობით ადამიანი, ნიჰილისტურ ამინდსა და საფუძველს ქმნიდა, რომ ლიტერატურა სრულიად ახალი თემებითა და მხატვრული სახეებით დატვირთულიყო. ოსი ქართველებისთვის და ქართველი ოსებისთვის ნაციონალური ტრავმის რეპრეზენტაციის განუყოფელ ნაწილად ჩამოყალიბდა, ამდენად, როგორც ქართულ, ასევე, ოსურ ლიტერატურაში მსუყედ არის წარმოდგენული ქართულ-ოსური ურთიერთობების ლიტერატურული რეფლექსიები.

ქართველი და ოსი ავტორების (გიორგი სოსიაშვილი, ზეინაზ მეტრეველი, შოთა დარბუაშვილი, ვანო ჩხიკვაძე, ზინაიდა ბიტაროვა, გიორგი სანაკოევი, ტამერლან ტადტაევი, თენგიზ დოგუზოვი...) შემოქმედებითი ნარატივი საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ზემოთ აღნიშნული მოვლენები სხვადასხვა პოზიციური მიდგომით თითქმის სრულყოფილად აისახა ქართველი და ოსი ავტორების მხატვრულ ტექსტებში.

შესწავლილი მასალის საფუძველზე შეიძლება ითქვას, ქართველი და ოსი ავტორების შემოქმედებითი მიდგომები, ხშირ შემთხვევაში, განსხვავებულია, ქათველი ავტორების უმეტესობა შემრიგებლურ, ხოლო ოსი ავტორები, შედარებით ხისტ და უკომპრომისო პოზიციას გამოხატავენ.

ქართული ლიტერატურის მრავალსაუკუნოვანი არსებობის განმავლობაში ყოველთვის აქტუალურ საკითხად განიხილებოდა ეროვნული პრობლემატიკა, რაც ერთი მხრივ, ნაციონალური მარკერების ჩამოყალიბებას უწყობდა ხელს, ხოლო მეორე მხრივ, იმაგოლოგიური ნიშნითაც იყო საინტერესო. ნაციონალური სტერეოტიპები სხვადასხვა ეპოქაში განსხვავებულად წარმოჩინდებოდა და ეპოქის შესაბამისად ყალიბდებოდა, რაც განპირობებული იყო პოლიტიკურ-სოციალური ფონითა თუ სახელმწიფოებრივი მიდგომებით.

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან ქართულ მწერლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურმა მოვლენებმა სრულიად ახალი გარემო შექმნა როგორც სოციალური, ასევე კულტურული თვალსაზრისით. საბჭოთა კავშირის დაშლამ სულ სხვა სადინარი მისცა ლიტერატურულ პროცესს, რაც არამხოლოდ თემატურ, არამედ იდეოლოგიურ და მსოფლმხედველობით თავისებურებებშიც გამოიხატებოდა. პოსტსაბჭოთა საქართველოში ნელ-ნელა დაიწყო საბჭოური პარადიგმების გადაფასების პროცესი.

ქართულ-ოსურმა და ქართულ-აფხაზურმა კონფლიქტებმა მენტალურ კატასტროფამდე მიიყვანა საზოგადოება, ერთი მხრივ, ურთულესი პოლიტიკური ფონი, ხოლო, მეორე მხრივ, უსახლკაროდ დარჩენილი ათასობით ადამიანი, ნიჰილისტურ ამინდსა და საფუძველს ქმნიდა, რომ ლიტერატურა სრულიად ახალი თემებითა და მხატვრული სახეებით დატვირთულიყო.

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობით სივრცეში დენილთა ლიტერატურა (დევენილების შესახებ ლიტერატურა) უნდა განვიხილოთ პოსტკოლონიური თეორიის კონტექსტში, რადგან „პოსტკოლონიალიზმის თეორია იძლევა საშუალებას, გაანალიზდეს კოლონიზატორი/დომინანტი მხარის ბატონობის და კოლონიზებული მხარის დაქვემდებარების/რეზისტენტობის მექანიზმები. „ამ შემთხვევაში, დომინანტისა და დაქვემდებარებულის ურთიერთობები მიმდინარეობს არა მხოლოდ პოლიტიკურ ან სამხედრო სივრცეში, არამედ კულტურის, იდეოლოგიის, დისკურსების დონეზე“ (სვანიძე, 2017, გვ. 15). ჰეგემონური და დაქვემდებარებული ურთიერთობების სხვადასხვა ასპექტს განიხილავს პოსტკოლონიზმის თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელი ედუარდ საიდი, რომელიც აღნიშნავს, რომ „კულტურული იმპერიალიზმი“ გულისხმობს მრავალწახნაგოვან დათრგუნვას, რაც დომინანტ კულტურას საშუალებას აძლევს შეითვისოს არაორგანული კულტურების ყველა გამოვლინება (Said, 1994, p. 35). დასავლური კულტურის აღმოსავლურ კულტურაზე დომინანცია (Said, 1994) ქმნის ერთგვარ თეორიულ ჩარჩოს, რომლის მიხედვითაც შეგვიძლია განვიხილოთ კოლონიზატორისა (რუსეთი) და კოლონიზებული (საქართველო) პოსტსაბჭოთა კულტურული/ლიტერატურული პროცესი, რომელიც სხვა კატეგორიებთან ერთად, ფსიქოლოგიურ კონცეპტებსაც გულისხმობს, განსაკუთრებით დაქვემდებარებული კულტურების კონტექსტში. ამ თვალსაზრისით საინტერესოა პოსტკოლონიალიზმის თეორეტიკოსის ჰომი ბაბას შეხედულება, რომელსაც მიაჩნია, რომ კოლონიური სუბიექტის განსხვავებულობის უარყოფა ფსიქოლოგიურად დამანგრეველ პროცესს უქმნის საფუძველს, რაც, ხშირ შემთხვევაში, ხელს უწყობს კოლონიზაციის კონტექსტში შექმნილი სტერეოტიპების გაყალბებას (Bhabha, 1994).

1990-იანი წლების ისტორიული ნარატივი გვიჩვენებს, რომ „საქმე ეხება რუსეთ-საქართველოს პოსტსაბჭოთა კონფლიქტს. იგი არაა მხოლოდ „ქართველ, აფხაზ და ოს ნაციონალისტებს“ შორის წინააღმდეგობის შედეგი, არამედ რუსეთ-საქართველოს ორსაუკუნოვანი დაპირისპირების

ნაყოფია“ (სვანიძე 2017). აქედან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივია, რომ თანამედროვე ქართულ მხატვრულ ტექსტებში ერთ-ერთ მთავარ ადგილს ომის თემატიკა იკავებს, რაც, პოსტკოლონიალური ლიტერატურული სივრცის გათვალისწინებით, სრულიად ბუნებრივია. ქართულ-ოსურმა თუ ქართულ-აფხაზურმა კონფლიქტებმა ნიჰილისტური დამოკიდებულება ქართველი ავტორების შემოქმედებით მიდგომებშიც გამოკვეთა, ხოლო საკუთარ სამშობლოში ათასობით ადამიანის დევნილობამ ქართული ლიტერატურა ახალი მხატვრული სახე-სიმბოლოებით დატვირთა. სწორედ აღნიშნული მოვლენების ანარეკლად უნდა მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ ქართულ ლიტერატურაში ნელნელა ყალიბდება დევნილის მხატვრული სახე, რაც პოსტკოლონიალური თეორიის მიხედვით, ეროვნული იდენტობის დამცველ ან გამომხატველ პოსტკოლონიალურ სუბიექტებზე კოლონიზატორის აგრესიული ქმედებების განსაკუთრებით მძაფრ რეფლექსიაში ვლინდება (Said, 1994, p. 56).

ნაციონალური ტრავმის რეპრეზენტაცია, არაცნობიერად, მიზნად ისახავს ტრავმატული მდგომარეობის გახანგრძლივებას, რომლითაც სუბალტერნი უკვე აცნობიერებს კოლონიალური ძალაუფლების შედეგს და იძულებულია შეეცადოს მის ხელთ არსებული ყველანაირი რესურსით (მედია პროპაგანდა, საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირებით, ლტერატურული ტექსტებით) უგულვებელყოს ძალადობა.

ოსი, (აფხაზთან ერთად) ქართული ნაციონალური ტრავმის რეპრეზენტაციის განუყოფელი ნაწილია, რომელიც, ცნობიერად, თუ არაცნობიერად დაპირისპირებულ ბანაკში აღმოჩნდა და ქართველს დაუპირისპირდა, საინტერესო და შეიძლება ითქვას, არაორდინალურია, ოსის, იმაგოლოგიური პორტრეტი ომის, იგივე დევნილთა ლიტერატურაში, ტექსტებზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის რეპრეზენტაცია არაერთგვაროვნად აისახა ლიტერატურაში, რაც შეეხება, ჩვენი კვლევის საგანს, ოსის მხატვრულ სახეს, ძირითად შემთხვევაში, ქართველი ავტორები შემრიგებლური პოზიციით გამოირჩევიან, და ქვეყანაში დატრიალებული ტრაგედიის მიზეზად რუსულ პოლიტიკას მიიჩნევენ, ამდენად, რუსის იმაგოლოგიური პორტრეტი, ძირითად შემთხვევაში, მტერთან ასოცირდება, სწორედ ის არის ყოველგვარი ტრაგედიის სათავე, დანგრეული სახლები, მიწასთან გასწორებული სოფლები, დევნილი ადამიანები, ტრავმირებული თაობა რუსული პოლიტიკის შედეგია, ოსები კი, ქართველებთან ერთად, ამ პოლიტიკის შედეგებს იძვიან, აღნიშნულ კონტექსტში საინტერესოა გიორგი სოსიაშვილის, გურამ მეგრელიშვილისა, ზეინაბ მეტრეველის, ვანო ჩხიკვაძის, შოთა დარბუაშვილის, მზია ხეთაგურის, ზინაიდა ბიტაროვას, ტამერლან ტადტაევის, ლიზა ტასოევას, ალექსანდრე ჩეხოვის და სხვა ავტორთა მხატვრული ტექსტები... და სხვა ავტორთა მხატვრული ტექსტები...

ასევე, საინტერესოა, 2018 წელს მზია ხეთაგურის რედაქტორობით დაბეჭდილი კრებული „ალილია“, კრებულის მიზანი ნათლად არის გაცხადებული წინათქმაში: „წინამდებარე წიგნი ერთადერთ მიზანს ემსახურება – გამოხატოს სამშობლოს დანაწევრებით გამოწვეული ტკივილი და, მწარე რეალობის მიუხედავად, ქრისტიანული ურთიერთმიტევებით გადადგას ნაბიჯი შერიგებისკენ“ (ხეთაგური, 2018, გვ. 3).

ნაციონალური ტრავმის რეპრეზენტაცია ცხინვალიდან დევნილი, ოსი ეროვნების პოეტის, მზია ხეთაგურის შემოქმედება, რომლისთვისაც სიკვდილ-სიცოცხლის საკითხთან ასოცირდება მშობლიური ადგილების დათმობა, აცნობიერებს რა ავტორი ომის შედეგებს, ცდილობს კოლონიალური კომპლექსები სიყვარულით ჩაახშოს.

თვალები ვით შეელიოს ამ მიწასა და ამ მზეს,
მტერი რომ არ მოგვერიოს, ერთმანეთს ვუთხრათ „ვარზენ“
წმინდა გიორგი – „ვასტირჯი“ წმინდა იმედით გვავესებს,
დარჩა სულ ერთი ნაბიჯი შერიგებამდე...ვარზენ“!
(ვარზენ-მიყვარხარ, ვასტირჯი-წმინდა გიორგი ოსურ ენაზე)
(ხეთაგური, 2018, გვ. 18)

საინტერესოა, რომ ავტორი, ოსური ლექსიკით ცდილობს ჩატეხილი ხიდის აღდგენას, შესაბამისად, მის შემოქმედებაში, ოსი სულაც არ აღიქმება მტრის ხატად, პირიქით, ისიც ისეთივე მსხვერპლია, როგორც ქართველი.

საქართველოში განვითარებული ტრაგედია, პოსტკოლონიური სუბიექტების ჩაგვრაში გამოიხატა „დიდი თუ მცირე ომი, მიუხედავად ქრონოლოგიური და გეოგრაფიული მასშტაბებისა ყოველთვის უდიდეს ადამიანურ ტრაგედიას წარმოადგენდა, ტრაგედია, რომელსაც მოაქვს ტანჯვა წამება, უბედურება, სიკვდილი და, ამავდროულად, რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, ზოგჯერ პიროვნული ტრანსფორმაცია და სულიერი ამალღობა“ (ხორბალაძე, 2018 137). მზია ხეთაგური, მიუხედავად დიდი ტკივილისა, ისევ სიყვარულით ცდილობს საერთო ენის გამონახვას ოს თანამოქალაქეებთან, რომლებმაც კოლონიზატორის იდეური ინტერპრეტაციები ქმედებითა თუ სიტყვით გამოხატეს.

სულ თქვენით, ჩემო ოსებო,
თქვენითა მტკივა, რაც მტკივა
თქვენგან ვარ დანაოსები
მაგრამ მაგ ჯიშის რაკი ვარ...
მაგრამ რაკი ვარ ქართული
„იავნანურით“ გაზრდილი
და ჩემი სული ფრიალებს
ვით ოთხპირ ქარში მანდილი
ისევ, მე, ჩემო ოსებო,
თავში ქვა უნდა ვიხალო
დე, ულმოზელად მოვისრა,
ოღონდ სიმართლემ იხაროს!
(ხეთაგური, 2018, გვ. 19)

ავტორის მიერ ნაციონალური იდენტობის ხაზგასმა თავმოყვარეობაშეუღალახელი სუბიექტის განცდასთან ასოცირდება, რომელსაც პოლიტიკური გავლენებისგან გათავისუფლებით უნდა საკუთარი ეთნოსის წარმომადგენლებისთვის სიყვარულისა და ამავდროულად, სიმართლის დამტკიცებაც. აღნიშნულ კონტექსტში საინტერესოა ზეინაზ მეტრეველის „საყდრის ჩიტები“.

„ჩვენი ბიჭებიც ბევრს სჩადიოდნენ და საკმაოდ მკაცრადაც, რადგან ომის წესებს არც ალანები ადგენდნენ და არც ქართველები, ეს ხომ იმთავითვე განსაზღვრული იყო, რომ ომში თუ სხვა არ მოკვდება, შენ ვერ იცოცხლებ, ამიტომაც ხელყოფ იმას, რაც შენ არ გეკუთვნის და რისი მეშვეობითაც სიცოცხლის დღეებს იხანგრძლივებ“ (მეტრეველი, 2004).

ოსების მტრობა სხვანაირ ელფერს ატარებს, ზეინაზ მეტრეველი იმ მწერალთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლისთვისაც ძმობა, მეგობრობა, მეზობლობა მიუხედავად ყველაფრისა, მაინც მნიშვნელოვანია, ამიტომაც ათქმევინებს მესაფლავეს: „მაინც შერჩათ რაღაც მშობლიური და შემწყნარებლური. თანაც ეს ნათესაური ჯაჭვი, რაც ჩვენ შორის ისტორიულად არსებობდა, ბოლომდე ვერ წყდება ვერასოდეს და ქვეყნის დასალიერს გადაკარგულ ორ რგოლს მაინც ერთმანეთისაკენ ეზიდება...“ (მეტრეველი, 2004, გვ. 110).

საგულისხმოა, რომ მზია ხეთაგურის მსგავსად, ზეინაზ მეტრეველიც ოსს, მიუხედავად არსებული რეალობისა, მტრის ხატად არ მოიაზრებს.

საკვლევი საკითხის კონტექსტში საინტერესოა მწერალ გიორგი სოსიაშვილის ომის თემაზე დაწერილი მოთხრობები, რომლებიც, ერთი მხრივ, 2008 წლის აგვისტოს ომის რეფლექსია, ხოლო მეორე მხრივ, პოსტკოლონიური რეალობის ამსახველი მატეანე.

„გ. სოსიაშვილის აღნიშნულ მოთხრობებში ნაჩვენებია ოსურ-ქართული ურთიერთობების ცალკეული დადებითი მხარეებიც, კულტურული ურთიერთობების ნათელი პერიოდებიც და საკუთარ სამშობლოში დევნილად ქცეული ადამიანების უკვე დარღვეული სოციალური ყოფის სურათები. 2008 წლის აგვისტოში საქართველოზე განხორციელებულმა რუსულმა აგრესიამ 1980-იან წლებში დაგუბებული ტრავმების რეტრავმატიზაცია მოახდინა. მართალია, აღნიშნული წიგნი აგვისტოს ომსა და მის შედეგებზეა, მაგრამ აქ ბუნებრივად იგულისხმება 1990-იანი წლების დასაწყისის საომარი მოქმედებებიც“ (სვანიძე, 2017, გვ. 202).

ომის ტრაგიკული სურათები – მავთულხლართები, უიმედო ადამიანების განცდები, დამწვარი სახლები, თავსმოხვეული მტრობაა ასახული მწერლის აღნიშნულ მოთხრობებში („ორნი“, „წართმეული ბავშვობა“, „აღსარება მტრის საფლავთან“, „მავთულხლართი“, „ჩვიდმეტნი“, „ბაღები“.....). „დავკარგეთ, სამშობლო დავკარგეთ, ყველაფერი დავკარგეთ, მე თვითომ აღარ ვიცი, ვინა ვართ და რა გვინდა, სად მივდივართ, რა გზა გვაქვს არჩეული“ (სოსიაშვილი, 2016, გვ. 281). აგრესორის მხრიდან მიზანმიმართული ძალადობა ნიჰილისტურ, გაუცნობიერებელ ემოციებს აღძრავს გიორგი სოსიაშვილის გმირებში, ყოველდღიურ ცხოვრებას, ომი, ნგრევა და იმედეგაცრუება ცვლის, თუმცა, აღსანიშნავია, რომ მწერალი ცდილობს ქართულ-ოსური ურთიერთობების ის დადებითი მხარეები შეახსენოს მკითხველს, საუკუნეების განმავლობაში რომ ყალიბდებოდა. ამიტომაც შექსპირისეული სიუჟეტით („მმახლები“) ცდილობს სიყვარულის ყოვლისშემძლეობით, მტერზე გამარჯვების, დეგრადირებული კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენის ჩვენებას. ოსი გოგონასა და ქართველი ვაჟის სიყვარული მავთულხლართთან გაშლილი სუფრით გვირგვინდება, რაც ოკუპირებული ტერიტორიის დაბრუნებისა და მტრობის დასასრულის ალეგორიად უნდა მივიჩნიოთ. „ქართულ-ოსური ურთიერთობისა მწერალ გიორგი სოსიაშვილს სწამს, სჯერა და უალტერნატივოდ მიიჩნევს. ასეთი ურთიერთობების გარეშე, იმპერიის ბრმა იარაღად ყოფნის პირობებში, ქართველებსა და ოსებს ერთმანეთის მესაფლავებლად ხედავს მწერალი“ (ხორბალაძე, 2016).

გიორგი სოსიაშვილი ომის თემაზე შექმნილ მხატვრულ ტექსტებში დესტრუქციულ ძალას ყოველთვის უპირისპირებს სიყვარულის სხვადასხვა ინტერპრეტაციას, რაც აგრესორის ძალაუფლების შესანარჩუნებლად გამოყენებულ ყველა ქმედებას სხვა რაკურსით დანახვის საშუალებას აძლევს მკითხველს.

ვრცელი ანალიტიკური დისკურსით ცხადი ხდება, რომ მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან ქართულ ლიტერატურაში ახალი თემატური სივრცე იქმნება, რომელიც ცალსახსდ შეგვიძლია გავიაზროთ კოლექტიური ტრავმის მატეანედ. ოსურ ქართული-კონფლიქტის რეპრეზენტაცია აღნიშნულ სივრცეში განსაკუთრებულ ადგილს იმკვიდრებს. ოსი, ქართველი ავტორებისთვის მტრის ხატად არ აღიქმება, ისინი ცდილობენ მტრობას სიყვარული დაუპირისპირონ და საუკუნეებით ნასაზრდოები კონცეპტები წამოწიონ, საინტერესოა, რომ მსგავსი დინამიკა შეინიშნებოდა ოსურ ლიტერატურაშიც, აღნიშნულ კონტექსტში საინტერესოა ზინაიდა ბიტაროვას, აზა ხუდუაევას, ნიკოლაი რომანტიუკის, გიორგი სანაკოევის და ბევრი სხვა ავტორის შემოქმედების დასახელება, სადაც ავტორები ქართველების მიმართ სიყვარულს, სინანულს და ნოსტალგიურ დამოკიდებულებას გამოხატავენ, თუმცა, სამწუხაროდ, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ოსურ ლიტერატურაში მკვეთრი ცვლილებები შეინიშნება და ქართველი ავტორებისგან განსხვავებით, ოსი ავტორები სიძულვილის, დაპირისპირების და აგრესიის ენას მიმართავენ, რაც წარმოდგენილი ტექსტებითაც დასტურდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

- გაფრინდაშვილი, ნ. (2015). ლიტერატურათმცოდნეობითი იმაგოლოგიური კვლევები საქართველოში. (კონფერენციის მასალები). თბილისი: თსუ.
- მეტრეველი, ზ. (2004). საყდრის ჩიტები. თბილისი: „სამშობლო“.
- მინდიაშვილი, ნ. (2020). ლიტერატურული წერილები. თბილისი: „უნივერსალი“.
- სვანიძე, ნ. (2017). პოსტკოლონიური პერიოდის ქართულ-რუსული ურთიერთობები. თბილისი: <http://eprints.iliauni.edu.ge/>
- სვანიძე, ნ. ა. (2017). პოსტკოლონიალური პერიოდის ქართულ რუსული ურთიერთობები ქართულ მხატვრულ და პუბლიცისტური პროზაში. თბილისი: „ილიაუნი“.
- სოსიაშვილი, გ. (2016). გამორთული მთვარე. თბილისი: „უნივერსალი“.
- ხეთაგური, მ. (2018). ალილუია. თბილისი: „სამშობლო“.
- ხორბალაძე, გ. (2016). წინასიტყვაობა „გამორთული მთვარე“. თბილისი: „უნივერსალი“.
- Anishchenkova, V. (2017). *"The Battle of Truth and Fiction: Documentary Storytelling and Contemporary Refugee Discourse"*. Paris: "Refugee Literature" Issue 6: Special Issue.
- Bhabha, H. (1994). *"DissemiNation: Time, Narrative and the Margins of the Modern Nation"*. London: The Location of Culture.
- Gallien, C. (2018). *"Refugee Literature"*. Psris: "Refugee Literature", Issue 6; Special issue.
- Said, E. (1994). *"Culture and Imperialism"*. New York: Vintage Books. Division of.

References:

- Anishchenkova, V. (2017). *"The Battle of Truth and Fiction: Documentary Storytelling and Contemporary Refugee Discourse"*. Paris: "Refugee Literature" Issue 6: Special Issue.
- Bhabha, H. (1994). *"DissemiNation: Time, Narrative and the Margins of the Modern Nation"*. London: The Location of Culture.
- Gallien, C. (2018). *"Refugee Literature"*. Psris: "Refugee Literature", Issue 6; Special issue.
- Gaprindashvili, N. (2015). Lit'erat'uratmtsodneobiti imagologiuri k'vlebebi sakartveloshi (k'onperentsiis masalebi). [Literary Studies Imagological Studies in Georgia. (Conference Proceedings)]. Tbilisi: tsu.
- Khetaguri, M. (2018). Aliluia. [Alleluia]. Tbilisi: „samshoblo“.
- Khorbaladze, G. (2016). Ts'inasi't'q'vaoba „gamortuli mtvare“. [Foreword to "The Moon Turned Off"]. Tbilisi: „universali“.
- Met'reveli, Z. (2004). Saq'dris chit'ebi. [The Birds of the Throne]. Tbilisi: „samshoblo“.
- Mindiashvili, N. (2020). Lit'erat'uruli ts'erilebi. [Literary Letters]. Tbilisi: „universali“.
- Said, E. (1994). *"Culture and Imperialism"*. New York: Vintage Books. Division of.
- Svanidze, N. (2017). P'ost'koloniuri p'erioidis kartul-rusuli urtiertobebi. [Georgian-Russian Relations of the Postcolonial Period]. Tbilisi: <http://eprints.iliauni.edu.ge/>
- Svanidze, N. A. (2017). P'ost'kolonialuri p'erioidis kartul rusuli urtiertobebi kartul mkhat'vrul da p'ublistsit'uri p'rozashi. [Georgian-Russian Relations of the Postcolonial Period in Georgian Fiction and Journalistic Prose.]. Tbilisi: „Iliauni“.
- Sosiashvili, G. (2016). Gamortuli mtvare. [The Moon Turned Off]. Tbilisi: „universali“.

საერთაშორისო ლიტერატურული სტანდარტი და თანამედროვე
ქართული პოეზია
International Literary Standard and Modern Georgian Poetry

Sopiko Chumburidze

Akaki Tsereteli State University

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Georgia, Kutaisi

საქართველო, ქუთაისი

Gender Issue in the Work of Ana Kalandadze

გენდერული საკითხი ანა კალანდაძის შემოქმედებაში

In Ana Kalandadze's work, it is particularly interesting to observe the relationship between men and women. Both womens' and mens' galleries are diverse. extremely Their portraits are impressive and it is exciting to see the reverence, worship and respect expressed towards them. Anna devoted a lot of space to a mans' face, his chivalrous quality in her work, we can safely say that the work of a female poet shows not only the best qualities of a woman, but also the best of a man.

Keywords: Ana Kalandadze, Gender, Feminizm

საკვანძო სიტყვები: ანა კალანდაძე, გენდერი, ფემინიზმი

ოცდამეერთე საუკუნეში გენდერული კვლევები, როგორც მეცნიერული დისციპლინა სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისათვის მნიშვნელოვან საკვლევ ობიექტს წარმოადგენს. აღნიშნულ საკითხს ლიტერატურის კრიტიკოსებიც განსაკუთრებით ყურადღებას უთმობენ. დღეს, უკვე, ლიტერატურათმცოდნეობაში ჩამოყალიბდა ლიტერატურის ფემინისტური კრიტიკაც, რომელსაც ქალი ავტორები და „ქალური წერა“ აინტერესებს. ცნობილია, რომ საუკუნეების განმავლობაში მამაკაცი ავტორები დომინირებდნენ მწერლობაში. მათ მიერ იქმნებოდა ქალთა სახეები და იწერებოდა ქალთა პრობლემების შესახებ. პირველად, მეოცე საუკუნეში ელენ შოუვოლტერმა შემოიტანა გინოკრიტიკის ცნება, და მისი ერთ-ერთი ასპექტი – ქალთა რეპრეზენტაციის კვლევა ლიტერატურაში. შოუვოლტერის მიზედვით: ქალთა ლიტერატურა შეიძლება წავიკითხოთ, როგორც ორხმიანი დისკურსი, რომელიც მოიცავს „დომინანტურ“ და „დახშულ“ ამბავს. ვფიქრობთ, გენდერული პრობლემის კვლევისას საინტერო მასალას გვაძლევს მეოცე საუკუნეში მოღვაწე, ქართული პოეზიის დედოფლად აღიარებული ანა კალანდაძის შემოქმედება. პოეტი ქალის შემოქმედებისადმი ინტერესს კიდევ მეტად აღვივებს ის ფაქტი, რომ მას მოღვაწეობის დაწყება და უმეტესი წლების გატარება საბჭოთა პერიოდში მოუხდა. მკვლევარებისთვის საინტერესოა, როგორ გამოვლინდა ეპოქის რეპრეზენტაციები ქალი პოეტის შემოქმედებაში. ანა კალანდაძის მოსვლა ქართული პოეზიის სამყაროში სრულია ახალი ხმა იყო, მან შეცვალა ქართული რეალობა. აკაკი ბაქრაძე წერდა:

„ანა კალანდაძის პოეტური სამყარო იმდენად მნიშვნელოვანია, როცა კითხულობ, შენც სხვა სამყაროში ცხოვრობ და სრულიად სხვა სინამდვილეს ეზიერები... ამ ლექსებმა, ამ ახალგაზრდა ქალის მოსვლამ ყველაფერი სულ სხვანაირი კუთხით წარმოაჩინა... ეს იყო სერიოზული ამბოხება, სულიერი ამბოხება რუტინის წინააღმდეგ, იმ იდეოლოგიის წინააღმდეგ, რომელიც იმ დროს არსებობდა“ (ბაქრაძე, 2000, გვ. 132).

კრიტიკოსი შოთა ზოიძე აღნიშნავს, რომ: „*ანა კალანდაძე ერთ-ერთი ბედნიერი გამონაკლისია ქართულ მწერლობაში, რომელსაც ვერავის შეადარებ, მის ლექსებს პარალელს ვერ დაუძებნი, ეს არის თავისთავადობის ნათელი დემონსტრაცია*“ (ზოიძე, 1999, გვ. 15).

მართლაც, უნდა აღინიშნოს, რომ ანა გამორჩეული ქალი იყო ჩვენი ქვეყნის რეალობაში. მისი ისტორია გამოირჩეოდა სხვა შემოქმედი ქალების ისტორიისგან. მან აღიარება სიცოცხლეშივე მოიპოვა, ალბათ ეპოქამაც ითამაშა გარკვეული წილი, რადგან სულიერად დაცლილი საზოგადოებას, ნამდვილად სჭირდებოდა „ქალური წერა“, ანაც ამ დროს გამოჩნდა და „მალამოდ“ მოეცხო ჩვენი ქვეყნის სულიერ სამყაროს. შესაბამისად, მას სხვა ქალებისგან განსხვავებით საზოგადოებამ ფართოთ გაულო კარი და შეიყვარა. მას აღმერთებდნენ, ეთაყვანებოდნენ სრულიად სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები.

„რეზო ინანიშვილი წერს, ღვინით გათამამებულმა შევბედე და „ბიბლიიდან წამოსული ქალბატონი“ ვუწედეო. ილია მეორე ასე მიმართავდა: „ჩვენი ოქროს ანა“, მურმან ლებანიძე ლექსებს უძღვნიდა და ეუბნებოდა: „მე მიხარია, რომ შენს დროში, შენს გვერდით ვცხოვრობ და შენთან ერთად საზიარო ვსუნთქავ ჰაერით. ნიკო კეცხოველი წერდა: შენი სიყვარულით, ჩემს ბაღში არჯაკელი ხვიარა მოვაშენეო“ (ჭუმბურიძე, 2014, გვ. 66).

„*პოეტი ქალის ამალღებული, ღვთაებრივი ინტონაციებით მოხიბლულმა ალ. აბაშელმა პოეტის ლექსებს „ღვთაებრივი ზედაშე“, „მშვენიერი ლოცვები“ უწოდა* (სორდია, 2009, გვ. 154).

ანას ამალღებული, ღვთაებრივი ინტონაციებით მოხიბლულმა ალ. აბაშელმა პოეტის ლექსებს „ღვთაებრივი ზედაშე“, „მშვენიერი ლოცვები“ უწოდა.

ეს ყოველივე მიგვანიშნებს იმაზე, თუ რა სიმაღლეზე აიყვანა ანა კალანდაძემ ზოგადად ქალის მნიშვნელობა, თუ ამ დრომდე, ძირითადად, მამაკაცები ქალ შემოქმედებს და საზოგადოების ასპარეზზე გამოსულ ქალებს არაფრად აგდებდნენ ანამ შეცვალა ეს დამოკიდებულება. შეიძლება ითქვას, რომ თამარ მეფისა და ქეთევან დედოფლის შემდეგ, ქართველი ქალის ფენომენი ასე არავის განუდიდება. მეოცე საუკუნე ნამდვილად „ანას დრო“ იყო.

საინტერესოა ანას პოეზიის თემათა მრავალფეროვნება. უმთავრესი საკითხი შემოქმედებისა, რაღა თქმა უნდა, თავად ქალი და მისი განცდებია. მან დიდი მხატვრული ოსტატობით შექმნა ქალთა სახეების უკვდავი პალიტრა და ქალის იდეალური თვისებები გვიჩვენა. როგორც კრიტიკოსი ნოდარ ჩხეიძე შენიშნავს: „*ანა კალანდაძის ყოველ ლექსში არის საერთოდ ქალი; მის ლექსებში არის ის, რაც საუკეთესოა ქალში*“ (ჭუმბურიძე 2014, გვ. 36)...

პოეტმა ქალმა რელიგიური მოტივების დახმარებით ქართველი ქალის სიძლიერე საუკეთესოდ გამოხატა ქეთევან დედოფლისადმი მიძღვნილ ლექსში.

„ლოცულობდა

როს ჩამოსწყდა ბაგეთ მისთა:

არასოდეს!

ცეცხლით სწვავდნენ ტანშემარცვულ დედოფალსა,

უდრეკ იყო დედოფალი“ (კალანდაძე, 1985, გვ. 56).

ანამ ქართველი დედოფალი, როგორც სიძლიერისა და გაუტეხლობლის სიმბოლო საუკეთესოდ წარმოგვიდგინა.

ანას ყურადღების მიღმა, არც საქართველოს განმანათლებელი ქალი წმინდა ნინო დარჩენია. თითქმის მთელმა საქართველომ ზეპირად იცის წმინდა ნინოსადმი მიძღვნილი ლექსი, რომელშიც მიზანდასახული, მტკიცე წმინდანი დაგვიხატა, რომელსაც მართალია მშობლის სევდა მონატრებოდა წამიერად, მაგრამ სარწმუნოებისადმი თავდადება და სიმტკიცე მისთვის უმნიშვნელოვანესი იყო.

„გაეღვიძა, წუთით იგრძნო მშობლის სევდა
მაგრამ რწმენა ავალებდა რაოდენს?!“
(კალანდაძე, 1985, გვ. 84)

პოეზიის დედოფალმა არც ქალი მეფის ღვაწლი დატოვა უყურადღებოდ, ორიგინალური ხედვით აღგვიწერა ტამარში მომლოცავი თამარ მეფე, რომელიც ხელებაჰყრობილი უფალს საქართველოს გადარჩენას შესთხოვდა.

„– გადმოგვხედე ღვთისმშობელო დედაო
გაგვიმარჯვე ქართველთ მტერთა ზედაო“.
(კალანდაძე, 1985, გვ. 87)

ანა კალანდაძემ ამ ლექსებით კიდევ ერთხელ დაანახა და აგრძნობინა მისი ეპოქის ადამიანებს, რომ ჩვენი ქვეყნის ისტორიაში მნიშვნელოვან ნაბიჯებს სწორედ ქალები დგამდნენ (წმინდა ნინო – ერის გამქრისტიანებელი, ქეთევან დედოფალი-სარწმუნოებისათვის თავშეწირული, თამარ მეფე-ერის გამაერთიანებელი).

პოეტი ქალის ყურადღების არეალში მოექცნენ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალები. ობიექტურად უნდა ითქვას, რომ ასე ლამაზად და კობხად იეზიდი გოგონას სახეს მამაკაცი პოეტი ვერ დახატავდა. ანამ მხოლოდ საჭირო სიტყვებით დაგვიხატა იეზიდი გოგონას სახე კდემითა და სიმორცხვით გამორჩეული.

„როგორც ია
თავდახრილი ბუჩქის ძირას,
მორცხვი ხარ და
როგორ გშვენის კდემა დიდი..
– თქვი, შავთვალავ,
არაბი ხარ?
ი. ლოტმანის აზრით, ჰეროიზმი ლიტერატურაში შესაძლოა განვიხილოთ, როგორც ერის კულტურაში დამკვიდრებული სიმბოლოებისა და ნარატივების ერთობლიობა, რომელიც სოციუმის ღირებულებებს ასახავს. ამგვარი ტექსტები ფართო კულტურული კოდის ნაწილი არიან და სწორედ მისი დახმარებით შეგვიძლია მათი გაშიფვრა. უფრო მეტიც, ეს კოდები განსაზღვრავენ გმირის – როგორც პერსონაჟის ტიპაჟს და ხასიათს, ისევე, როგორც მკითხველის მიერ გმირების აღქმას კონკრეტულ კულტურულ კონტექსტში.

ამავდროულად, დიალოგიზმის პრინციპი გულისხმობს, რომ გმირის ინტერპრეტაცია შესაძლოა, მრავალმხრივი იყოს, იმის მიხედვით, თუ როგორ იცვლება სოციუმი და ისტორიული კონტექსტი. ლოტმანმა შექმნა სემიოსფეროს კონცეპტიც – რომელიც ნიშნავს, რომ კულტურული ნიშნების სივრცეში წარმოიშობა რაიმე მნიშვნელობა, ხოლო გმირი ამ მნიშვნელობის გამომხატველად იქცევა: იგი განასახიერებს საზოგადოების ღირებულებებს, კონფლიქტებს, მიზნებს (Lotman, 1970, გვ. 54).

ამგვარად, ჰეროიზმი ლიტერატურაში მჭიდროდ უკავშირდება ერის კულტურულ და ისტორიულ განვითარებას, მის სიმბოლურ ხატებსა და მითოსს. საქართველო ოდითგანვე იბრძოდა დამოუკიდებლობისთვის და ეს ჩვენს ფოლკლორშიც აისახა. უფრო მეტიც, ჩვენი მითოსის გმირები ხშირად მონადირეები ან მეომრები არიან. სწორედ ასეთ გმირებს გვიხატავენ მირზა გელოვანიც და ლადო ასათიანიც. თუმცა, თუ მირზა გელოვანთან პიროვნული ვაჟკაცობაა წინა პლანზე წამოწეული, ლ. ასათიანთან სამშობლოსთვის ბრძოლის მოტივია ფართოდ გაშლილი.

ბუნებრივია, მეოცე საუკუნის დასაწყისში თავისუფლების დაკარგვა და საბჭოთა კავშირის წევრად ქცევა ქართველმა ერმა მწვავედ განიცადა. სისხლიანი რეპრესიების შემდეგ ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენა მიუწვდომელი ოცნებად იქცა; ამიტომ 30-იანი წლების თაობის პოეტები ამაზე ვერც ისაუბრებდნენ, მაგრამ ლიტერატურაში პატრიოტიზმის დაშვება ზოგიერთმა მათგანმა სწორედ თავისუფლების წყურვილის, მისდამი ლტოლვის გადმოსაცემად გამოიყენა. ლადო ასათიანი მათ შორის თვალსაჩინო ადგილს იკავებს: მის შემოქმედებას დიდწილად სწორედ ისტორიული პერსონაჟები ასაზრდოებენ.

მიუხედავად ცენზურის შემცირებისა, ეროვნული გმირებისადმი მიძღვნილი ლექსები ბევრ წინააღმდეგობას ეჩეხებოდა. 1942 წელს პოეტის კრებული “წინაპრები”, საბჭოთა ხელმძღვანელობის აზრით გადაჭარბებული პატრიოტული პათოსის გამო, უკვე დაბეჭდილი სრულად გაანადგურეს, გადარჩა მხოლოდ რამდენიმე ცალი, რომლებიც ლადო ასათიანმა სტამბიდან მეგობრებისთვის დასარიგებლად გაიტანა. მიუხედავად ამგვარი დაბრკოლებებისა და დიდი წნეხისა, პოეტმა ქართველ გმირთათვის მიძღვნილი რამდენიმე შედეგრი დაგვიტოვა, რომელთაგან სამასი არაგველის ხსოვნისადმი მიძღვნილი „კრწანისის ყაყაჩოების“ გახსენებაც კმარა.

ცნობილი პალესტინელ-ამერიკელი ლიტერატურათმცოდნე, ედვარდ საიდი წიგნში „ორიენტალიზმი“ (1979) აყალიბებს პოსტკოლონიალურ თეორიას, რომელიც ჰეროიზმსაც მოიცავს. კერძოდ, საიდი მიიჩნევს, რომ ლიტერატურაში გმირები ხშირად აირეკლავენ კოლონიალისტურ, თუ ეროვნულ იდენტობასთან დაკავშირებულ პრობლემებს. ამგვარად, მწერლობაში / პოეზიაში გმირი შესაძლოა კულტურული/ეროვნული გამძლეობისა და წინააღმდეგობის სიმბოლოდ იქცეს.

ლადო ასათიანის ლექსების გმირებიც საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მეტრძოლი მეომრები არიან, ადამიანები, რომლებმაც სამშობლოს თავის შესწირეს და რომელთა წყალობითაც ქართველმა ერმა დღემდე მოაღწია. მის შემოქმედებაში გვხვდებიან: თამარ მეფე, ცოტნე დადიანი,

ცხრა ძმა ხერხეულიძე, სამასი არაგველი, თინა წავკისელი, თამარ ვაშლოვანი, მაია წყნეთელი, მეფე ერეკლე II (პატარა კახი), ილია ჭავჭავაძე და სხვ.

თავის ჩანაწერებში პოეტი აღნიშნავს: „*აქილევსს რუსთაველის გმირები მირჩვენია: „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი” – აქილევსმა არ იცის. ოღონდ ცოცხალი იყოს, მკვდართა სამეფოში არ დარჩეს და ... მკვდარ ლომს ცოცხალი ძაღლი ურჩვენია. ამის მსგავსი უთხრა მან რაღაც ჰადესში ჩასულ ოდისევსს“* (ასათიანი, 1988, გვ. 122). მართლაც, ასათიანის ლირიკულ გმირებს რუსთველისეული, ილიასეული, ვაჟასეული ღირებულებები აქვთ. ისინი მზად არიან, სამშობლოსთვის თავი გასწირონ:

რა ქართველი ხარ და რა ჭაბუკი,
თუ მამულს თავი არ ანაცვალე?!
ეს აწვალეზდა ცოტნე დადიანს,
მეც ქართველი ვარ და ეს მაწვალეზს.
(ასათიანი, 1988, გვ. 45)

ლექსში „სუმბული“ პოეტი ვახტანგ მეექვსეს გვიხატავს და ათქმევინებს: „*მშობლიურ ბაღიდან გადმოყვანილი/ უცხო მიწაზე ვერ გავიხარე“* (ასათიანი, 1988, გვ. 39). ხოლო ლექსი „ცხრა ძმა ხერხეულიძე“ მძლავრი შინაგანი რიტმით გამოირჩევა, რასაც ალიტერაციები და გამეორებებიც უწყობს ხელს, ისე რომ მკითხველი ცხადად აღიდგენს პოეტის მიერ დახატულ სურათს საბრძოლოდ გამზადებული მოუთმენელი ცხენებისა და მოგვიანებით ბრძოლის ველზე დაცემული მეომრებისა:

ეს გაფრენილი ფაფარი, თუ მშობლიური ნისლია?
ვისია ცხრა ბედაური, ცხრა დარახტული ვისია?
საით წავიდნენ ვაჟები, რად მიატოვეს რაშები,
რაშები თამაშ-თამაშა, ომებში ნათამაშები?!

...

ეს მშობლიური ქარია ჩვენი ალგეთის ველების
თუ სუნთქვა ქარბუქიანი ფაფარაყრილი მერნების?
მერნებო, ველურ ფლოქვებით მიწა ამაოდ დატორეთ,
ამაოდ გაფიცებულხართ, ამაოდ უხმობთ პატრონებს,
ფოლადის ბეგთარიანებს ბნელში ამაოდ დაეძებთ:
ისინი მამულისათვის მარაბდის ველზე დაეცნენ!
ერთი მათგანი დაჭრილი უბეში დროშას მაღავდა,
იწვა სისხლისგან დაცლილი... კურთხეულ იყოს მარაბდა!
(ასათიანი, 1988, გვ. 82)

ლადო ასათიანის ლექსებში ჰეროიზმი ხელოვნურად არ არის შემოტანილი, ის ქართველი ხალხის მახასიათებელი, ერთ-ერთ ძირითად თვისებად გვევლინება. პოეტი ხშირად უსვამს ხაზს, რომ იგი დამოუკიდებლობისთვის მუდმივად მებრძოლი, მეომარი ერის შვილია. ლექსში „ქართული ენა“ ქართველთა მთავარი მახასიათებლებია აღწერილი:

საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ,
სიყვარულის, ლექსის, სადღეგრძელოს ენავ!
მოიმღერა დღემდის უძველესმა ტომმა
შლეგი ჩანჩქერების ნაპრალებზე ხტომა,

მეინვარების ღვთიურ ბრწყინვალეობით დნობა,
ჯაგნარებში ირმის ჯოგის ნავარდობა,
გაფანტული ფარის მთაზე დაჯანღება
და ქართული ფარის ფარზე დაჯახება!
(ასათიანი, 1988, გვ. 89)

ლადო ასათიანის ლექსებში ასახული პატრიოტიზმის განცდა წრფელი და ნამდვილია. მას არ ახასიათებს ყალბი პათეტიკა. ეს მისი შემოქმედების ერთ-ერთი მთავარი განმასხვავებელია სხვა თანამედროვე პოეტთაგან, რომელთაც საბჭოთა მთავრობის დაკვეთით, ქართულ პოეზიაში გმირის მონუმენტური სახე

დასასრულს, სანამ ანა კალანდაძის პოეზიის განხილვაზე გადავალთ, უნდა ვახსენოთ ყაყაჩოს სახე-სიმბოლო, რომელიც ლადო ასათიანის ბევრ ლექსში გვხვდება, მათ შორის ზემოთ ნახსენებ „კრწანისის ყაყაჩოებში“ და ლექსში – „ქართლის გზაზე“:

ჰეი, თქვენ, არაგველებო, გაუმადლარნო ომითა,
თქვენს საფლავებთან მოსვლა და მუხლის მოდრეკა მომინდა.
შავგობიანო ვაჟკაცო, ჭრილობა ხომ არ შეგხსნია?!
ეს სისხლი არის, თუ მართლა ყაყაჩოების ცეცხლია?!
(„კრწანისის ყაყაჩოები“, ასათიანი, 1988, გვ. 45)

ანდა: ჰეი, ძმობილო, შეხედე, რამდენი ყაყაჩო გაშლილა,
რაც უფლის ციხეს გამოვცდით, უფრო და უფრო გახშირდა;
მინდვრებს, გორაკებს, ფერდობებს ეფინება და ედება,
გზაში ყაყაჩოს შეხვედრა სიკეთედ დაგვებდება:
სულ ახალგაზრდა ვიქნებით, გული არ დაგვიბერდება!
(„ქართლის გზაზე“, ასათიანი, 1988, გვ. 44)

ინდირა გადილია მიუთითებს:

„ყაყაჩოს მხატვრული სახე, შეიძლება თამამად ითქვას, ლადო ასათიანის მონაპოვარია, მისი ლირიკის მეშვეობით დამკვიდრდა ეროვნულ მწერლობაში. ლადო ასათიანის ლექსებში ყაყაჩო თავგანწირული სიყვარულის, რაინდული თავდადების, გაუხუნარი გრძნობის სიმბოლოდ გვევლინება. ყაყაჩოები ჭრილობიდან მომდინარე სისხლის წვეთებივით გაბნეულან პოეტის ლექსებში და, მიუხედავად იმისა, რომ იგი პოეტური ძიების ნაყოფია, ბუნებრივი და ორგანული გვეჩვენება“ (ცხადაია, 2006, გვ. 72).

ეს პოეტური სახე ანა კალანდაძის პოეზიაშიც ბევრჯერ იელვებს, პოეტისათვის დამახასიათებელი სიფაქიზით. მის ლექსებში აშკარად ხმიანობს „ჩვენი თაობის“ პოეტების ლირიკის გამოძახილი.

ზოია ცხადაია აღნიშნავს, რომ 70-იან წლებში ახალი პოეტური ენერგიით გამოვლინდა ქართულ ენასთან დაკავშირებული განწყობილება. თაობათა ინტერესის საგნად კვლავ რჩება ეროვნული თემატიკა, რომლის პრიორიტეტს წლების განმავლობაში (და ალბათ, საზოგადოდ ქართული პოეზიის მთელ ისტორიაში) განსაზღვრავდა დაკარგული თავისუფლების ტაბუირება. შემოვლით, ქარაგმულად, იგავის ენაზე და ა.შ. ხდებოდა ამ თემის პოეტური წარმოსახვა, გრძნობის, განცდის რეალიზება. 70-იანი წლების ლირიკული სუბიექტი უფრო გახსნილი გახდა ამ მხრივ (ცხადაია, 2006, გვ. 74).

ანა კალანდაძე 70-იანელთა თაობის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელია, და შეიძლება ითქვას, ლადო ასათიანის პოეტური მემკვიდრეც. თავის ჩანაწერებში იგი ხშირად იხსენებს

ასათიანის პოეზიასთან პირველ შეხვედრას: „ამბობენ, გასრესილი ყვავილი უფრო მძაფრ სურნელს გამოსცემსო. ალბათ ამიტომ თუ მომხვდა გულზე „ადრე წასული კაცის ფიქრები“ მისი პოეზიის პირველგაცნობისთანავე... ეს იყო 1946 წელს. გულზე მომხვდნენ და მეყსეულად შთამაგონეს ლექსი „სასაფლაოს გაზაფხული“ (კალანდაძე, 1996, გვ. 468):

სადმე, ახლოს, მზე კვლავ გაშლის აკაციებს
და ყვავილნი, მათ გულმკერდზე დაფანტულნი,
მოვლენ შენთან ... ნანას გეტყვის ნაკადული
სასაფლაო ქვის კალთაში დაგაძინებს...
მე ასე მწამს, ერთი ნორჩი ნაძვის ძირას
ყაყაჩოში საუკუნოდ ჩაგეძინა,
ჩაგეძინა სიყვარულით ანაჩქროლებს...
არა, ლადო, აღარ მოვწყვეტ ყაყაჩოებს...
(კალანდაძე, 2022, გვ. 70)

ლადო ასათიანისა და ანა კალანდაძის შემოქმედება მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს. ისტორიულ გმირთა პერსონაჟებად მოხმობის გარდა, ამ ორი დიდი პოეტის ლექსებს ისეთი მხატვრული სახეებიც აკავშირებს, როგორცაა ყაყაჩო. ანა კალანდაძე წერდა: „ყვავილებს ჩემს პოეზიაში განსაკუთრებული ადგილი უკავიათ. ისინი ჩემთვის არ არიან მხოლოდ ბოტანიკური ერთეულები, როგორც შეიძლება მავანს მოეჩვენოს. ისინი ჩემთვის უფრო მეტს ნიშნავენ. მათ ჩემს შემოქმედებაში მეტი დატვირთვა აქვთ. მათ უკან ხშირად „ვიღაც“ დგას“-ო. (ჯოხაძე, 2022, გვ. 9). ყაყაჩოს სახის მიღმა ლადო ასათიანი შეიცნობა, მით უფრო, რომ ხშირად იმ ლექსებში, რომლებშიც ეს სახე გვაქვს მოცემული, ბრძოლის მოტივი და ისტორიული გმირებიც ჩნდებიან:

მზე იცინის, ვარდფურცლობის დარია
და შენს ქოხთან გუგუნია თელების...
კარში გამო, ჭია-ჭია მარია,
არას გავნებ, მხოლოდ მოგეფერები...
უნისლოა, ზეცას გაუდარია,
ყაყაჩო ჩანს ცის და მიწის სიცილში...
გავიმარჯვეთ, ჭია-ჭია მარია,
ბარბაროსი დაულეწავს ციციშვილს...
შენი მტერი, ჩემი მტერი მკვდარია,
ჩვენი მოსვრა, აბა როგორ ინდომეს?
გავიმარჯვეთ, ჭია-ჭია მარია,
ვუგალობოთ ჩვენს სამშობლოს მინდორ-ველს...
(„კარში გამო ჭია-ჭიამაია“, კალანდაძე, 2022, გვ. 50)

ა. კალანდაძე საგანგებოდ მიუთითებდა გმირი წინაპრების როლზე: „ჩემი შემოქმედების ერთ-ერთი წყარო ჩვენი დიდი წარსულიცაა... ჩვენმა დიდმა ისტორიამ დამაწერინა ლექსები წმინდა ნინოზე, დავით აღმაშენებელზე, ქეთევან დედოფალზე“ (კალანდაძე, 1991, გვ. 394). პოეტს არაერთი ლექსი აქვს მიძღვნილი ქართველი გმირებისათვის. როგორც ზემოთ ვახსენეთ, ყაყაჩოს სახე, ლადო ასათიანის პოეზიაში სამას არაგველს რომ უკავშირდება, ხშირად იჩენს თავს მის შემოქმედებაშიც. მისი ლირიკა ბიბლიასთან ერთად, ისტორიით სუნთქავს და ცოცხლობს.

ანა კალანდაძემ მოახერხა, საბჭოთა პოეზიის რიტორიკისთვის დამახასიათებელი მონუმენტური გმირის სახის შერბილება, მისი კვარცხლბეკიდან ჩამოყვანა და გაადამიანურება. პოეტის გმირები თავიანთი უბრალოებით, ადამიანურობით გამოირჩევიან. ისინი ამალღებული სულიერ-

ბის მქონენი არიან და, ამავდროულად, ქართველი ხალხის განუყოფელ ნაწილად გვევლინებიან. ამავდროულად, ა. კალანდაძის ლექსებში ხშირად იჩენენ თავს უბრალო მეომრებიც:

მხედარს
ბრძოლა გადრეხადა,
ახლა...
ცერზე ქორი უჯდა..
თვალში ცეცხლი მობრიალი,
გულშიც
ცეცხლის ალი უჩნდა!
**დაღლილ სახეს –
გალიმება,**
ვით მზის კრთომა-
ცათა ლურჯთა...
ეს – უძლევი
სული გახლდათ
აწყურთა და
არტანუჯთა!
(„ხილვა“, კალანდაძე, 2022, გვ. 269)

ანდა: ვინ შეაცდინა ეშმაკმა?
ვინ გმო სახელი უფლის?
ვინ გაბედაო მეფისთვის
კარავთან
ტყორცნა შუბისა?
დაგვირჩა მეფე დავითი,
დიდია უფლის სახელი!
**წყაროსთან პური გატეხეს,
თან ... მოისინჯეს ნახმლევი...**
ელლაზის ჯარი აოტეს,
“სალამ უბარეს შორითა”
ყველამ წერილი წაიღო,
ვინც ჩვენთან მტრობით მოვიდა!
დიდია უფლის სახელი
სასწორ-სამართლის მქონები...
**ჩრდილში დამსხდარან ვოყები
ტანთ გაუხდიათ თორები.**
(„ბრძოლით ბრუნდება ლაშქარი“,
კალანდაძე, 2022, გვ. 244)

როგორც ვხედავთ, პოეტი საგანგებოდ უსვამს ხაზს მეომრების ადამიანურ ბუნებას: დაღლილობას, პურის ჭამას, მზით დასიცხულების მიერ აბჯრის გახდას და ჩრდილში მოსვენებას. ეს ლექსები ამ პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი შტრიხებით ემიჯნებიან უფრო ამაღლებული ტონით დაწერილ ისეთ ლექსებს, როგორიცაა „ქეთევან დედოფალი“ („*ეცხლით სწვავდნენ ტანშეძარცულ დედოფალსა,/ უდრეკ იყო/ დედოფალი!*“ – კალანდაძე, 2022, გვ. 68), ანდა დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი „*** ფეხი დამადგით, გულზე დამადგით ფეხი ყოველმან...“.

ანა კალანდაძე თავის ჩანაწერებში აღნიშნავს: „ყოველ ჩვენგანს უნდა ახსოვდეს, რომ მშობლიურ მიწას მოწყვეტილი კაცი ჰაერში ატაცებული ანთოსივით იღუპება. ამის გახსენება ვფიქრობ, დღესაც არ არის ზედმეტი“ (კალანდაძე, 1996, გვ. 78). იგი ისტორიული მეხსიერების შემონახვას განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, რადგან ბრძოლა არ დასრულებულა და 70-იან წლებშიც ისეთივე სიმძაფრით დგას ქართველთა ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების საკითხი, როგორც გარდასულ საუკუნეთა განმავლობაში იდგა.

ლექსში „შორია თამარ“ პოეტი აღნიშნავს, რომ „ქართველს ჯავშანი აკვანში ეცვა,/ მან ხმლის ხმარება აკვანში იცის...“ (კალანდაძე, 2022, გვ. 60). ამგვარად, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ჩვენი ერის მეომარ წარსულს, მუდმივ ბრძოლებში გატარებულს.

აღსანიშნავია „ქართველი მეომრის სიმღერა“ და „ვერ წაიღეს, ვერა!“ ორივე ლექსში პოეტი ქართველთა მტერთან ბრძოლას ასახავს, მხოლოდ პირველ ლექსში მეორე მსოფლიო ომია ნახსენები, მეორეში კი მხოლოდ სამშობლოს დაცვის მოტივია გადმოცემული.

ანა კალანდაძის ზემოთ მოყვანილი ლექსები მეტრული წყობითა და მდიდარი ევფონიითაც იქცევა ყურადღებას.

„ბარათაშვილისა და ვაჟა-ფშაველას პოეზიასთან სულიერი სიახლოვე ანას ლექსების მეტრიკამაც აირეკლა და განსაკუთრებით ამ მეტაფიზიკური სიახლოვით გახდა საცნაური, გაელვების წამიერი ხილვით რომ შეიგრძნობა. ანა რიტმის დიდოსტატი არ ყოფილა, არც საგანგებოდ ეძებდა რითმებს; არც მკითხველი რჩებოდა ნირწამხდარი და მისი პოვნით დამაშვრალი, რადგან მის ლექსში სულის მუსიკა უფრო ალიტერაციას ემყარება“ (ბარბაქაძე, 2023, გვ. 424-428).

დასასრულს უნდა შევნიშნოთ, რომ ზემოთ განხილული სამივე პოეტის შემოქმედებაში გმირის მონუმენტური სახე, რომელიც ომის თემატიკაზე შექმნილი საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი გახდა, ნაკლებად ისახება. უმეტესად, მ. გელოვანის, ლ. ასათიანისა და ა. კალანდაძის ლექსებში წარმოჩენილი გმირები ქართული მითოსითა თუ ისტორიით საზრდოობენ და ხელშესახებნი, ადამიანურები არიან, თავიანთი ნაკლითა და ღირსებებით. მთავარი რაც მათ აერთიანებთ, შეუდრეკელი სიმამაცეა, თვით გარდაუვალი სიკვდილის წინაშე, სამშობლოსა თუ ღირსეული საქმისათვის თავგანწირვის მოტივი, ვაჟკაცობა, შეულახავი ღირსება და არდანებება. ისინი მზად არიან ბოლომდე იბრძოლონ, მაშინაც კი, როცა ეს ბრძოლა განწირულია და მარცხით მთავრდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ასათიანი, ლ. (1988). რჩეული. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- ბარბაქაძე, თ. (2023). ბესიკიდან ბესარიონამდე. თბილისი: „მწიგნობარი“.
- გელოვანი, მ. (2009). დაბრუნება. საარქივო გამოცემა. თბილისი: „ეროვნული მწერლობა“.
- კალანდაძე, ა. (1996). ორტომეული II. თარგმანები, პროზაული ნაწერები. თბილისი: „საქართველო“.
- კალანდაძე, ა. (2022). ლექსები. თბილისი: პალიტრა L.
- ლოტმანი, ი. (2015). პოეტური ქმნილების ლექსიკური დონე. ლიტერატურის თეორიის ქრესტომათია. ტ. III. თბილისი: „GGLAPress“.
- ცხადაია, ზ. (2006). XX საუკუნის ქართული ლირიკის ისტორიიდან. თბილისი: „მერანი“.
- Lotman, Y. (1970). *The Structure of the Artistic Text*. (ლოტმანი, ი. (1970). მხატვრული ტექსტის სტრუქტურა) – <https://www.scribd.com/document/332345591/Lotman-Jurij-1977-the-Structure-of-the-Artistic-Text>
- Said, E. (1979). *Orientalism*. New York: Vintage Books, A Division of Random House. https://monoskop.org/images/4/4e/Said_Edward_Orientalism_1979.pdf

References:

- Asatiani, L. (1988). Rcheuli. [Selected Works]. Tbilisi: “sabch’ota sakartvelo”.
- Barbakadze, T. (2023). Besik’idan Besarionamde. [From Besik to Besarion]. Tbilisi: “mts’ignobari”.
- Gelovani, M. (2009). Dabruneba. Saarkivo gamotsema. [Return. Archival Edition]. Tbilisi: “erovnuli mts’erloba”.
- K’alandadze, A. (1996). Ort’omeuli II. Targmanebi, p’rozauli nats’erebi. [Collected Works, Vol. II: Translations, Prose Writings]. Tbilisi: “sakartvelo”.
- K’alandadze, A. (2022). Leksebi. [Poems]. Tbilisi: p’alit’ra L.
- Lotman, Y. (1970). *The Structure of the Artistic Text*. (ლოტმანი, ი. (1970). მხატვრული ტექსტის სტრუქტურა) – <https://www.scribd.com/document/332345591/Lotman-Jurij-1977-the-Structure-of-the-Artistic-Text>
- Lot’mani, I. (2015). P’oet’uri kmnilebis leksik’uri done. lit’erat’uris teoriis krest’omatia. T’ III. [The Lexical Level of a Poetic Work. Chrestomathy of Literary Theory, Vol. III]. Tbilisi: „GGLAPress“.
- Said, E. (1979). *Orientalism*. New York: Vintage Books, A Division of Random House. https://monoskop.org/images/4/4e/Said_Edward_Orientalism_1979.pdf
- Tskhadaia, Z. (2006). XX sauk’unis kartuli lirik’is ist’oriidan. [From the History of 20th-Century Georgian Lyric Poetry]. Tbilisi: “merani”

Ada Nemsadze

ადა ნემსაძე

I vane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

Georgian Story of the 80s – Mika Aleksidze

80-იანი წლების ქართული მოთხრობა – მიკა ალექსიძე

A totally new generation of young talented writers appeared in the 1980s who brought about the novelties both through thematic and structural diversities that have not been studied till today. Mika Aleksidze was one of the distinguished figures of this generation. His first stories were published in 1980. The main thematic marker of the writer's artistic prose is a tragic fate of a solitary person left alone in the world, cast out by the society, oppressed and presented as a victim of indifference and lack of love. The characters fight this feeling of solitude alone and frequently lose the fight.

Keywords: Mika Aleksidze, existentialism, story, loneliness, fear

საკვანძო სიტყვები: მიკა ალექსიძე, ექსისტენციალიზმი, მოთხრობა, მარტოობა, შიში

მე-20 საუკუნის 80-იანი წლები საბჭოური პოლიტიკური სისტემის დასასრული და მნიშვნელოვანი კულტურული პროცესების დასაწყისია (ზოგ შემთხვევაში გაგრძელებაც) ხელოვნების ყველა სფეროში: ლიტერატურაში, მუსიკაში, მხატვრობაში, ქანდაკებაში, კინოსა და თეატრში.

ამ დროს ქართულ ლიტერატურაში მოდის მთელი თაობა ახალგაზრდა ნიჭიერი მწერლებისა, რომელთა მიერ მოტანილი სიახლეები, თემატური და ფორმოზრივი მრავალფეროვნება დღემდე შეუსწავლელია. ამასთანავე, ესაა პერიოდი, როცა რამდენიმე ათეული წლის დაგვიანებით შემოდის ექსისტენციალური ფილოსოფია, რაც ლიტერატურული ექსისტენციალიზმის სახელითაა ცნობილი. იმ თაობის ერთ-ერთი გამოკვეთილი სახეა მიკა ალექსიძე. იგი გამორჩეულია როგორც ბიოგრაფიით, ისე შემოქმედებით. დაიბადა 1954 წელს თბილისში. 17 წლისა იყო (1971), როცა სისტემას დაუპირისპირდა (პიროვნების ჩაგვრა და კოლექტიური დამცირება), რისთვისაც 10-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. პატიმრობაში იწყებს და გათავისუფლების შემდეგ ინტენსიურად აგრძელებს წერას, აქვეყნებს მოთხრობებს, ესეებსა და ლექსებს. ეს ყველაფერი სულ რამდენიმე წელს გრძელდება – 1980-1985 წლების „ცისკარსა“ და „მნათობში“. თაობის უმეტესობის მსგავსად, მისი ლიტერატურული მემკვიდრეობაც (10-მდე მოთხრობა და რამდენიმე ათეული ლექსი) მცირეა, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანი.

მიკა ალექსიძის მხატვრული პროზის მთავარი თემატური მარკერი სამყაროში მარტოდ დარჩენილი, საზოგადოებისაგან გარიყული, დაჩაგრული, გულგრილობისა და უსიყვარულობის მსხვერპლი ადამიანის ტრაგიკული ბედი. მისი პერსონაჟები თითქმის ყოველთვის მარტოსულები არიან

და მარტოები იბრძვიან. როგორია შიშისა და თავისუფლების დინამიკა მწერლის მსოფლმხედველობრივ სისტემაში, ამას მისი სამი მოთხრობის ანალიზით წარმოვაჩინო.

„სულში ჩაკიდული მთვარე“ (1981) მიკა ალექსიძის ერთ-ერთი პირველი მოთხრობაა, იგი „ლიტერატურაში კარგად ცნობილი და აღწერილი მამისა და ვაჟიშვილის დაპირისპირების თემაზე აგებული“ (1987, გვ. 88), – შენიშნავს გურამ კანკავა, თუმც აქ სათქმელი გაცილებით ღრმა ფსიქოლოგიურ შრეებში აღწევს და პატარა ბიჭის შინაგან ბრძოლაზე მოგვითხრობს.

15-16 წლისაა მოთხრობის მთავარი პერსონაჟი და, ბუნებრივია, ძიების გზაზეა. ჯერ მხოლოდ სხვისი ნების შემსრულებელია. ის სივრცე, სადაც ბიჭი ცხოვრობს, დეფორმირებული და არაჯანსაღია, მამა ამუშავებს სარდაფში, სადაც ბევრი სიბილწისა და უხამსობის ცქერა უწევს: სახედაკარგული და გასართობად ქცეული ლოთი დედაკაცი, მთვრალი კაცები, სიცივე, გულგრილობა. ყველაფერი უარყოფითი იყრის თავს, რასაც მწერალი ძალზე ზუსტად ერთ ფრაზაში აქცევს – ესაა სივრცე, შეცდომათა ნაყოფი, ისეთივე, „როგორც ატრუბულ ულაყებს ემართებათ ჯოგში, მამრს მამრი რომ შეეშლება და ზურგზე მოახტება ანაზდად“ (ალექსიძე, 2019, გვ. 26).

მოთხრობა ერთი პროექციიდან გვიჩვენებს სამყაროს: ეს ბიჭის თვალთახედვაა. მისი თვალთ და მისი ფასეულობათა სისტემითაა აღქმული ყველაფერი. ბიჭი ოჯახში ძალადობის პირობებში ცხოვრობს, მამა დედაზეც ძალადობს და მასზეც. პერსონაჟის მზერა პიროვნების უღრმესი შრეებიდან მოდის, მისი მსჯელობები შინაგანი სამყაროს ხმაა, მათი ამოსვლაა ზემოთ, ოღონდ მხოლოდ ფიქრებად, მხოლოდ პასიურ ფორმად, რომელიც ვერასოდეს აქტიურდება, ამიტომაცაა დამარცხებისთვის განწირული. მაგრამ ყველაზე მტკივნეული მაინც ეს ფიქრია: „თავისუფლება – გაუვალი გზა“. ორიოდე მნიშვნელოვანი დეტალიც: დამეს ათევეს გომურში (ინსტინქტურად გვახსენდება ოთარ ჭილაძის გიორგა) და ფიზიკურად არასრულყოფილია (ბიჭი ხეიბარია). რატომაა თავისუფლება გაუვალი გზა? რატომ გომური და არა სახლი? ფიზიკური სისუსტე და არასრულყოფილება განსაკუთრებით სტკივა ბიჭს მამის გარგნული სიჯანსაღისა და სიძლიერის ფონზე. მუდმივად დამცირების პირობებში მცხოვრებს, თითქოს სურვილებიც კი ატროფირებული აქვს: ავად რომ იყო, მეზობლები აკითხავდნენ, საჭმელი მოჰქონდათ და ეკითხებოდნენ, რამე ხომ არ გინდაო? „ისიც ნატრულივით ფიქრობდა, რა სურდა, უნდოდა, სურვილი მაინც მოეგონებინა, მაგრამ სურვილებიც უწრებოდა სადღაც, სურვილებიც საკუთარ თავთან სტოვებდა მხოლოდ“ (ალექსიძე, 2019, გვ. 24).

ბიჭის კრიზისული აზროვნება თანდათან აქტიურდება, იწყებს პროტესტის გამოხატვას, რომელიც მამის წინააღმდეგაა მიმართული: მამა – ძლიერი, ახოვანი, ბიჭი – ხეიბარი, „გონჯი“ (როგორც მამა ემახის „ამან დააქცია ეს ოჯახი“ (ალექსიძე, 2019, გვ. 20-21). პროცესი, რომელიც ჯერ მხოლოდ გონებაშია, მიდის ყველაზე სასტიკ და ყველაზე არასწორ დასკვნამდე: „მოვკლავ!“ თუმც უშედეგოდ, კრიზისის დამლევს ფიქრებში იგი იცვლება გაქცევით:

„ბიჭი თავად იყო თავისუფლება, თავისუფლება მისი ბუნება იყო და თავისი სახლი ეჩვენებოდა უდიდეს საპყრობილედ, გადაულახავ ბომონად სიმარტოვისა და შებორკილი, უსიხარულო არსებობისა. თავისუფლება მის სულში უფრო ვრცელი ხდებოდა თანდათან, ყოვლისმომცველი და გადამდები... ამიტომაც ისე გამოჩნდა თავის ტოლებში, როგორც ხვადი ძუთა საფარში, როგორც ეშმა დედათა მონასტერში, როგორც აბანოში შიშველი ქალების გვერდით ახმახი, ზორბა, შლუ მამაკაცი, რომელსაც წარმოდგენა არა აქვს ქალზე“ (ალექსიძე, 2019, გვ. 27).

მაგრამ ეს მხოლოდ გადაწყვეტილებაა თავისუფლებისკენ გაქცევისა, ასრულება სხვა, გაცილებით რთულ აქტივობას გულისხმობს. მაგრამ შეძლებს კი ბიჭი თავისუფლების შეგრძნების შენარჩუნება-გათავისებას და ამ ყველაფრის აქტიურ ფაზაში გადაყვანას?

მიკა ალექსიძის ამ მოთხრობაში განსაკუთრებული დატვირთვისაა სიმბოლური პლანი. ის, რასაც რეალობიდან ვერ იღებს ბიჭი, მოდის წარმოსახვაში. დამეულ ჩვენებაში, ერთგვარ სიზმარ-

ცხადში, სამი ირეალური პერსონაჟი ჩნდება – მთვარე, მგელი და იღუმალი ხმა. მთვარე, ზოგადად, მოთხრობის უმთავრესი პერსონაჟია, პირველივე წინადადებაში ამბავი ნისლის გაფანტვითა და მისი გამოჩენით იწყება. იგი აქ ბრძოლის, ძიების გზაზე სინათლის სიმბოლოა, ხოლო მგელი, რომელიც წამოწოლილია ბიჭის ოთახში და აქეუებს მას, სიმამაცის, გამბედაობის სახეა. ხმა კი ეუბნება:

„ეს სახლია შენთვის სიმახინჯე, ეს სახლია დაქცეული გოდოლი შენთვის.

[...]

– *გამოხსენი ფანჯარა, დატოვე შენი ძონძები და წადი სულ მთლად შიშველი...*“ (ალექსიძე, 2019, გვ. 30).

ესაა თავისუფლებისკენ სწრაფვის ერთადერთი გზა, გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანის შანსი, რომელსაც ვერ იყენებს ბიჭი, რადგან ვერ ერევა იმ სისუსტეს, რომელსაც ფიზიკური სიმახინჯე იწვევს.

„იმხანად ბიჭის სულში თავისუფლების განცდა საბოლოოდ შეერწყა მშვენიერებას. ორთავე ერთ სახედ იქცა მასში და მხოლოდ სიწარმტაცეში ხედავდა შვებას, მაგრამ ის უკვე იცოდა, რომ საკუთარი სხეულიდან, საკუთარი ტყავიდან მაინც ვერასგზით ვერ გამკვრებოდა, ისე როგორც ძონძებიდან, ვერ დატოვებდა ყველაფერს და ვერ წავიდოდა ვერსად, რადგან წასასვლელი არ არსებობდა მისთვის, რადგან საკუთარ სხეულს ვერ გაექცეოდა და დადალული სიმახინჯით მოარული, იგივეს წააწყდებოდა ყველგან“ (ალექსიძე, 2019, გვ. 30).

ასე მთავრდება ის პროტესტი, რომელიც მამის წინააღმდეგ იწყება ბიჭის შინაგან სამყაროში. იმდენად დათრგუნულია მისი არსება, რომ ამ პროტესტის გარეთ გამოტანას, გააქტიურებას ვერაფრით ახერხებს. თავისუფლება ბიჭისთვის მხოლოდ ოცნებად რჩება, *„უსაზმნო სრბოლად იქცა მახინჯ სხეულსა და მოშთობილ რწმენას შუა, თავისდაუნებურად. როგორც უკიდვეგანო უდაბნოში უპატრონოდ გაშვებული კვიცი, ისიც თავის მოჩვენებებში იმტვრევდა ფლოქებს“* (ალექსიძე, 2019, გვ. 38).

ამ მოთხრობაში ერთმანეთს უპირისპირდება *სიმახინჯე* და *მშვენიერება*. პირველი მონური მორჩილების სახეა, მეორე – დაუმორჩილებლობისა და თავისუფლების. ბიჭი გრძნობს, რომ ვერასოდეს ეზიარება მშვენიერებას, რადგან სხეული (სიმახინჯე) ამ გზაზე გადაულახავი დაბრკოლებაა. მართლაც, ბიჭი ვერ ახერხებს გაქცევას, ვერ ახერხებს, იმ სივრცეს დააღწიოს თავი, სადაც მამის სისასტიკის ტყვეა.

მეორე მხრივ კი, იღუპება მისი პატარა და, რომლის ფიზიკური სილამაზე სულიერი მშვენიერების ნიშანია. ეს მშვენიერება თავისუფლების სახეა. ჩვენ არ ვიცით, რატომ კვდება პატარა ცისფერთვალეზა გოგო, ტექსტში ეს არ ჩანს, თუმცა მკითხველს აქ საერთოდ არ სჭირდება მიზეზი, ეს მშვენიერების პროტესტია სიმახინჯის წინააღმდეგ და თავის გათავისუფლება მისგან. ამ ძალადობრივ სივრცეში არ შეიძლება მშვენიერება არსებობდეს, თუკი ვერ დაამარცხებს და ვერ გარდაქმნის მას. ასეთ შემთხვევაში ერთი გზა რჩება – გარიდება. ამიტომაც აწვალებს ბიჭს განცდა – ჩემნაირი მახინჯი რომ ყოფილიყო, არ მოკვდებოდა. ბიჭის დროებითი და ხანმოკლე გაქცევები სახლიდან ბოროტებასთან დაპირისპირების სუსტი მცდელობებია. ცხოვრებასთან ბრძოლაში, რომელიც უსამართლოა თავისი არსით, როგორც ექსისტენციალისტები ამბობენ, ადამიანი უმწეოა და იღუპება. მაგრამ რჩება მშვენიერება, როგორც უკვდავი იდეალი, როგორც რწმენა, რაზეც მოთხრობის ბოლო წინადადებაც მიგვანიშნებს: *„ამ წვეარამ, მოქვითინე ღამეში ისევ ეძინა ყველას, ყალყზე შესდგომოდა ძუ მგელი მთვარეს, აწვიმდა ზეცაში დაღეწილ საყდარს და დუმდნენ ხატები მაცხოვრის გარდამოხსნილ ტანთან, როგორც შობა დღეს ღვთისმშობლის წმინდა ხელეზზე...“* (ალექსიძე, 2019, გვ. 52).

შიშის დამღევსა და თავისუფლებისათვის ბრძოლის დინამიკა თანდათან ძლიერდება ახალგაზრდა მწერლის შემოქმედებაში და სულ რაღაც ორი წლის შემდეგ დაწერილ მოთხრობაში

უკვე სხვაგვარ სურათს ვხედავთ. 12 წლის ბიჭია „ბაბუშის“ (1983) მთავარი პერსონაჟი (მოთხრობას სწორედ მისი სახელი ჰქვია), მაგრამ იგი გაცილებით აქტიურია, ძლიერი და მეტრძოლი.

სიუჟეტური ხაზი (ოღონდ არა კლასიკური გაგებით) შედგება რეალობაში მომხდარი რამდენიმე ფაქტისა და მათ შორის ჩასმული ცნობიერების ნაკადის ტექნიკით დაწერილი პასაჟებისგან, რომლებიც ბიჭის გონების დაძაბული მუშაობის ნაყოფია. სახლის დაწვა, სადამო დედასთან ერთად სახლში, მატარებლით მგზავრობა და ჩაის პლანტაციაში ტუსადებთან ყოფნა – ეს რეალობაა, ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული ფრაგმენტული ამბები, რომელთა დანიშნულება ბაბუშის შინაგან არსებაში ფიქრის გამოწვევა და ერთი ნაბიჯით მიახლოებაა იმ უმთავრეს ღირებულებასთან, რომელსაც თავისუფლება ჰქვია. გარდა პირადი ცხოვრებისეული გამოცდილებისა, თავისუფლებას სჭირდება ასაკიც, ბავშვობის პერიოდის გადალახვა. თავისუფლების იდეა ორი მხრიდან შემოდის პატარა ბიჭის ცნობიერებაში. პირველი რეალური ცხოვრებისეული გამოცდილებაა: იგი პატიმრებთან ერთადაა ჩაის პლანტაციაში, სადაც ისინი შრომობენ შეიარაღებული ზედამხედველის მეთვალყურეობით. ამ სივრცეს შემოსაზღვრავს ღობე, რომლის იქითაც თავისუფლებაა და რომლის გადალახვის მცდელობასაც ეწირება მოხუცი. კაცი, რომელიც „სულ არ ჰგავდა მონას“ (ალექსიძე, 2019, გვ. 61).

მიწაზე დაგდებული მოხუცის უსულო სხეული ამ გზაზე ბიჭს კიდევ ერთი ნაბიჯით სწევს წინ – „მოხუცი სიკვდილშიც გასაქცევად გაწელილს ჰგავდა, მკვდარი გაცილებით ლამაზი იყო, ვიდრე შენდობას მოწყურებული დაბეჩავებული ბ-ს დაბეჩავებული, ცოცხალი იერი...“ (ალექსიძე, 2019, გვ. 84). ყველა მომხდარი ამბავი უფრო და უფრო აახლოებს ბაბუშის თავისუფლების არსთან.

„მე ახლაც არ ვიცი, საიდან იწყება თავისუფლება. არც არასოდეს მიმსჯელია ამაზე. ფიქრით კი ალბათ უზომოდ ბევრი მიფიქრია. თავისუფლება თურმე ძალიან შორს ყოფილა ფიქრისაგან და სწორედ მაშინ, როცა გაიფიქრებ, რომ სადღაც ახლოს არის ან უკვე მოიპოვე კიდევ, სწორედ მაშინ, უეცრად, თვალსა და ხელს შუა გაგისხლტება და სულ სხვა სახელს დაირქმევს ხოლმე“ (ალექსიძე, 2019, გვ. 79).

მოხუცის სიკვდილით საბოლოოდ მთავრდება ეს შიდაპიროვნული ბრძოლისა და ძიების პროცესი, ბაბუში ახერხებს იმ წამის მოხელტებას, როცა თავისუფლების არსს სწედება და ახლა მან უკვე იცის, რომ „დიდი კაცია“ (ეს სიტყვები დედამ უთხრა პირველად, მოხუცის სიკვდილის შემდეგ კი – უკვე თავისივე ხმამ გაუმეორა), მომენტალურად გადაილახება ბავშვური შიშიც, დაიძლევს ასაკიც და ბიჭი გრძნობს, რომ უკვე თავისუფალია. ამის დასტურია ბოლო წარმოსახვითი სურათიც: მამის ვეება ლანდი, რომელიც გამოტოპავს ამღვრეულ მდინარეს, მის თვალწინ საოცარი სისწრაფით იზრდება. „მე თვალს შევავლებდი მის განიერ მხრებს და იმ ადგილს, სადაც ოდესღაც თმა შეაჭრეს, საიდანაც ჩემი კაცობის ნათლობას ედებოდა სათავე“ (ალექსიძე, 2019, გვ. 85). გაქანებული და მამის მხრებზე შემხტარი პატარა ბიჭი, შიშდაძლეული, უკვე თავისუფლების გზას ადგას.

მიკა ალექსიძის ერთ-ერთი საუკეთესო მოთხრობის, „ლამპიონები გაუქმებულ პორტში“ (1984), მთავარი პერსონაჟი ამავე ასაკის ბიჭია. წინაგანხილული მოთხრობებისგან განსხვავებით, გოლას ყველაზე ნაკლებად გაუჭირდა ეს ბრძოლა, თითქოს თავიდანვე თავისუფალი სულით დაიბადა. „ვინც ექვსი წლისა არ არის კაცი, ის ვერც ვერასოდეს გახდება“ (ალექსიძე, 2019, გვ. 176), – წერს ავტორი და გოლას მხატვრული სახე ამის დასტურია. მასში მწერალმა მთელი თავისი მსოფლმხედველობრივი პოზიცია ჩაატია და ერთი შეხედვით, მარტივად გადაჭრა პრობლემა – როგორ უნდა მოიპოვოს ადამიანი შინაგანი თავისუფლება. ადამიანი – ეს შიშია, – აცხადებს სარტრი. მისი დამარცხება თავისუფლების მოპოვების აუცილებელი გზაა. მოთხრობაში გოლას ოჯახი არ ჩანს, არ ვიცით, სად, როგორ და ვინ გაზარდა. თავისებურად ავითარებს სიუჟეტურ ხაზს მწერალი აქაც: ორი ძირითადი პერსონაჟი – მოთხრობელი და გოლა ქმნიან ტექსტის მთელ ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურ ქარგას. კლასიკური სიუჟეტი, სადაც ამბავი ვითარდება, არც აქაა. ამ ზღვისპირა ქალაქში არაფერი ხდება, რაც, თავის მხრივ, ზღვისთვის არააქტიური სეზონითაცაა ხაზგასმული

და მთელი სამუშაო, მთელი პროცესი გონების დაძაბულ, აქტიურ ფაზაში ვლინდება, რაც ტექსტის ძირითად ნაწილს შეადგენს. თითქოს უცნაურია, რომ შიში, რომელიც ზრდასრულ მამაკაცს აწვალავს, დაძაბული აქვს ბიჭს. როგორც სარტრი ამბობს, ადამიანი თავად აქცევს საკუთარ თავს შიშისმარად და პასუხისმგებელიც თვითონაა ამ შიშზე. რა განაპირობებს პატარა გოლას სიძლიერესა და დამოუკიდებლობას? მისი ცხოვრება, რომელიც თავისუფლების მაღალი ხარისხითაა აღბეჭდილი. უდებობა კი არ ასუსტებს, პირიქით, აძლიერებს, თავის გადასარჩენად ადრეული ასაკიდანვე ბრძოლის უნარს უვითარებს, ხოლო ბაბუას საქციელი გზას უჩვენებს, როგორ აღუდგეს წინ ბრბოს და მის წინაშე შიში არ იგრძნოს.

„უსიტყვოდ წავიდა და წავიდა ზღვაში, თავისი მაშხალით ხელში. თავისი ქალაქითა და ერთმანეთში აღრეული ტანჯვითა და აღლუმით სხეულში. სიმთვრალეში, ზარ-ზეიმში სხოვნიდან გაეპარა სამყაროსა და ბაკხიურ ღამეს. [...] სულ რაღაც წუთში მიხვდა, რომ სამყარომ გაიმეტა. ის კი სახეებსაც ვერ არჩევდა, ისე გავდა ყველა ერთმანეთს. უცებ მიხვდა, სამყაროც არ ღირდა შურისგებად, მთელი სამყაროც არ ღირდა თუნდაც ერთი ღამის სიყვარულად და პოეზიად...“ (ალექსიძე, 2019, გვ. 174-175).

ბიჭის მიერ მოყოლილი ამბავში კარგად ჩანს, რამხელა ძალას აძლევს მას ბაბუა ამ ერთი საქციელით. ისიც ხვდება, რომ სამყარო აბსურდულია, ადამიანებს არ ესმით ერთმანეთის, ამიტომ არაფრის მტკიცებას არ აქვს აზრი. თხრობაში დიონისური შემთხვევით არაა ნახსენები და არც სინათლე, რომელიც უკანასკნელ გზაზე მიაქვს თავისი ნებით მიმავალ ბაბუას. გოლას ჯერ კიდევ ბავშვური გონება ზუსტად გადახარშავს ამ ამბავს და მის მამაკაცურ ბუნებას, ხასიათს აყალიბებს. „მეც ბაბუაჩემივით მოვიქცეოდი, წავიდოდი ზღვაში და მარტო ძველ ნავსა და ფლოსტებს დავუტოვებდი ჩემს შვილიშვილს მოსაგონებლად, რადგან ახლა კარგად ვიცი, რომ ესეც საკმარისი ყოფილა“ (ალექსიძე, 2019, გვ. 175). ამიტომაცაა იგი ბავშვობიდანვე თავისუფალი, აბსურდულ წუთისოფელზე მაღლა დგას, ადამიანების მიმართაც რაღაცნაირი აგდებული თუ გულგრილი დამოკიდებულება აქვს. როდესაც მთხრობელი ეკითხება, სასტუმროს დამლაგებელ ქალზე, ვინააო, გულგარეთ პასუხობს: „რა ვიცი, მამაჩემს რომ ჰკითხო, დედაშენიაო“ (ალექსიძე, 2019, გვ. 185). ამ გულგრილობით უდროოდ გაზრდილი პატარა ბიჭი გულს ადამიანთაგან მიყენებული ტკივილისაგან იცავს. ცივი გონებით ცხოვრობს ბიჭი, მაგრამ არა უემოციოდ. ცხოვრებამ ასწავლა ტკივილის გაძლება, ადრინადად მიახვედრა, რომ მის გარეშე ადამიანური ყოფა წარმოუდგენელია, და მანაც ბედისწერასთან უაზრო ბრძოლა შეწყვიტა, ცხოვრება მიიღო იმ სახით, რა სახითაც მიეცა, რადგან გააცნობიერა: „კაცმა თავისი უაზრობაც უნდა ზიდოს, თუკი ბედისწერამ არგუნა იგი. მარტო თავისი კი არა, ხშირად წუთისოფლისაც“ (ალექსიძე, 2019, გვ. 168).

მიკა ალექსიძე ამ მოთხრობაში ექსისტენციალისტების საყვარელ სიზიფეს მითს მიმართავს. „ოდნავ ზიზღნარევი იერი ჰქონდა აღბეჭდილი სახეზე, სწორედ ისეთი, როცა იგი, რომ უნდა ზიდო ტვირთი და ვერაფრით ახსნი, რისთვის ეზიდები. აი, აუხსნელი თავი და ბოლო. როცა ზიზღი და ირონია არ გცილდება და მაინც არ იცილებ ამ ერთხელ და სამუდამოდ მისჯილ ყულფს“ (ალექსიძე, 2019, გვ. 167-168). სწორედ აქ იკვეთება სიზიფეს მითის დეტალები. ეს დაუმორჩილებელი მითოსური პეროსნაჟი, რომელსაც ყოველ ჯერზე ხელახლა ააქვს მთაზე დაუმსახურებელი თუ დამსახურებული ლოდი, მაგრამ უარს არ ამბობს ამ ტანჯვაზე, გმირია. ცხოვრების არსის გაანალიზება აბრძენებს და უაზრო ბრძოლებზე უარს ათქმევინებს. ასეა გოლაც, იგი ბავშვობაშივე აცნობიერებს, რომ ადამიანი სიზიფეა. ამიტომაც არ უჭირს წუთისოფლის სისასტიკის ატანა. „ბიჭის ნებისყოფას წაგებული ბრძოლები ვერას აკლებდა. ამიტომ წაგება მისთვის ის უღიარებელი სინამდვილე თუ ჭეშმარიტება იყო, რომელზე ფიქრისთვისაც არ ეცალა. თითქოს ახალისებდა, ჟინს მატებდა, ზღაპრად აქცევდა ცხოვრებას, ართობდა კიდევ“ (ალექსიძე, 2019, გვ. 168). ასე თავისუფლდება ბოლმისგან და ახერხებს იმ პატარ-პატარა დღესასწაულების დანახვას, რომლებიც ყოველთვისაა ამ სასტიკ წუთისოფელშიც. „ბიჭი ნადირობას იწყებდა, კეთილ ნადირობას. და მეც თითქოს

შორიდან ვლოცავდი, დალოცვილი იყო ჩემი ფიქრით და ჩემი ღიმილით... „კეთილ ნადირობას გისურვებ, ჩემო გოლა, მეფურ ნადირობას“ (ალექსიძე, 2019, გვ. 165). და მკითხველი გრძნობს, რა დიდი სიყვარულის ზიდვას შეძლებს ეს პატარა ბიჭი ცხოვრების გზაზე. იმიტომ რომ ლაღია, წვრილმან ადამიანურ ვენებებზე ამაღლებული და თავისუფალი: „ფეხებზე ეკიდა, ვინ რას იფიქრებდა მასზე... ის თავისუფალი იყო, თავის ულუფას შეექცეოდა და არავის არაფერს უმტკიცებდა“ (ალექსიძე, 2019, გვ. 169).

დანიელი ფილოსოფოსი სიორენ კირკეგორი ვრცლად საუბრობს ბედნიერებისა და უბედურების კონცეპტებზე თავის „ან/ან“ ფილოსოფიაში და ამბობს, რომ ბედნიერება მხოლოდ აწმყოშია. თუ ინდივიდი წარსულში ან მომავალში ცხოვრობს, ის თავის თავში არასდროსაა.

„უბედური არმყოფია. მაგრამ ადამიანი არარსებული მხოლოდ მაშინაა, როცა წარსულში ან მომავალში ცხოვრობს. [...] ესენი ის ინდივიდები არიან, რომელთაც იმედი აქვთ და ახსოვთ. და რამდენადაც მათ მხოლოდ იმედი აქვთ და ახსოვთ, გარკვეული გაგებით, ისინი უბედური ინდივიდები არიან, რადგან, როგორც წესი, ბედნიერი მხოლოდ ის არის, ვინც აწმყოში იმყოფება“ (2023, გვ. 206).

ფილოსოფოსის ეს სიტყვები – აწმყოში მყოფობა ანუ ბედნიერება უშუალოდ აქტიური ქმედების ნაყოფია, წარსულში ან მომავალში ცხოვრება ანუ უბედურება კი – პასიურ ცხოვრებას გულისხმობს.

ბაბუში და გოლა ფიზიკური ტკივილის დაძლევით, მორალური ზეწოლის გაძლებით და გაუტეხელობით აწმყოში რჩებიან, ისინი გამოცდილებად აქცევენ მძიმე წარსულს და ამით თავს აღწევენ, იმარჯვებენ მასზე. „სულში ჩაკიდული მთვარის“ მთავარი პერსონაჟი კი ამ ყველაფერს ვერ ახერხებს. იგი უბედურია, ბრძოლისთვის არაა მზად, ამიტომ ვერც გაიმარჯვებს და ვერც ბედნიერი იქნება. მიკა ალექსიძის პროზაში კიდევ ერთხელ დასტურდება სარტრის ცნობილი ფორმულა, რომლის მიხედვით ადამიანი თვითონ ქმნის თავის ცხოვრებას, თავის ბედს. 80-იანი წლების ქართულმა მოთხრობამ სწორედ ამ ბრძოლის, დაუმორჩილებლობის, საკუთარი თავის შექმნისკენ მიმართული გამარჯვებული ადამიანის სახე მოგვცა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ალექსიძე, მ. (2019). მდუმარების მეჯლისი, თბილისი: „არტანუჯი“.
კანკავა, გ. (1987). ძიებებსა და მიგნებებს შორის, კრიტიკა, VI, 69-99, თბილისი.
კირკეგორი, ს. (2023). ან/ან, ნაწყვეტი ცხოვრებიდან, ნაწილი პირველი, თბილისი: „აქტი“.

References:

- Aleksidze, M. (2019). Mdumarebis mejlisi. [Majlis of silence]. Tbilisi: Artanuji.
K'ank'ava, G. (1987). Dziebebsa da mignebebs shoris. [Between the searches and the findings]. K'rit'ik'a, VI, 69-99, Tbilisi.
K'ierk'egori, S. (2023). An/An, Nats'q'vet'i tskhovrebidan. [Either/Or, A Life Fragment]. Nats'ili p'irveli. Tbilisi: Akti.

Lili Metreveli, Tatia Oboladze,

ლილი მეტრეველი, თათია ობოლაძე

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

War Discourse and Identity Search in Leo Vardiashvili's Novel

"Hard by a Great Forest"

ომის დისკურსი და იდენტობის ძიება ლეო ვარდიაშვილის რომანში

„ერთი დიდი ტყის მახლობლად“

Leo Vardiashvili's debut novel, *Hard by a Great Forest* (2024), explores the deep scars left by Georgia's recent wars, including the Tbilisi Civil War, the Abkhazia War, and the August War. Blending genres and using an experimental narrative style, the novel follows characters who face the pain of loss, displacement, and the search for belonging. Through their struggles, Vardiashvili reflects on how both individuals and societies cope with trauma – whether by suppressing memories, denying the past, or finding symbolic ways to heal. The novel offers a poignant portrayal of the lasting human cost of war and the universal need for identity and home.

Keywords: Post-war trauma, Identity and belonging, Collective and individual memory, Displacement and exile, Georgian literature

საკვანძო სიტყვები: ომისშემდგომი ტრავმა, იდენტობა და კუთვნილება, კოლექტიური და ინდივიდუალური მეხსიერება, დევნილობა და გადასახლება, ქართული ლიტერატურა

ინგლისურენოვანი ქართველი მწერლის ლეო ვარდიაშვილის სადებიუტო რომანი „ერთი დიდი ტყის მახლობლად“ გამომცემლობა Bloomsbury-მ 2024 წელს დიდ ბრიტანეთში გამოსცა. რომანი მალევე ბესტსელერად იქცა და მრავალ ენაზე ითარგმნა, მათ შორის ქართულადაც. ტექსტის შესახებ არა ერთ გავლენიან ჟურნალ-გაზეთში (The Guardian, Literature reiew, The New York Times, Good Reading, Los Angeles Times, Spectator და სხვ.) დაიბეჭდა პოზიტიური გამოხმაურებები, რაც ინგლისურენოვანი მკითხველისთვის ქართული ლიტერატურის, ქვეყნის უახლესი ისტორიისა და კულტურის გაცნობის წარმატებულ მცდელობად უნდა შეფასდეს. ამ მოვლენას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პატარა ქვეყნების (ამ შემთხვევაში ქართული) მწერლობის პოპულარიზაციისა და მსოფლიო ლიტერატურულ პროცესში ჩართულობის თვალსაზრისით.

ჰიბრიდული ჟანრულობით (ტექსტი აერთიანებს ისეთი ლიტერატურული ჟანრების ელემენტებს, როგორებიცაა: ლიტერატურული ზღაპარი, დეტექტივი, მითოლოგიური რომანი, საგა), ექსპერიმენტული თხრობის მანერით, ალუზიებითა და ინტერტექსტუალობით (რომანში გვხვდება ალუზიები და ჩანარები როგორც მსოფლიო კლასიკური ლიტერატურიდან: – უილიამ შექსპირის

პიესიდან „რომეო და ჯულიეტა“, არტურ კონან დოილის დეტექტიური მოთხრობიდან „შერლოკ ჰოლმსი“ და სხვ., ისე ზღაპრებიდან, რომელთა შორის უნდა გამოვარჩიოთ: ძმები გრიმების „ჰენზელი და გრეტელი“ და ფრენკ ზაუმის „ოზის ჯადოქარი“), უნივერსალური სახე-ხატებითა და მოტივებით მწერალი აღწერს დანარჩენი სამყაროსთვის შეუმჩნეველად დარჩენილი პატარა ქვეყნის ეთნოკონფლიქტებსა და ომის ტრავმებით გამოწვეულ ადამიანურ ტრაგედიებს.

თბილისის სამოქალაქო ომიდან ორი ათწლეულის შემდეგ რომანის მთავარ გმირს – საბას – საქართველოში დაკარგული მამის – ირაკლის – ძიება აბრუნებს. მას აეროპორტშივე გაუგებარი მიზეზით ართმევენ პასპორტს, რაც გმირის დაკარგული იდენტობის, უსამშობლობისა და გარემოსთან გაუცხოების – მხატვრული ილუსტრაციაა: „სასაზღვრო კონტროლის თანამშრომელმა ჩემს პასპორტში ჩახედვისთანავე წარბი აპრინხა... რაც შეიძლება მალე მიდით გამომძიებელ ქელბაქიანთან. შერჩევითი შემოწმება... პასპორტს ის დაგიბრუნებთ“ (ვარდიაშვილი, 2024, გვ. 23-24).

ჯერ კიდევ მცირეწლოვანი საბა, მამასა და ძმასთან ერთად, თბილისის სამოქალაქო ომს ლონდონში გაექცა. დანგრეულ, ნაცრისფერ, უპერსპექტივო თბილისში დარჩა ოჯახის მხოლოდ ერთი წევრი ეკა, რომელსაც შვილების მომავლის გადასარჩენად მსხვერპლის გაღება მოუხდა: – „სადაა ეკა? – ალბათ ათასჯერ დაგვისვამს ეს კითხვა. დედა დარჩა, რომ ჩვენ გავქვეულიყავით“ (ვარდიაშვილი, 2024, გვ. 3). ეკა წლების მანძილზე ელოდა შვილებთან შეხვედრას, ოჯახის გამთლიანების იმედს არ კარგავდნენ ემიგრაციაში მყოფი ოჯახის წევრებიც:

სათობით გვიმსჯელია, როგორ უნდა დავხვედროდით ეკას – ჯერ კიდევ მაშინ, როცა ირაკლის დაპირების გვეჯეროდა. ყველა წვრილმანი დაგვეგმილი გვექონდა: ეკა რომ შემოვიდოდა, პირველად სანდროს დაინახავდა დივანზე და იკითხავდა, საბა სად არისო? მე კი კარის უკნიდან გამოვხტებოდი და ბრახ! სიურპრიზი! მერე ... კი არ იტირებდა, მხოლოდ ფარულად შეიმშრალებდა ცრემლს დროდადრო (ვარდიაშვილი, 2024, გვ. 375-376).

შეხვედრა ვერ შედგა. დედის დაბრუნების უშედეგო მოლოდინი დროთა განმავლობაში იმედგაცრუებად ტრანსფორმირდა და ჩამოყალიბდა ტრავმად, რომლის გაცნობიერების პროცესს ჯერ ირაკლი, მოგვიანებით კი სანდრო და საბა თბილისში იწყებენ.

თბილისში დაბრუნება 2015 წლის 13 ივნისს მომხდარ ტრაგიკულ მოვლენას, წყალდიდობას,¹ ემთხვევა, რომელიც „ბიბლიური წარღვნის“ ალუზიის შთაბეჭდილებას გვიტოვებს. აპოკალიპტიკური გარემო (ზოოპარკიდან გამოქცეული ბინადრები, შეშინებული ხალხი, ბეჭემოტი „ბეგი“ გმირთა მოედანზე, ვეფხვი „არტიომი“ მთაწმინდაზე და ა.შ.) ერთი მხრივ, საბას შინაგან, ქაოტურ მდგომარეობას ამძაფრებს, მეორე მხრივ, კი მკითხველს გმირის ცნობიერების გარდატეხისთვის ამზადებს: „ბიბლიური მასშტაბის წყალდიდობა, ზოოპარკიდან გაქცეული ცხოველები, არეულობა, წართმეული საბუთები და დაკარგული ძმები და მამები“ (ვარდიაშვილი, 2024, გვ. 44).

თბილისში საბა, ახლადგაცნობილ ნოდართან ერთად, დეტექტიური ტექსტის პერსონაჟის მსგავსად, მიჰყვება მამისა და ძმის მიერ დატოვებულ მინიშნებებს ჯერ თბილისის ძველ უბნებში, მოგვიანებით კი საძიებო სივრცე ფართოვდება და საბა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში (სვანეთი, სამაჩაბლო) ეძებს კვალს. გარდაცვლილ ნაცნობებთან წარმოსახვითი დიალოგის მეშვეობით საბა იხსენებს დავიწყებულ წარსულს. იწყება მთავარი გმირის ტრავმების გადამუშავებისა და ინდივიდუაციის რთული და ხანგრძლივი პროცესი, რომელსაც თან ახლავს სახლის, მამის, იდენტობის სიმბოლურ-ალუზიური ძიება.

კ. გ. იუნგის მიხედვით, ინდივიდუაციის პროცესი ცნობიერებისა და არაცნობიერის გაერთიანებას გულისხმობს, ესაა ინსტინქტური მისწრაფება მეტი გაცნობიერებულობისკენ. ინდივიდუ-

¹ მართალია, რომანში თბილისის წყალდიდობის დრო შეცვლილია, თუმცა, ისტორიული და მხატვრული დროების ასინქრონულობა მწერლის მხატვრული ჩანაფიქრია და სიმბოლურ-ალეგორიულ მნიშვნელობას ატარებს.

აციის გამოვლინებად პირველი დუალობის „მე“ და „არა-მეს“ გაჩენა წარმოგვიდგება, როგორც ერთიანი, ამოუცნობი, შერწყმული არაცნობიერი (საბას შემთხვევაში წარმოსახვითი დიალოგი წარსულის ახრდილებთან მისი დათრგუნული არაცნობიერის აქტუალიზაცია) და შემდეგ გაჩენილი ცნობიერება ახდენს ერთი მოვლენის მეორესგან დიფერენცირებას, რაც წარმოადგენს კიდევ შემეცნების, ახალი ცოდნის გაჩენის, საფუძველს.

კ.გ. იუნგი ინდივიდუაციის პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა დედისა და მამის არქეტიპებს. იმდენად, რამდენადაც მამის სახე-ხატი აერთიანებს ბიოლოგიურ და სულიერ მამას, მოძღვარს, მენტორს, წარმოგვიდგება როგორც სამყაროს შემოქმედი. კაცობრიობის მთავარ კითხვაზე: ვინ არის ღმერთი? – იუნგი პასუხობს: ღმერთი წარმოდგენათა კომპლექსია, რომელსაც არქეტიპული ბუნება აქვს და ძირითად რელიგიურ სისტემებში მამის სახე-ხატად გვევლინება (უფრო ადრინდელ რელიგიებში კი ეს დედის სახე-ხატია) (იუნგი, 2017, გვ. 517-518). დიდი დედის არქეტიპი კი ადამიანებს სულიერ და ემოციურ საზრდოს აძლევს, მას უკავშირდება ღვთაებრივი სიბრძნე – სოფია, დედაქალაქი – რომელიც თავის ბინადრებზე ისევე ზრუნავს, როგორც დედა შვილებზე, სამშობლო, ღვთისმშობელი და ა.შ. (იუნგი, 2017, გვ. 303). უნდა აღინიშნოს, რომ განსახილველ რომანშიც მნიშვნელოვნადაა გაფართოებული მშობლის სახე-ხატის კონოტაციური ველი. დედისა და მამის არქეტიპები ტექსტში გარდაუვლად უკავშირდება მშობლიურ ქალაქს, ფესვებს, ბავშვობას.

ლეო ვარდიაშვილის რომანის წამყვან თემას საქართველოს უახლეს ისტორიაში მომხდარი სამოქალაქო ომები და ეთნოკონფლიქტები, ომით გამოწვეული ტრავმები და მისი შედეგების გააზრება წარმოადგენს.

საბჭოთა კავშირის დაშლამ და ცივი ომის დასრულებამ მსოფლიოს მასშტაბით მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სოციალური გარდატეხები განაპირობა, რამაც, ბუნებრივია, გავლენა მოახდინა კულტურული და ლიტერატურული დისკურსების ცვლილებაზე. საქართველოს შემთხვევაში პოსტსაბჭოთა რთული ეკონომიკური რეალობა დაამძიმა თბილისის სამოქალაქო ომმა, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ეთნოკონფლიქტებმა, რომლებიც პროვოცირებული იყო საქართველოს ისტორიული მტრის – რუსეთის – მიერ, სწორედ საქართველოს ჩრდილოელი მეზობლის მხრიდან აფხაზეთსა და სამაჩაბლოში სეპარატისტული ძალების მხარდაჭერამ, მათი დეფაქტო მთავრობების აღიარებამ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის უგულვებელყოფამ, საერთაშორისო სამართლის ნორმების იგნორირებამ – განაპირობა ქვეყნის ეროვნული ტრაგედია. საქართველო დამოუკიდებლობის პირველივე წლებში უკიდურესად მწვავე მოცემულობის (დაზინებული ქართული გენოფონდი, დაკარგული ტერიტორიები, ათასობით დევნილი ოჯახი, ტრავმირებული თაობა) წინაშე აღმოჩნდა. ომი და ომის ტრავმა იქცა ქართული პოსტსაბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთ წამყვან დისკურსულ მოდელად, ხოლო ომის ტრავმის კულტურული/ლიტერატურული ფენომენის კვლევა ქართული მეცნიერების, მათ შორის ლიტერატურათმცოდნეობის, მნიშვნელოვან მიზნად გაფორმდა.

„ომის დისკურსი – აფხაზეთისა თუ აგვისტოს ომის თემები, ოკუპირებულ ტერიტორიებზე, დევნილ მოსახლეობასა თუ დარღვეულ ისტორიულ მთლიანობაზე ფიქრი, როგორც ქართველი ხალხის დიდი ტკივილის გამოხატულება, – თანამედროვე ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს“ (რატიანი, 2011, გვ. 46). ომის დისკურსი ქართულ მწერლობაში, როგორც ი. რატიანი მიუთითებს, ორი პერსპექტივიდანაა ნაჩვენები: ერთი მხრივ, იმ მწერლების პოზიციიდან, რომლებიც თავად აღმოჩნდნენ ომის პირდაპირი მსხვერპლნი (გურამ ოდიშარია, გელა ჩქვანავა) და, მეორე მხრივ, თემა გაშუქებულია იმ ავტორების მიერ, რომლებიც მხოლოდ სულიერად იყვნენ/არიან ჩართული ამ პრობლემაში (ოთარ ჭილაძე – „სინათლის წელიწადი“, ზაზა ბურჭულაძე – „ადიბასი“, თამთა მელაშვილი „გათვლა“, თამარ ბართაია „სარდაფი გორში“, ბასა ჯანიკაშვილი „ომობანა“, თამარ ფხაკაძე „გმირი“ და სხვ. (რატიანი, 2011, გვ. 47).

ომის დისკურსის კიდევ ერთი საინტერესო პლანია ნაჩვენები ემიგრანტი მწერლების ტექსტებში, მხედველობაში გვაქვს ნინო ხარატიშვილის გერმანულენოვანი რომანი „უხილავი სინათლე“ და ლეო ვარდიაშვილის ინგლისურენოვანი რომანი „ერთი დიდი ტყის მახლობლად“. აღნიშნული ტექსტები საინტერესოა ორი თვალსაზრისით. პირველ რიგში, რომანებში ქვეყნიდან დისტანცირებული დამკვირვებლის და არა მონაწილის პერსპექტივიდან ფასდება საქართველოს უახლეს ისტორიაში მომხდარი ამბები, ამავე დროს შეცვლილია სამიზნე აუდიტორია, ნარატივი ფოკუსირებულია არა ქართველ, არამედ უცხოელ მკითხველზე. ავტორის ეროვნული იდენტობისა და ტექსტში მისი პოზიციის განსაზღვრის თვალსაზრისით საგულისხმოა ლეო ვარდიაშვილის ინტერვიუ, რომელიც მან ერთ-ერთ უცხოენოვან გამოცემას (Sudney Morning Herald) მისცა: „90 პროცენტით ქართველი ვარ, როცა საქართველოში ვარ, 90 პროცენტით ბრიტანელი ვარ, როცა ბრიტანეთში ვარ, დაკარგული მაქვს 10 პროცენტი. არ ვიცი, სად წავიდა ან ვინ მომპარა“ (Steger, 2024).

კოლექტიური ტრავმის თეორიის თანახმად, კოლექტიური ტრავმა, როგორც ფსიქოლოგიური, კულტურული და სოციალური ფენომენი, ჩნდება დროში შეზღუდული, შოკისმომგვრელი მოვლენის შედეგად და მას განმსაზღვრელი ეფექტი შეიძლება ჰქონდეს საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ მხარეზე. ის არღვევს ცხოვრების ჩვეულ რიტმს, იწვევს პოსტტრავმულ სტრესს, მელანქოლიას, დეპრესიას (Alexander, 2004). შესაბამისად, რომანის ყველა პერსონაჟი (საბა, სანდრო, ირაკლი, ეკა, ნოდარი, ქეთინო, ნათია, დიმიტრი, ნინო) ომის მსხვერპლი და დაკარგული სახლის მამიებელია, დევნილია. თბილისში დარჩენილი პერსონაჟები მართალია ფიზიკურად „შინ“ არიან, თუმცა ეს „შინ“, სახლი აღარ არის ტრადიციული მნიშვნელობის მატარებელი, სივრცე, რომელშიც ადამიანი თავს უსაფრთხოდ და დაცულად გრძნობს. ხოლო ემიგრანტების ომისგან ფიზიკური დისტანცირება და ერთი შეხედვით უსაფრთხო გარემო სინამდვილეში „სუროგატი“ სახლია, რომელიც კიდევ უფრო ამძაფრებს იდენტობის კრიზისს. საბა თავადაც აცნობიერებს, როცა ამბობს: „არც მე და არც სანდროს არასდროს მიგვიჩნევია ინგლისი მუდმივ ადგილსამყოფლად. ის უფრო დროებითი ბანაკი იყო უცნობი მიზნისკენ სავალ გზაზე“ (ვარდიაშვილი, 2024, გვ. 72).

ტექსტში ნაჩვენებია ინდივიდუალური და კოლექტიური ტრავმები და მათი დაძლევის საშუალებები – უარყოფა, დავიწყება, გაქცევა, თვითგამორკვევა. პერსონაჟთა ერთი ნაწილი უარყოფის გზას ირჩევს (ნოდარი, რომელიც ცოცხლობს კონფლიქტის ზონაში დარჩელ შვილთან შეხვედრის იმედით), მეორე კი დანაკარგთან გამკლავების მიზნით ვიზუალურ ხატებს ქმნის (ქეთინო, რომელიც დაკარგული შვილის „გამოგონილ“ საფლავზე სისტემატურად დადის, ეკა, რომელიც ყოველდღიურად აკითხავს სკოლაში ემიგრანტებში წასულ შვილებს).

[ნოდარმა] მშვენივრად იცის, რომ ნათია მკვდარია. რა თქმა უნდა, იცის. მაგრამ თავს იტყუებს. თავს იტანჯავს მისი პოვნის ამო იმედით. ვერ ჩერდება. იმიტომ, რომ თუ გაჩერდება, ნათია მართლა გაქრება... თუ ქეთინო სასაფლაოზე სიარულს მოიშლის, ეს იმის აღიარება იქნება, რომ ნათია ცოცხალია და მარტოა საომარ ზონაში. მეტიც, ქეთინო ვერაფერს იღონებს მის მოსაძებნად. ამიტომაც უჭირავს თავი ისე, თითქოს მისი ქალიშვილი მკვდარი იყოს, და ერთგვარ შვებას პოულობს ამაში...

ისინი ორი საპირისპირო მხრიდან წყვეტენ ერთსა და იმავე პრობლემას და რაღაც მტკივნეულ შუალედს ეძებენ, რომელიც ზუსტად იქ მდებარეობს, სადაც ეკა დავტოვებ. მისი ბიჭები ცოცხლები, მაგრამ მიუწვდომლები იყვნენ. ექვსი წლის განმავლობაში ტრიალებდა ამ საშინელ შუალედში (ვარდიაშვილი, 2024, გვ. 193-194).

ზ. ფროიდი ნაშრომში „მასების ფსიქოლოგია და ეგოს ანალიზი“ იკვლევს რა ტრავმებს, აცხადებს, რომ ტრავმულ მოვლენას ხანგრძლივი ეფექტი აქვს ინდივიდის ცხოვრებაზე. თავდაპირველად ინდივიდი ტრავმის საწინააღმდეგოდ ფსიქოლოგიურ ფარს აღმართავს, ყურადღების ფოკუსს ცვლის, რაც პათოლოგიური დაცვის ინსტინქტის ჩამოყალიბებას განაპირობებს. ზ. ფროიდმა კოლექტიური ტრავმას „ომის ტრავმა“ უწოდა. მისი დაკვირვებით, კოლექტივის პასუხი ტრავმულ მოვ-

ლენაზე ინდივიდის მსგავსია: დეპრესია, თავდაცვა, ნევროზი. თუმცა, განსხვავებით ინდივიდუალური ტრავმისგან, კოლექტიური ტრავმის დაძლევა გაცილებით რთულია, ვინაიდან ეს ტრავმები არავის ეკუთვნის, არამედ მთელი ერის ტკივილს წარმოადგენს (ფროიდი, 2022).

რომანის ბოლოს საბა ახერხებს თვითგამორკვევის გზით (დაბრუნება ტრავმულ გარემოში და ხეტიალი ბავშობისდროინდელ სივრცეში, მსგავსი გამოცდილების მქონდე ადამიანის [] ნოდარის – თანაგრძნობა და მისი ტრაგედიის გაზიარება, წარსულის ლანდებთან წარმოსახვითი დიალოგი) კრიზისის დაძლევისა და დაკარგული იდენტობის, ცხოვრების საზრისის პოვნას: „ამბობენ, შინ დაბრუნება შეუძლებელიაო. მაგრამ იქნებ ცდებიან? იქნებ ღირს ცდა? იქნებ ცხოვრება ყოველთვის იქ გაბრუნებს, საიდანაც წასვლა არ გინდოდა?“ (ვარდიაშვილი 2024: 403-404).

გამოყენებული ლიტერატურა:

- ვარდიაშვილი, ლეო. (2024). ერთი დიდი ტყის მახლობლად. თბილისი: სულაკაურის გამომცემლობა.
- იუნგი, კარლ გუსტავ. (2017). „მეტამორფოზის სიმბოლოები“ (თარგ. მ. ბადრიძე). თბილისი: „დიოგენე“.
- ფროიდი, ზიგმუნდ. (2022). მასების ფსიქოლოგია და ეგოს ანალიზი. თბილისი: „აქტი“.
- რატიანი, ირმა. (2011). ქართული მწერლობა და ევროპული ლიტერატურული პროცესი. თბილისი: თსუ გამომცემლობა.
- Alexander, Jeffrey. (2004). Cultural Trauma and Collective Identity, University of California Press.
- Steger, Joseph. (2024). How a young man created a novel out of yearning to go home to Georgia. Sudney Morning Herald <https://www.smh.com.au/culture/books/how-a-young-man-created-a-novel-out-of-yearning-to-go-home-to-georgia-20240205-p5f21b.html>

References:

- Alexander, Jeffrey. (2004). Cultural Trauma and Collective Identity. University of California Press.
- Iungi, K'arl Gust'av. (2017). „Met'amorpozis simboloebi“. [The Symbols of Transformation]. (targ. M. Badridze). Tbilisi: „diogene“.
- Proidi, Zigmund. (2022). Masebis psikologia da egos analizi. [Mass psychology and ego analysis]. Tbilisi: „akt'I“.
- Rat'iani, Irma. (2011). Kartuli mts'erloba da evrop'uli lit'erat'uruli p'rotsesi. [Georgian Literature and World Literary Process]. Tbilisi University Press.
The symbol is the artistic generalization of the specific features of time, its more prominent aspects in an artistic image. It always reflects the context of its era. In the works of R. Rza such as "The Old Crocodile", "Elephant and Elephant Keeper", "Before the Flood", H. Arif's "The Valleys Draw", "The Willow Branch", H. Kürdoğlu's "The Oak Burns, it burns alone", M. Araz's "A Tree Fell", and others, the emphasis on social issues, the image, description, and objects in the context of time contribute to the transformation of certain social-philosophical themes into an idea. One of the key aspects of these works was both tracking the dynamics of the specific time and shaping the individuality of the artistic symbol in the polyphony of the poet's personal style. In R. Rza's poem "The Old Crocodile", the issues relevant to the 1960s, such as the fate of small nations turned into colonies of large powers, are generalized in the symbolic-allegorical text, which provides a clearer and more precise expression of the idea. In the poem, small fish symbolize the colonized countries, and the large crocodile represents the great powers, generalizing the tragedy of small nations becoming victims of large states.

Conclusions

The symbol is an artistic mechanism. It always has the potential to be repeated, renewed, and emerge in a completely new context within a cyclical process. What stands out here is the way the artistic symbol, with its inherent qualities, is updated in accordance with ideology, time, and societal psychology. The transformation and renewal of symbolic types in poetry, according to the psychology of time and the individual, is inevitable. In this regard, the artistic symbol generalizes and transforms social relations, the specific characteristics and dynamics of time, into an idea, through the lens of a concrete, functional image, object, or subject. If time and ideology do not change, symbols remain static and unchanging. The interpretation of the image and the transformations of the symbol are primarily shaped by the factor of time, as well as the mechanisms of perceiving and evaluating it.

References:

- Fikrət, Qoca (2004). Seçilmiş əsərləri. Bakı: Şərq-Qərb.
- Creuzer, F (1810-1812). Symbolik and Mythologie der alten Volker, besonders der Griechen/ 4 Bde/ Leipzig Darmstadt/ Heydarova, Aylal (2023) Informative of Azerbaijani carpet and its ornament-symbol. PNAP – Scientific journal of Polonia University. Czestochowa, 56 (2023), 1.
- Kant, I (1966). Works in six volumes [Under the general editorship of V. F. Asmus, A. V. Gulyga, T. I. Oizerman], Moscow, "Mysl" (Philosophical heritage. USSR Academy of Sciences. Institute of Philosophy) Vol. 5 (Кант, И (1966). Сочинения в шести томах [Под общ. ред. В. Ф. Асмуса. А. В. Гулыги, Т. И. Ойзермана], М., «Мысль» (Философское наследие. Акад. наук СССР. Ин-т философии) Т. 5).
- Goethe, I.V. (1964) Selected philosophical works. Moscow: Nauka. (Гете, И.В (1964) Избранные философские произведения. М.: "Наука").
- Quliyeva, S (2023). Poeziyamız XX yüzillikdə. Bakı, Elm.
- Mikayıl, Müşfiq (1927). "Oktyabr" şeiri. "Maarif və mədəniyyət", 10-11.
- Mikayıl, Müşfiq (1927). Nəyat sevgisi. Bakı, Yazıçı.
- Vurğun, Səməd (2005). Seçilmiş əsərləri. Beş cildə, I c., Bakı, Şərq-Qərb.
- Vurğun, Səməd (2005). Seçilmiş əsərləri, Beş cildə, II c., Bakı, Şərq-Qərb.
- Todorov, Tsvetan (1999). Theories of the Symbol. Translated from French by Boris Narumov. Moscow, House of Intellectual Books. (Тодоров, Цветан (1999). Теории символа. Перевод с французского Бориса Нарумова. Москва, Дом Интеллектуальной книги).

Aytan Nazarova
Baku Slavic University
Azerbaijan, Baku

Literature of Small Nations and the Challenges of the Global World: Azerbaijani and Kazakh Perspectives

This research examines the commonalities and distinctions between Azerbaijani and Kazakh literatures, addressing the global challenges faced by the literatures of small nations. Commonalities between these literatures stem from shared folklore, ethnic affinities, and historical-cultural connections, offering unifying elements that reflect their regional identity within a global context. The works of M.S. Ordubadi and M. Auezov, for example, connect deeply to the aspirations and historical narratives of their respective nations, while engaging with broader global themes. Iconic figures like Nizami Ganjavi and Abay Kunanbayev further represent how the lives of the Azerbaijani and Kazakh peoples are portrayed in a manner that transcends national boundaries.

However, differences in style, themes, and literary traditions highlight the unique characteristics of small nations' literatures, showing how they resist homogenization within the global literary landscape. M.S. Ordubadi, a key figure in Azerbaijani literature, is celebrated for his novels and dramas, whereas M. Auezov's influence on Kazakh literature extends to social-political and cultural-philosophical thought. These distinct cultural and philosophical approaches emphasize the challenge of preserving national identity while contributing to global literary dialogue.

This article explores the shared and distinctive elements of both literatures, presenting comparisons between the works of M.S. Ordubadi and M. Auezov, and examining how small nations' literatures navigate global challenges while retaining their unique voices.

Keywords: M.S. Ordubadi, M. Auezov, historical context, cultural identity, Nizami Ganjavi, Abay Kunanbayev, national vs. global.

Introduction

In recent years, the study of the ancient roots of the artistic literature of the Turkic-speaking peoples of Central Asia and Kazakhstan, as well as the detailed and comprehensive research of cultural monuments, has intensified. An example of this can be seen in the interest in works such as "Divan Lugat at-Turk" and the Orkhon-Yenisei inscriptions. Scholars from Central Asia are conducting new studies on the first samples of national literature and are analyzing them based on shared monuments. One of such common monuments is the epic "Kitabi-Dede Korkud," most of the events of which, as is known, take place in the Caucasus, mainly in Azerbaijan.

In the millennia-long history of economic, scientific-cultural, and other development of Turkic peoples, each has held its own special place. One of such peoples is the Kazakh people, who represent a nation reflecting ancient Turkic thinking. Like other Turkic peoples, the Kazakhs have made an exceptional contribution to the formation and development of common Turkic aesthetic thought while also worthily benefiting from the traditions of continuity in modern Kazakh literary and artistic thinking (Quliyeva, 2008, p. 283).

The mutual connections between Azerbaijani and Kazakh literature drew inspiration from the folklore of both peoples. The influence, similarity, and closeness of both peoples arose from a single source, namely from ethnic kinship.

Literary Connections Between Azerbaijan and Kazakhstan

Writers of the Turkic world, always connected with the fate and history of their people, strove to preserve history in their works by describing the lives of their heroes in the context of history or by turning to great figures of the past and making them the main characters of their works. Examples of such works include the novel "Abai" by Kazakh writer M. Auezov, "Sword and Quill" by Azerbaijani writer M. S. Ordubadi, "Navoiy" by Uzbek writer M. Aybek, and others.

Mamed Said Ordubadi is known as a powerful novelist, playwright, poet, and translator of Azerbaijani literature, a talented publicist who left behind a rich literary heritage. As literary critic Y. Akhundlu noted, M.S. Ordubadi became famous in our literature not only for writing the first samples of the Azerbaijani historical novel, paving the way in this genre, but also for creating a rich and enduring tradition in this field. The unity of artistic imagination with historicism, the fullness of characters, multi-plot lines, and modernity are all based on the traditions on which they rely (Axundlu, 2012, p. 12).

Mukhtar Omarhanovich Auezov is considered one of the brightest figures in the socio-political, cultural-philosophical, and artistic-aesthetic thought of the Kazakh people. Since the mid-19th century, genres such as the poem, novella, and novel have begun to emerge in Kazakh literature. The writer is also known as a public figure, scholar, Honored Scientist, and his work has played a significant role in the development of Kazakh prose and drama.

The creativity and worldview of M. Auezov were influenced by the educator Abai Kunanbaev. His worldview was shaped precisely by the aesthetic views of the educator A. Kunanbaev. M. Auezov deeply absorbed the life and work of the educator, analyzing his work based on the principle of historicism.

Ordubadi's and Auezov's Engagement with History

In the 1920s, M.S. Ordubadi studied and absorbed the classics of our literature, writing articles about prominent masters (M.E. Sabir, M.P. Vagif, Fizuli, Nizami Ganjavi, Mehsati Ganjavi, Khatib Tabrizi, and others). It was during these years that our writers, deciding to celebrate the anniversary of Nizami Ganjavi, began to work in this field. M.S. Ordubadi conducted serious research on Nizami Ganjavi, using rare sources and ancient materials in his article "The Era and Life of Nizami," providing extensive information.

M.S. Ordubadi began working on his last historical novel "Sword and Quill" in 1939, completing it in 1946 and publishing it. According to the writer, when writing a historical novel, it is necessary to show the life of the people, their spirit, and their struggle, creating an artistic image of the people.

The art and creativity of Nizami Ganjavi were a great school for M.S. Ordubadi. In his opinion, when we read the works of N. Ganjavi, we can see the names of birds inhabiting Azerbaijani forests, as well as the character and image of meek and wild animals (Axundlu, 1997, p. 317).

Mukhtar Auezov was also a figure deeply connected with the history and heritage of his people in his creativity. He gained attention with his work "Abai" and turned to the genre of the historical novel after the 1920s-30s. Professor N. Mamedov notes that although M. Auezov's works were always tied to national soil, they were shaped under the influence of universal aesthetic thought. In his works, the artist primarily conducts a deep psychological and social investigation of reality, examines changes in the consciousness of

Kazakhs, delves into the course of society, and strives to identify the causes of contrasts within it (Məmmədov, 2019, p. 12).

In 1942, he published the first version of the work "Albay." In 1947, the second book of the novel "Albay" was published. Later, these works were also published in Russian. In 1952, he published the novel "The Path of Abai."

In this work, M. Auezov, like M.S. Ordubadi in his work "Sword and Quill," highlights the life and creativity of the famous Kazakh writer. The epic novel consists of four books and is included in two novels – "Abai" and "The Path of Abai." The first book, "Abai," reveals the poet's youth and inner world. The other book narrates the development of his poetic talent, which is connected to the life of the Kazakh people. In the third book, Abai chooses the path of struggle, and we see his exceptional role in the lives of ordinary Kazakhs. In the fourth book, Abai appears as a thinker, philosopher, and educator, witnessing the arduous journey undertaken for the prosperity of his people.

M. Auezov was the first researcher to study the life of Abai Kunanbaev in Kazakh literature. His creativity remains relevant to this day. The artistic concept of Abai's personality and the stages of his life are based on rich material. M. Auezov pondered, analyzed, and systematized these materials for over 30 years.

The novel "Abai" also highlights and brings to the forefront the friendship between the Kazakh and Russian peoples. Abai, well-versed in the Russian language and science, is depicted as an educator with an encyclopedic mindset, an educated person connected to world literature and a supporter of Kazakh-Russian relations. The life, creativity, and activities of M. Auezov, like the image of Abai Kunanbaev he created, were closely tied to the life of his native people.

For writers of Azerbaijan and Kazakhstan, creating images of great personalities required a great deal of effort and responsibility. As noted above, before writing their works, they familiarized themselves with history, collected historical materials from archives, repeatedly read the works of great people, and eventually achieved their goal of writing about them. When addressing historical novels, writers must pay attention to artistry, using historical sources and documents. Professor Y. Akhundlu rightly notes that a writer sometimes has to uncover documents unknown even to historians to accurately reflect historical events. These facts should not be treated equally; they should be approached with a critical and creative attitude. The writer must approach them from a modern scientific perspective, analyze the facts, and evaluate the past according to the literary-historical criteria of the present (Axundlu, 2012, p. 213).

Comparison of Key Works – *Sword and Quill* and *Abai*

M.S. Ordubadi's novel "Sword and Quill" consists of two parts and covers a 50-year period (1175-1225) of Azerbaijani history. Despite the numerous events and characters in the work, the writer managed to systematically connect them and create a single plot line. The events are also arranged in chronological order. As literary critic Sh. Ibrahimgyzy notes, the writer's idea, the author's concept, and the objective idea of the novel mostly coincide, meaning the experienced writer largely achieved his creative goal and artistic intention in this work (İbrahimqızı, 2009, p. 35).

When considering the titles of both works, it becomes clear that the title of M.S. Ordubadi's novel "Sword and Quill" is reflected in the dialogue between the two main characters. It is after this dialogue that the reader understands why the novel is called this and not "Nizami." Ilyas says to his friend Fakhraddin: "...It's a pity that I don't know how to wield a sword and spear. Therefore, I will give you advice. Right now, you have a desire to master the sword and spear, the bow and arrows, so study them well. And I will try to reach heights in the matters of the quill. We need both (Ordubadi, 2005, p. 10).

The title of M. Auezov's work "Abai" was not chosen by chance. Abai Kunanbaev had exceptional merits in 19th-century Kazakh written literature, in its development, and in bringing new content and form to it. His time was one of ignorance and darkness. With his democratic ideas, the poet aimed to engage in education, teaching, and promoting these ideas. He began his struggle alone in the steppe, but his worldview conflicted with the laws of society and governance, causing sharp accusations and attacks against him. The poet, being an elder, called his people to truth, justice, knowledge, enlightenment, and reflected all these thoughts in his poems. Sh. Jalili noted that Abai lived not only as a poet but also as an ideologist, thinking about the future of his people, striving for the integrity of faith, will, and ideals... The literary connections between Kazakhstan and Azerbaijan begin with the influence of Nizami Ganjavi on the work of Abai Kunanbaev (Cəlili, 2009, p. 89).

In both novels, the lives of the Azerbaijani and Kazakh peoples are reflected through the examples of Nizami Ganjavi and Abai Kunanbaev.

In the first section of M.S. Ordubadi's novel "Sword and Quill" titled "Kharabat," the death of the ruler of the Azerbaijani Atabegs state, Shams ad-Din Eldegiz, and the ascent to the throne of his son, Atabeg Muhammad Jahan Pahlavan, are shown. Ahmed Aksungur's lands of Tabriz and Maragha were confiscated, and a celebration is held in the country for this occasion. The ruler of Ganja, Emir Inan, also joins the festivities celebrating the ruler's victory and organizes a festival in Ganja.

On the first pages of M. Auezov's novel "Abai" ("From Madrasah to Home," first book), a scene describes Abai's return from the madrasah to the aul. Abai could not take his eyes off these steppes. His silent gaze drowned in these free and wide plains. These steppes did not frighten Abai at all; if he could, he would embrace this land, press it to his chest, and whisper: "How much I missed you! Perhaps to others you seem frightening, but not to me! My dear, beloved steppe!..." (Auezov, 1954, p. 16).

As we can see, the beginning of each work is presented differently. M.S. Ordubadi, turning to history, illuminates the fate of the people of Ganja, where in the images of two young men, Ilyas and Fakhraddin, the struggle against power and tyranny is shown. The relationships between Emir Inanch and the khatib of Ganja with the famous poetess and singer of that time, Mehseti Ganjavi, reveal the injustice and cruelty of power. Nizami Ganjavi was far from the palaces, but when invited, he was not afraid to openly express his opinion about the fate of his people to the rulers.

M. Auezov in the work "Abai" describes Abai's return to the aul from the madrasah in his childhood, his love for his native land, and his joy and enthusiasm upon returning from the city. The reader feels and sees how Abai admires the steppes, expressing his feelings with words and eyes. However, in subsequent events and conflicts, Abai regrets his return, seeing the injustice and cruelty of his father, and becomes a son opposing him.

Nizami Ganjavi, being far from the palace, is closely connected with his like-minded friend Fakhraddin, who is his comrade-in-arms. M.S. Ordubadi's historical novel generally speaks of the union of the sword and the quill, of reason and strength. Nizami uses the unity of intellect and weaponry for the benefit of his people. Fakhraddin is brave and courageous but does not always see the tricks of the enemies, and then the wisdom and insight of Nizami come to his aid, highlighting the union of the sword and the quill throughout the work.

Abai, having returned from Semipalatinsk to the aul, meets his mother and grandmother but soon regrets his return. Seeing his father's cruelty, he does not even understand his speech, perceiving it as a threat to someone. Abai tries to escape from the meeting of elders to his mother but cannot, as his father orders him to sit nearby. Abai's struggle lies in his loneliness and the small circle of young people around him. Bringing about changes in the steppes was a challenging task for him. The deeper he delved into public life, the clearer and more acutely he felt its ugliness. His protests against oppression only intensified hostility with the ruling circles, and even his father and brother considered him an enemy.

Reading both works, we see Nizami Ganjavi and Abai Kunanbaev at the center of events and witness their wise decisions in difficult situations. Thus, we get to know their inner world, worldview, judgments, and aesthetic positions. In the severe trials of their time, the poets of both nations stood as unyielding pillars. Despite the hardships in Ganja and the steppes of Kazakhstan, the poets always shared the sorrows of their people, going through these difficult paths with them. Breathing in the sorrows of the people, feeling their desires was the main task of both poets.

Legacy of Ordubadi and Auezov

M.S. Ordubadi, as a writer, was an intellectual serving his people, similar to Nizami Ganjavi. Sh. Huseynova rightly notes that M.S. Ordubadi, with all his worldview, talent, and quill, served the people. Therefore, he lived with the inner experiences and interests of the Azerbaijani people and, within the framework of the socio-political conditions and social environment, expressed his thoughts and concerns (Hüseynova, 2015, p. 49).

Succumbing to his father's insistence, Abai Kunanbaev interrupted his studies and returned to the Tобыкты tribe. Delving into social life, he increasingly saw its ugliness. When Abai protested against oppression, not only the ruling circles but also his father and brother began to see him as an enemy. In Abai's view, a poet should reflect the life and customs of the people, not flatter the rich, officials, and bais, and strive to educate the younger generation in a healthy spirit (Xəlilov, 1994, p. 318).

Both poets sought to open the eyes of the people with their words and creativity, to explain the truth to them. In their poems, they spoke out against sycophantic poets who sold themselves for money.

From the first pages, the heroes of both works are depicted as people standing against injustice. However, as mentioned earlier, Nizami Ganjavi, upon receiving an invitation to the court, used this opportunity to speak out against injustices for the sake of his people. Abai, on the other hand, analyzed the events he saw and heard and fought against them alone. Also, acting with the authority of the people's court against the feudal lords, he drew attention with his solitary struggle. He always felt the pains of his people and called them to purity, justice, and truth. Like Nizami Ganjavi, Abai Kunanbaev, with his wise poems, thought about the future of his people, sought integrity of beliefs, will, and principles in people, emphasizing that without them a person is insignificant.

Abai Kunanbaev loved the works of Nizami Ganjavi and learned much from him. Literary scholar Sh. Jalili notes that Abai's work has several features confirming that Kazakh-Azerbaijani literary connections begin with the influence of Nizami Ganjavi on Abai Kunanbaev's creativity (Cəlili 2009: 89). Abai, as a wise man, called his people to truth, justice, knowledge, science, and enlightenment. Unlike Nizami Ganjavi, he continued his father's work, made decisions, and served his people. He was a Kazakh poet who knew the Russian language and befriended Russian revolutionary democrats. The works of Azerbaijani poets and Russian writers had a significant influence on his worldview.

Literary connections will always be relevant and significant, constantly developing. Looking at the Azerbaijani-Kazakh literary ties, one can see that they have great potential for further development in our time. We are witnesses to the fact that Turkic peoples possess a shared culture and literary connections.

We see that in the most famous works of M.S. Ordubadi and Mukhtar Auezov, the creations of Nizami Ganjavi and Abai Kunanbaev are closely intertwined. The influence of one nation on another, their similarity, and closeness stem from ethnic kinship.

Famous writers of the Turkic world have always been connected with the fate and history of their people and depicted the lives of their heroes in the context of history. Turning to the classics of the past, they portrayed their main characters connected with history. The works of M. Auezov's "Abai" and M.S. Ordubadi's "Sword and Quill" are examples of this.

Conclusions

The challenges faced by the literatures of small nations, such as those of Azerbaijan and Kazakhstan, reflect their efforts to preserve and adapt their unique cultural and historical legacies in a globalized world. As seen through the examples of Azerbaijani and Kazakh literature, writers like M.S. Ordubadi and M. Auezov played pivotal roles in both reflecting their national histories and contributing to broader Turkic cultural identity. Despite their nation's relatively smaller size on the global stage, their works have shaped the aesthetic and historical consciousness of their people.

The interplay of history, literature, and ethnic kinship binds these literatures together, as seen in the mutual influence of folklore and shared historical events. Both Ordubadi and Auezov, in their respective novels *Sword and Quill* and *Abai*, explored the lives of historical figures such as Nizami Ganjavi and Abai Kunanbaev, demonstrating the power of art and intellect in the face of social oppression. These works reflect the broader challenge of balancing local traditions with global relevance, portraying a continuous struggle to maintain cultural identity while engaging with universal themes.

In conclusion, the literatures of small nations, while deeply rooted in their unique historical and cultural contexts, also seek to contribute to the global literary conversation. By preserving the legacy of their national heroes and addressing universal human experiences, these writers ensure that the voices of smaller nations continue to resonate in an interconnected world.

References:

- Axundlu, Yavuz (1997). Məmməd Səid Ordubadi. Həyatı, mühiti, yaradıcılığı. Bakı: Sabah
- Axundlu, Yavuz (2012). Məhəmməd Səid Ordubadi. Bakı: Elm və təhsil.
- Auezov, Muxtar (1954). Abay. Bakı: Azərbaycan Dövlət nəşriyyatı.
- Cəlili, Şərəf (2009). Azərbaycan-Türküstan ədəbi əlaqələri. Bakı: Elm və təhsil.
- Hüseynova, Soltanqızı Pərixanım (2015). Klassik və müasir ədəbiyyatın aktual məsələləri. Dərs vəsaiti. Bakı: Elm və təhsil.
- Xəlilov, Pənah (1994). Türk xalqlarının və Şərqi Slavyanların ədəbiyyatı. Bakı: Maarif.
- İbrahimqızı, Şəhla (2009). M.S.Ordubadinin "Qılınc və qələm" romanında müasirlik. Bakı.
- Quliyev, Elman (2008). Türk xalqları ədəbiyyatı. Bakı.
- Məmmədov, Nizami (2019). Muxtar Auezovun yaradıcılığı, ənənədən novatorluğa. Bakı: Şərq-Qərb.
- Ordubadi, Məmməd Səid (2005). Qılınc və qələm. I hissə. Bakı: Şərq-Qərb.

ქანრული მრავალფეროვნება და ქართული ლიტერატურული დისკურსი
Genre Diversity and Georgian Literary Discourse

Maia Jaliashvili

მაია ჯალიაშვილი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

Crossroads of Life

(Temur Babluani's Novel „The Sun, the Moon and the Bread Field (Manushaka is waiting for me)“

ცხოვრების გზაჯვარედინები

(თემურ ბაბლუანის რომანი „მზე, მთვარე და პურის ყანა (მანუშაკა მელოდება)“

One of world literature's key themes is the journey, evolving from the biblical prodigal son and Homer's Odysseus to Cervantes' Don Quixote and Joyce's Leopold Bloom. Temur Babluani's novel features adventurous twists and picaresque tales, exploring human psychology and the depths of the soul. As readers accompany the novel's characters through bright ideals and dark instincts, they are prompted to reflect on existential questions. The story traverses life's labyrinths, showcasing the strength of human will and the power of love. Despite life's trials and societal insults, the main character finds salvation in a pure, undisturbed love.

Key words: Road symbolism; Temur Babluani, Georgian literature

საკვანძო სიტყვები: გზის სიმბოლიკა, თემურ ბაბლუანი, ქართული ლიტერატურა

მსოფლიო ლიტერატურის ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პარადიგმა გზაა, რომელსაც თანაბარი გატაცებით, განსხვავებული მიზნითა და სურვილით გაჰყავს შინიდან ბიბლიური უძღვები შვილიცა და ჰომეროსის ოდისეუსიც, სერვანტესის დონ კიხოტიცა და ჯოისის ლეოპოლდ ბლუმიც და კიდევ ბევრი სხვა. მრავალფეროვანი და ყოველ ჯერზე სხვადასხვაგვარად გამოვლენილი სიყვარული კი არის გზა, რომლითაც ადამიანები შინ ბრუნდებიან: ეს შინ პალიმფსესტური სიმბოლოა. „შინ“ საკუთარი თავიცაა, ღმერთიც, ოჯახიც, ბავშვობაც, სამოთხეც, სამყაროცა და სიცოცხლაც. ამიტომაც ნებისმიერი „დაბრუნება“ გულისხმობს მითოლოგიური, ბიბლიური თუ ლიტერატურული პარადიგმების აღუზიებს. შინიდან გასვლა სამყაროსა თუ საკუთარი თავის შესაცნობად დიდი თავგადასავლების, ოცნებათა და სურვილთა, იმედების ილუზიური ხორცშესხმის დასაწყისად იქცევა. დაბრუნება უამრავ სულიერ-მატერიალური ხიფათის გადალახვასა და გადარჩენას გულისხმობს.

თემურ ბაბლუანის ამ რომანის მხატვრული სამყარო მდიდარია სათავგადასავლო დროსივრცული პერიპეტეებით, პიკარესკული ჟანრისთვის დამახასიათებელი თაღლითური ისტორიებით. მთავარი კი ადამიანის ბედის წარმოჩენაა, რომელიც შემთხვევით, მოულოდნელ თუ ლოგიკურ და კანონზომიერ მოვლენათა კვალდაკვალ იქმნება, მხატვრულ ტექსტში გაუჩინარებული ავტორის ხელით იქსოვება და იხლართება. მწერალი კარგად იცნობს ადამიანის ფსიქოლოგიას, მისი სულის უფსკრულებს, ამიტომაც მკითხველი რომანის გმირებთან ერთად იხეტიალებს ნათელი იდეალებისა და ბნელი ინსტინქტების საუფლოებში და შეშფოთების, გოცების, ალტაცებისა და გაოგნების წყალობით კიდევ ერთხელ ჩაუფიქრდება ეგზისტენციალურ, „წყევლა-კრულვიან“ საკითხავებს. მკითხველი რომანის პერსონაჟებთან ერთად გზას გაიკვალავს ცხოვრებისეულ ლაბირინთებსა და გზაჯვარედინებზე, კიდევ ერთხელ დარწმუნდება ადამიანური ნების სიმტკიცესა და სიყვარულის ძალაში. ამ რომანის მთავარ გმირსაც ერთი უბრალო, ცხოვრებისგან გათელილი, ადამიანებისაგან შეურაცხყოფილი, მაგრამ მაინც ყველაზე წმინდა და შეუბღალავი სიყვარული გადაარჩენს.

თემურ ბაბლუანის რომანი კიდევ ერთხელ არწმუნებს ადამიანს პავლე მოციქულის სწავლებლაში: „სიყვარული არასოდეს მთავრდება“. მისი ეს დაუსრულებლობა კი ადამიანის არჩევანზეა დამოკიდებული. ჯონ სტაინბეკმა თავისი სანობელო გამოსვლა ასე დაამთავრა: „ადამიანი გახდა ჩვენი უდიდესი სამიშროება და ერთადერთი იმედი. ასე რომ, დღეს შესაძლოა წმინდა იოანე მოციქულის ამგვარი პარაფრაზირება: ბოლო არის სიტყვა და სიტყვა არის ადამიანი, და სიტყვა ადამიანთანაა“ (სტაინბეკი, 2011, გვ. 12). ადამიანს შეუძლია ანგელოზადაც იქცეს და დემონადაც, ორივესკენ თანაბრად უბიძგებს საკუთარი თავი, გარემო და სამყარო. ამიტომ სჭირდება ზნეობრივ-მორალური საყრდენები, რომ ბრძოლა არასოდეს შეწყვიტოს. მწერალმა თანამედროვე ადამიანს, ტექნოლოგიური განვითარების თავბრუდამხვევ პროცესში ჩართულს, ღვთისგან მიტოვებულობის განცდით რომ ეხეთქება არარაობას, სიცოცხლის გადამრჩენის ვალდებულება და პასუხისმგებლობა დააკისრა.

თემურ ბაბლუანის რომანის გმირი გაივლის ყოფის ისეთ ჯურღმულებს, დანტესეული ჯოჯოხეთის ყველა შრე რომ ერთდროულად გაგახსენდება და მაინც რჩება ადამიანად. თითქოს გაცვეთილი, გაშაბლონებული, ჩაფერფლილი თვალსაზრისი კი სიყვარულის მხსნელი და ამალორძინებელი ძალისა ამ რომანშიც კვლავ ფენიქსივით წამოიმართება ნაცრიდან და ფერადოვან იმედად გადაიშლება. რომანის ფარდობითობებითა და პირობითობებით სავსე სივრცეში სიყვარული ერთადერთი აბსოლუტური მუდმივაა, ღერძია, ცენტრია, რომელიც კრავს და ამთლიანებს, თავისკენ იზიდავს გაბნეულ ენერგიასა და ძალებს.

თემურ ბაბლუანი ცნობილი რეჟისორია, რომლის ფილმებიც („ბედურების გადაფრენა“, „უძინართა მზე“, „ძმა“ და სხვ.) აღიარებულია საქართველოსა და უცხოეთში, როგორც ჰუმანიზმით გამსჭვალული ნიმუშები, რომლებიც მაყურებელს ადამიანის რწმენას უნერგავენ. ეს რომანიც ეხმიანება მის მიერ გადაღებული ფილმების მთავარ სათქმელს. ხელოვნების სხვადასხვა დარგისთვის დამახასიათებელი გამომსახველობითი საშუალებების გამოყენებით ავტორი თანაბარი ოსტატობით აღწევს ერთსა და იმავე შედეგს: მაყურებელსა თუ მკითხველს დაბეჩავებულის, შეურაცხყოფილის, უსამართლოდ დევნილის თანამგრძნობლად აქცევს, მასში ემპათიის გრძნობას აღვიძებს.

რომანი ამბების მოზაიკური პრინციპითაა აგებული. თითოეული ნატეხი დამოუკიდებელიც არის და ერთიანი კომპოზიციის აუცილებელი ელემენტიც. თავბრუდამხვევია მწერლისეული ნარატივი, ამბების მოყოლა მისი სტიქიაა, ერთს მეორე მოჰყვება, მეორეს მესამე და მკითხველიც, დამუხტული მოლოდინებით, დაულალავად მიჰყვება ავტორს და მოგზაურობს ადამიანის შინაგან სამყაროში და მატერიალურ გეოგრაფიულ სივრცეებშიც.

რომანის მთავარი გმირი ჯუდე ანდრონიკაშვილია, ერთი თბილისელი ბიჭი, სიხარულისა და ბედნიერებისთვის დაბადებული, მაგრამ გარემოებათა წყალობით უბედურებისა და ტანჯვისთვის განწირული. მწერალი თანაბრად აქცევს ყურადღებას ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბების განმაპირობებელ შინაგან და გარეგან ფაქტორებს. რომანის გმირი მკითხველის თვალწინ გაივლის

გრძელ გზას ბავშვობიდან შუა ხნის ასაკამდე და, მიუხედავად უამრავი დაბრკოლებისა, რომლებიც ვლინდებიან ადამიანის სისასტიკის, მხეცობის, გაუტანლობის, ღალატის, ავანტიურის, ათასგვარი წარმოუდგენელი სიბინძურის მაგალითებით, მაინც ინარჩუნებს ადამიანობას. ამ რთულ გზაზე მწერალი გამოკვეთს პოლიტიკურსა და სოციალურ კონტექსტებს, რომლებიც გვეხმარება მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდან დღემდე დროის სულისკვეთების გაგებასა და გააზრებაში. ვასილ კანდინსკი თავის წიგნში „სულიერების შესახებ ხელოვნებაში“ გამოკვეთდა ხელოვანის სამ მნიშვნელოვან უნარს: 1. ინდივიდუალურობას; 2. ეპოქის სულის წარმოჩენას; 3. ზოგადის გამოხატვას (ხელოვნების წმინდა და მუდმივი ელემენტისას, რომელიც ყველა ადამიანს, ხალხს, სივრცესა და დროს გამსჭვალავს). რომანში მწერლის ეს უნარები მჟღავნდება, ამიტომაც ყველა ამბავი, რომლებსაც ის მოგვითხრობს, გვაფორიაქებს, გვაღელვებს და კიდევ ერთხელ დაგვაფიქრებს არსებობის აზრსა და მიზანზე.

რომანის, ერთი შეხედვით, ყოველგვარი სილამაზისაგან დაცლილ სამყაროში მთავარი მაინც ის მშვენიერებაა, რომელიც მთავარი გმირისა და მანუშაკას სიყვარულს შემოაქვს და ტექსტის ღერძად, ხერხემლად იქცევა. მანუშაკას სიყვარული გადაარჩენს გმირს პირუტყვად, მხეცად ქცევისგან და ეს სიყვარული დააბრუნებს მას შინ, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, თანაბრად არის სამშობლოც, ღმერთიცა და საკუთარი თავიც. ამიტომ აღარაა გასაკვირი, რომ მწერალმა სიტყვა „მიყვარხარ“ თხრობის ერთგვარ კამერტონად აქცია (რომანი მეუღლეს მიუძღვნა). მანუშაკას, უბრალო სომეხი გოგონას, სიყვარული არიადნეს ძაფივით გამოუძღვა მთავარ გმირს ბნელეთის სამეფოდან და სინათლეზე გამოიყვანა. მთელ რომანში უდანაშაულო გმირს საბჭოთა ციხეების გაუსაძლის პირობებში ერთადერთი რამ ასულდგმულებს, მანუშაკას სიყვარული, რომელიც არ ხუნდება, არ ძველდება. სიზმრებში გამოცხადებული მანუშაკა მთავარ გმირს იმ ჟანგბადივით მიეწოდება, რომელიც უკანასკნელ ძალას მოაკრებიან და შინისაკენ გზას გამოაგნებინებს. ამგვარად, მანუშაკა მკითხველის თვალებში, ერთგვარად და პარადიგმულად, მეძავიცაა და წმინდანიც, მარიამ მაგდალინელიცა და ბეატრიჩეც, ჯულიეტაც და ლაურაც.

რომანი სათავგადასავლო ჟანრის კანონებს მიჰყვება და ამიტომაც მწერალი მთავარ გმირს ცხოვრების ოღოროლოგობაზე დიდხანს ატარებს, თბილისურ ქუჩებში ხეტიალს მოსკოვს, ლენინგრადს, ოდესას, ციმბირსა თუ ტაივას მოაყოლებს და მკითხველსაც ამ თავბრუდამხვევი ბორილის, დანაშაულისა და სასჯელის, შურისძიებისა და პატიების, ცოდვით დაცემისა და მონაწილების ბნელი და ნათელი შეგრძნებების მონაწილედ აქცევს.

რომანი 1968 წლის ზაფხულში იწყება. სწორედ ამ წლის 21 აგვისტოს პრალაში საბჭოთა ტანკები შეიჭრნენ და ჩეხოსლოვაკიაში მიმდინარე დემოკრატიულ რეფორმებს წინ აღუდგნენ. საბჭოთა სისტემა ამ დროს ზეობის ხანაში იყო. ძალადობრივ რეჟიმს, რომელიც მხოლოდ მოჩვენებითად ზრუნავდა საბჭოთა მოქალაქეთა კეთილდღეობაზე, კარგად ამხელს და წარმოაჩენს ამ რომანის არაერთი ეპიზოდი. მათ შორის, დასაწყისიც, რომელიც დახეულმარვლიან ბიჭს გვიხატავს, მოპარული ჯინსით რომ ცდილობს დატაკი და უსახური ყოფის შეცვლას. ამას ის მართლაც ახერხებს, რადგან გაყიდული მარვლიდან აღებული ფულით არა მხოლოდ თავისთვის იყიდის სამოსს, არამედ შეყვარებულსაც გაახარებს იასამნებით მოქარგული თეთრი ჟაკეტით (ეს ლამაზი ჟაკეტი რომანის ბოლოს წარმოსახულ ნახატზე ისევ ამოყვინთავს, როგორც სიმბოლო იმისა, რომ წარსული არსად იკარგება, პირიქით, მომავლისკენ ერთგვარ სანიშნად იქცევა).

წვრილმანი დაუსჯელი ხულიგნობა, ქუჩური გარჩევა, ძალადობა – ჯუდე ანდრონიკაშვილისა და მისი ნაცნობ-მეგობრების ცხოვრების თანმდევი, შესაბამისად, მათი ზნეობრივ-მორალური ღირებულებებიც ქუჩის მენტალიტეტითაა განპირობებული. ეს კი უცნაური ნაზავია ლაჩრობისა და სიმამაცისა, სიკეთისა და ბოროტებისა, თანაგრძნობისა და სისასტიკისა. ამიტომაც რომანში ბევრი ეპიზოდი მოთხრობილი, რომლებშიც ქუჩა წარმოჩნდება, როგორც ჯუდე პიროვნების მთავარი ჩამომყალიბებელი.

ჯუდეს მოყოლილი ამბებით იხატება მეოცე საუკუნის 60-იანი წლების ძველი თბილისის უბნები. გმირი წარმოჩნდება თავისი ვნებებით, ოცნებებით, საკუთარი მეთი განსაზღვრული კოსმოსით. მის სამყაროს წარმართავს უბრალო, უამბიციო ადამიანების სურვილები, რომლებიც, ერთი შეხედვით, სრულიადაც არ არის მიუღწეველი – სიყვარულით შექმნილი ოჯახი თავისი ყოველდღიური საზრუნავებით. ჯუდესა და მისი სამეგობროს გარშემო ტრიალებენ მზეც, მთვარეც და ვარსკვლავებიც, როგორც ოცნებათა ფრთაშესხმის სიმბოლოები. აქვე ჩნდება მანუშაკა, რომელიც ჩვეულებრივი მოსულელო გულუბრყვილო გოგონადან რომანის ბოლოსკენ ერთგვარ სიმბოლოდ იქცევა, სიწმინდედ, რომელიც, მიუხედავად გათელვისა, ღირსების შეურაცხყოფისა, პატივის აყრისა და ტალახში ამოსვრისა, მაინც საყრდენია მთავარი გმირისა, ცხოვრებასთან დამაკავშირებელი ერთადერთი ძაფია, არსებობისთვის აზრის მიმცემია. მართალია, როგორც ნებისმიერი სიწმინდე, მანუშაკაც უაზრო შემთხვევას შეეწირება, მაგრამ დარჩება შვილიშვილი, ისიც სახელად მანუშაკა, რომელსაც ჯუდე წამოიყვანს, შვილივით უპატრონებს და მასთან ერთად გააგრძელებს ცხოვრებას. ცხოვრების ავ-კარგზე მორიგი ჩაფიქრებისას ერთ ეპიზოდში დაუნდობელი რეალობა ჯუდეს, ცაზე გაწეილ წეროების გუნდს რომ გააყოლებს მზერას, ათქმევინებს: „ღმერთო ჩემო, ნეტა რატომ გამოგვიგონე ეს საცოდავი ადამიანები, რაში გჭირდებათ?“ (ბაბლუანი, 2018, გვ. 34).

მწერალი გვიხატავს, როგორ იზრდება მთავარი გმირი სულიერ-ხორციელად, როგორ შეიცნობს სამყაროსა და საკუთარ იდენტობას. მისი ბედი თითქოს ამ სისტემამ განსაზღვრა, წინასწარ „დაწერა“ უხილავმა ხელმა. იგი რეპრესირებული ოჯახის შვილია, უძველესი არისტოკრატიის წარმომადგენელი, ბაბუა 1924 წელს კომუნისტებმა დაუხვრიტეს. მაგრამ ისტორია მხოლოდ მითი და ლეგენდაა, მეზობელი ქალის, პოლონელი ბარონების შთამომავალი, მუსიკის მასწავლებელი მანუშაკაიას მოყოლილი, რეალურად კი ჯუდე მეჯღანე გოგია ანდრონიკაშვილის შვილია. მეჯღანეობა ხაზს უსვამს იმ დამამცირებელსა და შეურაცხმყოფელ მდგომარეობას, რომელშიც ეს ოჯახია ჩავარდნილი. მწერალი ჯუდეს ოჯახის ამბების წარმოჩენით მკითხველს უახლესი ისტორიის სურათებსაც უხატავს. მამამისი ბავშვთა სახლში გაიზარდა, ერთ უიღბლო და უხერხემლო, მორჩილ, მშრომელ კაცად ჩამოყალიბდა. ცხოვრებამ თითქოს მხოლოდ მის გასათელად მოიცალა. ცოლი, ჯუდეს რუსი დედა ვიღაც კაცთან ერთად გაიქცა. უდედობა მას დაჰყვა, როგორც მარადიული ობლობა, უპატრონობა და მიუსაფრობა. ამიტომაც მანუშაკას სახეში გაერთიანდა დედაც, დაც, ცოლიცა და ის სიტბოც, რომელიც სულს სჭირდება გასაზრდელად და გასავითარებლად. მამამისს, უიღბლოსა და უპერსპექტივოს, მეორე ცოლი, მემავი, სხვის შვილებს აზრდევინებდა. თუმცა, საზოგადოებისგან ერთგვარად გარიყული და ფსკერზე მოქცეული კაცი ოჯახს საკუთარი შრომით არჩენდა. სწორედ მისი დამსახურება იყო, რომ ჯუდე, რომელმაც ციხეებში უსამართლოდ გაატარა ახალგაზრდობა, შინ დაბრუნებული გზას მაინც არ ასცდა, მამის ხელობას მიჰყო ხელი და შრომით გადაწყვიტა ყოველდღიური სარჩოს მოპოვება.

რომანში სუბკულტურის სახით იჭრება ქურდული სამყარო, რომელთანაც, ნებით თუ უნებურად, ურთიერთობა აქვს ჯუდე ანდრონიკაშვილს. ეს სამყარო გავლენას ახდენს მისი პიროვნების ჩამოყალიბებაზე. საბჭოთა ეპოქაში კანონიერი ქურდების ძლიერი ინსტიტუტი შეიქმნა. ისინი იყვნენ ციხეებშიც და მის გარეთაც. კრიმინალურ სამყაროში ავტორიტეტის ქონა ქუჩის ცხოვრებაში ადამიანს პრივილეგიებს ანიჭებდა. ასეთებად იხატებიან რომანში რაფიკა, ტროკადერო და მისი ძმაკაცები. 12 წელი მიუსაჯეს ჯუდეს იმისთვის, რომ ორი კაცის მკვლელობა დაიბრაღა. ეს „მკვლელობა“ მეგობარ ხაიმასთვის თავგანწირვად, შურისძიებად მოინათლა, ამიტომ ციხეში კანონიერი ქურდების მფარველობაში მოექცა. მათ ღირსეულ კაცად აღიარეს და დახმარება აღუთქვეს. ჯუდეს მათთან დაჯდომა და სმა-ჭამა „დიდ პატივად“ მიაჩნია. მწერალი კარგად იცნობს ამ სამყაროს და მის კანონებს ზედმიწევნით და დამაჯერებლად წარმოაჩენს. ეს ფენა, როგორც „კასტა, როგორც კრიმინალური სამყაროს პროფესიონალთა კავშირი“, ისე გამოიკვეთება. მათ აქვთ თავიანთი „კოდექსი“, რომლითაც არეგულირებენ სადავო საკითხებს, სჯიან თუ ამართლებენ ადამიანებს: „საბჭოთა კავშირში პატიმრებზე დიდი გავლენა ჰქონდათ და იმ უზარმაზარ ტერიტორიაზე ცი-

ხეებისა და საპატიმრო ბანაკების თითქმის ნახევარს აკონტროლებდნენ. მათი დევიზი იყო: ღირსება და სამართლიანობა“. რომანში ისიც ნათქვამია, რომ მათი ნაწილი თანამშრომლობდა პოლიციასთან.

ჯუდეს მხატვრობა იტაცებდა, რადგან ნიჭი ჰქონდა. რომანში გაზნეული მისი ნახატები მის რეალურ-სულიერ ყოფას წარმოაჩენენ. ციხეში გახდა ჯუდე სრულწლოვანი. მან მოითხოვა ციმბირში, ისეთ ზონაში გადაყვანა, ერთ წელს სამად რომ უთვლიდნენ. აღმოსავლეთ ციმბირში, უკიდურეს ჩრდილოეთში რეციდივისტები არაადამიანურ პირობებში მოიპოვებდნენ ოქროს. აქ ლენინის დახატვა დაავალეს. ტრაგიკომიკური ის იყო, რომ ლენინის პორტრეტი წელიწადში ოთხჯერ უნდა დაეხატა: 7 ნოემბერს, 5 დეკემბერს, კონსტიტუციის დღეს და 1 მაისს, თანაც ყოველთვის ახალი და განსხვავებული. თვითნასწავლ ჯუდეს პირველივე ნახატი დაუწუნეს, ვიღაც მახინჯი ქართველი დაგიხატავს ლენინის ნაცვლადო და კარცერში უკრეს თავი. ხშირად სხვა პატიმრებსაც ანუ გეშებს თავისი გაუწაფავი ნახატებით. ჭიანჭველებიანი ნახატი კი მის სასოწარკვეთილებასა და გამოუვალობის განცდას კარგად ამხელს.

რეალისტური თუ სიურრეალისტური სიზმრების საშუალებით მწერალი კარგად წარმოაჩენს ციხეებში სასიკვდილოდ განწირული ჯუდეს სულიერ სამყაროში მიმდინარე ცვლილებებს. სიზმარი, ერთი მხრივ, ირეკლავს სასტიკ რეალობას, მეორე მხრივ კი წარმოაჩენს მის სურვილებსა და ოცნებებს. ყველაზე რთულ ვითარებებში კი მაინც მანუშაკა ესიზმრება, რაც საკმარისია იმისთვის, რომ უკანასკნელი ძალა მოიკრიბოს და ფეხზე წამოდგეს, ცხოვრების საზრისზე დაფიქრდეს, ზნეობრივი ძალისხმევით მხოლოდ ბიოლოგიური არსებობა გადალახოს და ადამიანის სახე არ დაკარგოს.

რომანში უხვად გხვდება თაღლითური ისტორიები, რომლებიც ჯუდეს თავგადასავალს სხვადასხვა ამბის შენაკადებით უკავშირდებიან და, ერთი მხრივ, ამდიდრებენ, მწერლისეულ წარმოსახულ სამყაროს, მეორე მხრივ კი, მნიშვნელოვან გარემოებებს ქმნიან მთავარი გმირის სულიერ-ზნეობრივი განვითარებისა და გარდასახვის გზაზე. სხვადასხვა ჯურის პერსონაჟი, მოსყიდული პოლიციელი თუ იდეოლოგიზებული კომუნისტი, ქურდი, ნარკომანი, მასწავლებელი და პარიკმახერი, პროფესორი და დამლაგებელი – ყველანი ერთად და ცალ-ცალკე ქმნიან რომანის ცხოვრებისეულ მრავალფეროვან ცოცხალ, მფეთქავ სამყაროს. ბოროტებისა და სიკეთის თანაბრად გამოვლენა რომ შეუძლია ადამიანს, რომანში ეს არაერთი ისტორიით დასტურდება. მათ შორისაა პატიმარი, „იავნანას“ ზედმეტსახელით, რომელიც ოქროს საბადოებზე მუშაობისას შეხვდა ჯუდეს. ამ კაცისა ყველას ეშინოდა, რადგან დაუნდობელი და სასტიკი იყო, ხუთი კაცი ჰყავდა მოკლული. ერთხელ სხვა პატიმრები მიძინარეს თავს დაესხნენ, ისე სცემეს, მკვდარი ეგონათ და ორმოში ჩააგდეს, თუმცა გადარჩა, მოულოდნელად ღამით გამოჩნდა, მაგრამ შური აღარ უძიებია, თითქოს გარდაქმნილიყო, დაჯდა და: „დაბეგვილი, დასახიჩრებული ხორცის მასა მღეროდა შემადრწუნებლად სუფთა, ხავერდოვანი ხმით“. სწორედ ამ კაცმა დაუმატა ჯუდეს სამი გრამი ოქრო და ამგვარად ამ „ჯოჯოხეთიდან“ გათავისუფლებაში მიეხმარა. გარემო ყველანაირად ცდილობს პერსონაჟის მიმსგავსებას, შესაბამისად, ჯუდეც ვერ უძლებს ცდუნებას და თაღლითად ტრანსფორმირდება, მაგრამ იმდენი ძალა შერჩება, რომ კაცისმკვლელთა შორის მკვლელად არ იქცევა. ეს კარგად ჩანს, ოქროს მოპარვის, ჯერ ერთი ციხიდან გაქცევის დაგეგმვის, გაპარვის, ჩუქჩასთან ერთად ხეტიალის, შემდეგ უკვე სხვა ციხიდან თავდაღწევისას. თუმცა საბოლოოდ, ვერც მკვლელობას გაექცევა და მანუშაკასთვის იძიებს შურს.

მისი ბედი, რა თქმა უნდა, ქვეყნის ცხოვრებას არის გადაჯაჭვული. ამიტომაც მკითხველის თვალწინ კინოკადრებით ჩაივლიან წარსულის მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-სოციალური, საზოგადოებრივი თუ კულტურული მოვლენები. მწერალი 1959 წლის 9 მარტის ტრაგედიასაც აცოცხლებს, როგორც საქართველოზე საბჭოთა რუსეთის მორიგ ძალადობას. რომანში შემოიჭრება სტალინის სახელთან გაიგივებული ქართველის ღირსების დასაცავად მიტინგზე გამოსული ხალხის სასტიკი დარბევა. ამ დროს ჩამოსულა ჩინეთის მარშალი, სახელად ჯუდე. სწორედ მასთან „შეხვედრის“ შემდეგ „მონათლეს“ იოსები ჯუდედ და ეს მეტსახელი შერჩა.

ჯუდემ, ქუჩური მორალის გათვალისწინებით, სხვისი მკვლელობა დაიბრალა. სამი მკვლელობის გამო, რომლებიც არა ჩაუდენია, სიკვდილით დასჯა ემუქრებოდა. რა აღარ გადახდა თავს, ოქროს საბადოებზე კატორღულ სამუშაოებზე კაციჭამიებთან ერთად იჯდა, მაგრამ თავი დააღწია, მერე ისე დაავადდა, 13 წელი უგონოდ იყო და მონასტრის ბერები უვლიდნენ. მაინც გადარჩა და, რაც მთავარია, არა მხოლოდ ფიზიკურად, არამედ სულიერად. თუმცა ერთადერთხელ მაინც იძია შური და ისიც მანუშაკასთვის: მისი გამაუპატიურებელი, თავზეხელაღებული კაცისმკვლელი ტროკადერო მოკლა. თუმცა შეძლო, კვალი დაეფარა. მკითხველი გრძნობს, ბედისწერის უხილავმა ხელმა როგორ ატარა ცხოვრების ოდროჩოდროებზე იმისთვის, რომ მანუშაკას ობოლ შვილიშვილს მფარველად და პატრონად მოვლენოდა. ამბობს კიდევ: „*ისეთი გრძნობა მაქვს, რომ ჩემს განვლილ ცხოვრებაში მარტო განცდებით მივიღე მონაწილეობა და სხვა დანარჩენის შესახებ ჩემთვის არავის არაფერი უკითხავს*“ (ბაბლუანი, 2018, გვ. 76).

კითხულობ რომანს და პერსონაჟისთვისაც კი გეზედმეტება ამდენი უბედურება, ჯუდეს რომ თავს დაატყდა. მკითხველი თვითმხილველი გახდება იმ ამბებისა, რომლებიც საბჭოთა ეპოქაში, ციხეებსა თუ მის გარეთ ხდებოდა. მწერალი არაერთ საინტერესო პერსონაჟს ხატავს გამოკვეთილი და დასამახსოვრებელი ხასიათებით. რომანის ერთ-ერთი მთავარი თემაა ჯუდესა და ხაიმას, ებრაელი ბიჭის მეგობრობა. მწერალი ხატავს, როგორ ებრძოდა საბჭოთა რეჟიმი კერძო საკუთრებას, როგორ დაუხოცეს ხაიმას ბიძები, თუმცა ხაიმას ნათესაობამ მოასწრო და მილიონობით დოლარი დაწვა, ვიდეოზე გადაიღო ყველაფერი და კასეტების უცხოეთში გატანა მოახერხა. როგორც შემდეგ გაირკვა, ამერიკის ბანკებმა სრულად აუნაზღაურეს ებრაელებს დამწვარი დოლარები. ხაიმამ არ დაივიწყა მეგობარი და ორი მილიონი დოლარი აჩუქა, რამაც ჯუდეს ახალი ცხოვრების დაწყების შესაძლებლობა მისცა.

რომანში კარგად წარმოჩნდება მეოცე საუკუნის 90-იანი წლების საქართველო, კრიმინალურ ბანდათა თარეში, გუშინდელ ყაჩაღთა გაბიზნესმენება და გამინისტრება. ჯუდე პოლიტიკისგან შორსაა, მაგრამ ხედავს, როგორ ატერორებენ ადამიანებს, მთავრობები იცვლება, მაგრამ ვითარება იგივეა: „*მდიდარი კაცი მშვიდ ქვეყანაში დაჭრილ მგელსა ჰგავს, რომელსაც თავისიანები ირგვლივ შემოხვევიან, სისხლის სუნი სცემთ და შეჭმას უპირებენ*“ (ბაბლუანი, 2018, გვ. 86). ამიტომაც პატარა მანუშაკასთან ერთად თურქეთში წავიდა, გვარი გამოიცვალა, სასტუმრო იყიდა და ასე გააგრძელა ცხოვრება. ანდერძიც შეადგინა და ყველაფერი მანუშაკას დაუტოვა. „სადღაც წავიკითხე, ჩვენ ადამიანები ვიტანჯებით იმის გამო, რომ სიყვარული არ შეგვიძლიაო. სხვისი არ ვიცი და ჩემ შემთხვევაში პირიქითაა“, – ამბობს ჯუდე (გადაძახილია დოსტოვესკისთან: „ჯოჯოხეთი არის ტკივილი იმის გამო, რომ აღარ ძალგიმს სიყვარული“). ერთ ეპიზოდში ჯუდე ფიქრობს: „*გაკვირვებულნი ვარ: რატომ მოხდა ეს ყველაფერი, რაც მოხდა? თანაც მაინცდამაინც ასე, როგორც მოხდა. რაშია საქმე? პასუხი არა მაქვს. არსებობს კი პასუხი?*“ (ბაბლუანი, 2018, გვ. 96). ბოლოს დაასკვნის: „*უცნაურია ეს ცხოვრება*“. ის სახელოსნოსაც ააშენებს და ბავშვობის შთაბეჭდილებების ხატვას იწყებს, მაგრამ ეს ყველაფერი მზადებაა იმ ნახატისთვის, რომელიც ასე შთამბეჭდავდაა რომანის ფინალურ ეპიზოდში აღწერილი და რომელმაც სიზმარი ფერადოვან ტილოდ უნდა აქციოს. მაღალი, ხრიოკი გორაკების ზემოთ, ერთ მხარეს მთვარე ანათებს, მეორე მხარეს – მზე. სამანქანო გზა გორაკს გადმოივლის და პურის ყანაში ეშვება. პურის ყანაში მანუშაკა დგას:

„ის ჩემი ნაჩუქარი იასამნებით მოქარგული ჟაკეტი აცვია და გზას გაჰყურებს. სახეზე მოუთმენლობა აწერია და აშკარად ეტყობა, რომ იმ გზაზე ვიღაცის გამოჩენას ელოდება. ესაა სულ. თუ ისე მოხდება, რომ იმ ნახატს ისეთი ვინმე ნახავს, ვინც ჩემი და მანუშაკას ამბავი იცის, ის ალბათ მიხვდება, რომ მანუშაკა მე მელოდება“ (ბაბლუანი, 2018, გვ. 189).

უნებურად მირზა გელოვანის ცნობილი ლექსის სტრიქონები გვახსენდება: „*მგზავრი ვარ, შენზე ფიქრებს ვუნდები/და აჩრდილებთან თამაშს უვნებელს. მე დავბრუნდები, ჰო, დავბრუნდები, მე შენი თმები დამაბრუნებენ*“ (გელოვანი, 2006, გვ. 23) .

სამყაროს უამრავ გამოცანათაგან მწერლობას საფიქრალად ესეც უქცევია: როგორ იტყვს გული ღვთაებრივსა და დემონურს, სიყვარულსა და სიძულვილს, სიკეთესა და ბოროტებას. რუს-თველისეული შეგონება – გულს „ვერცა პატრონობს სიკვდილი, ვერცა პატრონი რომელი“ – მარად აქტუალურია. ფოლკნერისთვის მწერლობის მთავარი საქმე ამიტომაც „გულის ჭიდილის“ წარმოჩენაა, რადგან ის გამოავლენს საკუთარ თავთან ბრძოლაში გამარჯვებულსა თუ დამარცხებულ ადამიანს, რომელიც ხან ღვთისკენ იხრება და ხან ეშმაკისკენ, როგორც დოსტოევსკი ამბობს. თემურ ბაბლუანის რომანის მთავარი თემაც ეს არის, წარმოაჩინოს, როგორ იკვალავს სიყვარული გზას ცხოვრების ლაბირინთებში, როგორ იკლებს თუ იმატებს მისი შუქი ადამიანური ყოფის ჯურღმულების გასანათებლად, როგორ მიიწვევს და იბჭუტება სიბნელესთან შეხლა-შემოხლისას ძალაგამოცლილი, მაგრამ ბოლოს მაინც როგორ მოიკრებს ძალას და აღსდგება ჯვარცმული ქრისტესავით, რადგან სხვანაირად შეუძლებელია. ეს სიცოცხლის კანონია. სული, რომელიც გალაკტიონის ლექსს თუ გავიხსენებთ, ერთდროულად „ლაჟვარდზე უსპეტაკესიც“ არის და „დემონზე უბოროტესიც“, სიყვარულის გზით მაინც ხსნისა და გადარჩენისკენ უბიძგებს ადამიანს, ოღონდ ეგ არის, ზოგს იმდენად აყრუებს და აბრმავეს ცხოვრებისეული გარემოებანი, რომ ვეღარც ხედავს და ვეღარც გაიგონებს ამ გადამრჩენელი ძალის ხმას.

რომანში მკაცრად რაციონალური სამყაროა დახატული, მაგრამ ირაციონალური, მისტიკური ელემენტებიც შემოიჭრება, რომლებიც წინასწარმეტყველურად მიგვანიშნებენ გმირის დაღუპვისა თუ გადარჩენის აუხსნელ. გაუგებარ და გამოუცნობ გზებზე. ჩაბნელებულ ციხეებს ხანდახან სხვა რაკურსით, რაღაცნაირი სიმსუბუქით წარმოაჩენს მწერლის მოულოდნელი და მახვილგონივრული ირონიით შეზავებული პასაჟები. რომანში ციხე იხატება, როგორც ერთგვარი მიკრომოდელი, რომელიც თავისუფალი საზოგადოების ყველა ნაკლსა და ღირსებას, რადიკალურად განსხვავებულ ვნებას თუ სამაგლობას, გარყვნილებას, აგრესიას, სისასტიკეს, ფარისევლობასა და თანაგრძნობას ირეკლავს. რომანის ლექსიკა არ გამოირჩევა მრავალფეროვნებით, რაც გამოწვეულია იმით, რომ მთავარი გმირი ჰყვება ამბებს, ის კი პერსონაჟია, რომელიც მეტყველებს და ფიქრობს ქუჩასა და ციხეებში მიღებული „სწავლა-განათლების“ შესაბამისად, მწირი ლექსიკისა და ჟარგონის გამოყენებით, თუმცა ისიც მნიშვნელოვანია, რომ, გარემო პირობების მიუხედავად, ჯუდე ცდილობდა თვითგანსწავლასა და განვითარებას, რაც მას გამოარჩევდა კიდევაც ქუჩისა თუ ციხის ამხანაგ-მეგობრებისაგან. ჯუდესა და მანუშაკას სიყვარული, დაზნარულ-დალაქული ნივთივით ცხოვრებისაგან სანაგვეზე მოსროლილი, მაინც გადარჩება და დრო-სივრცეს გამოღწეული მკითხველის გულში განაგრძობს არსებობას, როგორც კიდევ ერთი დასტური ადამიანის ღვთაებრივთან წილნაყარობისა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბაბლუანი თ. (2018). „მზე, მთვარე და პურის ყანა (მანუშაკა მელოდება)“, თბილისი: სულაკაურის გამომცემლობა. ISBN 978-99-412-39472
- გელოვანი მ. (2006). 100 ლექსი, თბილისი: „ინტელექტი“. ISBN 978-9994-039-46-3
- სტაინბეკი, ჯ. (2011). „ლექციები, წაკითხული ნობელის პრემიის მიღებისას ლიტერატურის დარგში (1961-1985)“, თბილისი: „ინტელექტი“, ISBN 978-9941-430-66-4

References:

- Babluani, T. (2018). „Mze, mtvare da p'uris q'ana (manushaka melodeba)“. [„The Sun, the Moon and the Bread Field (Manushaka is waiting for me)“]. Tbilisi: „Sulak'auris gamomtsemloba“. ISBN 978-99-412-39472
- Gelovani M. 100 leksi. [100 p'oems]. Tbilisi: „Intelekt'i“. ISBN: 978-9994-039-46-3
- Stainbek'i, J. (2011). „Lekciebi, ts'akitx'uli nobelis p'remiis mighebisas lit'erat'uris dargshi“ (1961-1985)“. [„Lectures delivered at the time of receiving the Nobel Prize in Literature (1961-1985)“]. Tbilisi: „Int'elekt'i“, ISBN 978-9941-430-66-4

Maka Jokhadze

მაკა ჯოხაძე

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

A Novel about the Beginning of a Global Destruction

რომანი გლობალური რღვევის დასაწყისზე

The documentary prose is immensely popular in Europe. One of the main reasons for it is the total lie the whole world is immersed in. Even literature, which is such a noble lie, no longer interests people with its fiction, imaginary reality and aesthetics. Truth have been suppressed in the world in such a way that there is demand and nostalgia for them. It feels like to miss home after a long journey. The road paradigm, which involves the problem of both having and not having home may be considered to be the second main thesis of the novel.

Keywords: Otar Chkheidze, Georgian Literature, Documentary prose

საკვანძო სიტყვები: ოთარ ჩხეიძე, ქართული ლიტერატურა, დოკუმენტური პროზა

საინტერესოა, რამ მოიტანა ლიტერატურული ჟანრების დარბევა. უფრო ზუსტად, ამ ჟანრებს შორის სადემარკაციო ხაზის მოშლა, აღრევა. ფორმის ჩახსნა, ერთმანეთში შეღწევა, შეწოვა. ვერლიბრის საცეცები ისე უცნაურად აბამს თავის ასიმეტრიულ ქსელში კონვენციური პოეზიიდან აფრენილ რითმებს, რომ ობობა გახსენდება მსუბუქი მსხვერპლით. ამ თვალსაზრისითაც უკვე დაწყებულია გლობალიზაცია. სახელმწიფო საზღვრების მოშლასთან შედარებით, რა თქმა უნდა, ფორმათა რღვევა ლიტერატურაში სულაც არაა საგანგაშო, რადგან ესაა ერთგვარი ექსპერიმენტი, მცდელობა ახალი, საინტერესო, დრამატული დროისა და მისი შინაარსის შესატყვისი ფორმადქმნადობის, რეალიზების... ისე უცნაურად გადადის თეთრი ლექსი მოთხრობაში, მოთხრობა ნოველაში, ნოველა დეტექტივში... ხშირად რომანი ნამდვილი პოემაა, მინიატურა კი მთელი რომანი. ზოგჯერ ეტიუდი, ტრაქტატს რომ ეყოფა, ისეთი სიბრძნითაა შესიებული. რამ შეცვალა, ჩამოშალა, რამ გამოიხსნა და გაათავისუფლა ჟანრის ამ კანონიკური არტახებიდან ტექსტი? კითხულობ, ხედავ, აკვირდები. არც ერთია, არც მეორე, არც მესამე. ზოგჯერ მხატვრული სტრიქონით ერთი, ერთადერთი შეგრძნება დევს ხელისგულზე და ისეთი აფეთქება შეუძლია ამ შეგრძნებას, რომ მთელი შენი წარმოსახვითი ენერჯის ყველა ატომი და მოლეკულა ფანტაზიის ფრთებს გამოიხსნამს, აღარ გემორჩილება, დათარეშობს დროსა და სივრცეში ეს უცხო ფრინველი.

ოთარ ჩხეიძის „ჩემმა სავანემ“ მისცა ბიძგი თუ სტიმული პირველ თეზისს, რომელსაც, თუ მეცნიერულად არ ვიტყვი, ჟინი უფრო ეთქმის, დადგენის ჟინი, გამერკვია – რა არის ეს, რა წავიკითხე, რისი წაკითხვა დავამთავრე მეორედ (პირველად რომ წავიკითხე, ამაზე მაშინ არ მიფიქრია, ისე იოლად შევირგე, შევიტკბე, ბევრიც ვიცინე და ცნობილი სახეები თავიდან გავიცანი). რისი

წაკითხვა დავამთავრე – ლექსის, რომანის, მოგონების, თავგადასავლის, სიზმრად ქცეული ამბის? („გასრულდა ეს ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა“).

პრინციპში, ჩემთვის, როგორც მკითხველისათვის, სულერთი იყო, რა ჟანრს ვკითხულობდი. მაგრამ სამეცნიერო კონფერენციისათვის სულაც არაა სულერთი. დასასრულს ისევ ავტორი გეხმარება: ეს არის „რომანი „სატრფიალო ზოლის“... „სატრფიალო ძაფის“ გარეშე – წერს ბატონი ოთარი ბოლო XXV თავში (ჩხეიძე, 2000, გვ. 417).

დადექი და იმტვრიე ახლა თავი, იკვლიე – „სატრფიალო ხაზის გარეშე“ რომანი რას ნიშნავს, როგორი იქნება... ესეც შენი ახალი ჟანრი, დროის დაღი რომ აზის. რომანი ტრფიალების გარეშე – პარადოქსი, აბსურდი, XX საუკუნის პირმშო, მაინცდამაინც XX საუკუნის. არის ამ რომანში ფრაგმენტი, უფრო ზუსტად, ჩანასახი მოპარული სიყვარულისა თუ ტრფიალებისა, არაოფიციალური, არა კანონიზებული, ჩანასახშივე რომ მოაშობენ, ჩაწიხლავენ, გააქრობენ მორალისტები. უფრო ზუსტად, მორალის სახელით „ბრინჯაოს კაცი“ – რექტორი, რომლისთვისაც, როგორც მოგვიანებით გამჟღავნდება, არაფერი ადამიანური უცხო არ ყოფილა თურმე.

მეორე ფრაგმენტსაც ვეცნობით ქალისა და კაცის სიყვარულისას. ამჯერად „კანონიერ“ ტრფიალებას, ამიტომაც იოლად გამხელილს, წამდაუწყმ გამხელილს, რომლის წერილობით საბუთს სათუთად ინახავს ქმრის მიერ მოწერილი ბარათების სახით ქალბატონი ლექტორი (თამარ სიხარულიძე) და ყველას აკითხებს. ოღონდ ერთსაც და მეორესაც, ანუ პირველს „არაკანონიერს“ და მეორეს „კანონიერ“ სიყვარულს, ტრფიალებას, ორივეს, რეჟიმითა და იდეოლოგიით გაჟღენთილი ეპოქის დაღი აზის. ორი ადამიანის უპერსპექტივო ურთიერთობის, ქალისა და მამაკაცის სიყვარულის გარეშე დარჩენილი რომანი ერთგვარი პაროლია, გასაღებია, მინიშნებაა იმაზე, რომ ინტიმი არა მხოლოდ ერთ კონკრეტულ წყვილში, ერთ კონკრეტულ დაწესებულებაში, არამედ ზოგადად სამყაროში კვდება. რომ სიყვარულის, პასუხისმგებლობის, ურთიერთპატივისცემისა და ანგარიშგაწევის გარეშე გაჩენილ სიცარიელეს თავისი რადიაციული გამოსხივება გააჩნია, რომლის ტემპიც, სიმძლავრეც და ტრაექტორიაც სულ უფრო და უფრო იზრდება „ჩემს სავანეში“. ერთი კონკრეტული ინსტიტუტის მაგალითზე მწერალი სრული სისავსით გადაშლის საგანმანათლებლო სისტემის იმ მორალურ-ფსიქოლოგიურ, პოლიტიკურ-სოციალურ თუ ეკონომიკურ კოლაფსს, უადრესად აქტუალური რომაა დღევანდელი საქართველოსათვის და ჯაჭვური რეაქციით ებმის დანარჩენი სფეროებისა და დარგების გარდუვალი კრიზისი.

„ჩემი სავანე“ მატარებელია იმ ჩუმი, ყრუ გუგუნისა, სმენაზე ადრე, ყურზე მეტად, ხშირად ტანით რომ გრძნობს ადამიანი (ამ შემთხვევაში მწერალი). ამიტომ ცდილობს ზვავს დაასწროს, დაასწროს ვულკანის ამოფრქვევას, განგამის ზარი ჩამორეკოს, მიგახედოს, გაგაფრთხილოს, გამოგაფხიზლოს... თავისი საქმით, თავისი სიტყვით, თავის ტერიტორიაზე მაინც შეაჩეროს ყველაფრის მომშლელი და წამლეკავი მოვლენები, პროცესები, ასე ხელოვნურად რომ დაჩქარდა და მომწიფდა. წიგნის დასკვნით, შემაჯამებელ ნაწილში, როცა გულნაკლული მწერალი ნანობს, რომ სატრფიალო ხაზი არ განავრცო, არ განავითარა („სიყვარული რო მაინც სხვა რამ გახლავთ...“) (ჩხეიძე, 2000, გვ. 417). უფრო მასშტაბურად, უფრო გლობალურად განიხილავს ამ პრობლემას და ერთი შეხედვით ზედმეტად მკაცრ დიაგნოზს სვამს: „თუ რამ აკლია, – რომანული ძაფი აკლია, სატრფიალო ძაფი აკლია. და ისედაც: აქ უფრო სძულთ, ვიდრე უყვართ“ (ჩხეიძე, 2000, გვ. 417). სიძულვილიც და სიყვარულიც ორივე ცხოვრებას ქმნის. გარკვეული დროითა და სივრცით შემოსაზღვრული გარემო მაშინ იქცევა „სავანედ“, როცა ცხოვრებას ფხიზლად, მაგრამ სიყვარულით უყურებ. ამიტომაც თვით მწერლისათვის ეს „სიძულვილით“ სავსე სამყარო, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ცდუნებებით, ღირსების ამყრელი სიტუაციებითა და ხაფანგებით რომაა სავსე, მაინც სავანედ რჩება, რადგან მის „სიყვარულიან მზერას“ (დავით კლდიაშვილი) ადამიანის თავდაპირველი ბუნების სჯერა. სჯერა იმისა, რომ ღმერთმა ადამიანი თავის მსგავსად და ხატად შექმნა. ცხოვრება კი არჩევანია, რომელიც ამ მსგავსებას ან გამოირებს, ან გაახლოებს, ან გიზიდავს, ან განგიზიდავს.

სიყვარული თუ სიძულვილი? „სიცოცხლე“ თუ „ცხოვრება“ – ამგვარი ოპოზიციური დაწყვილება თითქოს თვით ამ ცნებებს აღარბეებს, რადგან თითოეულის ძალა მთელი სისავსით სწორედ ერთმანეთის ფონზე ვითარდება და შუქდება. „სიცოცხლე“ თუ „ცხოვრება“ – ამ არჩევანზე კარგად შენიშნავს ფილოსოფოსი:

„...თითქოს არის რაღაც ხარვეზი იმაში, რომ ქართული ენის სულმა (ენის ანგელოზმა?) გათიშა ეს ერთიანობა, რომელიც თავის თავში ონტოლოგიურად მოიცავს ბიოლოგიურ სიცოცხლეს, როგორც მოცემულობას, და მის ზედნაშენს ცხოვრებას, როგორც სოციალურ-ინტელექტუალურ აქტივობას, რომელიც სიცოცხლეს საშუალებად აქცევს. ისინი – სიცოცხლე და ცხოვრება – განუყოფელი და განუყრელი არიან. ისინი ერთურთს ატარებენ, ერთი მეორის პირობაა, მეორე პირველის მიზანია. ასეა? ენის ანალიტიკოსმა ანგელოზმა გათიშა ისინი. იქნებ სწორედამოიქცა. სიცოცხლე სიტკობებაა, ცხოვრება ტანჯვაა; სიცოცხლე ჭკმ-მარიტებაა, ცხოვრება ცდუნებაა; სიცოცხლე მარადიულია, ცხოვრება წარმავალია“ (ზურაბ კიკნაძე).

ნამდვილი მწერლის არჩევანი მარადიულობის, ე.ი. სიცოცხლის სასარგებლოდ კეთდება, თავისი დიდი მარტოობით უაზრო ცხოვრების წარმავლობა დროდადრო სიყვარულით რომ შეაჩეროს. ინდივიდუალობა, ინდივიდი დროს არ ემორჩილება, უფრო ზუსტად, დრო მისთვის მარადიულია. კრებითობა, მასა კი დროის ყურმოჭრილი მონაა. ამიტომ დროით ხსნის, დროს აბრალებს და დროთი ამართლებს ყველა უკეთურებას და დანაშაულს („ასეთი დრო იყო“). არადა, დრო, როგორც მდინარე თავის მარადმედინობაში, მართლაც მარადიულია და არა გახევებული, როგორც გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ეზოში მდგარი საათის ციფერბლატი. დროის სიმბოლო – გაჩერებული საათი. უწესო კაცების, უზნეო კაცების, მტაცებელი კაცების ილუზია, რომ ამ საათივით დროც გააჩერეს, დაატყვევებს, დაიმორჩილეს. ამიტომ, მათი აზრით, ახლა მათი დროა. დროს სჭირდება დახარბება, ფეხის აწყობა, გამოყენება.

ათეული წლები გამოხდა, იმდენი რამე გადავიტანეთ და გადაგვაქვს... ჩვენს თავზე, რომ იტყვიან, წისქვილის ქვაც კი დატრიალებულა. მაგრამ წამითაც არ შეცვლილა დიდი მწერლისადმი ჩვენი დამოკიდებულება. ამიტომ, კვლავაც თავისუფლად გავიმეორებთ, რომ ოთარ ჩხეიძის შემოქმედებითი ტალანტი, სიბრძნე და ენერჯია მისთვის ჩვეული სიდარბაისლით უძლებდა მიზანდასახულ ნიაღვრებსა და ქარიშხლებს, სტიქიურობისა და ქაოტურობის გეგმაზომიერ შემოტყვევებს. ვერანაირმა რეჟიმმა – ვერც კომუნისტურმა, ტოტალიტარულმა, ვერც ე.წ. დემოკრატიულმა – ვერ ჩაითრია და ვერ დაარბია მისი პიროვნული, მოქალაქეობრივი და შემოქმედებითი მრწამსი. რადგან ეს მრწამსი, ეს პათოსი დღეს ან გუშინ კი არ გაჩენილა პოლიტიკური თუ სოციალური ამინდების შესატყვისად, არამედ მას ადრეული საუკუნეების სიღრმიდან მომავალი ძლიერი გენეტიკური კოდი და ინტელექტუალური გამოცდილება კვებავდა. ამიტომ იყო, რომ მუდამ სიცოცხლეს, ღვთის ამ უანგარო საჩუქარს, ანიჭებდა უპირატესობას. ამიტომ იყო, რომ ყოველთვის ახერხებდა კალიბრივით შემოსეულ დიდ-პატარა საცდურთა და ცდუნებათაგან თავდახსნას.

რა ბედნიერებაა, რომ იგი არასოდეს დამორჩილებია ზერელობის მაუწყებელ ტემპს ცხოვრებისას – დროს გამოდევნებულ ამ პროვინციულ სნობიზმს, როცა ყველა და ყველაფერი მოსწრებაზეა – გაცნობაცა და გადავიწყებაც, სიყვარულიცა და სიძულვილიც, ჩაცმაცა და გახდაც, გამდიდრებაცა და გაღატაკებაც, სიკვდილიცა და სიცოცხლეც, საფლავის ქვაცა და სანთლის დანთებაც მოსწრებაზეა. ოთარ ჩხეიძეს თავისი ტემპი ჰქონდა, ტემპი ღირსეული, მოღვაწე მამულიშვილისა. და ეს ტემპი მთელი სისავსით გამოჩნდა მის დოკუმენტურ პროზაში – „ჩემი სავანე“.

მიუხედავად იმისა, რომ გამუდმებით ათასი ჯურის, ათასი ვნებისა და მიზნის მატარებელი ადამიანებში უხდებოდა ცხოვრება, მისი, როგორც დიდი მწერლის „მარტოობის დიალექტიკა“ ვეება ყინულმჭრელივით წინ მიიწევდა. როცა თავის დროზე ჟურნალში დაბეჭდილ ამ რომანის ნაწყვეტს წააწყდნენ ჩინოვნიკები, სიმბოლოდ ქცეული საათი ასფალტს ააგლიჯეს, გადამალეს და

ბრიყვულად დამშვიდდნენ, ალიბის შემქმნელი დამნაშავე რომ „გააქრობს“ დანაშაულის კვალს და ჩაწყნარდება. თავად ხელშეუხებლები იყვნენ, დროს კი გააქრობდნენ, როცა უნდოდათ. არადა დრო, როგორც შევთანხმდით, მარადიულია, მედროვენი კი თავიანთ დროსავით სწრაფწარმავალნი.

დოკუმენტური პროზა – ეს ჟანრი უაღრესად პოპულარულია ევროპაში. მახსენდება სტატისტიკა, თავის დროზე წერილისათვის რომ დამჭირდა და მოვიძიე. პროცენტული თანაფარდობით, სხვა ჟანრებთან შედარებით, აღმოჩნდა, რომ მთელ მსოფლიოში დოკუმენტური პროზა გაცილებით უფრო დიდი ტირაჟებით გამოდის. იქნებ უაღრესად სუბიექტურია ჩემი მოსაზრება, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ ამის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ის ტოტალური ტყუილი და სიცრუეა, რომელშიც მთელი მსოფლიოა ჩაძირული. თვით ისეთი კეთილშობილური ტყუილიც კი, როგორცაა მხატვრული შემოქმედება, თავისი გამონაგონით, წარმოსახული რეალობითა და ესთეტიკით, უკვე ნაკლებ აინტერესებთ ადამიანებს. ჭეშმარიტება და სამართლიანობა იმდენად დაჩაგრულია სამყაროში, რომ სწორედ მის მიმართ გაჩნდა დიდი მოთხოვნილება და ნოსტალგია. ისეთი განცდა ჩნდება, მშფოთვარე ხანგრძლივი მოგზაურობის მერე თავისი ნავთსაყუდელი, მშობლიური სახლი, თავისი სავანე რომ მოენატრება კაცს.

გზის პარადიგმა, რომელიც ბინისა თუ უბინაობის პრობლემასაც მოიყოლიებს („მომწყურდი ახლა, ისე მომწყურდი, ვით უბინაოს ყოფნა ბინაში“), ამ რომანის მეორე უმთავრეს თეზისადაც შეიძლება მოვიაზროთ. ეს პრობლემა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ზოგადად სამყაროში და კერძოდ „ჩემს სავანეში“. საქართველოს ორ კონკრეტულ ქალაქს შორის, თბილისსა და გორს შორის გადებული სამანქანო თუ სარკინიგზო გზა, ყოველდღიურად, როგორც წყალს უდაბნოში, ისე ეზიდება აქეთ-იქით თავის სამეცნიერო პოტენციალს – ორი, მეტად ნიშანდობლივი სიტყვით რომ განისაზღვრება: ჩამომსვლელები და ადგილობრივები (დამხვდურები). აქ გზის ორგვარი გააზრება შეიძლება მოხდეს, ორივე გააზრებას თავისი საფუძველი გააჩნია.

თუ ჩვენ მივმართავთ გზის ბიბლიურ გაგებას, ამ გზას თითქმის ყველა გადის, რადგან ყველა შვილია და თანაც უძლები. ეს ბიბლიური მასშტაბი მოიცავს მთელი სამყაროს ტრანექტორიას, ამ ბიბლიურ წასვლა-დაბრუნებაში სწორედ ძიების გზაზე ხეტიალი მოაიზრება. ძიება გარეგანში, სხვაგან, სხვაში, ძიება არა მხოლოდ როგორც ცოდვის მომტანი, გამამრავლებელი (ძიების გზაზე ხომ ასე ხშირია დაცემა), არამედ ძიება, როგორც გამოცდილება და აღმოჩენა, რომ ყველაზე სანუკვარი და სასურველი ჭეშმარიტი მამის სახლში, მამის წიაღში დაბრუნებაა. ეს გზა ნებისმიერი აღმსარებლობის, ნებისმიერი ეროვნების მატარებელთა გზაა, ზოგადად გზასამცდარი ადამიანის გზაა დაკარგული თავდაპირველი სამშობლოს – სამოთხის დაბრუნების მცდელობისას.

ნიკუშა ჩაჩანიძის სახით, თქვენ კარგად გახსოვთ, გზაზე დამდგარი კაცის, ზოგადად მოგზაურობის ახსნა-განმარტებებისა და განხილვების რა ფოიერვერკს მოიყოლებს ოთარ ჩხეიძე, მისეული იუმორითა და ირონიით შეზავებულს „ბორიყში“. ვის არ გაიხსენებს მსოფლიო მოგზაურთა, ამ გამოჩენილ მისიონერთა კოპორტიდან, ვიდრე ახალგაზრდა კომპოზიტორის მიზნებსა და ამოცანებს გაგვაცნობდეს □ მაინცდამაინც სისხლის წვიმებისა და გაგანია რეპრესიების ჟამს რომ გადაუწყვეტია უნიკალური ხალხური სიმღერის შესაგროვებლად შიდა ქართლში მოგზაურობა.

„ჩემს სავანეში“ არც სისხლის წვიმებია და არც რეპრესიები, ტყვიებისა და ციხეების თანხლებით, მაგრამ ე.წ. მშვიდობიანობის დროს მაინც ჩვენი ქვეყნის უჩინარი, ჩუმი ტრაგედიაა დახატული, საყოველთაო, დიდი რღვევის დასაწყისი... „ჩემი სავანის“ გზა – როგორც ყოველდღიური ფიზიკური შრომა, გზა, როგორც განსაცდელი, როგორც ჩვენი ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციის სულიერი ბიოგრაფია, მისი მიძიმე ყოფა და თავგადასავალი.

გზის დასაწყისში გორში დაარსებული პედაგოგიური ინსტიტუტი დგას, თავდაპირველად მყარად, უანგაროდ, საფუძვლიანად, თავისი „ბრინჯაოს კაცივით“ □ რექტორივით შეუვალი, პასუხისმგებლობით აღსავსე, მიზანმიმართული, დინჯი, ერთი შეხედვით გაუცინარი და მარადიული მასპინძელი. ჩამომსვლელთა შემნახველი, პატივისმცემელი და ფხიზლად თვალმომდევნებელი – როგორ ჩამორბიან და გარბიან, ჩამოდიან და გარბიან... ეს გარბენა, ეს უკან დაბრუნება მაინც

რადგან ირონიისათვის უჩვეულო, მაგრამ მაინც ირონიული სევდითაა გაშუქებული. რადგან ამ გაქცევით, პროვინციიდან დედაქალაქში მუდმივი მსვლელობით უკვე დაწყებულია მთლიანობის განცდის ხელყოფა. დაკარგულია შეგრძნება იმისა, რომ ესეც შენია, შენი განუყოფელი ნაწილია. აქაურობაც შენი სახლია, შენი ნავთსაყუდელი და სავანეა. რა თქმა უნდა, ფესვებიდან საფუძვლიან მოწყვეტაზე თავად რეჟიმმა იზრუნა, როდესაც ერთგვარი რეპრესიების სახე მისცა დედაქალაქში მოღვაწე საუკეთესო ინტელექტუალური პოტენციალის პროვინციაში გამწესებას. ასეთი, ერთი შეხედვით უვნებელი ხერხებიც არსებობდა რეჟიმის სადამსჯელო არსენალში. ფორმა, რომელსაც ვერ შეედავებოდი, რომლითაც ორ კურდღელს იჭერდა ოფიცოზი. ცალკე განმანათლებელთა დაქანცვაზე, ენერჯის გამოცლასა და ადრე დაბერებაზე ფიქრობდა, ცალკე პროვინციის მოსახლეობაზე „ზრუნავდა“, უსწავლელი რომ არ დარჩენოდათ ახალგაზრდობა.

იპოლიტე ვართაგავა, სერგი მაკალათია, სიმონ გაჩეჩილაძე, ნიკოლოზ კანდელაკი... აი ამ დიდ მოღვაწეთა და კიდევ არაერთ კეთილშობილ ლექტორ-პედაგოგთა დიდებული პორტრეტები დაიხატა „ჩემს სავანეში“.

აი ამათი და ამდაგვართა მუდმივი წრიალი, ეს გაუთავებელი ფაციფუცი, გრძელი გზის კეცვა და სამტატო ერთეულით გათვალისწინებულ საათებს დამატებული ყოველი გაუთვალისწინებელი ლექცია, ჯაჭვივით სულ უფრო და უფრო რომ მიმდებდა და გაუსადლისი ხდება მისი ტარება. თითქოს ვიღაცის უჩინარი ხელი ერთობა – ვნახოთ რამდენს აიტანენ, როდემდე გაუძლებენ. ეს ქანცვამწყვეტი შრომა, გაუგონარი დატვირთვა და სხვათა მოვალეობის გრძნობით უტიფართა სარგებლობა დიდი თანაგრძნობით, ექსპრესიითა და სიმართლითაა რომანში დახატული.

სიყვარული მოგათქმევენებს ხანდახან სულს, რითაც ჩვენი სახელოვანი პიროვნებებისა თუ რიგითი მეცნიერების პორტრეტები იკვეთება რომანში. და კიდევ სატრაპეზო სუფრები, ციციანათელებივით რომ ანათებენ თანდათანობით მოქუფრულ ატმოსფეროს გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში. ეს დაწესებულება, ზოგადად, მიკრომოდელია ჩვენში არსებული უმაღლესი სასწავლებლებისა, ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტებისა. ზოგადად იმისა, რასაც მერამდენე ათეული წელია თვალს ვადევნებთ, რაშიც ვმონაწილეობთ, ვსუნთქავთ, ვიწვით და ვიხარშებით. „ჩემი სავანე“ ეს არის დიდი რღვევის დასაწყისი ზოგადად ქართული მენტალობისა და კონკრეტულად ჩვენი სავანმანათლებლო სისტემის. ეს არის რეჟიმის მუდმივი შიში, რომ ნაციონალურმა, ეროვნულმა, ქართულმა მენტალობამ, ტრადიციამ, გონიერებამ, გულმა და სულმა არ გაიხაროს, არ იბარტყოს, არ გამრავლდეს, ვენახებივით არ გაშენდეს, არ გაიფურჩქნოს. მით უფრო ქართლის ნოყიერ, ფხვიერ, მსუყე მიწაში.

მიწა საშიშია, მიწას არ უნდა მიება, მიწა არ უნდა ამუშაო, მიწა უნდა გამოიფიტოს. ეროვნულობის წასაშლელად ათასნაირი ფორმა მოიგონეს თავის დროზე კომუნისტებმა, შეფარული თუ აშკარა. დაუხვეწავი აგრესიით განსაკუთრებით თავდაპირველი ბოლშევიკები გამოირჩეოდნენ – დახვრეტები, გადასახლებები, გადაფხვილი ფრესკები და, ვინ მოთვლის, კიდევ რამდენგვარი სანახაობითი ტერორი... ცხოვრების შესატყვისად მხატვრული ლიტერატურაც და კინემატოგრაფიაც ივსებოდა და ივსებოდა ნახუცრებით, ბახუსისმოყვარე ჩლუნგი, კომიკური მღვდლებით, გაპარსული და ანაფორაგახდილი მამაოებით. ეს იყო ნორმა, ე.წ. დროის შეკვეთა, რომელშიც, მცირე გამოწკლისების გარდა, სამწუხაროდ, შემოქმედებითი ინტელიგენციის საკმაოდ დიდი ნაწილი იყო ჩართული. დღევანდელი გადასახედიდან იმდენად თვალშისაცემია საყოველთაო უღმერთობის საბჭოური სტილი, რომ დარწმუნებული ვარ, არა მხოლოდ ამ „შედეგთა“ ავტორებში, არამედ მათ მემკვიდრეებშიც, სულ ცოტა უხერხულობის განცდას მაინც იწვევს.

„შემოქმედებითი მსახურება თავისუფალი მსახურებაა, მას ვერ მივუსადაგებთ შრომითა თუ სამხედრო ვალდებულებებს. სულის დამთრგუნველი დიქტატურა არა მარტო თავისუფლებას ართმევს შემოქმედს, არამედ ცდილობს მოისყიდოს კულტურის მოღვაწეებიც და მათგან გამცემლობას მოითხოვს, მონურ მორჩილებას აჩვენებს და აიძულებს რეპრე-

სიების შიშით სახელმწიფო დაკვეთა შეასრულონ. მსოფლმხედველობრივი დიქტატურა ადამბლავებს სინდისს და მხოლოდ თავისუფალი სინდისის გმირულ შემართებას თუ შეუძლია მას წინააღმდეგობა გაუწიოს“ (ბერდიაევი, 2001, გვ. 95).

სწორედ „თავისუფალი სინდისის“ გმირული შემართებითა და ტიტანური შრომით მოახერხა ოთარ ჩხეიძემ XX საუკუნის ქართლის ეპოპეის შექმნა. ოთარ ჩხეიძის, როგორც დიდოსტატის თვალის აბსოლუტურად უჩინარ, ერთი შეხედვით მექანიზებულ პროცესებშიც კი ისეთ სიფხიზლეს იჩენს, გაგიკვირდებათ. ეს არაა მხოლოდ თვალის ნიჭი, თვალის სიფხიზლე. ეს მწერლის ის „ბედნიერი თვალა“, როგორც ლალი ავალიანი იტყოდა, რომელიც ყველანაირ უბედურებას ებრძვის სამყაროში. ესაა მობილიზებული გულის, გონებისა და ეპოქის სულისკვეთებისადმი უნდობლობიდან წამოსული ქვეცნობიერი სიფხიზლე, რომელიც მის ცნობიერებასა და წარმოსახვის უნარს მოდუნების საშუალებას არ აძლევს. ასე მაგალითად: „ჩემს სავანეში“ ერთ-ერთ სატრაპეზო სუფრასთან საუბრობენ, თუ როგორ კლებულობს ღირსებისა და პრესტიჟის განცდა ქვეყანაში. როგორ ხდება ღვინის საყოველთაო ფალსიფიცირება, დამცრობა, შეურაცხყოფა. სხვათა შორის, ვაზის კულტურის მქონე უძველესი ქვეყნისათვის ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა, თითქმის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. აგრარული სისტემის მოშლის უჩინარი სპექტრი რომანში, ოჯახური კულტურის, ოჯახური მეურნეობისა და სახელმწიფო ინტერესების შეპირისპირებითაა ნაჩვენები.

„სვამდა და სვამდა ზაქარია კიკნაძეცა, იფხალეზობდა და სვამდა. „თავს ნუ იკლავ ზაქარიაო, წყალია და შაქარიაო“, უმღეროდა ვალოდია კაკაბაძეი. ნუთუ გორელებიც იკადრებენო, გაიკვირებდა ზაქარია, ოღონდ ისე რო კარგად რო იცოდა, გორი რო არ იყო არაფერ შუაში, სვირიც რო არ იყო არაფერ შუაში, არც რო კარდანახი, რაღა თქმა უნდა, რესტორანში რო სვამდნენ, დანომრილ ღვინოებს რო სვამდნენ, ქარხნის ღვინოებსა, რაღა თქმა უნდა, ქარხნისასა და დანომრილსა, – ესეც რო უცნაური გახლდა, სახელები რო წაართვეს ქართულ ღვინოებსა და ნომრები დაადეს, სათარეშოდაც ადვილი გახდა, გასაქარწყლებლადაც ადვილი ცხადია (ხაზი ჩვენია). სვამდნენ რაც იყო, უკეთესი რო აღარ გააჩნდათ, სვამდნენ, ლხინობდნენ ძველქართულადა, მამაპაპურადა, მაინც ისეც მამაპაპურადა, დარბაისლური სადღეგრძელოებითა, ზომიერი ქებითა ერთმანეთისა, სიმღერითა, ცეკვითა, ყოველივეთი და ყველაფრითა, რაც ქართულ სუფრას რო შეეფერებოდა“ (ჩხეიძე, 2000, გვ. 27-28).

„კულტურის მოღვაწეთა მოსყიდვა მით უფრო ადვილდება, რომ მათი მდგომარეობა სულიერადაც და მატერიალურადაც ძალიან მძიმე გახდა. ისინი სოციალურად დაუცველნი იყვნენ და უმუშევრებად იქცნენ. ინტელექტუალურ ფენას ან დაღუპვა ემუქრება, ან გაქრობა იმის შედეგად, რომ ის აღარავის სჭირდება...“ (ბერდიაევი, 2001, გვ. 95-96). არ შეიძლება ბერდიაევის ეს დაკვირვება არ გაგახსენდეს, როცა ხედავ „ჩემს სავანეში“ გორის პედაგოგიურ ინსტიტუტს ნელ-ნელა, თანდათან, მეთოდურად, სარეველა ბალახივით როგორ შეუსევენ ე.წ. ახალ კადრებს, თავიდან ხანგამოშვებით, თითო-ოროლას, მერე უხვად და წამდაუწყუმ. ეს არ არის თაობათა ჯანსაღი მონაცვლეობა, ბუნებრივი, ღვთისაგან დაწესებული, როცა ოსტატი მიდის და მისი გაზრდილი შეგირდი გამოდის ასპარეზზე. საცქერლადაც საამოა ეს პროცესი, ზღვის ტალღებით დამამშვიდებლად რომ ენაცვლებიან ერთმანეთს თაობები.

აქ სხვა რამ ხდება. თანდათან იკვეთება და თვალშისაცემია სახელმწიფოს მზაკვრული განზრახვა, რომ მართალმა, ბუნებრივმა, კეთილმა, პატიოსანმა და, რაც მთავარია, თავისი საქმის ნამდვილმა პროფესიონალმა არ გაიხაროს, ამიტომაც მოდის ახალი კადრი, პარაზიტული სხვისი ადგილის დამჭერი, უვიცი და ამბიციური. მუდამ უფლებებზე მოწუწუნე და მოვალეობებგადავიწყებული. ამიტომაც ხდება ამ აქტიური უნიჭობის, უპასუხისმგებლობის წაქეზება და წახალისება. „მაგასაც რო პროფესორი დაერქმევა, რაღა ფასი აქვს პროფესორობასო“ (ჩხეიძე, 2000, გვ. 284). – ამ მთავარი ფრაზით, რომანშიც რომაა გამოყენებული, ვინ იცის რამდენი „სწავლულის“ შეფასება

მომხდარა ბოლო ათეული წლების განმავლობაში საქართველოში. საბოლოო ჯამში კი – ჩვენი საგანმანათლებლო სისტემის. თანდათან, მეთოდურად, ახალგაზრდების თვალწინ ფასს უკარგავენ პატიოსნებას, ცოდნას, პროფესიონალიზმსა და პატრიოტიზმს. წლების განმავლობაში თავდაუზოგავი შრომით მოპოვებულ სულიერ საგანძურს, ინტელექტუალურ ბაზისს ისე იოლად ატანენ ქარს, თითქოს ღილინებენ – ქარის მოტანილს ქარი წაიღებსო. ამიტომ საოცრად სიმბოლურია საშიშად დარწმუნებულ ხიდზე ქარიშხალში ძლივს მიმავალი სამი ჭარმაგი პროფესორის სცენა. იმის მაგივრად, თავს უშველონ და როგორმე მეორე ნაპირზე, სამშვიდობოს გააღწიონ, ამ ქარაშოტში წამდაუწუმ ჩერდებიან, წუხან და კამათობენ – სტუდენტებს მაინც რაღა დაემართათ, სწავლა რომ აღარ უნდათ, რა უნდა მოვუხერხოთ... თითქოს მათი წუხილიც და გულუბრყვილო გაკვირვებაც სადმე, გუმბათ ან სახურავდადგმულ შენობაში კი არ უნდა გამჟღავნდეს და მსჯელობის საგნად იქცეს, არამედ სწორედ ღია ცის ქვეშ, დაუცველი და მოწმის გარეშე დარჩენილი ეს დარდიც რაც შეიძლება დროზე უნდა განქარდეს და გადაიკარგოს.

ამ რომანიდან ბუნებრივად, უშუალოდ ამოიზრდება მონოგრაფია სათაურით „ხელოვანის ბედი ტოტალიტარულ სამყაროში“, რადგან მთელი ეს დრამატიზმით, დინამიზმით, სიყვარულითა და ირონიით მოთხრობილი თავგადასავალი ერთი ეროვნული ინსტიტუტისა, პირადად მწერლის თავგადასავალიცაა. ოთარ ჩხეიძემ გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში 30 წელზე მეტხანს დაჰყო და, როგორც თვითონ ბრძანებს, მოუსწრო იმათ, ინსტიტუტს დაარსების დღიდან რომ მოჰყვებოდნენ, და დატოვა ისინი, რომლებმაც ბოლო მოუღეს და წირვა გამოუყვანეს პედაგოგიურ ინსტიტუტს. *„ჩემი სავანე ცოტათი ირონიულია. ირონია ნიშანდობლივია ჩემი სტილისათვისა, ოღონდ აქ ეს ჩემს იმედგაცრუებასაც უნდა გამოხატავდეს, თვითირონიასაც უნდა გამოხატავდეს. სუბიექტური მხოლოდ ეს უნდა იყოს ამ ნაწარმოებში. ასეთი შთაბეჭდილება მრჩება ახლა, კორექტურისათვის რო გადავიკითხე“...* (ჩხეიძე, 2000. გვ. 2). ამ სიტყვებით ამთავრებს 2000 წლის მკათათვეში მეორე გამოცემისათვის დაწერილ ანოტაციას მწერალი.

რაც შეეხება ირონიას, ეს დროის გადასახედიდან დასცქერის საკუთარ ღვაწლს ერთგვარად გაწბილებული და ირონიული, თორემ იმ წლებში სწორედ მისი დიდი ტალანტისა და უშურველი ამაგის გამო ჩქეფდა და გადმოჩქეფდა თეატრალური და ლიტერატურული ცხოვრება გორში. სწორედ მისი თაოსნობით, ზრუნვითა და მონაწილეობით ეწყობოდა ლიტერატურული შეხვედრები კონსტანტინე გამსახურდიასთან, გალაკტიონთან, ლევან გოთუასთან, იოსებ გრიშაშვილთან, სერგო კლდიაშვილთან, დემნა შენგელაიასთან, ლადო გუდიაშვილთან, სიმონ ჩიქოვანთან, რეზო ჯაფარიძესთან, მუხრან მაჭავარიანთან, მსახიობებთან, მუსიკოსებთან... ყველას ვინ მოთვლის...

როგორ საგანგებოდ, სერიოზულად ემზადებოდნენ სტუდენტები ამ ავტორიტეტებთან შესახვედრად, როგორი გახარებული და გაოცებულები რჩებოდნენ სტუმრები მათი შემოქმედების ასეთ ცოდნას რომ წააწყდებოდნენ ე.წ. პერიფერიაში. „ჩემს სავანეში“ ცალკე თემად შეიძლება გაიშალოს დედაქალაქის დაუდევარი, ხშირ შემთხვევაში ქედმაღლური დამოკიდებულება პროვინციისადმი, რაც წლების შემდეგ ბუმერანგით დაუბრუნდა თბილისს და საკმაოდ მწვავე პრობლემადაც ექცა. რომანში მთელი ეპოპეაა გორის სალიტერატურო ჟურნალის „ლიახვის“ გამოცემისა. პირველივე ნომერს რომ დააპატიმრებენ, პირველივე თაბახს, ვიდაცის საჩივრის საფუძველზე: „ბელადზე არაფერი არ იბეჭდებაო“. არადა რამდენი დრო და ენერგია შეაღია ამ ჟურნალის გამოცემას და წელში გამართვას ბატონმა ოთარმა, რადგან სჯეროდა, რომ იგი ჰაერივით და წყალივით სჭირდებოდა ახალგაზრდობას. რა დღე დააწიეს, როგორ უშლიდნენ ხელს, ყველაზე მწარე და მოულოდნელი მაინც დედაქალაქში გამომავალი „ცისკრის“ მიერ „ლიახვის“ აბუჩად აგდება იყო. როგორ არიგებდა რეზო მარგინი ოთარ ჩხეიძეს: *„რატომ არ გამოეცლები მაგ გიჟებსაო. შენს მამაბიძას რა ხეირი დააყარეს, შენ რაღა სიკეთეს ელოდებიო. იცოდე შენს მტრებს ზრდი და მტრები ისედაც არ გაკვლია მწერალთა კავშირშიო. გამოეცალე, წამოდი, შენს თავს მიჰხედო“* (ჩხეიძე, 2008. გვ. 214).

ვერ გამოეცალა გორის პედაგოგიურ ინსტიტუტს ეს დიდი მწერალი, ვერც გამოეცლებოდა, მთელი 30 წელი შეაღია მწერლობაზე არანაკლებ დიდ საქმეს – თაობების აღზრდას – შემოქმედმა და, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჯანსაღი, პატიოსანი და გონიერი გოგო-ბიჭების აღზრდით საქართველოს სიცოცხლე გაუხანგრძლივა... რაც შეეხება ირონიას, თუნდაც თვითირონიამ რა უნდა დააკლოს „განწირული სულისკვეთების“ მატარებელ დიდ მწერალს.

* * *

წმინდანებს ხილვები აქვთ, ძირითადად მომავალს ხედავენ და უხმოდ გოდებენ. ჩვენცა გვაქვს, ადამიანებს, ჩვეულებრივებს ჩვენ-ჩვენი ხილვები, უფრო ზუსტად, სურათ-ხატები თავდაპირველი სამშობლოდან – სამოთხიდან, ბავშვობიდან გამოყოლილი და, როცა მათ ვხედავთ, ვიღიმებით. ოთარ ჩხეიძე წინასწარმეტყველი იყო, ხილვები ჰქონდა და წერდა, წერდა, წერდა... ეს რომანი მომავლის მწარე წინათგრძნობით იწერებოდა. გორის გაუქმებული პედაგოგიური ინსტიტუტის, დარბეული დედაუნივერსიტეტის საპირწონედ მომრავლებული საექვო უნივერსიტეტების, ისტორიისა და ხსოვნის წყაროების – მიზანმიმართულად გაპარტახებული ჩვენი ძვირფასი ბიბლიოთეკების, ეროვნული თუ საკაცობრიო მარადიული ღირებულებების, სარწმუნოებისა და ტრადიციების წინააღმდეგ გააფთრებული ბრძოლის, ახლო მომავალში შიდა ქართლში წართმეული 158 სოფლის და კიდევ ვინ ჩამოთვლის რამდენი რამის მღელვარე თანაგრძნობით იწერებოდა.

„ჩემი სავანე“ ერთი მწარე ხილვაა და გაფრთხილება იმისა, რომ ეს უკვე იყო, ეს დღესაც არის და, ეს მომავალშიც გაგრძელდება. გაგრძელდება მარადჟამს, სანამ ადამიანი, სანამ ქართველობა თავის სახლს, კუთხეს, მიწას, სამშობლოს თავის სავანედ არ აქცევს.

დამოწმებული ლიტერატურა:

- ბერდიაევი ნ. (2001). „ადამიანის ბედი თანამედროვე სამყაროში“ (თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ), თბილისი: „ლოგოს პრესი“, ISBN 99928-883-2-6
- ჩხეიძე ო. (2000). „ჩემი სავანე“, თბილისი: „ლომისი“.
- ჩხეიძე ო. (2006). „ბორიაყი“, თბილისი: „ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება“.

References:

- Berdiaevi N. (2001). „Adamianis bedi tanamedrove samq'aros'i“ (Targmna Bachana Bregvadzem). [“The fate of man in the modern world“ (translated by Bachana Bregvadze)]. Tbilisi: „Logos p'resi“ ISBN ISBN 99928-883-2-6
- Chkeidze o. (2000). „Chemi savane“. [„My resting place“]. Tbilisi: „Lomisi“.
- Chkeidze o. (2006). „Boriaq'i“. [„A dust storm“]. Tbilisi: “Alexander Orbeliani Society”.

Tamar Tsitsishvili

თამარ ციციშვილი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

The Institute of Censorship Committee of the Russian Empire and Georgian Language Policy

(80s-90s of XIX century)¹

რუსეთის იმპერიის საცენზურო კომიტეტის ინსტიტუტი და ქართული ენის პოლიტიკა (XIX საუკუნის 80-90 წლები)

The Caucasian Censorship Committee's 19th-century activities in Georgia reveal Russian imperial efforts to suppress Georgian identity. After banning mentions of Georgia in public discourse (1880s), the Committee amended Iakob Gogebashvili's *Bunebis Kari* (1885), replacing "Georgia" with regional terms. Criticism of Georgian language education was forbidden, Russian was imposed, and teaching Georgian was sidelined or banned. Megrelian and Svani languages were promoted to fracture unity. "Mute teaching" aimed to erode Georgian identity. Returning Muslim Georgians were labeled Turks, and separatists were expelled from education. This systematic censorship highlights the Empire's strategy to dominate Georgia by undermining its language, culture, and unity.

Key words: XIX century, Georgian Language, Russian Empire.

საკვანძო სიტყვები: XIX საუკუნე, ქართული ენა, რუსეთის იმპერიული ცენზურა.

რუსეთის იმპერია თავის ტერიტორიაზე მკაცრ დამპყრობლურ პოლიტიკას აწარმოებდა და ამ პოლიტიკის წარმატებით განხორციელებაში მის სადამსჯელო ორგანოებს – პოლიციასა და ჟანდარმერიას ცენზურაც გვერდში ედგა. საცენზურო კომიტეტი ზედამხედველობითი ორგანო იყო, რომლის ფუნქციებში იმპერიის ტერიტორიაზე მისთვის არასასურველი ინფორმაციის, მიუღებელი აზრებისა და ცნობების გავრცელების აკრძალვა შედიოდა. XIX საუკუნის იმპერიულმა რუსეთმა მწვავედ იგრძნო ცენზურის სპეციალური ინსტიტუტის არსებობის საჭიროება. ეს ვითარება პირდაპირ კავშირშია იმ ეპოქაში ინფორმაციის და მის მომხმარებელთა რაოდენობის ზრდასთან. ცენზურა ხდება ძალაუფლებისა და „ფილტრაციის“ ორგანო, ის იმპერიისათვის უმნიშვნელოვანეს ფუნქციას ასრულებს, კერძოდ, უცხო, დესტრუქციული ძალებისათვის ხდება ერთგვარი ბა-

¹ The research was supported by a Grant (FR 021-8835) funded by Shota Rustaveli National Science Foundatio of Georgia

კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით (F R – 21 – 8335).

რიერი. ცენზურის გარეშე იმპერიის ნორმალური ფუნქციონირება უკვე შეუძლებელი ხდება. იმპერიულ სამთავრობო სტრუქტურაში მსგავსი ტიპის მნიშვნელოვანი, მკაცრი სადამსჯელო ინსტიტუტის არსებობა, მეცნიერებს საშუალებას აძლევს, რომ ცენზურა კულტურულ-ისტორიულ ფენომენად განიხილონ. იმპერიულ ცენზურას ევალებოდა მკაცრად გაეკონტროლებინა ტექსტი, ქვეტექსტი, სიმბოლო, ფარული მინიშნება, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რასაც მთავრობა საფრთხის შემცველად ჩათვლიდა. ლიტერატურა და პერიოდული პრესა განსაკუთრებულ ცენზურას ემორჩილებოდა. მეფის რუსეთის ხელისუფლებამ კარგად გააცნობიერა საზოგადოებრივ აზრზე პრესის „ძალაუფლების“ და გავლენის უნიკალური მნიშვნელობა, რასაც ცენზურის ინსტიტუციონალიზაცია მოჰყვა. XIX საუკუნეში დამოუკიდებელი ჟურნალისტიკა და თავისუფალი სიტყვა მთავრობის ოპოზიციურ ინსტიტუტად ყალიბდება. პრესას აეკრძალა ნებისმიერი ცნობის გამოქვეყნება, რომელიც იმპერიაში პოლიტიკურ, სოციალურ, ნაციონალურ პროცესებს, გამოსვლებსა თუ ნებისმიერი სახის მღელვარებას აშუქებდა.

საქართველოში 1848 წელს დაარსდა კავკასიის საცენზურო კომიტეტი, რომელიც კავკასიის სასწავლო ოლქის შემადგენლობაში შევიდა. მის საქმიანობას სასწავლო ოლქის მზრუნველის თანაშემწე ახორციელებდა. 1860 წლიდან საცენზურო კომიტეტი ცალკე დაწესებულებად ჩამოყალიბდა, 1863 წლიდან ის შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებაში გადავიდა, ხოლო შემდგომ, 1867 წლიდან კავკასიის მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოს დაექვემდებარა. საქართველოსთვის ეს უმძიმესი პერიოდი შეფასებულია, როგორც „საცენზურო ტერორის ეპოქა“. იმპერიული ცენზურა სასტიკად ებრძოდა და სდევნიდა ყოველივე ქართულს – ეკლესიას, მწერლობას, თეატრს, პრესას და ზოგადად ქართულ სიტყვას. კომიტეტის ფუნქციებში შედიოდა გაეკონტროლებინა, თუ საჭირო იყო, დაებლოკა არა მარტო ყველა წიგნი, მხატვრული ტექსტი, კრიტიკულ-პუბლიცისტური მასალა, პრესის ორგანო, არამედ სასულიერო ლიტერატურა, საბაჟოები, ტიპოგრაფიები, მუსიკალური ნოტები, მხატვრული ტილოები და ასე შემდეგ. ცენზურა იყო წინასწარი და შემდგომი. წინასწარი ცენზურა, შინაარსიდან გამომდინარე, თავიდანვე ამოწმებდა და კრძალავდა საცენზურო კომიტეტში შემავალ ნებისმიერ მასალას, ან ნებართვას იძლეოდა მათ დაშვებაზე. შემდგომი ცენზურა კი, თუ ადგილი ექნებოდა რაიმე სახის მასალის „გაპარვას“, სანქციებსა და შემზღვევად ღონისძიებებს ახორციელებდა.

რაც შეეხება რუსულ პრესას, იქ საქართველოზე დაბეჭდილი ცილისმწამებლური სტატიები ცენზურას არ გადიოდა. მაგალითად, შეიძლება მოვიყვანოთ „სოვრემენი ვესტნიკი“, რომელიც ასაბუთებდა, რომ ქართველი ერი დაკნინდა, გადაგვარდა ზნეობრივად და მორალურად, გამოიფიტა და ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა ცივილიზებულ სამყაროსთან. XII საუკუნეც კი ქართველი ერისათვის მორალური გახრწნის და გადაგვარების ეპოქა ყოფილა. ილია ჭავჭავაძე ამგვარი ტიპის წერილებზე წერდა, სხვა ქვეყანაში ასეთი რამ რომ გაბედოს გაზეთმა, მკითხველი შეუთვლის – „შენმა სუნმა ამამყრალა და აწი ჩემსას არ გაიჭაჭანო“.

საგულისხმოა, რომ საცენზურო კომიტეტი თავის დოკუმენტებში ასაბუთებდა, რომ ქართველები „ყაჩაღები, ველურები“ არიან და რეფორმების ღირსიც არ იყვნენ“. დოკუმენტებში ქართველებს ყოველთვის „ტუზემცებს“ უწოდებდნენ და არა მარტო ქართველები, არამედ სომხები, აზერბაიჯანელები, ჩრდილო კავკასიელები ყველა კავკასიელ ტუზემცებად მოიხსენიებიან.

საქართველოში სხვადასხვა დროს ცენზორებად მუშაობდნენ, ჩამოვთვლით ზოგიერთ მათგანს, – ეგრემ ალექსი-მესხიშვილი, ივანე ყაითმაზოვი, „დროდადრო“ ნიკოლოზ ბერძენიშვილი, დიმიტრი ბაქრაძე, დიმიტრი ფურცელაძე, ლუკა ისარლიშვილი, რაფიელ ერისთავი და სხვები. განსაკუთრებული სისასტიკით ლუკა ისარლიშვილი და ივანე ყაითმაზოვი გამოირჩეოდნენ. მოვიყვანოთ ერთი სახალისო ისტორია. ლუკა ისარლიშვილმა პოლიტიკური მოტივით სასტიკად აკრძალა აკაკი წერეთლის ცნობილი ლექსის „გლესავ და გლესავ ნამგალოს“ გამოქვეყნება. აკაკიმ ეს ლექსი ფოთში დაბეჭდა და ქვეშ ავტორად ლუკა ისარლოვი მიაწერა (მიქაძე, 1998). აქვე გვინდა გავიხსენოთ რაფიელ ერისთავის, როგორც ცენზორის დიდი ღვაწლი. რაფიელ ერისთავი 1889

წლიდან საცენზურო კომიტეტში ქართული ენის ცენზორია. მას უნდა ვუმაღლოდეთ ალექსანდრე ყაზბეგის ოთხტომეულის (საცენზურო კომიტეტს მისი ორ ტომად გამოშვება სურდა), პოეტი მამია გურიელის თხზულებების (იმპერიის საწინააღმდეგო პატრიოტული თემატიკის გამო აიკრძალა) დაბეჭდას და სხვა მრავალი ეროვნული ინტერესის დაცვასა და ხელშეწყობას. თუნდაც „ივერი-აში“ 1896 წელს დაბეჭდილი ფელეტონი „სურათები მოსწავლეთა ცხოვრებიდან“, რომლის გამოც ილია ჭავჭავაძემს მითითება მიეცა, ხოლო რაფიელ ერისთავს კი საცენზურო კომიტეტმა სასტიკი საყვედური გამოუცხადა. ალექსანდრე ჯაბადარი იხსენებდა, რაფიელ ერისთავმა შინაურულად მითხრა, არ ვიცი ცენზორად რამდენ ხანს ვიმუშავებ და სანამ აქ ვარ, თუ რაიმე გაქვს საეჭვო დასაბეჭდად სასწრაფოდ მოიტანეო. ამ სიტყვებიდან ნათლად ჩანს რაფიელ ერისთავის პიროვნება და საცენზურო კომიტეტში მისი მუშაობის ხასიათი. როგორც ლიტერატურათმცოდნეები აღნიშნავენ, რაფიელ ერისთავის ცენზორობის პერიოდში, არაერთი და ორი საქმე წარმატებით დაგვირგვინდა. 1896 წელს რაფიელ ერისთავმა საკუთარი ნებით დატოვა საცენზურო კომიტეტი. საცენზურო კომიტეტის მასალებში რაფიელ ერისთავის, როგორც ცენზორის ხელმოწერით ვხვდებით, ხშირ შემთხვევაში, იმპერიისათვის მიუღებელ ტექსტებს, რომელიც ყოველგვარი შეფერხების გარეშე დაიბეჭდა. რაფიელ ერისთავისადმი ქართული საზოგადოების დიდი მიწიწების დასტურად შეგვიძლია მოვიყვანოთ ამონარიდები ნიკო ავალიშვილის წერილიდან, რომელშიც ის მწერალს „მნათობთან“ (ნიკო ავალიშვილი 1869-1870 წლებში რედაქტორობდა ჟურნალ „მნათობს“ – თ.ც.) დაკავშირებით დახმარებას სთხოვს. „ღრმად პატივცემულო კნიაზო რაფიელ, მრავალთგან მსმენია თქვენი ნამდვილი ქართველობა და ქართული ლიტერატურისადმი დიდი თანაგრძნობა, <...> ჩვენი დავრდომილი ლიტერატურა, რომელიც ყოველთვის მოელის თქვენ თანაგრძნობას, <...> მოგეხსენებათ, რაცუდ და უფერულ მდგომარეობაშია ახლა საზოგადოდ ქართული ლიტერატურა და დროგამოშვებითი გამოცემები, <...> ეს გარემოება (ვერ პოულობს მომხმარებელსა და რჩება „გაუსყიდავი“ – თ.ც.) ჰბადებს ჩვენი ლიტერატურის თითქმის ერთ ადგილზე დგომას და მასთანავე შინაარსის უფერულობას, <...> საზოგადოებას, რომელსაც თავის დამამცირებელი შექცევა და ფანატია ათასჯერ უკეთასად მიაჩნია, ვიდრე „რადაც ქართული ლიტერატურა“, <...> კნიაზო, ამისათვის გაგიბედეთ და გთხოვთ, რომ თქვენი გავლენა დაახმაროთ ჩვენს ნორჩ „მნათობს“ და შეძინოთ რამდენიმე ხელისმომწერი, <...> იქნება ფრიად სასარგებლო ქართული ლიტერატურისათვის, რომლის პირველთაგანი თანამშრომელი თქვენ ბრძანდებით. ამასთან დიდად გთხოვთ თქვენის შრომითაც დაეხმაროთ „მნათობსაც“, <...> ამ იმედით დავშთებით თქვენგან დახმარების მოლოდინში თქვენი დიდად პატივისმცემელი ნიკო ავალიშვილი (ნიკო ავალიშვილის არქივი).

ქართული მწერლობა და პრესა, როგორც მაშინ წერდნენ, ეზოპეს ენით ალეგორიულობით, საოცარი მოქნილობით, ხან პირდაპირ და ხან ნართაულად, ებრძოდა ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას და უმოწყალოდ დაჩეხილ-დასახიჩრებელი წერილები პრესაში მაინც იბეჭდებოდა. „ჩემს სიცოცხლეში ცხადად თუ სიზმრად – წერდა აკაკი – ერთი რამ უფრო მაფრთხობდა ყველაზე და საფლავშიც ქარცეცხლად მიმყვება, მე ვამბობ ცენზურა“. აკაკი ცენზორს „ტვინმეისტერს“ უწოდებდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში კოლონიურმა ჩაგვრამ უკიდურეს ზღვარს მიაღწია. 1882 წლიდან ოფიციალურად აიკრძალა საქართველოს სახელის საჯაროდ ხსენება, იმპერია აიძულებდა ქართველობას ენით, გონებითა და გრძნობით რუსი გამხდარიყო (ციციშვილი, 2022). მანამდე კი 1874 წელს ქართული ენა არასავალდებულო საგნად ცხადდება და გიმნაზიის პროგრამებიდან სრულად იდევნება. უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება, როდესაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, სინოდისა და ეგზარხოსების განკარგულებით მთლიანად იქნა ამოღებული არასავალდებულო საგანი ქართული ენა. გიმნაზიებში იკრძალება ქართული ენის სწავლება და ეს საათები მთლიანად რუსული ენის გაკვეთილებს დაეთმო. „დედაენის სწავლება ოფიციალურად საოჯახო საქმედ გამოცხადდა“. როგორც ცნობილია, სწავლების ამ მეთოდს „მუნჯური სწავლების“ მეთოდი ეწოდა, რომელიც ასახიჩრებდა ქართველების გონებასა და სულს, აჩლუნგებდა აზრსა და ენას, ადგილი ჰქონდა ძალდატანებით ასიმილაციას. იმპერიული ცენზურისათვის სას-

ტიკად მიუღებელი ხდება სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებებში ქართული ენის სწავლებასთან დაკავშირებით არსებულ ნეგატიურ მდგომარეობაზე და გაუსაძლის პირობებზე წერა (ციციშვილი, 2024). იმ პერიოდის პრესას თუ გადავხედავთ, ჩვენდა სამწუხაროდ, იყო შემთხვევები, როდესაც ამგვარ ინფორმაციასაც ვაწყდებით, რომ ზოგიერთ „ვაი ქართველს“ ეს საკითხი სრულებით არ ანაღვლებდა და გაიძახოდა კიდევ ქართული ენის სწავლა რა სავალდებულოა, მერეც მოვესწრებითო. ნიშანდობლივია, რომ სამწუხაროდ იყვნენ ქართული ენის მასწავლებლები, ვინც ქართული კარგად არ იცოდა.

რუსეთის იმპერიის კოლონიური ჩაგვრის მიზანი იყო დაეთრგუნა ქართული ცნობიერება და „ეროვნული აზრი“. რაც შეეხება განსაკუთრებულ აგრესიულობას ქართულ ენასთან დაკავშირებით გასაგებიცაა, რადგან თუ ქართველები მშობლიურ ენასა და ისტორიას დაივიწყებდნენ, იმპერია თავის მიზანს ადვილად მიაღწევდა, ქართველი ერი თანდათან დაკარგავდა თავის იდენტობას და გარუსდებოდა. ქართული ენა კი ქართველი ერისათვის „უკანასკნელი თავშესაფარი“ იყო. პირველი ნიშანი ერის ვინაობისა ენაა – წერდა ილია. „ჩვენმა აზრთა სვლამ, მიმართულებამ, საქმიანობამ აქ შეაფარა თავი“.

რუსეთის იმპერია ქართული ენის დისკრიმინაციისათვის ყოველნაირ ხერხს მიმართავდა, ახალისებდა მოსახლეობას, რომ სამეგრელოს, აჭარისა და სვანეთის სოფლებში ქართული ენის ნაცვლად სწავლება მეგრულად და სვანურად ყოფილიყო. იმპერია მეგრელებს, სვანებს, აჭარლებს ცალკე ეროვნებად აღიარებდა, ხოლო მუსულმან ქართველებს, ვინც სამშობლოს დაუბრუნდა, თურქებად აცხადებდნენ და ამტკიცებდნენ, რომ ეს „ნაცუმცირესობათა დაცვის მიზნით“ ხდებოდა. ცარიზმი განუწყვეტელ მცდელობაში იყო საქართველოს სხვადასხვა კუთხეები ერთმანეთისათვის დაეპირისპირებინა. იმპერიის კოლონიური პოლიტიკის მიზანი გახლდათ სწორედ ამ გზით ქართველი ერი „დაენაწევრებინა“, რაც შემდგომ დაეხმარებოდა ცარიზმს ქვეყნის სრულ რუსიფიკაციაში და საქართველოს თითოეული კუთხის სრულ ასიმილაციაში. იმპერიული მთავრობა აპირებდა, რომ რუსულ ენაზე დაყრდნობით მეგრელებისათვის არა მარტო ანბანი „შექმნა“, არამედ წირვა-ლოცვაც და საღვთო წერილიც მეგრულ ენაზე ეთარგმნათ. იმპერიის განათლების მინისტრის დულიანოვის განკარგულებით, ვითომდა „სეპარატიზმში შემჩნეულ“ ქართველობას საგანათლებლო სისტემა უნდა დაეტოვებინა“. 80-იან წლებში რუსეთის იმპერიამ მიიღო გადაწყვეტილება, რის საფუძველზეც მეგრული და სვანური ქართულ ენასთან სრულიად შორს მდგარ ენებად გამოაცხადა, მეგრელებისათვის ცალკე ანბანი და დაწყებითი სკოლებისათვის სახელმძღვანელოები უნდა შეექმნათ. 1885 წლის ბრძანებით მიხედვით კი სამეგრელოს სკოლებში ქართული ენა აიკრძალა და სწავლებაც შესაბამისად დაწყებით კლასებში მეგრულად უნდა დაეწყოთ (შემდგომ, ბუნებრივია, რუსულად გაგრძელდებოდა – თ. ც.). რუსულ ენაზე დაყრდნობით ანბანიც იქმნება და საღვთო წიგნების თარგმანიც სცადეს, მაგრამ მეგრულ ენაზე წირვა-ლოცვის შემოდების მცდელობა ჩაიშალა. იგივე ვითარებაა სვანური ენის მიმართაც. ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები წინ აღუდგნენ ერისთვის დამღუპავ იმპერიულ პოლიტიკას და „სამკვდრო-სასიცოცხლო“ ბრძოლა გამოუცხადეს მას.

(ფონდი 480– 1, 1340) 1896 წელს აკრძალულია „ჯეჯილში“ დასაბეჭდად მომზადებული კ. დოდაშვილის სტატია. კ. დოდაშვილი წერილში აღმფოთებული წერს, რომ „ერთერთმა იმპერიულმა კანცელარიამ“ (არ წერენ რომელი – თ. ც.) ბრძანება გამოსცა, რომ მეგრული ამიერიდან განცალკავებულად მდგომ ენად ირიცხებოდეს. „ენას, რომელსაც თავის განვითარებაში ვითომც მაღალ ფორმაციამდე კიდევ მიულწევია, ამიტომაც უნდა ითარგმნოს ამ დიად ენაზედ ღვთის მსახურება მართმადიდებელი ეკლესიისა და მოსწყდეს ამერით ვარსკვლავი ცისა საქრისტიანოსა და დასდგინდეს ეკლესია სამეგრელოსი განცალკავებით საქართველოს ეკლესიისაგან, რომელსთანა ათთხუთმეტი საუკუნე მონებრივი დამოკიდებულება აქუნდეს, ისმინეთ მონანო მომავლისა სამეგრელოს ეკლესიისთანო“. ამ ბრძანებულებით „დიდებული განვითარებული და თვის ეროვნული კულტურის სიმძლავრის გამომხატველი მეგრული ენა ირიცხებოდეს, მეგრელებისათვის

უვარგის, გამოუსადეგარ ქართულ ენასთან, იმ მანძილზე მდგრად, რა მანძილზედ თურმე ყოფილა რუსულისაგან პოლონური და ჩეხური“. სასაცილოა, წერს ავტორი, რომ მეგრული დაშორდეს ქართულს, რომლის ღვიძლი ძმა არის. დოდაშვილი წუხს, რომ „უადგილობის გამო ვეღარ ახერხებს წერილის გაგრძელებას“. წერილი ტიპური ნიმუშია თუ როგორ მეთოდურად ცდილობს იმპერია არარუს ხალხთა დევნა-შევიწროებას, მათთვის ისტორიისა და წარსულის დავიწყებას, რადგან სწორედ ეს გახლდათ იმპერიული რუსეთის ეროვნული პოლიტიკა. სწავლა-განათლება ცენზურის, ამ პოლიციური აპარატის ხელშია, რომელიც ავიწროებს ქართულ ენას, აპირისპირებს რა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს, ხოლო მეგრელებს სვანებსა და აჭარლებს არაქართველ მოსახლეობად აცხადებს. მაგალითად თადა აშორდიამ 1889 წელს რუსულ ანბანზე დაყრდნობით შეადგინა მეგრული ანბანი. მეგრული ანბანის შექმნა ალექსი გრენსაც მიანდევს, რომელიც ურცხვად, წერდა, რომ სურდა „არაპირდაპირ, როგორმე ნაციონალური ბრძოლისათვის გამოძეწვია მეგრელები, რომელნიც უფრო ძლიერი ქართველი ხალხისაგან ითვლებიან და, მართლაც, ასეთი ბრძოლა სრულიად შეუძლებელია საკუთარი, ნაციონალური ალფაბეტის ქონების გარეშე, რომლითაც მეგრელი თავის აზრებს ისე გამოხატავს, როგორც მისი მტერი, ამ შემთხვევაში ქართველი და ბოლოს, უალფაბეტო შეუძლებელია რაიმე მეცნიერება, ცივილიზაციის 15 რაიმე ნაპერწკალიც კი“ (ხუნდაძე, 1951). 1892 წელს კი ლევიცკი რუსული ენის სახელმძღვანელოს მეგრული ენის საფუძველზე ადგენს. ლევიცკისთან დაკავშირებით იხილეთ ფელეტონი „პედაგოგიური საკვირველებანი“ ლევიცკიზე („ივერია“, 1802, 22 იანვარი). აქვე დავძენთ, რომ კ. დოდაშვილი წერილში მეგრულის მიმართ არაკორექტულ სიტყვებსაც ხმარობს.

ფონდი (480- 1, 1190) 1893 წელს აიკრძალა ფრონელის (ალექსანდრე ყიფშიძე) სტატია, რომელიც „ივერიაში“ უნდა დაბეჭდილიყო. წერილი მეტად მტკივნეულ საკითხს ეხება, კერძოდ, იმპერიული ცენზურა უკრძალავს ქართველებს, რომ მეტრიკისა და „აღსარების წიგნები“ ქართულ ენაზე შედგეს. ცენზურა ქართულ ენაზე შედგენილ ამ ცნობებს კანონიერი საბუთის მნიშვნელობას არ ანიჭებს, რადგან იმპერიის შეხედულებების თანახმად, ტუზემცების ქართულად დაწერილი ამ დოკუმენტებს კანონიერი ძალა არ ჰქონდა, ხოლო ქართველ წმინდადნთა სახელები წარმართულად მიიჩნეოდა. თექვსმეტი საუკუნეა, წერს ფრონელი, რაც ქართველები განათლდნ და მას შემდეგ ყველაფერი ქართულ ენაზე იწერებოდა. რაღა ახლა XIX საუკუნეში დაკარგა ქართულმა ძალა. ფრონელი აღშფოთებას ვერ მალავს, რომ უარყოფილია არამართო ქართული ენა, არამედ საქართველოს წმინდანთა, წამებულთა და მოციქულთა სწორთა მოღვაწეობა. ფრონელის წერილის ტონი საკმაოდ კრიტიკულია. როგორც ცნობილია, რუსული ეკლესია ქართველ წმინდანებსაც არ ცნობდა.

ცენზურისაგან ნებადაურთავია წერილები, რომლებიც სასულიერო და საოასტატო სასწავლებლებში ქართულის ენის და რწმენის საკითხებს ეხება. ნებისმიერი ქართული მართლმადიდებლობასთან დაკავშირებული საკითხი რუსულთან შედარებით წინ არ უნდა წამოიწიოს. ფონდი (480- 1, 1190) 1882 წელს „დროებაში“ არ გაუშვეს სტატია, რომელშიც საუბარია, ქართული ენის მასწავლებელმა ქრისტიანობის გავრცელებასთან დაკავშირებით ბავშვებს აუხსნა, რომ საქართველო მეოთხე საუკუნეში გაქრისტიანდა, ხოლო რუსეთმა ქრისტიანობა მეათე საუკუნეში მიიღო. რუსი ეგზარხოსების სურვილი იყო, რომ არსად არ აღნიშნულიყო ფაქტი, რომ ქრისტიანობა საქართველოში ბევრად უფრო ადრე გავრცელდა, ვიდრე რუსეთში.

(ფონდი 480-1, 1340) 1896 წელს აიკრძალა „ივერიაში“ დასაბეჭდად პავლე ლომთაძის „წერილი ალაგირიდან“, სადაც საუბარია, რომ ალაღირის მოსახლეობა 100 კომლი ქართველები მოკლებული არიან თავიანთ ენაზე წირვა-ლოცვას. ხალხი წუხს, წირვა-ლოცვის დროს არცერთი სიტყვა არ ესმის, რადგან მღვდელი ოსია და ქართული არ იცის. ხალხის თხოვნას ყურადღება მიაქცია ეპისკოპოსმა ვლადიმერმა და ბრძანა, რომ წირვა-ლოცვა და ზიარება „მხოლოდ და მხოლოდ დიდი მარხვის მეხუთე კვირაში ქართულად ყოფილიყო“. დაინიშნა ქართველი მღვდელი ნესტორ ბაკურაძე, მან თავისი მადლიანი სიტყვით ხალხს სამშობლოსა და ეკლესიის მიმართ გრძნობა გაუღვივა. ეკლესიაში ქართულად იგალობეს. ხალხი ეკლესიიდან ცრემლმორეული გამოდიოდა. ზოგიერთ

„ვაჟბატონს“ ეს არ ესიამოვნა. ატეხეს ერთი ამბავი, რომ წირვა-ლოცვა ქართულად არ ყოფილიყო. საბოლოოდ ქართველი მღვდელი შეავიწროვეს. ეკლესიის ფანჯრები დაამტვრიეს და დიდი ხმური ატეხეს. ოსი მღვდელი ნესტორ ბაკურაძეს „გადარეული“ მივარდა და აუკრძალა ქართულად წირვა. სამწუხაროდ, ქართველები ამას უკვე ოცი წელი ითმენენ □ წერს ავტორი. საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში რუსეთის სინოდის მსგავს ქმედებებს სისტემატური ხასიათი ჰქონდა და არაერთი ქართველი სამღვდლო პირი, ვინც ხმა აიმაღლა სასტიკად დაისაჯა.

(ფონდი 480– 1, 1776) ვხვდებით აკრძალულ წერილს, რომელიც 1902 „ივერიაში“ უნდა დაბეჭდილიყო. წერილი მეტად საჭირობოროტო საკითხებს ეძღვნება. კერძოდ, საქართველოში სასამართლოებში მოსამართლეებად და სასამართლოს თანამშრომლებად ჩამოსული რუსები ინიშნებიან, ვინც ქართული ენა არ იცის, მკვიდრ მოსახლეობას კი ნებას არ რთავენ. ძალზედ ხშირ შემთხვევებში ბოროტმოქმედებას ხალხის ზნე-ჩვეულება, ყოფა – ცხოვრება და მოსახლეობის ხასიათი განსაზღვრავს. ადგილობრივებმა ეს გარემოებები კარგად იციან და უკეთ შეუძლიათ შეასრულონ ეს პასუხსაგები სამუშაო, ვიდრე ჩამოსულმა რუსებმა. თარგმანზე კი ადამიანების ბედია დამოკიდებული. წერილში ავტორი ითხოვს, რომ საქართველოში მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლებისათვის ქართული ენის ცოდნა სავალდებულო გახდეს. აქვე დავძენთ, რომ რუსეთის იმპერიას ამ ძალზედ სერიოზული საკითხისათვის ყურადღება არც მანამდე და არც შემდგომ არ მიუქცევია.

იმავე საქალაქდებია „დროებაში“ დასაბეჭდად შესული უსათაურო წერილი. ხელმოწერილია ი. წ. რომელიც, ალბათ, ილია წინამძღვრიშვილს ეკუთვნის. სტატიაში ქართველებზე და სომეხებზეა საუბარი, რომ ისინი ისტორიულად უხსოვარი დროიდან ერთად მოდიან, „ერთმანეთის მეზობლად იდგნენ და ერთი ტანჯვა და სევდა აწუხებდათ“. ავტორის მიზანია, რომ ამ ორ ერს შორის მეგობრობა სუფევდეს. „ამ ბრუნდე კვალის შეცვლა განათლების მიზანია. ქართველთა და სომეხთა ბედნიერება კიდევ ორივე ხალხის ძმობასა და დაახლოებას მოითხოვს, რადგანაც ერთი და იგივე ვითარებით და გარემოებით არიან დაკავშირებულნი“ – წერს იგი. ცენზორი სასტიკად აღუშფოთებია სტატიის შინაარსს, მან არამარტო წერილის გამოქვეყნება შეაჩერა, არამედ სტატია შავი ხაზებით გადახაზა. რუსული კოლონიური რეჟიმი ცდილობდა იმპერიაში შემავალი ერები ერთმანეთზე გადაემტერებინა, რადგან მისი მართველობის პრინციპი იყო – გათიშე და იბატონე. წერილის პათოსი კავკასიაში ქართველებისა და სომეხების დაახლოებაა, რაც რუსეთის იმპერიის გეგმებში კატეგორიულად არ შედიოდა.

რუსეთის იმპერიული ცენზურის რეაქციულ თარეშს წინ აღუდგა – ქართული მწერლობა, პრესა, თეატრი, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და ყველა ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაცია. მიუხედავად უმძიმესი ვითარებისა XIX საუკუნე ქართველი ხალხისათვის ეროვნული იდეის, პიროვნებისა და აზროვნების თავისუფლებისათვის ბრძოლის ხანაა. XIX საუკუნის საქართველოში კავკასიის საცენზურო კომიტეტის საქმიანობის შესწავლა საშუალებას გვაძლევს ობიექტურად შევაფასოთ რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილ ქვეყანაში კულტურის კონტროლის მართვის სისტემა.

მოხსენებაში საუბარია ქართული ენის შევიწროებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ საცენზურო კომიტეტის საქმიანობის ამსახველ და მათ მიერ აკრძალულ მასალებზე, რომელიც საქართველოში რუსული იმპერიული ცენზურის მართვისა და მანიპულირების მექანიზმების შეფასებაში დაგვეხმარება.

დამოწმებული ლიტერატურა:

- მიქაძე, გ. (1998). ქართულ ფსევდონიმთა სამყაროში. თბილისი: „საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის წიგნის მოყვარულთა საზოგადოების რესპუბლიკური გამგაობის გამომცემლობა“.
- შარაბიძე, თ. (2024). დრამატურგიული ცენზურა კავკასიაში (XIX საუკუნის 60-70-იანი წლები). IX საეთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ენა და კულტურა“ შრომები. ქუთაისი.
- ხუნდაძე, ტრ. (1951). ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში (XIX საუკუნე). თბილისი: „საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამომცემლობა“.
- ციციშვილი, თ. (1922). ქართული ხალხოსნური მწერლობა და XIX საუკუნის მეორე ნახევრის კრიტიკული აზრი. მემარცხენე მწერლობის ფორმირება საქართველოში. თბილისი: „მწიგნობარი“.
- ციციშვილი, თ. (2024). ზოგიერთი საკითხი რუსეთის იმპერიული ცენზურის ისტორიიდან XIX საუკუნის საქართველოში (XIX საუკუნის 60-70-იანი წლები). IX საეთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ენა და კულტურა“ შრომები. ქუთაისი.

References:

- Mikadze, G. (1998). Kartul psevdonimta samq'aroshi. [In the world of Georgian pseudonyms]. Tbilisi: „Sakartvelos Ilia Ch'vch'avadzis sakhelobis ts'ignis moq'varulta sazogadoebis resp'ublik'uri gamgaobis gamomtsemloba“.
- Khundadze, Tr. (1951). Nark'vevebi sakhalkho ganatlebis ist'oriidan sakartveloshi (XIX sauk'une). [Essays from the history of public education in Georgia (XIX century)]. Tbilisi: „Sakartvelos ssr ganatlebis saminist'ros p'edagogiur metsnierebata inst'it'ut'is gamomtsemloba“.
- Sharabidze, T. (2024). Dramat'urgiuli tsenzura k'avk'asiashi (XIX sauk'unis 60-70- iani ts'lebi). IX saetashoriso sametsniero k'onperentsiis „ena da k'ult'ura“ shromebi. [Dramaturgiel Censorship in the Caucasus. IX International Scientific Conference “language and Culture”]. Kutaisi.
- Tsitsishvili, T. (1922). Kartuli khalkhosnuri mts'erloba da XIX sauk'unis meore nakhevrts k'rit'ik'uli azri. Memartskhene mts'erlobis pormireba sakartveloshi. [Georgian Khalkhosani Literature and Critical Thought of the Second Half of the XIX Century. Shaping of the Georgian Leftist Literature (19th and 20th Centuries)]. Tbilisi: “mts'ignobari”.
- Tsitsishvili, T. (2024). Zogierti sak'itkhi rusetis imp'eriuli tsenzuris ist'oriidan XIX sauk'unis sakartveloshi (XIX sauk'unis 60-70-iani ts'lebi). IX saetashoriso sametsniero k'onperentsiis „ena da k'ult'ura“ shromebi. [Some Issues from the History of Russian Imperial Censorship. IX International Scientific Conference “language and Culture”]. Kutaisi.



უნივერსიტეტის
გამომცემლობა